ვახტანგ მეეძვსე

პოეტურ თხზულებათა სრული კრებული

გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შესავალი,
ვარიანტები, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო
ბორის დარჩიამ

თბილისი
„ივერიონი“
2016

გამოჩენილი ქართველი მწერლის, მეცნიერისა და სახელმწიფო მოღვაწის, ქართლის მეფის, ვახტანგ მეექვსის (1675–1737) პოეტური თხზულებანი ორჯერ (1947 და 1967 წწ.) გამოსცა აკადემიკოსმა ალექსანდრე ბარამიძემ. მაშინ მწერლის ნაწარმოებთა მხოლოდ ნაწილის ერთი რედაქციის მიხედვით გამოქვეყნება მოხერხდა. წინამდებარე წიგნში გათვალისწინებულია უკანასკნელი მეოთხედი საუკუნის მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგები და იგი მეფე-პოეტის პოეზიას მთლიანი სახით წარმოგვიდგენს.

მონოგრაფია მეცნიერულია და განკუთვნილია ძველი ქართული მწერლობის, საქართველოს ისტორიის, რელიგიის მკვლევართა და ქართული ლიტერატურით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის.

წიგნი გამოდის ბორის დარჩიას ხარჯით და ეძღვნება ვახტანგ მეექვსის დაბადების მე-300 წლისთავს.

რედაქტორი — მურმან თაქდიშვილი

ამ წიგნზე რაიმე ანაზღაურების გარეშე იმდენი შრომა მაქვს გაწეული, რომ, როგორც ახლა წესად შემოდის, მეც მტკიცედ ვაცხადებ: აქედან ტ ე ქ ს ტ ე ბ ი ს ანდა მისი ნ ა წ ი ლ ე ბ ი ს გადაბეჭდვა, ნ ე ბ ი ს მ ი ე რ ი ბეჭდური და სამაუწყებლო სახით გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა ჩემს მემკვიდრე ილია (ილო) დარჩიასთან შეუთანხმებლად ა კ რ ძ ა ლ უ ლ ი ა. ეს შეზღუდვა არ ეხება ნაშრომებში მათს დამოწმებას.

ბორის დარჩია

ეს არის ცნობილი მკვლევარის ბოლო წიგნი–მინდოდა დამეწერა და მერელა გამახსენდა: კიდევ დარჩა გამოსაცემი ერთადერთი მართლა უკანასკნელი ნაშრომი, რომელიც ეხება სტალინსა და ქართველ მეცნიერთა ერთობ საინტერესო და უცნაურ ურთიერთობას.

ეს არის და ეს!

ამით ბორის დარჩია თავის მოლვაწეობას ამთავრებს.

ვახტანგ მეექვსე და მისი პოეზია მეცნიერის მთელი ცხოვრების მთავარი საქმე იყო. ამ სიტყვის ოსტატის შესწავლით დაიწყო მან თავისი სამეცნიერო საქმიანობა და ამ მწერალზე მუშაობით დაასრულა–სწორედ ამ წიგნის ლექსიკონს უკირკიტებდა კომპიუტერის ცივად ანთებულ ეკრანთან, ცუდად რომ შეიქნა და თავი მკერდზე ჩამოუარდა. დიახ, იგი მეცნიერის პოსტზე ბოლომდე მედგრად და ჯიუტად მდგარი დარჩა, ხოლო ვახტანგ მეფის შემოქმედება ის მოელვარე ჩარჩოა, რომელიც გარს ავლია მთელს მის დიდ ნამოღვაწარს.

რედაქტორი

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა

ადრე ვახტანგის თითო-ოროლა ნაწარმოები იყო გამოქვეყნებული, ისიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა ბეჭდვით ორგანოში. მწერლის პოეტურ ქმნილებათა სრული კრებულის გამოსაცემად პირველი და უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გადადგა (ყამირი გატეხა) ალექსანდრე ბარამიძემ, რომელმაც, როგორც ანოტაციაში აღნიშნეთ, ორჯერ, 1947 და 1975 წლებში, ცალკე წიგნად დაბეჭდა მეფე-პოეტის ლექსები და პოემები.

ცნობილია, რომ ვახტანგი თავის ნაწარმოებებს მრავალგზის უბრუნდებოდა, წლების განმავლობაში თავგამოდებით ამუშავებდა, ცდილობდა დაეხვეწა და სრულყოფილ ექნა ისინი. ამ შეუპოვარი შრომის შედეგად თხზულებათა უმრავლესობა ორი, სამი და ზოგჯერ ოთხი და მეტი რედაქციული სახით არის ჩვენამდე მოღწეული.

ალ. ბარამიძემ ვახტანგის ნაწარმოებები ერთი რედაქციის მიხედვით გამოაქვეყნა. ის ძირითადად ეყრდნობოდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პეტერბურგის განყოფილების M-3 ნუსხას, რომელიც ბოლო რედაქციის შემცველად მიიჩნია. იმის საჩვენებლად, რომ პოეტის თხზულებებს ხელნაწერებში რა ნაიფეროვნება ახასიათებს, მან თავისი რედაქციული სახესხვაობით დაბეჭდა ერთი ლექსი — „კაეშანი“.

ვახტანგის პოეტური მემკვიდრეობის შესწავლამ ნათელყო, რომ პეტერბურგული ხელნაწერი არ ასახავს ბოლოდროინდელ ვითარებას; ის უფრო მუშაობის შუალედურ სახეს გვიჩვენებს, ხოლო ბოლო რედაქციული ნამუშევრები დღის სინათლეზე გამოტანას ელოდა.

საკითხის დამუშავებამ ცხადი გახადა ისიც, რომ ხარისხის მიხედვით ეს რედაქციები ერთმანეთს არ ცვლის. იმ შემთხვევაშიც კი, როცა ბოლო რედაქცია უკეთესია, წინა რედაქციებს ბევრჯერ საკუთარი მხატვრული ღირსებები აქვს. ამის გამო წინამდებარე გამოცემაში მწერლის პოეტური მემკვიდრეობა რედაქციების მიხედვით არის

წარმოდგენილი. იქვე, სქოლიოში, დართულია იმ თხზულებათა ტექსტები, რომლებსაც პოეტი ლექსავს.

კრებულს ემატება ვახტანგ მეექვსის პოეტურად დამუშავებული „ქილილა და დამანას“ ლექსები, აგრეთვე – პატარა ნაწარმოებები: „ღვთის ქება“, „ძმას“, „შიო მღვიმელს“, „მუხრანული“, „თუკი გინდა სულის კარგი“, „ათცხრამეტური“, მესამე „ანბანთქება“, „სიკვდილი ჯიმშედის ცოლისა“, „ნუშრევანი“, „ხოსროს ფიცი“, რომლებიც ბოლო დროს გამოვაელინე ან მათი ვახტანგისადმი კუთვნილება დამტკიცდა.

შევიტანეთ და თავიანთი ადგილი მივუჩინეთ თორნიკე ჭყონიას მიერ მიკვლეულ და გამოქვეყნებულ სტროფებს.

კრებულიდან ამოღებულია პატარა ლექსი *„ნათსაყუდელსა მენაე“* და ომონიმურ რითმიან სტროფთა ერთობა *„მაჯამა“*. გავარკვიეთ: პირველი ვახტანგს არ ეკუთვნის, მეორის სტროფები კი პოეტის სხვადასხვა თხზულებიდან მოგვიანებით სხვის მიერ არის ამოკრებილ-გაერთიანებული და ახალს არაფერს იძლევა. მიუხედავად იმისა, რომ უმეტესობა გვიან, რუსეთში ყოფნისას, არის დაწერილი, ჯერ მცირე ზომის ლექსებს ვბეჭდავთ, შემდეგ – სიდიდისა და ორიგინალობის მიხედვით, ვრცელ თხზულებებს.

* * *

ამ წიგნზე მძიმე ავადმყოფი, ინსულტგადატანილი ვმუშაობ. ტექსტები და ვარიანტები მომზადებული და ხელის მანქანაზე გადაბეჭდილი მქონდა, ახლა, კომპიუტერში რომ შემყავს, თვალები მიჭრელდება და არ ვიცი, რამდენად ზუსტად ვახერხებ ამას.

ლექსიკონის მცირე ნაწილი მაქვს დაწერილი. ინსულტმა მოძრაობა მკვეთრად შემიზღუდა, გარეთ ვერ გამოვდივარ, შინაც ბარბაცითა და ხელის ცეცებით ძლივსძლივობით ვმოძრაობ,მუხლებში ხშირად ვიკეცები. როგორც ინტერნეტიდან გავიგე, ამ ავადმყოფობას ბამბის ფეხები რქმევია, რომელსაც, თურმე, ინსულტი იწვევს. ამ პირობებში სათანადო მასალებს ვერ ვეცნობი და ლექსიკონის სრულყოფას ვერ ვახერხებ.

ვინც ჩემს წიგნებს იცნობს, მოეხსენება, ქართული ლიტერატურის კვლევა-ძიებას როგორ შევეწირე ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. თუ რატომ და როგორ, მოკლედ აქაც გავიმეორებ იმას, რაც ჩემს ნაშრომებში არაერთხელ მითქვამს:

იმის გამო, რომ ჩემმა „უახლოეს მეგობარმა“ და აკადემიკოს **ელგუჯა ხინთიბიძის** უფროსმა ძმამ **აკაკი ხინთიბიძემ** მე-17 საუკუნის მწერალსა და საეკლესიო მოღვაწე **იაკობ შემოქმედელზე** ჩემი მონოგრაფიული ვრცელი ნაშრომის მითვისება მოინდომა, არ მიეცი და ვამხილე, ბატონი ელგუჯა გადამეკიდა. მას მხარში ამოუდგნენ ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი, ქართული ლიტერატურის უვიცი **ირმა რატიანი** და ინსტიტუტის რუსთველოლოგიის სამეცნიერო ცენტრის (სადაც მე კენჭს ვიყრიდი) ხელმძღვანელი, არარუსთველოლოგი და სამეცნიერო საქმიანობაში თვალთმაქცი **რევაზ სირაძე**, რომლებიც მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრობისაკენ მიისწრაფოდნენ, ამისთვის კი აკადემიკოსი ელგუჯა ჰაერივით სჭირდებოდათ. ამიტომ უნამუსოდ გამყიდეს. 2006 წლის განათლებისა და მეცნიერების „რეფორმის“ დროს **ი. რატიანმა** საკონკურსო შ ვ ი დ კ ა ც ი ა ნ კომისიაში **ძმები ხინთიბიძეები** და ბატონი ელგუჯას **ხელქვეითი თანამშრომლები** შეიყვანა. მათ დამიპირისპირეს უბადრუკი მკლევარი და პლაგიატორი **ნესტან სულავა**, რომლის ნამდვილი სახის ჩვენება მოვასწარი, როცა ვამხილე. ამიტომ ის ვეღარ გაიყვანეს. ი. რატიანი წელიწადი და სამი თვე ეძებდა ჩემს კონკურენტს, მაგრამ, რომ ვერ იპოვა, 2008 წლის იანვრის ბოლოს **ეს საკონკურსო** (მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის) **შტატი გააუქმა**!

მაშინ ეს მეხთატეხა გადავიტანე. მაგრამ 2013 წელს „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის, ანუ, როგორც ახლა სახელი გადაარქვეს, აკად. გ. წერეთლის სახელობის „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემისა და ქართული ენის თესაურუსის კომიტეტის თანამშრომელმა **გიორგი არაბულმაც** ჩემი სხვა ნაშრომის მითვისება რომ მოინდომა და მისმა შეფმა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ყოფილმა პრეზიდენტმა **თამაზ გამყრელიძემ** გულგრილობა გამოიჩინა და ამას კარგა ხანს წაუყრუა, ნერვიულობას

ველარ გავუძელი და ინსულტი დამემართა. ეს ამბები მოთხრობილი მაქვს წიგნებში: *„პლაგიატობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ რუსთველოლოგიაში“*, *„იაკობ შემოქმედელი“*, *„რუსთველოლოგიური გამოკვლევები I“* *„მეცნიერის ბედი საქართველოში“*.

* * *

ლიტერატურა, მცირე გამონაკლისის გარდა, მითითებული გვაქვს იმ გამოცემებით, რომლებიც სტატიის დაწერისა და პირველი პუბლიკაციისას გამოვიყენეთ. ციტატებში, სადაც მითითება არ არის, დაყოფა (ხაზგასმა) ჩვენია. ავტორები წიგნში დასახელებულია სამეცნიერო წოდებისა და ხარისხის მიუთითებლად.

ეს ნაშრომიც ძველ და ნათხოვარ კომპიუტერზე ძირითადად ჩემი აწყობილი და დაკაბადონებულია. ვინაიდან კომპიუტერული ტექნიკა ჯეროვნად არ ვიცი, მხოლოდ „ვორდში“ ვმუშაობ, წინა წიგნებში უამრავი შეცდომა გამეპარა. წიგნის ბეჭდვისას ტექსტის დაძვრის გამო უადგილო **ადგილას** დეფისები გაჩნდა და პირთა საძიებელში მითითებული გვერდები რამდენადმე გადაადგილდა. ალბათ, ამ წიგნშიაც იგივე გამეორდება, რაც ძალიან მაწუხებს.

უღრმეს მადლობას მოვახსენებ **გიორგი ქებურიას** ამ წიგნის ცალკეული ნაწილების ამობეჭდვაში დახმარებისთვის. ასევე დახმარება გაგვიწია **ნიკოლოზ დარჩიამ**.

კვლავაც უღრმეს მადლობას ვწირავ ამ და ჩემი წინა წიგნების უცვლელ და თავდადებულ რედაქტორ **მურმან თავდიშვილს**, რომელსაც ჩემი ავადმყოფობის გამო მხრებზე კიდევ მეტი საქმე დააწვა.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ვახტანგ მეექვსე
(1675–1737)

ქართლის მეფე და გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე ვახტანგ ლევანის ძე ბაგრატიონი, ანუ ვახტანგ მეექვსე, მრავალმხრივი და მრავალფეროვანი შემოქმედია, რომელმაც უდიდესი ამაგი დასდო ჩვენი ეროვნული სულიერი საგანძურის გამდიდრებას.

ვახტანგი დაიბადა 1675 წელს. მიუხედავად უაღრესი ძნელბედობის ჟამისა, მან მაინც კარგი, საფუძვლიანი განათლება მიიღო. საკმარისია ითქვას, მის მასწავლებელთა შორის იყო ჩვენი სასიქადულო დიდაქტიკოსი მწერალი და ლექსიკოგრაფი **სულხან-საბა ორბელიანი.**

ვახტანგი ადრიდანვე ჩაება სახელმწიფოებრივ საქმიანობაში და ერთგულად ედგა მხარში თავის სახელოვან ბიძას, ქართლის მეფე **გიორგი XI**-ს. 1703–1712 წლებში ქართლის გამგებელია. ეს არის ხანა, როცა სპარსეთის ყაენის მიერ ქართლის მეფეებად დამტკიცებული ჯერ გიორგი XI და შემდეგ ვახტანგის უფროსი ძმა **ქაიხოსრო** ირანში, სამხედრო სამსახურში, იმყოფებიან. გიორგი 1709 და ქაიხოსრო 1711 წწ. ავღანელების წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპნენ. ქაიხოსროს დაღუპვის შემდეგ მის ადგილას, ქართლის მეფედ დასამტკიცებლად, 1712 წლის ივლისის დამდეგს ვახტანგი ისპაჰანში ჩავიდა. ყაენმა მას გამაჰმადიანება მოსთხოვა. მან მტკიცე უარით უპასუხა. ამის გამო იგი 1714 წლის მარტში ქირმანს გადაასახლეს, სადაც ორ წელზე მეტი დაჰყო.

ვახტანგი ბევრს ეცადა, ქართლის სამეფო ტახტს ისე დაუფლებოდა, რჯული არ შეეცვალა. ამ მიზნით ევროპაში სულხან-საბა მიავლინა. ეს დიპლომატიური მისია უშედეგოდ დამთავრდა. ბოლოს, 1716 წლის 1 ივლისს, იძულებული გახდა, მაჰმადიანობა მიეღო. იმავე დღეს ჩაუტარდა წინადაცვეთა. იმხანად იქ იმყოფებოდა და ვახტანგს ესაუბრა პოლონელი მისიონერი **თადეუშ კრუსინსკი,** რომელსაც „მიმნდობი საუბრის შემდეგ“ ქართველმა მეფემ გაანდო, რომ ეს იყო უცხო

რელიგიის გარეგნული, ფორმალური აღიარება, სინამდვილეში იგი ქრისტიანული რწმენის ერთგული რჩება. მართლაც, ამ რწმენისთვის ვახტანგს არასდროს უღალატია.

1716 წელსვე ირანის მბრძანებელმა ვახტანგი ქართლის მეფედ დაამტკიცა, ამავე დროს, სპარსეთის ჯარების სარდლად დანიშნა და თავისთან დაიტოვა. სწავლულმა მეფემ სამშობლოში დაბრუნება მხოლოდ 1719 წელს მოახერხა. მაშინვე ისევ ქრისტიანად მოინათლა.

ვახტანგი კვლავ ენერგიულად შეუდგა ქვეყნის მართვა-გამგეობას, ქართლის სპარსელ და სხვა დამპყრობელთაგან გათავისუფლებას, მაგრამ შინაომებისა და უცხოელთა შემოსევებისაგან ისე დატრიალდა საქმე, იძულებული შეიქმნა, 1724 წელს სამშობლო დაეტოვებინა და დიდი ამალითურთ რუსეთში გადახვეწილიყო.

უცხოობაში მყოფ პატრიოტ მეფეს ცდა არ დაუკლია, რუსეთის დახმარებით თავისი ქვეყანა დაებრუნებინა, მაგრამ ყველაფერი ამაო გამოდგა. ბოლოს, დაღლილ-დაქანცული და სასომიხდილი ვახტანგი 1737 წელს ასტრახანში გარდაიცვალა, სადაც ის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში დაკრძალეს და დღემდე იქ განისვენებს.

ვახტანგი უაღრესად ფართო პროფილის მოღვაწეა. იგი თავიდანვე ეროვნული პოლიტიკის მედროშედ გამოვიდა და ქვეყნის სახელმწიფოებრივი ძლიერების, სამეურნეო-ეკონომიკური და კულტურული დონის ამაღლების მიზნით უამრავი უაღრესად საჭირო და სასარგებლო ღონისძიება გაატარა. წესრიგის აღსადგენად, ფეოდალური თვითნებობის ალაგმვისა და ცენტრალური ხელისუფლების განსამტკიცებლად შექმნა სამეფო გვარდია, – „სპა როქითა"; გადააყენა და თავისი მომხრეებით შეცვალა **ერეკლე პირველისა** და შემდეგ მისი ნახევარძმის, **იესეს**, მიერ აღზევებული პირები, დათრგუნა ურჩი ფეოდალები. **ვახუშტი ბაგრატიონის** სიტყვით, „დაამდაბლნა თათარნი და აღამაღლნა ქართველნი", „მოშალა ტყვის ყიდვა"; გააუქმა უცხოური, ყიზილბაშური წესები და აღადგინა ქართული ადათ-ჩვეულებანი; შემოიმტკიცა ეკლესია და აამაღლა ქრისტიანული რწმენა; ააშენა, შეაკეთა და შეამკო სასახლეები, ძველი, დანგრეული და გაძარცვული ტაძრები, ხუროთმოძღვრული ძეგლები; ეკლესია-მონასტრებს დაუბრუნა ჩამორთმეული მამულები; ქართლის გაპარტახებული სოფლებისა და დაცემული მეურნეობის განახლების მიზნით ჩაატარა ე.

წ. *მყრელობა*, – შეუქმნა შეღავათიანი პირობები და თავიანთ ადგილსამყოფელს დაუბრუნა კახეთსა და სხვა კუთხეებში გახიზნული გლეხობა; გაიყვანა გზები და სარწყავი არხები, ააგო ხიდები და ქარავანსლები; ხელს უწყობდა ვაჭრობის, შინამრეწველობისა და ხელოსნობის განვითარებას.

ვახტანგის თვალსაწიერი სწვდება კულტურისა და მეცნიერების სრულიად განსხვავებულ დარგებს. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მართლმსაჯულებას. სამართლის მოწესრიგებისა და ერთიანი სახელმძღვანელო პრინციპების შესამუშავებლად მისი თაოსნობით, ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით საკოდიფიკაციო კომისიის მიერ მანამდე არსებული ქართული, ბერძნულ-რომაული, სირიულ-არაბულ-სომხური კოდექსების მიხედვით შედგენილ იქნა ქართული სამართლის ორი დიდი ძეგლი, – „*დასტურლამალი*“ და „*სამართლის წიგნთა კრებული*“, ხოლო უშუალოდ ვახტანგმა შეიმუშავა „*სამართალი ბატონიშვილი ვახტანგისა*“. ეს კანონები გავრცელდა და დიდხანს მოქმედებდა მთელ საქართველოში. ამ საკანონმდებლო მოღვაწეობისათვის მას „*სჯულმდებელი*“ უწოდეს.

ვახტანგმა ეროვნული ისტორიოგრაფიის მოსაგვარებლად შექმნა „*სწავლულ კაცთა*“ კომისია, რომელმაც გააგრძელა „ქართლის ცხოვრება“ და დაწერა XIV–XVIII საუკუნეთა საქართველოს ისტორია; უზარმაზარი შრომა გასწია მწიგნობრობის ასაღორძინებლად. 1709 წელს დააარსა სტამბა, რომელიც ამიერკავკასიაში პირველი იყო და 1722 წლის ჩათვლით იარსება. აქ დაბეჭდა სასულიერო და საერო წიგნები: *დავითნი* (1709 წ. ორჯერ, 1711, 1712, 1716), *სამოციქულო (1709), კონდაკი (1710), ჟამნი (1710 წ. ორჯერ, 1717, 1722), ლოცვანი (1710, 1717), ბიბლია*, „*წინასწარმეტყველნი*“ და *სახარება* (1710–1711), გერმანეს „*სწავლა, თუ ვითარ მართებს მოძღვარსა: სწავლება მოწაფისა*“ (1711), *რუსთველი შოთა, ვეფხისტყაოსანი* (ვახტანგისავე კომენტარებით, 1712), *კურთხევანი* (1713), *კურთხევა ეკლესიისა* (1719–1720), *პარაკლიტონი* (1720), *ქმნულების ცოდნის წიგნი* (1721).

ვახტანგმა საქართველოში საფუძველი ჩაუყარა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მთელ რიგ დარგებს (ქიმია, ელემენტარული მათემატიკა, ასტრონომია, გეოგრაფია და ა. შ.).

შეადგინა ქიმიის სახელმძღვანელო, სადაც ქართულთან ერთად თავი მოუყარა სპარსულ, იტალიურ და რუსულ მასალებს, რომელთა უმეტესი ნაწილის უცხოური დედნები დაკარგულია. რეცეპტების უმრავლესობა პრაქტიკულადვე თავად ჰქონდა შემოწმებული და მათი აღწერილობა სწორედ თავისი ცდების შედეგების მიხედვით მოგვცა.

მნიშვნელოვანი სამუშაოები შეასრულა ელემენტარულ მათემატიკაში (არითმეტიკა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია); შეადგინა ორიგინალური არითმეტიკის სახელმძღვანელო, სადაც გამოიყენა როგორც ევროპული, ისე საქართველოს აღებმიცემობაში გავრცელებული გამოსათვლელი წესები; საფუძვლიანად გადაამუშავა რუსეთში გამოქვეყნებული გეომეტრიის სახელმძღვანელო, მასში მოყვანილი გეომეტრიული აგებები თვითონ შეასრულა (ზოგ შემთხვევაში გაასწორა დედნისეული შეცდომები); თარგმნა რუსულად დაბეჭდილი ტრიგონომეტრიის ევროპული სახელმძღვანელო.

ქართველი მკითხველის მაშინდელი ცოდნის დონის გათვალისწინებით ვახტანგის დაკვეთითა და მონაწილეობით გადმოღებულ იქნა მნიშვნელოვანი ასტრონომიული თხზულებები. ასეთია იოანე დე **საკრაბოსკოს** (XIII ს.) *„ტრაქტატი სფეროს შესახებ“*, რომელმაც ვახტანგის რედაქციის შემდეგ მიიღო სახელმძღვანელოს სახე: *„თარგმანი და გამოცხადებანი ცისა და ქვეყნისა და კარსკვლავისანი მოსწავლეთათვის მშვენიერი“*. ბოლოს მას ერთვის ვახტანგის მიერვე მაღალ დონეზე შესრულებული მზის საათის ნახაზი. ასევე გადმოკეთდა **ალი ყურშჩის** (XV ს.) *„ქმნულების ცოდნის წიგნი, ანუ სპარსული აიათი“*, რომელიც ასტრონომიის შესავალია და სწავლულმა მეფემ 1721 წელს ბეჭდურად გამოსცა. ასევე მივიღეთ **ულუღბეგის** (XV ს.) ასტრონომიული ცხრილების კრებული *„ზიჯი“*, **ნასირ ედ-დინ თუსელის** (XIII ს.) *„სტროლაბის სასწავლო წიგნი“*. ზუსტი ხელსაწყოების გამოჩენილ ოსტატს **აბდალ-აიმ** უმცროსს დაამზადებინა რამდენიმე ქართულწარწერიანი ასტროლაბი, რითაც საქართველოში საფუძველი ჩაეყარა სისტემატურ ასტრონომიულ დაკვირვებებს.

ვახტანგს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის გეოგრაფიული საკითხების შესწავლაში. თარგმნა სპარსული გეოგრაფიული სახელმძღვანელოები; მისი ინიციატივით შეგროვდა საქართველოში

მრავალრიცხოვანი ქვეყანათმცოდნეობითი მასალები; *„ქართლის ცხოვრების“* რედაქტირებისას მასში მრავლად შეიტანა გეოგრაფიული ხასიათის ცნობები და ა. შ. სწორედ ასტროლაბის მეშვეობით ქართლისა და ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ჩაატარა ტოპოგრაფიული აგეგმვები, რაც მერე საფუძვლად დაედო მისივე შეკვეთით დამზადებულ ვახუშტი ბატონიშვილის ატლასებს.

ვახტანგმა შეადგინა კალენდარულ-პასკალური სახელმძღვანელო და კომპაქტური კალენდარი, რომელსაც საქართველოში მრავალი წლის მანძილზე იყენებდნენ.

პოეტი ჯეროვნად აფასებდა მხატვრული სიტყვის ძალას. მოწოდებით მწერალი იყო, მაგრამ ფართო მწერლურ მუშაობას მოცლილობის ჟამს, უფრო ტყეობასა და ემიგრაციაში ყოფნისას ეწეოდა, როდესაც ჩამოშორებული იყო პოლიტიკურ საქმიანობას. მაშინ გატაცებით თარგმნიდა მსოფლიოს მხატვრულ ლიტერატურულ შედევრებს და ქმნიდა საკუთარ პოეტურ თხზულებებს. ამგვარ საქმეში აბამდა სხვებსაც. მისი დავალებით ითარგმნა *„ბარამ-გულანდამიანი“*, *„ბახთიარ-ნამე“*, ნაწილობრივ *„ქილილა და დამანა“*. მისი ნათარგმნი და ორიგინალური მხატვრულ-ლიტერატურული მემკვიდრეობა კი საკმაოდ დიდი და მრავალფეროვანია.

ძირითადი ადგილი მის შემოქმედებაში დიდაქტიკურ მოტივს უჭირავს. მან უზარმაზარი შრომა გასწია მსოფლიოში საყოველთაოდ განთქმული დიდაქტიკური იგავ-არაკთა კრებულის, *„ქილილა და დამანას“*, მშობლიურ ენაზე გადმოსაღებად . ადრიდანვე ყურადღება მიაქცია, რომ არსებობდა ამ ნაწარმოების ერთი ნაწილის, *„კუსა და მორიელის“* არაკამდე, შესრულებული **თეიმურაზ პირველის** მამის, **დავითის**, თარგმანი. ვახტანგმა ჯერ ვინმე სპარსელს და შემდეგ ასევე ჩვენთვის უცნობ სომეხს დაავალა, გაეგრძელებინათ დავითის დაწყებული სამუშაო. მათ დავალება შეასრულეს, მაგრამ ისე ვერა, დამკვეთს რომ მოსწონებოდა. ვახტანგს არც დავითის ტექსტი აკმაყოფილებდა. ამიტომ იყო, ქირმანში გადასახლებისას თვითონვე თავიდან ბოლომდე თარგმნა ეს ვეებერთელა თხზულება. იგი პირწმინდად და ზედმიწევნით გაჰყვა დედანს და შექმნა არა იმდენად მხატვრული, რამდენადაც ზუსტი პწკარედული თარგმანი. სრულყოფილი მხატვრული ტექსტის მისაღებად თავად მოუცლელმა

მეფე-პოეტმა თავისი თარგმანი სარედაქციოდ ჯერ **ონანა მდივანს**, მერე **სულხან-საბა ორბელიანს** გადასცა. ონანა მხოლოდ ნაწარმოების ნაწილს შეეხო, სულხან-საბამ კი მთელი ტექსტი ძირფესვიანად გადაამუშავა. ვახტანგს მოეწონა ქართველი მეიგავის ნაშრომი და მისი დასტურით ეს ტექსტი გავრცელდა.

ვახტანგმა გამოკრებით, ქართულ სინამდვილესთან შეფარდებით, თარგმნა XI საუკუნის სპარსელი მწერლის **ქეი-ქაუსის** მსოფლიოში განთქმული დიდაქტიკური თხზულება *„ყაბუს-ნამე“*, რომელსაც *„ამირ-ნასარიანი“* უწოდა. მან ის ჯერ დედნისეული ფორმით, პროზაულად, გადმოიღო, შემდეგ კი ეგ თავისი ნახელავი გალექსა. ამ ნაწარმოებში, გარდა ცალკეული ცხოვრებისეული დარიგებებისა, ჩამოყალიბებულია სწავლანი ხელმწიფისადმი სამსახურის, მდივანთა, ვეზირთა და სპასალართა მოვალეობისა და დანიშნულების, სტუმარმასპინძლობის, სიყვარულის, ქონების შეძენისა და მოხმარების, ანაბრის შენახვის, სიკეთისა და სხვათა შესახებ.

ვახტანგმა გალექსა **ერასტი თურქისტანიშვილის** მიერ რუსულიდან პროზაულად გადმოღებული ასევე მსოფლიოში გავრცელებული და პოპულარული დიდაქტიკურ-განმანათლებლური შინაარსის თხზულება *„აპოფთეგმატა“* და **„სიბრძნე მალაღობელი“** უწოდა. აქ გადმოცემულია **სოკრატეს, პლატონის, არისტოტელეს, ანტისთენეს, დიოგენეს, თალესის, ზენონის, არისტოფანეს, ანაქსაგორას, აღათოკლეს, ეპიკურესა** და სხვა ფილოსოფოსთა ბრძნული გამონათქვამები, ბერძენი და რომაელი მეფეებისა და მხედარმთავრების, სახელდობრ, **იულიანე** და **ავგუსტუს** კეისრების, **ციცერონის, ალექსანდრე მაკედონელისა** და სხვათა ცხოვრებიდან აღებული ჭკუის სასწავლი ეპიზოდები, მათი შეგონებანი და ბოლოს — ლაკედემონის სახელმწიფოს მკვიდრთა ასევე სიბრძნის შემცველი სიტყვები და სათავგადასავლო ეპიზოდები. მეფე-პოეტმა მარტო დედანი კი არ გალექსა, ამ ტექსტის შესაბამისი ორიგინალური შინაარსის მრავალი სტროფი შეთხზა და შიგადაშიგ ჩაურთო. „სიბრძნე მალაღობელი“ ვახტანგის ყველაზე ვრცელი პოეტური ნაწარმოებია, რომელიც სიდიდით საგრძნობლად აღემატება ყველა მის პოეტურ თხზულებას, ერთად აღებულს.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ვახტანგი თავისი დროის ფართო პროფილის უდიდესი ქართველი განმანათლებელია.

ვახტანგ მეექვსის პოეზია, როგორც ეს დამახასიათებელია შუა საუკუნეების მწერლობისათვის, თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია ღრმა სევდით, ამქვეყნიური ცხოვრების ამაოებისა და სოფლის გმობის იდეით. ამ თემაზეა დაწერილი მისი ვრცელი პოეტური თხზულება *„სალბუნად გულისა“*, *„ქილილა და დამანასა“* და *„კვინკლოსის“* ანდერძები, ლექსები: *„კაეშანი“*, *„რანი და მოვაკანი...“*, *„ვაი, სიკვდილო“* და *„ლექს-ამბავი“*; ამ სულისკვეთებით არის განმსჭვალული *„სატრფიალონი“*, ცალკეული სტროფები *„სიბრძნე მალაღობლის“*, *„ამირ-ნასარიანისა“*, სხვა ლექსებისა. ამ მოტივს პოეტის შემოქმედებაში ასაზრდოებდა ორი გარემოება: საქართველოს, კერძოდ, ქართლის, ძნელბედობით გამოწვეული ვახტანგის მძიმე ხვედრი, — თავისი ქვეყნის, სამეფოს, მამაპაპური კერის მიტოვება, ძალაუფლების დაკარგვა, ახლობლებთან დაშორება, მათი დაღუპვა, ზოგიერთი თავისიანისა და შინაურის ორგულობა და ღალატი, — ყველა საშინელება, რაც კი ირანში მის ტყვეობასა და რუსეთში ემიგრაციას მოჰყვა. მეორეა, ქრისტიანულ-თეოლოგიური მსოფლმხედველობა მიწიერი ცხოვრების ამაოების, წუთისოფლის გაუტანლობისა და ვერაგობის შესახებ.

ვახტანგის თითქმის ყველა პოეტური ქმნილება, ორიგინალურიცა და ნათარგმნიც, ღრმად მორწმუნე ქრისტიანის პოზიციებიდან არის დაწერილი. ზოგიერთი კი წმინდა რელიგიურ თემაზეა აგებული. ასეთია უპირველესად მისი ვრცელი ლირიკული თხზულება *„სატრფიალონი“*. აქ სიმბოლურ-ალეგორიულად წარმოდგენილია ღვთაების სიყვარული. ანალოგიური ხასიათისაა *„ვახტანგურსა“* და *„სალბუნად გულისაში“* გადმოცემული სატრფიალო განცდები. ამავე თვალსაზრისით განმარტავდა იგი *„ვეფხისტყაოსანს“* მასზე დართულ კომენტარებში. ქრისტიანულ ალეგორიას მიმართავს ლექსებში *„მუხრანულსა“* და *„ვახტანგურში“*. პირველი შეიცავს ქრისტესადმი მოწოდებას მეორედ მოსვლისა და განსჯის შესახებ, ხოლო მეორეში შექებულია ღმერთი, როგორც *„სატრფო“*.

ვახტანგის ზოგიერთი ლექსი პრაქტიკული დანიშნულებისაა და ამა თუ იმ რელიგიურ საქმეს ემსახურება. ასეთია *„თუ კი გინდა სულის*

კარგი...“, რომელიც ხალხს აცნობს ძველი აღთქმის წიგნებს, რაც ეხმარება მათ ბიბლიისადმი ინტერესის აღძრასა და შესწავლაში. *„ათცხრამეტური“* კი აღდგომის დღის ხელის გულზე გამოსაანგარიშებელი ნაწარმოებია და, თავის მხრივ, სხვა მოძრავი საეკლესიო დღესასწაულების გამოთვლის საშუალებასაც იძლევა. მასში მთვარის კალენდრის მიხედვით ჩამოთვლილი და იოლად დასამახსოვრებლად გარითმულია მთვარის მოქცევის თითოეული ციკლის გაზაფხულის ბუნიობის შემდეგი პირველი საესე მთვარის თვეები და რიცხვები, რომლთა მომდევნო კვირა დღე აღდგომაა.

ლექსები *„უწყვეტელი“* (*„ვაი, რა მწარედ იწოდა ნაწლევნი მარიამისა...“*) და *„ბოლოერთი“* (*„ნაცვლად ჩემთა სიკეთეთა...“*) ქრისტეს ჯვარცმის თემაზეა აგებული. პირველში პოეტმა დაძლია შუასაუკუნეების მწერლობის მიერ შემუშავებული სტერეოტიპული ხატი ღვთისმშობლისა და მაცხოვრის ჯვარცმასთან დაკავშირებით და მოგვცა ყველა დროში ყველასათვის გასაგები და ახლობელი ორიგინალური და ფაქიზი სახე შვილის ტანჯვით გაწამებული დედისა. მეორე ლექსში კი იმავე თემის დამუშავებით მოცემულია ასევე განზოგადებული სახე უმადურობისა, — სიკეთისათვის დასჯა, ჯვარზე გაკვრა, რომელიც არც ერთი დროისთვის უცხო არ არის.

ვახტანგი თავის ნათარგმნ თხზულებებში რაიმე ანტიქრისტიანულს არსად აჭაჭანებს. პირიქით, საწინააღმდეგოსა და საჩოთიროს ქრისტიანულით ცვლის. *„ყაბუს-ნამეს“* თარგმანში მან გამოტოვა დედანში არსებული თავი *„სიყვარულისათვის“*, სადაც ქალისადმი სიყვარული წარმოდგენილია ავადმყოფობად, ტანჯვად, რომელსაც კაცი უნდა ერიდოს. ამ თავის ნაცვლად ამავე სათაურით გადმოიღო მომდევნო თავი, რომელიც ეხება არა სიყვარულს, არამედ პრაქტიკულ საქმეს, — სქესობრივი კავშირის ზნეთსწავლას და დედანში ჰქვია *„ვნებათა დაკმაყოფილებისათვის“*. გალექსილ ვერსიაში (*„ამირ-ნასარიანში“*) მეფე-პოეტი გვერდს უვლის არა მარტო ამ თავში აღძრულ საკითხებს, არამედ, საერთოდ, სპარსულ ტექსტში მოცემულ მსჯელობას სიყვარულზე და სულ სხვა შინაარსს იძლევა. იგი ეყრდნობა და ქადაგებს ქრისტიანულ მოძღვრებას მოყვასის შესახებ და წყაროსაც პირდაპირ ასახელებს: *„ნახეთ, მოციქულთ წერილი სიყვარულს როგორ ზრახებსა!“* ან: *„მოციქულებსა მიხედეთ, სიყვარულს ვითა აქებსა!“*.

რელიგიური თემის დამუშავება, ღვთისადმი ღაღადისი, გარდა იმისა, რომ ღრმად მორწმუნე პოეტის სულიერ სიმშვიდეს იწვევდა, ამავე დროს, ხელს უწყობდა ხალხში ქრისტიანული იდეების პროპაგანდასა და რელიგიური რწმენის განმტკიცებას, რაც, თავის მხრივ, მოძალადე მაჰმადიანურ გარემოცვაში მყოფი საქართველოს სახელმწიფოებრივი გაერთიანება-გაძლიერებისა და ეროვნული თვითმყოფობის შენარჩუნების მძლავრი საშუალება იყო.

ვახტანგ მეექვსე ნოვატორი პოეტია. მისმა დაუცხრომელმა, მაძიებელმა ბუნებამ მწერლობაშიაც იჩინა თავი. მან არა მარტო იდეურ-თემატიკურად, მხატვრულ გამომსახველობითი თვალსაზრისითაც მნიშვნელოვნად წინ წაწია, განავითარა და გააღრმავა მშობლიური ლიტერატურა. როგორც პოეტსა და ხელმძღვანელ-ორგანიზატორს, უდიდესი დამსახურება მიუძღვის ქართული ლექსის განახლებაში, ახალი სალექსო ფორმების გამოვლენასა და დამკვიდრებაში. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი ლექსები: *„რანი და მოვაკანი“*, *„მუხრანული“*, *„ვახტანგური“*, *„უწყვეტელი“*, *„ბოლოერთი“*, *„ლექსამბავი“* და სხვა.

ვახტანგ მეექვსის პოეზიამ თვალსაჩინო გავლენა მოახდინა მომდევნო ხანის ქართულ მწერლობაზე[1].

---

[1] ვახტანგის მხატვრული შემოქმედება განხილული მაქვს წიგნებში: „ვახტანგ მეექვსის პოეტური შემკვიდრეობა“ (1986) და „ვახტანგ მეექვსის პოეტური სამყარო“ (1988).

სხვა დარგებში მოღვაწეობაზე იხ. უმთავრესი ლიტერატურა: ქართულ-სპარსული ცდანი, I, ლენინგრადი, საქართველოს სახ. განძ. კომისარიატის გამოცემა, 1926; ქ. შ ა რ ა შ ი ძ ე, პირველი სტამბა საქართველოში (1709-1722), თბ., საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1955; ღ. ც ხ ა კ ა ი ა, მათემატიკის ისტორია XVII საუკუნიდან XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე, თბ., „მეცნიერება“, 1965; ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, ვახტანგ მეექვსე, თბ., „ნაკადული“, 1966; გ. პ ა ი ჭ ა ძ ე, ვახტანგ მეექვსე, თბ., „მეცნიერება“, 1981; Р. Ч а г у н а в а, Вахтанг Багратиони и его труд по химии, თბ., „მეცნიერება“, 1984; რ. ჩ ა გ უ ნ ა ვ ა, ვახტანგ ბაგრატიონის საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო მოღვაწეობა (მათემატიკა), თბ., „მეცნიერება“, 1986; რ. ჩ ა გ უ ნ ა ვ ა, ვახტანგ ბაგრატიონის საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო მოღვაწეობა, თბ., „მეცნიერება“, 1990; მ. ქ ი ქ ო ძ ე, ვახტანგ VI-ის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა (პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული საქმიანობა), თბ., „მეცნიერება“, 1988; თ. ა ბ უ ლ ა ძ ე, ვახტანგ მეექვსის მთარგმნელობითი მოღვაწეობა, თბ., „მეცნიერება“, 1990; მ. პ ა პ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი, თბ., „მეცნიერება“, 1992; რაულ ჩ ა გ უ ნ ა ვ ა, ელიზა მ ა რ ქ ა რ ი შ ვ ი ლ ი, ვახტანგ მეექვსის წიგნი „ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნილისა,“ თბ., 2013 და სხვა.

პირველი ნაწილი

ტექსტები

[შეგონება]

პირველი რედაქცია

კაცმან უნდა თავის საქმე ყველა ღ(მრ)თითა მოივარგოს,
ამ სოფელსა კელი ჰყაროს, იქაც ბარგი დაიბარგოს,
მოყვარეთ და ამხანაგთა თავის რიგით რამე არგოს,
და სახელის ხე საჩრდილობლად წყლისა პირსა სამე დარგოს!

მეორე რედაქცია

რაც ა საქმე სავარგული, უნდა ღ(მრ)თითა მოივარგოს,
კელი ყაროს საწუთროსა, საუკუნოდ დაიბარგოს,
მოყვასთა და ამხანაგთა რიგიანად გამოარგოს,
და სახელისა საჩრდილობი წყაროზედა შემოარგოს!

[ღმრთის ძება]

ვაქებ ღმერთს, ყოვლის მოქმედსა, კეთილთა მიუხდომელსა,
ყოვლთა ნაყოფთა მორჩისა გამოღებისა მდომელსა,
მზრდელსა ყოველთა, ზღვა–ხმელთა მტკავლითა გამაზომელსა,
და ჩემის სიბერის ყვავილით ჩემსა ქურციკებრ მხდომელსა.

[ძმას]

დიაღ (ს)ნეული (შევი)ქენ და თუ ვერ გნახო ცოცხალმა,
ამაზე მამიგონე, ღ(მერ)თმან ხომ იცის, ე(რთხელ თუ) გნახავ,
მას უკან სიკვდილს აღარას ვინაღვლი.

აწ გიძღვნი ძმასა უხუცესს ვახტანგ მონურად მოსველი,
რომ იქნას შენდ(ა) გამწმენდლად ახალი, მერმე მოსველი.
ეს გნახ(ა)ვს, ვნატრი სიშორით, შემქნია თვალი მოსველი,
და კელ(ი)თ პყრობს მომიგონებდე, საფერიც ჰპოე მოსველი.

[შიო მღვიმელს]

ცოლვისაგან უხამური გევედრები, მამა შიო,
ბოროტითა ნაყროვანი შენთა ღვაწლთვის მამაშიო,
ვის არ გწადდა საზდო რამე, არ კაკალი მამაშიო,
და ფარვას ვითხოვ ეშმაკისას, ჭურო მადლთა მამაშიო!

[სულხან–საბა ორბელიანზედ]

1. რადგან დაშვრა ასრე საბა, ქება მმართებს აწყა მეცა,
შეუყრია მრავლად სიტყვა, რა ვიხილე, სიბრძნე მეცა;
სად ვნახევდი ასრე კრებით, ქვეყნად მევლო, გინდა მე ცა.
და საქმით სცანით, თუ ვისწავლი, ვით ვინაღვლი, კიდეც მეცა.

* * *

2. სიყრმითგან იყო მუდამად სიბრძნის სწავლისა მსახველი,
სამოცდაექვს წელს იკითხა, თქვა: ვერასი ვარ მმარხველი,
იარა ბევრი ქვეყანა, ბევრისაც იყო მნახველი,
და ორბელიანმა საბამან სახელითა ქნა სახელი.

[ყველის ქება]

ეს ლექსი ლათინურის ენით ფრანგმა მითხრა ყველის ქებად და ასე ვთქვი:

თოვლებრ სპეტაკი არღოსა, ღ(მრ)თისებრივ თვალებრ ბევრია,
მათუსალურად დღეგრძელი, მაგდანლებრ მტირლად მზერია,
გლახაკ ლაზარებრ სნეული, ესავებრ ფაჩვნიერია,
და ყველად ნუ აგდებ, თუ ეს სჭირს! – ლათინთა დაუწერია.

[რანი და მოვაკანი]

რანი და, მოვაკანი და, სახლი და, კარი, ბანი და...
გათავდა ყოვლი წერილი, ანი და ბანი, განი და...
ვიარე ბევრი ქვეყანა, სიგრძე და სივრცე, განი და...
ვერა ვპოვე რა მის მეტი, დავყარე ძმა და დანი და ...

ხორცსა მრავალი დავაკელ, სულს მიევეც იქი რჯანი და...
და ვაი–ვაჲ, მსაჯეს უბრალოდ, არ მომცეს მე აჯანი და!..

მუხრანული

სამკალი გაქვს, სამუშაო, ძალო
მოიმკე და შეიკრიბე, ძალო —!
მტერი რომ მზერს დასაწველად, ძალო,
რა მას დასცემ, მოისვენებ, ძალო,

თუ მოიმკი კეთილსა იქ, ძალო,
საუკუნოდ არ წახდების, ძალო,
მას შეები გულმესისხლედ, ძალო,
ორსავ სოფელს სახელს პოვებ, ძალო–!!

ვახტანგური

ორი მისი თვალი, — ორი ჯერანი, ბოლოს მზერელი,
კეკლუცობის ძალით კაცის მწყენელი, გულზე მწერელი,
ნახეთ, მოყვასნო, საყვარელი ჩემი, თვალის მკერელი,
იმას უცხოთ გავს ის ტურფა, დაუჯერელი;
არა, არა, ის არ არი, მე საყვარელს ვიცნობ მისი მზერელი!

[თუ კი გინდა სულის კარგი]

თუ კი გინდა სულის კარგი, წაიკითხე ესე წიგნი:
შესაქმე და იგ გამოსვლა, ლევიტელთა, რიცხვთა წიგნი,
მეორე სჯულ, ისო ნავე, მს(ა)ჯულ, რუთი , მეფე(თ) წიგნი,
ოთხი მეფეთ, ორი ნეშტთა, ოთხი ნემ(ე)ს, ეზრას წიგნი,
ტობით, იქდით, ესთერისა, იობის და ფს(ა)ლმუნ(თ) წიგნი.

[ათცხრამეტური]

ქ. ორ ოცდაორობს, ათ, ოცდათ, ათვრამეტ შუა მჯდარობსა,
შვიდ, ოცდაშვიდათ, ათხუთმეტ, ოთხ, ოცდაოთხად მხდარობსა,
ათორმეტ, ერთი, ოცდაერთ, ცხრა, ოცდაცხრობით მწვდარობსა,
და ათჩვიდმეტ, ხუთი, ოცდახუთ, ათს(ა)მეტ, არ დამცდარობსა.

[უწყვეტელი]

რა დავიბადე, სოფლით ვიბადე, ვაი, სიკვდილო, მწარე სიკვდილო!
მეგონა რამე, სოფლისა რა მე, ვაი, სიკვდილო, მწარე სიკვდილო!
მოვჰყევ სოფელსა, ავის მყოფელსა, ვაი, სიკვდილო, მწარე სიკვდილო!
განვცხერ, ვიშვებდი, ვერ ავიშვებდი, ვაი, სიკვდილო, მწარე სიკვდილო!
მატკბო, მაგემა არად სარგემა, ვაი, სიკვდილო, მწარე, სიკვდილო!
შენ ვერ გიცნობდი, თუცა მიხმობდი, ვაი, სიკვდილო, მწარე სიკვდილო!
მოხველ ანასდად, მტრად, და არ ჩემ დად, ვაი, სიკვდილო, მწარე სიკვდილო!
მომკვეთე მსწრაფლად, მიწას მეც ღაფლად, ვაი, სიკვდილო, მწარე სიკვდილო!
მოვშორდი ცოლსა, შვილს, თანამყოლსა, ვაი, სიკვდილო, მწარე სიკვდილო!
მოვშორდი ძმასა, გამყარე დასა, ვაი, სიკვდილო, მწარე სიკვდილო!
მეგობარს სულთა, საყვარელთ ტკბილთა, ვაი, სიკვდილო, მწარე სიკვდილო!
მომკალ! მომკვეთე სოფლის მოკეთე, ვაი, სიკვდილო, მწარე სიკვდილო!
სხვაგან გამგზავნე, დამხვდენ მუნ მაენე, ვაი, სიკვდილო, მწარე სიკვდილო!
რად ვენდევ სოფელს, ანასდით მყოფელს? ვაი, სიკვდილო, მწარე სიკვდილო!
მუნ გამიკითხეს, დამცეს, დამწიხნეს, ვაი, სიკვდილო, მწარე სიკვდილო!
თუ იქ იხარე, აქ კი იხარე, ვაი, სიკვდილო, მწარე სიკვდილო!
დამხვდენ მტარველნი, მწარედ მტანჯველნი, ვაი, სიკვდილო, მწარე სიკვდილო!
ულხენი მიმყვა, მითხრეს ეს სიტყვა, ვაი, სიკვდილო, მწარე სიკვდილო!

[ვაი, რა მწარედ იწვოდა ნაწლევნი მარიამისა]

1. შურით აღივსნენ უგბილნი, წესი ქმნეს მათის მამისა,
სიკვდილს ზრახვიდენ უწესოდ, თუ დრო დაიცენ ჟამისა,
უსჯულო მისი მოწაფე მიცემას ჰპირავს ამისა,
და ვაი, რა მწარედ იწოდა ნაწლევნი მარიამისა!

2. მტილში მიუძღვა კრებულთა საწუხი ყოვლის გვამისა,
მღვდელ-მოძღვრისასა მივიდენ გასატანჯველად ვა, მისა,
ბრალი ვერ პოვეს მის ზედა, კვლავ სცემდენ წამ-და წამისა,
და ვაი, რა მწარედ იწოდა ნაწლევნი მარიამისა!

ბოლოერთი

1. მე შევამკევ ცა, ქვეყანა, ზღვა, მთა, ველი, ნაყოფთ გვარი,
აბრამს უკმე საყვარელად, ძედ აღგითხვი თემთა მზღვარი,
განვამდიდრე, განვამრავლე, ზეცით მოვეც ნაყოფთ ცვარი,
და ნაცვლად ჩემთა სიკეთეთა აღმიმართეს საკვდად ჯვარი!

2. შევაძრწუნე მეგვიპტელნი, რისხვით მივეც დანამწვარი,
აღვაშფოთე სასწაულით, მიუვლინე მკალი, მყვარი,
განვიყვანე კელთა მათგან უჭირველად განაგვარი,
და ნაცვლად ჩემად სიკეთეთა აღმიმართეს საკვდად ჯვარი!

3. ღამე უძეღვ ნათლის სვეტით, დღე ღრუბლით ვჰყავ იგ მოარი,
ზღვა განუპე, განვიყვანე, მწყურვალთ მივეც კლდისგან ღვარი,
არ განუცვდათ სამოსელი, მანანით ვქმენ გამაძღარი,
და ნაცვლად ჩემთა წყალობათა აღმიმართეს საკვდად ჯვარი!

4. შევიყვანე აღთქმის თემსა, დაუმკვიდრე მთა და ბარი,
სულ აღვკოცე მტერნი მათნი და დავადევ მათი ზარი,
მეფენი და წინამთქმელნი მივეც მათი გამაზარი,
და ნაცვლად ჩემთა სიკეთეთა აღმიმართეს საკვდად ჯვარი!

5. კორცი ვისხენ ქალწულისგან, ვიქმენ მათი შენამყვარი,
ბრმათა თვალი აღუხილე, მკელობელი მათი ვარი,
სნეულთ მივეც განკურნება, აღვადგინე მათი მკვდარი,
და ნაცვლად ჩემთა წყალობათა აღმიმართეს საკვდად ჯვარი!

ლექს-ამბავი

საწუთროს ბაღი რა ქონდა, სცან, ალექსანდრეს, მეფეო,
იდგა ყვავილი მრავალი, სახელის სუნი, მეფეო,
მის ფშვას აღეესო ქვეყანა სხვადასხვა რიგთა, მეფეო,
შვება ვარდისა მრავალფრად გაშლილი შიგან, მეფეო,
სხვანი ლხინისა შროშანნი ჰგიან ფერადნი, მეფეო,
ზამბახის მსგავსად განელო სიუხვის პირი, მეფეო,
სიმდიდრის იასამანსა სუნით აღევსო, მეფეო,
ჯარ-მრავლობისა ყაყაჩო, ლალა, ხაშხაში, მეფეო,
მიხაკის სუნის ფერისებრ შინაყმა ბევრი, მეფეო,
მღვიძრობის თვალის ნარგიზის სიხშირე იყო, მეფეო,
სიფერადენი ზარდახშნის ინის ყვავილებრ, მეფეო,
სვე-სვიანობის სასახლე შიგ იდგა ცამდი, მეფეო,
დოვლათის შადრევანები მაღლა ისროდა, მეფეო,
თავ-მაღლობისა ალვანი ღრუბლამდი იდგნენ, მეფეო,
სიხარულისა არღავანს მრავლად ჰპოებდი, მეფეო,

მტერთ გულის ფერსა სუმბულსა, სიმრავლე ჰქონდა, მეფეო,
კარგთ გულ ფერისა შაბუნი იდგა მრავალი, მეფეო,
გოვარის თასთა ამბარ-ბუ შიგ გაშლილიყო, მეფეო,
ეს ასე შექნა სოფელმან, ახლა რომ ვიტყვი, მეფეო,
ანაზდად ცამან მოღრუბლა, ნეფსვრა, გამოჩნდა, მეფეო,
დააზრო, ზოგი გაახმო, დასცვივდა სრულად, მეფეო,
სახლთ წვიმა-სეტყვით მიეცა ნოტიო დიდი, მეფეო,
გრიგალმა ქარმა იქროლა, შემუსრა სრულად, მეფეო,
შადრევანები ნამსხვრევით აღივსო, დასქდა, მეფეო,
ალვა ძირითურთ აღმოფხვრა ქარის სიმძაფრემ, მეფეო,
ჩანს უნაყოფოს მინდორად აწ ახლა იგი, მეფეო,
სოფლის სიმუხთლე ასეა, რად ვინ სდევს, მიკვირს, მეფეო,
და აწ შენ ამისთვის რათ სწუხარ, უცხოთ მჩანს, ვახტანგ მეფეო!

ანბანთქება, უცხო და ახლადშემოღებული

1. ასრე არის აგებული, ამგებელსა აქ აქებდეს,
ამკობდესცა, ადიდებდეს, ამისთვისვე აქა ქებდეს,
ამზრენელსა, აღმშფოთველსა ანაცრებდეს, აქა ქებდეს.
და არმურისკენ ამწვეველსა ალმასს აფთსა აქაქებდეს.

2. ბრწყინვალედ ბარუქ ბრძანებდა ბადვისთვის ბრძნულის ბაგითა,
ბრმათ ბრწყინვალება ბევრობდეს ბეთლემურისა ბაგითა,
ბიწოვნებასა ბანევდეს ბერთ ბიჭთა ბრძნულად ბაგითა,
და ბორგნილნი ბილწნი ბაალნი ბორგევდენ ბუგა ბაგითა.

3. გწერს გეღეონ, გულღრუტთაგან განიქიქა, განებასრა,
გვლარძნილთ გუნდთა გული გლუნი გაეფიცხა, განებასრა,
გვიკამს, გმონოთ განკიცხულსა, გაეწყობის გან ებას რა,
და გარდიკარგნენ გვარნი გივნი, გააღიდე განებ ას რა.

4. დიდმა დიდებამ დიდისამ დიდებულები დარია,
დაბნელდენ, დაბრმდენ, დაცვივდენ და დაუბნელდათ დარია,
დაკეფამ, დაჭრამ, დაპობამ დიადობანი დარია,
და დიდებულისა დედისთვის დაიჭრა დედა დარია.

5. ესრეთ ექმნათ, ებრაელი ეუბნების ესაია,
ევმანოელს ერი ესე ესადავა, ესაია;
ეკიცხოდა ეროდია, ეჯობ ესხა ესა ია,
და ეკმაროდა ეგვიპტედა, ენარწყვიან ეს აი ა.

6. ვისთვისა ვლექსობ, ვით ვღირსვარ, ვით ვამბობ, ვინა ვარ დია!
ვიწროს ვრცლად ვლასა ვინ ვბედავ, ვახტანგ ვით ვკონო ვარდია:
ვერა ვასრულო, ვით ვეჯობ, ვალსა ვაბშურსა ვარდია.
და ვინ ვაძო, ვისა ვბაძევდე, ვინ ვისთვის ვითა ვად ია!

7. ზრზოლასა ზარსა ზიზინზე ზღაპრობაებით ზეზითა,
ზეიმით, ზარით, ზოგზოგნო, ზარობდეთ, ზრზოდეთ ზეზითა,
ზორვიდეთ ზირაქისაებრ ზეციერებსა ზე ზითა,
და ზელფასათვისთა ზარქაშსა ზომდენ ზონარსა ზეზითა.

8. ცლენნი, ცლამიტელნი ცნათესავა ცესავის,
ცბგუნნო ცშმაკისანო, ცვლტით ცდემსა ცს ავის,
ცმამნენ, ცძმნენ, ცშვილნენ, ცგვარებიან ცსა ვის?
და ცმცირებოდა ც, პირმშო ცებირებიან ცსავ ის.

9. თაბორზედა თოლისებრი თავადია თავად თვითო,
თუ თხრობასა თხრობულობდეთ, თქვით თაყვანი თვითო-თვითო;
თხოვეთ თმობა თბურის თქმისა თებერვალით თიბათვითო,
და თანის-თანას თხოვნისათვის თხრობილიცა თქმულა თვითო.

10. იწყლა იესო ისრაილ, ინაფირებდა, იქოსა;
იხარებდიან, იშვიან, იმით იტყვიან „იქოსა“;
იზმდიან, იკმოვნობდიან, იმღერებდიან „იქოსა“.
და იგი იმითი იდიდოს, იპატიოსნოს, იქოსა!

11. კაცი კვალსა კომსისასა კიცვად კადრებ, კარაულო,
კართ კრებულნი კადნიერი კრთომით კვალად, კარაულო,
კოცნა კადრე კატაბანათ, კარიოტელ, კარაულო,
და კონა კლერტთა კანაფთაგან კალთაურად, კარაულო.

12. ლოგინებრივ ლარკანშია ლაზარეა ლილებრ ლულად,
ლოყა ლურჯი ლაჟვარდისებრ ლამაზობდენ ლმობით, ლულად,

ლხინისაგან ლოდაკითა ლია ლამავს ლულა-ლულად,
და ლექსობამა ლექსი ლია, ლაპლაპობსღა ლამის ლულად.

12. მოკლა მაღალი მეუფე, მიკვირს, მოკვდავმან მონამა,
მშობელმან მისმან მასზედა მტირალმან მიწა მონამა,
მითქვამს მართალი, მიჯერეთ, მაშ, მეც მივსწერო, მონამა:
და მუნ მომცეს მკვიდრი მამული მე მუდამ მისმან მგონამა!

13. ნებთა ნაკრავთა, ნალურსმთა ნაწვეთნი ნიჟვენ ნაგებით,
ნახეთ, ნეტარი, ნათელი, ნაშენო ნებსით, ნაგებით.
ნათამამებნო, ნაგვემსა ნუ ნერწყვავთ ნატა-ნაგებით,
და ნურც ნებას ნახავთ ნობათად, ნაზორნო, ნაჭეთ ნაგებით!

15. ოდეს ოხრასა ოხჭანზე ოხრიდენ ოხა ოხითა,
ოსანაებსა ორობდენ ორღანოებით ოხითა,
ორესტოს ონისიმესთან ონოფრეც ორობს ოხითა.
და ოხრება ოცი, ორმოცი, ოთსმოცი ოხრად ოხრითა. "

16. პასუხი პატიოსანი, პირო, პოეცა პარითა,
პირმშოსა პირველისასა პყრობას პირობდენ პარითა,
პატიოსნისა პარაკთა პრწყინვალებანი პარითა.
და პალამნი პავასაკითა პარპანჯობდიან პარითა.

17. ჟღვლიმოს ჟღლეტამა, ჟიჟინმა ჟროლამან ჟამი ჟირადო,
ჟეჟა, ჟღუტუნი, ჟღივილი ჟონევდეს ჟირში ჟირადო,
ჟანგმან ჟამისამ ჟიჟინი, ჟარო ჟოლაებრ ჟირადო,
და ჟალელთელთათვის ჟინჟღილად ჟოლისა ჟვერი ჟინადო.

18. რადგან როტევდა როსკიპი, რეგვნობას რწყვიდა რულადა,
რეტოვანთ როკვით როგორი რეცა როდიამ რულადა,
რამეთუ რისთვის როხევდა, რობდეს რადღამცა რულადა;
და რკინევდა რისთვის რიოში რობუამთანა რგულადა!

19. სცთებით, სოფლისა საშვებლად სვამთ საკრავითა სამებით,
საუკუნოსა საქებსა სიტყვასა სულსა სამებით,
სერაბინთაებრ სწირევდეთ საქებსა საქმეს სამებით,
და სიმაღლე სთხოვეთ სიმდაბლით სიღრმესა სულით სამებით.

20. ტანჯვიდენ ტაძრეულები, ტომი ტომზედა ტანებით,
ტყველვიდენ ტაშსა ტაშითა, ტერფებსა ტატსა ტანებით,
ტიროდა ტკბილი ტევანი, ტომისთვის ტკრცოდა ტანებით,
და ტანჯულმან ტანჯოს ტეტერნი ტარტაროზებში ტარებით.

21. უწინდელები უფალი უფალმან უფსკრულს ურია,
ურჩეულესად უყვარდა, უდაბნოს უძღვა, ურია;
უმაღლეს უფლებათასა უგმერდენ უღმრთო ურია,
და უპატიურნი, უსწავლნი, უგვანნი, უსუსურია.

22. ფრიადობდიან ფუტკარებრ ფერად ფინთისა ფარებით,
ფაფარუჭობდენ, ფრთხილობდენ ფაკელებისა ფარებით,
ფიცხელობდიან ფლობილნი ფასაღანოსა ფარებით,
და ფიცხელნო, ფილასოფურად ფონებსა ფონავთ ფარებით.

23. ქერაბინთაგან ქებული ქრისტე ქმნულებამ ქორითა,
ქარნი, ქვეყანა, ქვემთრევნი, ქმნა ქურციკები ქორითა,
ქებულთ, ქადაგთ ქვა: ქმენითო, ქაბარწოვანი ქორითა,
და ქორებს ქმნულისა ქებისა ქორს ქება ქადაგო რითა.

24. ღვარბასობითა ღმერთისა ღლიანი ღრმათა ღებულა,
ღმრთაების ღირსსა ღვარულად ღუდღუდი ღაწვი ღებულა,
ღადღადებითა, ღრიალით ღვედი ღვედკეცი ღებულა,
და ღონობა, ღონეა ღავღავით ღრუბელი ღაღადებულა.

25. ყურთ ყოფადთა ყაყანისა, ყრიალისა ყეფა, ყოფა,
ყადავახად ყოველად ყოფილს ყავთ ყობულში ყოფილთ ყოფა,
ყმებრივ ყიფნო, ყოველთაევე ყრისაცავე ყავით ყოფა,
და ყოფილისა ყივილისა ყონ ყოველთა ყოველად ყოფა.

26. შეთნო, შემცდარნო, შეშლილნო, შლუებნო, შმაგო, შენაო,
შემოქმედისა შენისა შებმა შეჰქენით, შენაო,
შავის შლამისგან შეგაგბო, შეგამკო შექნით შენაო,
და შარასა შესცთი შურითა, შავმცა არს შენი შვენაო.

27. ჩვენი ჩვევა ჩავარდნისა ჩვენსა ჩვილსაც ჩაეხსენა,
ჩაჩვეოდენ ჩაგმობასა, ჩაეტკბილა, ჩაეხსენა,
ჩამოვიდა ჩვენთვის, ჩვენო, ჩვეულებას ჩაეხსენა,
და ჩხუბიანთა, ჩასაქვავთა ჩაეშურათ, ჩაეხსენა.

28. ცნობა ცხოვლისა ცხადობით ცნას ცქაფმან, ცრუმან, ცანითა,
ცხებულისათვის ცემანი, ცხარობაები ცანითა,
ცრცვის ცრუობისათვის ცხადობით, ცეცხლიმცა ცვარობს ცანითა,
და ცბიერობაცა, ცანცალი, ცოდვა, ცაქცაქი ცარითა.

29. ძარცვეთ, ძრახეთ, ძმად ძრახულნო, ძლიერებით ძველნო, ძირად,
ძესა ძველსა ძეგლისაგან ძვიდით, ძაგდით ძირად-ძირად,
ძენი ძაგნი ძღვენსა ძღვნიდენ ძნეულებად ძირაკს ძირად,
და ძრახულნებო, ძაღლებრ ძვინად ძღარბებრ ძილად, ძუნწად, ძვირად.

30. წყლეს წმინდა წბილთა, წყეულთა, წარმართულისა წამებით,
წარბ-წამწამითა, წვერითა, წელითა წათდენ წამებით,
წელიწდეული წულები წარწყმედულთ წყევლას წამებით,
და წარსქდა წყარონი წყლისანი წანწკარით წინ წამწამებით.

31. ჭამოთ ჭირისთვის ჭმუნვანი, ჭრიჭინაებრივ ჭაჭანი,
ჭრის ჭუილებსა ჭამანი, ჭეშმარიტისა ჭაჭანი,
ჭეშმარიტისა ჭვრეტითა ჭყრტიალებს, ჭრტინავს ჭაჭანი,
და ჭაკს ჭაბუკურად ჭურვილთა ჭირან ჭიმანი, ჭმაჭანი.

32. ხან ხორცო, ხელო ხვებულო, ხან ხმელო ხოლმე ხანითა,
ხშირად ხიშერთა ხებულო, ხან ხმიანობცა ხანითა,
ხადუმთ, ხოჯათა ხროშია ხარხარებ, ხარბო, ხანითა,
და ხან ხბორებთანაც ხადილობ, ხმობ ხარით ხნული ხანითა.

33. კარის კმელისა კშირ კმევით კაკანი კორცი კაკულა,
კაშები კშირად კელდაკელ კოკბისა კარშოც კაკულა,
კენეშა კამს, კოკობთ კმეულნო, კატი კდებიან კაკულა,
და კდალთა კოკვითა კმოვნობით კალიჩის კაო კაკულა.

34. ჯარში, ჯაბანო, ჯდომასა ჯერჩინება-ყავ ჯერითა,
ჯაგლაგს ჯღანითა ჯავრითა, ჯომარდო, ჯოჯოს ჯერითა,

ჯადვარ, ჯავზ ჯორით, ჯანასლან ჯამასპედ ჯავრობს ჯერითა.
და ჯავახეთს ჯარჩი ჯახველის ჯალჯი ჯურუმათ ჯერითა.

35. ჰავნი ჰასპიტებრ ჰარულნი ჰავში ჰატარონ, ჰარონა,
ჰაღიარებდა ჰარსებას, ჰამბობენ ჰასე ჰარონა,
ჰამასაებრად ჰაღმული ჰაღძრისთვის ჰაბა ჰარონა,
და ჰამონ ჰავიდა ჰაეთ ჰაღძრეა ჰაღეტოლების ჰამონა.

36. მეს სხვა სიტყვა არა აქვს, თუ არ ჰაი და მაები,
მი, შენ ცოდვის მიმყოლო, სულო, სანამდის მ ები?
მი, კაცთ საქმის არქმნულსა, ხარებრ გიძახონ „მები“.
და მი, რასა იქ ბოროტსა, მაშიგვ მოიპო მები.

* * *

37. ჯუფთ არს არა ვის, ვთქვა არავის, თუ ვინ აწ ბრძანებს, ვეჭვ, არს შემდგომი,
ვმონე ქრისტესა, მას ჩემსა მწესა, უნდო, არ კეთილთ ფრიად შემდგომი,
ამის ლექსვაში ვიყავ მწვე ვაში, ნუ ეჭვთ მყოლოდეს შემწე, შემდგომი,
და ბრძენთ დავაბრალო, უცებთ ვერ ემრავლო, რომ ხარ რიტორთა გზაზე შემდგომი.

ანბანთქება-2

(ეს ერთი ლექსი არის ყოველს სიტყვას თავბოლოს ანბანი უზის)

არა ბძანებ გიორგ დედად, ესე ვიყავ ზეზ ცეთერცად,
თმით იკარი, კუკ, ლალ, მომცემ, ნებვენ ოსო პროკოპ ჟვერად,
როგორ საამს ტახტ უკეთუ, ფეფ, ქექ, ღორღ, ყუყ, შიშ ჩამჩქერად,
ციეიც , ძეძ, წეწ, ჭმუჭ, ხეხ, კოკ, ჯორჯ ჰაიმისპ მერად.

ანბანთქება-3

აჰა, ბრძენთ გესმასთ და ესე ვინა ხართ, ზოგთ ცე, თქმულია,
იმ კარგის ლუკას მორჩილი ნუმც ორ პირ ჟრჟოლა რთულია,
სიკვდილით ტანჯვად უფლისთვის ფრიად ქმნეს ღირსთ ყრმათ შთულია,
და ჩანს ცოდვილთ ძნიად წრწოლა ჭირს ხელ კუნდ ჯვრით ჰა მრგულია.

[ქართული ანბანი]

ცუდად ვიყავ და მომაგონდა მთელი ანბანია, „სიავეს“ გარდა:

ძოწ ტურფიდთ ხშჩმ გჯკებნ ჭცღლდს ჟამზეც კი სჭყვპ სიავესა.

[წალმა–უკულმა საკითხავი ლექსი]

იმატა ასვათ ასეთი, ითესა თავსა ატამი.

აბანა ერსა მოშიშთა: ათშიშომ ასრე ანაბა,
აბანა დარად იდება: აბედი დარად ანაბა.
აბანა იშიშ რამეთუ: უთემარ შიში ანაბა.
აბანა არად აზედა: ადეზა დარა ანაბა.

[შვიდთა მთიებთა ბუნება]

1. ყამარ, — მთვარევ, შეიბრალე მოგზაური, წილნი შენი,
ოტერიდს და ერმის გვედრებ, ვის შეჰქნია წერის სენი,
ზოჰარი და აფროდიტე მკურნალ იქმნენ, ჭირთა მლხენი,
და შამს და მზეო, გაუმრავლე მეფეთ დღეთა სიცოცხლენი!

2. ეჰა, მარიხო, — არიავ, მიეც მხედართა ძლევანი,
მუშთარ და დიამ ნუმც უყოს ვეზირთ სიტყვისა ლევანი,
ზუალმან კრონოს მიხედოს, ვის აქვს კვნა, მიწათ კვლევანი!
და მე არც ერთის ვარ მოწილე, რად ვლექსობ, რად მაქვს რევანი?!

3. ვთქვა შვიდ მთიებთა ბუნება არაბთ და ქართველთ ენითა:
მზეს შამს უწოდენ არაბნი, მეფეთზედ არს მოქენითა.
მთვარე მოგზაურთ მფლობელი, ყამარ თქვეს მისვე სენითა,
და ასპიროზ–აფროდიტემან მკურნალთ სცეს ლხენა სენითა!

4. ოტერიდო, ერმით თქმულო, მწერალთ მიეც წერის ლხენა,
არიაი მარიხს ქვიან, მკედრის მფლობით ნურც არს სენა,
დიავ, მუშთარ ხსენებულო, მრჩეველთ მიეც სიტყვა, სმენა,

და ზუალ, კრონოს, მუშთარ-ზურგო, მიეც წვიმა, წყლისა დენა!

5. ვაქო მომგონი საქები, ჩემთვინ მოწყალედ თქმულია,
მამცემი ლხინთა დიდ-დიდთა, ვარ მისთვინ სულწასულია,
მაგრამ გარჯილო სოფლისგან, თაო, ხარ დადაგულია,
და ღამე უძილო, დღე მშრომი, ძრასვისგან გაბასრულია.

[ჯოხზე დაწერილი]

1. ქ. ერთპირობა ყოვლის ვისმე ამას მგვანობს, ამას დარობს:
ამის ტოლი რომ მივაკრათ, ოთხი, ხუთი ანუ ჯარობს, –
ვერვინ გასტეხს მწვე ადვილად, მოზიდვითა თუ ვინ კმარობს,
და ერთი, დიაღ, მალ გატყდება, ცოტა ძალი მალ ეკმაროს.

2. ქ. ამ ჯოხს ძალუც თვალში იკრას, წაითხაროს, წაიმწაროს,
ესეც ძალუც, დაიბჯინო, მოგისვენოს, მოგეხმაროს;
სწერო ზედა საღ(მრ)თო სიტყვა და საერო, რომ გეკმაროს,
და ყველა კაცთვის სახმრად იქნა, თუ კარგისთვის არ იზაროს.

3. ქ. მართალ არს ერთი პირობა, ბევრთ სუსტისა მძლედ მაგრობსა,
ვით ეს ფიცარი ერთ სესტი, თუ სხვაცა თანა მყარობსა.
უსაქმობასვე საქმე სჯობს, თუ ვინმე ცუდად მჯდარობსა,
და ნუთუ რას ველით ხან წავლით, ნუ ვინმე შემუდარობსა.

[ვაი, სამნეო]

ვ(აი), ს(ა)მნეო, ს(ა)მნეო, ასე რად გამის(ა)მნეო:
არ მომცა, გული დამიწვა და დარჩა გაუსამნეო.
უთხარ: ამგვარსა საქმეზე ნეტარ თუ რა მაწამნეო?
მსახურთა მისთა უბძანა: ნუ აწყენთ, ცოტა ამნეო!
ის დარჩა, მე კი წამოველ, სხვა ვერა შევიწამნეო,
დავჯექ და ღ(მერ)თსა ვეხვეწე, ეს საქმე დამიამნეო.
და ვახტანგ, ამგვარსა საქმესა კვლავ ნუღარა იქ სამნეო!

„კინკლოსის“ ანდერძი

ოდეს გარდავემატე ცოდვითა ტომსა მას ჩემსა მანასეს, ამისთვის, მსგავსად მისა, მივეცი მეცა ხელთა უცხო თესლთასა. ქრისტეს აქათ

ჩხიბ (1712), აპ(რილის) **კბ** (24) წამოველ ტფილისით იელის(ს) **დ** (4). მიველ ისპაანს და აწ ვიმყოფები აქა. დაღაცათუ პატივცემულ ვარ, არამედ მწირ ვარ. წესია ჩემებრთა მწირთა თავის-წინობა და ხალვა. ვინათგან ესე ესრეთ არს. უქმად ყოფას ეუფლების მოწყინება, და ვინათგან მოწყინება დედა არს ყოვლისა ცოდვისა, ნუ(უ)კვე შეუსძინო ცოდვა ცოდვასა ზედა, აღვიღე ხელსაქმარად წინამდებარე ესე. უკეთუმცა არს ქართლსა შინა **კინკლოსნი, ხელთა და ქორონიკონი** მიზეზითა მრავალნი ვერა სცნობენ და არცა იცნობება რაოდენი ამაშინა წერილ არს. დაღაცათუ სხვანიცა იშოებოდა საქმენი, უქმობისა წამლად იტყვის მოციქული: „შეეწეოდეთ ურთიერთსა". თუცა ხმისა მის მსმენელი ჩემთვის თემთა და ძმათა ჩემთაგანი არავინ არს და განგდებულ ვიქენ, ვითარცა მკვდარი, მოძაგებული მათგან. ხოლო მე არავე დამაშვრალი ვარ შეწევნას მათსა, რაოდენი რა ძალმიც. ხოლო ხელსაქმარი ჩემნი ამათგან ვერა როპელი ესრეთ შეეწევიან, ვითარ ესე. და ამად დავშვერ და აღვსწერე და გამოვიღე თვით თავით ჩემით მე, მეფემან ვახტანგ. ვინც გამოიყენოთ რასმე შენდობასა ყოფდეთ ჩემთვის. ქ(რისტე)ს აქათ **ჩლგი** (1713). ჩემდაცა ჯერ იყო აღწერა, ნუ(უ)კვე რისხვასა შინა არა მოიხსენოს წყალობა, ასე მომიხდეს საქმე, სამღდელოთაგანი აღარავინ მყვანდეს.

1. მიწა ვართ კაცი ყოველი, მიწისგან დანაბადია,
სახელოვნება კაცისა კვამლია განბნევადია,
ბოლო ყოველთა – ნაცარი, ვინც ვისმე მწეთა ბადია;
და მაშ, რაღას ვსწუხვარ, თუ ცოდვა შემქნოდეს განახადია?!

2. საწუთოა საცთურითა, ვარ საქმისა უნაწილო,
მოყვარეთა ცრემლი სცვივა, მტერთა გავხე სასაცილო,
ჭაში ვზივარ, უსაბლოსა არავინ მყავ ამაცილო,
და თუ ღმერთსა სწადს, ადრე იქნას, რომ, სოფელო, გაგაწბილო!

3. რაღა დარჩათ სევდის წამლად, რომ რამ მეთქვა სულიერი,
ზღაპრობას შლის ესაია, მცნება არას ზეციერი,
თუცა იყო თემსა ჩვენსა კინკლოსები წესიერი,
და ეს მათშიგან ვახტანგ შევრთე სახსოვარი ჩემ(მ)იერი.

4. ქება მესმა ბევრთ კაცთაგან აქაური მრავალფერი,
ტკბილია და მოალერსე მუნებური ყრმა და ბერი,

ვინც მიენდოს, არ უტყუონ, პატივი სცენ შესაფერი,
და რა მართლა თქვეს, მატიანეს მითთანმც არი დასაწერი.

[ხოსროს ფიცი]

[.....]
ამ მხეველთ და მონათ შიგან, ვინნა ვისთვის ესრეთ გიცი,
გულსა შიგან ტრფიალება გქ(ო)ნდესაო ვისცა ვისცი,
და მე შეგყარნე ორნივ ერთად, დამიცაო ესე ფიცი.[1]

სიკვდილი ჯიმშედის ცოლისა

მზე და მთვარე სიტურფისა ვისი იყო ბაძის მქნელი,
ბალთა შიგან მისთა მჭვრეტთა ვარდი ქონდა გასაქნელი,
მუშკსა სადღა ახსენებდა მისი შუბლთა გამომქნელი,
(და) ბოლოდ დაჭკნა ეს ყვავილი, მოუვიდა ის საქნელი.

[ნუშრევანი]

ქ. ნუშრევანს სჭირდა სამუდმოდ დარში სამართლის მკობანი,
წვიმაში – ძილი, ქარში – სმა, ღრუბელში – ნადირობანი.

კაეშანი

პ ი რ ვ ე ლ ი რ ე დ ა ქ ც ი ა

1. დამიმონა კაეშანმა, სევდა მომხვდა მისთვის წამლად,
ნაღველს ვკმარობ მუდამ მელნად, გულსა ვაწებ მისად კალმად,
ლხინსა ჭირად, ჩანგ-ბარბითსა დაუყონლად ცრემლთა ლამად,
და კიდევ ველი, გამომიჩნდეს იგ მკურნალი ჩემად მალმად.

---

[1] დედანი – „ხოსროვ-შირინიანის“ პროზაული ტექსტი: ... ზარხოშობა რომ შეიქნა, ხოსრომ ბრძანა: „ვინც რომ მალვით აშიკი იყოს, გამჟღავნოს (!) და ღმთის სახელი დაიფიცა, მას უკან შირინის მზეც დაიფიცა, – რომ, ვინც მართალი თქვას, არ მეწყინოს, კიდეც გაეარიგო მისი საქმე...“

2. სწავლა გავს წყალსა წმიდასა, რუდ რასმე მომდინარესა,
კეთილსა მიწას, თუ სულსა, მისცე იგ დროზე არესა,
აღმოაცენებს ნაყოფსა ასწილად შესაწყნარესა,
და მაგრამ, თუ ქვიშას მორწყვიდე, გაიდენს, გაატარებსა.

3. ჩვენი სიცოცხლე მწვედა ჰგავს რუსთა წალკოტის წესებსა:
რა გამოჩნდება ნაყოფი, ჭია სჭამს ბევრ ათასებსა.
სისრულეშია, სიცივე დაჟრის და დააკვნესებსა.
და სიმწიფეშია, ყინული ფოლადებრ დააკვესებსა.

4. რა მიყო, ხედავთ, სოფელმა ცრუმან და ანასდეულმა!
აწ გაათავე, დასწყნარდი, სიჩქარით ანასდეულმა,
შენი სიგლისპე, სიმკვახე აწყნარე ანასდეულმა,
და კვლავე კეთილი მოიღე სიავის ა ნას დეულმა!

5. თუ შენ სჩქარობ, მე კი ვსწყნარობ, მოგითმენ და მოგიჭირებ,
რახანც რასმე შენ მოიყვან, არც ერთს არას გავიკვირვებ;
იმას უფრო დაგიმადლებ, რასაც ჩემთვის დაიძვირებ,
და სხვა ადგილი, სხვა მომკმარე მყავს და იმას მივაშურებ.

6. ყმაწვილს ატყუებ უცებსა, ყმას ამაყობით დარევ და,
შუაკაცს დაუცდელობით კელსა სიჯაბნით დარევ და,
მაგრამ ბერიკაცს რაღა სჯის, ისიც იმასვე დარევდა!
და შენ გასცვდე, ჩვენ კი ქვე დავრჩეთ, იქ თუცა ჩვენთვის დარევდა.

7. ვაი, რა ცუდად ვაშრომებ ჩემსა დღეთა და ჟამსაო,
რუსთ ზაფხულისებრ მალ გავვლით ამა სოფლისა წამსაო,
არცა რა მიმდევს, არც მრჩების, ვით როგორ ჩემთვის კამსაო,
და უნაყოფოსა ვემსგავსე ხისა რასამე გვამსაო!

8. რად ზრუნავ, კაცო ცხოველო, ხედავ დროთ მიწყივ ქცევასა,
ბორბლის მუდამად ბრუნვასა, სხვადასხვა რიგად ზევასა,
ეგებ მობრუნდეს შენთვის ცა, მორჩე ჟამისა რევასა,
და მზე თუ მზერს მუშთარს ხუთ კუთხით, შენ მოგცემს მტერზე ძლევასა!

9. წყალმან არა ქნას სისველე, ვინღა უწოდოს წყალია?
ცეცხლმან არ დაწვას რაც ნივთი, ვით გამოჩნდება ალია?

აგრეც სოფელმან – ცქაფობა, მითხარ, რას მოეკრძალია?
და თვის თვისა საქმეს ბუნებით შვრებიან დაუმალია.

10. სიბრძნით აღაგო ყოველი, საქმითა განასრულითა,
წესიერებით შეამკო საზომი განა სრულითა,
უსხეულონი მსახურად, ზოგნი ყო განასრულითა,
და არვინ დააგდო წყალობის კარითა განასრულითა.

მეორე რედაქცია

1. დავემონე კაეშანსა, სევდა მომხვდა მისთვის წამლად,
მელნად ნაღველს მოვიკმარებ, აღმოვაწებ გულსა კალმად;
ლხინის ბაღის მოსარწყავად ცრემლი მიმდის გასალამად,
და ველი, სამე გამომიჩნდეს გამომყვანი დასამალად.

2. სწავლა გავს წყალსა წმიდასა რუულად მომდინარესა,
რა მიხვდეს კარგსა სათესსა დროსა, ჟამსა და არესა,
აღმოაცენებს ნაყოფსა ასწილად შესაწყნარესა,
და მორწყული ქვიშა ანასდად გაიდენს, გაიტარებსა.

3. მიაგავს ჩვენი სიცოცხლე რუსთა წალკოტის წესებსა:
რა გამოჩნდება ნაყოფი, ჭია სჭამს ბევრ ათასებსა,
სისრულეშია, სიცივე დაჟრის და დააკენესებსა.
და დანამწიფარსა ყინული ფოლადებრ დააკვესებსა.

4. მიხედე, ჟამმა რა მიყო ცრუმა და ანასდეულმა,
დასწყნარდი, ბოლო მოულე სიჩქარით ანასდეულმა,
სიგლისპისაგან სიმკვახე ამწიფე ანასდეულმა,
და აწ სვიანობა მოიღე, სიავის ა ნას დეულმა!

5. რადგან სჩქარობ, დავსწყნარდები, მოგითმენ და მოგიჭირვებ,
რაცა მოგყავს მოსაჟალი, არა რადმე გავიკვირვებ,
დამადლებით დაგიმადლებ, რას(ა)ც რასმე მომიძვირებ.
და სხვა ადგილი მოსაკმარი მიმაჩნია, მივაშურებ.

6. ყრმათა ატყუებ უგბილთა, ვაჟთა სილაღით დარევ და,
შუაკაცს გამოუცდელსა კელსა სიჯაბნით დარევ და,
მიკვირს, ბერ-კაცსა რაღა სწადს, ისიც იმათვე დარევდა!
და ქვე დავრჩებით და და გაცვდები, თუ იქღა ჩვენთვის დარევდა.

7. ცუდ უბადობით ვაშრომებ დღესა, დროსა და ჟამებსა,
რუსთა ზაფხულებრ გაივლით მოსოფლიოსა წამებსა,
რა გამყვეს, ანუ რა დამრჩეს, ვით რამე დამიამებსა?
და უნაყოფოსა ვემსგავსე ხისა რისამე გვამებსა!

8. რა არის ზრუნვა კაცისა, დროთასა ვხედავ ქცევასა,
მიწყივ ბორბლისა ბრუნვასა, სხვადასხვა-რიგა ზევასა,
ეგებ მობრუნდეს შენთვის ცა, მორჩე ჟამისა რევასა,
და მზეს შეხვდეს დია ხუთკუთხად, მოგცემსცა მტერზედ ძლევასა!

9. წყალმან არა ქნას სისველე, რითღა ეწოდოს წყალია?
ცეცხლმან არ დასწვას ნივთები, სად გამოჩნდება ალია?
აგრევ სოფელმან – ცქაფობა, მითხარ, რა მოსაკრძალია?
და ბუნების საქმეს იქმონენ უცვლელად, დაუმალია.

10. სიბრძნით აღაგო ყოველი საქმითა განასრულითა,
წესიერებით შეამკო, საზომი განა სრულითა,
არვინ დააგდო წყალობის კარითა განასრულითა,
და უსხეულონი – მს(ა)ხურად, ზოგნი ყო განა სრულითა!

მ ე ს ა მ ე (ბოლო) რ ე დ ა ქ ც ი ა

1. კაეშანმა დამიმონა, ნაღველიმცა მისთვის წამლად,
სამელნეა სევდისაგან, ამოვაწებ გულსა კალმად,
ნაცვლად ჩანგი-ჩაღანისა ცრემლოვნობა გასალამად.
და გამოველი, გამომიჩნდეს მკურნალივე დასამალმად.

2. მიაგავს წყალსა სასწავლო რუულად მომდინარესა,
მიწასა კარგსა მიეცა ჟამიერობით არებსა,
აღმოაცენებს ნაყოფსა ასწილად შესაწყნარებსა,
და ქვიშოვანისა მომრწყველი გაადენს, გაატარებსა.

3. დღენი მიაგავს რუსისა წალკოტებისა წესებსა:
ნაყოფსა ნარუქობასა ჭია შჭამს განათასებსა,
სისრულეშია, სიცივე დაჟრობით დააკნესებსა,
და დანამწიფარსა ყინული ფოლადებრ დააკვესებსა.

4. რაები მიყო სოფელმან, სიცრუვით ანასდეულმან!
გაათავე და დასწყნარდი სიჩქარით ანასდეულმან,
დანამკვახები სიგლისპე აწყნარე ანასდეულმან,
და კიდევ სიკეთე მოიღე სიავის ა ნას დეულმან!

5. მოიჩქარებ, დავსწყნარდები, მოთმინებით მოგიჭირვებ,
რასა რასმე მოსავალსა, არცა ერთსა გავიკვირვებ,
დამადლებით დაგიმადლებ, რაოდენსა მომიძვირებ,
და სხვას ადგილსა უმჯობესსა მოვიგონებ, მივაშურებ.

6. უგუნურობით ყმაწვილსა, ყმას ამაყობით დარევ და,
მკცოვანსა გამოუცდელსა კელსა სიჯაბნით დარევ და,
მოხუცებული მიკვირან, რასათვის მათვე დარევ და!
და განაცუდარი დაგვრჩები, თუცაღა მოგვედარევ და!

7. ცუდაობითა ვაშრომებ დღეებსა გასაჟამებსა,
რუსთ ზაფხულისებრ გავივლით მოსოფლიოსა წამებსა,
ურჩომლად, მიუდევარად როგორცა შემიკამებსა,
და უნაყოფოსა ვემსგავსე, ხისა რისამე გვამებსა!

8. შეზრუნებულმა მიხედე მოსავალისა ქცევასა,
ბორბლისა – საბრუნავებსა, განასხვავებად ზევასა.
გამობრუნდების შენთვის ცა, მორჩები ჟამთა რევასა,
და მზე მუშთარს ხუთით შეხედავს, გაგიადვილებს ძლევასა!

9. წყაროთა დაუსველებსა ვინ დაუძახოს წყალია?
საკმილსა – დაუწველობით გამოუჩნდების ალია?
სოფლისაგანი სიცრუვეს ვითამცა მოუკრძალია!
და სათავისოსა ბუნებას იქმონენ დაუმალია.

10. სიბრძნითა აღმაგებულმან საქმითა განასრულითა,
წესიერებით შეამკოს საზომი განა სრულითა,

უსხეულონი მსახურად ზოგნი ყო განასრულითა,
და არვინ დააგდო წყალობით კარითა განასრულითა.

„ქილილა და დამანას“ ლექსები

I. ორიგინალური ლექსები წინა და ბოლოსიტყვაობიდან

1. მეც მივჰყევ სპარსთა ზღაპრისა თარგმანებისა მგებართა,
არავინ მიშვებს გარეგან მთათა და გინა მე ბართა;
არ ვგავარ არას საქმითა ვარდთა კოკობთა მკრებართა,
და რა უყო, გაბჭეთ, სამუდმოდ სახმილსა მძაფრად მგზებართა.

2. ვერ ვიტყვი ღირსად საფერად წმიდის სამების ქებასა,
მოსეც შლის ამოებაზე ღ(მრ)თის სახელისა ხმობასა.
ზღაპარი მეთქვა, ისიცა ვიკმარე ამ ამბობასა,
და ამისთვის აღარ მივხედე უშესავლობის გმობასა.

ანდერძი დიდს ჭირსა შინა მყოფის მეფის ვახტანგისა

ჟამსა მას პატიოსნისა და ამაღლებულისა და დიდებულისა დედათ მშვენიერებისა, თვითმპყობელისა და ღ(მრ)თივ გვირგვინოსნისა მეფეთ მეფისა თამარისა ესე წიგნი ეთარგმნათ, რომელი „ცხოვრებასა ქართლისასაც“ წერილ არს. ამითიც საცნაურ არს, რაოდენსაცა საქართველოში ანუ არაკსა და ანუ იგავსა, ანუ ზეპირს მუნასიბსა ლექსსა ახლა იტყვიან, უფროსი — ერთი ამაში სწერია. მაშინდელი ნათარგმნი ჟამთა ვითარებით დაკარგულიყო და შემდგომად ბატონს დავითს, ბატონის თეიმურაზის მამას, კუსა და მორიელის არაკამდის ეთარგმნა, მაგრამ არც ლექსი გამოელო და ზოგი სიტყვაც დაეკლო და არც გასრულება დასცალებოდა. მე ის წიგნი ხელად შემომივარდა. ვნახე, რომ სიტკბოთი და სარგოთი სრული. რაოდენი ზღაპრის წიგნია და ანუ მსოფლიო სწავლანი არიან, ამისთანა სარგო და საამოდ საკითხავი არ იპოებოდა. ერთს სპარსსა რომ მცირედ ქართული ენა და წიგნი ესწავლა, ამის შესრულება უთხარი. მან თარგმნა იწყო, მაგრამ ენის უცოდინარობით ვერც კარგა გამოიღო და გასრულებამდის მეც ისპაანს წასვლა მომიხდა. ისპაანს რომ ჩაველ, მუნ ერთს სომეხს უთხარ,

რომ სპარსული ესწავლა, ნაკლების შესრულება, და მან შეასრულა; მაგრამ ლექსი, სიტყვა და გაწყობა ბევრი დააკლდა. არა თუ ჩემის რისმე დანაშაულისათვის, არამედ სული უმჯობოა საზრდელისა და გვამი — სამოსლისა, ამისთვის მომიძულეს მე უსამართლოდ, და შემდგომად ამისსა, თვისთაცა ჩემთა, ნაცვლად კეთილისა, მომაგეს ბოროტი, და აღმიდეს შურადა ამის მიზეზისათვის ტყვე მყვეს. და შემდგომად ამისსა ქირმანს წარმომგზავნეს.

ლ ე ქ ს ი

3. მეტყვიან ხვალმე, რასთვის გაქვს ჭირი, ჭმუნვა და წყინება?
ქუჩუქას სახლსა ვსწუნობდი, როგორ ნუ მომეწყინება!
ახლა ქირმანსაც დამკარგეს, დამვიწყდა ამას წინება,
და არ ვეჭობ, შერჩეს ღ(მრ)თისაგან, ვინც ჩემთვის ასე ინება!

რა მიველ მუნ, წიგნი სარგონი არ მახლდა. და ცუდად ყოფნა სულისაც მაზიანებლად ვნახე და ხორცის საწუხრადაც. სხვა საქმე არა მქონდა რა და ამის შექცევას გამოვეკიდე.

ლ ე ქ ს ი

4. ცუდად ყოფნისა წამალად ვსვი ცუდი შარბათებია;
მზე აღმოვიდა, მიადგა — ბარი იყო თუ მთებია,
მაგრამ მე მისი მწვერვალი არსით არ მომნათებია,
და ამისთვის სევდა-ნაღველი, გლახ, გულსა გამერთებია.

კიდეც ვნახე, რომ კაცისათვის მრავალი სარგებელი ჰქონოდა, სასმენელადაც მწვე ტკბილი და საამო იყო, და გარჯას აღარ ვრიდე ამის მიზეზისთვის.

ლ ე ქ ს ი

5. ეს ობოლი მარგალიტი დავაცვი და დავაშადე,
ჭირნი ჩემნი უსაზომო ამ საქმითა გავაშადე,
სიბრძნე ჩემი, რიტორება მოვაწვივე, მო-ცა-ცხადე,
და მაგრამ ჩემთვის ამართული ვერ დავშალე ვერსით ბადე.

თუცა დამეკლოს რამე, ნუ დამგმობთ: ჩემი ჭირი ქვას ჰქონებოდა, დააღნობდა. ჩემი ფიქრი და ნაღველი ზღვის ალაგს აავსებდა. და თუცა ვინმე უკეთ იტყვით, არ გიშლი და კარგსა იქთ.

ლ ე ქ ს ი

6. ვინც უკეთ იტყვით, არ გიშლი, არც არას მეწყინებისა.
მე ჩემმა ბედმა არ მომცა ჟამი ჩემისა ნებისა;
რაც ჯავრისაგან შევიძელ, ვთქვი რამე მე ლხინებისა,
და სხვა მეტი ვერა გავაწყევ თქმა ქების, გინდ გინებისა.

მე კაცის შეუტყობრობისა და მოუძაგებლობის გულისათვის ადვილისა და მსოფლიოს სიტყვით დავსწერე, რომ მკითხველთ სამძულვაროდ არ უჩნდესთ და ეს სწავლა გაუგონებელი არ დარჩეს.

ლ ე ქ ს ი

7. არ ვიყავ სრულად უცოდნი, ვიცოდი ენა მძიმები,
მეკითხა წიგნი სა(მღრ)თო და საერო ამას წინები;
ვთქვი ენით მეტად ადვილით, რომ იყოს მოუწყინები,
და არვინ გამხადოთ ამისთვის საკიცხარ–მოსაყინები.

არვის გმართებსთ, ვისაც ხელად შემოგივარდესთ, ამის ამბის შეუტყობარი დარჩეთ, და, ან მე რა ჭირი მინახავს ამის თარგმანზე, ისიც არ შეიტყოთ და არ გასინჯოთ.

ლ ე ქ ს ი

8. კაცი გემოს მაშინ იცნობს, ოდეს ენა დააწოსა.
ღამესა ვარ უნათლოსა, მივემსგავსე მე მას წოსა.
ალსა ვზივარ ცეცხლისასა, სანამ გაქრეს, უნდა მწოსა.
და კაცსა ბედი ვერას არგებს, თუცა ღმერთი არ ემწოსა.

სპარსთ ენაში მეტად ტკბილად და კარგად უთქვამსთ. ამასაც ნახავთ, ლექსი ლექსად გარდმოვსთქვი უკლებრად, რომელი ოთხ–მუხლი იყო, ანუ ორ–მუხლი, ანუ ერთ–მუხლი, ანუ ათ–მუხლი, მეტი თუ ნაკლები, და ამბავი — ამბად. მაგრამ ლექსი სპარსული ქართულ ენაში

ლექსად არ ითარგმანება, ამბად მოვა. და მე იმავე ამბის გალექსვა მოვინდომე, და ეგება ლექსი არ მოგეწონოსთ, გასინჯეთ, რომ სხვის კაცისაგან ნათქვამს ამბავს მეორე ისე ვეღარ იტყვის! სპარსის ლექსის იგავნი ამის უკეთ ქართულად ვერ მოვიყვანე, თვარემ სპარსულში, დიაღ, გაწყობილია.

ლ ე ქ ს ი

9. ეს „ქილილა და დამანა“ ბრძენთაგან გამოთქმულები,
სპარსთა ენისა სიტკბოთი დაშაქრულ-დაამბრულები,
ვპოე და ჩვენად გარდმოვსთქვი ყვავილი ტურფად რგულები,
და ლექსი – ლექსად და ამბავი არც ერთი დაკლებულები.

როგორც მათში იყო, ამბავი თავის ადგილს და ლექსი თავის ადგილს დავსწერე. ამთონის ჩემის ჭირის ხელფასად ლოცვა და შენდობა რომ წესია, ავენობის პირს მაინც ნურვინ გახსნით.

ლ ე ქ ს ი

10. ეს წიგნი ბრძენთა ნათელი, სხივით და შუქით მზიანი,
ყურითა ტკბილად სასმენი, სულით ვარდი და იანი,
მკითხველთა სარგო მრავალი, არათი არა ზიანი.
და ვსწერ მეფე ვახტანგ ქართველთა, თესლ-ტომად დავითიანი.

* * *

მას ჟამსა, ოდეს ბრძენთაგან სამეცნიეროდ ამაღლებული სწავლანი სპარსულის ენისაგან ქართულს ენაზედ გადმოვსთარგმნეთ, ისრევე სპარსულის ლექსის კვალად გალექსვა ამ წიგნისა ერთის რიგით მოვინდომეთ, რომე ლექსის გაწყობის რიგები ისრევ სპარსული მიგვეცა. ჩვენ ჟამთა ვითარებისაგან და ერთა მოუცლელობით ვეღარ შევასრულეთ. და მდივანს ონანას უბრძანეთ, რომე ამ ტურფის წალკოტის ყვავილნი შეჰკრას და ხელოვანთ გახალასებული დრაჰკანი კაეშირით შეასრულოს.

11. მერმე უბრძანეთ მდივანსა, ჩვენსა კარისა მონასა,
სპარსულის რიგით გალექსვა; მანცა არ ცუდად მონასა,
შეჰკრავს და ტურფად შეაწყობს წალკოტის ვარდის კონასა,
და გააკავშირებს ხელოვანთ შექმნულსა ოქროს წონასა.

[კვლავ მიხმეს ისევ ისპაანს]

1. კვლავ მიკმეს ისევ ისპაანს, დამრჩა ეს შეუსრულები,
მამცეს პატივი მრავალი, ვა, თუ დავაბი სულები!
მან თავის ტოლად მადიდა, არ შემქნა უფლისწულები.
და წარმავალია ყველაი, ჟამი მიც გარდასულები.

2. არ დამცალდა სხვას ლექსთა თქმა, მიხმეს ისევ კიდევ კარგად,
კორცისათვის საპატიოდ, სხვას ბევრიგად დასაზარად.
რა ვქნა, არვინ არ გამოჩნდა არასფერში მოსაკმარად,
და მოუძლურდა კორცი სუსტი, რაღა მეთქვა მსმენთვის მწარად?!

3. არ იცოდით, არ გმართებდათ ჩემი ასრე გარდაგდება?
სამთავსა და კვერსა შუა ჭიქა როგორ გამაგრდება?!
ტალსა კვესსა რა ჩამოჰკრავ, აბედს ცეცხლი მოედება,
და ცეცხლსა მძაფრსა ნავთს დაასხამ, მითხარ, როგორ დანელდება?!

4. თვითვე ნანობენ უგბილნი, თუცა ბევრს ჭირსა მახესა,
ლომი, დაბმული, აეხსნას, ვაცსა გააბამს მახესა;
რაღასღა ვეძებ სახვეწრად კლდესა, ტყესა და მა ხესა,
და რაც ერგოთ ჩემის ამ საქმით, აწყა თვითანცა ნახესა!

5. ჩემნო გულის შემტკივარნო, იწუხეთ და ჩემთვის ახეთ,
ჭირნი ჩემნი სხვათა ჭირთა მიამსგავსეთ, მიასახეთ;
სოფლის საქმეს ყური უგდეთ, ან იტირეთ, ანუ ვახეთ.
და აბედინას შვილის ამარ დავრჩომილვარ, აწ ეს ნახეთ!

* * *

ვით წინა ლექსი აჩენს, მე დამრჩა გაულექსავი და სულხან გალექსა, ყაფლანისშვილმან, რომელი ბოლოდ მონაზონ იქმნა და ეწოდა საბა.

II. [„ძილილა და დამანას“ ტექსტში ჩართული თარგმნილი ლექსები]

1. თითოს ამისა სიტყვაზე გაშლილა თითო ბაღია,
შაბჩირახისებრ ბრწყინვალე და უფრო განანაღია,
ამისნი ტკბილნი იგ(ა)ნი უკვდავთ წყალთაებრ საღია,
და ახალს ვაჟკაცებრ თამამობს, სიტყვები მისი ლაღია.[2]

2. ამის სახენი ვახენი, დიდთ მორთვის კაბათ ნახენი,
ამის იგავნი სვე სვის(ა) ბეჭდისა თვალის სახენი,
იგ ფეროვანი შაირი ვარდთ კუკურთ მზგავსი მახენი,
მართ ლაპარაკი მუშკ-თმისებრ დახუჭუჭებით ვახენი,
ამისი მწიფე სიტყვები სიბრძნისა სხივებრ ვწმახენი,
და წმინდათ გულთ საიდუმლოსებრ მართალი, არა ჩმახენი.[3]

3. სიკეთე მუშკს გავს: რაგინდ რომ დაფარო, გა(ა)ხვიო და,
საყნოსელს სული ექნების, თუ გინდა არ გახიო და;
არ გაისვრების მზის შუქი, ტალახი და(ა)სხიო და,
(და) სათსა და სათის შუქს მატებს, რაგინდ არ მოიწვიო და.[4]

4. თემთა მისით სამართლითა სიმდიდრენი მოეპოვა,
(და) ძალი თვისის მოწყალებით გაეძო და გაეპოვა.[5]

---

[2] ყოველს ამის სიტყვაზე თითო ბაღი გაშლილა. შაბჩირახისაგან უფრო გაბრწყინვებულა, ამის იგავნი უკვდავების წყალია და სიტყვები ახალს მოწიფულთებრ გათამაშებულა.

[3] ამის სახე დიდებულობის მოსაკაზმავი ტანისამოსი, ამის იგავნი სვე-სვიანობის ბეჭდის თვალი, ამის ფეროვანი შაირნი ვარდის კუკურსავით გულის მომტკუებელი, ამის ლაჰარაკი მუშკის მსგავსის თმისებრივ თავით ბოლომდი დახუჭუჭებული, ამის მწიფე სიტყვის სიბრძნე სხივოსანი, წმინდას გულის საიდუმლოსავით მართალი და ჯუმარიტი.

[4] სიკეთე მუშკსა ჰგავს: რაგინდ მუშკი დაფარული იყოს, მისის სულის სურნელობისაგან საყნოსელს ამბავი ექნება, არ გაისვრების ტალახით მზის სხივი, სათსა და სათის სიბრწყინვალის ნიშანს მოიმატებს.

[5] ქველნა მისის სამართლისაგან გაწყობილი იყო და უსამართლობის გზა აღეხოცა.

5. ამ წერილს ვადრი ჩიგელთა თმასა მას კეკლუცისასა,
გავს ყოველ სულის ადგილს და გულთა მანძილისასა;
უწერი — იგავთ სიკეთით სჭარბობს სხივს მზისა ცისასა,
და მთვარისებრ ნათობს, კამკამობს გულთაცა უცებისასა.[6]

5[1]. ეს წერილი გავს ჩიგლთ თემსა თმასა მას კეკლუცისასა,
რომელთა აქვან ადგილი გულშია ყოვლთ კაცისასა,
უწერ იგავთა სიკეთით სჭარბობს სხივს მზისა ცისასა,
და ვინ ისმენს, იქმსცა ნებასა მის ღმრთისა საფიცისასა.

6. ხამს, სამოთხის სახლში მსხდომთა მხატვართ ესე დასწეროსა,
(და) შავი ასო ამ წიგნის(ა) ჰურის თეთრს თვალს დასწეროსა.[7]

6[1]. მოუხდების, სამოთხისა სახლთ მხატვარმა დასწეროსა,
(და) შავი ასო ამ წიგნისა ჰურის თეთრს თვალს დასწერ(ოსა).

7. მეფეთ თვალისა სინათლე კელმწიფე ორშივ ქებული,
(და) აბელ ყაზ, სულთან უსეინ მამულით გადიდებული.[8]

8. ამ ხუთის დღისა სოფლისა მდგომელთა უსუსურობით
(და) საქონელს, მამულს უხმობენ სახელად უგუნურობით![9]

9. ძლიერების წინ ღვაწლთ ხალი ყოვლთ უკეთ გამოჩნდებისა,
(და) პატიოსნობის ხალათი წმინდობას ეფერებისა.[10]

10. ათის დღის სოფლის ყვარობა შეცდენა არის, იცოდე,
(და) მოყვარეთ კარკაცობანი კარგ დროთ შეხდომად იცოდე![11]

---

[6] ამისი ასოები ჩიგელთ ღამაზთ ზილფის მსგავსი, ყველა სულის აღაგი და გულის მანზილი; იგავნი შავს ასოებს ქვეშ მზესავით ბრწყინვალე, მთვარესავით ნათელი.

[7] შეფეურების დასახონ მხატვართა სამოთხისა საკრებულოსათა სავადი ამ ნუსხისა ჰურის თვალის კაკალსა.

[8] შეფეთ თვალის სინათლე, კელმწიფე ორშივე ჰატიოსანი, მეფე აბელ ყაზი მამულითა და რიყით გადიდებული სულთან ჰუსეინი.

[9] ამ ხუთის დღის მორჩენების მდომელთ უგუნურებით ამისი სახული მამული და საქონელი დაურქმევიათ.

[10] ძლიერების წინ მოღვაწების ხალი უყველასაგან უკეთ გამოჩნდება. ჰატიოსნების ხალათი წმინდაობას უკეთ შეეფერება.

11. თაგდირი ხარ; ვისი ბედი, მიაყენო შენ რომ შუქი,
(და) სვე-დოვლათის ნიშანია, რათღა იყოს იგი უქი![12]

11[1]. შენ სოილი ხარ, ვარსკვლავი, დარი და მგზავსი მზისანი;
რა აღმოჰკლები, ქვეყნისა მიმფენელი ხარ სვისანი;
ვის მიაყენებ შენ შუქსა, ბედისა არის ნიშანი,
და შლის სიბრძნის ვარდსა სამუდმოდ, მიცემა იცი წლისანი.

12. ასეო, ასეო, მრქვა სიტყვის მცოდნემ ასეო:
„ჰე, სიტყვის ბაღის მებაღევ, ესე თქმა გაიასეო,
წმინდას იგავის მსგავს ბაღში ესენი შეაწმასეო,
იგავთ ხე(ე)ბი ერთ რიგად დარგე და შიგ(ა) დასეო!
ვინც ჭამოს მისი ნაყოფი სა(ა)მო, მოსასასეო,
დამრგველსა უთხრან შენდობა,ღმერთო, ის გა(ა)სასეო,
ამ ბაღში ბევრი ახალი ხილია, დაუნასეო,
(და) ერთმანერთისა უმჯობე სიკეთით დაუფასეო!“[13]

12[1]. სიტყვის ბაღის მებაღენი, ბრძენი დიდნი მითხრობდია:
„მწვე წმინდაა ესე ბაღი, სამოთხესა ნიშნობდია;
ხენი დარგე რიგ-რიგისად, მსელელი ვერა სწუნობდია,
და ვინცა სჭამდეს ხილსა მისგან, შენ შენდობას გეტყოდია!“

13. რა უცხო არის ეს საქმე, არაბთ მეფისა ბძანებით,
(და) თაგდირმა იამანები გამოაჩინოს ფერებით?![14]

14. მე რომ ამ თვალის იგავნი ამგვარად გამითლიაო;
(და) რაც რომე მითხრეს, ის მითქვამს; უთხარ, თუ გამითვლიაო.[15]

---

[11] ათი დღის ამ სოფლის სიუვარული უგუნურებაა და შეცდენა. კარკაცობა, მოუვარეც, მოუვარეზე ამ სოფლის კარე დრომ შეხდომად იცოდე.

[12] შენ სოილი ხარ. ვისი ბედია, რომ შენ შუქი მიაყენო. ვისაც მიადგება, დოვლათის ნიშანია.

[13] ასე მითხრა სიტყვის მცოდნე კაცმა: „ჰჰა, სიტყვის ბაღის მებაღევ, წმინდა მანის მსგავს ბაღში იგავის ხეები ერთ რიგად დარგე! ვინც რომ სჭამოს მისგან ხილი, დამრგველსა უთხრას შენდობა. ამ ბაღში ბევრი ახალი ხილი არის, სიკეთისთ ერთმანერთის მჯობი“.

[14] რა მაგთონი საქმია ეს. იამანი არაბის კულმწიფის ბრძანებით თუცა სოილის ნათლით ეამოჩნდეს ფეროვანი?!

[15] მე რომ ამ თვალის იგავები გამითლია, რაც რომე მითხრეს, უთხარ, რომ ის მითქვამს.

15. ბრძენთ(ა) ენის(ა) სიტყვისგან არს ასე დანაწესები:
ლექს(ს)ა დაამბ(ა)ვს მიეცეს უნდა (ნამყენი) წესები:
ხან გულმა ამით იხაროს, არ იყოს დანაკვნესები,
(და) ხან კიდევ მეორისაგან საწადი პო(ო)ს ზესები.[16]

16. ვარდის კონას მწვანეს ფოთოლს გაურევენ ხან ის, ხან ეს.[17]

17. თუცა მოწყალე თვალიო სინჯავს წყალობის თვალითო,
მიწისაც ქონდეს, შე(ი)ტყოს და იცნას ამის ძალითო,
ჩემის უცდელის საქმისგან მრცხვენის, ვარ დასა(ა)ლითო,
შენ ნულარ შემიქ ყვედრებით გულს ნაჭრად დასავალითო,
სოფელში თავისუფალთგან, წესი არ არ არის, ძალითო
დაცემულს უთხრას ყვედრება ან ცხადად, ანუ მალითო;
მეშურნე მკერდსა დაიხევს სირცხვილით შესაწყალითო,
და მშვიდ-მხედი თვალი კაცის(ა) აიბს არ ნახ(ა)ვს ლალითო.[18]

17[1]. თუ ვინ განსინჯავს, განსინჯავს მოწყალებისა თვალითა,
ჭიქის კაკალიც ეყაროს, იცნობის თავის ძალითა.
მრცხვენიან გამოუცდელსა, ჩემი საქმე მწვავს ალითა,
შენ გულსა რაღათ დამიკოდ ყვედრების მღვრიე წყალითა?
სრულსა არ უკამს სოფელში იყოს ამისა ხალითა,
დაცემულს კაცსა ჰყვედრებდეს და იყოს მასზე ბრალითა.
მაგრამ მემშურნე სირცხვილით მკერდსა დაიხევს ბრჭალითა,
(და) სიმშვიდის თვალი სხვის სირცხვილს არ დაინახა(ვს)კვალითა!

18. სიმაღლე ჰქონდა ფრიდონის, სიმდიდრე ჯიმშიდისანი,
მაკიდოვნურებრ სახვეწი კარი აქვს სიდიდისანი,
მოწყალეება უკრთოდა ვით პირი მნათობისანი,
და ერთად შეერთო ცეცხლი და წყალი სხვის ბუნებისანი.[19]

---

[16] ბრძნის ენის სიტყვის რიგისა გ(...) ლექს(ს)ა ამბავს უნდა ნამყენი მიეცეს, ხან გულმა ამისგან მოისვენოს და ხან კიდევ მის მეორისაგან საწადელი იპოვნოს.

[17] ვარდის კონაშიაც ბალახს გაურევენ.

[18] თუ მოწყალე თვალი გასინჯავს მოწყალების თვალით, მიწისაც რომ ქონდეს, შეიტყობის და იცნობის. მე მრცხვენია ჩემის გამოუცდელის საქმისაგან. შენ ყვედრებით ნუ შემიქ გულს ნაჭერ-ნაჭერად. სოფელში განთავისუფლებულთაგან წესი არ არის დაცემულთ ყვედრების თქმა. მოშურნე სირცხვილით თავის მკერდს დაიხევს. სიმშვიდის დამნახველის კაცის თვალი აიბს არ დაინახავს.

19. «ყო წესი მის მეფისა ურჩთა შუბლის დადალვანი,
მებრძოლთ თავზედ კრმლისა დასმა, ადგილიდამ გარდაძვრანი,
სამართალში გასაწყრომთა სისხლის სმა და სისხლის ღვრანი,
და მოწყალება ულონოთა სიმდიდრის წინ მოგვარანი.[20]

20. მეფეთ თავია სიკეთე, სამართლის მოქმედებანი,
ლოცვა მკურთალი, სამუდმოდ სიმშვიდის გარმოდებანი;
ამ საქმის თუცა დაიწყეს ნანობა, ქვე დადებანი,
და მათთა თემთა და აღგილთა შეექნას აოხრებანი.[21]

21. რა დაჯდის საქმის მრჩეველად პლატონის შესადარენი,
ერთის რჩევითა მოსტეხის ასკეცსა რაზმის მკარენი;
რა მიჰყვის კელი საქმესა, დღე მისცის მტერსა მწარენი,
და ერთის წიგნითა დაიპყრის იყლიმის არე-მარენი.[22]

22. კარგად ვერას ვერ მოახდენს კაცის საქმის არ გამრჩევი![23]

23. აფრენდენ მჩატედ ფრინველთა ქორს მათთვის ჭანგთა მლესველთა,
აერთა შიგან შავარდენთ დურაჯთ და ხოხობთ მკვნესელთა;
ყოვლგნით შეეკრა მეძებარს გზა ჯერნის, მაღლა მკრთომელთა,
და შეავიწროეს მინდორი მწევართა, ფიცხლად მრბოლელთა.[24]

24. ცეცხლად გახდა მთა და ბარი, ერთ პირობით იალვოდენ,
ქვეით მიწა, ზევით ცანი სიმკურვალით იდაგვოდენ,
იგ საწყალი ტყის მფრინველნი შტოსა შიგან იმალვოდენ,

---

[19] ფრიდონისებრ დიდებული, ჯიმშედის მოადგილე, მაკიდონელისებრ ამაღლებული, დარიოზის დამფარველი. მოწყალება ტურფათ მთვარის მზგავს ჰირსაით უწანდა. ამითი ერთად შეეკრა ცეცხლი და წყალი.

[20] (...) მისი მოსამართლობა სისხლის მსმელთ გამქარვებელი, მისი მოწყალება და სიბრალული საბრალოთ ღონე.

[21] მეფეთ მეფობის სიკეთე მისის კეთილთა ჩანს ღ(მრ)თის საფარველით შუდამ ემინი. თუცა მეფენი თავის მოწყალების მონანულნი შეიქნან, ქვეყანა მისის საქმისაგან გაოხრდეს.

[22] რჩევასა და ჯუას რა გული მიაჰყარ, ას ლაშქარს გასტეხდი. რა ქვეყნის გარიგებას მორჩებოდი, ერთის წიგნით ერთს იელიმს აიღებდი.

[23] ყოყლს საქმეს გასინჯვა უნდა, საქმე გაუსინჯავად კარგა არ მოყა.

[24] გააფრინეს კარგად გამფრენი ქორები. მფრინველთ სისხლის დასაღვრელად გაელესა კლანჭები. გამოვიდა შავარდნის კლანჭები დასატაცებლად. მაღლა აღარც თეთი დარჩა, აღარც დურაჯი.

და ქვემძრომელნი მოძრავები კერელსა იჯუჯგვაოებდენ.[25]

25. ქვეყნის მზეო, ღ(მრ)თისა ჩრდილო, სახე შენი ამას გვანობს:
(და) ომაინის ჩრდილისაგან შენი უფრო სვე-სვიანობს.[26]

26. რას ჭირსა ვსჭამ ცის მზისაგან, რადგან მადგას თქვენი ჩრდილი![27]

27. შენის სიცოცხლით ცოცხლობენ თემნი და სამეფონია.[28]

28. დაჯექ წყლის პირსა, სიცოცხლის გავლას ამგავსე, მსგავსია,
და ნავსა ცუდის(ა) სოფლისა, — გვეყოფის მალ და საესია.[29]

29. გულის გამღები აერი, წყალი ამო და ტკბილები,
ბედნიერობის მანძილი, შვების ადგილის წილები,
ყვავილნი რუს პირს მდგომელი, წვიმისგან განწმენდილები, 1
და სუნი მნათობთა ტანისა მგავსი, მაღალი, წერილები.[30]

30. ერთმანერთისა უმჯობე, ტურფა თავ-ამართულია,
შტოზე კმიანი ფრინველი ღმრთის ქებად მომართულია,
სამოთხის სახის სადარი მწვანე ნერგები რგულია, 2
და თუბის ხისაგან ნაწერი ფურცელი გარეთ რგულია.[31]

31. წყარო ამოდის წმინდა და მთვარისა მსგავსად მგრგვალია,
(და) მაშიგან თევზი ვეცხლისებრ თეთრი, არა თუ რვალია.[32]

---

[25] ასე ეგონა, ცეცხლი მოედვა მთათა და ბართა; გახურდა ცა და მიწა. მფრინველთა ტეისათა გულს შემოეყარა. შევიდენ ქვეწარმავალნი სოროთა.

[26] ეჰა, თემთა მზეო და ღ(მრ)თის ჩრდილო, უმჯობეა შენი ჩათრი უმაიუნის ჩრდილისაგან.

[27] დროს მოსაყალის მზის სიცხისაგან რად ჯაჭრსა ვიქ, რადგან შენის წუალობის ხეივანი ჩვენი მფარველია.

[28] ეოველის სიცოცხლე შენის სიცოცხლით არის.

[29] დაჯექ რუს ჰირსა და დღის გავლა ნახე. ეს სოფელი რომ მიდის, ამის მსგავსება ქმარა.

[30] მოსაწონი, გულის გასახსნელი წუალი და აერი, ბედნიერობის მანძილი და შვენიერი ადგილი, უვაყილნი რუს ჰირს გაჰოსული. დამჭკნართა ჰირი და კელი დაეგბანათ. ხენი კარგ ტანადსავით აღზრდილნი.

[31] ერთმანერთისა მჯობნობით თავ-ამაღლებულნი, შტოებზე კარეა მხმობელნი მფრინველნი, კმით ონღანო შეემზადათ. მისი ალვის ხეები სამოთხის მოსაწონი. ეოველს ხის ფურცელზე ეწერა: „მე თუბის ხე ვარ“.

32. ღ(ერთ)ო, ჩვენა ვართ რომელი ჯავრთ მეიდანს და ჭირებსა,
(და) მოვრჩით ყვავილსა არამსა, ვზივართ ხის ტურფა ჩრდილებსა.[33]

33. როს ბულბული თავის ვარდზე დიდებასა ღ(მრ)თისას კმობდა,
(და) ყოველთ ფურცელთა ენა ქონდა, იგინიცა მასვე მბობდა.[34]

34. მას ნიავსა დილისასა მონაბერსა, მონაქროლსა,
იგ ფურცელნი ვარდისანი მარქაფად ჰყვა პირსა მოლსა,
მოარბევდის სატურფალად მისგან მისსა მონაყოლსა,
და ზოგი დასდვის წყაროშიგან, რომ სიწმიდით ჰგვანდა ბროლსა.[35]

35. ბაღისა მაშვენებელი ხე არის ახალ რგულები;
(და) მოსჭრის მებაღე მაშინვე, რა გახმეს მათი რგულები.[36]

36. მითხარ, ამათი რა არი წასვლა, მოსვლა და მყოფობა,
(და) ანუ რას ესვენ ამ ადგილს, ან რათ აქვსთ გაუყოფობა.[37]

37. სტაცე კელი პირობისა დამტკიცების წელსა ზედა;
(და) ეცადე, რომ არ გასტეხო! — ამას გეტყვი ზედი-ზედა.[38]

38. კარგი კაცია კელმწიფე, ავზე კელდამოკლებული,
(და) ვის დიდი მდაბალ-გუნება იყოს თავდამბალებული.[39]

39. შორს დაჯე და ისე სჭვირიტე, თვარამ არის ესე გზანი,

---

[32] დაიარებოდნენ მაშიკ თევზები ტან-ეცხლის მსგავსნი, როგორც რომ ახალი მთვარე მრგვალს ცაზედან.

[33] ღ(მერ)თო, ჩვენა ვართ სარჯლისა და ჯირში მეოფი კაცნი. აწ მორჩომილი ვსკედვართ ეკვიელოვანის არაშში.

[34] არ თუ მარტო ბულბული მას ეკვიელზე მადლობას უბნობდა, რაც ეკალი იქ იყო, მადლობის სათქმელად თითო ენა იყო.

[35] ხან ვარდის ფურცელს დილის ქარი იმარქაფებდა, ხან ვარდის ფეხზე წვინდა წვალი ჯაჭვს მოაბმდა .

[36] ბაღის მაშვენებელი ახალი რგული ხე არის, სჭრის მებაღე, რა გახმება.

[37] ამ ბალახოვანში, მითხარ, წასვლა-მოსვლის მიზეზი რა არის, ამათ სალოცავში ღ(მერ)თი ვინ არის?

[38] დამტკიცების კელი ჰირობის წელს მოჰკიდე. ეცადე, რომ ჰირობის გამტეხი არ შეიქნა.

[39] ნეტაი მას შემძლებელსა, ავზე კელდამოკლებული იყოს, დიდნი — გუნებამდაბლი და მაღალნი — თავმდაბალნი.

(და) კაცი კაცის სიავეზე სამუდმოდ არს მიწყივ მზანი.[40]

40. მოსავალი ანგელოზსა, ზოგი ეშმაკს მიგვიგავსა,
(და) საქმეს მიჰყევთ ანგელოზთას, ეშმაკს ნუ სდევ, ბილწს და ავსა![41]

41. უჭკუო თავის საქმესა, უამბო, უმეცარია,
ავისა კარგათ მომწონე კარგისა დამგმობარია,
კვამლი გახდების, რა ნახოს ცხვირისა არემარია,
და ქარს ემსგავსების, ოდესცა სანთელი მნათობარია.[42]

42. ამ შუასა ადგილიდამ თუ შეგეძლოს ნაპირს გასვლა,
(და) სჯობს რომ მოვრჩეთ, გავეცალოთ, რადგან გვიხამს სხვაგან წასვლა![43]

43. ბრძენს მოსწონს ძირი მთხრებლისა, იცის სხვა გათენდებისა,
გული აქვს მიწყივ ხალვათი, მარტოდ არ მოსწყინდებისა;
ორმოს სიბნელე ბევრით სჯობს, რა კაცი დაბნელდებისა;
და სოფლისა ამბოხებასა ჭკვიანი ერიდებისა.[44]

44. ცის გრიგალმა — მინდა მქონდეს ამისთანა ერთი ხალვა, —
(და) ქვეყნის მტვერი რომ აკრიფოს, ჩემი პოოს ვერცა ალვა.[45]

45. რა ვიცით, დღე რას აკეთებს, ან ღამე რას აგროებსა,
ვინც ერიდების მათს ნადიმს, მორჩების ავსა დროებსა.
ვარდი კოკობი კოკორში ტურფად ზის ადგილს სწორებსა,
და რა გაიშალოს, განიბნას ადგილსა ახლო შორებსა.[46]

---

[40] დროს უუნრე უგვარობის თავიდამ. კაცი კაცის მომრიდალია.

[41] ზოგი რამ ანგელოზს გვიგავს და ზოგი ეშმაკს. ეშმაკის საქმე დააცდევ და ანგელოზისაგან უკეთესი შეიქენ!

[42] უჭკუონი რამთონნი, უამბონი, ავის მომწონენი, კარგის მგმობარნი კვამლი შეიქნებიან, რა საუნოსელს მიახლოვდებიან, ქარი შეიქნებიან, რა სანთელს ნახავენ.

[43] ამ შუა ადგილიდამ თუ იცოდენ, სჯობს, ერთს კუთხეში დაჯდენ!

[44] მთხრებლის ძირი გამოირჩია, ვინც ჭკვიანი იყო, ამისთვის რომ ხალვათობა გულის სამხიარულეა. მთხრებლის სიბნელე სჯობს ხალხის სიბნელეს. გაუქცევია, ვისცა ჭკუა აქვს, კაცთა შფოთებას!

[45] ხალვათი მინდა. იმ მბრუნავმა ხალხმა თუცა გრიგალი აღსძრას, ქვეყნის მიწა რომ გასცრას, ჩემი მტვერი ვერ იპოოს.

46. უცხოს ხამს ხალვა, კრძალვა, რადმცა თეის(ს)ა საყვარელსა,
(და) ზამთარ ტყავსა იხმარებენ, არათ ზაფხულ, სიცხით მწველსა.[47]

47. ნუ მოჰკვეთ კელსა მოყვსისა კალთასა ალერსისასა,
(და) მარტო თუ ზიხარ სამუდმოდ, საქმეს იქ ხელობისასა![48]

48. იპყარ კალთა ერთობისა, საქმე ამით გაკეთდება,
(და) გარიგება არა საქმის მარტოობით არ მოხდება![49]

49. ააგზნებს ცეცხლსა ასეთსა მტერობა დაუცადია,
(და) მისი სიცხითა მრავალნი დაიწვის, — გამოუსცადია.[50]

50. ამა ორთა სახეს შუვა გარჩევაა ესოდენი,
(და) რაც მზისა და სოილს შუვა საქმე არის მისახვდენი .[51]

51. ჰა მეფეო, ღ(მრ)თისა ჩრდილო, სვენი თქვენი მისმიერობს,
და ცის მასკვლავნი რა ამოვლენ, შენი სვითა ბედნიერობს.[52]

52. შვება ლხინი ამ სოფლისა რომ ვითხოვოთ, ვიწადენით, —
ვინ დაინდო, ჩვენ დაგვინდოს, არ გაგვხადოს ცრემლთა დენით?!
ამ ძვალს ტვინი მინდობისა არც სულ უძეს, ვინც ვცადენით,
(და) არამ მიწას, უკდავებას სული უდის მოსადენით.[53]

---

[46] იცი, დღესა და ღამეში ვინ გულდაჯერებულია? ის, კუთხეში მჯდომი რომ კრებულში არ აერევა. ვარდის კოკორშიც ნაზუქი უვავილი გულდაჯერებულია. რა მივიდა, ერთს კრებულში დაიფანტება.

[47] სალვათობა უცხოსი კარგია, არა თუ შინაურთაგან. ტყავი ზამთრისთვის შემოუდიათ, ვანა ზაფხულისათვის!

[48] დაჰატიჯების კელს სოიბათის კალთიდამ ნუ მოსწყვეტ; მარტო ნუ დაჯდები, საეჭვი არის, რომ გაგიქდე!

[49] კრებულთ კალთა დაიჭირე და ერთს საქმეს ეააკეთებ, თვარამ არა საქმე მარტოობით არ გარიგდება!

[50] ცილება ასეთს ცეცხლს აანთებს, რომ მისის სიცხით რაც რამ იყოს, უველა დაიწვას.

[51] ამ ორს სახეს შუვა ამთონი განუოფილება(ა), რაც მზისა და სოილისა.

[52] ბედნიერ ფეხ, მეფეთ–მეფეო, იპოვნიან ბედის მ(ა)სკვლავნი შენის სახიდამ შვენიერს მასკვლავსა.

[53] ქვეყნის შება და ლხენის თხოვნა რომ ქნათ, ვინ დაინდო, რომ ჩვენ დაგვინდოს?! მინდობის ტვინი არ არის ამ მვ(ა)ლში, უკვდავების სული არი ამ მიწაში.

53. ნუ ისმენ ყოვლთა სიტყვასა, ისმინე ჩემი თხრობილი:
(და) ყოვლთათვის ავსა ის იტყვის – კაცი ავი და გმობილი![54]

54. კარგსა იქ, მისად სანაცვლოდ კარგს გიზმენ მისა წილებსა,
ავისთვის ავსა ელოდე, არ ახლა, კვლაცა ქმნილებსა;
დღეს ავისა და კარგისა უამბოსა ხარ ძილებსა,
და ერთი დღე მოვა, გაცნობონ ჟამსა მას მოუცილებსა![55]

55. ერთის პირისა, სახისა სამუდმოდ მოგონებითა
მოსვენებისა კუთხესა ვზივართ ჩვენისა ნებითა;
თვით მისის ტრფიალებითა და მისის დამონებითა
და ფარაღათი (?) გვაქვს სოფლისა ყოვლისა განსვენებითა.[56]

56. მბრუნავს ცასა ამის მეტი სხვა საქმე აქვს არაფერი,
(და) ორნი ტკბილნი მოყვარენი რომ გაყაროს შესაფერი.[57]

57. ხან შეუტევდის მეხისა ცეცხლისებრ შესაზარება,
(და) ხან მაღლა გაეცლებოდა ცეცხლის მავსებლის ქარება.[58]

58. რა შავარდენმა მას მტრედსა შემოუტია მალედა,
(და) სიმდაბლის მეტი სხვა ღონე ვერა ქნა გასაძალედა.[59]

59. თუცა კიდევ შენის ნახვის კალთა ხელში ჩამივარდა,
და ვერვინ დამხსნის უსიკვდილოდ, რაც ცოცხალი ქვეყნად ვარ და.[60]

60. ვერძს მისი შიშით ცაშიგან ძოვნანი ეზარებოდა,
და მის მესაკლავედ მესისხლე მარიხი იარებოდა.[61]

---

[54] ნუ ისმენ ყოველს სიტყვა(ს)ს, გაიგონე ჩემი სიტყვა!

[55] თუ კარგსა იქ, სანაცლოდ კარგს მოგაგენ. თუ ავსა იქ, იმის სანაცლოდ ავის უაკვს მიგაგენ. დღეს კარგისა და ავის უამბობარი დღე იქნება, რომ ავი და კარგი გამოგიცხადონ!

[56] ერთის ლამაზის ჰირის მოგონებით იმის იშუისაგან ყოველი ქვეყნის თვარალანი (?) მაქვს.

[57] მბრუნავს ცას ამის მეტი საქმე არა აქვს, ორნი საყვარელი რომ გაყაროს.

[58] შეტევების დროს ცეცხლის მურელს მუსსაყით, გაფრენის დროს ცეცხლის მსგავს ქარსავით.

[59] რა შეკარდენმა ტრედს შემოუტიოს, დაცემისა და განაბყის მეტი სხვა ღონე არა აქვს.

[60] თუ კიდევ შენის შეერის კალთა კელში ჩამიყარდა, სანამდი ცოცხალვარ, ჩემს ხელიდამ ვერაყინ გამაშვებინებს.

61. მათ შეექნა ბრძოლა დიდი, მჭვრეტთა მათთა შესაზარი,
და მან ათასის ხერხის(ა) ცდით გზა იპოვა გასაპარი.[62]

62. აღმოვიდა ბოლოშლილი, ბედსვიანი ფარშამანგი,
(და) წუთის ბაღში სეირნობდა შვენიერი, პირად მანგი.[63]

63. ეშმაკი – მახედ, საკენკი სოფლის გემოდა სახესა,
და გული ჩიტია, საკენკის ნდომა გააბამს მახესა.[64]

64. მოსავალის ჭირის ისარს რა საქმისგან გასვლა უნებს,
(და) ფიქრისა და რჩევის ფარი იმას ვეღარ დააბრუნებს.[65]

85. დაღალულობით საწყალმა კოზაკმა უთხრა: დედაო,
აწ მოვისვენოთ ცოტა რამ, შევსწუხდი ამას ზედაო!
გასცა პასუხი დედამან: უგბილო, საქმით ბედაო,
და სჭვრეტ ხომ ავშარას სხვა მისწევს, საპალნე მაძეს ზედაო![66]

66. ორმო იყო და ჯურღმული, მეტად ღრმა მისი ძირია,
მეშვიდეს წილსა მიწასა სწვდებოდა იგ დუხჭირია:
ცას გარეშემო შემოვლა ნდომა და დიდი ჭირია,
და დაიღალა და უწინვე ენახა ვერც ნაპირია.[67]

67. გახსოვს, ოდეს შენს კარზედ ვჯექ, ლხინი არსით მელეოდა,
შენის კარის მიწისაგან თვალთ სინათლე მეძლეოდა,

---

[61] ვერში მისის შიშით ცაში ვერას ძოუს და ვძებს (?), სისხლის მღვრელი მარიხი მეცხვარედ ეოლოდა.

[62] მფრინველი მფრინველის საბძოლად აღდგა, ის ათასის ხერხით შუადამ გაიპარა.

[63] ბედნიერობით გამოვიდა მზე ფარშამანგსავით, სიმხიარულით გაფრინდა სერის საძოთხეშია.

[64] სოფელი – ეშმაკის მახე და საკენკი – ბუნების გემოს ნდომა. გულის ჩიტს საკენკის სიხარბე მალე მახეში გა(ა)ბამს.

[65] განცებულების იხარი თათბირის ცერიდამ რა გავარდა, არ დასცდება, რამთონიც თათბირის ფარი უფარო.

[66] აქლემის კოზაკმა დედას უთხრა: ამთონს რომ მიხვალ, ჰატარა დაიცაო. უთხრა: „თუცა ჩემს ხელთ იყოს აუშარა, ვერავინ ვერ მნახუვდა მე ეთარში საჰალნეს ქვეშ".

[67] რა ორმო, რომ მისი ძირი მეშვიდეს მიწას ჩასცილებოდა. ცას თუცა მოენდომებინა მისი სიმრგვალის შემოვლა, მოიღლოდა და გარ ვერ შამოუვლიდა.

გული მქონდა შენი ჩემდა, არცა ერთ წამს მელეოდა,
და რა ვქნა, ჩემი საწადელი ცუდი მექნა მეწლეოდა.[68]

68. თვალო, აღმეხვენ, ბრწყინვალე საყვარლის პირის მპოველო!
(და) ღ(მერ)თო, რა (გ)კადრო დიდება, ქმნულთა კეთილის მძლეველო?! [69]

69. ეშყის ჯავრი რაც გავსწიე, საკითხავი აღარ არი,
(და) რაც ნაღველი გაყრის ვნახე, სათქმელად არს შესაზარი.[70]

70. ვით გლახამ მაზედ იხაროს, პოოს რამ საქონელია![71]

71. იტყოდა თუ: „ნეტარ ღმერთო, ცხადსა ვხედავ, ანუ ბნელსა?!“[72]

72. სისხლი სწვეთდა ძვლებისაგან, იტყოდის თუ თავსა ხრისა:
„მუნ მივრბოდი სულის შიშით, ეგებ დავრჩე მას ოხრისა;
მოისარის ხელისაგან არ დავსუსტდი ავის მხრისა;
არ ღირსიყო სახლში ყოფნად დედაბრისა ნაოხრისა;
დასჯეროდი, ის გიჯობდა, მა დობღაჭსა ჯამის ძირსა,
(და) არ იცოდი, ფუტკრის კბენად თაფლი, უთქვამთ, არა ღირსა!“[73]

73. ვერ მოისვენებს სამეფო ვერათი, ვერა, ვერაო,
(და) თუ მოსვენებას შენ ეძებ და მუდამ იმას მზერაო!.[74]

74. მგზავრობა მოგნდომებია, ღმრთის წყალობა შენთან იყოს!
75. ვინც დაიბადოს, მან უნდა ჭაშნიკი ნახოს ვებისა,

---

[68] ნეტარი იყო ის დღე, რომ შენი შესაყრელი ადგილი ჩემი მანძილი იყო, შენის კარის მიწისაგან თვალ სინათლე მქონდა; გულში მქონდა, არადროს მოუვარეს არ გაეეყარო; რა ვქნა, ჩემი გულის საწადელი და ჩემი ნდომა გაცუდდა.

[69] მე ვარ, რომ თვალი მოუკის ნახვით აღმეხილა. რა მაღლობა შამოუწირო, ეჰ, მონათმჰყრობელო!

[70] ჯავრი ეშყისა მომიწევია, ნუ მკითხავ! სიმწარე სიშორისა მომიწევია, ნუ მკითხავ!

[71] ვითა გლახამ თუთრის კანძი იპოოს.

[72] ეჰ, ღ(მერ)თო, ამას რომ ვხედავ, ცხადია თუ სიზმარი ჩემს თავს, ამ სიკეთეში ამთონს ჭირს უკან?(ჰოეტური ფრაზა ამოღებულია „ვეფხისტყაოსნიდან“.)

[73] სისხლი გამოსდიოდა ძვლებიდამ და მირბოდა. სულის შიშით ამას უბნობდა და მირბოდა: „თუცა მოურჩი ამ ისრის მკერდის ხელიდამ, მე და თავგი და იმ ბებრას* ნაოხარი, დაჯერება უკეთესია თავის დოშაშისა; არ ღირს სოფელი ამ დაჯრის და ფუტკრების კბენად!“

[74] ვერ მოისვენებს შენი მამული, თუ შენს მოსვენებას ეძებ და ათაევებ!

(დ ა) ამ სოფლის ღვინის ჯამისა და ქვეყნად გათავებისა![75]

76. მანამდი ესჭვრეტ ამ დაფარულს, ვსცნა ამისგან რა გამოვა![76]

77. ხეს რომ წყალი არ დასძირავს, — მიზეზი იგავებისა:
(დ ა) მას გაუზდია, ამისთვის ერცხვის და ეკლემებისა.[77]

78. ბერთა სიცოცხლე მიდიან, მგზავრობენ მგზავრთა წესითა,
(დ ა) მისთა მტერთაგან ვერ ვნახოთ, ქარმან მოგვბერნეს გესითა.[78]

79. მტერი წავიდა ამ სოფლით, ცრემლი თან გაიტანა მან.[79]

80. დაღის ადგილს მალმის დება არას არგებს უსაცილოდ![80]

80[1]. სადაც ხ(ა)მდეს დაღის დასმა, მას მალამმა ვერა კურნოს!

80-ა. სად სწადდეს დასმა დაღისა ცეცხლითა მოსადებითა,
მუნ მალამოსა იყოსცა გამპირე დასადებითა, —

ვერ კურნებს იმას მკურნალი, მთავრობდეს კელოვნებითა,
დ ა გინ სიბრძნის შუქსა სამუდმოდ მყოფობდეს მოვანებითა.

81. შენ წახვალ და მე საბრალო რას იმედით აქ დავრჩეო,
(დ ა) უცხო არის გაგეყარო, თუ ცოცხალი მე მოვრჩეო.[81]

82. მოყვასო, წადი, რაცა გაქვს, ანუ რაც ზედა გკიდია,
(დ ა) ერთი მოყვარე იყიდე, მას ცუდად ნუ გაყიდია![82]

---

[75] ვინც დაიბადოს, ღონე არა აქვს, უნდა დალიოს ჯამნიკი – ამ სოფლის ჯამისაგან გაცუდება!

[76] ვნახოთ, ამ დაფარულიდამ რა გამოვა!

[77] ხეს რომ წყალი არ დასძირავს, რა იგავია ამისი? – რცხვენია თავის აღზრდილის დანთქმა.

[78] „გესითა“–გეზითა.

[79] ჩემი მტერი წავიდა, შუადამ (შუაღამ?) ჩემი ცრემლი თან გაიტანა.

[80] სადაც დაგუნის დასმა გინდოდეს, იქ მალმის დადება არასა არგებს.

[81] მიხვალ და მე საბრალო კრჩები. უშენოთ როგორ დავრჩები, გაკვირვებული ვარ.

[82] ეჰ, მოყვარეც, წადი, რაც რამ გაქვს, მოყვარე იყიდე და ნურასფერში ნუ გაყიდი!

82–ა. უგვართა წერთნა და სწავლა ძნელი არის მისაცემად,
გველი უბეს არვის უხამს, რომ გაზარდოს მის საცემად,
შაქრისა და ნუშის გემო ან ძალს ექნას არ საცემად,
(და) ვარდს ვერ დაჰკრეფს ეკლის მრგველი სულნელების გამომცემად!

83. განგებით ქნილსა რისხვასა კაცი ვერ დაერიდება![83]

84. მიველ, ურმუზის კელმწიფე იყო მორჭმით და შვებითა,
არ მნახა, ბევრი მიბოძა ზედა და ქვე საგებითა.
ვნახე იეზდის კელმწიფე, დავლოცე მისის ნებითა,
და არა მომცა რა, წამოველ, რა მერგო გვერდთა ხლებითა?![84]

85. მინდობა და ერდგულობა ძაღლსა მოსდგამს მეტად დია,
(და) მას კაცსა სჯობს ათას–წილად, ვის ეს საქმე გაუგდია![85]

85[1]. ბუნებით ძაღლსა რომ მოსდგამს მინდობა, ერდგულობანი,
და მას სჯობს ასწილად უთუოდ, ვისაც აქვს ამის კლებანი!

86. შორს გამ(ა)გდებს, დამიძახებს, მაინც მივალ კოდევ (ფრე)ნით.[86]

86[1]. შორს გამაგდებენ, მალ მოვალ, რა დამიძახებს, ფრე(ნითა).

86–ა.გარეთ ნაჩვევი მფრინველი, აწ ასე თავშეწყენითა,
(და) შორს გამაგდებენ, მალ მოვალ, რა დამიძახებს, ფრენით(ა).

87. წესობს – ეკალის გაფ(ხ)აჭვა, მედიდურთ – უწყალობანი![87]

87–ა. (.....)
ამპარტავანის კაცისა სამუდმოდ უწყალობანი.

---

[83] განგების ბრძოლა არ გაეწყობა.(ჰოეტური ფრაზა ამოღებულია „ეეფხისტყაოსნიდან".)
[84] ჰურმუზის კელმწიფეშან, თვალთაგან განუცდელმან, მრავალი წუალობა მიყო. იეზდის კელმწიფე ვნახე, დავლოცე და არა მამცა რა.
[85] უჭთიბარი ძაღლს რომ მისდგამს, მას კაც ჯობს, ვის არ მოსდგამს.
[86] რაკიდ შორს გავგაგდონ, დაგეიძახებენ, ფრინვით მოვალთ. 86.ა. გარეულნი მფრინველნი რომ შორს გამაგდონ, რა რომ დამიძახებენ, გამოებრუნდები და მოვალ.
[87] წესია მედიდურთ უწუალობა და ეკალთა დაფხოჭნა.

88. სვე-ბედის წერის სახმილი აღეგზნა, დაუშრეტია,
და ხერხი და ფიქრი სულ დასწვა, ვითა ნაძვისა სვეტია.[88]
89. რა ვარდი პირსა გააღებს, არ ვიცი, უბნობს თუ რასა, —
და საბრალო მისსა ბულბულსა ცრემლს შეუქს მოსაწურავსა.[89]

90. რა ნახავს ვარდსა ბულბული, დაათრობს ეშყი მისია,
და სურვილით ჭკუას დაკარგავს, ძალი სჭირს ნეტარ ვისია?![90]

91. ვინ შექმნა ცა და ქვეყანა სიბრძნით და ხელოვნებითა,
ავსა და კარგსა შიგ არჩევს კეთილით გინდა ვნებითა:
კარგისა ნაცვლად კარგს მისცემს მზეებრ შუქ-მოვანებითა,
და მაშ, ავის მქნელი რას ელი გინდ ძალით, გინდა ნებითა?![91]

92. ბევრის სარგებლის მდომელი დიდს ზიანს შეეყაროსა,
და ვის ეს არ უნდა, ამ საქმეს დაეხსნას, გაეყაროსა![92]

93. წრე ვისმე სადმე მოევლოს, ეცადე გარდაჩომასა![93]

93[1]. (...) რომ სადმე წრესა შეეხო, ეცადე გარეთ დარჩე!

94. მოახსენა: „ხელმწიფეო, გწადს თქვენს წი(...),
ვერვინ მორჩეს საწუთროსა, რომ არ მისცეს ბოლოს ვნება,
დღეს, აქამდის ჩემს ხელთ იყო წადილი და ჩემი ნება,
და აწ სანთელი სიცოცხლისა გაქვს ანთება, გინა ვსება“.[94]

95. ამჟამად კაცთა მინდობა ამხანაგთაგან ძნელია,
საწადის პირთა გამთავე საქმით არა ჩანს მქნელია,

---

[88] ბედის წერის ცეცხლი ენთო და ფიქრი და ხერხი უველა დაიწვა.
[89] ესე ვარდი, არა ვიცი, ჰირს რომ აღებს, რას უბრძანებს, რომე ეს საბრალო ბულბული მიახლოებულ არს ტირილსა.
[90] ბულბული ოდეს ნახავს ვარდსა, დაათრობს მის სიყვარული და ჭკუას დაუფანტავს.
[91] ცისა და ქვეყნის დამაარსებელი ავისა და კაის გამრკვეველია: კაისთვის კაის მისცემს, ავისა მქნელი რაღას ელის?!
[92] ბევრის სარგებლის მდომელი ზიანსა შეეყარა. თუ ზიანი არ გინდოდეს, უზ(ო)მო სარგებელს დაეხსენ!
[93] საცა რომ წრე შემოეკლოს, ეცადე, მას გარეთ დარჩე!
[94] (...) აქამდის ჩემი ნება ჩემს კელთ იყო და აწეა რომ შენ ჭიაბელე, შენს კელთ არისო.

რომელიც მშვიდი გგონია, იგ კერკთა მომფენელია,
და მუცლის ლხინად და ნადირად უჩანს საქმენი ბნელია![95]

96. რაც შტო შენით რომ ამაღლდეს, ნაყოფთ მქონედ აღემართოს,
ნუ დაამსხვრევს კელი შენი, რაცა გინდა დაგემართოს!
საძრახავ(ა)დ გაუხდების, ვინც ეს ასრე წარიმართოს,
და აუგი და მოყივნება ერთმანერთსა მიუმართოს![96]

97. რაც გვმართებდა, ის გაგწვართეთ; არ ისმენ, შენი ბრალია![97]

98. შენს ხელქვეშეთთა იურვე, გყავს შენცა უზეშთესები![98]

99. მოკრიფა ყოვლი ფიცხელი მებრძოლი, მეომარია,[99]
(და) კლანჭ-ნისკარტითა დამფრენი, ამაზე მოსახმარია.

100. ერთის კაცის მტერობა სძლევს ათასისა მოყრობასა![100]

101. ვინც იხარებდეს სხვის ავზე, იმას მიენდოს სხვა ვინა?
(და) ზნეთა სჭირს, გვარად ეს მოსდგამს, ნეტამცა დამაწვევინა![101]

102. ერთი სცემდა კლდესა ზედა, ერთი ფიჩხსა იფარებდა.[102]

103. რა არ იქნას საქმე ჭკვითა, ხელობითა შეეცადე![103]

104. მასვე მოიმკი უთუოდ, რაც საქმე დაგითესია![104]

---

[95]

[96] რომელი შტო შენის კელით ამაღლდეს, მას ნუ დაამტვრევ შენივე კელით, შენი უკადრისობაა!

[97] იხვებმა ჩაშოსძახეს: „ვგმართებს შენი სწავლება, შენ რომ არა ქნა, რა გიყოთ?!“

[98] შენზედ მდაბალთათვის ინადელე რამ, რომე შენცა გეკე შენსა მომაღლო.

[99] შემოკრბენ (...) ყოვლი ფიცხ მეომარი, მოდგმით სისხლის მსმელნი და კლანჭ-ნისკარტით მებრძოლნი.

[100] ათასის კაცის მოუკრობას ერთის კაცის მტერობა სძლევს!

[101] რომელმაც იშხიარულოს სხვათა ავს საქმეზედან, მას მინდობა არა აქვს, გვარად და მოდგმით სჭირს ზნე ეს.

[102] ერთი აწუეტდა კლდესედან და მეორე ფიჩხს იფარებდის.

[103] თუ ჭკუით საქმე არ გარიგდეს, გიყობა გამოიჩინეო!

[104] რასაც დასთეს, მასვე მომკიო!

105. უსულომ გვამმა რა არგოს, რომ იყოს ვისმე არებსა?
(და) გემო არა აქვს, თუ ცოდნას კაცი ვერ მოიხმარებსა![105]

106. არ გათეთრდება ყორანი, რაგინდ რომ რეცხო ქვიშითა,
(და) არც შავი მატყლი აგრეევე გინდ ძალით, გინდა შიშითა![106]

107. არ გამოდგეს ყვავი ქორად, არც უგვარო – გვართა სწორად![107]

108. ელიასა წვიმის მსგავსად ხამს, მცოდნემა კაცსა უყოს;
(და) სწავლა არვის დაუჭიროს თუ მსმენელიც არ სჯერიყოს![108]

108–ა. ცოდვას მოიმკის მადლის წილ, ვინც ამას დაიშურებსა:
ელია წვიმას მოიყვანს, არვის არ მოიმდურებსა,
მის მსგავსად შენცა სწავლანი, ისმინე კაცთა ყურებსა,
და არ დაეჭირვის, ვინ ისმენს და ან ვინცა არ იჯერებსა!

108–ბ. ნუ დაუშურებ შენს სწავლას, ასმინე კაცთა ყურებსა,
და არ დაეჭირვის, ვინ ისმენს, ან ვინცა არ იყურებსა!

109. (.....)
სულ კაცის სისხლის მღვრელია, ამისი მწადე, ნებული,
კვლავ სავარცხელი ორპირი, არ მისებრ ამაღლებული,
და მეფეთ და ტურფა კე(კ)ლუცთა მიწყივ აქვსთ თავსა ხლებული.[109]

---

[105] გემო არა აქვს ცოდნასა, თუ არათ მოხმარება და, თუ მჭორსა სული არ ადგა, არათ გამოიყენება.

[106] შავით ნაქსოვი ჯეჯიმი მის დღემი არ გათეთრდება, გინდ უკვდავების წყლით რეცხო, მას არ მოეკიდება.შდრ.„ხალხური სიტყვა“.გვ27.

[107] რომელი ავკაცი გამოდგა, მისგან იმედი ნურა გაქვს რა. ყვავი ქორათ არ გამოდგეს, რაგინდ ბევრს ეცადონ.

[108], 108–ა. სწავლება კაცს არ დაეშურება, რაგინდ მის მსმენელი არა ჯერ იყოს. ელია წვიმას მოიყვანს, არავის მოიმდურებსო. 108–ბ. შენს სწავლას ნურავის დაუჭერ, უთხარი, რაგინდ რომ დანაშაული გამგონის მხრით იყოს!

[109] კმალი არის სისხლის მსმელი, სავარცხელი საჰატიო და ტურფათ თავსე მოადგილე. 109–ა. სისხლსა სჯამს ხმალსავით, ვინც ამ სოფელს ერთგული და ერთპირი იყოს თავის კარგ ბუნებაისაგან. ვინც სავარცხალსავით ორპირი და აქენა არის, ყოველი კაცი თავის თავზე ალაგს მისცემს.

109–ა.სისხლსა სვამს, ვინც არს ამ ჟამში ხლმის მსგავსად ერთ–
პირგებული,
ანუ ერთგული, ერთ–ენა, წმინდას გვარითა ქებული;
ვინც სავარცხლისებრ ორპირობს, ენით არს ამაღლებული,
და თვისთა პატრონთა თავზედა ადგილი აქვან ნებული.

110. ეკალს გავხარ: დაგლეჯის მეტს კაცი ვერას გამოგრჩება![110]
111. ენა კაცთა ხვითოთა და თერიაყად ორად რაცხე,
(და) ერთი მიეც მოყვარეს და იგ მეორე მტერსა დასცხე![111]

111–ა. ეს ენა ჩემი შხამი და თრიაქფარუხი არისა,
(და) ერთი მოყვისია საამოდ, მეორე მტრის სიმწარისა.

112. რა გაწყდეს სამე საბელი, შეკრავ, დარჩების ნასკვები![112]

112–ა. რა რომ გვარლი მეგვარლემმა ჩალხითა ქნას შეგრეხილი,
რა ის იქნას, რასაც ადგილს გაწყვეტილი, გატეხილი,
ვეღარ შეკრა, რომ შეიქნა მეცადინე მეტად ფთხილი,
და კვლავ მას ნასკვი შესატყობი არ დააჩნდეს ვითა თხილი!

113. ბაძევდე სურნელთ მსყიდველსა, ისმინე ჩემი თხრობილი,
რომ შენგან სული სურნელი ყოვლთ ეცეს, არ გქნან გმობილი,
ნუ გაუხარ მჭედელ(ს), შენს წინა მოსვლად ვინც იყოს! სწრობილი,
და წინწკალს ისროდე, სულ დასწვა, გული შეუქნა პობილი![113]

114. სხლისა ქება რაღა გითხრა, სიტკბოსა და გემოსანი,
(და) ლიტრა იყო თუ რამთენი შაქრის მინის ამოსანი.[114]

115. შეყრა უხარის, ბაღისა საერანს შე(ე)ქცეოდეს.[115]

---

[110] იმ ეკალს გავხარ, რომ ზიანის მეტს კაცი შენ ვერას გამოგრჩეს.
[111] თრიახ–ფარუხი, სამსალა ორივ სდის კაცთა ენასა. შხამი და თრიაქ–ფარუხი ორივ არს ენასა კაცთასა. ერთი მოკეთეს უბოძე, მეორე წასცხე მტერზედა.
[112], 112–ა. როდესაც საბელი გაწყდება, შეჰკვრენ და ნასკვი დარჩება.
[113] ათარ შეაფთიაქე იეავ, რომ შენგან ყოველთ კაი სული ეენოსოს, არამთუ მჭედელი, რომ წინწკლის სროლით ვისმე დასწვეედე.
[114] სხლის ქება როგორა გსთქვა, იმისთანას ტკბილისა და გემრიელისა. ლიტრა არის შაქრის ეინულისა თაედაღმა დაკიდებული შიგნით საგსე.

116. ბუზმაც არ მინდა დაფაროს მის(ი) ტუჩი და ლაშები![116]

117. თუცა თუ მტრისა სიკეთე, ჭკუა, სიბრძნე და გონება —
კაცთაგან დიდად საწყენ არს მისი ამგვარი ქონება,
მაგრამ უჭკუო მოყვასი იმას არ შეეწონება,
და სჯობს ათასწილად უთუოდ მისივე ხლება, მონება![117]

118. „რაცა მე ვქენ ესე საქმე, არ უქნია არა რჯულსა".
— თავი დაღმა ჩამოაგდო, იგონებდა მისგან ქმნულსა:
„ვინცა მოკლავს გაუსინჯად მოყვარესა, არ ორგულსა,
და ვეღარ არგებს სინანულით, ვერცა წამლით მისსა წყლულსა!"[118]

119. დღეს გვმართებს ლხინი, განცხრომა წესითა მეტისმეტითა![119]

120. სიმწუხარის ნაღველისაგან ცივს ოხრას სწევს მეტისმეტსა,
(და) იტყვის: „რაც ვქენ, არ უქნია არცა შმაგსა, არცა რეტსა!"[120]

121. არ დასთესო სადმე ქერი, რასთვის ელი მისგან ქრთილსა,
(და) ან კიტრისგან სიტკბოებას, ან ავის ქნით კარგის წილსა?![121]

122. ხენი დარგე ხილის მქონე და ბოროტი აღმოსთხარე,
(და) ერთი, ორი წა(ა)ხდინე და მრავალი გა(ა)ხარე![122]

123. მე მკვდარი ვიყავ, გავცოცხლდი ჩემისა საწადელითა,
(და) ნარჩომი სული მოვიდგი, ჭირითა ვიყავ ძნელითა.[123]

---

[115] ბაღის საერანს შაქცენ დია და ერთმანერთის შეერა უხარდათ.

[116] ბუსიც არ მინდა დაჯდეს მას ტუჩს.

[117] მტრის სიბრძნე და სიჭკუიანე კაცთაგან საწუენია, მაგრამ რეგვენის მოკეთეს ათასწილად ჯობს.

[118] გაუსინჯავის საქმით მოკეთემ რომ მოკლას, სინანური ვეღარ განკურნებს, რაგინდ ბევრი თქვას ენითა.

[119] დღესა გუმართებს სიხარული ამა კარგი საქმითაო.

[120] სწუედა ნაღველისა და შურისაგან ციეს ოხრასა: „რაც მე ვქენ, სოფელში ვინა ქნა?!"

[121] თუ ავსა იქ, კარგს ნუ ელი: კიტრანას სიტკბოს ნუ ელი; შემოდგომას ქერი სოესო, საშკალზე ხვარბალს ნუ ელი!

[122] ხენი რგენით მსხმოიარე და ქვეყნის ცეცხლის დაწვას ერთი-ორისა ირჩევე!

124. რაც საზრდელი ღ(მერ)თს კაცთათვის დღივ და ღღევე გაუგია,
(და) ვერ შემატებ, რომ ეცადო, დაგეღების აუგია![124]

125. ყოფილა ვირი უკუდო, კუდისთვის იარებოდა,
შეხვდა ჯეჯილსა, შევიდა, შესვლა არ ეზარებოდა;
მეველემ ნახა, იწყინა, მას არად ეხარებოდა,
და ორივ ყურები დააჭრა, ეს უფრო ემწარებოდა.

საბრალოს ვირსა, კუდისა მძებნელსა, მეცადუნესა,
ყურებიც დაადებინეს, ამრიგად გაამძუნესა;
წესს გარეთ ფეხის გამდგმელსა და რიგის დამაწუნესა
და ასრე მოუვა უთუოდ ამ წესთა მაცადუნესა.[125]

126. როგორც გა(ა)რჩევს ხაბაზი ცომის ზელაში ბეწვებსა,
(და) ვეცდები მისის მსგავსობით საქმესა დასახვეწებსა.[126]

127. ავს კაცთან ჯდომას ერიდე, ისმინე ჩემი თქმულები,
შენს სიკარკაცეს დაფარავს მისი სიმყრალის სულები;
ვერ ხედავ, მცირეს ღრუბელსა მეტობდეს გინდა ფულები, —
და მზის სიდიდესა დაფარავს, ექნების დამასულები.[127]

128. შენ რომ აგხსნა, ვის მოვაბა სიყვარული, გინდა ნდომა![128]

---

[123] მე მკვდარი ვიყავ, გავცოცხლდი ჩემი საწადელით, მყორეთ სული მამეცა ნადირის ნარჩომისაგან.

[124] საზღელი გაჩენილი გაქვს დამბადებლის ღ(მრ)თისაგან; რაგინდ ბევრი მოიპყრო, მისგან ვე მოიმატოო.

[125] ეოფილა ვირი, ერთსა დროს კუდი არა ჰქონია. მას უკუდობის ჯავრი და ნაღველი ერთს დღეს მოემატა, კუდის საშოვრად ქვეყანაზედ იარებოდა და ფეხით ცდილობდა კუდის შოვნას; ცდილობდა და არას უბნობდა. ანაზდად, უნდომლად, უწადილოდ მისი გზა შესვდა ერთს ჯეჯილში და უნდომლად შევიდა. მეველემ ანაზდად შორიდამ დაინახა, ფიცხლად მოუხდა და ორივე ეურები დააჭრა. საბრალო სახედარმა თაყის კუდის ნდომას ვერც კუდი იშოვნა და ორივ ეურები ზედ დაადგა. რამანც კაცმა სამძღვარს გარეთ ფეხი დადგას, შეიტეკვ, ბოლოს ეს არის მისი სანაცვლო!

[126] ღ(მერ)თითა ყველას მალ გავარკვევ კელმწიფის სამსახურსა, ვითარცა გაარკვიოს ბეწვი და თმა ხაბაზმან ცომის ზელასა.

[127] ავხა კაცთან ნუ დაჯდები, მის სიავკაცე დაგფარავს! მზესა მის სიდიდობით მცირე ღრუბელი დაჰფარავს.

129. რა მოხდა, რა წაგეკიდა, ან რა გაქვს სანანებია?
(და) შენი ამთონი ნაღველი ერთხელ არ გიბრძანებია![129]

130. სამსახური და მინდობა მას ქონდა მეტისმეტია,
(და) მსგავსსა ვერ ვპოვებ, ამისთვის ვარ ასე განამეტია.[130]

131. მეფეო დიდად მაღალო, სიდიდით შეუდარაო,
შენთა მტერთა და ორგულთა დამცემო, გამამწარაო,
ვით სული ჩემსა გვამშია, უცნობო არის გარაო,
და ეგრეთ დავფარო ეს სიტყვა, არ გახდეს შარა, შარაო![131]

132. კადრა: „მეფეო, ხვაშიადს ნუ უბნობ კაცთა წინარე,
სოფლის ბაღს სული ვარდისა არა აქვს გამომდინარე,
ნუ მიენდობი ნურავის, პირს გექნას ვინმე მცინარე;
და არვის აქვს სოფლის მინდობა, თქმულა ეს ამას წინარე!“[132]

133. არ მოგკვეთდა კისერს კმალი, თუ შენს ენას კლიტე ბმოდა![133]

134. თუ შენს ტვირთსა შენ ვერ ზიდავ, სხვამც ვერ უძლოს, რატომ გიკვირს?![134]

135. ვინ ერდგულად მ
ეფეთ მონოს, ყმ(ა)თში საქმე გაუჭირდეს![135]

---

[128] სიყვარული და კონება შენ რომ აგხსნა, ვის წაუღო? ან ვის ვანდო გული ჩემი შენის მეტსა?

[129] რა ქმნილა, რა დაგიშაედა, რაზედან დაგიღრეჯია? შენი ამთენი ნაღველი ერთხელ არ გიბრძანებია!

[130] სამსახურის და მინდომის რიგი, ის იყო, მას ჰქონდა, მისთანა ველარსად ვპოვე, რაც საქციელი მას ჰქონდა.

[131] ვით სული ჩემი გვამსა ჩემს დაფარულ არს, ეგრეთვე საიდუმლო შენი დავფარო.

[132] გულის ხასუხსა ნუ უბნობ წუთის სოფლის ბაღსაო, ვარდის სული არვის უდის, ნუ მიენდობი კაცსა.

[133] თუ შენი ენა საიდუმლოს შემნახი ყოფილიყო, შენს კისერს კმალი ვერა ჰკვეთდა პკლმწიფისა.

[134] თუ კაცი თავის საჰალნის ზიდვას ვერ შეიძლებს, მისი ზიდვა სხვამაც რომ ვერ შეიძლოს, არა საკვირველია.

135[1]. ვინ ერდგულად მეფეთ მონოს, საქმე ექმნას გასაჭირად!

136. ღმრთის სამსახურს(ა) ვერა სჯობს სხვა რიგი ანუ წესები![136]

137. რად გინდა ესე სოფელი, ანუ რას ეჭიდებია?
(და) ცოტა იშოვნე იმისგან ქვეყნისა უდიდებია![137]

138. მეფე თუ გლეხთ გაუსვენებს, მასცა მიხვდეს განსვენება![138]

139. ის, რომ ბაღი შენ გინახავს, სულ ყვავილი დახდომია,
(და) შემოდგომას მოუსწვრია, მას ის მწვანე წახდომია.[139]

140. სვავის ძვლის ნდომის მეტ(ი)ა ეგ შენი მონდომებანი,
(და) რა ბრალი არის სვის შუქმა შენს მსგას(ს)ა უყოს ხლებანი![140]

141. მაგ სუფრისგან ნურასა სჭამ, შხამით არი შესვარული![141]

142. ხელი შორს გაქვს კეთილთაგან, ბოლოს საქმეს ვერა ხედავ![142]

143. თაფლი გონია და (ა)რის სიკვდილის შარბათებია.[143]

144. ნაღვლით ამევსო გუნება, ტირილი მმართებს მე დია,

---

[135] ვინ ერთულად იმსახუროს კელმწიფის სამსახურში, მას თავი გაუჯირდეს მტერთან და მოუვარესთან.

[136] ღ(მრ)თის სამსახური და მოციქულთ კაი წესი და რიგია, რომელი მას შეუდგეს, არა არს უმჯობეს მისი.

[137] ესე საწუთრო ნუ გინდა! ეცადე, საიქიოსა ცოტა რამ მისი იშოვო, იგ ქვეყნად ელირება!

[138] რომელი მეფე გლეხთ მოასვენებს, თვითცა განისვენებს. არა გაუჯიროს საქმე მათ ცხათა თვისთა.

[139] ის ბაღი, შენ რომ გინახავს, ყვავილი აღარსად დარჩა. შემოდგომა შემოესწრა, სიმწვანე აღარსად დარჩა.

[140] შენს ნდომასთან ომაინის ძვლის ნდომა უადგილოა. დოვლათის შუქი ბრალია ამისთანას მიეფარვის.

[141] ამ სუფრიდამ თუ იამებ კელს, ნუ მიაწვდი საჭმელად, შეუსურემიათ შხამითა, შენ ეს ნუ გეტკბობა.

[142] კელი შორსა გაქვს კეთილისაგან, ვერ ხედავ საბოლაოსა.

[143] შენ გ(კ)ონია, თაფლი არსო, მაგრამ სიკვდილის შარბათია.

(და) მტერმა მაცთუნა ბოროტმა, დამაკლო კაი ბედია. [144]

145. როს დაღამდება, აღთქმას ვიქ ამ საქმის განშორებასა,
და რა გათენდება, უფრო მწადს, ვერას ვიქ მის მოკლებასა. [145]

146. თუცა ბულბული ეკლისა სარჯელს არ მოითმინებსა,
(და) ვარდისა ტრფიალებითა ვეროდეს მოილხინებსა! [146]

147. მიწად შემქნია იმედი; ბედსა ვსთმობ, ვის უწერია?! [147]

148. ფესვს(ა) ხისა კეთილისა მოურწყევ და გა(ა)ხარე,
(და) ავი ვინმე ძეძეისებრივ ამოიღე, ამოსთხარე! [148]

149. მართლის მთქმელსა ყველა მტერობს, მაგრამ იგი არ წახდებ(ის),
(და) მტყუანი და არა წმინდა მიწა-მტვერად გარდახდების! [149]

150. მართლმსაჯულსა მეფესთანა უსამართლომ ვერ იხაროს! [150]

151. ვინც თავს ვერ ირგებს, მან სხვასა რა არგოს, რა (ა)ხაროსა?! [151]

152. სულს რას ვაქნევ, თუ იქნების შენის ჭირის სანაცვალო,
(და) მასვე წამსა არ გავხადო, დავაყოვნო, დავაცალო?! [152]

153. ქვა ბადახშანს ლალად შესცვლის, წელი გაელის რა ბევრ ასი,
(და) იამ(ა)ნის ქვეყანასა აყიყათ აქვს იმას ფასი. [153]

---

[144] ნაღვლით ამევსო გუნება, ტირილის მეტი რაღა ვქნა? მე ეშმაკმა დამატყვევა, ღონე მაძწყვიდა, რა უყო?!

[145] ღამით აღუთქვამ, დილაზედ ამ საქმით კელი ავიღო; რა დილაზე წამოვდგები, ნდომა მამიმატებს.

[146] თუ ბულბული ეკლისაგან სასჯელს არ მოითმენდეს, ვარდის ამიუობას ვერ ეწიოს.

[147] მიწად შემქნია იმედი; ბედსა ვთმობ, ვის უწერია?!

[148] კაის ხის ფესვსაით ურწყვიდი და ახარებდი, ავსა ძეძვისებრ ძირიან ამოაგდებდი.

[149] მართლისა მთქმელსა ოვეული ერი დაუმტერდება, მაგრა მართალი არ წაკდეს, მტეუანი მიწა-მტვერდება.

[150] უსამართლობა არ ვარგა სამართლიანთ [illegible] .

[151] რაც კაცი თვითან ვერ ირგებს, იგი სხვას ვერავის ვერ არგებს.

[152] თუ სული ჩემი შენის ჭირის სანაცვლო იქნებოდეს, რას ვაქნევ მას სულს, რომ შენს თავს არ ვანაცვალო?!

154. ბულბულთ ჭიკჭიკს ყურს არ უგდებ, ყვავთ ძახილსა ზედა ხარობ![154]

154-ა. ბულბულის ხმას ყურს არ უგდებ, ყვავის ძახილს ზედ დახარი!

155. სიჩქარე კარგი არ არის, თუ არ კეთილის საქმისა![155]

156. მიეხდით ჩვენსა საწადელსა: რას ვეძებდით, ისი ვპოეთ![156]

157. ვის არ სწადდეს სხვისთვის კარგი, ისიც ვერსად შე(ე) ყაროს![157]

158. ნახო კაცი, სამუდამოდ რა ავისა იყოს მქნელად,
(და) ადრე ვერ ქნა, გვიან იყოს, შე(ე)ცადე მოსაქცევლად![158]

159. არ ვჩივი იმას სხვისაგან, რაც ჩემით დამმართებია![159]

160. ვინც ჩოგნით ბურთი გაიგდოს, ხამს, თავსა გაატაროსა,
(და) ვინ ხელყოს ძნელსა საქმესა, ხამს, თავი გაიმწაროსა![160]

161. ნუ იქ ავს, სხვის ავს ნუ ხარობ, ნურც ავს კაცს შეეჯუფთები![161]

162. ყველასგან ღ(მერ)თსა მოვსძულდი, სით მქონდა იმედებია?!,
(და) სიკვდილი მიჯობს სიცოცხლეს, გული რით დამედებია?![162]

---

[153] მრავალს წელს მზისაგან ბადახშნის თემს ქვა ლალად იქცევის, იამანს აიუად აძეს ფასი.
[154] ბულბულის კარგი კალობა არ გესმის და სხვა ფრინველთ ჯუჯუილს ეურ(ს) უგდებ.
[155]
[156] დიდება ღ(მერ)თსა, ვპოვნეთ, რასაც ვეძებდით!
[157] რომელს სხვათათვის სიკეთე არ უნდა, მასცა კარგი არ დაემართოს!
[157] არა მართებს საჩივარი სხვათაგან, რომელი ჩემის კეთით დამმართებია!
[158] ოდეს კაცთა ავის მოქმედება ნახო, ნუთუ მსწრაფულ, მოკვიანოდაც მოქცევას ეცადო, კარგია!
[159] არა მმართებს საჩივარი სხვათაგან, რომელი ჩემის კეთით დამმართებია!
[160] ჩოგნით ბურთი თუ გაიგდო, ეცადე თავს გაიტანო; თუ ამისთანა საქმეს შეუდეგე, თავის მოჭრასაც არ დაზარდე!
[161] ნუ იქ ავსა, ნუცა ავს კაცს გაუამხანაგდები; რომელსა ავი მოუვლინოს, ნუ განიხარებ!
[162] ვისგანაც იმედი მქონდა, უოველგნით ღ(მერ)თი გამიწყრა; ჩემს სიცოცხლეს სიკვდილი ჯობს.

163. მტერი მოყვარე მეგონა, ამისთვის მოვიწყინეო,
(და) ასეთი რამე გავსწვართე, იმისგან მოვიყივნეო.[163]

164. თუ ეს ცოდვა მართალია, აღარა აქვს ამას შველა![164]

165. თუ უნახავად მოწმობდეს, ის თვალი მოსათხრელია![165]

166. ავს კაცს მიეცეს, ნუ გიკვირს, ბედი და ბედნიერობა,
(და) ზაკვა და ჩხუბი დაიწყოს, წაკიდოს მისმიერობა![166]

167. ვინცა მახეს სდგამს სხვა ჭირად, თვით გ(ა)ებმის უწინარე![167]

168.ჭკუით სჭამე, ეგე რამე ნდომით ბადეს არ გ(ა)ება![168]

169. მშიერი კაცი ჭირშ(ი)ა შესვლას არ დაიზარებსა,
(და) დოთ გამაძღარი სოფელსა სიკვდილსა გაიხარებსა?![169]

170. ბრძენთ უთქვამს: „თვალი მიუგდე, ვინ როგორ იარებისა,
(და) რაც კარგი ნახო, აიღე, ავი ნუ გეხარბებისა!“[170]

171. ვერ მორჩე ძალით, ვერც თეთრით მას განგებისა წერასა,
(და) არა ხამს თქმა, რატუმ ან ესე, ან ისა იქნა ე რასა![171]

---

[163] გავსწრთვენ ასეთი რამე, რომ მისის ენით მოვიეუანე. მტერი მოუვარე მეგონა და კელს უწყობდი.
[164] თუ ეს ცოდვა მართალი არის, აღთქმა არა აქვს.
[165] მოსაოხრელია ის თვალი, არ ენახოს და ტეუილად უმოწმოს!
[166] ნუ გიკვირს ავის კაცისაგან, რა დიდობა მოემატოს, საცა კელი მიუწედეს, ეთმანერთს გარდაჰკიდოს.
[167] რომელმან უდცას სხვათა მახე, ღ(ჱრ)თითა იგი თვითვე ჩავარდეს!
[168] ნდომითა ნუ აჩქარდებით მაგა საჭმლის ჭამასა, ჭკუაც შემოიკრიბეთ, რომ ბადეს არ ჩავარდეთ!
[169] შიშმალით შელონებული ჯირს როდის დაერიდების? ვინც გამაძღარა, ღეთაგან სიკვდილს დაეშურება?!
[170] ბრძენთ უთქვამს: „თვალი მიუგდე სხვათა და სხვათა საქმესა და რომელი კარგი ნახო, აიღე!“
[171] ძალითა და თეთრით ვერავინ მოიშორებს წერის ბძანებას, ვერც ძალით შეუძლია წერის მოუვანა კაცს!

172. წმიდას და თხლიანს ნუ არჩევ, რაც მოგხვდეს, კარგა სვიო და,
(და) მით, რასაც მოგცემს მეღვინე, წყალობა (ა)რი სვეოდა.[172]

173. სხვა ნადირი ინადირე, ან წაიღე ეგე მახე,
(და) ეგ ნადირი, რომე გინდა, ვერ გააბამ, — ასე ვნახე.[173]

174. ვის საწუთროში არა ყავს საყვარელი და გამწყოა,
(და) მას ლხინის ხისა მოსვლისა არა ექნების წამწყოა![174]

175. თუ დარგო ხილი კეთილი, ნაყოფთა გამომღებარე,
ანუ ხე მწარე, უხამსი, არას ნაყოფის მგებარე,
მოურწყო ძირი სამუდმოთ, უდგეს ძირს მისი მებარე,
და მას ნაყოფს მოგვცემს, რაც(ა) აქვს ბუნებით ანამგებარე.[175]

176. ამა ფიქრსა ჩამოეხსენ, არასადა არ მისწვდება![176]

177. მე რას მარგებს თქვენთან ლხინი, შენ ჩრდილისებრ კლდესა ჰფარავ![177]

177–ა. მზის პირთ თამაშის საფერსა ჩემს პირსა ვერა ვხედაო,
(და) მიჯობს ჩრდილისებრ კედელსა უკანა დავჯდე ზედაო!

178. თვალმა მოყვსისა უწესო რომ ნახოს, ვერა ნახ(ა)ვსა![178]

179.თუ უცხო თესლს ემეგობრო, დიალ, იყავ მორიდებით![179]

180. დიდს კაცსა კითხეს: „ერდგული რამთონი გელოდებისა?“

---

[172] წმინდას და თხლესთან შენ საქმე ნუ გაქვს, კარგგვარად ჰირს წამოიუდე, რომ, რასაც ჩვენი მეღვინე მოგვცემს, ყველა უეჭველად წყალობა არის.

[173] ეგ მახე წაიღე, სხვა ნადირი მოინადირე, რომ ეგ ნადირი, შენ რომ გინდა, მახეში არ ჩავარდება!

[174] ვისაც ქვეყანაში საყვარელი არა უავს, მის ლხინის ხეს მოსავალი არა აქვს!

[175] იდეა მეორდება ორიგინალურ ლექსში.

[176] ამ ფიქრიდამ ხელი აიღე, არსად არ მისწვდება!

[177] მე თქვენთან ლხინი რას მარგებს, რომ შენ ჩრდილებრ კლდეს ფარავ! 177–ა. სათამაშოს ჰირს მზისას ჩემს საქმეში ვერა ვხედავ. ის მიჯობს, რომ ჩრდილსავით კედელს უკან დაუჯდე!

[178] თვალი მოყვრის ავის მნახველი არ იქნება, ვერ დამინახავს.

[179] სხვას უცხოს თესლთან მეგობრობაში მორიდებით იყავ!

(და) თქვა: „ახლა ყველა კარგია; რა წავხდე, გამოჩნდებისა!“[180]

181. შენ რომ გამიშვა, გამაგდო, ახლო არ მომიკაროა,
ანუ პირობა მიტეხო, არათ არ დაიზაროა,
მე რომ გაგიშვა საწყალმა, ნეტარ რით გავიხაროა,
და ვერცა პირობას გაგიტეხ, რაგინდ რომ გამამწაროა![181]

182. უგვაროს მისცა სოფელმა სიდიდე მეფეთ დ(არობით),
პირი უჩვენა ბედმა და დასვა ყოვლთ ზემო ხარო(ბით),
გვარიანსა და მეცნიერს პური აჭამა ზარობით,
და არ შეაცილა კარსა და დარჩენ სულ გარის გარობით.[182]

183. იგი ერთი მოწყალებით გლახაკთ ჭირსა მოულხენდეს,
(და) იგ მეორე სამართლითა კაცთა წადილს აუხდენდეს.[183]

184. ჩამყვა ჯავრი თემთა ჩემთა, არაოდეს დამელია,
და მინდა სოფელს ღარიბობა, საგძლადა მაქვს ნაღველია.[184]

185. თუცა შენ ჭირი არა გაქვს, ჩემი რა სარგებელია?
(და) შენ მწყურვალისა რა იცი, წყლის პირს გაქვს საგებელია![185]

186. რა გულოვანთა დაიწყეს ხელისა გამოღებანი,
(და) მტერთ თავი მიწად დასცევდა, სისხლითა ქონდა ღებანი.[186]

187. ბევრს წალეკს, თუცა არ შეკრა გზა ღვართა მომავალია.[187]

---

[180] ერთს დიდს კაცს ჰკითხეს: „ერთგული რამდენი გუავს?“ ბძანა: არ ვიცი, ახლა ქვეყანა ჩემია, როსცა გავღარიბდები, მაშინ შევიტყობო.

[181] შენ რომ გამიშვა, მე ვერ გაგიშვებ; შენ რომ ჰირობა გასტეხო, მე ვერ გავსტეხ!

[182] უგვაროს მისცეს ქონება მართ კელმწიფის შესასწორი, გვარიანს და მცოდინარეს – არც ერთი ჰურის ნატეხი. უგვაროს უჩვენა ბედმან ჰირი და დასვა ზემო თავს, გვარიანი და ჭკვიანი კარსაც არ შეაცილეს.

[183] ერთი გლახათ მოწყალებით ულხენდის, მეორე სამართლით აშენებდის გულის დარბაზსა.

[184] ჩემის ქვეყნის ჯავრი ჩამეყვა, საღარიბოს ნდომა მაშიენდა, ნაღვლის მეტი საგბალი არა მაქვს.

[185] შენ რომ ჭირი არ გქონდეს, ჩემი რა დაფაუთია? შენ მწეურვალობის სიმწუხრე რა იცი, რუს ჰირზედა ზიხარ.

[186] რა გულოვანთ კელი გამოიღეს, მტრის თავი მიწასა გარიეს.

[187] ღვარის გზას თუ არ შეჰკრავ, ბეურს ააოხრებს და წალეკავს.

188. ჰე, მეფეო, სულ ხმელეთი შენმც გმორჩილებს ნებიერად,
ცა, ქვეყანა, ზღვა და ხმელი თქვენსზედ იყოს კარგად მზერად,
კლიტე იგი გამარჯვების ხელთამცა გაქვს დაუჭერად,
და თავი მტრისა ფეხქვეშ გეგდოს, დღენი წარველო ასე ბერად![188]

189. ცოტას რასმე გაუფთხილდი, არ შეიქნას ბოლოს ალი,
და დიდთა ხეთა მოერევის, მცირე დასწვავს ნაბერწყალი![189]

190. გადი ასპარეზს საბძოლად თავისა დაუზოგავად,
პირისპირ მტერსა გულსრულად გაეწყევ, ნუ ხარ მბორგავად;
ღ(მრ)თით საქმე შენის ნებითა მოგეცეს ართუ ეგ ავად, —
და ასე ქენ, ჩემი ნათქვამი იყავ მქნელად და მგებავად![190]

191. რა დრო შენთან არ მოვიდეს, შენ დროს მიყევ, რაცა სწადდეს![191]

192. სჯობს სიკვდილი და არ ყოფნა სიცოცხლეს აუგიანსა![192]

193. რადგან გიყვარს შენი თავი, გულის სიტყვა შეინახე![193]

193– არ ტკბილად უბნობს, ისმინე, კაცი მღვიძარე, ქებული:
(და) „თუ თავი გიყვარს, ხვაშიადს ნუ უბნობ, (გ)ქოდეს დებული!“

194. რად გინდა სხვაღა ჭირი და ან ჭმუნვა მოულხინები,
რადგან ვინმეა შენისა იღუმალთ მომასმინები;
ხამს, სულ ამაზე სტიროდე, (გ)ქონდეს ეს მოსაწყინები,
და სამუდმოდ თავსა ბასრობდე: „რა ვქენ და ეს რა ვინები?!“[194]

---

[188] მეფეო, კმელეთი სულამც შენი მორჩილი იქნების, ცა და ქვეყანა შენიმც კაის მდომი იყოს!

[189] მცირეს გაუფთხილდი, რომე მცირე ღვართაგან ბევრი ადგილი წალეკილა.(ჰოეტური ფრაზა ამოღებულია „ეყფხისტკაოსნიდან“.)

[190] ჰირისჰირ მტრისა გულსრულად იყავ და ღ(მრ)თითა საქმე შენის ნებისად მოგივა.

[191] თუ დრო და ჟამი შენ არ გაგეწყოს, შენ მას გაეწყევ!

[192] სჯობს სიკვდილი და ქვის ქვეშ ყოფნა, რომ ცოცხალი იყოს და ჩაგვრის ქვეშ იყოს!(ჰოეტური ფრაზა ამოღებულია „ეყფხისტკაოსნიდან“.)

[193] თუ თავი გიყვარს, გულის ჰასუხი კარგად შეინახეო! 193–ა. რა კარგად უთქამს მას გონიერს კაცს: „თუ თაყი გინდა, ხვაშიადი შეინახე!“

195. რა ვქნა, არ მივსდევ მე ნებით მზისა სხივსა და შუქებსა,
(და) მაგრამ სურვილის საბელი ყელს მაქვს და მაჩ(ა)უქებსა! [195]

195–ა. რა ვქნა, არ მივსდევ მე ნებით მზისა სხივსა და შუქებსა,
და მაგრამ თმის საგდებელითა მიმწევს და მიმაჩუქებსა!

196. პატრონი ხისა მას ირგებს, სხვის ბაღს რომ იყოს დგმულია?! [196]

197. თუ შენ შენი ხვაშიადი არ ძალგიძეს დასაფარად,
(და) სხვამ რომა თქვას, რატუმ გიკვირს, შენგან უფრო დაუზარად?! [197]

198. ყოვლის დიდების უკლებო, მეფეთა ზედა მეფეო,
მსჯავრით, სასწორით მოქმედო, დღივ და ღივ ამის მყეფეო,
წყალობის კარის გაღებით ერდგულთა მოიეფეო,
და ერთ განსვენების მყოფელო, მტერთა სისხლისა მჩქეფეო! [198]

199. თავს არცხვნის ბუზი, ფასკუნჯის ადგილსა ვერ დაიჭერსა! [199]

199–ა. ფასკუნჯისა მეიდანსა, ეჰა, ბუზო უსუსურო,
რა ალაგი შენი არის, ცხენის დაძვრა მოისურო;
შენ დაგგმობენ ყოვლი სული, ჩვენ მოწყენას შეგვაცურო,
და არა ღირსხარ, ჩამოეხსენ, თავი გაიმამაცურო!

200. რა ნელა მუხლსა მინდვრისკენ იქმოდენ, იარებოდენ,
(და) მათი თავები ცხენისა ქაჩაჩს ქვეშ დასცვივდებოდენ. [200]

---

[194] თუ შენი გულის საიდუმლო სხვამ იცოდეს, სულ მუდამ მისთვის ტიროდე, სხვა სამძიმარი არ გინდა!

[195] მე ჩემის ნებით მზეს არ მივსდევ, მაგრამ სურვილის საგდებელი ყელს მაბია.

[196] ვერას იხარებს პატრონი მისთანა ხისგან, რომელი სხვათა ბაღს იყოს დარგული.

[197] თუ შენ შენის გულის ჰასუხს ვერ შეინახავ, რატომ გიკვირს, რომ სხვამაც ვერ შეინახოს?!

[198] მეფეო, შენის მართმსაჯულობით და ერთათვის მოწყალების კარის განღებით ყოველივე ფრინველნი განსვენებულ არიან.

[199] ბუზი ფასკუნჯის ალაგს ვერ დაიჭერს, რასაც თავის თავს არ არცხვენს. 199–ა. ეჰ, ბუზო, ის ადგილი რომ ფასკუნჯის გასაფრენია, შენი ადგილი არ არი, შენს უსირცხვილობას გამოაჩენ, ჩვენ გაგვრჯი.

[200] ნელა წადი მეიდნისაკენ. იქნება თავები შენის ცხენის ფეხქვეშ გასრესილი.

201. თუ იცოცხლე ამავ რიგად, სამჯერ-ოთხჯერ კიდევ მოხვალ![201]

202. მეფე მდაბლის მოწყალებით ტახტ-გვირგვინსა მოიხმარებს![202]

203. ლომი არის ნადირთ მეფე, თავის საქმეს თვით ირჯება![203]

203-ა. ლომი არის ნადირთ მეფე, თავის სადილს თვით ამზადებს!

204. რა ერთი წავა, სხვა მოვა მას მის(ს)ა ნაალაგებსა![204]

205. ვაჟკაცობის დღემ და ჟამმა, ვაი, რომე გაიარა,
როგორც იცი, ჩემი დღენი ესე წარხდა, წაიარა,
სინანული გამიმრავლდა, ნდომა დასცხრა, ჩაიარა,
(და) თავიდამე გამოვიდა ნდომის ქარი გარის-გარა.[205]

206. თუ დღეს არ ისმენ ჩემს ნათქვამს, ხვალ აგიჩნდეს სანანულად![206]

207. მე ალაგს მომიყვანია წესები სიბრალულისა,
(და) თუ დამიჯერებთ, თუ არა, თქვენ იცით თქვენის გულისა![207]

208. ვინც არ მოყვეს შენს სამართალს, ტარსა ზედა ჩამოკიდე![208]

209. დღეს რომ აჭენო შენ ცხენი ბედაური და მალია,
ხვალ ქამანდზედა დაგიბმენ, ნებაა ანუ ძალია,
ვაჟკაცობა და სიტურფე გაიელის მეტად მალია,
და უყურე, დაბერებულხარ, საქმეა წარმავალია.[209]

---

[201] ვინ დარჩება, თუ ერთხელ-ორჯერა სე მოხველ?!

[202] მეფე (ს) საბრალოთ მოწყალეს ღ(მერ)თი ტახტ-გვირგვინს გამარჯვებაში მოახმარს.

[203] ნადირთ კელმწიფე რომ ლომი (არს), თავის საქმეს თვითან ისაქმებს. 203-ა. ჯიქნი რომ მონადირე ლომნი არიან, თავის მოციქულობას თავის ფეხით იქს.

[204] ერთი რომ წავა, სხვა მოვა მის ადგილს.(ჰოეტური ტაეპი „ეეფხისტყაოსანი“.)

[205] ვაი, ვაჟკაცობის ჟამი წავიდა; დღე, როგორც რომ იცი, ისე წავიდა; ნდომა დამცირდა და სინანული გამრავლდა, გამოვიდა თავიდამ სითამამის ქარი.

[206] თუ დღეს ჩემს სიტყვას არ გაიგონებ, არამც ხვალ დაინახო!

[207] მე, რაც ჰირობის წესია, ადგილს მოვიყვან. დამჯერდები თუ არა, შენ იცი!

[208] ვინც შენის ბძანებისაგან თავი კასწიოს, თავი ართუი!

210. სხვისთვის ნუ მოგწონს, რაც რამე შენთვის არ მოგეწონოსა![210]
211. ნერგი შურის რა რომ გულსა დაირგოს და დაითესოს,
(და) შორიდამ ჩანს, რაც მოხდება, ანუ რაცა გაეწესოს![211]

212. მას პირი ჰქონდა, მზისაგან მსგავსი არ გაკეთდებოდა,
(და) წვერ ახალ გამო სადარად შავს მუშკსა შეერთებოდა.[212]

213. რაც მესმოდა მისი საქმე, თვალით ვნახე, ასსა მეტობს.[213]

214. დაჭკნა სიყრმისა ყვავილი, დრო არის შამოდგომისა,
ვარდსა ფურცელი დასცვივდა, სიკეთე უსაზომისა,
ვნატრი მას დღესა, როს ვიყავ დარი ვაჟთ თავმომწონისა,
და ვაჲ, მომსწრებია სიბერე, სიკვდილის მოსაგონისა![214]

215. რასაც კელით სარგო ქონდეს, აკოცე და თავს შეიდევ![215]

216. კაცი გაწვრთნილი კეთილად ბუნებით მქნელი სიბრძნისა,
სოფლისა ბევრგან ნაცადი აროდეს არ დაიბნისა;
ერთის ფიქრითა რასაც იქს, ან რასაც მოიუბნისა,
და ბევრი ლაშქარ(ი) მას ვერ იქს, რა ხმალი წელთ შე(ი)ბისა![216]

217. თუცა ღმერთსა აქვს საქმისა კელმწიფობითა მქნელობა,
ეტლთაცა მისცა სვე-ბედზე მეფობის ძალით მველელობა,
მაშ (?), ვისცა მასკვლავს სიმაღლით არა სჭირს მ(..)კელობა
და მასა(?) საქმისა ყოველი გაუადვილდეს ძნელობა![217]

---

[209] დღეს ჩემზე თუ აჭენებ ცხენსა, ხვალ რას გზითდა გასწვევეტ საგდებელს? ამ სოფლის ხერხი და ვაჟკაცობა ქენ, მატარე საუკუნოსა. მიხედე, რაგინ(დ) უგუნური და უმეცარი ხარ!
[210] სხვისთვის ნუ გინდა, რაც შენთვის არ მოგეწონოს!
[211] შურის ნერგი რომ გულში დაეთესოს, გამოცხადებულია, რა როგორ მოხდება.
[212] ერთი სახე რომ მზე და მთვარე არ შეედრებოდა, ერთი ხანი შავი მუშკი არ შეედრებოდა.
[213] მესმოდა და კიდეც ვნახე; რაც მესმოდა, ახი იმდენი ეოფილა.
[214] სიჭაბუკის დრო წავიდა, სიბერე მოგვეწია. ვაი, იმ დღეს, რომ სიბერე შემოგვესწრა!
[215] ერთი კელი რომ შენი მარგე იყოს, აკოცე და თავს შეიდევ!
[216] ერთის ფიქრით რომ კაცი იქს, ურიცხვის ლაშქრით ჯარა იქს.
[217] ბედის ვარსკვლავი კაცთა ზედ აღმაღლებული თუ იყოს, სადეთაც წავიდეს, მას წადილი აღუსრულდეს!

218. თქვა: „ჩემი თვალთა ნათელი და ხარ წუთისა სოფელი,
ჩემის გულისა ნასკვისა სამუდმოდ გახსნით მყოფელი,
შემრჭმია გულსა ეკალი, შემქმნია ჩასაყოფელი,
და ამად მდის ასე თვალთაგან, ვა, ცრემლი შეუშრობელი“.[218]

219. მან ბარამან, სიბრძნის ზღვამან, საქებარად დასძრა ენა,
ჰკადრა: „ცათა ვარსკვლავებსა შენის სვით აქვს შუქთა ფენა,
ეტლი შენით იხარებენ, ნუ ოდეს აქვსთ შენგან წყენა,
და რამცა გკადრო ქება დიდი, არ მეტობდე იმას თქვენა?!“[219]

220. საყვარელისა მოყვანით თუცა ვარ მუდამ ხლებული,
სამუდმოდ ვისმენ სიტყვასა, ლხინი არა მაქვს კლებული,
სხვა რაღა მინდა უმჯობე საქმე გულისა ნებული,
და ვჯერვარ, მექმნების საწუთროს სახმილი მძაფრი ვსებული.[220]

221. წავიდა ჩემი მოყვარე, ჩემი სულისა მდგმელია,
(და) მისი ჩვენების სურვილი გულს დამრჩა, არ დამელია.[221]

222. რა იქნების, ისივ ვარდი ამ ბოსტანში კვლავ მოვიდეს,
და სული ისევ ჩამიბრუნოს, ეს სახმილი აღარ მწვიდეს?![222]

222–ა რა იქნების, ისივ ვარდი კვლავ მწვანესავ გამობრუნდეს,
(და) ტანით სული გამოსული კვლავე ტანში ჩამიბრუნდეს?!

223. შენი შორს ყოფნით ავად ვარ, — თუღა მიკითხავს გულია, —
(და) სიცოცხლის ღონე არა მაქვს, ცოტა მიდგს კიდევ სულია.[223]

224. უშენოდ ჩემი მოყვარე, ჭირს გარდა, რა იქნებისა,

---

[218] თქვა: „გულს ეკალი ჩამერჭო, მისთვის ცრემლი შეუშრომ ვარ“.

[219] ვეზირმან მოახსენა: „ეჰა, კელმწიფეო, ზეცას ვარსკვლავნი შენის სვიანობით ნათობენ. ასეთი ქება რა გკადრო, რომ უზეშთაეს არ ბრძანდებოდე?!“

[220] მოკეთე რომ ჩემთან არს, სხვა რაღას ვინაღვლი, ვჯერვარ კაის მუსაიბის ლხინსა.

[221] მოყვარე წავიდა და მის შვენიერების სურვილი გულში დამრჩა.

[222] რა იქნება, ხავედი ვარდი კიდევ ბოსტანში მოვიდეს, ეგება აღმოსული სული კვალად ჩაბრუნდეს! 222–ა. რა იქნების, ის ვარდი კვლავ მწვანეში მობრუნდეს და ტანიდამ ამოსული სული კიდევ იქავ ჩაბრუნდეს!

[223] თუ ჩემსა რასმე იკითხავ, შენის უნახაობით ავად ვარ, სიცოცხლის ღონე აღარ მაქვს, ცოტაღა სული მიდგია.

ჭირს მყოფი ლხინსა ელოდეს, ვაი, რა მოიქნებისა,
თვალი ეჭიროს გზისაკენ, რა პოვოს მან იქ ნებისა?!
და რა მწარე არის ეს ყოფა ხვეწნისა ან ლიქნებისა![224]

225. (...) დამჯერდი, , მოყვასო, ჭირი მჭირს (...)
ვე(რ) მომიხსნია, აღარ მაქვს ძალი იგ ამას წინები,
ამად მეყრები საწყალი, საქმე მჭირს მოსაწყინები,
და თვარ სულის გაყრა ცოცხალსა ვითა მწადს, ან ვით ვინები?![225]

226. თვალ-მარგალიტის აქ ფასი არ არი, უფას არისა,
(და) ძმაო, ეს გვიჯობს, წავიღოთ სავაჭრო სახვეწარისა![226]

227. ნუ ირჯების აწ აქიმი, მას შერჩების ცუდად შრომა![227]

228. სული და გული რა არი, შენს ჭირს არ ვანაცვალოა?![228]

228-ა. სული რა არის, საწყალმა შენს ჭირს არ ვანაცვალოა,
(და) თუ გული შემეწიროდეს, ან იმას დავაცალოა!

229. სისხლის მეტს შარბათს სასმელად ვერ ვხედავ ჩემად თვალითა,
(და) მოსასვენებლად ნაღველი ტანში მაქვს დაუთვალითა.[229]

230. რა ბრალი არის დიაცთთვის საყელოს გარდახევანი![230]

231. მელვინისა და მემარნის თქმულს ვიტყვი გასაგონებად:

---

[224] უშენოდ ჩემი მეგობარი სევდის მეტი არა არს რა. ვაი, მის ყოფა-სიცოცხლეს, ვინც ჭირისათვის ლხინს მოელის და თვალი გზისკენ უჭირავს!

[225] მოუვარევ, დაჭირება მაქვს, მიჯერე, მისთვის გეურები, თვარემ სულიერს სულის ამოსვლა ვის უნდა?!

[226] ძმაო, წავიღოთ აქედგან ჩვენი სახვეწრის საეაჭრო; ფასდებულს თვალ-მარგალიტს აქ ვასაეალი არა აქვს.

[227] აქიმი ნუღარ ირჯება, ახლა ცუდადღა შვრებისო.

[228] სული რა არის, რომ შენ არ ვანაცვალო?! გული რა არის, რომ შენს ჭირს არ ვათაეუანო?! 228-ა. სული რა არის, რომ შენთვის არ დაითმობოდეს; თუ გული თავს შ(უ)მოშეელებოდეს, რატუმ არ ვიქ?!

[229] სისხლის მეტს სასმელს შარბათს ვერ ვხედავ, ნაღვლისა მეტი მოსვენება ჩემს ტანში არა მეონია.

[230] ბოროტ არს დიაცთ ვულისთვის ტანსედ საეელოს დახვევა.

(და) „მიუნდო კაცი ნუ გინდა სამოყვსოდ, შესაგონებად!“[231]

232. რა გევნებისა, ეჰ, მზეო, თქვენ ჩემამდის მობძანებით,
(და) გამინათლდეს სახლის ჩდილი შუქთა თქვენთა მოვანებით?![232]

233. ამ უცხოს ადგილს ნუ მალხენ(ს) ჭვრეტა პირისა შენისა,
(და) შენის წყალობით ვცოცხალვარ, ყოფა მაქვს არას წყენისა.[233]

234. ნუ იქ საქმეს ასე რიგსა, საძრახავად მაგივიდეს![234]

235. ლხინი მჭირს მოყვრით, ან ჭირი მტრისაგან ამაღლებული, —
(და) მაინც არ არი სიფთხილე სახელზე რამე კლებული.[235]

236. იგ თავსა მთელსა ნუ ეჭობს, ვინცა სნეულთა მჭვრეტია![236]

237. რა არის ლარი, გინდ გული, მო(ყვასს) არ ვანაცვალო და?![237]

238. შენ ჩემო ტკბილო მოყვასო, ვერ დაგთმობ ვერას ვერითა,
(და) რაგინდ ავათაც მომეპყრა, მიწათ მქნა გასარევითა![238]

239. შენის ძალით ბევრი თრთოდენ, აწ სნებითაც ბევრი თრთიან.[239]

240. დამრჭმია გულსა ეკალი, ნემსით არ ამოიღება.[240]

240–ა მასვია ერთი ეკალი ნემსით არ ამოიღება.

---

[231] მეღვინესაც უთქვამს და მემარნეს, რომ დაუნდოს ნუ ემოყვრები!

[232] მზეო, რა გევნების, ჩემამდე მობძანებით რომე ჩემი სახლის ჩრდილი გაანათო?

[233] ამისთანა უცხო ალაგს შენი ჭვრეტა მოალხინებს; ჩემი ყოფა და სიცოცხლე შენი წყალობითვე არს.

[234] ნუ იქ ასეთსა, რომ საძრახაო იყოსო!

[235] სიფთხილე მაინც აუგი არ არის: თუ მოუვარეა, გალხინებს; თუ მტერია, დაგაჭშუნებს.

[236]

[237] გული რა არის, რომ მოუვრისთვის არ დავსთმო?! ლარი რა არის, რომ მოკეთეს არ ვანაცვალო?!

[238] ჩემ მოკეთესა ვერ დაგთმობ, რაგინდ ავადაც მომეპერა!

[239] შენის ძლიერებით მრავალნი შიშით თრთოდენ და შენის უძლურებით მრაჯალნი თრთიან.

[240] გულს ისეთი ეკალი დაჰრჭო, ნემსით არ ამოიღების. 240–ა. გული სისხლითა ამსია. ის ეკალი გულიდამ არ გამოიღების.

241. ღმერთს და ბატონს სამსახურის მეტი არა გაეწყობის![241]

242. აღარ შევხედავ მე ცასა, თუ მთვარედ შეიქნებია,
ბოსტანში აღარ გავიელი, თუ ალვად იქ იქნებია,
არად გიყიდი, თუ სულის მაიად შეიქნებია;
და თუ მოგიგონო კელავ კიდევე, მიწასთანმც გაეიქნებია![242]

243. მწვე სჯობს უწინვე სიკვდილი მოყვრის სიცოცხლით გაყრასა,
(და) ამევსო გული ნაღვლითა, გაწონით მიზამს გაყრასა.[243]

244. ჰე, ვაზირო, გულთ ნათელო, ყოვლით ღ(მრ)თის ქმნულთ ცხადად მთქმელო![244]

245. მეფეო, დიდად მაღალო, თემთა და ქვეყნის მფლობელო,
შენ მოგაელინა უფალმა, უშენთ მაშენად მყოფელო,
შენით იხარებს ყოველნი, მტერთა ლახვრისა მყოფელო,
და უშენოდ ყველა ცუდია, აღარცა მინდი სოფელო![245]

246. ვის მოცდა სჭირს და მოთმენა, ბნელისა გამათენია,
სიბრძნე, სიმშვიდე, სიმძიმე, კაცისა სიკეთენია,
ჭკუის სალარო, გონება მაზედა მისართენია.
და ვის ეს არ(ა) სჭირს, დეევად მჩანს, რა შფოთვად აღმმართენია![246]

247. მოცდა ჭკუა(ა) კაცისა, სირეგვნე – მოუცდელობა,
და პირველ მკვახეა ყოველი, მოცდით დამწიფდეს მდელობა![247]

---

[241] ღმერთსა და ბატონს სამსახური უნდაო!

[242] თუ მთვარე შეიქნები, ცას ცოტას შეუხედავ; თუ ალვა შეიქნები, ბაღში ცოტას ვიელი; სულის მაია შეიქნა, არ გიყიდი; აღარ მოგიგონებ, მას უკან შენს სახელს არ ვახსენებ.

[243] სიკვდილი ჯობდა სიცოცხლით მოყვრის მოშორებას. ამისთვის ამიესო გული სევდა-ნაღველმა.

[244] ეჰა, ვეზირო, გულნათელო, ყოველთა ღ(მრ)თის განანენთ გამომცხადებელო!

[245] მეფეო ქვეყნის მპყრობელო, შენ მოგაელინა უფალმან ქვეყნის ასაშენებლად. უშენოდ ყველა ცუდია. შენგნით იხარებს ყოველნიენი.

[246] მოცდა და მოთმენა, სიმშვიდე და სიბრძნე, სიმძიმე, კაცის სიკეთე და გონიერება არის სალარო ჭკუისა და, რომელსაც არა აქვს გონიერება, მისთანა კაცი მჩანს ვითარცა დევი აღშფოთებული.

[247] მოცდა ჭკუაა კაცისა, სიგიჟე–მოუცდელობა. ჰირველი ყველა მკვახეა, მერმე დამწიფდების.

248. ვის აქვს სიბძნე და სიწმინდე, ის ორგანვ გაიხარებსა![248]

249. შენმა სიტურფემ ა(ა)ვსო მიწისა პირი სრულობით,
(და) სჯობს შენი ნახვა ყვავილთა ყოველთა ფერად სულობით.[249]

250. სიმართლით ღ(მერ)თი ყოვლს ისმენს კაცის ხვეწნას და თხოვასა![250]

251. მდიდართ მოიგოთ გლახა, სჯობს, – აქ გრჩებათ საქონელია![251]

252. ასრე ისრეს ერთმანერთსა, რა რომ შერთვა, შვილსა შობსა,
(და) ნეტავი, სძეს მას სახელად ბძენი ყველა ამას კმობსა?![252]

253. ღ(მრ)თით აღმოხდა ზღვით სადაფი მარგალიტის ძვირფასისა.[253]

253–ა. კეთილის ზღვით გამოვიდა მარგალიტის ძვირფასისა.

254. გაუსინჯავად საქმის ქნა ცრუს და უგვაროს წესია![254]

255. ერთის მხრის გაშლით მეშვიდეს ცას მკერდსა გაუპობდისა.[255]

256. კლდეს თავისა დიდებისას კაცი თვითან გა(ა)მჩატებს,
სიმძიმითა თავის თავსა პატივს, დიაღ, მოუმატებს;
ნუ გარდასდებ ჩქარა მკლავსა, სადაც ზიხარ შენსა ნატებს,
და გასტეხ ხარისხს დიდებისა, უშვერსაც იქ შენსა ხატებს![256]

257. გაუსინჯად ნუ გა(ა)რბევ ცხენს ასპარეზს სიჩქარისას,

---

[248] ვის სიბრძნე აქვს და სიწმინდე, ეს ორსავ სოფელს განისხარებს.
[249] შენმან სიტურფემ აღავსო ქვეყანა, შენი ნახვა ჯობს უვავილთა ბოსტანთასა.
[250] რომელსაც ჰქონდეს სიმართლე, მის თხოვას ღ(მერ)თი გაუგონებს.
[251] მდიდართ მოიგონ გლახა, რომ საქონელი თან არ გაჰყვება!
[252] ასე და ისე რომ ერთმანეთს შერთო, იმისგან ერთი შვილი დაიბადება, სახელი, ნეტაი, ერქმის?
[253] წუალობა ღმრთისა, აღმოვიდა ზღვათაგან სადაფი მარგალიტისა ძვირფასისა.
[254] გაუსინჯავად საქმე უცვარის და ცრუ კაცის საქმეა.
[255] ერთის მკრის გაშლით მეშვიდეს ცას მკერდს გაუპობდა.
[256] კაცი თავის დიდებულობის კლდეს თვითან დააშჩატებს. სიმძიმე კაცისა თაყის თაყის პატიოსნობა არის. ვინც ჩქარად გარდასდებს მკლავსა, გასტეხს თავის სიდიდის [illegible].

და თვარემ ერთხელ წაგექცევა, სარგოს ჰპოებ მერმე რისას?![257]

258. ვისაც ვგონებდი მოყვარედ, ვსცან, იყო მტერი ჩემია,
(და) ვსცან, რომ საწუთროს მინდობა არა აქვს გასაჩემია.[258]

259. კაცთან ალერსი, მოყრობა კარგი და მოსალხენია,
და მაგრამ პირობას მინდობა კაცისა ხმელი ხენია.[259]

260. მას მოყრობა არა ქვიან, მათში ბეწვმა გაიაროს,
და ხამს, მტერობის ორის გზითა შენახვაც არ დაიზაროს![260]

261. რაც ხეხილს ისხამს ბაღისა, ის დააშვენებს არებსა![261]

261-ა. რასაც ხილსა ხე მოისხამს, ანუ ნაყოფს გამოიცემს,
(და) ბაღსა მისის სარგებლისგან მასვე შნოს და ფერსა მისცემს!

262. ნდომით გაებმის ბადესა, ნდომით ჭირს ჩავარდებისა![262]

263. ეა ჩემს ბედის დაბრუნებას, გზას მაჩვენებს სულ საჭიროს![263]

264. არავინა მყავს მისანდო, ერდგული მას ვარჩევინო,
(და) არც ვინ მოწყალე ასეთი, გულთ სევდა გავარკვევინო.[264]

265. ნუ მოგწყენია, მელვინე განგებით რისმე ღ(მრ)თისადა,
(და) ხან მღვრიეს მოგცემს, ხან წმინდას, სოფელსა გამოცდისა და.[265]

---

[257] გაუსინჯავს ცხენს სიჩქარის მაჟდანზედ ნუ გაარბევ, რომ ერთს დღეს სადმე ჩამოუაგდებს.

[258] რომელიც მეგონა მოყვარე ჩემი, ვსცან, რომ ის არის მტერი ჩემი. ამ სოფლის მტერობას და მოყვრობას, ვნახე, რომ აქვს მცირე ეჰთიბარი.

[259] ეისთანმე მოყვრობის ალერსი კარგია, მაგრამ მის პირობას არა აქვს მინდობა.

[260] მოყვრობა ასრე არ უნდა, რომ იმათ შუა ერთი ბეწვი დაეტეოდეს. მის წესითვე მტრობა ორიე კერძოს შენახვა უნდა.

[261] რომელიც ხე მოისხამს ხილსა, ბაღის სიტურფე მისგან იქნება. 261-ა. რაც ხე არის ხილის მომსხმელი, მტილს მისის სარგებლობისაგან ექნება შნო.

[262] ნდომაა, რომ ჩააგდებს ბადესა და ნდომავე ჩააგდებს ჭირსა.

[263] ვაი, ამ ჩემს ბედსა დაბრუნებულსა, რომ მაჩვენებს გზასა საჭიროსა.

[264] არა მყავს ერთგული მისანდო, რომ მას ვარჩევინო. არცა მყავს მოწყალე, რომ ჩემი სევდიანი გულის საქმე შეუკითხო.

266. რა არის იგი მამაცი, ჭირი სჩნდეს მეტად მწარია,
(და) აწ მეტად ლხინსა ხარობდეს და შვებას შეუგვარია?![266]

267. მაშინ უნდა მამაცობა, ტინებრ გულის გამაგრება.
რა არს სრული მამაცობა, ანუ მაზე მიწყივ რება? –
ადგილისგან არ შეიძრას, გულის ქონდეს შამოკრება,
და ზედ და(ა)ტყდეს ცა მბრუნავი, ასე იყოს მისი ნება![267]

268. გქონდეს რჩევა, მაგრა დადეგ, გულით ქონდეს სალის მსგავსად![268]

269. ვარ ჭირსა ძნელსა გაბმული, სევდისგან დანაჭერია,
(და) ენა-პირ-მშრალი, თვალ -სველი, სოფლისა შემამზერია.[269]

270. კარგია ჩვენი გაწყობა, ძმობით გვაქვს ბევრი გზებ(ია).[270]

271. ბძანე, ჩემო სიცოცხლეო და სინათლევ თვალისაო,
(და) წარბ-წამწამით დახატულო, გულად დამასალისაო![271]

272. კოკას ნუ გასტეხ სიკეთის, წამოდეგ ასე წინარე;
თუ წყობა გეწყობოდეს(ა), შფოთზედა იყავ მძინარე,
მოთმინების და სიმშვიდის ნურაოდეს ხარ მწყინარე,
და უნამუსობას ნურას იქს, სახელის მძებნე ვინ არე![272]

273. რაც პირობა რომ დაგიდევ, წავიყვანო მინდა წინა,

---

[265] ნუ მოიწყენ! მეღვინე განგებითა ღ(მრ)თისათა ხან მოგვართვამს წმინდასა, ხან მღვრიასა მზამივით.

[266] ამ სოფლის ჭირსა და განსაცდელს ნუ იწყენ, ნურც სიკეთე და განსვენება გიხარიან!

[267] მას კიდევ გულმაგრობა უნდა და სიმამაცე. ის არის მამაცობა, ვინც თავის ადგილიდამ არ დაიძრას, თუნდ დაატყდეს თავსა ცა მბრუნავი.

[268] თუ (გ)ქონდეს რისმე რჩევა, იქ დადეგ მაგრად და გულსრულად, თვარა სიჩქარით ათასი ავი და ურიგო საქმე დაიბადების.

[269] სევდიან ვარ, ჭირსა ძნელსა ჩავარდნილი, ენა-პირ-მშრალი და თვალ-სველი.

[270] მე და შენს შერიგებას და ძმობას ერთი გზა აქვს და კეთილია საქმე და არა საზიანო.

[271] ბძანე, ჩემო ორისავ თვალის სინათლევ, რომე ვხედავ ტურფა წარბ-წამწამს შენსა.

[272] ნუ იქნების წყობა, ნუ გააღებ კარსა შფოთისასა და, ვისცა შეუძლია სახულოვნობა, ნუ გააღებს ის უნამუსობის კარსა! გააღე კარი მოთმინებისა და სიმშვიდისა! წამოდეგ წინა და ნუ გასტეხ კოკასა კარკაცობისა.

(და) მითხარ, რა ხამს, რა მერგება, ჩემგან რითმე ესე მინა?[273]

274. თუ დამიჯერებ აქ იმას, ნუ ეძებ ფასკუნჯთ ლაპებსა,
და ნურც ვის ენდობი, რაგინდცა იცნობდე ვისმე პაპებსა![274]

275. გწადს, არ გაგიტყდეს, ასე ქენ, სიმაღლის(ა) ხარისხება, –
(და) მიუნდოს კაცსა ნუ ერჩი, ნურცა რას(ა) ესესხება![275]

276. ერთი ვინმე ნასუფრალით ჩემით სიყრმით აღზრდილ(იყოს),
და მე იმისი ნასუფრალით ვერ დავრჩები, რაც ვინ მიყოს![276]

277. სინამ ცოცხალ ვარ, მე შენსა მხევლობასა ვიქ მონებით,
(და) მოვკვდები, შენსა საფლავსა ვმსახურებ გულით, გონებით.[277]

278. მუშკის ჩოგანი მნათობსა მთვარეზე გამოგსახვია,
თმამ შავმა, ყვავილთ უმჯობემ, გული, გონება ახვია,
მოგიტანია ეგ წვერი, კარვად, საჩდილოდ ახვია,
და მზეებრ ბრწყინვალეს პირზედა დაგიდგამს, ვახ, სანახვია.[278]

279. გული ჩემი ინადირა, მოყმე შემხვდა, მხედარია.[279]

280. ტანი ქონდა ალვისა და შიგ დაცული ოქრომკედი.[280]

281. მას ვგავარ, ვისაც არა აქვს წესი და თავის რიგია,

---

[273] რაც ჰირობა მოგეც, წინ წავიყვანო; აწ მითხარ: რა კამს ჩემგანი, ან რა ქნა შენად რეებად?

[274] თუ ჩემსა დაიჯერებენ, კაცი ნურვის მიენდობის, ნურცა ვინ ეძებს ფასკუნჯსა და ქიმისასა!

[275] მიუნდობელს კაცთან ნურას იკადრებ, თუ გინდა, რომ სიმაღლის ხარისხი არ ეკარგოტეღს!

[276] ერთი რომ ჩემის სუფრის ნაბერტყით აღზრდილიყოს, მე მის სუფრის ნაბერტყით ვერ ავიზდები.

[277] სინამ ცოცხალ ვარ, შენ მოახლობას ვიქ; მოვკვდები კიდეე შენს სამსახურში.

[278] ჩოგანი მუშკისა მნათობს მთვარეზედ ვამოგისახავს. თმა შენი, ყვავილი უკედავებისა, მოგიტანია. შაკის თმა–წვერის კარავი საჩრდილებლად ჰირისა და განათლებულს მთვარის ჰირზედ დაგიდგამს.

[279] მოყიდა უცხო მკედარი, მოინადირა გული, გონება ჩემი.

[280] ტანი მისი იყო ალვა და ნაყოფი – ოქრომკედი.

(და) გულში მაქვს სენი ასეთი, მკურნალთაც ვერ გაუგია.[281]

282. თუ შენ მოილხენ გულებით, მე შენს ჭირს ვენაცვალები,
(და) შენის ხელითა შემასვი უკვდავებისა წყალები![282]

283. ის მოყვარე ჩემი ჩემგან გამეშორა, გამერიდა,
(და) ალერსი და სიყვარული გარდააგდო, არ მ(ო)რიდდა.[283]

284. მინდობა და კარკაცობა მის მზისაგან ისწავლია![284]

285. ერთის დაძერით აღმოსავლით დასავალსა მივიდოდა.[285]

286. თმა ამბარი შეგინ(ა)სკვავს, დაგგრუზვია პირსა მნათსა,
(და) ეს არ ვიცი დღე და ღამე როგორ შერთევ ერთმანერთსა.[286]

287. ყველა მას მომკის ბოლოჟამ, რაც პირველ დაუთესია![287]

288. წავიდა და გულს წამალი აღარ დამდვა, არ მითავა,
(და) ასი მომცა მან პირობა, აღარც ერთი გამითავა.[288]

289. ვაების ხმა მასკვლავს ესმის, ჩემი ცრემლი ზღვასა ერთვის.

289-ა. ბაგეთ ზახილს და ტირილსა ზეცამდი აუწევია,
(და) წამწამის ცრემლი ზღვაშია შერთულა, შეუწევია.[289]

---

[281] მე ის ვარ, რომე არა აქვს თავსა ჩემსა სარანჯამი და გულს ჩემს აქვს სენი ასეთი, რომე არ განიკურნების.

[282] ოღონც შენ გამხიარულდე გუნებას შენსა, მე ვეო თავი ჩემი ნაცვლად ჭირისა შენისა და შენ შემასვი უკვდავების ფიალა შენის კელით.

[283] მუსაიბმან ჩემმან აიღო კელი ჩემზედ, სამუდმო ალერსი ამოიღო ჩვენ შორის.

[284] მინდობა და კარკაცობა მზისაგან ისწავლე და პირ-მთვარეთაგან ესეც ცოტაა.

[285] და თვითოს ნახლტომით აღმოსავლეთით დასავლეთს მივიდის.

[286] ამბარი თმა-გრუზი ალუად შეგიკრავს პირისა ფეროვანს. არ ვიცი, დღე და ღამე როგორ მოაბი ერთმანერთს!

[287] ეს ანდაზა აქვს ნიზამის, რუსთველს. აქედანაა ხალხური ვარიანტი.

[288] ვაი, რომ წავიდა ამხანაგი ჩემი და არ მიეო წამალი გულისა. ათასი პირობა დამიდვა და ერთი ვეღარ შესძლო.

[289] კმისა ჩემთ ვაება ესმის ვარსკვლავთა და თვალთა ცრემლი შეერთვის ზღვათა.

290. მიუნდომლობამ სასტუმროდ სად ჩამოხადა ბარგია?
(და) ის მიწა სრულად გარდასწვა, ამისთვის არად ვარგია.[290]

291. ის მოყრობა მათი მიგავს ზოგჯერ შაქარს, ზოგჯერ რძესა,
(და) ზოგჯერ შუბსა გამახულსა, ზოგჯერ ისარს დასაძრესა.[291]

292. აქაც რომა ვარ, მე შენი გულში მიდგს შიშის ძირია,
(და) საცა შენა ხარ, იქ მ(ო)სვლა ჩემი მწვე გასაჭირია.[292]

292-ა. სადა ხარ, ჩემის მოსვლისა ძნელობა გამდიდებია,
(და) აქ მე ვარ, ათი ათასი ნაღველი გულსა მდებია.

293. შენი კეთილნი მცნებანი საქმისა კარგა მქნელია.[293]

294. თუ კაცს ვისმე კაცისაგან ერგებოდეს რაცა რამე,
მისი ნახვა მისთა წყლულთა არის უცხო და სა(ა)მე;
მაგრამ ვისგანც არას ელის, ნახოს ვინცა ისი სამე,
და არ იქნების არასფერის ლხინის რისმე შესაწამე.[294]

295. ვერ ემოყვროს კატას თაგვი დაბადებით სიკვდილამდე![295]

296. ვინც პატარა დიდს ეჭიდოს, ასე დასცეს, ველარ ადგეს![296]

297. ვინც სიბძნით სდვას საფუძველი, მან აროდეს ივაგლახოს,
ვინც ბძენთ სიტყვა გაიგონოს, გულით წყენა აღარ ნახოს,
მტკვერი შფოთის გამოცდის წყლით დაიბანოს, ესე სახოს,
და მას სხვა მტკვერი საზიანო პირს არ ეცეს, არცა ახოს![297]

---

[290] მიუნდობლობამ საცა ჩამოხადა ბარგი სასტუმროსა, ბოლოს იხ ადგილი მოთხარა და დააქცია.
[291] მათ თანას მოყვრობა ხან არის რძე და მაქარივით, ხან არის ისარსა და შუბივით.
[292] საცა რომ შენ ხარ, ჩემი იქ მოსვლა ძნელია. იქაც რომ ვარ, ათასი ჭირი მივლის გულში. 292-ა. იქ რომ შენ ხარ, ჩემი მოსვლა ძნელია და აქ რომ მე ვარ, ათასი ძნელი ნაღ-ველი გულში მაქვს.
[293] შენი კეთილი მეცნიერება ყოველს საქმეს კარგათა იქს.
[294] ვისაც ერთის კაცისაგან ერგებოდეს რამე, იმისთანა კაცის ნახვა გულს გაახარებს და რომლისგანც არა ერგება რა, იმკვარ კაცთა ლხინი საზიანოა.
[295] არც თაგვთა და კატათ მოყვრობა იქნების დაბადებით, ვიდრე სიკვდილამდე.
[296] ვინც პატარა დიდს კისმე შეუკიდოს, ასე დაეცემის, რომ ველარ წამოდგეს.

298. ჰე, გონიერო და ბძენო, პატრონო ჩემო მეფეო![298]

299. თუ დაფხანო გული ვისმე, ისიც მასვე შე(ე)ცდება,
ვინც ემტეროს კაცსა ვისმე, კვლავ მ(ო)ყრობას მასა სცდება,
თუ მოვიდეს სა(ა)ლერსოდ, სცან, მას თურმე მოუხდება,
და ბოლოს მისგან საზიანო მოგეცემა, შამოხდება.[299]

300. ვინც დაემინდეს მტრისაგან, ჭმუნვ(ა)ს მოიღებს დიდებსა,
(და) გაუსინჯავად მთესვარი ჭირს მომკის, მოიზიდებსა![300]

301. მწვე ა(ა)მებს ხმა ტკბილი და შვენიერი კაცთა გულსა,
(და) კვლავ მოამბე გემრიელი გონებასა გახსნის წყლულსა.[301]

302. არვის უნახავს შექმნიდგან ასე გავსილი მთვარია,
დილის ნიავმა მობერა, სული სულნელთა დარია,
ეტლ-ბედნიერი და სახე ანგელოზისა არია,
და მწვე ა(ა) ყვავა მან რტომა ბაღისა არე-მარია.[302]

303. თვალთ ნათელი ქვეყანასა აღარ დარჩა, ნახოს ვინ და?!
(და) გულის ჩემის სიხარულის ფოთოლი სულ ჩამოსცვინდა.[303]

304. რა იქნების, კელსა შენსა ფათერაკი შემთხვევია![304]

---

[297] ნეტა მას, რომელიც ჯკვიანთ მცოდინარობას გამოუდგება, მას არას ჯამს შეემთხვეს მოწყენა გულისა.

[298] ჭჰა, გონიერო და ბრძენო პატრონო ჩემო!

[299] ოუ ვისთვისმე კიწყენინებია, მისგან ნუ დაიემინებ გულსა. რომელსაც დაფხანო გული, ისიც ეცდების ფხანასა შენსა. თუ შენგან შეწუენილი მოვიდეს და გიაღერსოს, ბოლოს მისგან შე-გემთხვეს საქმე საზიანო!

[300] მტრისაგან დაემინება მოიღებს ჯმუნვასა დიდსა. რომელმაც რამ დათესოს გაუსინჯავად, მან მომკოს ჯირი და ჯაება.

[301] ტკბილი კმა იამოს გულსა კაცთასა და ჯაი ამბავი გახსნის გონებასა კაცთასა.

[302] ცაშიგან დაიბადა მთვარე გავსილი. არავის უნახავს მთვარე ამისთანა ბედნიერის ეტლისა და სახე ანგელოზისა და სიბრწყინვალე ვარსკვლავთა და მან რტომან აავსვა ბაღჩა-ბაღი, ვითარცა ქარმან დილისამან.

[303] ბრალი არ არის, ქვეყნის თვალის სინათლე არ დარჩა და გულის ჩემის სიხარულის ფოთოლი ჩამოცვინდა.

[304] ერთი ფათერაკი შენის კელით გამოვიდა, არა იქნება რა!

305. ვინცა თესავს მოსასვლელად თესლსა სამე ანწლისასა,
(და) ის ცრუ არის, თუ მოელის ლერწამს მისგან შაქრისასა![305]

306. ვინც იცნობ(ს) ღ(მერ)თსა, ის არი სულთ ლხინი, გულთა წამალი![306]

307. სულსა რას ვაქნევ, რომე მიდგს, თუ შენ არ განაცვალია![307]

308. მიეტაცა კაცთა ჭკუა ენით გულის დამწველისა,
(და) დაექცია სულ ქულბაქი ყოვლის შაქრის მსყიდველისა.[308]

308-ა. ტკბილი ენა კაცთა გულის მიმტაცი და მიმღებია,
(და) შაქრის მსყიდველთა სავაჭროს წამხდენი და წამღებია.

309. ზილფ-მუშკი და ამბრის სული, ავად გახდა ნაზი ტანი. [309]

310. თუ გტკიოდეს, ღონევ, თავი, მე შენს თავზე შემომიველე![310]

311. ასი სული ენაცვალოს ენა-ტკბილსა, გულ(ი)სა სწორს![311]

312. ღ(მერ)თსა ვმადლობ ამ ცოდნისთვის, — ვცნობ ზიანს და სარგებელსა![312]

313. სადაც წავიდეს ჭკვიანი, არსად არ გაღარიბდება![313]

314. ვინც ჩემს კარზე თავი დასდე(ა)ს, ერთ კვირამდი ამაღლდება![314]

---

[305] ერთმან რომ დათესოს თესლი ანწლისა და მისგან ელოდეს ლერწამსა შაქრისასა, ის ცრუ არის.

[306] რომელიც იცნობს ღ(მერ)თსა, უფალსა, იმისთანა კაცი არის ამხანაგი, სულისა და გულის წამალი.

[307] სული რა არის, შენ რომ არ განაცვალო!

[308] ენის სიტკბოება(მ) წაართვის ჭკუა კაცთა და დააქცია ქულბაქი შაქართ მსყიდველისა.
308-ა. ენა ტკბილი რომ კაცს დაბნედს, შაქრის მსყიდველთ გასავალს ა(ა)ცუდებდა.

[309] იმას ზილფი რომ მუშკისა და ამბრის დარიო, იმ ზილფსავით დახუჭუჭებულიო მისი ნაზი ტანი სნეულები.

[310] თუ თავი გტკივა, მე თავს შემომიველე!

[311] ათასი სული ენაცვალოს მას, რომელსაც აქვს ენა და გული სწორი.

[312] ვმადლობ ღ(მერ)თსა, ასეთი მცოდნარე ვარ, რომ სასარგებლოს და საზიანოს გავარჩევ!

[313] ჭკვიანი კაცი საცა წავა, არას ადგილს არ გაღარიბდება!

315. სად დამტკიცდეს მეგობრობა, საქმეც მათი ასე იქნას![315]

316. თუ მონადირე ჩიტისგან კელს არ აიღებს აროსა,
და გლონის და კაკბის გაშვება მწვე უფრო დაიზაროსა![316]

317. მუტრიბი ქონდა მას პირი, კაცთა გულისა მდნობარი,
სანთელი ბნელთა მანათი, გულთ მწველი, არ გამქრობარი,
ბაგე მზა მიწყივ ნადიმთა შვიდთავე მნათთა მგმობარი,
და ენა შაქარი, ნარნარი, სირინოზისებრ მხმობარი.[317]

318. არ დაშრებ(ი)ს ჩემის თვალის ნამი ბევრის სწავლებითა,
და არც მოიქცეს მიჯნურისა გული წვრთისა მრავლებითა![318]

319. მეფე თუ მიყვა სამუდმოდ სმასა, სიცილსა, მღერასა,
(და) გაუცუდებენ ანაზდათ მასა ბედსა და წერასა![319]

320. მე ვარ ღამისა მოყვარე, ამ დღისა მომლოდინარე,
თასი და მინა აღვსილი, კაშკაშით გარდმომდინარე;
წავიდა გვალვა, მოვიდა იგ ვარდი მოუწყინარე,
და ზამთარი წახდა, ზაფხული გვეწვივა მოსალხინარე![320]

320-ა. მე ვარ ღამისა მოყვარე, ამ დღისა მომლოდინარე,
თასი და ჭიქა ღვინითა კაშკაშით თავს გარმდინარე;
ყინვა წარხდა და მოვიდა იგ ვარდი მოუწყინარე,
და ზამთარმან გავლო, ზაფხული მოგვეცა მოსალხინარე!

---

[314] ჩემს კარზედ რომელმაც დასდვა თავი, ერთის ქვეყნის (?) გაუთავებლად ამაღლდა.

[315] რადგან მუსაიბობა დამტკიცდა, ასრე იქნება!

[316] მონადირემ რომ ერთის ჩიტიდამ კელი არ აიღოს, კაკაბსა და გნოლისაგან უფრო არ აიღებს.

[317] ჰირი მის იყო მუტრიბთა, სანთელი ბნელთა მნათი, ბაგე მის მზა ნადიმთა და ენა შაქრისგან უტკბესი.

[318]

[319] რომელიც კელმწიფე სიცილსა და თამაშობას მიიყვანებს, იცოდე, რომ მის სვესვიანობა მალე გაფუჭდების.

[320] მე ვარ ღამე და მოყვარე, თასი და მინა საესე; ვარდი მოვიდა, გვალვა წავიდა, ზამთარი წავიდა, ზაფხული მოვიდა.

321. წყრომის საქმეს ეშმაკი იქს და ბოლო აქვს სინანული![321]

322. ნუ გაიგონებ მტრის ქართულს, მას მეორისა მტრისასა,
თავს აიმაღლებს, შე(ნ)ს ტახტსა ფეხს დამოკლებას გყრისასა,
თუ გაუსწორე ავჟ(ა)ნდა, დასდებ სადავეს დიდსასა,
და შენს სვიანობას, სიმაღლეს გასტეხ ერთისა მხრისასა![322]

323. ულონონი ღონიერთა აძაგებენ, მასაც მონდეს,
ამად საქმე ღონიერთა წინ არ წავა, რაზომ ზმობდეს;
უგვაროს კაცს ეს არ უნდა, თავის მეტს კაც ყმობა ქონდეს,
და ბევრი ვიცი, ჯამზე ბუზსა არ მიუშვებს, თაფლს რომ სწონდეს.[323]

324. წყარო სათავით, თუცა გწადს, ჩხირითაც გარდიგდებისა,
(და) მაგრამ, თუ ბოლო შეუკარ, სპილოცა ვერ გახდებისა![324]

325. მე რომ ბალახი არ(ა) ვარ, მოვკდე, კვლავ გავიხაროა?![325]

326. დღენი გქონდეს მრავალ წლისა, გაგეშოროს ავი თვალი![326]

327. ჩემს დამწერისა გულის ამბავს მოწყალება თქვენი მოწმობს![327]

328. რადგან ძალგიძეს ტკბილის თქმა, მაშ, მწარეს რადღა იტყვია?![328]

---

[321] წყრომის საქმე ეშმაკურია და ბოლო სინანულისა აქვს.

[322] ნუ გაიგონებ მტრის ქართულს, რომ მათუან სვიანობის სიმთელე გაგიტყდების; მტერს რომ გაუგონებ, თავს აიმაღლებს და შენის სვიანობის ხარისხის ფეკი დამოკლდება. და, თუ მათ მემშურნეთ ავჟანდა გაუსწორო, დიდებულობის სადავეს გაუშვებ.

[323] უგვაროს კაცს არ უნდა, რომ მაკის მეტს უმობა ჰქონდეს. და ბევრი კაცი ბუზს არ მოუშვებს ჯამის ზურგზედ. ერთს კაცს რომ ონარი და კელეკამამაკლობა არა ჰქონდეს, კელეკამამაკალს აძაგებს, ამისთვის ონარიანის საქმე წინ არ წავა.

[324] წყაროს სათავე ჩხირითაც დასწყდების და, თუ ბოლოს დაკუბდა, სპილოც ვეღარ გაიელის.

[325] ჩემი სული ბალახი არ არის, რომ გაახლდეს და ეოველთვინ ამოვიდეს.

[326] შენი დიდებულობის ხარისხეს განშორდეს ავი თვალი, დღენი ცხოვრებისა შენისა იყოს უკუნისამდე!

[327] ჩემი დამწერის გულის ამბავი კელმწიფეს მოეხსენება, რომ არის მისიე მოწყალება მოწამე ჩემი.

[328] ერთს კისმე რომ ტკბილის თქმა შეეძლოს, ამისთანა ჰირისაგან მწარე რასთვის უნდა გამოვიდეს?

329. მობეზღრისაგან რას ვშიშობ, გული მაქვს თუ სიმთელითა,
და უმტეროს კაცსა სიკეთე რა გამოუა კელითა?![329]

330. ნუ ნაღვლობ, მტერმა ტყუვილი თუ რამე მოგიგონოსა,
ფულით ფლურთ ფასთა გატეხას ვინც ცდილობს, რა ულონოსა?!
მაჩქათელისა წუნობით მზეს არაფერი ევნოსა,
და ქვის ცემით ალმას(ს), ცუდია, რას უზამ მას საწყენოსა?![330]

331. რადგან მე ჩემი სიმართლე პატრონსა მოვახსენია,
(და) აწ ამას იქით მე მტრისგან არც მეშ(ინ)ის, არცა მრცხვენია![331]

332. მისის სვის რტო ზე ამაღლდა, ასე ცასა აჩრდილებდა.[332]

333. ხამს, ისწავლოს კაცმა ცოდნა ბრძნისაგან და მეცნიერთა,
სამღთოთი და საეროთი მიემსგავსოს გულხმიერთა,
უსწავლთა და უმეცართა რამცა არგონ მისმიერთა,
და სენი არის მეტად დიდი ვინც(ა) ესე შეიერთა.[333]

334. ნუ გინდა სხვისთვის, რაც ავი შენთვის არ გემეტებოდეს![334]

335. ნახე შენთვის რას ირჯები, ანუ შენთვის თუ რა გინა,
რადგან იცი, აკაცობა კაცს დახვდების ისევ წინა,
მაშ, თუ ეს გწადს, შენმა საქმემ არას ადგილს არ გაწყინა,
(და) ყველას კარგსა შე(ე)ცადე, – მოყვარეა, მტერი გინა![335]

336. ნახე შენთვის რას ირჯება, ანუ შენთვის თუ რ(ა) ვინმე![336]

---

[329] მობეზღრების ფიქრი არა მაქვს. ვისაც მტერი არა ჰყავს, იმას ონარი არ ექნება.

[330] თუ მტერმან ტუჳილი მოჳიგონა, მისთჳის ნუ ინაღჳლი: სჰილჳნჱი ჳერ გასტეხს ოქროსა და ფასსა მისსა. მაჩქათელა რომ მზეს სწუნობდეს, მზე მით არ დამცირდება. უჷჳარო ქვა ჯავაირის ქვას ჳერ გასტეხს.

[331] ამას იქით მტრისა აღარ მეშინიან, რადგან ჩემი მოწყალე ჰატრონი შეუგონე.

[332] მისი სუსვიანობის რტო ასრე ამაღლდა, რომ ცის ჰირს აჩრდილებდა.

[333] მცოდინარობის სწაულა აიღე ბრძენთაგან, რომ უცოდინარობის უფრო ავი სენი არ იქნება რა.

[334] იდეა ბეკრს ხალხურ თქმას დასდებია საფუძვლად.

[335] თუ გინდა, რომ შენს წინ ავი არ დაგხვდეს, რაც კელიდამ გამოგივა, ნუ იქ აკაცობას, რადგან იცი, რომ აკაცობა წინ დაგხვდების!

337. თუ გაქვს ავის მოქმედება, ხამს, შიშიცა დიდი გქონდეს![337]

338. მისი კბილი ჯავრიანად გვრდემლს ენახა, დადნებოდა.[338]

339. უსამართლოსა კაცისგან ხამს, კაცსა შიში ჰქონდესა,
(და)ცეცხლს წინ მჯდომელი დაწვ(ა)სა ერიდდეს, მას იგონდესა![339]

340. ნუ იქ ავსა, თვარ მოქაფა, დიაღ, მალე მოგეგების![340]

341. მე ჩემის საბრალობით პირი არსად გამიყვითლდა,
(და) იმ საბრალოთ უწყალობით გული ჩემი დასნეულდა.[341]

342. თვალთ(ა)გან მდის ცრემლი ღვართა; ჩემი ბრალი მტერს ატირებ(ს).[342]

343. საბრალოთა გულსა სწვევდა, სახლი მათი დაექცია.[343]

344. გერიდებოდეს გულ-წყლულთა გულისა წყლულებისაგან![344]

345. ვისაც უნდა ზამთარ ლხინი, ზაფხულს უნდა გაისარჯოს![345]

346. ჭირი ჩემი ასე დიდი ანაზდეულ სით მოვიდა?![346]

347. (...) გულო სჭმუნვარევ (...) ევ(...)

---

[336] ნახე, რომ შენვე შენს თავს რას უშვრები!

[337] თუ სიავკაცე გაქვს, შიშიც (გ)ქონდეს!

[338] ეჯავრებული ვისმე მისი კბილი ენახა, იმის შიშით დადგნის გრდემლი მჭედელთა.

[339] შიში იმისგან (გ)ქონდეს, ვინც უსამართლოა. რომელიც ცეცხლის ახლოს ჯდეს, დაწვისა ეშინოდეს!

[340] ნუ იქ ავსა, რომ მუქაფა მისი მოგსვდების!

[341] მე ჩემის საბრალობით ჭირი არ გამეყვითლებია, მაკრამ იმ საბრალოთ უსამართლობით მე დასნეულებულვარ.

[342] თვალთაგან მამდის ღვარი ცრემლისა. ჩემი სიბრალულით მტერიც ატირდება.

[343] საბრალოთ გული იყო მისგან შემწვარი და სახლი დაქცეული.

[344] გეშინოდეს გულ-წელულთ გულის დაწყლულებისაგან. იმათი გულის წელული ერთს დღეს გამოირწყვეს.

[345] ვისაც ზამთრით უნდა განსვენება, ზაფხულს უნდა გარჯა.

[346] ეს ჩემი ჯირი ანაზდად სიდამ მოვიდა? ღ(მერ)თო, ამ ჯირისაგან შემინახე!

(ᲓᲐ) სჯობს მოკვ(დ)ე, მორჩე სიცოცხლეს, სოფლის სახმილით გზებულო![347]

348. ზედ სწერია ესე სიტყვა სამოთხისა აივანსა:
(ᲓᲐ) „ვა, მას, ვინცა სოფლისგან მოსტყუვდების მასა მგვანსა!“

348–ა. ზედ სწერია ესე სიტყვა სამოთხისა აივანსა:
(ᲓᲐ) „ვაჲ, მას, ვინცა სოფლის შვებას იყიდის და აიყვანსა!“[348]

349. ნაღვლის ზღვა არის სოფელი, ნიადაგ პირპირ–სავსობით,
(ᲓᲐ) ვინც ერიდება ჩავარდნას, ჭკუა აქვს არდასავსობით. [349]

350. სიტყვა უტკბოსი შაქრისა, უმჯობე თვალ–მარგალიტთა![350]

350–ა. დაიწმო სიტყვა სიწმინდით ქვათ წმინდათ უწმინდესია,
სიტკბოთი შაქრის უტკბილე, რაც იყო, მისი წესია;
რაც ყური იმას ისმენდა, რამც იყო, უამესია,
ᲓᲐ აფლათუნ ბრძნისა ნათქვამსა მწვე იყ უკეთესია!

351. არ შეექნას მწერს ბოლო–ფრთა ფარშამანგის მსგავსი დარი,
ვერცა მკალი შეიქნების ფასკუნჯისა ფერად, გვარი,
ძმარსა ღვინის გემოვნება ვერ უპოო ვერცა ცვარი,
ᲓᲐ ეკლისაგან ვარდის სული არ გამოვა მოსახმარი![351]

352. სჯობს მეკურტნობა მას ჭონსა, ავის ქუდისა მკერავსა![352]

---

[347] ეჰა, გული მწუხარეო, განვლე ამ სოფლითგან და აიღე კელი შენი სიცოცხლისაგან!

[348] სამოთხის აივანს სწერია: „რომელიც სოფლისაგან დასტყვევდა, ვაი მას!“ 348–ა. სამოთხის აივანზე დაუწერიათ: „ვინც სოფლისაგან მოტყუვდა, ვაი, მას!“

[349] ეს სოფელი ნაღვლის ზღვა არის ნიანგით სავსე. ჭკუა იმას აქვს, რომელიც იმაში ჩავარდნას მოერიდოს!

[350] თქმულა: სიტყვა უმჯობეს თვალ–მარგალიტთა და უტკბო შაქრისა და მის სიტკვის მსმენელს არისტოტელსაც შებნედდა სიამოვნით. 350–ა. სიტყვანი სიწმინდით გოვარის უკეთესი, სიტკბოთი შაქრის ალვის (?) უტკბილესი. ვისსაც (!) ყურში ის სიტყვა შევიდოდა, აფლათუნც ყოფილიო, გაშტერდებოდა.

[351] ნათქვამია: „მწერთა არ მისცა ფრთენი ფარშავანგთა; მკალი მკლად დაბადა, ართუ ფასკუნჯად, ბრძისაგან (!) ღვინის გემო არ გამოიცემის; კმელის ეკლისაგან ვარდის სული არ მოვდინების!“

[352] ჭონის ავის ქუდის მკერავს ჯობს, იცოდეს კაი მეკურტნობა!

352[1]. სჯობს მეკურტნობა, თუ ჭონი ავ ქუდთა გამომჭრელია!

353. წითლის გოგირდის თხოვნას გავს კაცისა დღემოკლეობა![353]

354. ქერის პური სჯობს საჭმელად უმსგავსოდ ზანდურს ჭამასა![354]

355. ვინც ემდურვის, რაცა იცის, სჯობს ისევე ის ირჩიოს![355]

356. აწ ვმადლობ ღ(მერ)თსა: გავწიე თუცა ჭირი და ვნებანი,
და სრულად გამქარდა, რა (ა)ხლა მეღირსა თქვენი ხლებანი![356]

357. ღამდება დღენი ნაღვლისა, დილა ჩანს სიხარულისა![357]

356. მიწყივ იყო პირი მისი გოლითა და შაქრით სავსე,
რას იტყოდა, სიტყვა მისი თვალ-მარგალიტს დავამსგავსე,
რა სტუმარმა შაქრის ტკვირთი ნახე ასე მას წინ სავსე,
და ვითა თუთი ეტრფიალა ცეცხლთა მისთა არ დასავსე.

357. ღამდება დღენი ნაღვლისა, დილა ჩანს სიხარულისა!

358. მიწყივ იყო პირი მისი გოლითა და შაქრით სავსე,
რას იტყოდა, სიტყვა მისი თვალ-მარგალიტს დავამსგავსე,
რა სტუმარმა შაქრის ტკვირთი ნახე ასე მას წინ სავსე,
და ვითა თუთი ეტრფიალა ცეცხლთა მისთა არ დასავსე.[358]

359. მე არ ვიცი, ამ ენისა თუ რა არის სახელია.[359]

---

[353] წითელი გოგირდის თხოვა არის დღემოკლობა. ხვნა-თესვას გამოუდეგ, რომ არი ქმიაკრობა.

[354] ქერის ხური ჯამე და მოიცადე, კაცის მატეუარი ხვარბალი ნუ გინდა!

[355] ვინც თავის სახელოსაგან გამწარებულიყოს, ჯობს, რომ კიდევ ისივ ირჩიოს!

[356] ვმადლობ ღ(მერ)თსა: თუ ჯირი ბევრი გავწიე, შენის ნახვით გამქარდა ჯირი და მოვილხინე!

[357] სეყდის დღე დაღამდა, თენდება დილა სიხარულისა!

[358] ნიადაგ სავსე იყო ჰირი მისი მის შაქრითა, მიწეივ ჯრიდა ბაგე თვალ-მარგალიტსა. რა სტუმარმა ნახა ტკვირთი შაქრისა, თუთისებრ შაქარს ემუტრა.

[359] არ ვიცი, ამეგარი ენის სახელი რა არის!

360. სწავლისთვის სარჯელს გარდიხდი, ხარმცა გამპირე ამისად,
ბოლო გაქვს ლხინი უთუოდ, რა იყო წამვლე ჟამისად,
არც წაუხდების მოძღვარსა იგ ჭირნახული და მისად,
და ვის სწადდეს ქონა, ჭირი ხამს დღივ და დღივ, წამ და წამისად![360]

361. ვერ მოურჩის იმის ბადეს ვერც მფრინველი, ვერცა მხეცი![361]

361–ა. მის ბადესა ვერ მოურჩის ვერც მფრინველი, ვერცა თევზი!

362. თუ გწადდეს თავის პატივი, ანუ თუ გამოჩენანი,
აიღე სწავლა კეთილი, ამაზე დასძარ ენანი,
უცოდნი ფეტვის მარცვლისა არ არი შესაწონანი,
და ქვე დავრდომილსა აღადგენს, ვისაც სჭირს ისი ზენანი![362]

363. შეუწდომლისა რისამე შეწდომის ცდა და პირობა
(და) სირცხვილი არის კაცისა, სიბრიყვე, დიდი ვირობა![363]

364. წამოვლე შენებრ გოგმანით, სული ქვე მოგიფინო და!..[364]

365. ტურფაო და შვენიერო, ქცევით მიხვალ კეკლუცითა,
(და) უკან მოგდევ თვალად ნასი კოჭლობით და კელობითა.[365]

366. ვერ ვლევივარ, ამ(ა)დ დ(ა)გდევ მე მაგ შენსა შვენებასა.[366]

367. რად სწევ მას მშვილდსა, რომელი არ ძალგიც მოსაწევადა?![367]

---

[360] ვისაც ქონება უნდა, ჭირი უნდა გასწიოს და, რომელმაც ჭირი სწავლისათვის გარდიხადოს, კეთილია მისი საბოლაო და არც ოსტატს წაუკდების ჭირნახული.

[361] არ მოურჩის მის ბადესა არც ფრინველი, არცა მკეცი! 361–ა. ვერც მფრინველი წაუვიდოდა მის ბადეს, ვერც – თევზი.

[362] თუ გინდა, რომ ჰატივი გცეს, აიღე სწავლა კეთილი! ადამის ტომი რომ იყოს უცოდინარი, იმის სიბრიყვე ფეტვის მარცვლად არა ღირს. ცოდნით აღემატოს კაცს ხარისხე. აღადგინებს დავრდომილობით, ქვემოდამ ზემო აიყვანს.

[363] ერთს რასმე რომ კელი მიგიწყდებოდეს, სირცხვილია, რომ შენი დღენი იმაზედ გააფუჭო.

[364] ერთიც ქვექვეით წამოიარე, რომ სული ფეხქვეშ მოგიფინო!

[365] ეჰა, კაკაბო შვენიერო, მიხვალ ქვექვეით და სანდომად, მე მოგდევ თვალად ნასი კოჭლობითა.

[366] და შენ დაგდევ და ვერ ვლევი შვენიერებას შენსა.

368. მოცდი(ს) ნავი ზღვასა შიგან ჩამიგდია აფრა შლილსა,
(და) ან დავანთქამ, ან მარგალიტს გამოვიტან, თვალსა თლილსა. [368]

369. ენა დაკარგა მამისა, უცხოც ვერ შეიძინა მან! [369]

370. სიტყვა თვალია და მთქმელი გამთლელი და მადიდები,
ბეს (?) ვინც სცნობს ამ წიგნთ სადაფსაც ძვირფასი მარგალიტები,
ბურთს ის დაიჭერს ნებისას, ვინც პირსა დასდვას კლიტები,
და წინათ ბძენთ თქმული ისმინოს, ელოს მათი გზა და ხიდები! [370]

371. ვეზირმა სიბრძნის საუნჯის კარი გა(ა)ღო გდებული,
მან თქვა: „ქვეყანის მპყრობელო, შენმცა გაქვს ნება ნებული,
სწორის მსჯავრითა შენ ულხენ, დიდია ანუ ვსებული,
და შე(ნ)მცა გაქვს ეტლი ღ(მრ)თისაგან ქორედად ზე აგებული". [371]

371–ა. რა ეს სცნა, ბრძენმა საუნჯის კარი გააღო გდებული,
თქვა: „ქვეყანისა მპყრობელო, შენმცა გაქვს ნება ნებული,
შენს ბძანებასა მორჩილობს, არსად ვინც არი გებული,
დაშენმცა გაქვს ეტლი ღ(მრ)თისაგან ქორედად ზე აგებული".

372. ვის ნამუსი მთელი ქონდეს, კაცში არის კაცი სრული,
სიკეკლუცით არ იქნება სიკეთე და არცა გული,
ზნესრულობით სათავნოა სილამაზით პირი ქმნული,
და უიმისოთ ესე ასრე დამწვარია და დაგული. [372]

---

[367] ნუ სწევ ამ მშვილდსა, რომ არ მალუც შენს მკლავს მოწევა!

[368] მოცდის თავი ჩავაგდე ზღვასა: ან დავინთქო, ან გამოვიტანო თვალ–მარგალიტი.

[369] მამის ენა წავიდა, ეს კელში არ მოვიდა.

[370] ნებამეოფლობის ბურთს ის დაიჭერს, რომელი მისდევეს ჰირვანდელთ ბრძენთ ნაბრძანებს. სიტყვა თვალია და მთქმელი ეოვლისა.

[371] ბრძენმან ვეზირმან რა ეს ისმინა მეფისაგან, გაიღო კარი სიტყვის სალაროთაგან და თქვა: „ეჰა, ქვეყნის მპყრობელო, რომე შენის მართ მსაჯულობით ულხენ ეოველთა დიდთა და მცირეთა!" 371–ა. მცოდნემ კაცმა რომ ეს სიტყვა გაიგონა, სიტყვის განძის კარი გა(ა)ღო, უთხრა: „ეჰ, ხელმწიფეე, ქვეყნისა და დროსავე შენს ბძანებას ქვეშ არის ესეცა და ისიიც".

[372] რომელს აქვს ნამუსი და ჰირის წუალი ერთა შორის, ის არი კაცი სრული. კაცის სიკეთე ჰირის სილამაზით არ იქნების. ზნეობის სიკეთე ჰირის სიკეთის სათაენო არის.

373. მეფეთ ხამს, სიტყვა გასინჯონ, ისე თქვან მოგვიანოდა,
(და) გ(ა)უსინჯავად თუ რამ თქვან, ვერ მორჩენ უზიანოდა![373]

374. ვინც მძიმობს რასაც საქმეზე, ზე აღემატოს სვენია![374]

375. ერთი სჯობს ვარდის ფურცელსა, ერთი ვარდს უკეთესია.[375]

376. ღრუბელი იყო, მაგრამე სწვიმდა სულ ხანჯლის წვერებსა,
მეხნი, რომელთა ომის დღე მიუჩნდათ მოსასვენებსა,
ერთს კბილი უგავს მარიხის გულისებრ უწყალოებსა,
და ველი მეორის – ხორთუმ(ი)ს ცის გარე შ(ე)მოვლებებსა.[376]

377. ჰე, ღამევ, ჩემო ჭირო და ჩემ(ი)ს გულისა შემწველო![377]

378. გასინჯვით იტყვის, ვის აქვს ცოდნა სიტყვისა თვისებისა,
(და) გაუსინჯავად მოლაყბე ვერვის შეეთვისებისა![378]

379. ამად უნდა კაცს სიცოცხლე, მოყვას თვისთან იხარებდეს,
(და) უამათოდ რას ვინ აქნევს, მიწის პირზე რომე რებდეს?![379]

380. მზე იყო მისი მსახური, მთვარე – მნათობი ღამისა.[380]

381. კაცისგან საქმის წამალი საქმისა წინ იქნებისა.[381]

---

[373] ვინცა ვინ კელმწიფემ ბძანოს რაჲე, ისი ბძანება ჰირველად უნდა გულში იფიქროს და მერმე ბძანოს. ვინც ერთი რამ გაუსინჯავად ბძანოს, იმ ბძანებისაგან, დიად, დაზიანდების.

[374] საქმესა ზედან იყავ მძიმე მთასავით! რომელსა ესე სჭირს, აღემატოს სიდიდე.

[375] ერთი იყო ფურცელი ვარდისა, მეორე ვარდის დამნასებელი.

[376] ღრუბელნი არიან, მაგრამ მათი წვიმა ხანჯლის წვერი; მეხნი იყუნენ, მაგრამ იმათი განსვენება ომის დღე; ერთის კბილი შეჰნილიყო მარიხის გულსავით უწყალო; ერთს ხორთუმი შემოეხვია ცის გარშემო.

[377] ეჰა, ღამეე, ჩემო ჭირო და სენო, რად არ აღგები მსუბუქად, ჩემს გულს რამთონჯერ შესწვავ და დილა არ მითენდები?!

[378] მცოდინარნი სიტუვას გაშინჯვით იტუვიან. ვინც გაუსინჯავად თქვას, ის არი ბოლომოუღებელი.

[379] ამისთვის უნდა სიცოცხლე კაცსა, რომ შეუქცეს თავის მოყვარე მუსაიბთან.

[380] მზე იყო მისი მსახური და მთვარე მნათობი, ქამი დროთა იმისი იყო და ქვეყანა წადილისაებრ მისისა.

[381] საქმის წამალი საქმის წინათ იქნების.

382. ნუმც იქნება ჭმუნვა შენი, მოწყენა და შეზარება,
(და) შენ ხარ ყოელთა გულის შვება, სიხარული, გახარება.[382]

383. ათასი სული კაცისა ერთს შენ სულს ენაცვალოსა![383]

383–ა. ათასი ჩემი სული და სხვისა შენ გენაცვალოსა!

383–ბ. ასი ჩემი და სხვის სული ყველამც შენ გენაცვლებისა!

384. ჟამისგან გულის მოწყენა მოცდისგან გაკეთდებისა![384]

385. ამ ამბისგან თუცა მთვარე შავს არ იმოს(ს), პირშავია,
(და) თუ ღრუბელი არ იტირებს, უნამუსო, მაშავია![385]

386. უგვაროს კაცის სწავლება ამ(ა)ს გავს, კიდეც ასრია,
(და) მეკობრეს მისცე კელშიგან კმალი ორპირი, ბასრია.[386]

387. მტერს ნუ ენდობი ნიად(აგ), მტერი მტრის მტრობას ცდილობენ,
(და) პირს თეთრს კბილს აჩენს და უკან შავს გულსა არა რბილობენ![387]

388. არ უსმინოს ყოველს ყურმა სიტყვა მათი მონახსენი![388]

389. თუცა შენს კელთ გაქვს ისარი, მეცა მიჭირავს ფარია![389]

390. რაცა კაცი ასზე საქმით არ გეშინჯოს, არ გეცადოს,

---

[382] ნუმცა იქნების მოწყენა და ჭმუნვა შენი, შენ ხარ გულთა ყოველთა მლხენელი.

[383] ათასი კაი სული ერთს შენს სულს ენაცვალოს. 383–ა–383–ბ. ათასი ჩემი სული და ათასი ჩემისთანისა ერთს მაგისთანა ბედნიერს სულ ენაცვალოს!

[384] ეჰა, გულო, დროთა და ჟამთა მოწყენა მოცდით გაკეთდეს!

[385] ამ ამბავით თუ არ შეიშოსს მთვარე შავსა, ჰირშავია; თუ ღრუბელმა სისხლის ცრემლი არ იწვიმოს, უნამუსოა.

[386] უგვაროთაგან მცოდინარობის სწავლება ამას გაუს, რომ მისცე კულთა მჰარავთასა კმალი ბასრი.

[387] მტრისაგან ნუ დაიმინებ, რომ მტერობით გაუწმენდელნი არიან და ნიადაგ შენს ვნებას და ღასატეურს ცდილობენ! ჰირად თეთრი კბილი აქვთ, უკან შავი გული დალახვრული.

[388] არა უსმინოს ყურმან ყოველთა სიტყვათა!

[389]

(ᲓᲐ) რატომ ეტყვი ხვაშიადსა, რაგინდ ბევრსა შეეცადოს?!

390–ა. რაცა კაცი ასს საქმეში არ გესინჯოს, არ გეცადოს,
(ᲓᲐ) ხვაშიადსა ნუ გაანდობ, რაგინდ მრავალს შეეცადოს![390]

291. წარბ–ბრტყელი, ტუჩი პატარა, ვარდის ფურცლისა ღაწვია,
კბილ–მარგალიტი უფასო, ენას შაქარი აწვია,
ტანად სარო და ლერწამი, შემხედთა ჭირი აწვია,
ᲓᲐ ტრფიალთა არად მოწყალე, ცეცხლის მომდები აწვია.[391]

391–ა. წარბ–ბრტყელი, ტუჩ–პატარაი, ვარდის ფურცლებრი ღაწვია,
კბილ–მარგალიტი, ღრძილ–ძოწი, ენა შაქარი აწვია,
ტანად სარო და პირად მზე, მჭვრეტელთა ჭირნი აწვია,
ᲓᲐ მისთა ტრფიალთა უწყალოდ ცეცხლთა მომდები აწვია.

392. ვინცა საქმე ჭკუითა ქნას, ჭირს გარდურჩეს უსაცილოდ![392]

393. სამოსი მისი საფერი, თეთრი და ვარდოვანია,
(ᲓᲐ) ვითა ალვასა ეხვიოს ყვავილი ფესოვანია.[393]

394. ნადიმი ქონდა ნათელი, მზისაცა შესადარია,
ომი — ვეშპისა უძალე, მტერთა სვრით დაუზარია,
სასწორის სჯითა ყოველნი მისი მორჩილი არია,
ᲓᲐ უხვად გაცემით ქვეყანად სხვა არა ყვანდა დარია.[394]

394–ა. ნადიმ–ნათელი, პურ–დიდი, მზისაცა შესადარია,
ვეშპისა ომი ძალ–ედვა, მტერთა სვრად დაუზარია ,
სწორის მსჯავრითა ყოველთა მისი შეჰქონდა ზარია,
ᲓᲐ უხვათ გაცემით უნჯისა სხვათა მეფეთა დარია.

---

[390] ერთი კაცი რომ ასჯერ არ გამოგეცადოს, იმგვარ კაცს ნუ ეტყვი შენს საიდუმლოს!

[391] ბაგე მცირე და წარბ–ბრტყელი, ღაწვი ფოთოლი ვარდისა, კბილ–მარგალიტი ობოლი, ენა შაქარი, ტანი სარო და ლერწამი.

[392] რომელმაც საქმე ჭკუით დაიჭირა, უცილოდ გარდურჩა ჭირსა და ფათერაკს.

[393] „ფესოვანია“ თუ ფეროვანია.

[394] ნადიმი მისი ნათელი იყო მზისებრივ; ომი, – ვითარცა ვეშაჰმან მოსწუკიტნის მტერი; მართმსაჯულობით მორჩილობდის უოველნივე.

395. არ ეთხოვება კაცობა მიწყივ ჯავრთ სახმილთ მგზებელ(სა)![395]

396. პირ-მთვარე, მუშკ-საყნოსელი გულისა წარმტაცებია.[396]

396-ა. პირ-მთვარე, მუშკ-საყნოსელი გულისა მოსანდომია,
(და) სულისა მახარებელი, კაცისა მომაცდომია.

396-ბ. პირ-მთვარე, მუშკებრ სუნნელი, გულისა მოსანდომელი,
(და) სურვილის მახარებელი, მნახველთა შემაცთომელი.

397. ეკალი დასწვა ისი სჯობს, სიტყვა არ უნდა ბჭობისა,
(და) თუ შეინახო სახელში, ხორც(ს) სადმე შე(ე)რჭობისა![397]

398. თუცა წავიდა ალვის ხე, ნაძვი დგას მაღლა ზდილები,
(და) თუ დაჭკნა ვარდი წითელი, თეთრია მისი წილები.[398]

399. მოდი, მნახე, მომეახლე, მონატრე ვარ შენის შეყრის,
(და) თვალი დამრჩა შენის გზისკენ, მრიდე არ ვარ მტვერის შეყრის![399]

400. ხამს, იყოს კაცი ბრძენი და ერთგულებაზე კლდევითა,
(და) არ ქროდეს ვითა ნიავი, ან ღრუბლის(ა)ებრ რბევითა![400]

401. ყვა ასული შვენიერი, მზის და მთვარის შუქთა მძლევი,
თმა ამბრია, მუშთარისა პირის სხივით მალ გამძლევი,
ბაგე ვიწრო, ვით ბეჭედი, სურნელების მოულევი,
და იგი თვალი ძვირფასისა, ვერვინ ნახოს ძნელ სალევი.[401]

---

[395] რომელმაც გააძლიეროს ცეცხლი ჯავრისა, იმისთანას ვისმე ნუ სთხოვ კაცობას!

[396] პირ-მთვარე, მუშკ-საუნოსელი, გულისა წარმტაცებელი. 396-ა, 396-ბ. პირ-მთვარე, მუშკ-სურნელი, გულის წამღები, სულის გამამხიარულებელი, გულის მომატეუარი მთვარესავით.

[397] ეკალი დასაწვავად კარგია, თუ სახელოში გაირჯო, კორცს შეერჭობა.

[398] თუ ალვის ხე წაიდა, ნაძვი კიდევ დგას. თუ წითელი ვარდი წაიდა, თეთრი კიდევ დგას.

[399] მოდი, მომეახლე, რომ ვარ მონატრე შენი შეერისა; მოდი, რომ ვსჭვრეტ ეზასა შენსა!

[400] დილის ნიავივით ნუ დარბი ხან ამ მთას, ხან იმას!

[401] და მას ჰყვანდა ერთი ასული ტურფა და შვენიერი და მზისა და მთვარის გამანათლებელი, თმა-მუშკ-ამბარი. ჰირ იმის უნათლეს არი მუშთარსა, ბაგე ვიწრო,

402. ტირიფის ხილის თხოვნ(ა)ს გავს უგვაროს კარგის თხოვანი![402]

403. მწვე კარგად უთქვამს მას მთქმელსა ესე სიტყვანი როდესა:
(და) „კარგ სახელთაგან ბოროტი გამოვა არ(ა) ოდესა!“[403]

404. და(ა)კმიო ფიჭვის ფისი, საკლმის სულსა ვერ იყნოსებ![404]

405. მას სიმაღლესა გაეხსნა ხელი სამართლის გზაზედა,
და მას შიშ დაება უწყალოდ ფეხი ბორკილის კარზედა.[405]

406. რა წაველ ბაღსა, ვერ ვნახე ჩემი ალვის ხე რგულია,
და ვერც ვარდი, ახლა გაშლილი, დამწყდა ამისთვის გულია.[406]

407. ვისულგრძელე ამ საქმეზე ბრძნისაებრ და მეცნიერებ,
და ვთქვი: „ღ(მერ)თს მადლი, მეც მოვკვდები, რაზომ ვიყო ნებიერებ“.[407]

408. თუცა იოსებ იყიდეს მუშკისა შესაწონადა,
და ეს ღირდა სული(ს) საწონად, მეტათაც გასაგონადა.[408]

409. წა, უკუდეგ, ავი, შმაგი, აღარ მინდა შენი დება,
(და) რას კედელზე შენ ხატიხარ, მისი ნახვაც მეცოდება![409]

ვითარცა ბეჭედი და კელმწიფე მას ერთს თვალს მვირფახისას არვის უჩვენებდა, ჰქუანდა სახლსა მჯდომარე.

[402] უგვაროთ სიკეთის თხოვა არის, რომ ტირიფის ხეს ხილი სთხოვო.

[403] ეს სიტყვა კაის მთქმელს კარგად უთქვამთ, რომ არ გამოვა კარგ სახეთაგან ავი საქმე.

[404] ტირიფის ხის დაკმევით საკლმის სული არ მოუედინება!

[405] მის დიდებულობას კელი გაელო სამართლისა. შიშსა მისსა დაება ფეკი ბორკილსა უსამართლოთა.

[406] წაველ ბაღსა, ვედარ ვნახე ჩემი ისი ალვის ხეო. ახალი გაშლილი ვარდი აღარ იყო იმა ბაღსა.

[407] ამისთანა საქმეზე ბრძენსავით მოვიცადე და ვსთქვი: „ნება ღ(მრ)თისაა, ჩვენც დავიხოცებით!“

[408] თუ იოსებს თაყის წონა მუშკად იყიდდენ, შენს ღირს ხარ, შენს წონა სულათ კიყიდონ!

[409] ცოდვაა იმ კედ(ელ)ზედ შეხედვა, საცა ეხატოს შენი სახე.

სალბუნად გულისა

პირველი რედაქცია

1. მრწამს, მისის სარჯლით აშკმული ჯოჯოხეთს პირი იცოდა,
მას ვევედრები, რომელმან არარა ცოდვა იცოდა,
მას შემწედ ვხადი, მის წინა ვინ სულის წმინდით იცოდა,
და შემინდოს ყოელი რეგვნობით, რაც ჩემგან რამე იცოდა!

2. გამსაჯა მიწყივ სოფელმან, უფრო ყველასგან აჯამა,
არ შემიწყალა არათი, არ გამომართვა აჯა-მა,
ამავსებინა ცრემლითა კალთა, ფიალა, ა ჯამა,
და მწვე მომაწყინა სოფლისა ასე უბრალოდ გარჯამა.

3. დაუტევე სახლ-სამყოფი, თვისნი ტომნი, მონაძები,
დაეკარგულვარ უცხოს თემსა, ვარ არვისგან მონაძები.
ვინ დამბადე, შემიწყალე ყველასაგან მონაძები,
და შემომძარცვე, რაც მაცვია, ჭირი, ჭმუნვა, საძაძები!

4. დამეკლიტა ლხინთა ბანი, მორჩომილა განა კარი,
ცხრა მწვერვალი საკმილისა გულშიგან მაქვს განაყარი;
დამილტვია უბე, კალთა, წინც ბევრი მაქვს განაყარი.
და რა ბრალია, შენი მჭვრეტი ექმნას სულსა განაყარი!

5. ჩემთა ნათქვამთა მოწმობა კვლავ ლექსმა მიყოს „მაჯამა“,
ცრემლთა ნაკადმან ააესო, ნახეთ, გაცნობოს მაჯამა,
დამწვა სოფლისა საცთურმა, ველარა სცემოს მაჯამა,
და უკეთ არ მწამდე იმისგან, მკითხოს მეჩიტმა, მაჯამა!

6. მომინდა საწყალთ ტრფიალთა ცეცხლი მოუდვა, ალები,
ვადინო დაუწყვეტელად თვალთა ცრემლისა წყალები,
საყვარელისა შორ-ყოფნით გავხადო შესაწყალები;
და სოფლის მიმყოლთა ყოველთა სცნან, როგორა სჭირს ძალები!

7. კეკლუცთ ზედა ხარ კელმწიფე, ტრფიალთ ცეცხლს უდებ მალამით,
მანდით ნასროლმა ისარმა გული გამიპო მალ ამით.
სხვას ვისმცა ეძლოს კურნება, ცუდად შვრებიან მალამით,
და მიჯნურნო, მოდით, მიტირეთ, ცრემლი მავასხეთ მალამით!

8. გიშრისა მშვილდმა, მელნის ტბამ, გლახ, გული წყლული მიწამა,
ბროლმა და ლალმა გარევით ლამის ღღეთ სიგძე მიწამა
ცრემლი მდის მიწყივ თვალთაგან, ვეჭვ , გულმა შენმცა მიწამა.
და რად არ გეწყალვის მიჯნური, შეშჭამოს უდროდ მიწამა?!

9. მზეო, შენს გარდამკიდესა მჭირს ასე ძნელი ჭირები,
ფარვანებრ ვიწვი, ბულბულებრ ეკალთა შინა ვირები,
უსჯულოს ვისმე გლახისებრ მაქვს ესე განაჭირები,
და იმ სოფელს ვერას ვიკეთებ, აქა მაქვს ლხინი ძვირები.

10. ვარდს ყინვა ფერსა ვერ ართმევს, იგი მას მისსა წილებსა,
საკმილი მძაფრად მგზებარი არ ადნობს ისრე ცვილებსა,
ქასრი ვერ გასთლის რკინასა, შენ რომ სთლი კაცთა გულებსა,
და ბასრი მკვეთელი შიშველს ტანს რით დასდებს ამა წყლულებსა?!

11. ცეცხლს უგავს ღაწვი, ცეცხლისგან უფრო მწვავს, უფრო მედება,
რა ვნახე მიწყივ საჭიროდ ფეკი მახესა მედება,
მიმტაცა სული, დღეს იქით რას მარგებს გულის მე დება,
და მიტირონ ძმათა საწყალი, ანღა თუ ვინმე მედება?!

12. რა მოვიღო, ეს არ ვიცი, შენთვის მსგავსი იგავები,
გაგიძვია, დიაღ, მიღმარ სიგონჯე და იგ ავები,
ტრფიალთ შენთა სალალობოდ იწმინდები, იგავები,
და ჭირსა ძნელსა გაუხსნელსა ამ საქმითა იგ ავები.

13. ციხეს ზიხარ მეტად მაგარს, არვის ძალუძ შოვნა ძალად,
ნებით კარსა არვის უღებ სამოთხეში შესავალად,
ისარს ისვრი წამწამისგან, ცეცხლს გარ უდებ ტრფიალს ალად,
და ვერ გაუძლებს ვერცა ერთსა, გული იყოს ბასრად, სალად.

14. ლექსსა მივყევ სამიჯნუროს, ვარ ტრფიალი, განახელი,
დამიწუხა თვალნი სხივმან, ველარა ვქენ განახელი,
გიშრის თხზულმა ტოილომა გული შეკრა, განახელი!
და შეყრასა ჰგავს მზის და მთვარის, თუცა თავი გან ახელი.

15. რა ვარდმა პირი გაშალოს, გაღიმდეს, გაიცინოსა,
მაშინღა მისმან მჭვრეტელმან ნეტარ რათ მოიწყინოსა?!
მწვანეზედ წითლად ნაშალსა ზედ ცვარი გაეყინოსა,
და მინახავს მაშიგ მავალსა, შენ იგი მოგეყივნოსა.

16. ყვავილსა მრავლად შეყრილსა მათსა სამყოფსა, ვანებსა,
მწვანეს ხავერდად ნაშალსა, შიგ რუსა მომდინარესა,
ალვის ხე მაშიგ მდგომელი აშვენებს ბაღთა არებსა,
და კეკლუცთა შიგან მყოფელი გავხარ მის შესადარებსა.

17. მზესა შუქსა რომ წაუხვამ, ხომ არა ხარ, რომ ვთქვა ღამე,
ვარსკვლავების მიფარებლად მზესა სჯობხარ კინაღამე,
მთვარის უფრო ბნელს ანათებ, მას რას ვაქნევ, იყოს სამე,
და ჰე, ზოჰალო, მისი შედრა თუ შეგეძლოს, შეიწამე!

18. ჩრდილოს ვარსკვლავი მის ადგილს ზის არა, არ აკლდებისა,
ყოველი მნათობი მთიებნი გარშემო მას ევლებისა,
მის გარემოსა მიწურვა ვერვისგან შეიძლებისა;
და მას ბაძავ, ღაწვნი მიჯნურთა რა ეკრთოს, დაიკლებისა.

19. მაისში კარგად მოსული ქარით ღელევდეს ყანაო,
წყლის პირსა მდგომსა სათიბსა ნიავი სძრევდეს ანაო,
მიგიგავს დაძვრა წარბისა, ვით შექმნა აგრე მანაო,
და კამს, რა ვერ გჭვრეტდეს მიჯნური, გულსა დაიცეს დანაო.

20. სრულად სიბრძნისა საუნჯის კარი რაც მქონდეს, დამეღოს,
ან მაგალითი პლატონის, ან პითაღოროს დამეღოს,
ვჯდე გულის მზრახად სამუდმოდ, თავი ქვე სადმე დამეღოს,
და საკადრად შენსა ქებასა ვერ ვიტყვი, სულიც დამეღოს!

21. მას პირი უგავს ბროლსა და შიგ ლალი გამჭვირვალობსა,
ბაგე — ვარდისა ფურცელსა, კბილნი მარგალიტს ძალობსა,
ტანი — ალვასა მრხეველსა, მჭვრეტელნი მწვე საბრალობსა;
და მე გაუკდივარ ქარვად და, ტან-ლერწამ რომ უწყალობსა.

22. თვალი მიგიგავს ჯერანსა, წარბი ზანგუბრელს, სულო, და,
შენმა ბაგისა ციმციმმა ფერი ყაყაჩოს სულ ოდა,
ალმასის პირის სადარით კამს, მზისა სხიო სულ ოდა,
და საბრალოს შენთა ტრფიალთა, სიცოცხლევ, გულის სუ ლოდა.

23. ენახათ მისი სიტურფე, გული სხვარიგად ქცეოდა,
ეტყოდა თავსა: „არ ვიცით, აწ რა ნუგეში ქცეო და,
კამს, ამ ჭირისთვის თუ გვეძლოს, შეგიპყრათ სვეო, ქცეო, და!“
და მართ მისწუროდათ მათ სული, გასცლოდა გა-ცა-ქცეოდა.

24. ღაწვ-წითელი და თმა-გრუზი, კბილ-თეთრი, თვალი შავია,
შვიდთა მნათობთა ვარსკვლავთა არ ძალუცს მისი დავია,
სუფთა, წყნარი და სათუთი, კეკლუცთა მოსართავია,
და უკვდავებისა ბაგები ვარდ-შაქრით შენაზავია.

25. თვალს მისცემს წყალსა პირველებრ, რა ნახო სული და გული,
ყვავილისებრივ გაშალოს მისგანვე გული დაგული,
გააღოს კარი ლხინისა, ჭირისა კარი დაგული,
და გაშალოს ვარდის კუკური, ჩემშია მისი დარგული.

26. რა მზე გარდადგეს ვერძზედა, აერმა შექმნას თბობანი,
ამწვანდეს ტყე და მინდორი, მფრინველთ დაიწყონ კმობანი,
აყვავდეს ყოვლი ქვეყანა, ტრფიალთა შექმნან დნობანი;
და ქართლსა გაჰყროდეს, ისპაანს კაცს მიხდომოდეს ნობანი.

27. რა სჯობს მაისში ტფილისსა, ვარდი ვარსკვლავებრ ესხასა,
მწვანედ ღელევდეს გარემო, ცვარი ცის მაზედ ესხასა,
თუ არ უშმაგო, ვინცა ქნას, მაზედა რითმე ესხასა,
და მე ასე მითქვამს, უთუოდ ის კაცი იყოს, ეს- ხასა!

28. ბულბულისა რაღა გითხრა მრავალფერად მაზედ კმობა,
გლახ, მისისა მიჯნურისა მუსიკურად შესხმა, მკობა,
თავს დაბრუნვა, ზედ დაბნედა, რა მობრუნდეს, ჭიკჭიკობა,
და ტრფიალთაგან საანდაზოდ მათგან მაზედ არაკობა!

29. ჭიკჭიკობდეს ვარდს ბულბული, ზედ ხე იდგეს ჩრდილის ფენით,
მის ქვე იჯდეს მოყმე ვინმე, მხიარული კმობდეს ენით,
თვით გვერდთ უჯდეს მისი ჯუფთი, მინა თასზე მონადენით,
და რა ბრალია, საწუთროო, იგი შექნა ცრემლთა დენით!

30. ცაცხვი დგას ტურფად ნაზარდი, შტო მსხვილი, შუა ვაკესა,
ყვავილი ფერად-ფერადი გარ უდგას მისა ბაკესა,
მუნ ფარაღათად მსხდომელთა ლხინი რათ გაინაკესა?
და სმენ უცხოფერსა ღვინოსა, კულები არაკრაკესა.

31. გაზაფხულზე დიდგორს ჩირთი არა ჰქონდეს განაშალი,
მუნ მივიდენ სანადიროდ, ვაჟკაცთ იწყონ კარგა შალი,
ჯერგა მაღლა მოიძახდეს, ნადირთ მისცენ რბენას ძალი,
და აქ დასცენ და იქ ისროდენ, გააწითლონ სისხლით წყალი.

32. ლილოს ტბაზე წეროობას, ნეტარ, რამცა შეედარა,
შავარდნისა ნადირობით ვისმცა თავი შეეზარა!
ჩირგვის მწყერს და ღალღას კოცდენ, სეფქით გორად დაეყარა,
და მუნ მწვანეზედ კარგად დასხდენ, ლხინსა კელი წაეყარა.

33. ზარს ჩასაგდებსა ქორებსა აშურებდიან სატევად,
მოვიდენ, შექნან ნადიმი, სახლსა ზარობდენ სატევად,
რა ბრალი არის, ეს ჟამი კაცსა შეჰქნოდეს სატევად,
და სისხლისა ცრემლსა გაეწნას გუგა საბრალოდ სატევად!

34. რა ივნისში წყლებმა შტონი გაამრავლოს გარდადენით,
მის წყვეტისა შექცევისთვის მოარობდენ გარდადენით;
ბელტსა ჰყრიდენ, იძახოდენ: „ძელი ძელსა გარდადენით!“
და თევზსა ჰყრიდენ ნაპირზედან, არ ეტევის გარ დადენით.

35. კოჟორიც ითქმის ერთ რადმე, თუ ჰავამ არ იაოსა,
ყვითლად ყვაოდეს ბაია, ნარგიზი ვერ ედაოსა;
მუნ ბულბულისა ზახილმა კაცს სევდა მოაქაროსა,
და კოკბის და კაკბის ლაპობით, ვეჭვ, თავი შეგაზაროსა.

36. შუას ივლისში თრიალეთს სხვა თემი რამც ედარაო,
ჯერ მწყერაობით შექცევა, თუ ცამცა მოიდარაო,
მერე ქციისა დასაგვლა, ორაგულს ყრიდენ გარაო,
და ჭერით, ზიდვით და აკიდვით ყოვლთ თავი შეაზარაო.

37. წყალსა ნაწყვეტსა მწვანეზე მჭვრეტელნი მზერდენ ას ერით,
იჭერდენ მაშიგ კალმახსა: „დაჭერ, — იძახდენ, — ასერით!“
კვლავ მოდიოდენ მინდორად არჩვი, ირემი ა სერით,
და მისმან მნახავმან ეს მითხრას, ეს ისე ვაქო ასე რით?!

38. მაშინ შამბიანს მთა–ვაკე მრავალფრად აყვავდებოდეს,
ბროლისა მსგავსი წყარონი ციმციმით მოსდინდებოდეს,
სამოთხის მსგავსის ჰაერით გულს ჭირი მოლხინდებოდეს,
და ცუდი ცდა არის, გაყრილსა სხვით გული დაედებოდეს.

39. რა მიმართონ მისა მზღვარსა, მხიარულთა დაიბარგონ,
მას ღამესა რაც მართებდეს, იარაღი მოივარგონ,
დილას ჯელგა შემოხვიონ, თავის მკვრელსა კარგად არგონ,
და სწყვეტდენ, კოცდენ, სისხლის მათით სევდა სულა დაიკარგონ.

40. ჯერგის მფრთხალსა მონარბოლსა ხარსა შამბი ედებოდეს,
დამაშვრალთა წყაროთათვის გულსა ცეცხლი ედებოდეს,
ჩამოვიდ̌ნ, კარვად დასხდენ, წინა რქანი ედებოდეს,
და უგზავნიდენ დანიშნულთა თვისსა, გინდა ედებოდეს.

41. როჭოს ლაპი მომავალთა შექნან ბევრი საგალია,
გნოლი წითლის დევნებითა ქვე მიწაზე საგალია,
კალმახისა გასაწყვეტლად დაუნაყონ საგალია,
და ვაჲ, სოფელმან დღენი ჩემმნი აწე ცუდად სა გალია!

42. ამას უკან მხიარულნი გაემართნენ შავნაბადით,
ფარავანზე შექცეულნი თევზსა სწვევდენ მუნა ბადით,
არჩვსა კოცდენ, სხვას ნადირსა, თუ რამ ჰქონდეს მთას ნაბადით;
და მნახთ არ აქონ, ვით იქნების, თუ ქვეყნად არს იგ ნაბადით!

43. ნუ გიკვირს, რომ ტბისყურისა ქება ვერ ვთქვათ ახლა სრული,
გაიხსნების უცხოთ რათმე მუნ შეკრული მწარედ გული,
ხენი ზრდილნი ტურფათ რათმე ნაპირს უგავს შემორგული,
და სხვა კალმახი მის კალმახთან, დიაღ, არი დაკარგული.

44. კეელრმა რასათვის დავაგდოთ, ან ფილტვიანის არები,
მინდვრად მოსული მანძილო, რქა-მაღლად ზრდილი კარები,
კვლავ ნიამორი უცხონი, დომბისა შესადარები.
და გაამოს ერჯევანმაცა, თუ დაგხვდეს კაი დარები.

45. რა გათავდეს ეს შექცევა, კვლავ მოვიდენ ისევ ტფილის(ს),
აბანოსა განისვენონ, ქებაც ითქმის მცირე ძილის;
სანუკარი მრავალფერი, სიმრავლეა უცხო ხილის,
და იშვებდენ და იხარებდენ, ვის რა ჰქონდეს, თავის წილის.

46. თუ გაკითხვა სოფელს ჰქონდეს, კაცი ძაძოს, იქ რათ წეროს,
მუნებური შექცევანი ვინ აღრაცხოს ან ვინ წეროს?!
აიყვანონ გავაზები, მკარ-ბარკალსა სწყვეტდენ წეროს,
და შავარდნითა შექცევასა, ვაჲ, სოფელო, მიმაწევ როს?!

47. შემოდგომაზე სომხითმა, ვეჭ, თავი მოგაწონოსა,
ახალს გამოსულს ქორებსა ფრთა კარგა დაესწოროსა,
კოკობი მაღლა ფრინევდეს, კაკაბი დაელონოსა,
და ტაბლით ნამაღლი იხვები კამარით ქვეშ ეგოროსა.

48. ძოვნია არის საქები, ვაჟკაცთა გამჭიმავია,
ფიცხლად დახლტოდეს ყურდღელი, სროლაზე ჰქონდეს დავია,
იქცევდენ ბევრგან მწევარნი, ზოგისა დამჭირავია;
და ბერნიც ამზგავსოს ყმაწვილსა, ეს, მითხარ, როგორ ავია!

49. ხუნანამდი დღივ და დღივე მიწყივ ჰქონდეს ესე ყოფა,
დებედას და ქციაზედა გულს არ უყონ ლახვარს ყოფა,
ოყარს გავაზს ადევნებდენ, ისა ჰყვაო კარგა ყოფა!
და აწ ტფილისივ მოიგონონ, კვლავ არ უყონ იმას ყოფა.

50. ცოტას ხანსა მოისვენონ ყარაისთვის განახელთა,
დროთ მისწერონ ყოვლთა წიგნი ამ საქმეზედ მათ მკმობელთა,
მოკრფეს ჯარი სატურფალი, „ვახი“ჰქონდეს მუნ მჭვრეტელთა,
და გაემართნენ მხიარულნი, მიგრაგნიდენ მთა და ველთა.

51. ლოჭინს შეექცენ კაკაბსა, სად ჩადის მცირე წყალია,
საჯოგის ჭალას მივიდნენ, ცეცხლს ჰქონდეს მაღლად ალია,
მეორეს დღესა კოკობსა დამართონ დიდი ძალია,
და ტყე მოირეკონ, ნადირთა გააელონ ერთპირ ხალია.

52. ნაგებით დაგხვდეს ყორული, ტახი ლომებრივ მბრძოლია,
ირემი, შველი საკუნდარს ფიცხლად რამ შემომსვლელია;
მაშინ კამს თვალის სიმარჯვე, კელი ფიცხობის მქნელია,
და მიართვან მეფეს მოკლულნი, კვლავ მიჰყონ ლხინსა კელია.

53. ჯელგა ნახონ, გარდასთვალონ, სულ მოსულან, ანუ არა,
გარდამკერელი გააჩინონ, გააყენონ მათგან გარა,
მათ ასწერონ, ვითა კამდეს, ვინ ვისთანა დაეკარა;
და შუაღამეს გაემართნენ, რად ვისმეცა დაეზარა!

54. შემოარტყან მინდორს ჯელგა, ცხენ-ფიცხელი, მუკლად მალი,
დაეკარნენ, ნელა მიჰყვნენ, მათგან იყვნენ დაუმალი;
მუნ ქურციკი შიშისაგან შექნილიყოს მწვე საწყალი,
და ლიკლიკასა მონარბენსა ზოგმან მოჰკრას ვერცა თვალი.

55. რა გითხრა მაშინ მუნ მყოფთა კეკლუცად მოვანებანი,
ბედაურთ ცხენთა სიმსუქნე, ან უცხოთ რიგით მკობანი,
იარალთ ტურფად გაწყობა, არათუ ცუდად დებანი,
და მტერთა საჭიროდ სანახნი, მოყვასთა იმედებანი!

56. ცხენი ჰყვანან ბედაური, კაცი — ლომთა შესადარი,
მათ ქარქაშნი გაუწყვია მტერთა მათთა შესაზარი;
მწვე კმარობენ სადავესა, არც მკლავი აქვთ მოუკმარი,
და თრთოლა მოსდის მოსვლისათვის, დგას ჯერნისა ბევრგან ჯარი.

57. რა მოსვლა შექნას ნადირმა, გაუკდეს მათის თავითა,
მათრაკი მის ღროს იკმაროს, მშვილდსა დაზიდონ დავითა,
წინ გარდამხტალს და მართალს მკარს გაეწყვნენ კარგ-სადავითა,
და ზოგი იქ დასცენ, ზოგს დაჭრილს მისდევდენ მისად ავითა.

58. მათთა ცხენთა სირბილითა მიწა თრთოდეს, ვითა წყალი,
ცას ღრუბელად მტვერი ჰქონდეს, სისხლი — ველზე განაშალი,
ზედ ეყაროს მუნ მოკლული, მათგან სულა შეუწყალი.
და სხვა მისებრივ თუ გენახოს, მე გამკიცხე ან მომკალი!

59. რა აშალეს, კარი მოდის დაფანტული, დანაწყვეტი,
მკლავანი და ბერიკაციც მუნ შექნილა განარეტი,
ერთმანერთსა ვინ წაუსწრებს, რბევა არის მეტისმეტი,
და ჩოკოსანთაც აუღია მათად სამტროდ კელთა კეტი.

60. რა გაათაონ, ზოგს ჰქონდეს მოწყენა მიუთხრობელი,
თავსა მართლობდენ მიზეზით, გამოჩნდეს მათიც მთხრობელი,
ზოგი თქართქარით იხარებს, მათი გულისა მდებელი,
და ზოგნი ცდილობენ: „მე მოვკალ, შენ ძალისა ხარ მქებელი“.

61. მოდიოდეს, აწ მოკლული ბატონს წინა იდგეს ხორა,
ზოგს უბოძოს, შინ გაგზავნონ, სხვა რა იყოს მისი სწორა!
მოკვლისათვის ცილებაა, ვინ კარგათ ჰკრა ან ვინ შორა.
და ამ ლაღობით ლხინად სხედან, ამის უკეთ იამო რა!

62. რა გაძღენ სისხლთა მათთაგან, არ შეიცოდეს მკვდარია,
მაღლიანს ჯელგა მოასხეს, შექნეს ზეიმი, ზარია;
ფრანგთ ომს ამსგავსეს, რაც მათგან მუნ თოფი განაყარია,
და ჰყრია მოკლული მრავალი კაცთაგან მოუკმარია.

63. მათ მიმართეს აღრინტალსა, კიდევ ჰყარეს მასცა კელი,
ქორს და ძაღლსა ადევნებდენ, კერკსა ცდილობს მისებრ მელი;
იქაც შეხვდენ ნაფთხალს ჯერანს, რა გაფანჩვით იყვნენ მსვლელი,
და ცარიელად გამოსულთა დევნა უყვეს, დიაღ, ძნელი.

64. ამას უკან სულისათვის უდაბნონი მოილოცე,
წმიდას დავითს თაყვანი-ეც, ერთი მადლი გაიოცე!
ბერთუბანო ჩიჩხიტურით, ცოდვა ჩემი ამიკოცე,
და ნათლისცემით წამებულო, დოდოვ, მტერი დამიკოცე!

65. მიუნდობო საწუთროო, მოყვისთვისც ხარ მიწყივ კრული,
ჩალხისებრივ ბოლოს თავსა, თავს ბოლოს ჰყო მოარული;
თქვით, ეს ყოფა კაცსა ჰქონდეს და შეჰქნოდეს დაკარგული,
და როგორ გასძლოს მან სიცოცხლე, თუ არ ჰქონდეს სალებრ გული?!

66. პირველ მალხინა სოფელმა შამბიანთ არე-მარებსა,
ყარაიას და სომხითში, დიდგორის გასახარებსა,
სხვას რას შექცევას, რას შვებას, არ კაცთა დასაზარებსა,
და აწ დამსვა მარტო, გასჭვრიტეთ, ქუჩუქას სახლსა, სარებსა!

67. რას ვარგა კარგი საჭმელი მარილზე მოუწონია,
ვისამცა მძივი ალმასად ყირათით მოუწონია!
აწ ვხედავ კარგსა ნასეტყვად, ავია, მოუწონია,
და შალგსაც ყვავილი დაარქვეს, მას თავი მოუწონია!

68. აწ გავათავე ლხინი და ვთქვა ჭირი შეუწონარი,
სიყრმითგან ჩემი მწირობა, კაცთაგან მოუგონარი,
რა სიგლახაკე, შიმშილი, სიშიშვლე დასაღონარი.
და მამაძებნინეს წერაქვი, აწ გამიჩნდების ონარი.

69. მზეს ღრუბელი მოეფაროს, დააბინდებს, და-ცა-ფარავს;
ვარდი მზის შუქს რა ვერ ნახავს, ფერს წაართმევს, და-ცა-ჰქარავს,
აწ მე შევხვდი ამგვარ დღესა, შესაწუხარს, შესაზარავს,
და ვერ ვეწიო საწადელსა, ვაჲ, სოფელი დღესა მპარავს.

70. ვიყავ მოყვისა სიმაღლე, მტერთა დამცემი, მხარავი,
ყმათ პატივისა მდებელი, მიმცემი, მიწყივ მხარავი,
სამღთოც ვიცოდი, საეროც, მექმენ აწ ზურგი მხარ-ავი,
და დაუნაშაულად შემექნენ უწყალოდ ძვლისა მხარავი.

71. შეკრბეს ჩემზედა თვისტომნი, საყოლთაც მომიძულესა,
ვინც მკევალთაგან შიშობდენ, მანც ჩემზე კბილი ილესა;
გამომიმეტეს საკვდავად, რაც მქონდა, განიწილესა.
და ვის ვიმედობდი, მათ უფრო გამკიცხეს, გა-ცა-მკილესა.

72. ორბს ვინმე სტყორცა ისარი, ეცა, ქვე იქმნა მდებარე,
განკვირდა: „ჰაერთ სიმაღლე რა მომწვდა გულსა მგებარე?“
გასინჯა, იცნა მისივე ფრთა, ისარსა ზედა მწებარე,
და თქვა: „ჩემთაგანვე მომედვა ცეცხლი უშრეტი, მგზებარე“.

73. მათ უგბილთ და უმეცართა რათ მომიდვეს ცეცხლის ალი,
რა ვაწყინე ასე ძნელი, რა მიადგათ ვისგან ძალი?
ყველა ფიცით მპირდებოდენ, არვინ მყვანდა შემომწყრალი;
და ეს არ ვიცი, რა შევცოდე, შემქნეს ასე შეუწყალი!

74. თავი დავაბი ჭირსა და ვზივარ უხსნელსა კარებსა,
წამ-და-წამ ვისმენ ამბავსა სამსალის უფრო მწარებსა;
ავს მექადიან სიკვდილსა, მტერთაცა შესაზარებსა;
და მაინც მოველი ღ(მრ)თისაგან დროს რასმე გასახარებსა.

75. არ ისმინეს მოციქულთა, თორმეტი კმობს, გინა ათი.
ვისცა ძმა სძულს, სიყვარული ღ(მრ)იისა მწამდეს მათგან რათი?
მოყვარე ვართ, რჯულით ძმანი, ერთხელ ვიყავ მეფეც მათი,
და არცა ერთსა არ მიხედეს, გამიკეთეს უცხო ხლათი.

76. არ ვიშიშვი, რადგან რომე თაყვანსა ვსცემ ღ(მრ)თისა კრავსა,
უსამართლოდ მტერთა ჩემთა საკვრელითა ისი კრავსა;
კიდევ ეტყვის წმინდას მერკვირს, იქლიანებრ მასცა კრავსა,
და აყარყუმებს ტყავსა ჩემსა, აწ ბოხოხსა რომე კრავსა.

77. ყმაზე წამიკდა წყალობა, ცუდ რაცა სამსახურები,
ამხანაგთზედა სიკეთე, სხვათაგან შესაშურები,
ძმათა და თვისთა მოყვსობა, რა ჩემგან მოსასურები;
და განმაძეს ასე უბრალოდ თვალთ ცრემლთა მომაწურები.

78. მტილი ყვავილთა აღვსილი მე ჩემი ნებით ვინარე,
ჭირნი ეგზომი ურიცხვი ჩემკენ, არ ვიცი, ვინ არე.
სულ გამიმტერდენ მოყვასნი, აწ, მითხარით, ვინ არ ე?
და ძნელსა დავები, თუ შენვე არ მიხსნი, შექენ ვინ არე.

79. ცრუმან სოფელმან სიმუხთლით მწვე, მიკვირს, ჩემთვის აგო რა!
მან კაეშანი უხსნელი შეყრით შეჰყარა, აგორა,
ვერ მომიძვრია, არ ვიცი, გულსა ასეთი აგო რა,
და დღე ჩემი წინათ წარსრული ყრმათ ჩიკორისებრ აგორა.

80. რას ვაბრალებ საწუთოსა, ვამბობ, მიყო ამან ესო!
რაც მე შევსვი შესასმელი, ესა ხელსა ვისცა ესო,
ვარდი მედგა ბაღსა ჩემსა, არ თუ სამე ნარი ესო,
და მე აღმოვფხარ, სხვას ვის ეძლო მისთვის რამე ძირსა ესო?!

81. საწუთროსა ცხენსა ვიჯექ, ლურსმანი ვქენ მონაწევი,
მრავლად იდგა ბაღსა მისსა ხილი მწიფე, მონაწევი,
რაცა მწადდა, მას ვიკმევდი, კელით მქონდა მონაწევი,
და ახლა ვქნილვარ მტერთ სახრალად იქით-აქეთ მონაწევი.

82. აღმემართა კაეშანი, ეს არ ვიცი, როს იხაროს,
ვინც ა ღმრთისა მიუნდობლად, რამც იკეთოს, რამც იხაროს?!
ესეგვარმან თავი თვისი იპირუტყოს, ხამს, იხაროს,
დაკაცი ცრუ და უგუნური მომერიდე, ნუ ი ხარ ოს!

83. გამიფრინდა სხვისა ქორი, არ თუ არი განახადად,
ბედი, სვე და სპა და ჯარი ყველა მექნა განახადად;
ცრემლი მიმდის უფრო მისგან, რა სული ქნან განახადად,
და მწვე მიჯობდა სხვაგან მევლო, განა დვალად, განა ხადად!

84. ჰე, თაო, პირველ შვებულო, აწ უცხო ჭირსა ვარდია,
საკვრელსა ძნელად სახსნელსა, მთხრებლსა მოღრმოსა ვარდია,
მკვიდრი უმკვიდროდ შევიქენ, სამყოფთგან გარე ვარდია,
და ღაწვი შემქნია ზაფრანად, ვის ვერა მდრიდა ვარდია.

85. ვერ მივეც, რაცა მემართა, ხარკი სოფლისა მე ცადა,
მოვიდა ქარი ხორშაკი, ანაზდად სამე მეცა და,
ვერ მოვიფარე საფარი, დამწვა სხვებთანა მეცა და,
და რა მწვე მიჯობდა, სიბრძნითა თავი სხვარიგად მეცადა!

86. ის მოსაჯალი პირველი დასეტყვა, ასე მეხა რა,
ზე-აღმართული სვე-ბედი ანაზდად ვნახე მეხარა,
სამსალის უფრო გამწარდა, რაც ამას წინათ მეხარა,
და არ გიკვირსთ სოფლის სიმუხთლე, დემად შემქნია მე ხარა?

87. მაღლად მყოფო, სოფლისაგან ბოლოდ მიწად დაწყვეტილო,
სოფლის ნასთთა მსხვილად სთულთა უცხოდ რათმე დაწყვეტილო,
რუო, ხარბად მომდინარო, მლაშისებრივ დაწყვეტილო,
და სახელოვან ბიძა-ძმათა, მამით უწყლად დაწყვეტილო!

88. მეფეს არჩილსა სძრახვენ, სხვას თემს რომ იყო მვლელია,
იგ ანთებულსა სახლ-კარსა შეექნა დამანელია;
მეც მასვე მძრახვენ, აქ მოველ, მაშ, რა ვქნათ, რა საქნელია?
და მას ლომსა, ვეფხებრ კისკასსა, ჭკუა ჰქონია მთელია.

89. იადონისა მოწყენა, კამს, ვარდსაც დაეზაროსა,
დაჭკნენ სამოთხის ყვავილნი, რაღათი გაეხაროსა?
მათთვის ყაყაჩო-ზამბახმან ქვე თავი დაიხაროსა,
და ნარგიზმან, ია-სუმბულმან სატირლად მათკენ აროსა.

90. თუცა უთქვამთ, და რამ არი ეტლი, სვენი და ბედია,
მაგრამ ამათი მიყოლა ბრძენთაგან გაუბედია.
იგია ყოვლის მპყრობელი, ყოველთა ზედა მხედია;
და სოფელი — ჩვენი მესისხლე — ზღაპარი არის, ყბედია.

91. სოფლის ხლათის დაფაცურითა ჭირს დავები გაუგებსა,
უცხო რამ სჭირს: ზოგს ლხინს მისცემს, ზოგს ლახვარსა გაუგებსა,
ზოგს აგორებს ეკალზედა, ზოგსა ვარდსა გაუგებსა,
და ზოგს ძირამდის სახლს დაუქცევს, ზოგს ქორედად გაუგებსა.

92. მე სანთელი, მრავლად მნთები, მეყსა შინა მექრალება,
არ დავარდი, მეცა მომხვდა სხვის დამწვრისამებრ ალება,
ვჩივი, თუცა არვინ მისმენს, რა ვქნა, თავი მებრალება,
და ვერრა ვირგე, მომეწყინა ესოდენი მე ბრალება.

93. ერთა ღმერთი არ იწამეს, ბერთა რჯული შეურაცხყვეს,
არას კერპსა არ უქნია, ჩემს საქმეზე იმათ რაც ყვეს;
მოლა ღმერთსა მახვეწებდა, ჩემთა მკვლელთა ბერნი დაყვეს,
და ჩემს ცოლ-შვილთა ტყვედ ეძებდენ, საქონელი იავარყვეს.

94. თუცა ვიყავ ამათს რჯულზე, მაშ, ესენი რას მტერობდენ?
თუ ქრისტესთვის თავი დავსდევ, მაშ, ისინი რათ მაქრობდენ?
უცხო არის ჩემი საქმე, საარაკო, თუ ფიქრობდენ.
და მილთონთა ვსჩან მეფედ მათად, თვის ტომსა სწადს, რომ მაქრობდენ.

95. მაწვიეს თანამხლებელთა: „საქმის არა ხარ მქონელი,
ლექსი თქვი, ნუთუ ჯავრისა არ იყო განამყოლელი".
მეც დაუჯერე, თქვენც ნახავთ, რისაც საქმის ვარ მდომელი;
და ამითი გავ(ვ)ლე ცოტას ხანს სოფელი დაუდგრომელი.

96. კაცს ვისმე სახლი-სამყოფი, ზღუდე უყვარდეს ამბა რით?
იგ ტვიას როდის იქონებს, ამას უსუნებ ამბარით;
ვზარდო ფერადი ყვავილნი, მოვიღო მთით და ამ ბარით,
და მას ვინ გაუშვებს, გამკილვენ: „ამან მისთანა აბა რით!"

97. მაგრამ ვნახე, რომ ურევდენ ყვავილებში ამ რეჰანსა,
ბევრი ვინმე მას უბნობდა ყველაზედა ამრეანსა,
მისა მსგავსად ეგებ ვინმე იკითხევდეს ამრე ან სა,
და არ სურნელით სულ უკლებსა, მცირედ რამე ამბრეანსა.

98. ლექსები რამ ვთქვი საბრალო, მტერთაცა შესაწყალია,
ვინც წაიკითხავთ, ამაზე ცრემლისთ აგევსოს თვალია,
ხარბად ადინეთ, სოფლისგან არის რამ დასავალია;
დანუ მიენდობით უნდოსა, ბოლოს არ გიყოსთ ძალია!

99. კაცს შევხვდი ბრძენსა, ეს წიგნი მაზედაც უგემებია.
ვარქვი: „ამ ზღვაში ჩავარდნილს რა ხენი უგემებია?“
— „რადგან გწადს სიტკბო, — მან მითხრა, — ჯერ ნახე უგემებია,
და ქუნარის თაფლი უეკლოდ არავის უგემებია!“

100. რა ვქნა, რასათვის გავეწყევ კაცსა უზდელსა, ვირასა?
ვინც გაიგონებს, მეცე მგმობს: „ემოყვსა კაცსა ვი რასა!“
გავრიდო აწვე, ის მიჯობს, გამიზდებოდეს ვირ ასა;
და ვგმობ საწუთროსა მუხთალსა, უცხოსა, გასაკვირასა!

101. კაცს, სოფლის ზრუნვას ესე სჭირს, აროდეს გაახარებსა,
თავმომწონს სულსა გუამშია დასდრეკს და გაახარებსა,
გონია, სიბრძნე ისწავლოს და უფრო გაახარებსა,
და განგებით ნაცვეთს კაბებსა ამით ვერ გაახარებსა!

102. მწვე სჯობს უენო ენიანს ამ საქმის მიწყივ მქონესა,
უკაცურს სახლსა მჯდომელსა, ვერა-რის ვერ გამგონესა;
რა მართებს საქმის შემძლებსა, ჭკუაზე თავმომწონესა,
და ჭაში მჯდომელსა კელ-შეკვრით მტერთ ასე დამამონესა?!

103. მაინცა ვსწერ, თუცა სევდით ვარცა მწარედ შეგვარლული,
ხან მოვილხენ სოფლისაგან, ხან ჯავრით მაქვს თვალთა ლული.
ეს მიკვირს, თუ როგორა სძლებს, არ ეყრების გვამსა სული?
და მადლი მასვე, ვინცა მომცა ასე შემძლე ჭირთა გული!

104. უცხო რამ სჭირს ცრუ სოფელსა: ვისცა სვენი მიადგების,
ანწლიც მისი წალკოტისა რა მიწათა დაეგების,
ყოვლს ყვავილთა უკეთა სჩანთ, მას აქებენ, არ ეგების;
და რა გაბრუნდა, ვარდი მისცე, მოყვასთ ლახვრად დაეგების!

105. ვინც მთხრებლსა სთხრის, ამას ცდილობს, თვით იქნების ჩავარდნილი,
ვით მორჩება გაუსვრელად, ვინც აკეთოს მიწყივ მილი?!
არ დახუჭო, ეს იცოდე, არ მოგივა თვალთა ძილი;
და რაც ვინმე ქნას, მისა მსგავსად გაიტანოს მისი წილი!

1. აშკმული პირი სასარჯლო სარჯელისაგან იცოდა,
უძვირესადრე გავაღე, ნასაქმარებმა იცოდა;
გამომიტაცოს წყალობით, ვინ სულისაგან იცოდა,
და მისგანვე მიკსნას, რომელი დაუფარავად იცოდა!

2. ბედი მიმდარა სოფელმან დანამეტებით აჯამან,
შეუწყალობით მოიღო გამოურთმევი აჯამან,
ამავსებინა ცრემლითა საბალქოშენი აჯამან,
და ქვე დამამდაბლა უბრალოდ მოსავალისა ჯაჯამან.

3. დავაგდე სამკვიდრებელი, მოყვასი, მონაძებია,
სხვას თემად გარდმოვიკარგე არვისგან მონაძებია,
აწ დავრჩომილვარ ღარიბად გავარდნილ, მონაძებია,
და ეგების შამომეძარცოს, საგლოვი საძაძებია!

4. სალხინოს დანაკლიტარსა მომირჩა განაკარები,
საკმილებისა მწვერვალი შემქნია განაყარები,
მომდინარენი თვალთაგან წინარე განაყარები,
და საბრალო არ(ი) მჭვრეტელი სულისა განაყარები!

5. გამონათქვამსა ამბავსა მემოწმებიან «მაჯამა»,
გუგათა გარდმოდენილი ველარ იტია მა ჯამა,
დამასნეულა სოფელმა, შეგატყობინოს მაჯამა,
და ვერ შეგიდაროს სარწმუნოდ გასამეჩიტმა, მაჯამა!

6. მომინდა მეტრფიალეთა შემოუკიდო ალები,
გარდმოვადინო თვალთაგან დასანაკადი წყალები,
საყვარლის დაშორებითა გავკადო შესაწყალები;
და ვინ ემოყვსები სოფელსა დაგემართების ქალები!

7. კეკლუცებისა კელმწიფე დანამდაგველი მალამით,
გამონატყორცმა ისარმა გული გააპო მალ ამით,
შეუძლებია კურნება გაუწმენდელი მალამით,
და მიჯნურნო, დამიტირენით სასესხებელი მალამით!

8. წმოზიდულმა გიშერმა გულოვანობა მიწამა,
ბროლ-ლალმა შენარეულმა მოდღეობანი მიწამა,
მგონია, ცრემლოვანება თქვენმაცე გულმა მიწამა,
და მიჯნური მებრალებოდეს, არ წააკდინოს მიწამა!

9. მზეო, შენს გარდამკიდესა გამძნელებია ჭირები,
ვით პეპელიკი დამწვარი, ბულბულებრ ეკლად ვირები,
უშჯულოს, გლახას მივაგავ შენგამო განაჭირები,
და გაუხარელი სოფლისა, მუნ ამოს დანაძვირები.

10. ვით გამოაზრობს ყინული ფერსა ვარდისა წილებსა,
ანუ საკმილი მგზებარე გარდმოადნობს ცვილებსა?!
ქასრზე რკინასა ვადარებ შენგან ნათალსა გულებსა,
და ბასრი შიშველსა შენებრივ რაგვარად დააწყლულებსა?!

11. ცეცხლისა ღაწვი საწვავად დანამეტებით მედება,
რა ვნახე გსაჭირებლად, ფეკი მახესა მედება,
სულისა მონატაცებსა გულისა მერგოს მე დება,
და გამომიტირონ მოყვასთა, თუცა ვინმეღა მედება?!

12. რა მოვიღო შესაფერად დასამსგავსი იგავები?
გაგიძვია მიღმართობით სიგონჯისა იგ ავები,
ტრფიალთათვის სალაღობოდ სიწმინდითა იგავები,
და საჭიროსა გაუკსნელსა გონებითა იგ ავები.

13. ციხეშიგან მჯდომელობით უხლებია გასაძალად,
ნებით კარი მოუგულავს სამოთხეში შესავალად,
წამწამთაგან ისარს ისვრის მიჯნურისა გასაწვალად,
და გაუძლია გასაძლისად, გააგულოს ბასრი სალად.

14. მივდევ ლექ(ს)ა სამიჯნუროს მიჯნურობით განახელი,
თვალი სხივმან დამიწუხა, საჭიროა განახელი,
დაგიშრულმა ტოილომან გული შეკრა, განა ხელი!
და მზე- მთვარესა ვებაძები, თუცა თავი გან ახელი.

15. ვარდნალი განაშალარი გაღიმდეს, გაიცინოსა,
შენმა მჭვრეტელმა მაშინღა რასათვის მოიწყინოსა,
მწვანეზე განაწითლარსა რა ცვარი გაეყინოსა?!
და შემომავალსა მინახავს, იგინი მოგეყივნოსა.

16. ყვავილსა შემოკრებულსა სამყოფსა, დასავანებსა,
დახავედულსა სიმწვანით რუებსა მომდინარესა,
ალვა მდგომელი მაშიგა დაუშვენებენ არებსა,
და კეკლუცთა შენი შვენება ამეტებს შესადარებსა.

17. მზისა შუქის დანამკლებად უთქმელია დასაღამად,
მასკვლავების მიმფარებლად ღელესაცა სჯობს მინალამად,
მთვარე ვითა ბნელს ანათებს, უკმარია იყოს სამად,
და ჰე, მუშთარო, შედარება შეგეძლოსღა შესაწამად!

18. ღერძისა თავი ადგილად მდგომობით დაუკლებარი,
მანათობელნი მთიებნი გარშემო შემოკლებარი,
სიახლოვისგან მიწურვა ვერვისგან შესაძლებარი;
და ჰბაძავ, მიჯნურთა შვენება შექნია დასალებარი.

19. მაისში შემაღლებული ქარით ღელევდეს ყანაო,
სათიბსა დაფერებულსა ნიავი სძრევდეს ანაო,
გიმსგავსო დაძრვა წარბისა საცვიბრო მოსაზმანაო,
და ნახვისა უიმედოთა მართებს, დაიცეს დანაო!

19-ა. შავსა მელნისა ტბაზედა ინდონი დარაზმებული,
ორსა სისხლისა გუბესა შიგ ბროლი დასვეტებული,
ზედა დრენგილის ფიცარსა ყორანი დაბუდებული,
და ქვე ორი ლალი უგდია ალმასი შამოვლებული.

20. სიბრძნე(ე)ბისა საუნჯის გამოსაღები დამეღოს,
მაგალითები პლატონის, არისტოტლისა დამეღოს,
ვჯდე გულის გამომზრახველად, თავი ქვე სამე დამეღოს,
და საკადრად შესაქებელი უქმია, სულიც დამეღოს!

21. ბროლისა პირსა საამოდ ლალები გამჭირვალობსა,
ვარდისა ბაგე, კბილებსა მარგალიტს დააძალობსა,
ტანი – ალვასა მრხეველსა, მჭვრეტელი შესაბრალობსა;
და ქარვადა გარდუქცევივარ ტან-ლერწმად შეუწყალობსა.

22. ჯერნისა თვალსა წარბები დანაგიშრული სულოდა,
ბაგეებისა ციმციმმა ყაყაჩოები სულოდა,
ალმასმა პირმა მნათობთა კამკამებანი სულოდა,
და მეტრფიალეთა გულისა, მაცოცხლებელი სულოდა.

22-ა. კამკამს ტბაზედა წითელი ნინოფი აყვავებია,
გამაკვირვებენ საქმენი, ბუნება გასხვავებია,
იგი სიცხესა გა(ა)გდებს, რა გვამსა გაზვავებია,
და ამას შემოაქვს სახმილი გულისა საწვავებია.

22-ბ. კეკლუცობითა რცხვენია მზე-შუქთა გამოჩენანი,
მთვარესა დალებებულსა აშაებს განაწყენანი,
ცთომილთა მიფარებითა დღეს გამსგავსებენ ზენანი,
და ბედსა მიკდენენ შენგამო, მომეცეს მოსალხენანი.

22-გ. ინდოს ხალი უძვირეა, ბადახშანსა ლალებია,
დაისართებს ზანგუბარსა დანათხზული თმანებია,
ფეგუს მივცემ იაგუნდში, დასავაჭროდ ვინებია,
და საპოვნელად დარაბათსა ალმას დავეტანებია.

22-დ. ზოჰალი დაფიქრებულა, მუშთარი სიბრძნეს მცრალობსა,
მარიხი სისხლსა აპირებს, მზე გიბედს, შუქსა მწყრალობსა,
ზორა კრავს სამკობარებსა, ოთერიდ ლექსსა მრავლობსა,
და მთვარე საქებრად მორბედობს, შურითა მოიმცხრალობსა.

22-ე. ქამანდებსა შეუკრავარ, ტბა მელნისა დასანთქმელად,
შავი მშვილდი მოზიდული გამომესვრის დაუდგმელად,
ალმასი და იაგუნდი, მარგალიტი სისხლთა მსმელად,
და ბროლი-სვეტი მიმიზიდავს საჭიროსა შესასმელად.

23. კეკლუცობითა ენახათ, გულები გარდაქცეოდა,
თავსა ეტყოდენ უცნობი: „რაღა ნუგეში ქცეო და,
კამს, ჭირისათვის შეგვეძლოს საბედებელო ქცეო, და!“
და მისწურებოდათ სულები, გაცლოდა, გ-ცა-ქცეოდა.

24. ღაწვი — მწყაზარი, თმა — გრუზი, თვალები დანაშავია,
შვიდთავე გამონათობთა შეუძლებარი დავია,
მოსუფთო, დამწყნარებელი, კეკლუცთა მოსართავია,
და უკვდავებისა ბაგები შაქრითა შენაზავია.

24-ა. სათის მორვისა გარემო გიშრის ლერწამსა მოლამან,
ზანგუბარისა ლაშკარმა ზე მოდგმით დაუწოლამან,
არ მიმიკარა სიახლედ გაფიცხებულმა ბძოლამან,
და გული გამიპო უწყალოდ შავმა ისრისა სროლამან.

25. თვალისა — მანათობარი, მჭვრეტელთა — სული, გულები,
ყვავილისებრივ გაშალოს გონება დადაგულები,
გააღოს კარი ლხინისა, ჭირისა დანაგულები,
და გაბუტკნოს ვარდის კუკური, მისივე დანერგულები.

26. მზე გარდამჯდარი ვერძზედა, აერი განათბობარი,
ტყე-ველი გამწვანებული, ფრინველნი გამომკმობარი,
აყვავებული ქვეყანა, მიჯნურთა დამადნობარი;
და მოსაშორებლად ისპაანს შემომხდომია ნობარი.

27. სა(ა)მოვნოა ტფილისად განავარდებსა ესხასა,
გამწვანებული გარემო, მანანა გამოესხასა,
უშმაგოსაგან ძნელია საზედაობით ესხასა,
და მას სავაჟკაცოდ შემკულსა გარდაქცევია ეს ხასა.

28. ბულბულისა მიუწდომი, მრავალფერად გამოკმობა,
გლახ, მიჯნურთა საბრალოსი მუსიკურად გამომკობა,
დაბნედილსა ჩამოვარდნა, მონაბრუნსა ჭიკჭიკობა,
და საანდაზო ტრფიალთაგან საამბობლად არაკობა.

29. ჭიკჭიკობა ბულბულისა, ხის(ა) ჩრდილი გარდაფენით,
მოყმე მყოფი მხიარული, სატურფალი გასაგენით,
დანაჯდომი შენაჯუფთით, ჭიქაები გარდმოდენით,
და საბრალოა, საწუთროო, საცრემლოსა გარდმოდენით.

30. ცაცხვია გარდანაშ(ა)ლი კორდნალსა შესავაკესა,
ყვავილი ფეროვანები გარემოდგმული ბაკესა,
ფარაღათობით მჯდომელთა სევდანი გაინაკესა,
და უცხოსფერითა ღვინითა კულები არაკრაკესა.

31. დიდგორს ჩირთი დაეკუროს, დარჩომოდეს გაუშალი,
მონადირეთ მიმავალთა შეშვენოდეს ტანთა შალი,
მოდგეს, ჯელგა მოიძახდეს ნადირთათვის დასაძალი,
და აქ დასცენ და იქ ესროდენ, გააწითლონ მიწა, წყალი.

32. ლილოს ტბაზე წეროობას რაღა-მცა-რა შეედაროს,
შავარდნისა ნადირობა ვითა ვისცა შეუზაროს!
ჩირგვის მწყერი დანაკოცი გორეებად დაეყაროს,
და კარავშიგან დანამჯდომთა ლხინსა კელი წაეყაროს.

33. ჩასაზარებელს ქორებსა აშურებდიან სატევად,
სანადიმოთა მოვიდენ დამზარებელი სატევად,
ბრალია, ესე ჟამები შემოხდომოდეს სატევად,
და გასაცრემლავად გაეწნას გასაგუგები სატევად!

34. თიბათვეში წყალსა შტონი გაემრავლოს გარდადენით,
დაეწყვიტოს შესაქცევად, მოარობდენ გარდადენით;
ბელტსა ყრიდენ, ‹‹ძელის›› თავი, — იძახოდენ, — გარდადენით!“
და დანაპყრობი ნაპირზედა არ ეტევის გარ დადენით.

35. საქებარია კოჟორი, ჰაერთა გაუაროსა,
გაყვითლებული ბაია ნარგისსა დაედაროსა,
ბულბულებისა ზახილმა სევდანი გააქაროსა,
და ლაპობით ნადირობამა თავები შეაზაროსა.

36. შუას იელისში თრიალეთს რაღამცა შეედარესა,
მწყერაობითა შექცევა, ცამანცა მოიდარესა,
დასაგლონ ქცია, ორაგულს გამოყრიდიან გარესა,
და მონაკიდარი ზიდვამა დააშროს, დააზარესა.

37. დანაწყვეტარსა წყალებსა შემომზერდიან ას ერით,
კალმახსა დანაჭერილსა უყიოდიან ასერით,
გამოდიოდეს მინდორად არჩვი, ირემი ა სერით,
და მისმა მნახავმა არ ვიცი, ესე შევჭამო ასე რით!

38. შამბიანისა გარემო ფერადად აყვავდებოდეს,
ბროლისა შესადარები წყარონი მოდინდებოდეს,
სამოთხის სურნელებითა რა გულსა მოლხინდებოდეს,
და საბრალო არი, გამყრელსა გულიღა დაედებოდეს.

39. სამზღვარზედა მიმართულთა მხიარულად დაიბარგა,
ღამეშიგან მართებულად იარაღი მოივარგა,
დილაზედა გარდამკვრელი მეჯელგენი გაიგარგა,
და ამოსწყვიტონ, დასისხლულთა სევდაები დაიკარგა.

40. ჯელგისაგან მონარბოლსა კარსა შამბი ედებოდეს,
დამაშრვალსა წყაროსათვის გულად სისხლი ედებოდეს,
კარავშია ჩამოსულთა წინა რქანი ედებოდეს,
და უგზავნიდენ დანიშნულსა, საყვარელი ედებოდეს.

41. როჭოს ლაპი მომავალთა განამრავლონ საგალია,
გლონი წითლის დევნებითა გასანაბად საგალია,
კალმახისა გასაწყვეტლად დაუნაყონ საგალია,
და ჩემნი დღენი საწუთრომა გააცუდა, სა გალია!

42. ამას უკან მხიარული გაემართნენ შავნაბადით,
ფარავანზე შექცეულნი თევზებია შენაბადით,
დაეკოცოს ნიამორნი სამთოსაგან დანაბადით,
და გამოაქებს დაუცადად სიბრძნისაგან მონაბადით.

43. უქმად დამრჩეს ტბისყურისა შესაქები გასასრული,
გაიკსნების საკვირველად დანაწყლული, დადაგული;
ხენი ტურფად ანაზარდი დაამსგავსო შემორგული,
და მის კალმახთან სხვაგნებური გამოჩნდების დაკარგული.

44. კევლრმოსა გასაზარები, ფილტვიანისა არები,
ამომავალი მანძილო, რქა-ანაზარდი კარები,
ნიამორები სანდომად დომბისა შესადარები.
და გაამოს ერჯევანმაცა, დაგიხვდეს კაი დარები.

45. ტფილისისაკენ მომართონ, საშვებსა, გასახარებსა,
აბანოთ განსვენებულთა, სიამით გასაკმარებსა,
სანუკარისა სიმრავლეს, ხილებსა შეუდარებსა,
და შენაქცევარი ლაღობენ ტურფასა არემარებსა.

46. განაკითხი სოფლისაგან დაიძაბოს, რათ იწეროს,
შენებური შექცევანი ვინ აღრიცხოს, ვინ აღწეროს?!
გავაზები აიყვანონ, მოსწყვეტდიან მკარსა წეროს,
და შავარდნისა შექცევასა, საწუთროო, მიმაწევ როს?!

47. შემოდგომაზე სომხითი მნახავსა მოეწონოსა,
გამოყვანილსა ქორებსა მკარები დაე(ს)წოროსა,
კოკობი დამაღლებული, კაკაბი დაეღონოსა,
და ტაბლითა ნაკამარევი იხვები დაეგოროსა.

48. ძოვნია შესამკობელი, მოყმეთა გამჭიმავია,
გაფიცხებული კურდღელი სროლაზე დასადგია,
იქცევდენ მწევარისაგან, ადვილად საჭირაია,
და ბერები ყმაწვილებისა შექნილან დასამგვანია.

49. ხუნანამდისი ამ ყოფას იკმარებდიან საყოფად.
თეთრი ქორები ქციაზე ჭანგს იმახვევდენ საყოფად,
გავაზს აქებდენ ოყარზე, გამოუჩნდაო საყოფად,
და ტფილისსავ მოიგონებდენ მოუნდომელსა საყოფად.

50. ჟამამობდი მოისვენონ ყარაისთვის განახელთა,
დროიანად მწიგნობარნი მიუწერდენ საკმობელთა,
დაიჯარნენ მოდგომილი, სახარელი შემჭვრეტელთა,
და გამოვიდენ მხიარულნი, დარაზმული მინდორ-ველთა.

51. ლოჭინის შექცევისაგან კაკაბი შესაწყალია,
საჯოგეშიგა ცეცხლებსა დაემაღლების ალია,
სადილაოთა კოკობთა გაუმრავლდების ძალია,
და ტყეების გამორეკითა ნადირთ გააველონ ხალია.

52. ნაყორულევსა ნაგებსა ტახები შემომბრძოლია,
საკუნდარისა ნადირნი ფიცხელი შემომსველია;
თვალი კამს მოსწრაფებული, კელი ფიცხობის მქნელია,
და მეფეს მიერთვას მოკლული, მიეყოს ლხინსა კელია.

53. მეჯელგენი გარდასთვალონ, მოსულანო, ანუ არად,
გარდამკვრელი გააჩინონ, გაიყვანონ გარის გარად,
აიწეროს, ვითა კამდეს, ვინ ვისთანა დასაკარად;
და გაემართნენ შუა ღამეს მხიარულნი შეუზარად.

54. შემოარტყან მინდორს ჯელგა, სიფიცხითა გასამალი,
დაეკარნენ მიყოლითა, შექმნილიყვნენ დაუმალი;
შიშისაგან ქურციკები საბრალოა, შესაწყალი,
და ლიკლიკასა მონარბოლსა შემოეკვრის არცა თვალი.

55. მოგითხრა მუნა მყოფელთა კეკლუცად მოვანებანი,
ბედაურთ ცხენთა სიმსუქნე, საუცხოონი მკობანი,
იარაღისა სიტურფე, არა თუ ცუდად დებანი,
და მტერისა შესაჭირვონი, მოყვასთა იმედებანი.

56. ცხენებია ბედაური, კაცი ლომთა შესადარი,
ქარქაშები გაუწყვია მემტერეთა შესაზარი;
მკლავ-სადავე მოსაკმარად დაუტყვია მოუკმარი,
და მოსლვისათვინ კანკალობენ, მორბედობენ ჯერნის ჯარი.

57. ნადირი მოსლვას დაიწყებს, გაუკდებიან თავითა,
დროთა მათრაკსა კმარობენ, მ̈შვილდსა დაზიდონ დავითა,
გარდანამხტარსა მართალს მკარს გაეწყვნენ კარგ-სადაეითა,
და დანაცემარსა ხარობდენ დამჭრელი მის სადავითა.

58. ცხენებია დაუდგრომლად მონარბოლი, ვითა წყალი,
ცასა მტვერი დაულრუბლავს, ველზე სისხლი განაშალი,
დაყრილია მონაწყველი, შეუბრალი, შეუწყალი,
და სანახავსა სამსგავსოსა მოელოდეს რაღას თვალი?!

59. დაიშალა, კარი მოდის დაფანტული, დანაწყვეტი,
მკეცრეული მკცოვანებით გამოჩნდების განარეტი,
ერთმანერთსა წასასწრებლად შერბოლაა მეტის-მეტი,
და ჩოკოსანთაც აუღია სამესისხლოდ (ა) კელთა კეტი.

60. რა გაათაონ, ზოგისა მოწყენა მიუთხრობელი,
თავისა მართლებისათვის გამოჩენია მთხრობელი,
ზოგი თქართქარით მოხარე, გულითა დაუზრობელი,
და ზოგი ცილობენ, მოვკალო, ძალად ხარ დამაძრობელი.

61. მოდიოდეს მონაწყვეტი მეფესთანა დასახორად,
უბოძებდენ საშინაოდ, რაღა იყოს მისა სწორად!
მოკვლაზედა ცილობაა, კარგა მოხვდა ანუ შორად.
და ამ ლაღობით ლხინობდიან, უკეთესი იამო რად!

62.გაუმაძღარი სისხლითა, შეუბრალები მკვდარი, და,
მაღლიანს ჯელგა მოადგა, საზეიმელ(ი) ზარი, და,
ფრანგის ომისა სამსგავსო, თოფები განაყარი, და,
და განმრავლებული მოკლული კაცთაგან მოუკმარი, და.

63. აღრინტალსა გაემართნენ, გაუყარეს მასცა კელი,
ქორს უტევდენ ძაღლებთანა, იქცეოდენ მისებრ მელი,
დამფრთხალს ჯერანს გარდევიდნენ, მინავალი, წანამსვლელი,
და ცარიელად გამოსრულთა დევნა მიხვდა გასაძნელი.

64. ამას უკან სულისათვის უდაბნონი მოილოცენ,
წმინდას დავით ეთაყვანე, შენდობანი გაიოცენ!
ბერთუბანო ჩიჩხიტურით, ცოდვაები ამიკოცენ,
და ნათლისცემით წამებულო, დოდო, მტერნი დამიხოცენ!

65. საწუთროა მიუნდობი, მოყვისათვის დასაკრული,
ჩალხისებრივ დაუდგომად თავსა ბოლოდ მოარული;
ქონებოდეს ესე ყოფა, გაგეკადოს დაკარგული,
და გაუძლია უქონელად განასალი კლდეებ გული.

66. პირველად მალხინებელი შამბიანისა არებსა,
სასომხითოსა, დიდგორსა, ყარაის გასახარებსა,
საშვებსა, შესაქცეველსა, სამუდმოდ დაუზარებსა,
და აწყალა დამსვა მარტოკა ქუჩუქოვისა სარებსა!

67. უვარგულია საჭმელი მარილზე მოუწონია,
ვისამცა მძივი ალმასად ყირათით მოუწონია,
უყურებ კარგსა ნასეტყვსა, ავია მოუწონია,
და შალგსაც ყვავილი დაარქვეს, თავები მოუწონია!

68. გათავდა სალხინარები, ჭირია შეუწონარი,
სიყრმეთაგანი მწირობა, კაცთაგან მოუგონარი,
სიგლახაკითა შიმშილი, სიშიშველე დასაღონარი,
და მამაძებნინეს წერაქვი, გამომიჩნდების ონარი.

69. გარე მზესა შემოღრუბლვა დააბნელებს, და-ცა-ფარავს,
სავარდესა უშუქობა ფერს წაართმევს, და-ცა-ქარავს;
შემოვესწარ ამგვარებსა, შესაწუხარს, შესაზარავს,
და მიუწდომსა საწადლისა სოფელია, მამიპარავს.

70. ვიყავ მოყვასთა სიმაღლე, შენამტერალთა მხარავი,
ყმათა პატივის მდებელი, მიმაცემელი, მხარავი,
საცოდინოსა მცოდნესა გამომეცხადენ მხარ ავი,
და დაუნაშალად გამიკდენ ძვალების გამომხარავი.

71. ჩემზე შემოკრბენ თვისები, მოყვასთა მომიძულესა,
მკეველთა მოშიშარები ჩემზედა კბილსა ილეს(ს)ა,
გამომიმეტეს საკვდავად, ნაქონი გაიწილესა,
და საიმედოთა უფროსად გამკიცხეს, გა-ცა-მკილესა.

72. ისარი ორბსა მიესო, ჩამოვარდნილი , მდებარე,
სიმაღლეზედა გაკვირდა: „რა მეცა გასაგებარე?!“
გასინჯა მისის ფრთისაგან მასზედა დანაწებარე,
და თქვა: „ჩემთაგანვე მომედვა ალმური ასაგზებარე!“

73. უგბილთა და უმეცართა მომიკიდეს შესაალი;
არ მიცოდავს გასაძნელი, შემომადგა ვისგან ძალი?
შეფიცებით მპირდებოდენ სიტკბოებით გაუმწყრალი,
და მიუხდომი საწყინოსა გარდამაგდეს შეუწყალი.

74. ჭირსა დავები მჯდომარე გამოულებსა კარებსა,
წამად მოვისმენ ამბავსა, სამსალა გასამწარებსა;
ავს მექადიან სიკვდილსა, სასმენლად შესაზარებსა;
და მოველი ღ(მრ)თისგან ბოლომდი მეცალა გასახარებსა.

75. არ უსმინეს ნაუბარი, მოციქულნი გამოკმობენ,
ძმისა მძულთა მეუფისა სიყვარულსა დაუგმობენ,
მეფე ვიყავ ემბაზითა, შეძმობასა გამომბობენ,
და საფრთკეები გამიკეთეს, ამაებსა გამოგმობენ.

76. მტრებისაგან უვშიშარობ, ვეველდრები ღ(მრ)თისა კრავსა,
უსამართლოდ მემტერეთა საკრავითა შემიკრავსა,
იგი წმინდა მერკვირიონ- იელიანებრ შემოკრავსა,
და მიყარყუმებს სატყავესა, ბოხოხზედა მინაკრავსა.

77. ყმაზე წამიკდა წყალობა, სხვაზედა სამსახურები,
ამხანაგთზედა სიკეთე, მნახავთა შესაშურები,
ძმობითა მომეყვსეობა, ჩემგამო მოსასურები;
და უბრალოებით გამაძეს ცრემლისა მომაწურები.

78. სამტილე ყვავილოვანი მონებებითა ვინარე,
საჭირო მიუხდომელი საჩემოებით ვინ არე,
შემომემტერნენ მოყვასნი, სასიკეთოდღა ვინ არ ე?
და განაბმული ვარ უშენოდ, გარდამოგვართხი ვინ არე.

79. საურველია, სოფელმან სიმუხთლისაგან აგო რა,
საჭირო შემომაყარა, კაეშანები აგორა,
მოუძრობელი სამსჭვალი გასაყარელად აგო რა,
და გარდამავალი დღეები ჩიკორისებრივ აგორა.

80. დავაბრალებ საწუთროსა, მომანიჭა ამან ესო,
ანავსები სამსალანი უგუნურსა ვისმცა ესო,
სავარდისა ბაღჩაშია სანარენი ვის რა ესო,
და აღმოვიფხარ, ვის შეეძლო მაყლოვანი შემოესო?!

81. საწუთროსა ცხენსა ვიჯე, ლურსმანი ვკარ მონაწევი,
გაემრავლა ბაღსა მისსა ხილნარები მონაწევი,
საწადელსა მოვისთვლიდი, ახლოობით მონაწევი,
და ანასდეულ გარდავიქეც მტერთა ნებად მონაწევი.

81-ა. მოიზიდა ცისა მშვილდმან ისრისათვის გასატყორცად,
გული კვრითა დამიწლულა სალხინოსა ასა ოცად,
გამიცუნდა დასტაქარი საყოლელი გასაოცად
და დავრჩომილვარ უომედო, განაკვირი გასაოცად.

81-ბ. ეტლსა ზედა დანაჯდომი, მოსაწონად დამავალი,
ვეჯდი მაგრა აგებულად, გასატეხად დაუთვალი,
ანასდეულ გარდმიბრუნდა, დასანახად დაკრთა თვალი,
და ამას უკან გამიმრავლდა საჭირონი დაუთვალი.

82. აღმემართა კაეშანი, არა ვიცი, როს იხაროს,
მოქმედისა მიუნდობლად კარგი რამე რით იხაროს?!
დაუტეოს ბუნებანი, იპირუტყვოს, კამს, იკაროს;
და უგბილობით უმეცარი მომერიდე, ნუ იკაროს!

83. გამიფრინდა სვისა ქორი, ნუ გგონია განახადად,
სპა, მოსპენი, ბედი სვითა გამკდომია განახადად;
ცრემლი მიმდის დანამეტად საზეთოსა განახადად,
და დამეელომცა სხვაგან სადმე, შევსულიყავ განა ხადად!

84. ჰე, თავო, მოლხინებულო, შეჭირვებასა ვარ, დია,
საკვრელსა გამოუხსნელსა, სამთხრებლოებსა ვარდია,
მკვდარი უმკვიდრო შევიქენ სამყოფელთაგან ვარდია,
და ღაწვი ზაფრანად შემქნია, შეუდარები ვარდია.

85. მიუცემელად დავაგდე სახადილონი მე ცადა,
მოვიდა ქარი ხორშაკი, ანა(ს)დეულად მეცა და,
მოუფარები საფრისა სხვასთანა ვიწვი მეცა და,
და მიჯობდა გონიერებით თაჳი სხვებარად მეცადა!

86. მოსავალები პირველი დასეტყვა, ასე მეხა რა,
სვე-ბედი ამაღლებული ანასდეულად მეხარა,
სამსალისებრივ გამწარდა, წინათვე რაცა მეხარა,
და სოფლისაგანთა გიკვირდეს, დემად შემქნია მე ხარა!

87. სიმაღლეთა აწეულო, ბოლოდ მიწად დაწყვეტილო,
სოფლის ნასთთა განამსხვილთა შემოკლებით დაწყვეტილო,
რუო, ხარბად მომდინარო, სათავითგან დაწყვეტილო,
და სახელოვანთ საყოლთაგან შეუწყალად დაწყვეტილო!

88. მეფეს არჩილსა 0 სძრახევდენ, სხვათაკენ მიმომვლელია,
განათლებულსა სახლ-კარსა შეექნა დამანელია:
მასავე მძრახვენ, არ ვიცი, სხვანილა რა საქნელია?.
და ლომი ვეფხურად კისკასი, ჭკუითა განამთელია.

89. იადონისა მოწყენა ვარდსაცა დაეზაროსა,
დაჭკნეს სამოთხის ყვავილი, რაღათი გაეხაროსა?
ზამბახით ყაყაჩოებმა თავები დაიხაროსა,
და ნარგისმა, ია-სუმბულმა დასატირებლად აროსა.

90. პირველად გამონათქვამი ეტლებისაგან ბედია,
მათივე მიმაყოლობა ბრძენთაგან გაუბედია.
ერთია შემომპყრობელი, ზეგარდმო დანახედია;
და სოფელი დაუდგრომელი ზღაპარი, დასაყბედია.

91. სოფლისაგან დახლათვითა ჭირს გავები გაუგებსა,
ზოგსა ჭირს(ა) მოალხინებს, ზოგს მახვილსა გაუგებსა,
ზოგს აგორებს ეკალზედა, ზოგსა ვარდსა გაუგებსა,
და ზოგსა სახლსა ჩამოუქცევს, ზოგს ქორედად გაუგებსა.

92. ანთებული მანათობი გამიპარდა, მექრალება,
დაურჩომლად შემოვარდა, დამწვარისა მებრალება,
საჩივრისა გაუგონსა, რა ვქნა, თავი მებრალება,
და ურგებობით მომეწყინა ესოდენი მებრალება.

93. საეროთა ურწმუნობით ბერთა სჯული შეურაცხყვეს,
უქნელსა და მოუგონსა თავი ჩემზე ამოაყვეს,
უსჯულონი მახვეწებენ, იგ საკვდავად გარდამოყვეს,
და სახლეული გამოაძეს, საქონელი იავარყვეს.

94. არ მოუსმინე, გამაძეს, მაჰმადის ნაუბარენი,
ქრისტესთვის დატევებული თქვენ რასთვინ გამამაწარენი?!
უცხოა ჩემი ამბავი, სასმენად დასაზარენი,
და მილთონი მეფედ მხადიან, მოყვასთა დამადარენი!

95. შემომაწვიეს მხლებელთა: „უსაქმობისა მქონელი
ლექსობით აღარ შეიქნა ჯავრისა განამყოლელი“.
დამჯერებელსა გასინჯავთ, რაცა აქვს მოსანდომელი;
და გარდავიარე ცოტადრე სოფელი დაუდგრომელი.

96. ზღუდეთა სამყოფელები ასუნებოდეს ამბარით,
უქმია ტვია საქონლად, დაუსუნებო ამბარით;
მოვიღო მთითა ყვავილი, დაფერებელი ამ ბარით,
და მაინცა დამიძრახებენ: „ამან მისთანა ამბა რით!“

97. დავინახე, შეურევდენ ყვავილებში ამ რიანსა,
უბნობდიან სიმრავლენი საყნოსელად ამრიანსა,
ეგებისცა იკითხვიდენ დასამსგავსად ამრი ან სა,
და სუნელებით მონაკლებსა დანამცირად ამბრიანსა.

98. წამოვილექსე საბრალო, მტერსაცა შესაწყალები,
ჩამომკითხველსა ცრემლითა აგევსებოდეს თვალები,
გარდმოადინეთ სიმრავლით სოფელსა დასავალები;
და მიმდომელებსა ბოლომდი დაგემართების ძალები!

99. მკცოვანი შემოვიწვიე, სამაზოდ უგემებია,
დავკითხე, ამა ზღვისათვის რა ხენი უგემებია?
— „სიტკბოებისა მდომემან, ნახოსო, უგემებია,
და ქუნარის თაფლი უეკლოდ ვერავის უგემებია!“

100. რაღასათვისღა გავეწყე გაუზრდელობით ვირასა?
გამგონებელნი მიგმობენ, დაემოყვსაო ვი რასა!
უმჯობესია გავრიდო, გამიკდებოდეს ვირ ასა:
და ვგმობ საწუთროსა მუხთალსა, უცხოსა, გასაკვირასა!

101. ზრუნვა სოფლისა მიმდევსა არათი გაახარებსა,
სულსა მომწონსა გვამშია დადრეკით გაახარებსა,
გამოიცადოს გონია, უფრორე გაახარებსა,
და განაცვეთარსა სამოსსა ვერათი გაახარებსა!

102. სჯობს ენოანსა უენო ამაებისა მქონესა,
თავის წინ სახლსა მჯდომელსა, ვერასა გამაგონესა;
რა მართებს საქმის შემძლესა, თავისა მომაწონესა,
და ჭაშიგან ჩანავარდნილსა, მტერთაგან დამამონესა?!

103. მაინცა ვსწერ, სევდისაგან გავკდომილვარ შეგვარლული,
მოვილხინებ სოფლისაგან, ხან თვალია დანანული,
დამაკვირვებს, როგორა სძლებს, არ ეყრების გვამსა სული?!
და ვმადლობ, რომე შესაძლებად მოუცია ჭირთა გული!

104. შჯირს მცქაფავსა საწუთროსა, საბედონი მიადგების,
ანწლი მისის წალკოტისა მიწაზედა დაეგების,
ყვავილთაგან უკეთა სჩანთ, შეაქებენ, არ ეგების,
და განაბრუნთა ვარდებიცა ლახვარსავით დაეგების.

105. ჭისა დალმა ამომთხრელი შეიქნება ჩავარდნილი,
ვერ მორჩება გაუსრველად გააკეთოს ვინცა მილი!
დაუხუჭად საძნელოა, მოგივიდეს თვალთა ძილი,
და ნაქმარისა მოსაქმემან გაიტანოს მისი წილი!

სატრფიალონი

პირველი რედაქცია

1. ლექსი უნდა ტკბილ-გვარითა სწავლის სიტკვით გამახარი,
სამ-ოთხ რიგად გასასინჯი, სიბრძნეს ზედა არ სახარი,
რუსთველს სამად გაუყვია მისი გზა და მისი მხარი,
და მაგრამ იდვას სიტყვა მოკლე სალხინო თუ საწუხარი.

2. ჩემთვის, სატრფოო, შენთვის ვსტირ, მოლბე და შემიწყალო და,
გავიჭრე მინდვრად, ტყე და კლდე, სოფელსა გავეძალო და,
რას ვაქნევ სოფლის დიდებას, თუ შენ კი მომეკრძალო და,
და ვასრულო მისი ნებანი, რაც ბრძანო მისმა სძალო და!

3. ჩემსა სატრფოსა ტრფიალმა შევუმკევ მცირე ქებანი,
ვიკმარე ენა უგბილად, არათუ წინწილ-ებანი;
ნუთუ დამივსოს, რომე მჭირს მძაფრთა საკმილთა გზებანი,
და მივხვდე მას, ჩემსა საწადსა, ვისი მაქვს ქვე დაკლებანი!

4. მას, ჩემსა სატრფოს ვაქებდე, ვისი მსურს ხილვა გულითა,
ვის გამო ვარდსა სუნი დის და ფშვივა შრომანთ სულითა,
ნაზად ამშვენებს, კეკლუცად, ტრფიალთა დამაწყლულითა,
და ფერს მისცემს ყოვლთა ღაჟღაჟად თვალით არ დამალულითა.

5. სძალია ტურფად შემკული, სიწმიდით, უმანკობითა,
კამსცა, იგ მისი ასონი მისებრივ იყოს მკობითა,
მან მიათხოვოს ერთ კაცსა უბიწო ვარდ-კოკობითა,
და არ ითხოვს, თუცა ვინმე არს მრუშ-მსმელი არაკობითა.

6. სძალს უვის წყნარი, სათუთი, ტურფა, კეკლუცი პირითა,
მისი ტრფიალი შევქმნილვარ გულ-ლახვრით განაგმირითა,
გამოუცდელად არ მაძლევს ოქრო-კელ-დანამჭირითა,
და თუცა კაცი ვარ, მეც მმართებს, დავთმო სოფელი ძირითა!

7. ეზომ ტურფა სასძლოსთანა მინდა, რომე ვიხარებდე,
საქორწინე არ მაცვია, რომ შემიშვან, ვიხარებდე;
ასე მიჯობს დავგლახაკნე, სოფლის საქმით ვიხარებდე,
და ნუთუ მაშინ ღირსად ვიქნა, ღიას კარსა ვიხარებდე!

8. კაცსა მართებს, სამიჯნუროს რომ ეძებდეს ერთ რამ კარგსა,
არ შეუდრკეს მისთვის ჭირსა, არ ხედევდეს სხვისა ნარგსა,
მისთვის ცეცხლი ბანბად უჩნდეს მეფობისა შენადარგსა,
და დასთმოს წუთი კეთილობა, სოფლით გვანდეს განაბარგსა!

9. სძალს მწვე უნდა ჩემი მისვლა, მაწვევს ხოლმე, დიაღ, ხშირად,
მაგრამ მე ვერ მივყოლივარ, საქმითა ვსჩან მწვე დუხჭირად,
მწიკვლითა ვარ შემოსილი, არ სიწმიდით ჩემად ჭირად,
და არ მინათებს ლამპარს ზეთი, ვიქმენ მისგან განაწირად.

10. რა იხილა ესე ჩემზე, გამრიდა და მეკრძალების,
ებრძანა თუ: „ეგე საქმე კაცისაა მწვე ნაკლების,
კაცთა ვეძებ კაცთა წესით, ღირსი იყოს ჩემის ხლების,
და თვარ პირუტყეთა მიმბაძავთა ჩემგან არა გაეძლების!“

11. ვინ პოეთ მეფე მდიდარი, ქვეყნად ამისი მქნელია,
ველის შროშანთა ფეროვნად კაბა ემოსა ვრცელია?
თვით სოლომონცა ვერ უძლო, ნახეთ, ანბავი ძველია!
და მაგრამ იგ თივა თვით მევე მჩანს, თორნეს ჩასაგზნელია!

12. ოქრო და ვერცხლი რა არის, სპეკალნი, მარგალიტებით?
— მიწაა სხვადასხვა ფერი, კვლავე მიწათა იდებით.
კვლავ ყოვლის სოფლის დიდება გაცვდება, თუცა მიხვდებით!
და რადგან ტრფიალებ, ესენი ყავ შენგან განაკიდებით!

13. ყაყაჩო მრავალ-რიგია სიტურფით, ფერადობითა,
სუნი არ სდიან კეკლუცსა, ვერა ვარ მისად მკობითა;
მაგრამ ჩამფალსა სუნი სდის, არ ნახვად მისოდნობითა,
და მას პატივსცემენ, მას არა საყნოსლის იმედობითა.

14. ანწლსა თუცა კელს შეახებ, ავ სუნს მოგცემს, გაგიმწარებს,
შაშპრა კელსა რა მოხვდება, საყნოსელსა გაგიხარებს;
კვლავ სოლინჯი პურსა შერთო, ჭამას არვინ დაიზარებს,
და იყავ ორთა მობაძავი, ნუ გაივლი ერთის არებს!

15. შვენება, კორცთა ფუფუნი სურნელთა მრავალფერია,
გონიერთ კაცთა ეს საქმე არარად შესამზერია.
ხედავთ მატლს, რაში ფუფუნებს, რა კარგა დაუჭერია?
და მისი მამზერი მას მიგავს, — ბრძენთ ასრე დაუწერია!

16. მე იგ ვარდი ვარ, რომელსა აქვს მრავლად ეკალ-ხშირობა,
ბულბულსა, ჩემთვის მიჯნურსა, კამს, ჰქონდეს მისთვის ჭირობა,
დასთმოს ყოველი სოფელი, შვებისა განაპირობა,
და მაშინღა მივსცე უკვდავი ხლებისა არა ძვირობა.

17. ებრძანა: „ნურას მოზარობ, თუ ჩემკერძ გინდა რებანი!
მე დაცემულთა ყოველთა მივეცი აღდგინებანი,
უხვებით მივსცემ ყოველთა, ვისაც რისა აქვს კლებანი,
და გული თუ ჩემზე შემსჭვალა ანა ქნა ჩემნი ნებანი“.

18. სატრფოს მეტრფე თუცა სძებნი, პირველ გიკამს, მონათელსა,
ბნელმან კაცი დააბნელოს, ჭირით ბაძე მონათელსა,
შეყრას უნდა მწვე გამოცდა, მაშინ ჰპოებ მონათელსა,
და დაუცდელად ეს იცოდე, ეშმაკისგან მო ნათელსა!

19. ეს რა მესმა იმისაგან, მომხვდა გულისა ამება,
ავდეგ და მის კარს მივმართე, ვისთვისცა მქონდა წამება;
რა ვნახე, დიდად იამა ჩემი ამგვარი წამება,
და მითხარო, რაცა იციო, მომხვდა გულისა ამება!

20. მე მოვახსენე ყოველი, რაც გულსა მქონდა დებანი,
უშიშრად, დაურიდებლად და მივეც ჩემი ნებანი;
ან მომკლა, ან დამარჩინო, მაქვს ამის იმედებანი,
და გნუკავ, მახილეო სატრფოსა და მისი ბრწყინვალებანი!!

21. ვით გაქო, ქების მაარსო, შენთა მჭვრეტთ მალხინებელო,
ბრძენო, მშვიდო და მდაბალო, ზნეთა კეთილად მდებელო,
ყოვლის სიავის მოძულევ, ბოროტთ არ თვალის მგებელო,
და შენ, საყვარელო ყოველთა და ყოვლთა არა მხლებელო!

22. ვარდს გადარო, ვით იქნება, — ფერ-სუნითა შენგან ვარდობს,
თვალს უძილოს ნარგიზთაგან შენი უფრო განავარდობს,
მზე მიიღებს შენგან ნათელს, მეფეთ ზედან შენით ბედობს,
და ნეტარძი აქვსთ შენთა მჭვრეტთა, ვაგლახ, — ვინცა რასმე ყბედობს!

23. ბულბულს ვარდი შეეწამა, თვარ შენ გაქებს ენა-მრავლად,
ცის ფრინველნი ჭიკჭიკობენ დღე და ღამე არა მალვად,
ქვე კმელ-წყალთა მოძრავები, რაც არიან მათში მაცლად,
და კაცნი ჰკრთების შენთა სხივთა, თვალსა იქმან განაკრძალვად.

24. მდელო ყოველ წლივ მცენარობს, სიმწვანით სამე გაქოსა,
ხესა ფურცელი მოესხმის და მანცა იგი სახოსა,
ღამე შავდების სიბნელით, შენ ნათლად გამოგსახოსა,
და ყოვლმან საკვირვლად უცხომან შენივე ქება ზრახოსა.

25. კეკლუცია ტურფა რამე, უკაზმავი მოიბაღით,
ვარდსა ახალ გაფურჩქვნილსა სჯობს რა ნახოთ, მოიბაღით,
გულმან ჩემმან სიყვარული მისი უცხო მოიბაღით,
და სიძულილი შენგან ჩემი მოიგლიჯე, მოიბაღით!

26. მამწონს მისი სანდომობა ქებისათვის დაღალულად,
თვალი სხივმან დამიწუხა, კნინღა მექმნა დაღა-ლულად,
ასრე გავკე, ჩემი მნახი მეტყვის, ხარო დაღალულად,
და არ მიწამლებ, გამხდომია გული ჩემი დაღ-ალულად.

26[1]. ამით უთხრა წამწამითა შესამსგავსი შესხმანია,
ამით ფერით წამწამითა, ესვრის გულში შესხმანია,
ამით შექმნა წამწამითა თვალ-მარგალიტთ შესხმანია,
და ამით მოვრჩეთ წამწამითა მადლი წყლულებრ შესხმანია.

27. რაც ვიუბენ შენთვის ქება, არც ერთია საკადრისი,
ამისთვის, რომ შენ სხვათ აძლევ, ღირსი იყოს ვინცა რისი,
მაგრამ კაცნი უძლურნი ვართ უმაღლესის რასმე თქმისი,
და შენ სხვა ხარ და ქება სხვაა, უშვერია ზრახვა მისი.

28. მისთა ტრფიალთა კეთილი არ მიეცემის კარითა,
სიყვარულითა მისითა გული, გონება კარითა,
მისისა მიახლებითა ეშყსა სურვილი კარითა,
და ეგება რამე გელირსოს- შესვლა სამოთხის კარითა.

29. თუცა მოვკვდე, ნეტარ, შენთვის, რა სახელში ჩამეგდება?!
ცეცხლი მწველი გარ მომეგზნას, რად მეწყინოს მისი დება?!
სხვას სასჯელსა რად დავზარდე, უფრო გული დამედება,
და თუკი მამხვდეს შენს ნათელთა დანახვა და გარდმოდება!

30. გულსა მისცემს უცხოდ შეებას, ოდეს ვისმე შეეყრების,
თვალს ის უნდა, სხვათ სპეკალი ცუდად რასმე შეეყრების,
ვერ მიმხდომთა წინ სამუდმო თვალთა ცრემლი შეეყრების,
და უჯობს კაცსა სოფლით გასვლა, თვარ ლახვარი შეეყრების!

31. თუცა არა ვარ საფერი შენისა ტრფიალებისა,
მონად მიყოლე ნაფრდილად, მდიდრობაზედან კლებისა,
მომიტკბი, რაც რამ გაწყინე; მემწე, რაც მომევლებისა,
და ნუ მიმცემ მტერთა საყვედრად, მყავ ღირსი ახლო ხლებისა!

32. სურვილის ზღვათ უფსკრულშია მან მომიდგა მასე, მასე,
ესე მიყავ, შემომზღუდე გარეშემო მასე, მასე,
საბრკეები მისგან ჩემზე, რომ გავხეთქო მასე, მასე,
და შაქრისაგან უფრო ტკბილი მისი ეშყი მასე, მასე.

33. როს მეტრფისა ტრფიალება გულსა ჩემსა დამაჯერა,
მშლელი მიშლის უცხო რიგად, ლამის კიდეც დამაჯერა,
მეუბნების: ყსაწვილი ხარ, არ იციო დამა ჯერა;
და მაგრამ მისმა სიყვარულმა ისევ მასვე დამაჯერა.

34. გაბრწყინვებისთვის სანთელი ერთს ფერკზედა დგას, ტირისა,
ცეცხლის წვით არის მიმღები საწადლის განაპირისა,
მიკამს, მეც ვიდგე, ვიწოდე დამბანი ცრემლით პირისა,
და ეგებ რამ მნახოს, შემიტკბოს ტრფიალმან გამძლე ჭირისა!

35. ნუ მიმცემ ცეცხლსა საწვავად, მიყავ ამისი ვსებანი,
შენს წინ მამყოფე ულირსი, რომ აღმისრულეს ნებანი,
მე ვიშვებდე და შენ გაქო, მქონდეს გულისა დებანი,
და ნათლად ვჩნდე შენის შუქითა, მტერთ რა ყონ იშნის გებანი.

36. მის დარად, მსგავსად მაგ ქვებსა ცუდად აწითლებ, იამან,
ხანი გამოვა, მანამდის იმას უდაროს ია მან,
ზილფი ხუჭუჭად ნაგრუზი რით ნახოს ურცხვად ი ამან?
და მისად შეყრამდი თუ დარჩე, მოიწყენ თუცა იამან.

37. გულს – მებაღედ, მიდამოსა ბაღად ვამბობ ძველის ძველად,
ყინვას – მისად გამაკმობლად და სიცხესა – მისთვის მწველად,
თუ წყალი სცემს, მზე დაატფობს, მებაღეა ლხინთა მზმელად;
და ჩემსა გულსა ეს ორივე საშოვრად არს მეტად ძნელად.

38. დავრჩი ასე, აღარ მშვენის, არცაღა მაქვს მოსაგონი,
რათ ვიკმარო, აღარ ვიცი, მქონდეს კიდეც მოსაგონი,
გამიცუდდა ცოდვის ნაცვლად ყოელი რამე მოსაგონი,
და მტერსა დარჩა, აღარა მაქვს ჩემი სრულად მოსაგონი.

38–ა. გული სევდისა სალხენად განსა ვკარ აჭარხალითა,
მზევ, გული ჩემი ტყვექმნილი მისწიე ა ჭარ ხალითა,
გაველურდე და გავიჭრე, დავრჩე ვით ა ჭარ ხალითა,
და საზდოდ ვიკმიო სიცოცხლე, ვატარო აჭარხ ალითა.

39. ვერვის ვხედავ სოფლისაგან ჩემებრ რასმე წამონარცხით,
გარდამაგდო მართ ვითამცა საწუთრომან წამონარცხით,
ჩემი მათზე ავი რამე არ თუ კაცთა წამონარცხით,
და ის დიდება პირველ ჩემი აღარა მაქვს წამონარცხით.

40. ჩემსა საქმესა უგბილი სანთლისა მსგავსად მოველი,
თავისა მტერსა ძალს აძლევს თავისა დამაწვეველი,
შენს წინაშე ვარ მცოდველი, ცოდვისა ძალის მძლეველი,
და ვა, თუ დავიწვა, შევიქნა შენგანცა დასაწყეველი!

41. მან მიბრძანა: „რადგან მოხველ, ნუ სწუხარ და ნუღარ ზარობ,
რაცა გამცნო, იმოქმედე, სხვათკენ გულსა ნუღარ არობ,
წვრთანი ჩემნი დაიმარხენ, უმეცრებით ნუ იმწარობ,
და მაშინ მიხვდე საწადელსა, თვალით ცრემლსა დააწყნარობ.

42. „თუ დაიმარხავ შენ ჩემსა სიტყვასა, სწავლა–თქმულებსა,
საყურებრ ყურად გაიყრი და დაიმკვიდრებ გულებსა,
დღეთა შეგძინებს ამ სოფელს, ზეცას აღაფრენს სულებსა,
და ამ სოფელს ჰპოებს კეთილსა, იმ სოფელს მორჩე წყლულებსა“.

43. რაც რამ ცხოველი მოქმედობს, მისცემს მის ნაცვლად სარგოსა,
ჩვენს მოქმედს ჩვენგან რა ერგოს, რომ კაცმან იგი ამოსა?
გულით გიყვარდეს, მის სახელს ნუ დასძრავ უქმზე ბაგოსა,
და თვარემ უსულო გვაჯობებს, ვიქთ საქმეს დასადაგოსა!

44. მიწაც იხარებს უსულო, დღე რა მოუვა ზმნისანი,
მწვანობს და ფშვისვე ყვავილით, რა სითბო ნახოს მზისანი;
შენცა იხარე მეტყველმა დღესასწაულნი ღ(მრ)თისანი,
და ყვავილის მსგავსად ღვაწლი და საქმე ჰქენ კეთილისანი!

45. ჭია რა ბოჟსა შემზადებს, მოიცავს მისსა გარებსა,
ქარი არ ეცეს, მავნეთგან არამცა მიხვდეს მწარებსა.
თუ ის შემქნელზე ამას იქს ცხოველთში გასაგარებსა,
და შენთა მშობელთა შენავე პატივს რა დაგაზარებსა?!

46. შენ, ბრძენი, მკეცებრ ნუმცა ხარ, მესისხლე, კაცთა მკვლელია,
მრუში მამლისებრ, მუდმისად სხვასა და სხვაზე მვლელია,
თაგვებრ მპარავობ, დასძერები, სად გზაა გაუვლელია!
და ცილს ნურვის სწამებ, მისმინე, კაცობაშიგან ძნელია!

47. ირმულებრ გული ნუ გითქვამს ცოლსა მოყვსისა შენისა,
ნურც მონაგებსა ჯიკვისებრ მის რასმე დასაღონისა!
სხვასაცა გამცნებ ახალსა საქმეს კაცთ გასაგონისა:
და თუ ტრფიალი ხარ სასძლოსა, გქონდეს ეს მოსაგონისა!

48. რაც რამე რისგან იშვების, მისი იქნების მსგავსებით;
მაშ, გმართებს იშვა სულისგან, სულითვე იყო სავსებით!
კვლავ დაიბეჭდე ბეჭდითა, გიცნან ვისი ხარ დასებით,
და ვეღარ გიპაროს მპარავმან, შიში მას ჰქონდეს ზესებით!

49. ვინც ზიარდების ზიარსა, საქმეა მათი ერთია,
მაშ, ზიარება მიიღე, იქმენ შენ, კაცი, ღმერთია,
მღვდელს აღუარე ნაქნარი, მის სწავლას შეერთია,
და იცის სხვამ სხვისი უკეთა, ბრძენთა სიბრძნითა ერთია!

50. ვით წყალი მისცემს ფერსა და ნაყოფნი შექმნის მთელები,
აგრევ არს ზეთის კურთხევა, ავისა დამანელები;
იცის წერომაც წინმძღოლი, თუ უსხენ გზანი გძელები;
და მღვდლის კურთხევასა პატივ-ეც, გაგისუბუქდეს ძნელები!

51. ყოვლმან იცის მისი ჯუფთი, რომ მოშენდეს გვარის-გვარად,
ჩვენცა გვმართებს ვიყოლებდეთ, სოფელს ვიყოთ მრავალ ჯარად,
არ პირუტყვებრ უქორწინო, კაცთა წესთა დასაზარად,
და ღ(მრ)თის კურთხევით, მღვდელთ შენდობით შევეერთნეთ გასახარად!

52. შვიდნი მოგითხარ სჯულისგან საიდუმლოსა რიგები,
მან მოგცეს გზანი კეთილნი, ვინ სიბრძნის სახლად იგები!
აწ შვიდთა გეტყვი ცოდვათა, სწავლა სწავლასა მიგები,
და რომელ არს მომაკვდინენი, მის გამო ლახვარ იგები.

53. ფარშამანგი ბოლოს გაშლის, გაიფურჩქვნის, გადიდდების,
ეგონების, ჩემგან კიდე ქვეყნად ვინღა იდიდების!
თუცა კატას თვალი შეჰკრა, მოდრკების და შეშინდების.
და საქმეც რამე ამპარტავანთ ამას გავს და რად იქების?!

54. ციცინათელა მაღლოის უნდო შუქისა კრთომითა,
არვის იდარებს მის ტოლად მის გულში მის საზომითა;
ფრინველნი დახვდენ საწყალსა, ვერ გაესწოროს ომითა.
და აგრეც მოგვივა ჩვენ, კაცთა, ამპარტავნების ნდომითა!

55. არაწმინდება ძაღლსა გავს, ნაყროვნებანი ღორისა,
გასინჯეთ მათი საქმენი, თუ ვინ რათ მოიკმარისა!
იგ მცონარება მატლთაებრ მცირეს მწვირეში არისა,
და რა გითხრა მრისხანებანი ყაპუზუნისა მწარისა!

56. მეშურნე ბუზსა მიაგავს ყინვისგან ღონე-კლებითა,
ანუ შიმშილით მომყმარსა, მივარდნით, მირულებითა,
რა სახლს დაუთბობ, ან შაქარს თუ უზამ მიახლებითა, —
და მაშინ მენავე დაგასხამს ისარსა დაწყლულებითა.

57. ანთრისთვის კაკალს გაკვრეტენ, კელ შეჰყოფს, ნახა ზე სადა,
ცოტცოტას არ დასჯერდება, მჯიღს ივსებს, უნდა ძე სადა,
ველარ დააძრობს, ამრიგად მტრისგან გაკდება კვნესადა;
და ანგარსა ბევრჯერ მოუვა ეს საქმე ამა წესადა!

58. ცხრას ნეტარებათ მოვიღებ მაღლით საქმესა დიდებით,
ვის სურის სასძლოს ხილვანი, ქმნას ესე მონაზიდებით!
მისნი მოქმედნი ამაღლდენ სოფლისგან ანაკიდებით,
და ბილწ იქმნეს ცუდნი ეშმანი ანგელოზთ მონაზიდებით!

59. ვნატრი გლახაკთა სულითა და მგლოვარეთა გულითა,
მშვიდსა, მშიერს და მწყურვალსა სიმართლის განაგულითა,
მოწყალეს წმინდას გულითა, მშვიდობის მყოფთა სულითა,
და დევნულსა სიმართლისათვის, ყვედრებით გულსა წყლულითა.

60. მიკვირს, სოფელს რატომ დავშვერ, რომ ვიცოდი მისი ზნენი?
ვაგემოვნე გული ჩემი, სულს არ ახლდა კეთილთ მნენი,
კორცი მწადდა უკვდავ მყოფად, ზრქელად უჩნდა მოსასმენი,
და ეს კი დამრჩა საკიცხელად სულისათვის კვლავ უმკნენი!

61. სულმან რქვა კორცსა: „უგბილო, ვერ ნახე მფრინველთ ჯარები,
ანუ პირუტყვთა სიმრავლე, ხეთა, მდელოთა არები,
ანუ ქვემძრომნი, ცის ქვეშეთ სულ წარმავალნი ნარები,
და რად მიმეც ჭირსა, რომ არის ბოლომდი გაუხარები?!

62. მწადს ხანი დავყო მოკვდავმან, ვარ ყველას დამჭირნენია,
ამად ვიხარებ, რა წავალ, ჩემს ნივთანა მაქვს ზნენია,
შენ, ცხოველ ბრძენად შემქნელო, ჩემიც შენა ხარ მნენია,
და რასთვის მიმიშვი საწადსა, შენ გაკე დასათქმნენია?!“

63. სულმან უგო: „უგუნურო, რადგანა ვარ შენზე მეფე,
შენ ჩემი ხარ ჭური რამე, საყვარელი გულის სეფე,
ამად მიგდევ შენს ნებასა, სანდომელი გიიეფე,
და შენ შენს ნივთსა შეერევი, მე გამკადე მტერთ საყეფე“.

64. ძვალსა ძაღლი ხვრას დაუწყებს, კბილსა სისხლი ედინება,
თვისი სისხლი ემლაშება; ეჭვს, უსრულდა მისი ნება;
ბოლოს ძვალი კმელად დარჩა, მას მიხვდება კბილთა ვნება.
და სოფლის ნივთთა შემშჭვალულთა აგრევე ხვდეს შენანება!

65. ავაზას რა მიუტევენ, თუ ვერ იპყრობს, ითაკილებს,
მოამშვიდებს მას პატრონი, თვით დაიდებს მისსა კილებს:
„მე ვქმენ, ავად მოგიტევე; შენ ვინ გწამებს ავად ცილებს!“
და აგრე ქების მოყვარენი თავსა უფრო გაიწბილებს!

66. ბღუნძველა ყაჭსა აკეთებს, ვერად ვერ მოიკმარებსა,
მაგრამა ცუდად ყოფისთვის მისსავე ქსელსა არებსა.
მეც ისე დავრჩი უსაქმო, მოვშორდი სპათა ჯარებსა,
და ხან იმ ცუდსა ვიქ, ხან იმ ცუდს, ვლი სოფლის ცუდსა არებსა.

67. სოფელსა სჭირს, თუ კარგს მოგცემს, ავიც თანვე მოაბეროს,
აგრევ ავსა კაი მოსდევს, თუ გასინჯავ, დაგაჯეროს;
მეცა ველი ავზე კარგსა, ეგებ ღ(მერ)თ(მა)ნ ამამღეროს,
და მაგრამ წუთმან ამ სოფელმან დღენაკლული მოაბეროს!

68. წყალი რა შელმა ადგილსა თუ შეხვდა, დაწყნარდებისა,
ნელ-ნელა მისდევს უკანით, ამ საქმით გადიდდებისა,
რა ძალს შეიკრებს, ან გახეთქს, ან თავსა გარდვარდებისა;
და აგრევ ჰკამს კაცთა სიწყნარე, საქმე ქნას გულსდადებისა!

ტაეპი

69. მოცდით, იცოდე, ისრიმი ტკბილისა მომცემელია!

ლექსი

70. ამ სოფელს და იმ სოფელსა ორისავ ხარ მონამჭირი,
(და) ვის უნახავს ერთის ხელით ორი ნესვი დანამჭირი?!

71. სვავი ძვალსა გამოიზომს, ჩანთქმა ძალუცს ანუ არა,
რა გასინჯავს, შეიძლება, მერმე აღარ დაიზარა.
შენც გასინჯე შენი საქმე, შენა გმეტობს, ან გეკმარა,
და რაც შეგეძლოს, მას ეცადე, ნურას ეძებ გარის-გარად!

72. ნახე ფუტკარი ზამთრისთვის თუ რამდონს შრომას ნახავსა!
სადაც აქეს თვისი სამყოფი, მუნ მრავალს შეინახავსა:
ვინ ამ სოფელსა დაშვრების, ზაფხულად გამოსახავსა;
და მუნ უტკივრობას შეიკრებს, რად ვინმე სხვასა ჩმახავსა!

73. ზამთარი ამად უქნია, მიწასა მისცეს წყალიო,
ზაფხულის სიცხე დაადგეს, ამწვანდეს იგ საწყალიო,
მაგრამ მლაშეს და ქვიშასა არა აქვს ნაყოფთ ძალიო;
და შენ მას ებაძე, ნუმცა ხარ ის უნაყოფო მშრალიო!

74. მიწისგან რაცა გამოვა, მუნვეა მიმქცეველია,
ვერას ვერ იტყვის უარსა, ტკბილია, ანუ მწველია,
მაშ, შენგან რაცა გამოვა, შენადვე შემმთხვეველია,
და სხვას ნუ აბრალებ, თავისა შენვე ხარ გამრეველია!

75. მოწყალება გალატოზს გავს, თვის საქმესა მუშაობდეს,
რამთონს აგურს კელით დასდებს, კიდევ სხვითა ევსებოდეს:
აგრევ შენცა, რაც დახარჯო, კვლავ უფროსი მოგხვდებოდეს,
და რადღა ზოგავ სხვისას შენთვის, ცეცხლი აღარ გეგზნებოდეს!

76. ძაფსა სჭირს, რაშიც ჩააგდებ, მის ფერს დაიჭერს ახავი,
ილეკრო მისთვის მთა სჯობს, არის ამისი მსახავი:
რომ ფერით ფერი იცვალოს, არავინ არის მნახავი.
და კაცის სიკეთის სისრულე პირია მართლის მზრახავი!

77. ნახე, ნარინჯის ფოთოლი თუ ფერით როგორ მწვანობსა!
სიცხეში მიგავს, სიცივე სუნს-ფერსა გაუვანობსა;
აგრევ ყრმა გამოუცდელი სოფლად ამასვე ჰგვანობსა,
და რა დაიცდება, ფერად და სურნელად შესაგვანობსა.

78. რაცა ვინ ქნა ამ სოფელსა, მასვე მიხვდა მისი წილი!

79. ამაზე ბრუნავს მბრუნავი, სხვა რა აქვს რამცა გებული,
და შექნასცა ორი მოყვასი გაყრილი, განთვისებული!

80. რაცა რამე ცარიელი ადვილია ასაღებლად,
მძიმე რამე გაჭირდება აწევითა გასაღებლად,
დაიმძიმე თავი შენი სიბრძნის ფერის გასაღებლად,
და საალქატო გაგიხადოს მტრობის კლიტემ გასაღებლად!

81. მერცხალი სჯობს იადონსა, ის უფროა ნაქებარი,
შინ გვიზის და დაგვჭიკჭიკობს, იგ ძვირად რამ სახლებარი!
კმოვანების უსულითა ვინ თქვა, რითმე ნაკლებ არი?!
და უსმენი და ბევრის მთქმელი შედარებით დამლებ არი!

82. მოინდომო, ოქრო იყო, ურიოშო, ფეროვანი,
გამრავლებით გარდაადნევ, წიდა ნახო დანაწვანი;
მას კაცი სჯობს რამდონ რიგად, რამთონი აქვს შესაგვანი,
და არ გადადნეს მრავალ-რიგად, არ იქნება კაცთა მგვანი!

83. ნახე ვაშლი, უნდო ხილი, რა კარგი აქვს შვენებანი!
თვალსა ალხენს, ცხვირსა აყნოს, პირსა მისცეს მან ნებანი.
შენ, თვით კაცსა გონიერსა, გჭირდეს მის გზით რამ კლებანი,
და ავი არის უსაცილოდ, გაქვნდეს რამე ეს ვნებანი!

84. უნდა მიჰგვანდეს ეკალსა ყრმა ახალ-ნორჩი რგულებსა,
ბერი ბანბასა გაჰქონდეს, ითბობდენ იმით გულებსა,
არ სატაცურსა, გველსა ჰგავს, იჩემებს მის უსულებსა,
და ვერც ხუთოს მოგცემს, ვერც შხამსა სარგოს და დასაწყლულებსა.

85. ნუ ბაძავ კაცსა ულ(მრ)თოსა, რაზომ გადიდდეს მთა ვითა!
მის უმეცრების სისრულეს ჰგონებ ყოვლითა დავითა,
ღ(მერ)თიც მიუშვებს, გასინჯოს სიკეთით ან სიავითა,
და ბოლოს გაცვდების, აივსოს სამყოფი მისი სვავითა.

86. დასჯერდი, რაცა მოგეცეს ღ(მრ)თისაგან მონიჭებითა,
დაუთმე ყველა უფალსა, რაზომცა გაირჯებითა!
მაშინ იხილოს უფალმან ეს საქმე თვალუხვებითა,
და ორშივე მოგცეს გვირგვინი, საფერი მით უხვებითა.

87. რა არის, თაგვებრ მსუნაგობ, დასძვრები კარის კარადო?
ამას თაყვანსცემ და იმას შესტირი სულთქმით, მწარადო,
ძაღლებრ ლაქუცობ, მელისებრ ატყუებ შეუგვარადო,
და მომცემი სხვა გვყავს, ცუდია, დარჩები გარის-გარადო!

88. მიკვირს სოფლის გულისათვის კაცი ასრე რად იჭირვის,
ანუ ვინმცა მისის ნდობით, ვფიქრობ, ვცვიფრობ, ვით იჭირვის!
უკამთ მისცემს სიმდიდრესა, ზოგნი ხამსი მწვე იჭირვის,
და საუკუნოდ ცოდვის გვარლით გარდახვანჯვით დაიჭირვის.

89. რადგან კაცია მოკვდავი, სწადს, დარჩეს აქა რამეო,
სახელისაგან უმჯობე რამცა ჰქმენ, რამც იამეო?
მოგიგონებენ ყოველნი ამითი ჟამით-ჟამეო.
და მაშ, ლექსობაცა იქნება ამის რამ შესაწამეო.

90. ტოლსა შინა გამოჩენით არა სადა დამედარა,
მტერთა ზედა რას მარგებდა, თუცა სადმე დამედარა!
თუ დამაკლეს, რა დამაკლეს, საქმეშია დამედა რა?
და მაგრამ ბოლოს ყველა ვინმე, რა გავსინჯე, დამედარა.

91. ზღვაში ვნახე ღელვის მთები მომავალი თავს დაცემად,
ერთსა წამსა ხუთჯერ უფრო სულს ველოდი გასაცემად,
იგ ანაზდად გარდაჰქარდა, ლხინს მივეცით ბუკსა ცემად,
და რაღას ვსწუხვარ ჭირთა ჩემთა, სოფელია ასე მცემად!

92. ჩემებრ ცოდვილთა საქმენი პეპელიკისსა მიჰგავსა,
რა გაანათებს სანთელი, ის მწუხარებას იგავსა,
იშვებს, იხარებს, განსცხრების, ვერ ხედავს მისსა იგავსა!
და ბოლოდ დაიწვის იმისგან და ჩავარდების იგ ავსა.

92[1]. თუ თივა ცეცხლით გაზარდო, ცხვარს მისცე საჭმლად მგელია,
ტვირთი პეპელას აჰკიდო, ჭრელი ფრთით გამფრენელია,
დათვი მოედანს აბურთო, ვირი ქნა კაი მზმელია,
და აღგისრულდების მაშინღა, რაცა გაქვს საწადელია.

93. აბრამ შვილს კლავს, იეფთაცა მას უქეს და მას უგინეს,
და უადგილოდ კარგიც რამე არად ვარგა, გიძეს წინ ეს!

94. არ იცი თაფლი არა ღირს ფუტკრის კბენად და წყინებად!

95. ტურფად, კეკლუცად ნაქმარო, მისო სანდომო არევ და,
მიჯნურთა გულის მორევი უცხოდ რამ რიგად არევდა,
მისი ნარნარად მიხედვა მისთანა მჯდომთა არევდა,
და ტანს კვიპაროზის მემშურნეს იქით და აქათ არევდა.

96. ღაწვი ჰქონდა ვარდის ფურცლად, პირი — შროშნად, ტუჩი — ლალად,
თვალნი — მელნად, წარბი — სათად, თმა —სუნბულად, კბილი — სრალად,
ყელი — ვეცხლად, ძუძუ-მკერდი ბროლსა გვანდა განათალად,
და ტანი — ალვად, კელ-მკლავები მოგრძე მშვილდებრ მოსარკალად.

96[1]. ღაწვი ქონდა ვარდის ფურცლად, პირი — ბროლად, ტუჩი — ლალად,
თვალნი — მელნად, წარბი — სათად, თმა — სუმბულად, კბილი — სრალად,
ყელი — ვერცხლად, ძუძუ-მკერდი — მარმარილოს განათალად,
და ტანი — ალვად, ხელ-მკლავები შოლტი იყო მშვიდი მკრძალად.

97. წავალ, მეცხვარედ დავდგები, ვიქლი მთებსა და ბარებსა,
ნარგიზს თვალთ ნაცვლად უყურებ, თმისათვის— სუმბულთ არებსა,
ტანად —საროსა მრხეველსა, ვარდსა— ღაწვთ მაზიარებსა,
და მოვრჩები, ზამბახს უმზერი, თეთრ პირით არამდარებსა.

98. შემოდგომა ხარ, წაართვამ ფერსა და სურნელებასა,
ზამთრისა უფრო გააკმობ მინდორთ, შვენების ხლებასა,
დაადუხჭირებ მშვენვართა, მისცემ კორცთ ფერთა კლებასა,
და ვეფხებრ კისკასად მქცეველსა საბანს ქვეშ მისცემ ძლებასა.

99. ვაი, სიყრმისა ყვავილი რა ტურფა, მოსაკმარია,
თვალი ბრწყინვალედ მხედველი, ყური სმინებად მხარია,
სხვადასხვა, რიგი ვარჯიში რა შეება, გასახარია,
და არც მკვდარი, არცა ცოცხალი, ვაი, სიბერე მწარია!

100. წადილი და ძალი, სიბრძნე მჭედლობად გაქვს შესადარი,
მზე — ალმასად, მთვარე — ლალად, იაგუნდი — ვარსკვლავთ ჯარი,
ცა — ოქროდ და მინანქარად, ქვეყანაა მრავალ-გვარი;
და ამით გიცნობთ, ამით გაქებთ, მექმენ სულის გამახარი!

101. ქალწულებისა ვარდი ხარ, სიწმიდის ბაღსა რგულია,
ფერად გაქვს უმანკოება, უბიწოება სულია,
რტოდ გამოიღე მოკვდავთა იგ უკვდავება სრულია,
და ფოთლად გასხია წყალობა, განჰკურნე ჩემი წყლულია!

102. ხეო უფოთლოვ, მოისხი შენ ფოთლად ქრისტეს წამება,
მათ, ცოდვის სიცხით მაშვრალთა, იმ ჩრდილით მიეც ამება!
მკურნალად ხილად — სამსჭვალი, მიხარის, მტერი დამება;
და პირველისებრივ დასთრგუნე, რომე მწამს წმიდა სამება!

103. სახლად გქონდა უდაბნო და სანოაგედ მკალი, თაფლი,
ჩვილ-სამოსლად ტყავი მძაფრი, სარტყლად გერტყა არა მსწრაფლი,
შესაქცევად — ქადაგება, ვინც გისმენდა, წყალში დაფლი;
და სულსა ჩემსა შეეწიე, გაუკადე მტერი ღაფლი!

104. ბადედ სცვალე ენა შენი, კლდეზედ დადეგ ფეკუძრავად,
ზღვას ესროდი მღელვარესა, თევზთ იპყრობდი არა ავად,
იმაზედა აღეშენა ეკლესია მტერთ სადავად;
და მწყემსო, მიკსენ, პირმეტყველთა არ შევიქნა დასაწვავად!

105. მის ნათლისა დანახვითა გული მისი გაუკურდა,
სამხრეთისა ბეებნისგან მას იმისთის უფრო სწყურდა,
ტრფიალების შავარდენმა გული უპყრა, მას მოსურდა,
და შევიდა და ნათელ-იღო, ანანიას მიაშურდა.

106. იგ გვრიტი ქალწულებისა ეცა შენს გულის ბადესა,
სიწმიდის ტრედნი შენს გარე მახეს ხვდენ, არ იცადესა,
სიკეთის ორბმა სრულ მოვლო ქვეყანა, ცად იცადესა;
და პავლე ჭირთ მთმენო, სისხლ-მდენო, მტერთ ბრძოლით არ მაცადესა.

107. მამწყლეს საკვდავად, მცირე მიდგს სული საწყალად მდებარსა,
წყლულის შენმხვევი არვინ მყავს, არც სალბუნთ მდები მნებარსა,
უფრო სწადს, რომე მამსგავსონ უმწარეს ლახვრის მგებარსა,
და მიშველე, სრულად არ მომკლან შენის ქრისტესა მგებარსა!

108. თევზთ ნადირობით მიგზიდა უდაბნოს გვრიტმა მხლებელად,
შეუდეგ კრავსა, გასწავა, იზრდების, მე ვარ მკლებელად,
ზაფხულის მზეებრ აღმოჰკდა ჩრდილოს მთბობ მანათობელად,
და მეწიე მეცა, ანდრია, არ ვიქნა საბნელებელად!

109. რა გიწოდა, დაუტევე ნავსა შინა ბადის მსმელი,
მამისა წილ მამა პოვე სულისა და კორცის მზდელი,
მისთვის იყავ დღე და ღამე სისხლ დაქცევის მიწყივ მცდელი;
და მიოხე რა, მიძაბუნა მტერმა, რომ ვარ დაუცდელი.

110. ქორწინება დაუტევე, მკერდს მიეყრდენ, საყვარელო,
უნაყოფოვ, ხეო ტკბილო, ნაყოფისა მრავალ-მქნელო,
ყვავილად გაქვს სახარება, კაცთა სულის დამტკბობელო.
და მიშველე რა, იოანე, საყვარელო, სამბობელო!

111. მამის კითხვით გამოისხი ყვავილები გამომყნოსი,
იმ სუნისგან მკცოვანები შემდარე ქმენ განამკნოსი,
პირ-მეტყველად მომყვანელო უსწავლთა და მიუმგნოსი;
და ფილიპეო, სულსა მიეც სმენად ტკბილი სასმინოსი!

112. გული გექნა ანდამატის უმაგრობით გასადარი,
უკვდავ ძალმა შემოგმოსა სასიმკონი შეუდარი,
სიბნელითა დაფარულთა გაუნათლე მოუდარი,
და ბართლომეოს, მომეკმარე, შემიწყალე მემუდარი!

113. ურწმუნოებით განჰფინე სარწმუნოება სრულია,
ინდოთა დასიცხებულთა შემოუგრილე გულია!
უკვდავებისა სახლისა ხურობის განაგულია.
და გვედრივარ, თომა, გარდამრჩეს წაუწყმედელად სულია!

114. ზვერი აიღე უფასო, აროდეს შემწიკვლდებისა,
სიბრწყინვალენი უსახო რაღათღა მოგაკლდებისა?
განუყავ სიმრავლეებსა, მსმენელი განათლდებისა;
და მათევ, წილისა დადებით სულიმცა მინათლდებისა!

115. წმიდა იაკობ, ალფესი, გამოიპოვე ნებანი,
სასურისათვის სიკვდილი, საჭიროები ვნებანი,
მათებრივ მისახვედრელი, პატივი დაუკლებანი,
და გამოითხოვე ჩემთვისცა დასაწველისა ვსებანი!

116. ლებეოს, შენვე გეწოდა თადეოზ მოციქულია,
განხრწნადი გარდაუტევე, უხრწნელსა მიეც გულია,
ისარი გესო ასეთი, ვერა სცან ისრის წყლულია,
და აღმიფხვარ ანაქვსებშია ცოდვანი დანერგულია!

117. ორის ხითა ზეცად ახდა წმიდა სვიმონ კანანელი,
ჯვარმან მოსწყლა, ჯვარისაგან გამობრწყინდა დაუნელი,
გაანათლა სიმრავლენი, გამოუჩნდი გამომკსნელი;
და მომარჩინე უნახავად სატანჯველი, დასაბნელი!

118. სიმყრალისთვის მოკვეთილზე აღმოსცენდი გია სხმული,
გიისავე სურნელობით გაუნათლე ბნელთა სული,
ქრისტესთანა მეტრაპეზემ აღასრულე მისი თქმული.
და გამომიკსენ საფრკეებით მტერისაგან ჩანათქმული!

119. გემოვნებისა სასმელად ცრემლისა გამომკდელია,
მარხვანი გემოდ იჩინე, არ ჭამე გასაზრდელია,
სამურკვნელონი გზად პოვე, რისაცა იყავ მცდელია.
და ძმაო უფლისავ, შემექმენ ცოდვისა შემომკდელია!

120. რად ჩააგდებ მიჯნურებში დაუსახსა ამას გულად:
საყვარლისა სიყვარულით თავს რიდებდეს მონაკლულად,
საწუთროსა დაუთმობსა, სიმდიდრესა მისსა სრულად,
და კიდევ ვისმე ეკრძალოდეს გაუგდები მონაძულად?

121. კამს, მიჯნური თავის წინა მოტირალი, მისი მგონი,
შეემსჭვალოს გონებანი, მოეძულოს გასაგონი,
მოუცილად შეამკობდეს, ნურა უნდა გასაგონი,
და მაშინ მისა საწადელსა შემოულბეს ხვეწნის მგონი!

122. წესი არის მიჯნურთაგან სარჯელი და ჭირის ქონა,
სოფლიოსა განეელტოდეს, კორციელთა დაუმონა,
გააგრძელოს სიყვარული, არ ანაზდი შესაკონა,
და საჭირონი მოიჭირვოს, დაითმინოს დასაღონა!

123. მეტრფიალეს დამავალსა მოეწადოს კარგის ნახვა,
გონებასა გაუგრილებს, დააკლდება სულთქმა, ახვა,
სიმკურვალე გარდექცევა, გაეცლება სალბო ძრახვა,
და დავარდების სამუდამოდ მისის სასის გამოსახვა.

124. მეტრფიალე სატრფიალოს ერიდების, ეშორება,
ისიც მისგან უკურიდებს, მოეშოროს ერთგან რება,
შუა მტერი გამოჩნდება– ფათერაკის ძლიერება.
და საჩხუბარსა დაუთესავს, საძნელოა მოგერება.

125. მეტრფე სატრფოსა ტიროდე, შეგექნას დანალმობილი,
შეეფრფინოდე, შემზერდე, გულითა ლახვარსობილი,
გააგდე ამო ლაღობა, სიმდაბლით იყავ მკობილი,
და სიყვარულითა სიმშვიდე გაკადე დასადობილი.

126. ნუ გგონია მიჯნურობა ადვილობით შესამართი,
თავთა თვისთა დაუცდელად ვერაობით ვერ წამართი!
ნებაები მოიკვეთე, საქმენი ქენ დაუმართი,
და მაშინ მიხვდე საწადელსა, საგზოსაგან გასამართი!

127. მეტრფიალე საბრძოლველად მუდამ უნდა შეჭურვილი,
მკნეობითა განძლიერდი, მტერი შექენ შეურვილი,
დაცემისა შეუდრეკი, მოიპოვე კვლავ სურვილი,
და საყვარელსა იგონებდე, დაგეფაროს დაფარული!

128. უგუნურები ფიქრითა სვე სვიანობენ დიდებით,
თემებსა დაიმორჩილებს საუნჯეების მიდებით,
გონებას ამხიარულებს კელისა მოუკიდებით,
და გაიფრთხობს მოწყურვებული, მშიერი განაცუდებით.

129. ფიჩოვანზე მოლაშქრენი არ არიან დანამცირად,
იგი სჯულსა ასრულებენ, ესეცაღა მონამჭირად;
ცეცხლი შეშის უხლებელი გამოჩდების გასამწირად,
და ერთმანერთის მოუკმარი შეიქნების კარგზედ ძვირად.

130. ოქრო მიწაა მანამდის, ქურასა დაინახავსა,
შუქსა და ფერსა მიიღებს, მსგავსია დაუნახავსა;
კაცისა მოკვდავებასა წყალობა გამოსახავსა,
და უსწავლი, უგუნურები სიავეს გამოსძრახავსა.

131. ნუ იმძიმებ, ნუ იხარებ, ან იშოო, ან დაკარგო,
მოსავლისა მოსავალი სიავეა, რაც საკარგო,
ცდისაგან და მოჭირვებით, დაიჯერე, ვერა არგო!
და ყველაკაი გამიცუდა, ბარგი იყო გასაბარგო.

132. რა ზე-გარდამო მოვიდა, ნახეთ, მის გამო ელისა,
მოიჭირვა და ეცადა, ვის ქართლში გამოელისა;
რაღა მე შემოვიუბნო, ქალაქით გამო ელი სა?
და თვის სიკეთისა უცდელი, სხვისგან რას გამოელისა?!

133. შენი ტრფიალნი დანახვას სიზმრობითაცა ჯერანო,
თვალნი იმისი თვალებსა გიჟუჟუნებენ, ჯერანო,
სამკობი გაუჭირდების, მწერალმა დაგსვას ჯერანო,
და შუქისა შემადარები, ვინც შეიქნება ჯერანო.

134. დანამთესველმა მოიმკოს დანათესულთა ნაყოფი,
მოუშორები სამუდმოთ, არა ოდესმე ნაყოფი,
კარგით ამ(ა)ღლდეს, სიავით სამკვიდრო ექმნას ნაყოფი,
და ლბილად რამ საგონებელი, გაბასრდეს ამონაყოფი!

135. იოსებისთვის განეგო ეგვიპტეს გამთავრებანი,
ძმათ საკვდად გიმოიმეტეს, გარდასცდეს განაგებანი,
საჭიროებსა გარდურჩა, რაცა იწადეს ვნებანი,
და რად დავიწუხებ, არ არის განგების მო-ცა-კლებანი!

136. ნუ გაიკვირვებ აღდგომას, მკურნალნიც იქმან სახესა,
ცეცხლ-მიწა-წყალსა-ჰაერსა გაყოფენ დაუნახესა,
მღვრივით წმინდასა შერევენ, კვლავემცა გაავახესა;
და ღ(მერ)თიც ასე იქმს, ნუ ებმი გამოუხსნელსა მახესა?!

137. სოფელი მიგავს ყვავილსა, კეკლუცობითა ქმნულებსა,
სიცხე წვით, ყინვა დაზრობით, მისცემენ დასაწყლულებსა,

წყალი წააკდენს, გვალვანი მოუშლის საუსულებსა,
და მოთმენის მეტი წამალი არა აქვს დასაკრულებსა?!

138. ყვავილოვანთა ბიბინი, სანდომი არემარენი,
გაზაფხულისა ჰაერი, მიჯნურნო, არე მარენი!"
დაჯოგებული წარბები, წამწამი ა რემა რენი,
და გულო, მოკლულო სევდითა, აროდეს არემ არ ენი!

139. მკცოვანები ყმაწვილობენ, ყმაწვილები – მის უბერე.
ბერნი ცოტას აყვებიან, ყმა დასწყნარდა, რაც უბერე,
უხუცესი უნაღვლობენ, სწუხს უმცროსი: „ვარ უბერე".
და სიკეთისა საბერველი გამკდარია იქ უბერე.

140. ტვირთი შენგან უზიდავი, სხვამან ვითა აიკიდოს!

141. მზირმა მუნვე მოიტაცოს უსარგებლო საუბარი!

141[1]. შეუკრძალავსა სიტყვასა მზირები მოიტაცებენ!

142. ისარი და პირით სიტყვა, რა გატყორცო, არ მობრუნდეს!

142[1]. ბევრს ჭიქას კენჭი ეყოფა, უგუნურს – დრამის წონანი!

143. ბუზი მსგავსია ამაყსა მოურიდალის ქცევითა,
და მისებრივ მაღლა აფრენა არ შეუძლია ზევითა.

144. გულს აურევს, თვარამ ბუზი საფინთარი არსად არი.
და კარგი ხარ და კარგს არა იქ, შეიქნები შესადარი.

144–ა. ისმინე გამონათქვამი, არა ქნა დაკარგულია,
და ყური ფუნდუკად იქონე და ენა დალაგმულია!

145. ცუდაობით სოფლისაგან ესე რამე გავაუბნე,
ნაღვლისაგან გაუგებმა სევდაები გავაუბნე;
ცოდვამ დამცა კელთ ნაგები, უფროობით გავაუბნე,
და დავივიწყე წერილისა, ზურგი მივეც, გავა უბნე.

მეორე რედაქცია

1. ლექსი ტკბილი, გვარიანი, სწავლით უნდა გამახარი,
სამ-ოთხ რიგად გასასინჯი, სიბრძნეზედა მოუხარი,
რუსთველს სამად გაუყვია მისი გზა და მისი მხარი,
და იდვას რამე მოკლე სიტყვით სალხინო და სამწუხარი.

2. ვტირ, სატრფოვ, მეტრფე საბრალოდ, მოლბობით შემიწყალო და,
გავიჭრე ველად, გაჭრილი სოფელსა გავეძალო და,
სოფლის დიდებას რას ვაქნევ, რადგან შენ მომეკრძალო და,
და ნება ვასრულო სასრული, რაც ბრძანოს მისმა სძალო და!

2-ა. მეტრფისთვის გვიხამს ტირილი, მოლბეს და შეგვიწყალოსა,
გაჭრა მინდორად, ტყე და კლდე, სოფელსა გაეძალოსა;
რას ვაქნევთ სოფლის სიმდიდრეს, თუ ის კი მოგვეკრძალოსა.
(და) ვასრულოთ მისი ბძანება, რაც ბძანოს მისმა სძალოსა!

3. სატრფოს ტრფიალმან შეუმკევ, მო, მცირე უნდა ქებანი,
ენა უკმარი უგბილად, უსწავლი გამოგებანი;
ეგებ დამივსოს, რომე მჭირს მძაფრთა საკმილთა გზებანი,
და მივხვდე მას, ჩემსა წადილსა, რაც მიეის დანაკლებანი!

4. ჩემსა სატრფოსა ვაქებდე, ვისი მსურს ხილვა გულითა,
ვის გამო ვარდსა სუნი სდის და ფშვა შროშანთა სულითა,
ნაზად აშვენებს, კეკლუცად ტრფიალთა დამაწყლულითა,
და ფერს მისცემს ყოლთა ღაჟღაჟად თვალითა დაულულითა.

5. სძალი შემკულა კეკლუცად, სიწმინდით, უმანკობითა,
შეშვენის მისა ასოთა, სამსგავსო იყოს მკობითა,
მან მიათხოვოს ერთ კაცსა უფრჩქვნელად მოსამკობითა,
და ცდა გაუცუდდეს, არ ითხოვს მსმელ-მრუშსა არაკობითა.

6. სძალს უვის წყნარი, სათუთი, ტურფა, კეკლუცი პირითა,
მისი ტრფიალი შევქნილვარ გულ-ლახვარ განაგმირითა,
გამოუცდელად არ მაძლევს ოქრო-კელ-დნამჭირითა,
და თუ მამაცი ვარ, მეც მმართებს, სოფელი დავთმო ძირითა!

7. ეზომ ტურფა სასძლოსთანა მომნდომია, ვიხარებდე;
საქორწინე არ მაცვია, რომ შემიშვან, ვიხარებდე.
მიჯობს, რომე დავგლახაკდე, სოფლის საქმით ვიხარებდე,
და ნუთუ მაშინ ღირსად ვიქმნა, ღიას კარსა ვიხარებდე!

7-ა. რძალთან მინდა, რომ მივიდე, ვიშვებდე და ვიხარებდე;
მაგრამ ტანთა არ მაცვია, არ შემიშვან, ვიხარებდე.
ასე მიჯობს, დავგლახაკნე, სოფლის საქმით ვიხარებდე,
(და) მაშინ აღარ დამიშლიან, ღიას კარსა ვიხარებდე!

8. კაცსა მართებს, სატრფიალოს დაეძებდეს ტურფად კარგსა,
არ შეუდრკეს შეჭირვებას, არ მიხედოს სხვისა ნარგსა,
ცეცხლიც მისთვის ბანბად უჩნდეს მეფობისა შენადარგსა,
და დასთმოს წუთი საშვებელი, მისთვის გვანდეს განაბარგსა!

8-ა. კაცსა მართებს, სატრფიალოს რომ ხედევდეს ერთს რამ კარგსა,
არ შეუდრკეს მისა ჭირსა, არ ეძებდეს სხვასა ვარგსა,
მისთვის ცეცხლი ბამბად უჩნდეს მეფობისა შენადარგსა,
(და) დასთმოს მისთვის ეს სოფელი, არ ეძებდეს მისა ბარგსა!

9. სძალსა უნდა ჩემი მისვლა, მაწვევს მეტად დანახშირად,
ვერ მივსულვარ უკამსობით, თავი მიჩანს მოდუხჭირად;
მწიკვლითა ვარ შემოსილი, უღირსალი, ჩემად ჭირად.
და უნათლოა ლამპრის ზეთი, მისგანა ვარ განამწირად.

9-ა. რძალს მწვე უნდა მისვლა ჩემი, მაწვევს ხოლმე, დიაღ,ხშირად,
მაგრამ მე კი ვერ მივსულვარ, საქმით ვჩანვარ მწვე დუხჭირად;
მწიკვლი მაქვს და არ მაცვია, მართებულად, ჩემად ჭირად.
(და) უღონობით დავრჩომილვარ სატრფოსაგან ასე მწირად.

10. რა შეიტყო ესე ჩემგან, მორიდებით მეკრძალების,
ებრძანა, თუ: „ეგე საქმე კაცთააო დანაკლების,
ვეძებ კაცსა, კაცთა წესსა, საღირსალსა ჩემის ხლების,
და პირუტყულთა მიბაძვათა ჩემგან ვითა გაეძლების?!“

10-ა. რა შესმოდა ესე ჩემგან, ამად გევლტვის, გეკრძალების,
ებრძანა, თუ: „ეგე საქმე კაცისა(ა) მწვე ნაკლების,

მე კაცს ვეძებ, კაცთა წესსა, ღირსი იყოს ჩემის ხლების,
(და) თვარ პირუტყვთა საქციელი ჩემგან არის გაუძლების?!“

11. ვინ პოა მეფე მდიდარი, ქვეყნად ამისი მქნელია,
შროშანთა ფეროვნებითა კაბა ემოსოს ვრცელია?
თვით სოლომონცა ვერ უძლო, ნახეთ, ამბავი ძველია!
და იგი თივანი ჩემს წინა თორნესა ჩასაგზენია!

11-ა. ვინ არის მეფე მდიდარი, იყოს ამისი მქნელია,
მინდვრის შროშანთა მსგავსი რამ შემოსად არ ქნას ძნელია?
თვით სოლომონცა ვერ უძლო, ნახე, ამბავი ძველია!
(და) მაგრამ მე იგი თივანი, მჩანს, თორნედ დასაწველია!

12. ოქრო და ვეცხლი რა არის, სპეკალნი, მარგალიტებით?
— მიწაა სხვადასხვა ფერი, კვლავე მიწათა იდებით,
ყოველი სოფლისა დიდება გაცვდება, ვინცა მიხვდებით!
და მეტრფიალეთა შეშვენის გარეგან განაკიდებით.

12-ა. ოქრო და ვერცხლი რა არი, ან თვალი, მარგალიტები?
— მიწაა სხვადასხვა ფერი, კვლავე მიწადვე იდები,
სხვა ყოვლი სოფლის სიმდიდრე გაცვდება, ვითა ხიდები!
და რადგან ტრფიალობ, ესენი ქენ ყველა განაკიდები!

13. მრავალ რიგია ყაყაჩო სიტურფის ფერადობითა,
სუნი არ უდის საამო, გამკდარა განაგდობითა;
სუნის სიკეთით ჩამფალი, არ ნახვად მისოდნობითა;
და მას პატივსცემენ მასზედა საყნოსლის იმედობითა.

14. ანწლი კელად შემოიგდო, ავ-სუნს მოგცემს, გაგიმწარებს,
შაშპრა მოგხვდეს მოსაკრეფად, საყნოსელსა გაგიხარებს;
რა სოლინჯი პურსა შერთო, ჭამას ვინღა დაიზარებს?
და ორთავ იყავ მობაძავი, გაუჯელი ერთის არებს!

15. ფუფუნი, კორცთა შვენება, სურნელთა მრავალფერია,
გონიერთაგან ესე რამ არად არ შესამზერია.
მატლს ხედავ, რაში ფუფუნებს, რა კარგად დაუჭერია?
და მასვე მიაგავს მიმდევი, ბრძენთ ასრე დაუწერია!

15-ა. შვენება, კორცთა ფუფუნი, ფშვა, სურნელთ მრავალფერია,
გონიერთ კაცთა ეს საქმე არად არ შესამზერია.
ხედ(ა)ვ მატლს, რაში ფუფუნებს, რა კარგად დაუჭერია?
(ღა) ისიც მასა გავს უთუოდ, ბრძენთ ასე დაუწერია!

16. მივგავარ ვარდსა ტურფასა, ეკლისა მონახშიროსა,
ბულბული ჩემთვის ტრფიალი მის გამო მონამჭიროსა,
დასთმოს ყოველი სოფლისა შვებისა განაპიროსა,
ღა მაშინღა ჩემი შეყრისა ხლება არ დაეძვიროსა.

17. „ნუ მოზარეობ, — ებრძანა, — თუ ჩემკენ გინდა რებანი!
დანაცემულთა ყოველთა მივეცი აღდგინებანი,
უხვებით მისდის მრავალთა, ვისაც რისა აქვს კლებანი,
ღა გული შემსჭვალოს ჩემზედა, ინდომოს ჩემი ნებანი!“

18. მეტრფე სატრფოს მაძებარი პირველ მართებს მონათელსა,
ბნელმა კაცი დააბნელოს, ჭირით ბაძე მონათელსა;
შემყრელს მართებს, დაიცადოს, მაშინ პოვებ მონათელსა,
ღა დაუცდელად ეს იცოდე, ეშმაკისა მო ნათელსა.

19. რა მესმა ესე იმისგან, მომხვდა გულისა ამება,
მის კარს მივმართე მაშინვე, ვისთვისცა მქონდა წამება;
დიდად იამა, რა მნახა, ჩემი ამგვარი წამება:
ღა „რაცა იცოდე, მიამბე, — მიბრძანა, — დაუხანება!“

20. მე მოვახსენე ყოველი, რაც გულსა მქონდა დებანი,
დაურიდლად და უშიშრად მას მივეც ჩემი ნებანი;
ან დამარჩინე ან მომკალ, მაქვს ამის იმედებანი,
ღა გნუკავ, მაჩვენო სატრფოსა ცხოველი ბრწყინვალებანი!

21. ვით გაქო, ქების მაარსო, მჭვრეტელთა სალხინებელო,
ბრძენო, მშვიდო და მდაბალო, კეთილთა წესთა მდებელო,
ბოროტის გამოუცდელო, არცა თვალისა მგებელო,
ღა შენ, საყვარელო ყოველთა, ყოველთა არა მხლებელო.

22. ვარდს გადარო, არ იქნება; სუნით, ფერით შენგან ვარდობს,
თვალ-უძილოს ნარგისთაებრ შენი უფრო განავარდობს,

მზესა მიაქვს შენგან სხივი, მეუეთ ზედა შენით ბედობს,
და ნეტარძ შენთა შემსჭვრეტელთა, ვაგლახ, — ეინცა რასმე ყბედობს!

23. ბულბულს ვარდი შეეწამა, შენვე გაქებს ენა-მრავლად,
ცის ფრინველნი ჭიკჭიკობენ დღე და ღამე შეუკრავლად,
კმელთა წყალთა მოძრავები, რაც არიან მაშიგ მავლად,
და უკრთებიან სხივსა შენსა, კაცთა თვალი განაკრძალვად.

24. მდელო ყოველ წლივ მცენარობს, სიმწვანით რამე გაქოსა,
ფურცელი ხესა მოესხმის, იგივე დაგვანახოსა,
შაჲდების ღამე სიბნელედ, შენ ნათლად გამოგსახოსა,
და საანჯმნოდ გასაკვირალმა შენივე ქება ზრახოსა.

25. კეკლუცია ტურფა რამე, უკაზმავი მოიბაღით,
ვარდსა ახალ გაფურჩქვნილსა სჯობს საჭვრეტლად მოიბაღით,
გულმა ჩემმა სიყვარული მისი უცხოთ მოიბაღით,
და სიძულილი საგულისო მოიგლიჯე, მოიბაღით!

25-ა. კეკლუცი ხარ, ტურფა რამე, უკაზმავი მოიბაღით,
ვარდო, ახალ გაბუტკვნილო, ჩემ კერძ ირე მოიბაღით,
გულმა ჩემ(მ)ა სიყვარული შენი უცხოთ მოიბაღით,
და სიძულილი შენგან ჩემი მოიგლიჯე, მოიბაღით!

26. მამწონს მისი სანდომობა ქებისათჳს დაღალულად,
თვალი სხივმა დამიწუხა, კნინღა შექმნა დაღ-ალულად,
ასრე გავკე, ჩემი მნახი იტყოდიან დაღალულად,
და არ მიწამლებ, მამხდომია გული ჩემი დაღ-ალულად.

27. მოვიუბნე შენთჳს ქება, არცა ერთი საკადრისი,
შენ სხვათ აძლევ შესაქებსა, ღირსი არის ვინცა რისი,
მაგრამ კაცნი უძლურნი ვართ უმაღლესის რასმე თქმისი,
და შენ სხვა ხარ და ქება სხვაა, უშვერია ზრახვა მისი.

28. მისთა ტრფიალთა კეთილი არ მიეცემის კარითა,
სიყვარულითა მისითა გული, გონება კარითა,
მისისა მიახლებითა ეშყსა სურვილი კარითა,
და ეგება რამე გეღირსოს შესვლა სამოთხის კარითა.

29. თუცა მოვკვდე, ნეტარ, შენთვის, რა სახელში ჩამეგდება?!
ცეცხლი მწველი მედებოდეს, რად მეწყინოს მისი დება?!
სხვას სასჯელსა რად დავზარდე, უფრო გული დამედება,
და შემემთხვიოს შენთა სხივთა სანახავად გარდმოდება!

30. გულს მისცემს უცხოდ შვებასა, ოდეს ვისმე შეეყრების,
თვალს ის უნდა, სხვათ სპეკალი ცუდად რასმე შეეყრების,
სამუდამოდ ვერ მიმხდომთა თვალთა ცრემლი შეეყრების,
და ვინ არ მისდევს სადევარსა, მას ლახვარი შეეყრების!

31. თუცა არა ვარ საფერი შენისა ტრფიალებისა,
მონად მიყოლე ნაფრდილად, მდიდრობაზედან კლებისა,
მომიტკბი, რაც რამ გაწყინე; მემწე, რაც მომევლებისა,
და ნუ მიმცემ მტერთა საყვედრად, მყავ ღირსი ახლო ხლებისა!

32. სურვილისა ზღვათა შიგან მან მომიდგა მასე, მასე,
ესე მიყავ, შემომზღუდე გარეშემო მასე, მასე,
საბრკეები მისგან ჩემზე, რომ გახეთქო მასე, მასე,
და შაქრისაგან უფრო ტკბილი მისი ეშყი მასე, მასე.

33. როს მეტრფისა ტრფიალება გულსა ჩემსა დამაჯერა,
მშლელი მიშლის უცხო რიგად, ლამის კიდეც დამაჯერა,
მეუბნების: ყმაწვილი ხარ, არ იციო დამა ჯერა;
და მაგრამ მისმა სიყვარულმა ისევ მასვე დამაჯერა.

34. გაბრწყინვებისთვის სანთელი ერთს ფერკზედა დგას, ტირისა,
ცეცხლის წვით არის მიმღები საწადლის განაპირისა,
მიკამს, მეც ვიდგე, ვიწოდე დამბანი ცრემლით პირისა,
და ეგებ რამ მნახოს, შემიტკბოს ტრფიალმან გამძლე ჭირისა!

35. ნუ მიმცემ ცეცხლსა საწვავად, მიყავ ამისი ვსებანი,
შენს წინ მამყოფე ულირსი, რომ აღმისრულეს ნებანი,
შენის ქებითა ვიშვებდე, მქონდეს გულისა დებანი,
და ნათლად გამოვჩნდე ნათლითა, მტერთ რა ყონ იშნის გებანი.

36. მისა სამსგავსოდ მაგ ქვებსა ცუდად აწითლებ, იამან,

ჟამი გამოჰკდეს მანამდის, იმას უდაროს ია მან,
ზილფი ხუჭუჭად ნაგრუზი რით ნახოს ურცხვად ი ამან?
და მისად შეყრამდი თუ დარჩე, მოიწყენ თუცა იამან.

37. გულს – მებაღედ, მიდამოსა ბაღად ვამბობ ძველის ძველად,
ყინვას – მისად გამაკმობლად და სიცხესა – მისთვის მწველად,
თუ წყალი სცემს, მზე დაატფობს, მებაღეა ლხინთა მზმელად;
და ჩემსა გულსა ორიეღლა საშოვარად მეტად ძნელად.

38. დავრჩი ასე, აღარ მშვენის, არცაღა მაქვს მოსაგონი,
რათ ვიკმარო, აღარ ვიცი, მქონდეს კიდეც მოსაგონი:
გამიცუდღა, ცოდვის ნაცვლად, ყოვლი რამე მოსაგონი,
და მტერსა დარჩა, აღარა მაქვს ჩემი სრულად მოსაგონი.

38-ა. გული სევდისა სალხენად განსა ვკარ ა ჭარხალითა,
გაველურდე და გავიჭრე, დავრჩე ვით ა ჭარ ხალითა,
მზევ, გული ჩემი ტყვექმნილი მისწიე აჭარ ხალითა,
და საზდოდ ვიკმიო სიცოცხლე, ვატარო ა ჭარხ ალითა.

39. ვერვის ვხედავ სოფლისაგან ჩემებრ რასმე წამონარცხით,
ჩემი მათზე ავი რამე არ თუ კაცთა წამონარცხით,
გარდამაგდო მართ ვითამცა საწუთრომან წამონარცხით,
და ის დიდება პირველ ჩემი აღარა მაქვს წამონარცხით.

40. ჩემსა საქმესა უგბილი სანთლისა მსგავსად მოველი,
თავისა მტერსა ძალს აძლევს თავისა დამაწვეველი,
შენს წინაშე ვარ მცოდველი, ცოდვისა ძალის მძლეველი,
და ვა, თუ დავიწვა, შევიქნა შენგანცა დასაწყეველი!

41. მან მიბრძანა: „რადგან მოხველ, ნუ სწუხარ და ნუღარ ზარობ,
რაცა გაქცნო, იმოქმედე, სხვათკენ გულსა ნუღარ არობ,
წვრთანი ჩემნი დაიმარხენ, უმეცრებით ნუ იმწარობ,
და მაშინ მიხვდე საწადელსა, თვალით ცრემლსა დააწყნარობ.

42. „თუ დაიმარხავ შენ ჩემსა სიტყვასა, სწავლა-თქმულებსა,
საყურებრ ყურად გაიყრი და დაიმკვიდრებ გულებსა,
ღღეთა შეგძინებს ამ სოფელს, ზეცას აღაფრენს სულებსა,

და აქ მოგეცემა კეთილი, იქაც მორჩები წყლულებსა“.

43. ცხოველი რასაც მოქმედობს, მოელის მოსავარგოსა,
მოქმედს ჩვენ-გამო რა ერგოს, ქმნულისგან დაენერგოსა?
გიყვარდეს მისსა სახელზე, უქმად ნუ შესძრავ ბაგოსა,
და არ გეჯობინოს პირუტყვი საქმესა დასადაგოსა!

44. მიწაც იხარებს უსულო, რა დღე მოუვა ზმნისანი,
მფშოვნობით ყვავის, მწვანობით, რა სითბო ნახოს მზისანი;
შენცა იხარე მეტყველმა დღესასწაულნი ღ(მრ)თისანი,
და ყვავილის მსგავსად აჩვენე ღვაწობა კეთილისანი!

45. ჭია რა ბოჟსა შემზადებს, მოიცავს მის(ს)ა გარებსა,
ქარი არ ეცეს, საწყენი არ მიხვდეს გასამწარებსა.
თუ ის მოქმედზე ამას იქმს, რა ვხედავთ შეუგვარებსა,
და მისთა მშობელთა პატივის ცემას რად დაიზარებსა?!

46. ბრძენი მკეცისებრ რადა ხარ, მესისხლე, კაცის მკვლელია,
მამლურად – მრუში, მუდამად სხვისა სხვაზედა მვლელია,
თაგვებრ მპარავობ, დასძვრები, სადა გზა გაუვლელია!
და ცილსა ნურავის დასწამებ, კაცობაშია ძნელია!

47. გული ნუ გითქვამს ირმულად საამოდ ცოლსა სხვისასა,
ნუ მონაგებსა ჯიკვისებრ მოყვასთა სანახვისასა!
სხვასაცა გამცნებ ახალსა თავისა შენახვისასა:
და სასძლოს ტრფიალი არ დასცდე გზასა მას დანახვისასა!

შვიდი საიდუმლო

48. რაცა იშვების შობილი, მშობელსა შეემსგავსებით;
უმართებს იშვნენ სულისგან სულითა მოისავსებით!
დაიბეჭდენით ბეჭდითა, გიცნან ვისი ხარ დასებით,
და ვეღარ გიპოს მპარავმან მოცული ზეშთა ზესებით!

49. ვინ ზიარდების ზიარსა, საქმეა განაერთია,
ზიარებისა მიღებით კაცი შეიქენ ღმერთია,

მღვდელს აღუარე ნაქნარი, სწავლანი შეიერთია,
და მორჩილებითა მოარე ნაბურდით გამოერთია!

50. წყლისგან მიეცეს ფერები, ნაყოფნი იქნას მთელია,
ზეთის კურთხევა აგრევე ავისა დამანელია;
წეროსაც იცის წინმძღოლი, როს უსხენ გზანი გძელია;
და მღვდლის კურთხევისა პატივმან გაგიადვილოს ძნელია!

51. ყოვლმან იცის მისი ჯუფთი, რომ მოშენდეს გვარის-გვარად,
ჩვენცა გვმართებს ვიყოლებდეთ, სოფელს ვიყოთ მრავალ ჯარად,
არ პირუტყვებრ უქორწინო, კაცთა წესთა დასაზარად,
და მღვდლის კურთხევის შენდობითა, შეველთნეთ გასახარად!

სასიკვდინენი

52. შვიდნი მოგითხარ სჯულისგან საიდუმლოსა რიგები,
მან მოგცეს გზანი კეთილნი, ვინ სიბრძნის სახლად იგები!
აწ შვიდთა გეტყვი ცოდვათა, სწავლა სწავლასა მიგები,
და საზარო მომაკვდინენი, მის გამო ლახვარ იგები.

53. ფარშამანგი ბოლოს გაშლის, გაიფურჩვნის, გადიდდების,
ეგონების, ჩემგან კიდე ქვეყნად ვინღა იდიდების!
კატას თვალსა გადააელებს, მოდრკების და შეშინდების.
და ამპარტავნად ნასაქმარი ამის მსგავსად არ იქების?!

54. ციცინათელა მაღლოის უნდო შუქისა კრთომითა
არვის იდარებს მის ტოლად მის გულში მისაზომითა;
ფრინველნი დახვდენ საწყალსა, ვერ გაესწოროს ომითა.
და აგრეც მოგვიეა ჩვენ, კაცთა, ამპარტავნობის ნდომითა!

55. არაწმინდება ძაღლსა გავს, ნაყროვანება- ღორისა,
გასინჯე მათი საქმენი, ვინმე რად მოიკმარისა!
შემცონარება მატლთაებრ ცოტას მწვირესა არისა,
და უჟამოდ მრისხანებანი ყაპუზიანთა გვარის ა!

56. მეშურნე ბუზსა მიაგავს ყინვისგან ღონე-კლებითა,
ანუ — შიმშილით მომყმარსა, — მივარდნით, მირულებითა,
სახლსა გაუთბობ, შაქარსა რა უზამ მიახლებითა, —
და მაშინ დაგასხამს ისარსა სამწაროდ დაწყლულებითა.

56-ა. მეშურნე ბუზსა მიაგავს ყინვითა ფრთაშეკრულებსა,
ანუ — შიმშილით მომყმარსა, საკვდავად მიმართულებსა,
რა სახლს გაუთბობ, ან შაქარით მშიერს დაუტკბობ გულებსა, —
(და) მაშინღა შენად საწყინოდ ისრით იწადებს წყლულებსა.

57. ანთრისთვის კაკალს გაკვრეტენ, კელ შეჰყოფს, ნახა ზესადა,
არ დასჯერდება ცოტ-ცოტას, მჯიღესა აღივსებს, ძე სადა,
ველარ დააძრობს, ამრიგად მტრისაგან გაკდეს კვნესადა;
და ანგარსა ბევრჯერ მოუვა ეს საქმე ამა წესადა!

57-ა. მაიმუნისთვის გაკვრეტენ კაკალს, კელს შეყოფს ზესადა,
ცოტ-ცოტას არ(ა) სჯერდება, მჯიღეს ივსებს, უნდა ძესადა,
ველარ დააძრობს, ამრიგად, მტრისგან გაკდების კვნესადა;
და მამონას ბევრჯერ მოუვა ეს საქმე ამა წესადა!

ნეტარება

58. ცხრას ნეტარებას მოვიღებ მაღლის საქმესა დიდებით,
სასძლოს ხილვისა ტრფიალმან ქმნას ესე მონაზიდებით!
მისნი მოქმედნი ამაღლდენ სოფლისგან განაკიდებით,
და გაცუდდეს ეშმა მოყვსითა ანგელოზთ მონაზიდებით!

59. ვნატრი გლახაკთა სულითა, მემგლოვარესა გულითა,
მშვიდსა, მშიერსა, მწყურვალსა სიმართლის განაგულითა,
მოწყალეს წმინდას გულითა, მშვიდობის მყოფთა სულითა,
და დევნულსა სიმართლისათვის, ყველრებით გულსა წყლულითა.

60. მიკვირს, სოფელს რასთვის დავშვერ, რომ ვიცოდი მისი ზნენი?
ვაგემოვნე გული ჩემი, სულს არ ახლდა კეთილთ მნენი,
კორცი მწადდა უკვდავ მყოფად, ზრქელად უჩნდა მოსასმენი,
და ახლა დამრჩა საკიცხელად სულისათვის გაუმხნენი!

60–ა. მიკვირს, სოფელს რატომ დავშვრი, რომ ვიცოდი ამის ზნენი?
ვაგემოვნე კორცი ცუდი, სულს არ მივეც მისი მნენი,
კორცი მწადდა უკვდავ მყოფად, გამოუჩნდა მისი ზნენი,
და ეს კი დამრჩა საკიცხელად სულისათვის კვლავ უმხნენი!

61. სულს ეტყვის კორცი: „ვერ ნახე მფრინველნი განაჯარები,
ანუ პირუტყვთა სიმრავლე, ხეთა, მდელოთა არები,
ქვედამძრომელთა მიწათა სულ წარმავალნი ნარები,
და რად მიმე ჭირსა უხსნელსა ბოლომდი გაუხარები?!

62. მწადს ხანი დავყო მოკვდავმან, ვარ ამის მონამჭირნენი,
ვიხარებ რასმე წამსველელი, ნივთისა შენამზირნენი,
ბძენო, უკვდავად შექნილო, მეფე ხარ ჩემზე ვინენი,
და რასთვის მიმიშვი საწადსა, შემექენ მოსაწყინენი?!“

63. უთხრა სულმან: „რადგანა ვარ პატრონი და შენი მეფე,
ჩემი ხარო ჭური რამე, სამყოფელი, გასასეფე,
მოვდევ შენსა სანდომელსა, რაცა გწადდეს, გიიეფე,
და ნივთთა შენთა შეერევი, მე გავკდები მტერთ საყეფე“.

63–ა. სულმან უთხრა: „უგუნურო, რადგანა ვარ შენზე მეფე,
შენ ჩემი ხარ ჭური რამე, საყვარელი, გულის სეფე,
ამად მოგდევ ნდომისაგან, არ შემექნა გასაყვლეფე,
(და) შენ შენ ნივთსა შეერევი, მე დავრჩები მტერთ საყეფე“.

64. ძაღლსა ძვალთა მოხვრისაგან კბილსა სისხლი ედინება,
ემლაშება; მეჭველეობს– გაუსრულდა მისი ნება;
ძვალი დარჩა უვნებელი, გაუმრავლდა კბილთა ვნება.
და სოფლისაგან შემსჭვალულთა ასე მიხვდა შენანება!

65. რა მიუტევ ავაზასა, ვერ შეიპყრობს, ითაკილებს,
მოამშვიდებს მეპატრონე, იგ დაიდებს მის(ს)ა კილებს:
„ავად რამე მოგიტივე; შენ გწამობენ ცუდსა ცილებს!“
და ჰგავს ქებისა მოყვარულნი თავისთავის გამაწბილებს!

66. ბღუნძველა ყაჭსა აკეთებს, ვერა რად მოიკმარებსა,
ცუდად ყოფნისა სანაცლოდ დასაქსელავად არებსა.
დავრჩი მისებრივ უსაქმო, მოვშორდი სპათა ჯარებსა,
და ხან იმასა ვიქ, ხან იმას, ვატარებ სოფლის არებსა.

67. სჭირს სოფელსა, რა კარგს მოგცემს, ჭირიც თანვე მოაბეროს,
ავსა კარგსა მოადევნებს, თუ გასინჯავ, დაგაჯეროს;
შემოველი ავზე კარგსა, ღ(მერ)თ(მა)ნ ეგებ ამამღეროს,
და ვა, თუ წუთმან საწუთომან დღენაკლული მოაბეროს!

67-ა. სოფელსა სჭირს, თუ კარგს მოგცემს, ავიც თანვე მოაბეროს,
აგრევ ავსა კარგი მოსდევს, სოფლის ნახვამ დაგაჯეროს;
მაშ, მეც ველი ავზე კარგსა, ვარ მაღლისა შენამზეროს,
და მაგრამ კრულმა ხანის გაელით ყოველი ვინმე მოაბეროს!

68. წყალი შეღმართსა ადგილსა რა შეხვდეს, დაწყნარდებისა,
ნელ-ნელა მოსდევს უკმორე, შედგომით გადიდდებისა,
შეიკრებს ძალსა, ან გახეთქს, ან თავსა გარდვარდებისა;
და ასე კამს კაცმა სიწყნარით, საქმე ქნას გულსადებისა!

68-ა. წყალი რა მაღალს ადგილსა შეხვდების, დაწყნარდებისა,
ნელ-ნელა ვსებას დაიწყებს და ძალით გადიდდებისა,
რა ძალს შეიკრებს, ან გახეთქს, ან თავსა გარდვარდებისა;
და ასე კამს, კაციც დასწყნარდეს, საქმე ქნას გულსადებისა!

ტაეპი

69. თუ შემოუცდი ისრიმსა, სიტკბოსა მომცემელია!

ლექსი

70. რადგანა ხარ ორი სოფლის საშოვარად მონამჭირი,
და ვით იქნება, ორი ნესვი ერთის ხელით დანამჭირი?!

71. სვავი ძვალსა გამოიზომს, ჩაინთქმების ანუ არა,
რა გასინჯა, შეუძლია, აღარარად დაეზარა.
გაისინჯე შენი საქმე, სამეტოა ან საკმარა,
და შესაძლისსა აღმოსწიე, ნუ ეძიებ გარის გარად!

71–ა. სვავი ძვალსა გამოიზომს, ჩაინთქმა ძალუც, ანუ არა,
რა გასინჯავს, შეიძლება, მერმე რადმცა დაიზარა.
აგრეც შენც ქენ შენი საქმე, შეგიძლია, ანუ არა,
(და) რაც შეგეძლოს, მას ეცადე, სხვას ნუ ეძებ გარის–გარა!

72. ნახე, ფუტკარი ზამთრისთვის რამთონს შრომასა ნახავსა!
სადა აქვს მისი სამყოფი, მრავალსა შეინახავსა:
ვინ ამ სოფელსა დაშვრების, ზაფხულად გამოსახავსა;
და შეიკრებს უტკივრებასა, მუნ სხვასა რაღად ჩმახავსა!

73. ზამთარი ამად უქია, მიწას მიეცეს წყალია,
ზაფხულის სიცხე დაადგეს, ამწვანდეს შესაწყალია,
მლაშეს ქვიშასა არა აქვს სანაყოფონი ძალია;
და მას მიებაძე, არ იქმნა ის უნაყოფო მშრალია!

74. მიწისგან გამომავლი მიწადვე მიმქცეველია,
ვერას ვერ იტყვის უარსა, სატკბოა, დასაწველია,
რაცა ვისგანვე გამოვა, მისდავე შემთხვეველია,
და ნუვის აბრალებ, შენვე ხარ თავისა გამრეველია!

75. მოწყალება კალატოზ(ს) გავს, თავის საქმეს მუშაობდეს,
აგურს დასდებს კელისაგან, სხვისაგანვე ევსებოდეს;
რაც დახარჯო სიუხვითა, კვლავ უფროსი მოგხვდებოდეს,
და რადღა ზოგავ, სხვისა შენთვის ცეცხლი აღარ გეგზებოდეს!

76. ძაფსა სჭირს, რაშიც ჩააგდებ, მის ფერს დაიჭერს ახავი,
ილეკრო მისთვის მითა სჯობს, არის ამისი მსახავი;
ფერისგან ფერი იცვალოს, არავინ არი მნახავი.
და სასიკეთონი სისრულე პირია მართლის მზრახავი!

77. ნახე, ნარინჯის ფოთოლი, თუ ფერით როგორ მწვანობსა!
სიცხეში მიგავს, სიცივე სუნ–ფერსა გაუვანობსა;
აგრეც ერმა გამოუცდელი სოფლად ამასვე ჰგვანობსა,
და რა დაიცდება, ფერად და სურნელად შესაგვანობსა.

78. რაცა ვინ ქნა ამ სოფელსა, მასვე მიხვდა მისი წილი!
79. ამაზე ზრუნავს მბრუნავი, სხვა რა აქვს რამცა გებული,

და შექმნასცა ორი მოყვასი გაყრილი, განთვისებული!

80. რაცა რამე ცარიელი ადვილია ასაღებლად,
მძიმე რამე გაჭირდება აწევითა გასაღებლად,
დაიმძიმე თავი შენი სიბრძნის ფერის გასაღებლად,
და საალქატო გაგიხადოს მტრობის კლიტემ გასაღებლად!

81. მერცხალი სჯობს იადონსა, ის უფროა ნაქებარი,
შინ გვიზის და დაგვჭიკჭიკობს, იგ ძვირად რამ სახლებარი!
კმოვანების უსულითა, ვინ თქვა, რითმე ნაკლებ არი?!
და უსმენი და ბევრის მთქმელი, შედარებით დამლებ არი!

82. მოინდომო, ოქრო იყო, ურიოშო, ფეროვანი,
გამრავლებით გარდაადნევ, წიდა ნახო დანაწვანი;
მას კაცი სჯობს რამდონ-რიგად , რამთონი აქვს შესაგვანი,
და არ გადადნეს მრავალ-რიგად, არ იქნება კაცთა მგვანი!

82-ა. თუცა გინდა, ოქრო იყოს უყალბო და ფეროვანი,
ბევრჯერ უნდა გარდაადნო, ხენჯსა მისცე ცეცხლით წვანი;
ნახე, კაცი რამთონით სჯობს , რა მეტი აქვს შესაგვანი,
(და) თუცა ბევრჯერ არ გადადნა, არ იქნების მინდობანი!

83. ვაშლსა ხედავ, უნდო ხილსა, რაგვარი აქვს შვენებანი!
თვალს ალხინებს, საყნოსელსა, პირის არის სანებანი.
თვითონ კაცსა გონიერსა გჭირდეს რითმე ნაკლებანი,
და ავი არის გასაგონად, სამწუხარო საენებანი!

83-ა. ნახე ვაშლი, უნდო ხილი, რა კარგი აქვს შვენებანი!
გაახარებს თვალსა, ცხვირსა, მისცეს პირსა მან ნებანი.
შენ კაცი ხარ გონიერი, გჭირდეს მაშიგ რამ კლებანი,
და ავი არის უსაცილოდ, გქონდეს რომე ეს ვნებანი!

84. მიეგვანენით ეკალსა ყრმა ახალ-ნორჩი რგულებსა,
ბერი ბანბასა გაჰქონდეს, გამოითბობდნენ გულებსა,
ნუ სატაცურსა, გველსა გავს, იჩემებს მის უსულებსა,
და ვერც ხუთოს მოგცემს, ვერც შხამსა სარგოსა, დასაწყლულებსა.

85. ნუ ჰბაძავ კაცსა უღ(მრ)თოსა, განადიდარსა მთა ვითა!
უმეცრებისა სისრულეს გონებს ყოვლისა დავითა,
მიუშვებს ღ(მერ)თი, გასინჯოს სიკეთით, განათ ავითა,
და გაუცუდდების ბოლოჟამ ნაქნარი დასანთქმავითა.

მ ე ს ა მ ე რ ე დ ა ქ ც ი ა

1. თქმულა ლექსი გვარიანი, სასწავლოთი გამახარად,
გსასინჯი ორ სამობით, სიბრძნეზედა მოუხარად,
რუსთველს სამად გაუყვია საამბობად, მოსაკმარდ,
და ჩადებული დამოკლებით მოსალხენი, სამწუხარად.

2. სატრფიალოო შემოგტირ, მოლბობით შემიწყალო და,
განავარდნილი მინდორად სოფელსა გავეძალო და,
მოუკმარია სიმდიდრე, რადგან რომ მომეკრძალო და,
და ნებასა აღვასრულებდე, მიბძანოს მისმან სძალო და!

3. სატრფიალოსა მეტრფემან შემოუკრიბე ქებანი,
უგბილად ენა მძრახველი, გაუწყობარად ებანი;
დამივსოს ამაღლებული, მოტყინარენი გზებანი,
და საწადსა შემომახვედროს, გამკდია მოსაკლებანი!

4. სატრფიალოსა ვაქებდე, მსურიან ხილვა გულითა,
ვარდსა მისითა სურნელი, ფშვიან შროშანი სულითა,
მაშვენებელიკეკლუცთა მიჯნურთა დამაწყლულითა,
და მაფერებელი ღაჟღაჟად თვალითა დაურულითა.

5. სძალისა კეკლუცობასა, შემკულსა უმანკობითა,
უნდაცა მისი ასონი მისებრი შესამკობითა,
გამოათხოს უბიწოდ ვარდულად საკოკობითა,
და მიუცემელი დარჩება მოგემე არაკობითა.

6. სძალს უვის სათუთობითა, სატურფალია პირითა,
ტრფიალობითა შევქნილვარ ლახვრითა განაგმირითა,
გამოუცდელად არ მაძლევს ოქროსა დანამჭირითა,
და კაცობის მდომსა მწადია, სოფელი დავთმო ძირითა!

7. სატურფალსა სასძლოსთანა მომნდომია, ვიხარებდე;
საქორწინე არ მაცვია, შემავალი ვიხარებდე.
უმჯობეა, დავგლახაკდე, საშვებელსა ვიხარებდე,
და შემოვიქცე საღირსალი, მიდამოსა ვიხარებდე!

8. უმჯობეა, დაეძებდეს სამიჯნუროს გასაკარგსა,
შეუდრეკი ჭირისათვის, დაუხედი სხვისა ნარგსა,
მისთვის ცეცხლი გაებამბოს მეფობისა შენადარგსა,
და დაითმინოს საშვებელი, დაეგვანოს განაბარგსა!

9. სძალსა უნდა მიახლება, მიმიწოდებს დანახშირად,
განამკდარი ვერიდები საქმისაგან სადუხჭირად;
მწიკვლისაგან შესვარული, უწმინდური, გასაჭირად.
და ლამპრის ზეთი უნათლოა, დარჩომილი განაწირად.

10. დამინახა, სოფლისაგან მორიდებით მეკრძალების,
მიბრძანებდა: „ეგეები არის რამე დანაკლების,
წესიერსა გა-მოვ-ეძებ, საღირსალსა მოახლების,
და პირუტყვისა მიბაძვასა ჩემგან ვითა გაეძლების?!“

11. უპოვარია მეფენი, შესაძლებელად მქნელია,
შროშანთა ფეროვნებითა შემოემოსოს ვრცელია?
სოლომონსაცა შეუძნდა ამბავი დანაძველია;
და იგი თივანი მიმაჩანს, თორნესა ჩასაგზნელია!

12. ოქროვანობა, ვერცხლობა, სპეკალი, მარგალიტები,
– მიწანი დაფერებულნი, გასამიწებლად იდები,
სადიდებელი სოფლისა გასაცვეთელად, მიხვდები;
და მეტრფიალეთა თქვენობით განაძეთ განაკიდები!

13. მშვენიერობით ყაყაჩო, სატურფო ფერადობითა,
სუნისა გამოუცემი უქებარია მკობითა;
ჩამფალი სურნელებითა, უმჯობე ასაკობითა;
და უფროსად აპატივებენ საყნოსლის იმედობითა;

14. ანწლისა შემახებელსა, ავ-სუნად გაუმწარებსა,
შაშპრისა დაახლოება საყნოსელს გაუხარებსა;
სოლინჯიანად ცნობილსა ჭამად ვინ დაიზარებსა?
და ორისავ მიმაბაძაჲი ერიდე ერთის არებსა!

15. კეკლუცობისა ფუფუნი სურნელობისა ფერია,
გონიერთაგან ესენი უკამსად შესამზერია.
სამყოფელები მატლებსა საკარგოდ დაუჭერია?
და მომღებელები მიაგავს, — ბრძენებსა დაუწერია!

16. ვარდი ვარ, გამომჩენია ეკლოვანისა ხშირობა,
ბულბულსა განახელებსა შეუკამს განაჭირობა,
შემოითმინოს სოფელი, სოფლისა განაპირობა,
და მაშინღა მიეხვედრების უკვდავი დაუძვირობა.

17. დაუზარლობა ებრძანა: საჩემოდ გინდა რებანი!
დაცემულებთა ანაზდად მივეცი აღდგინებანი,
უხვებით მიმიცემია, ვისცა ქონია კლებანი,
და გულითა შემომემშჭვალე, ინებე ჩემი ნებანი!“

18. მეტრფე სატრფოს მაძებარი პირველითგან მონათელსა,
სიტკბოებამ დააბნელოს, მიებაძე მონათელსა;
შეყრისათჳს დანაცადი თავსა პოებს მონათელსა,
და დაუცდელად მოარული ემსგავსების მონათელსა.

19. მონასმენარსა მომეცა საგონებლისა ამება,
მაშინვე კარსა მივმართე, დავიდასტურე წამება;
დიდად იამა, რა მნახა ჩემი ამგვარი წამება;
და მიბრძანა: „მითხარ ნაქნარი ხანისა დაუხანება!“

20. მე მოვახსენე სრულობით გულისა დანადებანი,
ურიდად,შეუშინებლად ჩემი მივართჳი ნებანი;
სიკვდილისაგან დამიკსნა, მომეცა იმედებანი,
და შემოგვედრიჳარ, მაჩვენოს სატრფოსა ბრწყინვალებანი!

21. ვითა შეგამკო საფერად, მჭვრეტელთა მალხინებელო,
ბრძენო, მდაბალო, სიმშვიდით სიკეთეების მდებელო,

საძულელისა მოძულევ, თვალისა მიუგებელო,
და სურვილით შესაყვარელო, ყოველთა მიუხლებელო.

22. ვარდს გადარო სურნელობით შენითავე განავარდობს,
დაურულსა ნარგისებსა ეგე თვალი განაზარდობს,
მზისა ნათლის მიმცემელო, მეფეებსა შენით ბედობს,
და ნეტარძივე შენსა მსჭვრეტსა, ვაგლახ, – ვინცა დაიყბედობს!

23. ბულბულს ვარდი დაეწამა, შენ გაქებენ ენა მრავლად,
მფრინველები ჭიკჭიკობენ დღე და ღამე დაუმავლად,
წყალ-კმელეთთა მოძრავები იმყოფების დასამავლად,
და კაცნი კრთების სხივისაგან, გერიდების დასაავლად.

24. მწვანე ჟამობით მწვანდების, ამითი შემოგაქოსა,
ფურცელი ხესა მოესხმის, ესევე გამოსახოსა,
ღამისა შებნელებამა ნათელად გამოგსახოსა,
და საკვირველობით უცხომან შენავე გამოგძრახოსა.

25. კეკლუცია სატრფიალო უკმაზავი მოიბაღით,
სავარდესა გაფურჩქვნილსა უმჯობეა მოიბაღით,
სიყვარული გულისაგან საკურველად მოიბაღით,
და სიძულილი საჩემონი მოიგლიჯე, მოიბაღით!

26. მომეწონა სამდომობა ქებისათვის დაღალულად,
თვალნი სხივმა დამიწუხა, დამრჩომია დაღა-ლულად,
განამკდარსა მნახავები მეწამების დაღალულად,
და არ მიწამლებ, გული ჩემი გამიკდების დაღალულად.

27. მოვიუბნე შესასხმელი შეუფერი უკადრისად,
შენითავე მიიღებენ, საქებია ვინცა რისად,
უძლურებით შეუძლებნი უმაღლისა გამოთქმისად,
და უდარია სამკობარი, გაცუდდების შრომა მისად!

28. მოტრფიალეთა საწადი მიუცემია კარითა,
ნდომისა გონიერება სიყვარულითა კარითა,
სულისა მიახლებითა ეშხი სურვილსა კარითა,
და მოგეცემიან უჭიროდ შესვლა სამოთხის კარითა.

29. შენთვის მოვკვდე წამებული, რა სახელში ჩამეგდება?!
შემომეგზნას მოტყინარე, რად მეწყინოს შემოდება?!
მრავალფერის სასარჯლოთი გულებიცა დამედება,
და თუ ვიხვედრე სინათლისა მოღებითა გარდმოდება!

30. მიეცემის საშვებელი, ოდეს ვისმე შეეყრების,
ისივ უნდა, სხვათ სპეკალი განაცუდად შეეყრების,
მიუხდომთა სამუდამოდ ცრემლებიცა შეეყრების,
და მოურჩომსა სოფლისაგან ლახვარიმცა შეეყრების!

31. უღირსალი ვარ საფერად შენისა ტრფიალებისა,
დასამონებლად მიყოლე მდიდრობაზედა კლებისა,
განაწყობილი მომიტკბი; მემწე, რაც მომეკლებისა,
და სატანჯველთაგან დამიხსენ ულირსი მიახლებისა!

32. სურვილისა შენაზღვებსა შემომიდგა მასე, მასე,
ესე მიყავ, შემომზღუდე გარეშემო მასე, მასე,
საბრკეები შემოქმნული გავიხეთქო მასე, მასე,
და შაქრისაგან უტკბილესი შენი ეშყი მასე, მასე.

33. სატრფიალოს ტრფიალება გონებასა დამაჯერა,
მემტერენი დამიშლიან, საეჭოა, დამაჯერა,
მეუბნების: ყმაწვილი ხარ, არ იციო დამა ჯერა;
და საყვარლისა სიყვარულმან იმასავე დამაჯერა.

34. განათლებისთვის სანთელი ცალფეხი გამოტირისა,
ცეცხლის დაწვითა მიმღები, საწადლის განაპირისა,
დავიწვებოდე მდგომელი, გამბანი ცრემლთა პირისა,
და დამინახოს და შემიტკბოს ტრფიალმან გამძლე ჭირისა!

35. დასაწველები მარიდე, მიყავ ამისი ვსებანი,
შენსა წინარე მამყოფე, გამომისრულდეს ნებანი,
გაქებდე შენა შვებარი, მომეცეს გულის დებანი,
და ბრწყინვალებითა ვბრწყინევდე, მტერთაგან შურ უგებანი.

36. დასადარებლად მა(გ) ქვებსა ნუ გააწითლებ, იამან,
ხანი გამოვა, მანამდის შემოუდაროს ია მან,
დანახუჭუჭად ზილფებსა ურცხვად შეხედოს ი ამან?
და მისად შეყრამდის დამრჩენმა გასახარებლად იამან.

37. გულს – მებაღედ, მიდამოსა – საბაღესა დანაძველად,
გაყინვასა გასახმობლად, დასიცხვასა დასაწველად,
წყალი მისცეს, მზემ დაუთბო, მებაღეა გასამზმელად;
და ეს ორივე გონებასა დაუშორდა გასაძნელად.

38. გამეცალა უქონობით ქვეყნისაგან მოსაგონი,
რით ვიკმარო მოსაკმარად, დამრჩომოდეს მოსაგონი?
გამიცუდდა ცოდვისაგან საფიქრალი, მოსაგონი,
და ერთობითა მტერსა დარჩა, საჩემონი მოსაგონი.

39. უნახია სოფლისაგან ჩემებრ რისმე წამონარცხით,
ჩემი მათგან დასაკლისი ართუ კაცთა წამონარცხით,
გარდამაგდო საწუთრომან ასეთია წამონარცხით,
და დიდებანი პირველივე აღარა მაქვს წამონარცხით.



40. სანთლისა დასამსგავსებლად ჩემსა საქმესა მოველი,
სამტეროებსა ძალს აძლევს თავისა დამაწვეველი,
წინაშეღა ვარ მცოდველი, ცოდვისა ძალის მძლეველი,
და ვაჲ, თუ დავიწვა, შევიქნა შენგანცა დასაწყეველი!

41. მიბძანებდა: „მონამსვლელი ნუღარასა დაიზარობ,
რაცა გამცნო, მოქმედებდე, გონებასა ნუ სადარობ,
საწვრთნელები შეისმინე, უმეცრებით ნუ იმწარობ,
და მიიხვედრებ საწადელსა, სამწუხაროს დაიწყნარობ.

42. „თუ დაიმარხავ ჩემისა სწავლისა სიტყვა-თქმულებსა,
საყურისებრივ გაიყრი, შემოიმაგრებ გულებსა,
დღეებსა შემოგიმატებს, ზე აღგიფრივებს სულებსა,
და სოფელსა შემოიძინებ, გარდაურჩები წყლულებსა!“

43. ცხოველმან მოქმედებითა ნაცვალი მოივარგოსა,
მოქმედსა ჩვენგან რა ერგოს, იგიცა ვინმე აგოსა?

უყვარდეს მისი სახელი, უქმად არ გამოაგოსა,
და უსულო გვეჯობინება საქმესა დასადაგოსა!

44. მიწაც იხარებს უხამსი, მოუვა დღენი ზმნისანი,
ყვავილობითა მწვანდების, დანათბობარი მზისანი;
გახარებითა იშვებდე დღესასწაულნი ღ(მრ)თისანი,
და ყვავილად ღვაწლოვანება მიართვი სიკეთისანი!

45. ჭია ბოჟისა ნამზადი, შემოიცავსცა გარებსა,
ქარი არ ეცეს, საწყენი მიეცეს გასამწარებსა.
მშობელსა ზედა ესე სჭირს ცხოველზე გასაგარებსა,
და მამა-დედათა პატივსა რაღამცა დაგაზარებსა?!

46. ბრძენი მკეცურად რადა ხარ, მესისხლე, დანამკელია,
ვითა მამალი მემრუშე, სხვადასხვასთანა მვლელია,
თაგვებ დაძვრები, მპარაობ,სადაცა გაუვლელია!
და ცილისა დამწამებელი კაცობაშია ძნელია!

47. ნუ მოინდომებ ირმულად ცოლებსა მოყვასისასა,
მონაგებარსა ჯიკვისებრ, მის რასმე შეწყენისასა!
ახალსაც გამოგიცხადებ საქმესა კაცობისასა:
და სასძლოსა მეტრფიალესა საყურედ გონებისასა!

48. მშობელისაგან ნაშობი გამოვა დასამსგავსებით;
გიმართებს იშვა სულისგან სულითა განასავსებით!
დაიბეჭდენით ბეჭდითა, გამოგიცნობდენ დასებით,
და ქურდისა მოუპარავი შიშითა ზესთა ზესებით!

49. საზიაროსა ზიართა საქმეა განაერთია,
სისხლი და კორცი მოიღე, შეიქენ განაღ(მერ)თია,
სამღდელოს აღიარებდე, სწავლასა შეერთია,
და სხვა უკეთ ხედავს სხვისასა, სარგოა დასაჯერთია!

50. წყლისგან მიეცეს ნაყოფი, სანაყოფონი მთელები,
კურთხევისაგან ზეთისა გამოკდეს დასანელები;
წერო წინმძღოლსა გაიჩენს, საგზოა გასაგძელები;
და მღვდლის კურთხევისა პატივმან გაადვილოს ძნელები!

51. დაეწესა მეჯუფთება, მოუშენდეს გვარი გვარად,
ვიყოლებდეთ მართებულად გასამრავლად, გასავჯარად,
არ პირუტყვებ უქორწინოდ, წესისაგან დასაზარად,
და სამღვდლოსა შენდობითა შევიერთნეთ გასახარად!

52. შვიდნივე გამოგიცხადე საიდუმლოსა რიგები,
მოგეცეს შესადარისი, ვინცა სიბრძნითა იგები!
შვიდსაცა გეტყვი ცოდვასა, შესასწავები მიგები,
და მომაკვდინებსა, მის გამო ლახვარსა გამოიგები.

53. ფარშამანგი ბოლოს გაშლის, გაფუნჩვითა გადიდდების,
მისგან კიდე მეეჭვეობს, ქვეყნად ვინღა იდიდების!
კატის თვალის შენამკრავი მოდრეკითა შეშინდების.
და ამპარტავანთ საქმები დასამსგავსად შეიქების?!

54. ციცინათელა მაღლოის შუქისა გამოკრთომითა
უდარესობით მიაჩანს ტოლების შესაზომითა;
დაუხვდებიან ფრინველნი, შეუსწორებსა ომითა.
და სამსგავსებელი მოგვივა ამპარტავნობის ნდომითა!

55. ძაღლური არაწმინდება, ნაყროვანება ღორისა,
გასინჯეთ მათი საქმენი, ვინამცა მოიკმარისა!
მატლისა მცონარებანი სამწვირეშიგან არისა,
და უკმარი მრისხანებანი ყაპუზინასა გვარის ა!

56. მეშურნე-ბუზი, სადარი ყინვისგან მონაკლებითა,
შიმშილისაგან მომყმარი, მივარდნილ-მირულებითა,
სახლი გაუთბო, შემზადო შაქრისა მიახლებითა, –
და მაშინ უფროსსა დაგასახამს ისარსა დაწყლულებითა.

57. ანთრისთვის კაკალს გაკვრეტენ, კელი შეეყოს ზესადა,
ცოტასი დაუჯერები მჯიღვსა აივსებს ძესადა,
ველარ დააძრობს, გაკდების მტრისაგან დასაკვნესადა;
და ანგარსა ბევრჯერ მოუვა ესეთი დანაწესადა!

58. ცხრანიენე ნეტარებანი, ამაღლებული დიდებით,
სასძლოს ხილვისა მღომელმან იწადოს მონაზიდებით!
შესრულებულნი აღივსნენ სოფლისა განაკიდებით,
და გაბილწდენ საეშმაკონი ანგელოზთ მონაზიდებით!

59. ვნატრი გლახაკსა სულითა, მგლოვარე(ე)ბსა გულითა,
მშიერსა, მშვიდსა, მწყურვალსა სიმართლის განაგულითა,
მოწყალეს, წმინდას გონებით, მშვიდობის მყოფსა სულითა,
და დეევნულსა სიმართლისათვის, ყვედრებით დასაწყლულითა.

60. რატომ დავშეერ საწუთოსა, ვიცოდიმცა მისი ზნენი?
გონებანი ვაგემოვნენ, სული შეეკენ გაუმნენი,
მოკვდავების მიუხედსა ზრქელად მიჩნდა მოსასმენი,
და დაერჩომილვარ საკიცხელად სულისათვის გაუმხნენი!

61. კორცს ეტყვის სული: „ვერ ნახე მფრინველთა დასაჯარები,
პირუტყვებისა სიმრავლე, ხე-მდელოების არები,
ქვეწარმავალნი დაბალნი, გარდამავალი ნარები,
და რად მიმეც გასაჭირებსა ბოლომდი გაუხარები?!

62. სიცოცხლე მინდა მოკვდავსა, ყველასი დამჭირნენია,
ამად ვიხარებ წამსლველი, ნივთებთანა მაქვს ზნენია,
შენ გონიერად შექმნულო, ჩემიცავე ხარ მნენია,
და რასთვის მიმიშვი საწადსა, შეიქენ დასანთქმენია?!“

63. სულმან უთხრა: „რადგანა ვარ შენსა ზედა განამეფე,
შენღა – ჭური საყვარელი, გულისათვის გასასეფე,
ამად მოგდევ სანებარსა, სანდომელი გიიეფე,
და შენ ნივთებსა გაერევი, დაგირჩები დასაყეფე“.

64. ძვლისა გამოხვრით ძაღლებსა სისხლიმცა ედინებისა,
სიმლაშის გემოვნებითა საწადი ეგონებისა;
ძვალი კმელადვე დარჩება, კბილები ეტკივნებისა.
და სოფელსა შენამსჭვალავთა ეგეთი ენანებისა!

65. ავაზასა მიუტევენ, ვერ შეიპყრობს, ითაკილებს,
მეპატრონე მოამშვიდებს, თვით დაიდებს გასაკილებს:
„ავად რამე მოგიტივე; დაგადებენ ცუდსა ცილებს!“
და შექებისა მოყვარენი თავსა თვისსა გაიწბილებს!

66. ბლუნძველი ყაჭსა აკეთებს, ურგებსა მოუკმარებსა,
ცუდაობისთვის ქსელებსა დაახვევს, შემოარებსა.
დანარჩომილი უსაქმოდ მოვშორდი გასაჯარებსა, ,
და საცუდმადოსა საქმეთა გამოვატარებ არებსა.

67. მოგივიდეს სვიანობა, უსვეობაც მოაბეროს,
ავსა კარგი მოედევნოს, გამოსინჯე, დაგაჯეროს;
შემოველი სიავეზე, სიკეთემან ამამღეროს,
და საწუთომან უხანომან ვაი, თუცა მომაბეროს!

68. წყაროსა აღნამართები დაბზდება, დაწყნარდებისა,
ნელ-ნელა მიდევნებითა უზომოდ გადიდდებისა,
ძალ-შეკრებული გარდახეთქს, ანუ ზე გარდვარდებისა;
და აგრევე დაწყნარებითა საქმეა გულდადებისა!

69. ისრიმს ტკბილად გარდააქცევს დრომდი საქმის შემომცდელი!

70. საწუთროსა მინდობილსა ის დაეკშას გასაღებლად, —
და ერთის კელით ორი ნესვი საძნელოა ასაღებლად!

71. ძვალსა სვავი გამოიზომს, ჩაინთქმების ანუ არა,
შეძლებისა დანამჯერმა რაღათაღა დაიზარა!
გამოსინჯე საქმეები, დაგემატა, დაგეკმარა,
და საკმარისსა შეეცადე, სხვა გააგდე გასაგარად!

72. ზამთარისათვის ფუტკარი დაშრომაებსა ნახავსა!
თავისა სამყოფელშია მრავალსა შეინახავსა:
დამტევებელი სოფლისა ზაფხულად გამოსახავსა;
და მუნ სიტკბოება შეიკრებს სულისა დაუწმახავსა!

73. ზამთარი გაკეთებულა, მიწას მიეცეს წყალია,
გაზაფხულისა სიცხითა ამწვანდეს იგ საწყალია,

მლაშეს ქვიშასა არა აქვს სანაყოფონი ძალია;
და მას მიებაძე, გააგდე უნაყოფობით მშრალია!

74. მიწიდამ გამომავლი მიწადვე მიმქცეველია,
უქმია საუბარენი, სატკბილო-დასამწველია,
გამომავალი შენითა შენივე შემთხვეველია,
და ნუვის აბრალებ, შენა ხარ თავისა გამრეველია!

75. გავს სიუხვე კალატოზსა, საქმეებსა მუშაობდეს,
აგურს დასდებს კელისაგან, სხვითავეთი ევსებოდეს;
რასაც გასცემ გასაცემსა, უფროსივე მოგხვდებოდეს,
და უზაროა სხვისა შენთვის, საგზოსაკენ გეგზებოდეს!

76. ძაფი რაშიაც ჩააგდო, დაიფერების ახავი,
ილეკრო უმჯობესია ამისი გამომსახავი:
ფერითა ფერი იცვალოს, არავინ არის მნახავი.
და კაცისა განასრულობა პირია მართლის მზრახავი!

77. ნარინჯოვანი სიცხეში ფერითა მოიმწვანებსა!
გაციებული ჰაერი ფერს, სულსა გაუვანებსა;
მოყმენი გამოუცდელნი სახესა მიაგვანებსა,
და დანაცადარსა სურნელსა ფერობას მიუძღვანებსა,

78. ვინცა რა ქნა ამ სოფელსა, მიიხვედრა მისი წილი!

79. მბრუნავისა მიწყივ ბრუნვა მისთვის წესად დაემყარნეს,
და საყვარელნი მოყვარენი ერთმანერთსა გაეყარნეს!

80. ცარიელი რაცა რამე ადვილია ასაღებად,
გაჭირდების სამძიმარი ასაწეველ-გასაღებად,
შეიმძიმე სატვინენი ჭკუის ფერის გასაღებად,
და შეგექნების საალქატე საადვილოდ გასაღებად!

81. მერცხალი სჯობს ბულბულებსა, იგი არი ნაქებია,
ჭიკჭიკობენ შინაურად, ისი ძვირი სახლებია!
უსულისა კმოვანებით არაფერათ ნაკლებია?!
და ნამეტანი საუბრითა გა(ა)მრავლო ეკლებია!

82. გინდა იყო ურიოშო ოქრო, წმინდა, ფეროვანი,
გარდაიდნევ სიმრავლითა, წიდა გექნას დასაწვანი;
უმჯობე აქვს კაცობასა რამთენი რამ შესაგვანი,
და გარდუდნობლად საძნელოა სიკეთისა დასაგვანი!

83. ვაშლისა ხილსა უნდოსა უბევრობს შვენებანია!
თვალსა და ცხვირსა ახარებს პირისა სანებანია.
გონება ვრცელსა მოგქონდეს მაზედა მოკლებანია,
და ძნელია მოყვასისათვის საქნელად სავნებანია!

83-ა. უნდო ხილსა ვაშლისასა ებევრების შვენებანი!
თვალ-ცხვირებსა გაახარებს პირისაგან სანებანი.
კაცსა გჭირდეს გონიერსა ამა გზითა მოკლებანი,
და საძნელოა მოყვასისა დასაკლისი სავნებანი!

84. მიეგვანენით ეკალსა მოყმენი დანერგულებსა,
ბერი ბანბასა გაქონდეს, გამოითბობდეს გულებსა,
გველს სატაცური მიაგავს, იჩემებს მის უსულებსა,
და ხუთოს და შხამსა ვერ მოგცემს შესარგო-დასაწყლულებსა.

85. ნუ ებაძები უღ(მრ)თოსა, განამდიდარსა მთა ვითა!
უმეცრების(ა) სისრულეს იგონებს დასადავითა,
მიუშვებს, გამოისინჯოს სიკეთით ან სიავითა,
და მოუქცეველსა სამყოფი გამოევსების სვავითა.

86. დაჯერდი მოსაცემელსა ზეგარდმო მონიჭებითა,
დაუთმე მოსავალები რაზომცა გაირჯებითა!
გამოიხილოს უფალმან საქმენი თვალუხვებითა,
და ორგანეე დაგაგვირგვინოს საქმისა სიუხვებითა!

87. თაგურად მსუნაგობითა დაძვრები კარის კარადო?
თაყვანისცემით შესტირი სულთქმითა, გასამწარადო,
ძაღლებრ ლაქუცობ, მელურად აჭყუებ შეუგვარადო,
და სხვა არის გამომცემელი, დარჩები გარის-გარადო!

88. მუცხოა, ამის გამოით ვინმემცა რად იჭირვისა,
მონდომებითა მისითა მჭიშნობით ვით იჭირვისა!
ზე აამაღლა უკამსი, საკამსი სულ იჭირვისა,
და საუკუნოსა ცოდვისა დახვანჯვით დაიჭირვისა.

89. მოკვდავებისა საწადი დაურჩეს აქა რამეო,
სახელისაგან უმჯობე რაღამცა შეიამეო?
მოსაგონია სამუდმოდ დასაჟამითა ჟამეო.
და ლექსობაც გამოგვიჩდება ამისი შესაწამეო.

90. ტოლებშია გამოჩენით არაოდს დამედარა,
რას მარგებდა სამტეროსა, კიდეც სამე დამედარა!
დამაკლესცა, რად დამაკლეს, საქმეშია დამედა რა?
და საბოლოოთ ერთპირობით გამოვსინჯე, დამედარა.

91. დავინახე ღელვის მთები მომავალი დასაცემად,
ათეობით წამეულად სულ ველოდი გასაცემად,
ანასდეულ გარდავიდის, გაგვიახლდის ბუკსა ცემად,
და რაღას ვწუხვარ ჭირისათვის, ჟამი არის ასე მცემად!

92. ჩემგან ნაქნარი საქმენი პეპელიკისას მიგავსა,
სანთელი გაუნათლდება, მწუხარებასა იგავსა,
იშვებს, იხარებს, განსცხრების, დაუხედავი იგავსა,
და ბოლოდ დაიწვის იმისგან, ჩამოვარდება იგ ავსა.

93. აბრამის ბაძი იეფთეს გაუკდა დასაგმობელი,
და ასეა ადგილს უქნელი, სასაქმო, საამბობელი!

94. ვერა სჯობს თაფლის სიტკბილე ფუტკრისა დაკბინებასა!

95. ტურფაო, კეკლუცობითა, მოსანდომელო არევ და,
შენამხედველსა მიჯნურსა საკვირველობით არევდა,
ნარნარი მიხედვ-მოხედვა სატრფიალოთა არევდა,
და კიპაროზისა საგვანსა მიდამოებით არევდა.

96. ღაწვი ჰქონდა ვარდის ფურცლად, პირი — შროშნად, ტუჩი — ლალად,
თვალნი — მელნად, წარბი — სათად, თმა —სუნბულად, კბილი — სრალად,

ყელი — ვეცხლად, ძუძუ-მკერდი ბროლსა გვანდა განათალად,
და ტანი — ალვად, კელ-მკლავები მოგრძე მშვილდებრ მოსაკრძალად.

97. მეცხვარეებთან დავდგები, ვიელი სამთოსა, ბარებსა,
ნარგისსა თვალად უყურებ, თმისათვის— იის არებსა,
განდობისათვის — საროსა, ღაწვს — ვარდთა მაზიარებსა,
და ჭირსა მოვრჩები უმზერი პირსა ზამბახთა დარებსა.

98. შემოდგომაო, წაართმევ ფერობა-სურნელებასა,
ვითა ზამთარი გააკმობ შვენიერების ხლებასა,
დაადუხჭირებ ვარდსა და მიუღებ ფერის კლებასა,
და ვეფხისებრ მოკისკასესა საბანში მისცემ ძლებასა.

99. სიმარტვილისა ყვავილი სატურფო, მოსაკმარია,
თვალი სიმარჯვით მხედველი, ყური მოსმენით მხარია,
სხვა-სხვა-რიგისა ვარჯიში საშვები, გასახარია,
და არც მკვდარი, არცა ცოცხალი, სიბერე გასამწარია!

100. მოწადება, ძალი, სიბრძნე, მჭედლობისა შესადარად,
მზე — ალმასი, მთვარე — ლალი, იაგუნდი — ყარსკვლავთ ჯარად,
ცა — ოქროსა მინაქარად, ქვეყანაა მრავალ-გვარად;
და ამით გიცნობთ, შემოგაქებთ, გამისრულე გასახარად!

101. ქალწულებისა ვარდობით სიწმიდის ბაღსა რგულია,
ფერად გაქვს უმანკოება, უბიწოება სულია,
რტოდ გამოიღე მოკვდავთა უკვდავებანი სრულია,
და ფოთლად გასხია წყალობა, გამამიკურნე წყლულია!

102. უფოთლო ხეო, მოისხი ფოთლად ქრისტესა წამება,
სიცხითა დაწყლულებულთა ჩრდილითა მიე ამება!
მკურნალად ხილად — სამსჭვალი, მემტერეები დამება;
და დასთრგუნე პირველისებრივ, შესარწმუნებო სამება!

103. თაფლი და მკალი საზრდელად, სა უდაბნონი — სახებად ,
შესამოსელად — ადიმი, სანახად მოსაჩმახებად,
ქადაგებისა მსმენელი წყალითა შექმენ ვახებად;
და მებძოლი გარდამიქციე სიკვდილის დასასახებად!

103-ა. საუდაბნონი სახლია, საზრდელი მკალი, თაფლია,
სამოსი, მოსარტყამები, ტყავები მოსასწრაფლია,
შექცევა, ქადაგებანი, მსმენელნი წყალად დაფლია;
და სულისთვის გარდამიქციე მებძოლნი დასაღაფლია!

104. გამოზრახვა გააბადე, კლდეზედ დადეგ დუძრავად,
ზღვას ესროდი სათევზოთა, დიპყრობდი არა ავად!
აღეშენა ეკლესია იმაზედა მტერთ სადაავად;
და მწყემსობითა გამომიკსენ, არ შევიქნა დასაწვავად!

105. ნათელისა დანახვითა გონებანი გაუკურდა,
ბაებნისა სიმკურვალით მისდა უფრო შემოსწყურდა,
ტრფიალების შავარდენმა დაიპყრა და მოესურდა,
და სურვილითა ნათელს-იღო, ანანიას მიაშურდა.

106. გერიტები ქალწულობისა ეცა გულისა ბადესა,
სიწმიდის ტრედმა გარემო, მახენი არ იცადესა,
სიკეთის ორბმა შემოვლო ქვეყანა, ცად იცადესა;
და პავლე ჭირისა მომთმენო, მტერთა არ დამაცადესა.

107. სასიკვდინეთა მოწყლულსა მიმცირა სული მდებარსა,
შემახვევლისა უყოლი სალბუნის მდები მნებარსა,
უფროს სწადიან, მამსგავსონ, მახვილებისა მგებარსა,
და მიშველე, გარდამარჩინო შენის მეუფის მგებარსა!

108. მეთევზობიდან მიგზიდა უდაბნოს გვრიტმან მხლებელად,
კრავსა შეუღეგ, იზრდების, მე ვარო მონამკლებელად,
მზეებრ აღმოკედ მათბობად, ჩდილოსა მანათებელად,
და შემომეწიე, ანდრია, არ ვიქმნა საბნელებელად!

109. მოგიწოდა, დაუტევე ნაოვანი ბადის მსმელად,
მამისა წილ მამა პოვე სულ-კორცისა გამომზდელად,
მისთვის იყავ მოჭირვებით წამებისა შენამცდელად;
და მიოხე რა, მიძაბუნა მტერებმა, ვარ დაუცდელად.

110. ქორწინება დაუტევე, მკერდს მიეყრდენ, საყვარელო,
ხეო ტკბილო, უნაყოფოვ, ნაყოფისა გამომქნელო,
ყვავილად გაქვს სახარება, სულებისა დამტკბობელო.
და მომეკმარე, იოვანე, საწადელად სამბობელო!

111. მამის კითხვით გამოისხი შენ ყვავილი სუნთა მყნოსი,
მის სუნისგან შენ შეექენ მკეცებრ გულთა ყრმათ უმკნესი,
პირ-მეტყველად გარდამცელელი უსწავლის და მიუმგნოსი;
და ჩემს სულს მიეც, ჰე, ფილიპე, სმენა ტკბილთა სასმინოსი!

112. გული გექნა ანდამატის უმაგრე და გასადარი,
უკვდავ ძალმა შენ შეგმოსა იგი სიმკნე შეუდარი,
ბნელის ნისლით დაფარულთა გაუნათლე მოუდარი,
და შენ, ბართლომე, მიშველე რა, ვარ ამისი მემუდარი!

113. ურწმუნოებით განჰფინე სარწმუნოება სრულია,
ინდოთა სიცხით დამწვართა შენ მოუგრილე გულია!
უკვდავის სახლის შეიქენ ხურობის განმაგულია,
და გვედრივარ, თომა, მიშველე, რომ არ წამიწყდეს სულია-!

114. უცხო რამ ზვერი აღიღე, აროდეს შემწიკვლდებისა,
იგი ნათელი უსაზღერო რაღათღა მოგაკლდებისა?
განუყავ სულსა მრავალსა, მსმენელი განახლდებისა;
და მათევ, მეც წილი დამიდევ, რომ სული მინათლდებისა!

115. წმიდავ იაკობ, ალფესი, შენ ჰპოე გულის ნებანი,
ვისთვის გსუროდა სიკვდილი, ჭირი, ტანჯვა და ვნებანი,
თავს იდევ, აწ გაქვს მათებრივ პატივის დაუკლებანი,
და მწრაფლად მოიღებ, რასაც სთხოვ, მეც მომეც ცეცხლის ვსებანი!

116. ლებეოზ, მერმე გეწოდა თადეოზ მოციქულია,
განხრწნადსა პირი აქციე, უხრწნელსა მიეც გულია,
ისარი გესო ასეთი, ვერა სცან ისრის წყლულია,
და აღმოფხარ ჩემში, რაც იყოს ცოდვანი დანერგულია!

117. ორის ხითა ზეცად აღკედ, წმიდავ სიმონ კანანელო,
ჯვარმა გიკსნა, ჯვარმა მოგწყლა, შენ ნათელო დაუნელო,

გაანათლე ბევრი თემი, მათთვის იქმენ, გამომკსნელო;
და მომარჩინე, არა ვნახო სატანჯველი, იქ საბნელო!

118. სიმყრალისთვის მოკვეთილზე შენ აღმოხველ გია სხმული,
მის გიისა სურნელებით გაუმთელე კაცთა წყლული,
ქრისტეს იქმენ მეტრაპეზე, აღასრულე მისი თქმული.
და მიშველე რა, არ შევიქნა მტერის მახით მე დანთქმული!

119. გემოვანთა სასმელთა წილ ცრემლის იყავ გამომხდელი,
მარხვა უფრო გემოდ გაჩნდა, არა შჯამე ცხოვლად მზდელი,
სამურკენელო გზად შეგექნა, რისაც იყავ მიწყივ მცდელი.
და ძმას უფლისას გევედრები, ცოდვათ ჩემთა მექმნა მკდელი!

120. მას მიჯნურად რად ჩააგდებ, ვის არ ჰქონდეს ესე გულად:
მოყვასისათვის თავი თვისი არ დაედვას მონაკლულად,
არ დაეთმოს სოფლის შვება და დიდება მისი სრულად,
და ვისცა რასმე ეკრძალოდეს და არ ექნას მონაძულად?

121. უკამს მიჯნურს, თავის წინა იჯდეს, იყოს მისი მგონი,
შეემსჭვალოს სული, გული, სხვა არ ჰქონდეს გასაგონი,
დღე და ღამე მას ამკობდეს, ნუმცა უნდა გასაგონი,
და მან ამითი შეიწყალოს, მოლბეს, ექმნას ხვეწნის მგონი!

122. მიჯნურს მართებს გაუწყეტლად სარჯელი და ჭირის ქონა,
მწვე ელტოდეს სოფლის ლხინსა და არ იყოს კორცთა მონა,
გრძლად იცოდეს სიყვარული, არ ანაზდად ცუდი კონა,
და დაუთმოს და მოიჭირვოს, თუ რამ მიხვდეს მისთვის ღონა!

123. თუ მიჯნური კაცში დავა ან სწადიან კარგის ნახვა,
გაუგრილებს გულსა მისსა, აღარ ძალუც სულთქმა, ახვა,
გარდაუქცევს გულსა მისსა, ვეღარ უთხრას სალბო ზრახვა,
და აღარ ჰქონდეს გონებასა მისის სახის გამოსახვა.

124. თუ ტრფიალი მისსა სატრფოს ევლტის, მისგან ეშორება,
ისიც მისგან უკურიდებს, არ ექნების ერთად რება,
მტერი მოვა იმათ შუა, ფათერაკის ძლიერება,
და ჩხუბს დასთესავს ასე რიგსა, ძნელი იყოს მოგერება.

125. მეტრფევ, სატრფოსთვის ტიროდე, რომ გექმნას უფრო ლმობილი,
შეფრფინვიდეს და შემზერდეს, გლახ, გული ლახვარ სობილი,
განაგდოს ცუდი ლალობა, სიმდაბლით იყოს მკობილი,
და სიყვარული და სიმშვიდე მან შექნას თვისი დობილი.

126. ნუ გგონიათ მიჯნურობა, დიაღ, ადვილ შესამართი,
თუ არ დასცდი თავსა თვისსა, ვერას საქმით ვერ წარმართი!
ნება სრულად მოიკვეთე, საქმენი ჰქმენ დაუმართი,
და მაშინ მიხვდე საწადელსა, გზა შეგექმნას განამართი.

127. თუ ტრფიალებ, ყოვლთვის იყავ საბრძოლველად შეჭურვილი,
მკნედ იყავ და გაძლიერდი, მტერი გყავდეს მწვე ურვილი,
ნუ შედრკები დაცემასა, მისი გქონდეს შენ სურვილი,
და საყვარელსა იგონებდი, ფარად გქონდეს დაბურვილი!

128. უგუნურსა სჭირს ფიქრითა სვე სვიანობა, დიდება,
მრავლის თემისა დაპყრობა და საუნჯისა მიდება,
ჩაიტკბოს გულსა, ახარებს, არ აქვს კელისა კიდება,
და განიფთხობს კაკა-მწყუნვალი, მუცელი გაუცივდება.

129. კარგს მოლაშქრეს მონაზონზე ნუ ჰგონია თავი მცირად,
თუ ის სჯულსა აღასრულებს, შენ სჯულსა სცავ მონამჭირად;
ცეცხლს თუ შეშა თან არ ახლავს, დაშრტების და იქმნას მწირად,
და თუ ერთმანერთს არ უმწობენ, ორნივ იქნას კარგზედ ძვირად.

130. ოქრო მიწაა მანამდინ, სანამ ცეცხლს არა ნახავსა,
პატივს, შუქს, ფერსა მიიღებს, ვეღარა ჰპოებ ნახავსა;
აგრეც სიკვდილი კაცთათვის წყალობით ამას სახავსა,
და უგუნურნი და უსწავლნი ამაზე ავსა ზრახავსა.

131. ნურც იმძიმებ, ნურც იხარებ, ან იშოო, ან დაჰკარგო,
რაცა მოვა მოსავალი, სასიავო თუ საკარგო,
ბევრის ცდით და მოჭირვებით, დაიჯერე, ვერა არგო!
და ჩემი ყველა გააცუდა, ბარგი იყო რაც საბარგო.

132. რა მოვა საქმე საზეო, ნახეთ, მის გამო ელისა,
ბევრსა ეცადა, იჭირვა, ვის ქართლში გამოელისა;

რაღა ვიუბნა სოფლისა, ქალაქით გამო ელი სა?
და თუ კარგი თვითონ არ არის, სხვისგან რას გამოელისა?!

133. შენი ტრფიალნი შენს ნახვას სიზმარსა შინა ჯერანო,
თვალი იმისი შენს თვალსა აჟუჟუნებენ, ჯერანო,
ვერა მწერალმა ვერ აქოს, საფერად დაგსვას ჯერანო,
და მისი შუქისა სადარი, ვინ შეიქნები, ჯერანო.

134. დამრგველმა მისმა მოიმკოს დარგულთა მისთა ნაყოფი,
არცა წაუკდეს იმისგან, არც ექნას მისგან ნაყოფი,
კარგი ზეცამდე ამაღლდეს, ავმა სახლში ქნას ნაყოფი,
და რაც რბილად ჰგონოს, უმაგრდეს, ვით ბასრი წყალსა ნაყოფი!

135. იოსებისთვის განეგო ეგვიპტეს განმთავრებანი,
ძმათ სასიკვდილოდ იწადეს, მას დასცდეს ეს განგებანი,
მას მიხვდა ამით ის საქმე, არ თუ მიეცა ვნებანი,
და რად ვწუხვართ, რადგან არ არის განგების მო-ცა-კლებანი!

136. ნუ გიკვირს მკვდართა აღდგომა, მკურნალიც იქმან სახესა,
ცეცხლსა, წყალ-მიწა-ჰაერსა განყოფს ბალახსა და ხესა,
მღვრივით აწ წმინდას შერევენ, კვლავ ჰყოფენ მასვე სახესა;
და ღმერთიც ასე იქმს, რას სცდებით, რად ებმით უხსნელს მახესა?!

137. ეს სოფელი გავს ყვავილსა ტურფა კეკლუცად ქმნულებსა,
სიცხე წვით, ყინვა დაზრობით, სცემს მზე, ღრუბელი წყლულებსა,
წყალი წააკდენს და გვალვა მოუშლის მას უსულებსა,
და მოთმენის მეტი წამალი რა ეპოვოთ ამ საკრულებსა?!

138. ყვავილთა ტურფა ბიბინი, სანდომი არემარენი,
მწადს გაზაფხული, ტოლთ უთხრა: „აღვიძრნეთ არე მარენი!“
ვინც გაიკმარებს, რა არი, ვეჭთ, იყოს ა რემა რენი,
და ჩემი ნახული თუ ნახო, გაკვირვოს არემ არ ენი!

139. ვნახე ბერი ყრმათა უყრმე და ყმაწვილი ბერთ უბერე.
ბერი ცუდად მწვე აჩქარდა, ყრმა დაწყნარდა, რაც უბერე,
უხუცესი არას ნაღლობს, უმცირე სწუხს: „ვარ უბერე“.
და ის უფროსი იბერება, ეს უმცროსი არს უბერე.

140. თუ შენს ტვირთს შენ კი არ აზევ, ნუ ჰკიდებ სხვას, ვერ აზევსა!

141. თუ სიტყვას კარგა არ კრძალავ, მზირნი სხედს, მოიტაცებენ!

142. ისარსა გავს პირით სიტყვა – რა გატყორცო, არ მობრუნდეს!

143. ბუზს მწვე მიჰგავს, ამპარტავნად, ურიდობით მოარული,
და არ იციან, ფთა თხელი აქვს, ვერას უზამს საქმე მტრული.

144. კაცს გულს აურევს, თვარა და ბუზი არ არის ფინთია.
და თუცა შენ ავი არა ხარ, არც კარგი გამოგინთია.

145. ცუდად ვიყავ სოფლისაგან, ესე რამე გავაუბნენ,
ვერა ვირგე ნაღველთაგან, სევდა უფრო გავაუბნენ;
დამცა ცოდვამ საკურველად, როს კელთ ვიგდე, გავაუბნენ,
და ბრძენსა თქმულსა არ მივხედე, ზურგი მივეც, გავა უბნენ.

ამირნასარიანი

პირველი რედაქცია

1. ვინ შექმნა არსი ყოველი, ნივთი და უნივთულები,
სიუხვითა გეზრდის წყალობით, არა გვაქვს გასაძნელები,
რა არს ქარხანა ესეთი საცვიფრო, მიუგნელები,
და ურწმუნოსა და მორწმუნეს როჭიკი უცდენელები?!

2. თუ იწვრთნი, მითქვამს ნათქვამი ფილოსოფოსთა ბრძნობანი,
სულისა შვების მიმცემი, კორცისა გასამკნობანი,
ბედისა არად საკმარი, ცდისა და საქმის ნობანი,
და ყრმათა და გამოუცდელთა ბრძმედულად გარდადნობანი.

3. სიბრძნემ მიმზიდა საამბოდ ამბავი საამბელადო,
მინდა, რომ იყვნეთ მოყვასნი ურთიერთ უგმობელადო,
შევემზადე რამე საზრდელი, არ სულა უგბობელადო,
და თქმა ადვილია, მოყვასო, ყურთ თუ სართ მომგდებელადო.

* * *

4. გილანის თემთა არეთა თვით მეფე იყო მჯდომელი,
ვითა წესია სოფლისა, დაბერდა არად მდომელი,
შვილს მისცა თავის მეფობა, განაგდო დაუდგომელი,
და უბძანა ესე ანდერძი, რაცა აწ ითქმის რომელი[410]:

5. პირველ მისმინე ნათქვამი უჭირო, გაუძნელები:
რაც რამ გინდოდეს სათქმელად ანუ თუ იყო მქნელები,
მისსა სახელსა ხადოდე, ვინც არის გამაგნელები,
და არ დააცდინო მადლობა, დღენი მოგხვდეს თუ ბნელები![411]

6. გინდა სიმაღლე აღსავლად ხარისხსა გასადიდებსა,
იცან საჭიროდ საცნობი, ესეედე დაურიდებსა!

მონასა მისცა, მცოდველთა მსწრაფლ დღესა დაუბინდებსა,
და ის უფრო მისცემს სასწორით დამშავეთ, გასაქირდებსა!

7. სიკეთის ნდომას სიმდაბლე უცხოთ რამ გააძალებსა,
ღ(მ)მთისმოყვარენი ამითი გასტეხს ბასრსა და სალებსა;
გული მდაბალი ცეცხლსა გავს, ამპარტავანი – წყალებსა,
და ზე სწევ, ქვე მოდის; ქვე დასწევ, ზევითა მიდის ალებსა[412].

8. სოფელსა კაცი ამით იქს თავისა გამოჩენასა:
თავი არ რიდოს გარჯასა, სწავლისა აღმოცენასა;

---

[410] **სტრ. 4**: იეო ხელმწიფე ქრისტოზ და შვილი მისი ამინასარ და შვილი ამინასარისა ალექსანდრე, შვილი ალექსანდრესი ყაბოს, შვილი ყაბოსი შაქირ. მან შაქირ მიუბოძა ძესა თვისსა გილან-შაობა და უბრძანა: შვილო, მე დავბერდი და დაუსუსურდი და ვსცან განსვლა ჩემი სოფლითა ამიერ. რაჟამს ვიხილე მხცოობა ჩემი, აწ საქნელია ჩემგან, რომ ასეთი მცნებები დაგიდვა, რომ ამისი დასწავლა შენც გმართებდეს.

[411] სტრ. 5. შვილო, ჰირველი საქმე ეს არის, რომ უღვთისსახელოდ ნურასა იქმ და ეოველს საქმეს მისის შეეედრებით იქმოდე!

[412] **სტრ. 6–7**: შვილო, სიკეთის საქმე თავმდაბლობით იქნების და სიმდაბლე ღვთის მეედრებელი სახმილია აღგზებული. რამდენიც თავი დაიმართ უეო, კვალად სიმაღლედეე მიეალს. მზეაობარი და უღვეო წეალთა მსგავსია: რაოდენიც სიმაღლედ ახწიო, თავდაიმართვე მოეალს. და სიმდიდრისა და სიკეთის მდომელს ეხამს, ღმერთი იცნას და, ვინც იცნობს, ორკერძოვე სიმდიდრესა და სახელსა ჰეოვებს. ამისთვის შენ ხომ მონა ხარ ღვთისა და შენც, ვინც არ გაამებს, შერისხდები... თუ მონას ეს მოეცა და ამას იქმ, მაშ, იგი უფრო შეძლება!

ენა და ყური აცადე კარგის თქმასა და სმენასა,
თვარემ მიგზიდავს ბუნება სათქმელად კაცის წყენასა![413]

9. ადგილს თქვი სიტყვა, ნუმცა ხარ უჟამოდ რისმე მბოსანი,
უგემო იყოს, კარგიც თქვა წყენისა მიმცემისანი,
იცის სამსალის უმწარე ენა ტკბილი და მგოსანი;
და წამლად ეს უთქვამს:„ რადა ხარ, რაცა არ გკითხონ, ხმოსანი?!„

10. ხამსა, კაცსა ავ-სიტყვაზე ყური ჰქონდეს ნარიდალი,
რაცა ჰკითხონ, კარგი უთხრას, არა რამე ნაცუდალი,
ლაღობა და სალაღობო, საამბობლად დასაცდალი,
და სასიბრძნო და სარჩეველი, არც მაღალი, არცა მკდალი!

11. რა საშურია კაცისა სიკეთე, კარგ-კაცობანი?
შენც შეეცადე, მისებრივ გქონდესცა მონაცობანი!
რამცა გამოვა შურისგან, — მოწყენა, გაოცობანი,
და გააგდე ცუდი წადილი, დაუყავ გამხოცობანი![414]

12. რა ნახო კაცი მდიდარი, მაღალი, მაღლა მყოფელი,
ნუ ბორგავ, ნუ გშურს, ხომ იცი, წარმავალია სოფელი!
რა მიულია შენ გამო, რადა ხარ გამაცოფელი?
და საჭვრეტთა ავად მჭვრეტელი თვალია დასაყოფელი![415]

13. თუ ენა კაცსა ატყუებს და გულსა დააჯერებსა,
მისაცემელი უფროსად აცდენს და გააჯერებსა!
მიკვირს, სოფელსა სიცრუვე ვით მისწევს დანაბერებსა!
და რა მოსავალი მოვიდეს, ბრძენს უფრო გააშტერებსა[416].

---

[413] **სტრ. 8**: შვილო, შენი აგებულება ზნეობისა და გარჯისათვის ნუ გშურს! შენი ენა და ყური კაის თქმასა და კაის გაგონებას დაჰჩვიე, თორემ, რადგან ერთხელ ავს დაეჩვევი, ნიადაგ ავს იტყვი და აგრეთვე კარგი არ არი!

[414] **სტრ. 11**: შვილო, კარგის თქმასა და კარგის ქმნას ნუ დაიზანებ, როდესაც იქნება, საკეთილოდ გამოგადგება!

[415] **სტრ. 12**: ვინც სულის უფლობის მქონებელი ნახო, ნუ შეიშურებ, ღუთის ნაბოძებია, შენი ხომ არ არის რა!

[416] **სტრ. 13**: მენი ადამისნი საქონლისაგან უფრო მოტყუვდებიან, ვირემც ენისაგან.

14. რა კარგი ქნას უმეცარმა, მასვე წამსა დაინანებს,
არ იციან, კარგი კარგს შობს, ავი ავსა მოიყვანებს,
მაგრამ ბრძენი ერთს არ სჯერა, ცდილობს მრავალს მისამგვანებს,
და აქვს დაცდილი, წინ დახვდება, ერიდების შეუგვანებს.

15. ლხინსა და ჭირზე ორზედვე იპოვე კაცი მგნებელი,
მოგცეს წმალი, რომ უთხრა, გულისა მოსანებელი;
ცუდია ცუდის მითხრობა, ქმნა საქმე გაუცნობელი,
და ლხენას ვერ მისცემს სნეულსა მკურნალი შეუგნებელი![417]

16. ავსა და კარგზე ნუ სწრაფობ მარტვილთა, მიმდგომელისა,
რად ხარ ამყოლი კაცისა საშუღრად სანდომელისა.
მალ გაუხდების სანანად მას მისის სანდომელისა.
და რა გაეწყობის ავს სიტყვას? – მოთმენა მომთმენელისა[418].

17. გიყოსმცა კაცმა სიკეთე, ანუ ბოროტის წილები,
აცადე ბევრხან, სიავეს შეექმენ დანარბილები.
მალ მიეც კარგი სიკეთეს, არ გექნას დანაცილები,
და ნაცვალი მიხვდა მრავალთა, ვინ ნახა დანაბილები![419]

18. ბრძენს უთქვამს: არა სიმდიდრე, არა სიკეთის ქონანი
არ შეედრების სახელსა მისი, ვისა აქვს გონანი.
მსმენნი ნატრობენ მნახავთა, სწადან, რომ იყვნენ მონანი,
და ქება დარჩების ბოლომდი, არასი შესაწონანი![420]

19. ვერ იცნობ კაცსა, არ იცი ამბავი ნაუბარისა,
მიეცე, რასთვის ენდობი საქმესა დასაბარისა?

---

[417] **სტრ. 15**: თუ ან სამძიმო და ან სასიხარულო რამ მოუიჯდეს, ასეთს კაცს, ხამს, უთხრა, რომ წამალი მოგცეს, თორემ უცოდინართან თქმას სარგებელი არა აქვს.

[418] **სტრ. 16**: შვილო, ავი და კარგი სწრაფად ნურც გიამბება და ნურც გეწუინება! სწრაფი საქმე ურმათ წესია. შვილო, ვინც აჩქარებით საშუღლელად მოუინდომოს, შენ ნუ აჩქარდები! – ისიც დაინანებს. ავის კაცის სიტყვასა და საქმეს ეურის მიგდების მეტი არა გაეწუობის რა.

[419] **სტრ. 17**: შვილო, რაშაც კაცმან შენზედ კარგი ქნას, ხამს მუქაფა მალ მიაგო: ავს– ავი, და კარგს, კარგი!

[420] **სტრ. 18**: ბოლრატ აქიმის ნათქვამია: „*არა საუნჯე და არა კეთილი სახელოვნებას არ შეედრება ამისთვისა, რომ, ვინც სახელოვანია, რასაც კარგზედ მწირი და ღარიბი იყოს, მაინც ჰატივი ამს!*“

ენა თავსაცა არიდე, თუ ნახვა გინდა დარისა,
და ენა უბრალოდ მეტყველი კაცს მისცემს დასაბარისა![421]

20. სიკეთესა და ნამუსსა ვერა სჯობს ტანსაცმელია,
უგვანთა მორთვა, შემკობა უნათლოა და ბნელია,
ავგულობისა სანაცლო სხვა მტერი რა სათქმელია?
და მოყვარეც მტერად გაუდგეს, ეს მიკვირს, რა საქნელია![422]

21. ძებნა არ უნდა სწავლისა დღესა, დროსა და ჟამებსა!
— „კვლავ შევეცდები!“ — რად უბნობ გულისა დასაამებსა?
არ დაისწავლო ერთიცა, ნუ გამოუშვებ წამებსა!
და რა საკმარია, სოფელში კაცი გიძახდეს ხამებსა?![423]

22. თუ არ ახლავხარ ბრძენსა და კარგს ვისმე გონიერებსა,
ხელთაგანც ბევრსა ისწავლი, რა ექმნა შესამზერებსა:
რასაცა ავსა იქმოდეს, შენ ნუ იქ მის უშვერებსა,
და ავსა არა იქ, კარგის მეტს ვერას იქ, ვერას, ვერებსა![424]

23. „მტრისგან უფრო დავისწავლე, — მეფე ბრძანებს მაკიდონის, —
მით მოყვასნი მიფარევდენ, მტერნი მზრახდენ მაკიდონის,
მე ნაძრახსა დავერიდი, უფრო ვმწვანდი მაკიდონის,
და მტრობის„ იშნმა„ კარგი მომცა, ავი ჩემი მაკიდონის!“[425]

---

[421] **სტრ. 19**: შვილო, კაცის ამბავი რომ არ იცოდე, რად ენდობი?!

[422] **სტრ. 20**: შვილო, ტანისამოსი ნამუსის მჯობი როგორ იქნების ამისთვის, რომ უნამუსოს კაცის შემკობილობა უშვერია. შვილო, არა მტერი ავგულობისთანა არა იქნების რა, ამისთვის, რომ ავგულს კაცს მტერი არ დააკლდების.

[423] **სტრ. 21**: შვილო, სწავლის დროს რა ძებნა უნდა? ან ეს არა სთქვა, — ჯერ გუნება არა მაქვს და მერმე ვისწავლიო. ასრე ხამს, რომ ერთი საათი არ გამოუშვა, რომ არა ისწავლო რა!

[424] **სტრ. 22**: თუ ჭკვიანსა და მცოდნეს არ ახლავხარ, უჭკუოსაგანაც ბევრი კარგი ისწავლების ამით, რომ ის ავს უბნობდეს, შენ უყურე და იმას ნუ იქმ, და რადგან ავსა არა იქმ, კარგის მეტი, ავსა გარდა, რა იქმნების!

[425] **სტრ. 23**: ალექსანდრე ხელმწიფეს უბრძანებია: ავის კაცისა და მტრისაგან ბევრი ვისწავლეო, ამით რომე, მე რომ ავს ვიქმოდი, მტერთა იამებოდა და ძძრახვდენ და მე რა მათს გავიგონებდი, იმ ძრახვისაგან ხელს ავიღებდი. ერთგულნი მიფარვიდენ და ორგულნი მიმხელდენ და მე სიხარული მტრისა საკეთილოდ შემეცვალა!..

24. რა შეიქნები მოყვისგან უფრო სიკეთის მდომელი,
მეტად იწადებ სხვისასა, იქმნა უმჯობედ მდგომელი,
ცდისგან იქნების ყოველი, ვინც კარგზედ არის მშრომელი.
და არა ჰქნა შენი სოფელი უშვერად გარდამხდომელი![426]

25. გარჯისა დარდებისაგან ნეტარ, რა არი უარე?
საქმეს და შრომას ეცადე, თავსა ამითი უარე.
სიკეთის სწავლას წაუკდენს, ვინც არი ცუდად მოარე,
და სახელის ვარდი კოკობი ვერ ჰპოოს მოსაპოვარე![427]

26. ურცხვი დაჰკარგავს ურცხობით ორსავე საქებელებსა,
მორცხვი მორცხვობით წააკდენს სახელსა საამბელებსა,
თაეთავის დროსა მოიმკის ორივე მოსამკელებსა,
და ვაქებ სიავის მორცხვსა და სიკეთის ურცხვენელებსა![428]

27. შენს უკეთესსა გაეწყევ, იყავ მასთანა მხლებელი,
ხარ რაცა მისგან უკეთე, მალ შეიქნები მგებელი!
ეს ორი არი კაცისა საქმე რამ შეუქებელი:
და სირბილე, — ყველას საბრიყო, სიძვირე, — არვის მრგებელი!

28. ბრძენს ვისმე უთქვამს: „ღამძრახვენ, თვარამ ძალმიძეს თხრობანი:
არა არის რა ქვეყანად, რომ არ ვიცოდე ხრობანი!“
ნუ მოჰკვეხ, ნუცა გონია, სხვას ჰქონდეს შენზე მხრობანი,
და დაგძრახავს მისი გამგონი, არა აქვს მოსამხრობანი![429]

---

[426] **სტრ. 24**: შვილო, კაცი ამისი მცდელი უნდა იყოს, რომ თავისი მოყვრისაგან უკეთესი შეიქნას ამისთვის, რომ, რა მოყვრისაგან უკეთესობას მოინდომებს და უკეთესობას იქს, სხვათაზე უფრო უკეთეს ჰატივსაც მუხედება.

[427] **სტრ. 25**: შვილო, შენს თავს გარჯისა და საქმისათვის ნუ დაიშურებ! ვინც არ გაირჯება, ვერც არას ისწავლის და იმის უარესი არა არის რა, რომ კაცს გარჯა ეზარებოდეს და იგი ვერც არას სახელსა იქმს.

[428] **სტრ. 26**: შვილო, სირცხვილი ხამს, რომ კაცს ჰქონდეს ავკაცობისა, აყის ქართულისა და ტყუილისა! კარგ კაცობაზე, განმრავლებაზე, კარგ საქმეზე და სწავლაზე არ უნდა მორცხვი იყოს კაცი! თუ კაცი კარგ საქმეზე მორცხვია, ვერას ისწავლის. ურცხვს ცხონება არ ეღირსების, რომ ავისა არ რცხვენოდეს და სიკეთის მორცხვი ღარიბი შეიქნების. კარგკაცობის ნიშანი სირცხვილია და ავკაცობისა – ურცხობა.

[429] **სტრ. 28**: შვილო, შენს ცოდნას ნუ ჰკვეხ და ნურც ამაზე გულს დააჯერებ, რომ შენს უკეთესი არავინა იყოს და ნურცა ვის ამას გააგონებ, რომ მცოდნე და კარგი ყარო, თვარემ, გმიცონია, უმეცრებასა და უსწავლელობაში ჩაიცდებენ! ყორათ აქიმს უთქვამს: თუ

29 კეისრის ელჩსა ხოსრო-შამ ეზირის უთხრა ქებანი,
ეგონა ისიც იტყოდა: „სულ ქვეყნისა მაქვს გებანი“.
ელჩს უკან უთხრა: „რად არ სთქვი «მაქვს ყოვლის ცოდნის ბრძნებანი»?
და „ ქვეყნად არავინ შობილა, ვით შევძლო თქვენს წინ გნებანი?!“[430]

30. მართალს იტყოდე, ნუ უბნობ ტყუილსა წესად უდებსა,
სულ ტყუილი სჯობს საუბრად, მართალი გვანდეს მრუდებსა,
ვის შეემცნევის მსმენელსა, გულსა ვერათი უდებსა;
და ბევრს მართალს ერთის ტყუილის გარევა გააცუდებსა![431]

31. მეფე ვინმე ჯდა შექცევად, ბრძენი ჰყვა გვერთა მხლებელი,
სიტყვას უგებდენ ერთმანერთს სიტყვისა გამახლებელი, 1
ბრძენი ჰკადრებდა მეფესა: „დღემცა გაქვს დაუკლებელი,
და ქარქანსა ვიყავ, მუნ ვნახე ამბავი უცილობელი[432]:

დაძრახვისა არ მეშინოდეს, ასრე ვიტყვი, ქვეყანაზედ ასეთი არა არის რა, რომ მე არ ვიცოდეო.

[430] **სტრ. 29**: ერთხელ ხოსრო, ერანის ხელმწიფე, თავისი ვეზირის, ბოზორჯამირის ცოდნის ამბავს ურუმის ელჩს უამბობდა და ხელმწიფეს ეგონა, ის ვეზირი დაემოწმებოდა და ამას იტეოდა, ეოველი ცოდნა მე ვიციო. რა ვეზირმა ეს სიტყვა აღარა თქვა, ხელმწიფემ უბრძანა: რასთვის ასრე არა თქვიო, რომ ეოველის ცოდნით სრული ვარო? ვეზირმა მოახსენა: „ცოდნა უნაკლულო ჯერ რომ არ დაბადებულა, როგორ მომეხსენებინა?!“

[431] **სტრ. 30**: შვილო, რასაც იტეოდე, მართალი თქვი, რომ ტეუილს არ ვეანდეს! სულ ტეუილის თქმა სჯობს, კაცი რომ ასეთს მართალს უბნობდეს, რომ ტეუილს ვეანდეს. უცხოს კაცთან მართალს სიტეეაში ერთი ქართული რომ ტეუილის მსგავსი ერიოს, სულ ტეუილად შეერაცხს.

[432] **სტრ. 31–35**: ერთხელ ნოსხორ შაჰს ვეახელ. უცხოს ამბების ლაპარაკი იეო და მე მოვახსენე: „როსთან ქარქანს ერთი სოფელია მთის სიახლოვესა და ამ სოფლის წეალი იმ მთიდამ გამოდის. დედაკაცები შეიერებიან, წეალზედ წაელენ, წეალს აავსებენ. წელიდამ რომ გამობრუნდებიან, მათ ერთი ამხანაგი მეთვალედ ცარიელი უნდა მოსდევდეს; გზაზედ თვალი ეჭიროს. ერთი რიეი ჭია არის მწვანე. იგი თუ გზაზედ დაინახა, გარდააგდებს ამისთვის, რომ, თუ იმას ფეხი ვინმე(მ) დაადგა, მოკვდება და წელები გამწვანდება. ის წელები უნდა გადააქციონ, ჭურჭელი დარეცხონ და ახლად აავსონ და წეალი წამოიღონ“.
რა ნოსხორ-შამ ეს გაიგონა, ეწეინა. მე ავდეკ და გარეთ გმოველ. იმას ეთქვა: ამისთანა ქართული უკადრისი იეოო.
მე განჯას ვიეავ. ერთი ჩაფარი გავგზავნე ქარქანს და ეს დავბარე: იქ მაზარი გაეაკეთებინე იქაურათ ეაზის ბეჭდით ამ საქმეზედ, რომ, როგორც მართალი იეოს, მომიწონონ.. ოთხ თვეს უკან იქიდამ წიანი მომიეიდა. მივედ, ვაჩვენე ნოსხორ შაჰს და გაიცინა და ასე ბრძანა: „მე ვიცი, შენ ტეუილს არ იტეევი, მაგრამ ასეთს მართალს რა

32. „სოფელი არი მთის ძირად თვალი სიწმინდის მძლეველი,
წყალი გამოდის მის მთიდამ ახლის სულისა მძლეველი; 2
რა ქალნი წავლენ მოღებად, წინ უძღვის გზისა მკვლეველი,
და ჭიაა მწვანე, რა ნახავს, გარდაგდებს გზიდან მლეველი.

33. „თუ დარჩა გზაზედ, უწადად, ვინც არის მაზე მარენი,
ვინც ფეკს დააღგამს, მოკვდება, წყალი გახდება მწარენი; 3
წყალი ქვე უნდა დაასხან, რა ნახონ შესაზარენი,
და ჯურჭლები სრულად დარეცხონ; ავსონ, ელონ იგივ არენი“.

34. რა ესმა მეფეს, უწყინა; მან ბრძენმა გავლო კარები.
ბრძანა: „*რასათვის იკადრა ეს სიტყვა დასაზარები?!*“ 4
მან განჯით წიგნი მისწერა იმ სოფლელთ სიტყვა მდარები:
და „მომწერეთ ამის სიმართლე, ვინც იყოთ მანდა ჯარები!“

35. რა მოუვიდა, მოართვა, რაც მათგან მოეწეროდეს.
ჰკადრა: „*თქვენს წინა ტყუილსა როგორ ვიტყოდი მე როდეს?!*“ 5
უბრძანა: „*ტყუილს არ იტყვი, მაგრამ ზე შეუმზეროდეს,*
და ასეთს სიმართლეს რას აქნევ, უმოწმოდ არვის სჯეროდეს?!“

36. ენისგან არის ორივე: სიტყვა ტკბილი და მწარენი,
მტერს გაამოყვრებს, მოყვარეს გაამტრობს დასაზარენი,
გამოვა მცირე წინწკალი, სულ დასწვას არე-მარენი;
და პირმანვე წართქვას სულისა და კორცის მოსაკმარენი![433]

37. კბილი ჩასცვივდა სიზმარში, ხალიფა სჭვრეტდა მძინარი,
ბრძენი მოიკმო ამხსნელი, მას უბრძანებდა მწყინარი.
„*შენს უწინ ამოვიწყდება, — ჰკადრა, — მოყვასი ვინ არი*“.
და არგნით გალახა, გააგდო, დაჭმუნდა გაუცინარი[434].

ხელი ეურების, რომ ოთხს თვეს კაცი ისარჯოს და ორი მოწამე ძლივ იშოვნოს და გამართლდეს“.
მაშ, ასე ხამს: კაცმან ისეთი თქვას, რომ უმოწმოდ მართალი იყოს!

[433] **სტრ. 36**: შვილო, ენისაგან სიტყვა ორ რიგად ითქმის: იქნება, თქმამ დაამოუროს და იქნება, თქმამ მოუვარენი წაჰკიდოს.

[434] **სტრ. 37–38**: ჰარუნ რაშიდ ხელმწიფე იყო. სიზმარი ნახა, რომ კბილები ჩასცვივნოდა. ერთს კაცს უამბო და იმ კაცმან ასრე აუხდინა: რაც ნათესავნი გეყვანან, შენგან უწინ

38. კვლავ სხვა მოიკმო, უბრძანა იგივე განსაკმობარე.
ჰკადრა: *„მეფეა მოყვასთგან დღეგრძელობითა მჯდომარე“.*
ასი უბოძა წითელი, ბრძანებს პირველის მგმობარე:
და *„თუცა თუ ორთავ ერთი თქვეს, ეს უკეთ იყო მბობარე“.*

39. სარჯლის მომცემსა განუდეგ, სანანსა წარსათქმელებსა,
რა საწყენია უბნობა, რად გულსა გაგიცხელებსა,
არას გაწყენს და ბევრს გარგებს, მით ნახავ დასაცდელებსა,
და დაისწავლიდე სიტყვებსა, თავისა დამაცველებსა![435]

40. კაცს რის დატევა შეეძლოს აგებულების წესითა,
იმგვარი უთხარ, აამე, ქვენათი, გინა ზესითა.
გასინჯე სიტყვა, ისე თქვი, არ მოგხვდეს დასაკვნესითა;
და სიტყვა წააკდენს და სიტყვით გაკდება მზე უმზესითა![436]

41. ვერ დაისწავლის მის მეტსა, რასაც არ გაიგონებსა,
ჩვილი აღზარდო ერთს სახლში, რომ გვანდეს ვარდის კონებსა,
ვერ ნახოს, ვერცა ისმინოს, უტყვად გაუკდის გონებსა.
და გამოუცდელი გონება თავს მტერსა დაამონებსა![437]

42. მეფეთგან კარგის ბრძანება გააყრმობს კაცსა ბერებსა,
გულსა ვარდულად გაუშლის, მუსიკებრ აამღერებსა,
თვალს მისცემს მზეებრ ნათელსა, მხედველთა გააშტერებსა;
და სიტყვისგან ბევრი გმოვა, ქვენას იტყვი თუ ზერებსა[438].

დაიხოცებიანო. უწუინა და იმ კაცისათვის ასი არგანი აკვრევინა. მერმე სხვა მოიყვანეს და იმას აახსნევინეს და იმან ასრე მოახსენა: ხელმწიფე დღეგრძელი იყოს ყოვლისა მისის ნათესავისაგანო. იამა ხელმწიფესა და იმ კაცსა ასი ალთუნი უბოძა და ასრე ბრძანა: ეს ხომ ორივ ერთი ჰასუხი იყო, მაგრამ ამ კაცმან უფრო თავაზითა თქვაო.

[435] **სტრ. 39**: შვილო, ...შენც ასეთს ქართულს რატომ იტყვი, ან ზიანი არ იყოს შენთვის, ან სარგებელი? რაც თქვა, მართებული თქვი. ასეთს ნურას იტყვი, რომ გაგსარჯოს, – არ დაინანო! შვილო, რასაც გაიგონებდე, ნუ იწყენ! თუ გარგოს, ხომ კარგია, თორემ რა დაგაკლდება, სიტყვა არ დაივიწყო!

[436] **სტრ. 40**: შვილო, ვისაც რასმე ეტყოდე, ასეთი უთხარ, იმის აგებულებამ იცოდეს და დაიტიოს! თორემ ასეთი რომ უთხრა, არ შეეძლოს და ვერ დაიტიოს, ცოდვაა, და თუ არ ზიანი, – სარგებელი არ არის. შვილო, სიტყვა გუნებაში გასინჯე, თუ კარგი იყოს, თქვი!

[437] **სტრ. 41**: შვილო, რასაც არ გაიგონებ, იმის მეტს ვერას ისწავლი, როგორაცაც რომ ერთი უმაწვილი კაცმა ასე გაზარდოს, რომ ადამიანი არ ანახულოს და, ის მუნჯი იყოს, ასეა.

43. ნოუშირვან იყო პირველად სპარსთა თემისა მპყრობელი,
საფლავი იყო იმისი ყოველგან გასაკმობელი,
ნახვა იწადა ხალიფამ, იყო ბაღდადის მფლობელი, 1
და ცხენი ითხოვა, მოართვეს, მივა სოფლისა მგმობელი[439].

44. მივიდა, ნახა ერთის მხრით კედელზე მინაწერენი,
ბრძენნი იახლენ მრავალნი, იგ მისი შენამზერენი;
თარგმანი ბრძანა, უთარგმნეს, მიართვეს ფეკთა მტვერენი. 2
და ეწერა რამე ანდერძი, საამბოდ გასაშტერენი:

45. „ჩემს სამართალსა აქებდენ, სანამდი ვიყავ, ყოველი,
მალ იყვნენ სამსახურისა, უხვად მიზდისა მპოველი;
დავსწერე ესე, რა მოდგა ჩემზედა ყოვლთა მძოველი, 3
და ვინცა მნახევდენ, სანაცლოდ ეს ჰქონდესთ მოსაშოველი.

46. „ცხოველსა მყვანდენ მორჩილნი, მადრიელ-მაქებარენი;
აწცა მწადს, იყვნენ ჩემისა კარგისა მოამბარენი;
მაშინღა ვიყავ უნჯითა გულისა მომგებარენი, 4
და აწ სწავლითა მწადს, ისმინეთ ამბავი მოამბარენი!“

47. ზედან ეწერა პირველად საფლავსა, მისსა ვანებსა:
„კვლა რატომღა იქს, ვინცა იქს, ერთს რასმე დასანანებსა?
მეფეთ წინაშე მდგომელსა და ახლოს მინაყვანებსა 5
და სიფრთხილე უკამს დიადი, არ დასცდეს შეუგვანებსა!“[440]

---

[438] **სტრ. 42**: შვილო, ხელმწიფეთაგან კაის სიტყვის გაგონებით კაცს გული ეაუმხიარულდება და თვალში სინათლე მოემატება.

[439] **სტრ. 43–46**: შვილო, (ანუშირვანი) ადრე იყო და უიზილბაშის ქვეყანას ბატრონობდა. ერთ დღეს მამუხალიფა მისის საფლავის სანახავად წავიდა. რა მივიდა, ნახა, რომ საფლავის გვერდით კედელზედ ნაწერი რამ იყო. მრავლის ქვეყნის კაცი ახლდა და ერთს მცოდნეს კაცს წააკითხეს და ათარგმნინეს. ასე ეწერა: *„სანამდის ცოცხალი ვიყავ, ყოველი ჩემი საბრძანებელი ჩემს სიმართლეს აქებდა. ვინც მემსახურებოდა, მადლიერს ვამეოფებდი და წყალობას ვუზამდი. და რა შევიტყევ ჩემის სიცოცხლისაგან განშორება, ესენი მოვიკონე და დავსწერე, რომ, ვინც მოვიდოდეს და ჩემს საფლავს ნახვიდეს, ესენი მისი გარჯის ფასი იყოს, ვითა სიცოცხლეში კაცნი მადლიერნი მყვანდნენ, ახლაც მადლიერნი იყვნენო. მაშინ საკონლით მოვიყებდი კაცის გულსა და ახლა სიტყვითაო“.*

48. მოყვა(ს)ს ნუ ეტყვი, რაც გწადდეს, მტრისათვის დასაფარავსა,
ავს ჰყიდი, ავსა იყიდი, მოსავლად დაუზარავსა,
სიკვდილი უჯობს ავ კაცთა, პურის ჭამითა მხარავსა; 6
და ნულარ შეხედავ იმ თვალით გლახაკს, სვისაგან მხარავსა![441]

49. „ნუ გინდა ავი კაცისა, თუ გწადს მოყვასთა ჯარები,
ავისთვის ავსა რად უზამ, გინდა მტრის მოსახარები?
თუ სხვის ფარდასა არ დახევ, არც შენზე გაიმწარები. 7
და რადგან შენ შიში არ გინდა, უწყინად იყავ მარები![442]

50. „სინანულს რიდობ? – გააგდე ჯავრისა მონებებანი,
თავის სიტყვისა გამტეხსა სხვამ უყოს გაცუდებანი,
ულხენსა ჭირსა შემოგყრის უცების ბაასებანი, 8
და საწყინარია სასმენად უგვანთა სიტყვის გებანი!

51. „უხვად გასცემდე, გწადია მყოფობა კაცის გულებსა,
ნამუსი მოეშორება ენაგძელს და უსულებსა“.
საანდერძონი გათავდა , რაც ეთქვა ნაუსულებსა; 9
და შენდობა გვმართებს მსმენელსა, თუ მიხვდა მისსა სულებსა[443].

---

[440] **სტრ. 47**: თავს ასე ეწერა: *„შვილო, ვინც ერთხელ ასეთს რასმე დააშაყებს, რომ სინანულად გაუხდება, მეორედ იმას რასთვისღა იქმს?!.. შვილო, ვინც მეფეთ ნაცნობია და მახლობელად მეოფი, ნიადაგ ფრთხილად უნდა იყოს!*

[441] **სტრ. 48**: *შვილო, შენის გულის სიტკვა თუ კინდოდეს, რომ მტერმან არ შეიტყოს, მოყვარეს ნუ ეტყვი. ავს ნუ იყიდი, თორემ ავს გაჰყიდი! სიკვდილი სჯობს ავის კაცის პურის ჭაშასა! შვილო, ერთმან საბრალო კაცმან რომ დოვლათი იშოვნოს, იმას უწინდელის თვალით ნუღარ შეხედავ!*

[442] **სტრ. 49–50**: *„თუ ბევრი მოყვარე კინდოდეს, კაცისათვის ავი ნუ კინდა! შვილო, თუ კინდა, რომ უნაღვლო იყო, აკვნული ნუ ხარ! თუ არ კინდოდეს მალ მოტყუება, ვისაც შენთვის ავი ექნას, შენ ნუ იქმ! შვილო, თუ შენის ფარდის დახევა არ კინდოდეს, სხვის ფარდას ნუ დახევ! შვილო, თუ დაუნანებლობა კინდოდეს, შენის კუნების ჯაერს ნუ აჰკუნებ! შვილო, ოუ შიში არ კინდოდეს, უწყინარი იყავ! შვილო, თუ არ კინდოდეს, რომ შენი ქართული კასტეხოს ვინმემ, შენს ქართულს შენ ნუ გასტეხ! შვილო, თუ ასეთი ჯაერი არა გწადდეს, რომ წამალი არ ექნებოდეს, უცოდინარსა და ავს კაცს ნუ უბაასებ!*

[443] **სტრ. 51**: *„შვილო, თუ გუნების, რომ ყოველ კაცთან კარგი იყო, საქონელი კაცისთვის ნუ გშურს! შვილო, თუ ენის კრძელობა კინდოდეს, ნამუსზე ხელმოკლე იყავ!“* ესენი ანუშირვან ხელმწიფის ჰასუხები არის.

52. სიყრმეს ისწავლე, დაგრჩება, გამოატარო ხანები;
ყრმათაგან უარესია ბერი უსწავლის მგვანები;
ჭირისა, ლხინთა უზარო, მებრძოლი იყოს ყრმანები,
და უხვი, საღ(მრ)თო და ზნესრული, სიკეთით მონავანები.

53. ბერისა ყრმაზე ესეა განყოფა, განთვისებანი:
ყრმისა საქმესა ვერა იქს, მოსლვია დაკვნესებანი,
აკლია ყრმათა გამოცდა, საწუთოს ესე ებანი,
და გულისა ამაყობითა სილაღემ მისცეს ვსებანი.

54. ყრმა სძრახავს ბერსა სისუსტეს და მისი მონატრელია,
მისწვდა ის მისსა საწადსა, შენა გწადს საყვარელია,
ნუღარ ნუ აწყენ საწყენსა, სოფელი არი ტრელია,
და მოვა შენზედაც, თუ გასძელ, ფერი თეთრი და ჭრელია!

55. ბერსა ასის წლის მოხრილსა ყრმა სჭვრეტდა მოცინარენი;
„ვინ მოგცა მშვილდი, – ეტყოდა, – მაგ რიგად მონახარენი?
მეცა ვიყიდო, მასწავლე, საჩემოდ მოსაკმარენი!“
და თქვა: *„ჭკუით იქეც, ვინც მომცა, შენც მოგცეს გასახარენი!“*

56. ბერს კაცს ერიდე უცებსა სახლებად, საამბელადო,
ბევრად სჯობს მოყმე ამისთვის, საქმე აქვს გასაძნელადო,
რაცა არ იცის, მის მეტი, არ ძალუცს სხვა საქნელადო;
და ყრმა სწაელას ელის, თუ რამ სჭირს სიყრმით და დაუცდელადო.[444]

57. ორმოცის წლისა გამოსვლა საწყენსა გაამრავლებსა,
ორმოცდაათი, სამოცი კაცს გაჰკდის შესაბრალებსა;
რა ოთხმოცისა შეიქნა, გზას ვეღარ გაიკვალებსა,
და გავს პირაღმართზე ასულსა, თავდაღმართ ჩამავალებსა[445].

---

[444] სტრ. 56: შვილო, ამას ეცადე, რომ ხელს ემაწვილსა და უჭკუოს ადამიანს ბერს კაცთან არ დაჯდე! უჭკუოს ბერს კაცს ვაჟი კაცი სჯობს. ვაჟ კაცს რომ სჭირდება რამე, კიდევ მოიმედე იქნების, მაგრამ ბერს კაცს ერთი სიკვდილის მეტი აღარა ეშველება რა.

[445] სტრ. 57: შვილო, ასე არის, რომ კაცი ოცდათოთხმეტს წლამდის მატებაში არის, მერმე ორმოცამდის ერთ რიცზე არის, მერმე ორმოცდაათამდის წელიწადში ერთხელ ეწეინების, მას უკან სამოც წლამდის თვეში ერთხელ ეწეინების, მას უკან სამოცდაათამდის კვირაში ერთხელ ეწეინების და მერე ოთხმოც წლამდის – დღეში ერთხელ. იმას რომ ეადავა, ეამზე ერთხელ

58. თუ მეფე იყო, იყავმცა მეფობის შესაფერები,
თვალი და ხელი დაკრძალე, სიავის მოსაგერები,
გულად არჩივე სიკეთე, მერმეღა სცნობდენ ერები,
და განაგდე უქმი საქნელი, არაში დასაწერები![446]

59. მოკლედ და კარგად ნათქვამი გულს გაახარებს, გონებსა,
კარგს ყური უგდე, ავ სიტყვას ერიდე, მოუწონებსა,
გლახაკს და მდაბალს პატივეც, მისცემდე შესაწონებსა!
და რად უგვიანებ წყალობას სამსახურისა მქონებსა?![447]

60. ნუ ხარ სამართლის მოზარე, ნურცა სულ მარტო მჯდომარე:
ჯდა მეფე ვინმე უშჯულო, ყოველგან კელის მწდომარე,
მას მეფესავით არ მოგხვდეს, ვინც იყო ამის მდომარე: 1
და სამუდმოდ იჯდა მკეველთან ფეკისა გაუდგომარე.[448]

სხვადასხვა აუტუდება. მაშ, დღეს ორმოცამდის აქვს გემო, თორემ მას უკან მისი მსგავსია, კაცი კიბეზე აყიდეს და თავს გზა აღარ ეყოს და ისევ ჩამობრუნდეს.

[446] **სტრ. 58**: შვილო, თუ ხელმწიფე იყო, ფარსაგი იყავ, ამით რომ ავკაცობისაგან შენი თვალი და ხელი შეინახე! კაცისათვის რომ ნამუსი გინდოდეს, ჯერ შენს გუნებაში გაარიგე და მერმე სხვას უთხარ! რაცა თქვა, მართალი თქვი!

[447] **სტრ. 59**: შვილო, ცოტა თქვი და კარგი, და, რასაც კარეს სიტყვას გაიგონებდე, ყურს უგდებდე. ავს ყური აარიდე! შვილო, გლახაკნი და დაყრდომილნი გებრალებოდეს და გაიკითხევდე! შვილო, კაცმა რომ გმსახუროს, იმის სამსახურს ნუ შეირჩენ!

[448] **სტრ. 60–63**: სამართლის მოზარე ნუ ხარ, ნურც სულ ხალვათად დაჯდები, თორემ სულთან მახოსაეით დაგემართება!

სულთან მახო დიად კარეი ხელმწიფე იყო. ერთი თავისი მხევალი შეიყვარა და შინ ყოფნას დაეჩვია. რა მისი გამოუსვლელობა ვეზირთა და მისთა კარისკაცთა ნახეს, ავკაცობა დაიწყეს. ერთ დღეს ერთმა დედაკაცმა ხელმწიფის მაგიერად მოხელეთ შემოსჩივლა. ხელმწიფემ ბრძანება მისცა გარიგებისა და, რა მოხელეთ მიუტანეს, არ იწიგნეს. მიეიდა და კიდევ ხელმწიფეს შემოსჩივლა და (ხელმწიფემ) კიდევ წიგნის მიცემა ბრძანა. დედაკაცმა მოახსენა: წიგნი მქონდა, მაგრამ შენი წიგნი არ იწიგნესო. ბრძანა: მაშ, რა ქნაო? დედაკაცმა მოახსენა: ხელმწიფე ბედნიერად ბრძანდებოდეს, მაგის წამალს მოვახსენებო. მამული ამდენი იქონიეთ, რომ მოვლა შეიძლოთ და თქვენი ბრძანება გაეიდეს, შენც მოისვენე და ჩვენ საბრალოებსაც ბალი აღარ დაგვემართებაო. რა ხელმწიფემ ეს მოისმინა, ფიქრში ჩავარდა. ბრძანა: მეძინა და გამაღვიძეო. გამოვიდა და მოხელეებს გაუწურა და თავები დააურევინა, ქვეყანამაც მოისვენა.

მაშ, რადგან ეს ასეა, შენ ვეზირს აღვილად ნუ აჰქვები, რომ არამც გიმაბუნოს!

61. მოკელეთაგან შესჩივლა ქალმა ქვრიობით მყოფელმან;
ბრძანება მისცა, უსაჯონ სამსჯავროშია მფლობელმან.
კვლავე შესჩივლა მეორედ ბედისა დამაგმობელმან; 2
და უბრძანა კიდევ ბრძანების მიცემა გაუგნებელმან.

62. ჰკადრა: „ძოღანცა მიბოძე, არა აქვს გასაგონელად“.
— „მეტი რა გიყო მაგისგან უმჯობე მოსაგონებლად?“
— „წამალს გასწავლი, — შეჰკადრა მან თავის გასაწყრომელად, 3
და — რაერთის მოვლა შეგეძლოს, იმთენს თემს ექმენ მქონელად!“

63. რა მეფეს ესმა, განიფრთხო ვითა მძინარმა ძილადო,
იგ მოკელენი დაკოცა, მისცა მათ მათსა წილადო; 4
ქვეყანა სრულად დაწყნარდა, აღარვინ იყო მცილადო.,
და ამად არა კამს მინდობა ვეზირთა დაუცილადო!

64. მეფეთა ცოტა გაცემა უკადრად დასამზერია,
არ უნდა ბძანონ სიტყვითა ცოტა რამ დასაჯერია, 1
რა ღვარი აღტყდეს, სულ მორწყოს ტყე, მინდორი და სერია,
და ასე კამს მათი სიუხვე, ყოველგან დასაწერია![449]

65. ერთს მეფეს ვახლდი რვას წელსა, სამი რამ სჭირდა სრულადო:
ორას ფლურს ქვეით არ გასცის, რაც რამე გამოკრულადო;
კბილს არ იჩენდის სიცილში, ეთქვათ რამ საცრუულადო; 2
და ვერც ვნახე გაჯავრებული, გინების აღმასრულადო[450].

66. არ არი წესი მეფისა, ყმით იყოს დანამთვრალები,
მტერს დაფარულად მტერობდეს, ჰქონდესცა დიდი ბრალები;
პირისპირ ძალუც საქნელად საქმენი დაუმცრალები,
და უკადრისია დიადად ქურდობით განამწყრალები![451]

---

[449] **სტრ. 64**: შვილო, ხელმწიფემ ცოტა გაცემა არ უნდა იკადროს და არც შენს ენას ცოტას გაცემა არ ათქმევინო!

[450] **სტრ. 65**: რვა წელს სულთან მავდოსთან ვიყავ. სამი საქმე სჭირდა: ერთი ეს, რომ ცოტას არ გასცემდის, ორას დინარს ქვეით თავის ენას არ ათქმევინებდა. საჯაროდ ასეთს არ გაიცინებდა, რომ კბილი გამოსჩენოდა, და არც ასე გაჯავრდებოდა, რომ კაცისათვის შეეცინებინა.

[451] **სტრ. 66**: შვილო, ხელმწიფე ყმით მთვრალი ხამს, რომ არ იყოს! შვილო, შენი მტერი ხელმწიფე იყოს და სხვას მალვით ნუ ემტერები, თუ შეგეძლოს, ჰირდაპირ ემტერე!

თქმა პელმწიფეთა სამსახურისათვის

67. ხედავთ, ტრფიალნო, გამოდით გაზაფხულისა არესო,
ვარდსა ლახვრისა მსობელსა, რომელს მიჯნურსა არ ესო?
ყვავილსა ფერად-ფერებში, ეს თუ არავინ არესო,
და იმას უამოდ რას ვაქნევ, სამსალის უფრო მწარესო?!

68. აწ გაგიცხადო მსახურთა მეფეთა სამსახურისა:
რაზომ მიგწიოს, შორ დადეგ სასურსა მოსასურისა!
იყავ ბრძანების მორჩილი მძლავრისა, უსუსურისა,
და სიფთხილით მონე დღითი-დღე, მატებდე დასაშურისა![452]

69. კელმწიფეთაგან რა მოგხვდეს პატივი განადიდები,
მაშინ ეკრძალე უფროსად, შიშობდე მონარიდები!
თუ ავი რამე ურჩივე, შენც მალე ჩამომცირდები;
და მტრის მორევისა არმდომი სიცრუეს გაუფრთხილდები![453]

70. არად ვარგა, კაცი იყოს მეორისა ვისმე მძრახლად,
სხვისა ვისმე საქონელი ნამალევად მისდევს სახლად,
უთხრას რამე ავი სიტყვა, ნაძველევი განაახლად,
და მოგაშორებს ამგვარები, ვეღარა ჰქნა დასამძახლად![454]

71. ბრძენთა სიტყვა, მეფეთ წყრომა ნუ გონია სალაღობი,
ცოდნა კაცსა გაათარხნებს, ზღუდე არის მოსაღობი!
ხუთი უნდა თარხანს სჭირდეს მათის გულის დასალღობი: 1
და პირველ ესე, — თვალი, ყური, გულიც მათგან მოულობი[455].

აღექსანდრეს მოახსენეს: შენს მტერს ღამე დაეძინათ თავსაო. ბრძანა: ქურდობა ხელმწიფეთ წესი არ არისო.

[452] **სტრ. 68**: შვილო, თუ ხელმწიფემ ახლოს მოგიწიოს, შენ შორს დადეგ. სამსახურს ნუ ეაქცევი. დღე ყოველ სამსახურს უმატე და ფრთხილად იყავ!

[453] **სტრ. 69**: შვილო, ხელმწიფე რა კინდ ეწუალობდეს, მაინც მოკრძალე და მოშიში იყავ! შვილო, შენს ხელმწიფეს კარგის მეტს ნურას ურჩევ, თორემ, თუ ავს ურჩევ, შენც ავი არ აგცილდება!

[454] **სტრ. 70**: შვილო, კაცს ნუ დასძრახამ, თავისას ნურას მოჰპარავ და ნურც ავს ქართულს ეტყევი!

[455] **სტრ. 71–75**: შვილო, ხელმწიფეთ წერომა და მცოდნეთ სიტყვა ნუ გეხუმრების! ცოდნა თარხნობაა, მაგრამ ასეთი კაცი უნდა, ეს ხუთი საქმე სჭირდეს: ჰირველად ესე, რომ თვალი და ეური და გული ხელმწიფეზედ უნდა ეჭიროს, თუ წამს რასა ბრძანებს, მეორედ, — ავი

72. ეს სამი ჰქონდეს მუდამად კელმწიფეზედა მზერელი,
ამ წამ რა ბძანოს, რა სწადდეს, რისაცა იყოს მჭერელი.
მეორედ, — იყოს შვენებით მხატვართა დასაწერელი,
და რომ არ შესძულდეს ნახვაზე, არ ექნას მიწყივ მზვერელი.

73. მესამედ, — მეფეთ წინაშე საჩენი ყველა რამენი:
წიგნი, შაირი, კაი კმა, ხუმრობა სასიამენი;
ვარსკვლავთრიცხვა და გამოთქმა, მისი რამ შესაწამენი, —
და წადილისებრივ იქმოდეს, როს იყოს მისი ჟამენი.

74. მკედრად ვარგიყოს, სამკედრო იცოდეს ყოვლი ზნენია,
ლაშქრობის დროსა სალაშქრო, რაც მისი გასაგნენია,
ნადირობისა, რაც არი, წესი და შესამცნენია,
და არ დარჩეს უკან საქმეში უცოდინ-უამენია.

75. რა კელმწიფე თავის წინა იჯდეს, ახლდეს არავინ და,
მას შეეძლოს გარიგება, წესი ნუმცა დაუცვინდა,
რჩევა ჰკადროს, რა უბძანოს: „ესე საქმე ასე გვინდა“.
და კარგი ჰქონდეს სამუდამოდ, არაოდეს შეუძვინდა.

76. უნდა იცოდეს მეჯლიშის წესი და მართებულები,
იმ ვეზირსავით არ მიხვდეს საქმენი დაკარგულები:
იჯდა კელმწიფე, გვერდთ ახლდა ვეზირი მიახლულები,
და მელვინეები გაასხა, მით გაიხაროს გულები[456].

სანახავი არ იყოს, თორემ ხელმწიფეს შესძულდება. მესამე, — ხელმწიფეთ სათვალო უოველი ზნეობა ცოტ-ცოტა უნდა იცოდეს: წიუნი, შაირი, რამლი, კარგი ხმა უნდა ჰქონდეს. ხუმრობა ასეთი უნდა იცოდეს, რაც სთქვას, მარილიანი იყოს. სახელმწიფო წიგნები უნდა იცოდეს, ცხენოსნად ვარგიყოს. ხელმწიფე ხალვათათ რომ იჯდეს და სხვას გამრიგეს არ შეესვლებოდეს, გარიგება უნდა შეიძლოს და რჩევა. ბაზიერობა უნდა იცოდეს, რადგან ამგვარი იქნება, ხელმწიფუთაგან წვალობას იშოვნის და დღე უოველ სიდიდეს მოიმატებს.

[456] **სტრ. 76–78**: მეჯლიშის თავაზა თუ არ იცის, იმასაც ეაზი აბდულ მელიქსავით დაემარცხება: ასე რომ, ეაზი აბდული მელიქი მამუხალიფასთან სვემდა. მელვინენი გამოაუვანინა ხელმწიფემ და, რა ეაზი აბდულ მელიქმა ნახა, თვალი უუო. ხალიფამ თვალი შეასწრა. ჰკითხა: შენს თვალს რა დაემართაო. დაღონდა ეაზი აბდულ მელიქი და მოახსენა: რაღაც დამემართა, არ ვიცი, და თვალი ისეე (დახუჭული) დაიჭირა და მას დღეს უკან,

77. ვეზირმა მთვრალმა რა ნახა, თვალს უზამს შენამზერებსა,
მეფემ რქვა: „თვალსა რა გიჭირს, რომ აგრე განარჩენობსა?“
– „*მეცა არ ვიცი*, – შეჰკადრა, – *რას მივხვდი გასაშტეროსა*“. 2
და აქვს თვალი მრუდად მზერელი თავის თავისა მტეროსა.

78. სიკვდილამდე ეგრე ჰქონდა მას უცებსა თვალი მზერად,
ვერ მოშლიდის, კაცთა წინა მდგომი იყო ანუ მწერად;
ამით მორჩა რისხვისაგან, სასიკვდილოდ დასაჭერად; 3
და კაცს გაუკდის აჩქარება დღესა მისსა დაუბერად!

თქმა მდივანთათვის

79. ძმასა რა არგო, სად ემწო, ანუ თუ დასცა დარია?!
ანუ სოფლისა სიმდიდრე ბევრს ვისმე დასცა, დარია,
ვინ მორჩა სიმუხთლისაგან, არავინ დასცა, დარია,
და ბოლოს ყოველი მუხთალმან ანაზდად დასცა და რია.

80. მდივანს მართებს ყოვლი ენა საცოდნელად, დასაწერად,
სიტყვა ჰქონდეს საკელმწიფო შესაკადრი შესაფერად,
ცოდნა სრული, უნაკლულო, სასაქმოში დასაჯერად,
და მეჯლიშსა და ლაღობაში შვენიერი სამზერელად[457].

81. ჯდომა, დგომა და წადგომა, თავაზა საქებელები,
ტურფა მწერალი, წერილი საამოდ სასმენელები,
რა წიგნის თავი ამოსცნოს, ბოლოც სცნას საამბელები,
და მალ პოოს მისი პასუხი საჭირო, გასაძნელები.

82. მეფემ მისწერა ერთს მეფეს ამბავი შეუგნებელი:
„ჰაერზე სახლი–სამყოფი ჩემთვის ქენ ასაგებელი,

სანამდის ცოცხალი იყო, ის თვალი ვეღარ გაახილა. ამ გზით ხელმწიფესა და ყოველს კაცთან თავი იმართლა.

[457] **სტრ. 80–81**: შვილო, მდივანი ასე უნდა, ყოველი ენა იცოდეს, სიტყვა ხელმწიფის საკადრისი ჰქონდეს. ცოდნა სრული იყოს, მეჯლიშის რიგი უნდა იცოდეს. ადგომა, დაჯდომა, დადგომა თავაზით იცოდეს. კარგი მწერალი იყოს, სიტყვის თავი რომ წაიკითხოს და ან გაიგონოს, ბოლო უნდა შეიტყოს.

ვერა ქნა, თემი მიბოძე, ჩემის თემისა მხლებელი,
და თვარემ გაახლო ლაშკარი საბრძოლად შეუძლებელი!“[458]

83. რა მივიდენ მოციქულნი, მეფეს ჰკადრეს დანაპირი,
თავდაზრილი იგონებდა, ველარ გახსნა სათქმლად პირი;
ჰყვა მდივანი სიბრძნით საესე, უკიდური, უნაპირი,
და ჰკადრა: „ხანი დამაცალე, მასვე მივსცე მისი ჭირი!“

84. კვლა დააბრუნეს დესპანი, შესთვალეს მიუწერესა:
„კალატოზებსა გაახლებ ხანს უკან, დასაჯერესა“.
რა ის წავიდა, მდივანი შეუდგა მას სამტერესა,
და გასწვართა ოთხი არწივი ზესთა ამსელელად ზერესა.

---

[458] სტრ. 82–88. H–180: ... მოუწოდა ესპე კაცთა, მფრინველთა მებადურთა, და უბრძანა მათ დაჭირვა ოთხთა ორბთა. და რაჟამს მოგვარნეს მას ორბნი იგი, კამოზრდიდა მათ და ასწავლიდა, ...ვ(ითარმე)დ ურმანი მოეკიდებოდიან კელითა ორბთა მათ ფერთა და აღეიდოდიან სიმაღლესა, ვიდრემდის ენებათ ურმათა მათ, კინა ზე მაღლად, ანუ ქვე მდაბლად მიწად. და რაჟამს წარეღა ზამთარი იგი და მოიწია გაზაფხული, მოემზადა ესპე წესისაებრ საგზაოდ და წარიეგანა მისთანა ურმანი იგი ორბებითურთ და წარვიდა ეგვიპტედ.... რათა უქმნას ეგვიპტელთა საკვირველი. ხ(ოლო) ნეგტანიბოს რა ესმა მისელა ესპესი, ჰრქვა მეგობართა თ(ვის)თა: „შეიპყარით ბადითა!“ და ბრძანა... მოეგებნა ესპესი წ(ინაშ)ე თ(ვი)სსა... მეორე დღესა... ბრძანა ნეგტანიბოს: „ვხედავ მე, ვ(ითარმე)დ არა არს წ(ინამ)ე მეფობისა ჩემისა ლიკირიოს“. ხ(ოლო) ესპე განიცინა და თქვა: „ნუ ბრძანებ უკეთესსა ამისთ(ვი)ს, მ, მეფეო, ვინათგან ხამეფოსა შენსა ჩანს რა მეფობა შენი, ~~უკეთესსა~~ იგიცა ჩანს სამეფოსა შ(ინ)ა თ(ვი)სსა. ა(რამე)დ უკეთუ იეოთ ერთად, მკონიეს მე, ვ(ითარმე)დ სოფელი ესე კამოჩნდეს ბნელად“. ესმა რა ნეგტანიბოს სიტყვა ესპესი, განკვირდა და მეუსეულად ჰრქვა ესპეს: „მოიეგანა კალატოზნი, რათა აღმიშენოს კოდოლი!“ მიუგო ესპე და ჰრქვა: „მზანი არ(ინ) ვ(ეგე)ლნივე, არ(ამე)დ გვიჩვენენ ჩვენ ადგილი იგი, სადაცა გეგულების აღშენება“. ამისა შ(ემდგომა)დ კანვიდა მეფე გარეშე ქალაქით მინდორსა ერთსა და უჩვენა მას ადგილი იგი და განუზომა. მაშინ ესპემ მოიეგანნა ორბნი იგი ოთხნი კიდითგან, რ(მე)ლიცა უჩვენა მათ მეფემან, ერთბამად ოთხითავე მით ურმებითა და ეჰურათ კელთა საეალატოზნი იგი იარაღნი და უბრძანა მათ ზე აღფრენა და, ვითარცა აღიეგანეს სიმაღლედ შ(იმა)რთ ურმანი იგი ორბთა მათ, ღაღადებდეს და იტეოდეს, ვ(ითარმე)დ „სადა უკეე ვჰოეო მე ეგევ(ითა)რნი კაცნი, რათა აქვნდეს მათ ფრთენი ფრენად, რათამცა მისცეს მათ რაოდენიცა უამდესთ აღსაშენებლად?!“ მიუგო მას ესპე და ჰრქუა; ვ(ითარმე)დ „ჰეაეს უკეე ლიკიროზს და არა შენ ხარა კაცი იგი ბოროტად მძლეველი მეფისა დიდისა ... “ (გვ. 34 r–v)...და მერმე ბრძანა ნეგტანიბოს: „ნეტარ არს ლიკირიოზ, რ(ომე)ლსა უვის ესეგ(ითა)რი ბრძენი სამეფოსა შინა თ(ვი)სსა“ (გვ. 36 r).

85. სამი ზედ შესსა ყმაწვილი, ამა სიტყვისა მკმობელად:
„მომეც კირი და აგური ჩქარ-ჩქარად, დაუკლებელად!“
რა გასწრთვნა, თვითცა წავიდა, იგიც თანა ჰყვის მხლებელად,
და მივიდა მათსა ადგილსა, პირობის უცილებელად.

86. ჰკადრა: „გაახლოთ მეფემან ჰაერზე სახლის მგებელი,
ხვალ კელსა მივყოფ აგებად, თუ მეფე არი მნებელი“.
უბრძანა: „კარგი იქნება!“ჰკვირობდენ გაუგნებელი.
და რა მზე აღმოკდა, მეიდანს გავიდა უქენებელი.

87. აუშვა იგი არწივნი, ყრმანი ზედ იყვნენ მჯდომელი,
ჰაერთ სიმაღლედ ავიდენ, ჰკვირობდენ მუნა მდგომელი;
ყრმანი მას სიტყვას იძახდენ, რაცა ესწავლა რომელი;
და გაცუდდენ, რადგან ვერ მისცეს მას მისი მოსანდომელი.

88. ჰკადრა მდივანმა: „უბოძეთ, მასალა მოსაკმარენი!“
მათ ვერაფერი ვერა ქნეს მისაწდომ-მისაკარენი;
გაშეელდენ, დადგენ თავისთვის, გული დაუტკბათ მწარენი,
და მდივანს მრავალი უბოძეს, მან წავლო მისვე მხარენი.

თხრობა ვეზირთათვის

89. თუ აქვს სოფელსა სიმაღლე ზეცამდი მისაწდომელად,
ბოლოს დაუშვებს ძლიერად ქვესკნელად ჩასაკდომელად,
საჭვრეტლად გახდის საბრალოდ და არარისა მდომელად,
და თოკი გაწყდება რჩევისა მისაწდომ-მისახდომელად.

90. რა როგორ ღირს, რიცხვთა ცოდნა ვეზირთაა მოსახმარი,
კელმწიფეთა ქცევა-წესი არა მართებს განამხმარი,
ქ ვეყნის მოვლა, გარიგება, რაც უჯობდეს მოსაქმარი,
და მეფეთ წინა მართლის მთქმელი, უტყუარი, უუქმარი[459].

---

[459] **სტრ. 90**: შვილო, ვეზირს უხმს, რომ კარგი მოანგარიშე იყვეს. ეოყლისფყრის აღებ-მიცემის ცოდნა უნდა ჰქონდეს. ხელმწიფური რიცხვის ყველასი მწყე მცოდნე უნდა იყოს, ქვეყნის გარიგება შეუძლოს, თავის ხელმწიფესთან სწორე და მართალი უნდა იყოს.

91. შეშას არ გამოიმეტებ, მწვადი დარჩების უმადო,
კარისკაცს კელს ნუ შეუკრავ ცხადად და დასაჩუმადო!
თუ რასმე სჭამდეს საჭმელსა, საჯაროდ– ანუ მდუმადო,
და ორის თითითა იკმიოს, არ დარჩეს გასამგუმადო![460]

92. ვით იქცეოდეს მეფესთან, ჯარში ხამს აგრე ქცევანი,
ნუ ეძებს ცოტას საძებსა, უფრო მიხვდება რევანი!
კბილს დანარჩომმა საჭმელმა მუცელს ვერ მისცეს წევანი;
და სარგებელს ექნას სასწორით ზიანი, დამაძლევანი![461].

93. გწადს რადგან მეფეთ მოსავლის სიმრავლე, შემატებანი,
რუ გამოიღევ, უშენთა უყავ ზე აშენებანი!
მეფისგან საზდოს ნუ უჭრი, რაზომცა გქონდეს ნებანი! –
და ღმერთს შესტირებენ, არ არი ერთგულებისა მცნებანი.[462]

94. კელმწიფემ ვინმე წაართვა ვეზირსა ვეზირობანი,
უბრძანა: „მთხოვე ადგილი, გქონდეს ნებისად პყრობანი!“
ჰკადრა: „ნასოფლის ადგილის მიბოძეთ საურობანი“. 1
და ბრძანა: „მოძებნეთ, მიეცით, იწადა უფროსობანი!“[463]

---

[460] **სტრ. 91**: კარის კაცთა და მოხელეთ ხელი არ უნდა შეუკრას! თუ შეშას არ გამოიმეტებ, მწვადი უმი დაგრჩება. თუ სჭამდეს, ორის თითით სჭამდეს, რომ ხელში არ დარჩეს.

[461] **სტრ. 92**. როგორც ხელმწიფესთან იქცეოდეს, იმგვარად ჯარში მოიქცეს! ცოტას ნუ ეძებ, რომ კბილში დარჩომილი ხორცი მუცელს ვერ კააძლებს. ზიანმა სარგებელს არ უნდა აჯობოს.

[462] **სტრ. 93**: თუ შესამატი გინდოდეს, რუ გამოიღე, ნაოხრები ააშენე, შემოსავალი ამაებით მოიმატე. ხელმწიფის ულუფა ჰური სხვათ არ ამოუკვეთო, ხელმწიფე წეკლაში ჩაეარდება და არც ერთგულების ნიშანი იქნების.

[463] **სტრ. 94–96**: სჰარსის ქვეყანას ერთმა ხელმწიფემ თავის ვეზირს ვეზირობა წაართვა და უბრძანა: ერთი ადგილი მთხოვე, რომ იქ მიხვიდე და შენთვის დარჩეო. ვეზირმა მოახსენა: მე ერთი ნაოხარი სოფელი მიბოძოს ხელმწიფემა, რომ იგი ავაშენო და ვიშუოფებოდე. აშენებული რომ ხელმწიფემ მიბოძოს, არ მინდაო. რა ხელმწიფემ ეს მოისმინა, კარისკაცთა უბრძანა: ერთი ნაოხარი სოფელი მოუძებნეთ და მიეცითო. კაცზავნეს კაცნი, მოძებნეს და ნაოხარი სოფელი მის ადგილში აღარ იყო და ვერ უშოვნეს. მოვიდნენ, ხელმწიფეს მოახსენეს: ნასოფლარი ვერსად ვიპოვეთო. რა ხელმწიფეს ეს მოხსენდა, იმ გამოცულილმა ვეზირმა მოახსენა: „ვეზირის სანაცულოდ არც მე მინდა ნაოხარი სოფელი, მაგრამ, როგორც აშენებული პომერთმიოს, ეს ჩემი სოფელი ასეთს კაცს უბოძეთ, რომ ასეც აშენებული მოკაბაროსო“. რა ხელმწიფემ ეს ცოდნა და ერთგულება ვეზირისა შეიტყო, ბოდიში მოიითხოვა, ხალათი უბოძა და ვეზირობა ისევ მისცა.

95. სძებნეს და ვერსად იპოვეს მას თემსა ნასოფლარები.
„სამეფოშია არ არის, — ჰკადრეს, — მაგგვარი არები“.
უთხრა ვეზირმა: „არც მე მწადს სანაცვლოდ მაგის გვარები,
Და ასეთს კაცს მიეც, ჩემსავით ქნას მანცა მონაბარები“.

96. რა ეს სცნა მეფემ, ვეზირთან ბოდიშის მომთხოველობდა,
ვეზირობაზე სხვაც ბევრი მისცა და მიამთვლელობდა.
სჯობს საქმის სწორად დაჭერა, სიმრუდით რათა მვლელობდა?
Და სჯიდე წყალობით, გასინჯვით, ნურავის გულსა მწველობდა!

97. მშვიდობა გინდა? — მეფისა შიში გქონდეს და რიდები,
რა გინდ რომ იყოს ყმაწვილი, დამდაბლდი, ნუ ედიდები!
იხვის ბარტყს სწავლა არ უნდა ცურვისა, არცა კიდები,
Და აგრევ მეფეთა ნაშობმა იკიდოს ასაკიდები![464]

98. რადგან ასეა, შეგიტყობს, როსცაა კარგს და ავებსა,
მოგაგებს შენსა პასუხსა, ნაქნარსა, ნასადავებსა;
სადაც წავიდენ მეფენი, ნუ შორავ მოსადავებსა,
Და თვარემე მტერი გიპოვნის დროს რასმე გასათავებსა[465].

99. კაცს რომ მის სარგოდ უნდოდეს საქმეში განარეობა,
სხვა არვინ უნდეს სამყოფად, რომ ეძლოს გასამხრეობა,
იპარევდეს და სხვისა რამ თავისად ჰქონდეს მრეობა, —
Და მეფეთ სახელსა წააკდენს, თემს მისცეს ჭირის მდრეობა[466].

100. ამგვარნი გვანან უდენ რუს, — წყალი ჩაუგდო მდენადო,
თვითონ შეისვამს, არ უშვებს, ცოტა ჩავიდეს ქვენადო,
ნადენს რუს მალე გაიცლის, ჩქარა და მოუწყენადო,

---

[464] სტრ. 97: საქმე სამართლითა, გასინჯვითა და მოწყალებით უნდა ჰქნა! თუ მშვიდობა გინდა, შენის ხელმწიფის მოშიშარი იყავ! თუ ხელმწიფე ემაწვილი იყოს, ნუ გათამამდები! როგორც წულის ფრინველის ბარტყი ცურვას უსწავლელად ისწავლის, ეგრეთვე ხელმწიფის შვილნი სწავლასა.

[465] **სტრ. 98**: მაშ, რადგან ასეა, როდესაც არის, შენს სიკეთეს და სიავეს შეიტყობს. სადაც ხელმწიფე წავიდეს, ნუ გაეკრები, რომ შენმა მტერმა შენი ავი არ მოახსენოს!

[466] **სტრ. 99**: კაცი რომ თავის სარგებლისათვის საქმეში ერეოდეს, სხვა კაცი არ უნდა უნდოდეს, თავისთვის მიჰქონდეს სხვისა და თავისად დაანდეს, — ამისთანა კაცი ნუ გინდა, ხელმწიფის სახელის მთხრელი და ქვეყნის საწუეარი იქნება!

და მით მაძღარია სისველით ძირსა, ბოლოს და ზენადო[467].

101. სპარსთ მეფემ ერთს კაცს უბოძა სამთავროდ სამარყანდია,
რა მუკლს აკოცა მან კაცმა, ჰკადრა ეს შეუგვანდია:
„რაც სამსახური მიბძანო, დანიშნე, გავიყვან დია!“ 1
და უბძანა: „პასუხს გიბძანებ, აცადე, აქა მყვანდია![468]

102. პასუხად გამოუვიდა: „სახლს იყავ ერთ წელ მჯდომარე“.
მისი სახელი სხვას მისცეს, ის დარჩა განამწყრომარე.
რა წელი წარკდა, მოიკმო, წარდგა წინაშე მდგომარე, 2
და უბრძანა: „პასუხს აწ გეტყვი, რისაცა იყავ მდომარე:

103. არ მართებს მეფეს, რომ იყოს მტყუანი, შეუძლებარი,
კლმით აძლევს მტერსა პასუხსა, ყმათაა ურცხვად მგებარი,
შენ რატომ მკადრე ეს სიტყვა უკადრი, შეუქებარი? 3
და აწე სცან, რომე არა ვარ ულონო, შეუგებარი!“

თქმა სპასალართათვის

104. რა ხანი წარველის, გარდავა სახელიც სახელოვანი,
იგივ უფროა სიგძითა სხვისაგან გასაძლოვანი,
რადგან არარა დაგვრჩება, ესე სჯობს ძალგულოვანი,
და მივდევდეთ მასვე სახელსა, შევიქნათ დასაგლოვანი!

---

[467] სტრ. 100: მაშ, რუში წყალი შეაღევე, თუ ნადინებია, მალ გაიყლის და, თუ შრალია, – ეყიან და წყალი იმას მოუნდება.

[468] **სტრ. 101–103**: შეილო, იო ხელმწიფე, აბულ ფაზალ ბალამი ერქვა. იმან ერთ კაცს სამარუანდის ბატონობა და ხალათი უბოძა. წასვლის დროს (კაცმა) ხალუათათ მოახსენა: ხელმწიფე როდესაც სამსახურს მიბრძანებდეს, ნიშანს დამიდებდეს, რომელი სამსახური ექნა და აეათაეოო. ხელმწიფემ უბრძანა: კარგად ამბობო, მაგრამ მოიცადეო, სანამდის ამისი ჰასუხი კიდევ ციბრძანოო. ხელმწიფისაგან მისთვის ჰასუხის მიცემა ეს იყო, შინ იყავ, წლამდის კარში ნუ გაჰოხვალო, და სამარუანდი, ერთი კაცი იყო იათაშვილი, იმას მისცა და გაისტუმრა. წელიწადი რომ გათავდა, საალა მოიხმო, უბრძანა: ჰასუხს ახლა გეტყვიო. შენ როგორ უღონო და მტუანი გეეონე, რომ ეს მომახსენე, შენი ბრძანება რომელი გავათაოო, ჩემი სიტყვის გათავება გინდოდა?! ხელმწიფეს ორი რიგი სიტყვა არ ეკადრების, ამისთვისა, რომ მტერს ხმლით ჰასუხს აძლევს და ეშისაგან არა რცხვენიან, რომელიც საქნელად უნდა, იმას ბრძანებს და გათავდების. შენი განმაძულება ამაზედ მოხდა, რომ მტუანი და შეუძლებელი სიტყვა მკადრეო.

105. მებრძოლს მართებს ქალწულება, არ შეუშვას სიძვა გულად,
არ უნდოდეს მოსვენება, გარჯით იყოს დადაგულად,
მართ აგრეთვე მორჩილება არ მიაჩნდეს მისა წყლულად,
და ნუ იქადი მამაცობას, თუ არა გჭირს ესე სრულად!

106. თუ გწადს, რომ იყო სპასპეტი, იყავ უხვი და მძლეველი,
მოლაშქრენია საშენოდ სულისა დამალეველი!
შენ რატომა გშურს წყალობა, რად არ ხარ ამის მკვლეველი? –
და რაც არ დასთესო სათესში, ვერ ჰპოო მოსაძლეველი![469]

107. რა საქმე აღარ მოგეშვას, უკან ნუ სდგები მშიშარი,
ადრე სჯობს მტრისა დასწრება ყოველი შესამუშარი,
რომ გიმზადებდეს ვახშამსა, სადილად შექენ მქუშარი.
და ცდითა და მოჭირვებითა მოგეცეს დასაშუშარი![470]

108. ომსა სისუსტე არ უნდა, თავისა დამზოგაობა,
არ მოგხვდეს საფლავის მეტად მოსვენებისა მგაობა,
ნუ მოისვენებ ცოცხალი, ნუ შეგდგამს არამგაობა,
და ან სახელი ჰქენ, ან მოკვდი, ცუდია სხვა იგაობა![471]

თქმა სტუმართათვის

109. ყვავილს სიცხე ააყვავებს, ყინვა დასძრავს, დაამჭკნარებს,
აგრევ კაცსა ეს სოფელი ბოლოდ ჭირად დაამთქნარებს,
ვერ გაიტანს მოსაკმარსა, თუ არ კარგის ნასაქმნარებს.
და პატივი და სიყვარული სულ აღმოფხვრის ეკალ-ნარებს.

---

[469] **სტრ. 106**: შვილო, სპასალარობაში ჯურად ძვირი ნუ იქნები, ამისთვის, რომ, თუ მოლაშქრეს შენთვის თავი და სული დაუძს, შენ მისთვის წუალობას რად დაიშურებ? რასაც წუალობას არ უზამ, მის მეტს არც ის ეცდების ომში.

[470] **სტრ. 107**: რა ხანც საქმე აღარ გეშვებოდეს, უკან ნუღარ დასდგები! რასაც საქმეს მტერს დაასწრებ, ის უმჯობესია. მტერს რომ შენთვის საღამოს მოხდომა განეზრახოს, შენ ეცადე, დაასწარ და სადილობას მიუხედ!

[471] **სტრ. 108**: ომში სუსტობა არ ვარგა და არც თავის დაზოგვა, ამიტომ რომ, რადგან კაცი საფლავში მისვლამდის ვერ მოისვენებს, ცოცხალმა არ უნდა მოისვენოს! მაშ, ეცადე, – ან მოკვდე და ან სახელი ჰქმნა!

110. დია კამს, სტუმრის თავაზა, დახდომა, გულის ჩვენება,
ყმა იყოს, გინა უმცროსი, პატივით მართებს ხსენება!
ყველრება არის, თუ უთხრა ეგეთი გასაწყენება:
და „უკაცრავათ ვარ, ვერ დაგხვდი, ვითა მწადდა და მენება“.[472]

111. შესწრფება, ლხინსა ვერ ნახავს ამგვარის სიტყვის სმენითა;
მასპინძელს მართებს სტუმარზე საქმით, სიტყვით და ენითა –
მდაბალი მაღლა ასწიოს სიტყვითა მოუწყენითა,
და უშურველად მისცეს, რაც სწადდეს, საქმითა შეუქენითა!

112. ბასრა უბოძა ერთს კაცსა მეფემ, არაბთა მფლობელმან,
მრავალი მეფეთ ხაზინა შეჯამა დასაგმობელმან;
რა სცნეს, მოიკმეს, უბრძანეს: „რასთვის ქენ მიუნდობელმან?“ 1
და „ანგარიშშია დაატყდა“, – თქვა მწუხრად გაუგებელმან.[473]

113. თვე ერთი სთხოვა, მაცალეთ, თქვენსა მოგართმევ სრულადო,
მათ მოუსმინეს, გაგზავნეს თვით სახლსა შენახულადო;
რა თვე გათავდა, მოიკმეს, სთხოვდენ სულ უნაკლულადო; 2
და თქვა: „სრულად მომირთმევია, რაც იყო ჩემზე თქმულადო.

114. *თეთრი არ მოგეც, თვე არის, ვარ შენსა სახლსა მჯდომელი,*
პურის ცოხნამა შემიქნა კბილები დაუდგომელი“.
რა მეფეს ესმა, იამა, სტუმრად ყოფილა მცხრომელი: 3
და „სტუმარს სხვა მეტი რა ვკადროთ, – მივართვათ მისანდომელი!“

---

[472] **სტრ. 110–111**: შვილო, სტუმარს თავაზით დახდომა უნდა, რა კინდ შენი ეშა იყოს! ბოდიშს ნუ მოითხოვ, ავად დაგხვდიო, თორემ საეჭვური იქნების და არამც შენ სიტეჟაზედ შესწრბეს და ვერა ჭამოს რა. სტუმარი ცოტა დიდად უნდა გამოაჩინო!

[473] **სტრ. 112–115**: იბნ იმოლალ დიდი კაცი იყო. იამანელს მასურის შვილს ნასრი ერქვა. ბასრას გაგზავნა და ბევრი საქონელი შეუჯამა. მერმე ანგარიში გამოართვა. რაც დაატეხა, მოახსენა, ერთ თვეს უკან მოგართმეო. ერთ თვეს დაჭირილი ჰკვანდა და იმის სახლში ჰურსა სჭამდა. ერთ თვეს უკან მოახსენა: შენი ვალი გარდამიხდიაო. (იბნ იმოლალმა ნასრი) სამართალში წასწია და მან დაჭირილმა თქვა: თეთრი არ მიმიცია, მაგრამ გარდამიხდიაო. ჰკითხეს: როგორაო? მან მოახსენა: ერთი თვე არის, შენი ჰურის ჭამამ კბილები დამაცვითაო და ეს ჩემი კბილების ქირა იყოსო. მას კაცს გაეცინა, იამა და უთხრა: მიჰატივებიაო! ჩემი სტუმარი ეოფილხარ და სტუმარს უფროსიც დაეთმობაო.

115. მით აპატივა ყოველი, სტუმრად რომა თქვა თავია,
ჩააროვინა ერთპირად, რაც ჰქონდა დასადთავია,
წავიდა სახლსა მშვიდობით მადლობის გამათავია. 4
და ვინც მასპინძლობა არ იცის, რისა ვთქვათ შესართავია?!

თქმა სიყვარულისათვის

116. მღთით, სვემან და მოჭირვებამ წარმიმართა ამა სამა,
ერთმა სოფლის მოსავალმა ცუდად რამე ამასამა,
აწ გამკადა სოფლის მგმობლად ჭირმა ჩემა ამ ასამა,
და ვერვინ ჰპოოს სოფელშია საამბობლად ამას ამა.

117. ნახეთ, მოციქულთ წერილი სიყვარულს როგორ ზრახებსა!
თვით მას მოქმედს და უქმედსა სიყვარულს დაასახებსა,
ამით გვაქადის მორჩენას მას ძნელსა დასაახებსა,
დ თავსა დაგხურავს გვირგვინსა თვალთაგან დაუნახებსა.

118. გიყვარდეს ასე მოყვასი, რაცა გწადს შენ საქნელადო,
მტერი იყოს თუ მოყვარე, მეტი ნუ გინდა ძნელადო!
ნუ საქმით, ნურცა რჩევითა, ნურც სიტყვის გამომთქმელადო;
და სხვისგან შენ აკი, სხვამ შენგან ვერ ჰპოოთ მოსაველელადო.

თქმა საქონლის შეკრებისათვის

119. ბევრი დავთესე ყვავილნი სურნელებისა ფშოვანი,
გავმარგლე, მოვრწყე, გავაწყე, კარი არ უყავ მხშოვანი,
ყურისა ხარბად სასმენი, გულისა შესაშოვანი.
და გარე ნუ უვლით, შიგ შედით, მიიღეთ მოსაშოვანი.

120. ნუ აგროვებ საქონელსა, ნურც გაუშვებ, გახდე გლახად,
ღარიბს მიეც, დავრდომილსა, ნურას აძლევ მდიდარს ნახად.
რად დახარჯავ ცუდად რასმე, უსარვაგოს გამოსახად?

და გარჯას თავსა ნუ არიდებ, ვერ აღრაცხო განძი სახად![474]

121. ნუ სჭმუნავ, გამხიარულდი, თეთრი მალ მოიგებისა!
თეთრი მწვედ საყვარელია და გული მიეგებისა;
გლახა უფროსად გიყვარდეს, სხვა რამე მოგეგებისა,
და არვის შერჩება სიმდიდრე, გარდიელის, არ დადგებისა![475]

122. რაცა მოგეცეს განგებით, დასჯერდი დასაჯერებსა,
ადგილს დახარჯე სახარჯი, ნუ ასწევ მეტსა ზერებსა;
გარიგდებოდეს უქრთამოდ, ნუ აძლევ ცუდად მწერებსა,
და დახარჯე, სადაც გმართებდეს, არ მიხვდე დასაჭერებსა![476]

123. ნუ ეწყობი მდიდარს, იყოს უამებლად, კაცთა შურად,
ერთი თავის სიღარიბით გაგეჩვენოს სამსახურად,
მალე მიეც, ნუ შეარჩენ, მაგიერი დასაშურად,
და გული ასრე აღუსრულე, არა თქვას რა უხამსურად![477]

124. ძვირი იეფად იყიდოს, კაცსა მწვე იამებისა,
სასუფეველი იყიდე აღსასრულებად ნებისა!
ნაკლები არის ნაკლები, მეტი – მიმცემი ვნებისა,
და შუას გზაზედა მავალსა გზა მიხვდა გასაგნებისა![478]

---

[474] **სტრ. 120**: შვილო, საქონლის შემოგროვებას თავს ნუ მისცემ და ნურც სულ კაუშვებ, რომ ღარიბი იყო! რომელიც მდიდარი და შქონე იყოს, (დოვლათს) იმას ნუ მისცემ; ვინც ღარიბად იყოს, იმას მისცემდე! ცარიელად ნუ კაუშვებ ღარიბსა! უბრალოს ალავს ნურას გასცემ! შვილო, გარჯა ნუ გეზარება, მდიდარი შეიქნები!

[475] **სტრ. 121**: მხიარულად იყავი, საქონელს იმოუნი! თეთრი საყვარელი არის, მაგრამ ღარიბი კაცი უფრო უნდა შეიყვარო! საქონელი არავის შერჩების.

[476] **სტრ. 122**: საქონელი დახარჯეითაც ადგილს უნდა დახარჯო. რაც გქონდეს, იმას დასჯერდი! საქმე რომ კარგის სიტყვით ვარიგდეს, ქრთამს ნუ გაიღებ!

[477] **სტრ. 123**: ღარიბი ნუ გძულს, რომ არ გაწუინოს და მდიდარი ნუ გიყვარს, რომელიც მაამებელი არ იყოს! კაცი რომ თავისის სიღარიბით გმსახურებდეს, შენც გარდახდას ეცადე, რომ ალალი ათქმევინო!

[478] **სტრ. 124–125**: შვილო, სასყიდელი სააქაოს იყიდე, რომ იაფია! საქონელიც კარგია, მაგრამ მეტისმეტი იმას ჰგავს, რომ კარგად მნთებარს ჭრაქს ბევრი ქონი დაადვა, დაანელებს, და, თუ ზომიერია, კარგად აენთება. კიდევ გავს საქონელი წუალსა ზომიერსა: სარწუავს გაახარებს, ნამეტანი კიდევ გაახმობს ხესაცა და კაცის ჯირნახულსა ეაცუდებს.

125. ნათელს ჭრაქსა ბევრი ზეთი ვერ ანათლებს, დააბნელებს,
ხარბათ წყალი სარწყავს მისცე, მოსავალსა დაანელებს;
არგებს ყველას ზომიერი, საქმეს არას გააძნელებს,
და შუა გზა და შუა საქმე ავს არ მოგვრის მისა მქნელებს!

თქმა ანაბარის შენახვისათვის

126. ბრალი არი წასაკდენად მაღლა სარო ანაზარდი,
ქვე ზურმუხტად გამწვანული, დაცვარული გარე ვარდი,
ჩრდილი მისი მონაძული, გაგდებული, განავარდი,
და არვინ ჰყვანდეს კელის მყრელი, შესახვევი, შესაყვარდი.

127. ნუ მიიბარებ ანაბარს, თუ არ დიდისა ძნელობით,
თუ მიიბარო, ნუ აკლებ, იყავ ამასა მცდელობით;
ცოდვა არ არის ღ(მ)ერთის წინა უდიდეს შინა მვლელობით?
და ასე ძნელია ღალატი, სახლი შეგიქნას მცლელობით![479]

128. კაცი წავა დილაბნელსა აბანოსა საბანელად,
მოყვას(ს) უთხრა: „თან წამამყევ შენცა ამის გასაგნელად!“
— „გიახლები კარამდისი, — უთხრა, — *სევდის დასანელად*“. 1
და მიჰყვა, უკან გამობრუნდა გზასა მისსა მეტად ნელად[480].

---

[479] **სტრ. 127**: შვილო, თავად ანაბარს ნუ მიიბარებ და, თუ მიიბარო, ასე შეინახე, იმას არა დააკლდეს რა! ამანათი ძნელი არის.

[480] **სტრ. 128–132**: ერთი კაცი დილას, დამიანად, შინიდამ გამოვიდა და აბანოში მივიდოდა. თავის მოყვარე კაცი ნახა. მას უთხრა: იარე, აბანოში წავიდეთო! იმან უთხრა: აბანოს კარამდის გეახლები და მას უკან საქმე მაქვსო. იქამდის მიჰყვა და გაეყარა და თავის საქმეზედ წავიდა. მაგრამ (სწორედ ამ დროს შემსვლელს) ერთი ქურდი კაცი მიეწია. მან უკუნდა, ისევ ბნელი იყო. ასე ეგონა, ის ჩემი მოეყარე მომდევსო. უბეში თეთრი ჰქონდა, ამოიღო და მისცა. ასე უთხრა: ეს ჩემი ამანათი შემინახეო და, აბანოდან რომ გამოვიდე, ისევ მომეცო! ქურდმა თეთრი გამოართვა და იქიც დაჯდა. თეთრის ხატრონი რომ აბანოდან გამოვიდა, იმ ქურდის წინ გაიარა, ვერ იცნა. ქურდმა დაუძახა და უთხრა: ძმაო, შენი თეთრი გამომართვი, დღეს ამისთვის ჩემს საქმეს მოვცდიო. მან ჰკითხა: შენ ვინ ხარ ან ეს რა თეთრია და ან რა საქმე გქონდა, რომ მომცდარხარო? ქურდმა უთხრა: მე ქურდი ვარო, და შენი ამანათი მომბარე, აბანოში რომ შეხვედი. იმ კაცმა უთხრა: თუ ქურდი ხარ, ეს ჩემი თეთრი რატომ არ წაიღეო? ქურდმა ასე უთხრა: თუ ჩემის საქმით მეშოვნა, ასი

129. აბანოს კარსა მივიდა ის კაცი შემავალები,
მოყვსის ეგონა იქ ყოფნა, ქმნა საქმე შენაცვალები,
ჯიბიდან თეთრი მოიღო უნახად დაუთვალები:
და „ღ(მ)თის ანაბარი მიიღე, – უბნობს, – ეს დასავალები!“

130. მუნ ქურდი იდგა, მოულო, დაჯდა, მუნ კართა მცველობსა:
რა გამოვიდა ის კაცი, მასვე მას გზასა მვლელობსა,
ქურდმან უყივლა: „მობრუნდი, თეთრი წაიღე! – მთვლელობსა, –
და დღეს მოვსცდი ამა საქმითა საქმესა ჩემს საცდელობსა“.

131. ჰკითხეს: „ვინა ხარ?“ – „ კაცი ვარ, – უთხრა, – ქურდი, ვარ მპარავი“.
– „რად არ წაიღე ეს თეთრი, საშოვრად იყო არ ავი?“
– „ღვთის ანაბარზე სიმუხთლე ვით მექნა გასამწარავი?!
და თუ ჩემით ახად მეშონა, მქონოდა გასახარავი!“

132. ქურდიც ელტვის, რომე გესმას, საქმეს რასმე დასაბარსა:
არ იმუხთლო ანაბარზე, არვის მიჰყვე საუბარსა,
არკინა იქს ბრძენთაგანი, თავსა მისცემს დასაბარსა.
და თქმულა: „ მგელიც შეინახავს ცხვარსა მისსა მინაბარსა!“

თქმა მემშურნეობისათვის

133. გემუდარები, ნუ მიჩხრეკ ლექსისა სიგძე-განებსა,
ნურცა რუსთველსა მადარებ, ნურცაღა – ლექსთა სხვანებსა,
ზარდახანშია დასჭვრიტე თეთრსა, წითელსა, მწვანებსა,
და აღიღე, რაცა გეწადოს, ნუ ეძებ შეუგვანებსა!

134. შურით კაცისა წაკდენა ვისგან რა საუბნარია?!
მიტევება და დათმობა კარგი რამ საცოდნარია,
პირუტყვის მეტი ვინ არი, არ იყოს ამის მქნარია;
და არ გაურიოს საქმეში ეკალი ანუ ნარია![481]

ამდენიც რომ უოფილიუო, არ მოუცემდიო, მაგრამ ღვთის ამანათს ღალატობა არ უქნების, ვინც ამანათს არ შეინახავს, კაცი არ იქნებისო!

[481] სტრ. 134: შეილო, შურით უბრალო კაცს ნუ წაახდენ! რაგინდ დიდად შეუცოდოს კაცმა, მიუტევე!

135. ადამც არ დარჩა უცოდნი, პირველი კაცი ბრძენია,
სხვა ვინ დარჩების, სამს გარდა, ნაშობი მისი ძენია?
არ გცოდოს კაცმა საცოდი, მოსაძულ, გასაძენია,
და მოიქცეს, მალ მიუტევე, მცნებისა შესაძენია![482]

136. ჰყვა კელმწიფესა სამართლით ქვეყანა მომადლებული,
სიმშვიდითა და წყალობით გზისა მის დაუკლებელი,
მოართვეს ბევრი შემცოდე, სწყრებოდა გაალებული, 1
და ბრძანა და ზოგი დახოცეს სოფლისგან დანაკლებული[483].

137. დამშავეთაგან იზახდა: „მეფისა საცოდნარია,
ქება სამართლის ჩვენზედა ცუდ იყო საამბარია,
ეს მოგვივიდა შენს ჟამში, — სამარედ მისაბარია, 2
და უწყალო სხვას რას გვიზემდა, ულ(მ)რთო და უცებარია?!“

138. კელმწიფეს ესმა, უბრძანა: „გაუშვით, გაუტევენით!
არც მათ დავკოცდი, წინ გეთქვა, ვინც გახდენ ჭირის მწევენით“.
ასე ხამს მოწყალებანი, რომ იქნან მისასევენით; 3
და მეფეთ და ქვეყნის ორგული გასტანჯეთ შეუწევენით!

139. ხვეწნად არა ღირს, იცოდე დანაშაულის მჭვრები;
ვინც შუა შემოგივიდეს, მიმადლე, იყოს ბევრები,
ანუ თუ თვითან შეიქნას, ვედრებით განამტვერები,
და გეყოფა ღ(მ)თისგან, ძმა არი, ხვეწნისა დამაჯერები! [484]

---

[482] **სტრ. 135**: დათმობა კარგია ამისთვის, რომ დაუნაშავებელი ჰირველი მამა ადამიც არ დარჩა. კაცი რომ შემოგეხვეწოს და კაცს შუა შემოუვიდეს, დანაშაულზედ ჰატივი დასდე!

[483] **სტრ.136–138**: შვილო, ერთი ხელმწიფე იყო დიდად სამართლიანი, რომ ქვეყანა ემადლიერებოდა და მწყე კაი მლოცავი იყო. ერთ დღეს მრავალ კაცთ დაეშავებინათ და გაუწერა, ზოგს თავი დააგდებინა. ერთმა საკვდავმა კაცმა მოახსენა: შენს ჯამში ასე დაგვემართა, სხვა ბალეში ხელმწიფე ყოფილიყო, ამის უარესს რას გვიზამდა? ჩვენთვის თქვენი ქება და მოწყალება მოუხმარებელი შეიქმნა! ხელმწიფემ უბრძანა: შენთვის მიჰატიებიაო და, თუ უწინ გეთქვა, არც იმათ დავხოცდიო.

[484] **სტრ. 139**: შვილო, დანაშაული ხვეწნად არა ღირს, კაცი რომ შემოგესვეწოს და შუა რომ ჩამოგივიდნენ, აჰატიე, ქურდს გარდა!

140. შიგ დაერჩი სოფლის ღელვასა მენავე ნაოსანია,
არ დამიჯერეს უმცროსთა, რაც უთხარ სარგოსანია,
იქით მკრა, აქეთ მომაგდო, საქმე ვცან სამხნოსანია,
და ნაპირს გამოველ, ეს დამრჩა სალხინოდ სამოსანია.

141. ნუ ედავები უბრალოდ საქმესა მიუდავებსა,
დღეს დაგიმოკლებს, შეგასწრებს ჟამსა და დროსა ავებსა;
დავი თუ გინდა, იქმოდე საქმეზე შესაგვავებსა,
და ნუ რჯი, სარჯელსა სარჯელი მოაქვს და მოიმწვავებსა![485]

142. კაცსა უნდა მოწყალება გულსა ჰქონდეს დანერგულად,
რჯიდე ვისმე, რა სარგოა, წყლულს აძლევდე წყლულსა გულად?!
უმეცარად ცუდის ჯავრით ბოროტის ხარ განაგულად,
და ნუ გააღებ მტრობის კარსა, მაგრადა ჰქენ მინაგულად![486]

143. კაცსა ჰყვანდა ცხვარი ბევრი, რძესა სწველდა მეტად მრაველად,
შიგან წყალსა გაურევდის, ჰყიდის, იყვის ეგრე მაელად;
მეცხვარე ჰყვა გონიერი, დაურიგდა უგბილს სწაელად:
და „შეიბრალე თავი შენი, ჩამოეხსენ საქავს მქაელად!“[487]

144. არ უსმინა, რაზომიცა შესაგონი შეაგონა,
გაბრუნდა და ცხვართან მივა, რა აღარა გაუგონა,

---

[485] **სტრ. 141**: შვილო, კაცს უბრალოდ ნუ ედავები, თორემ დღემოკლე იქნები ცუდად კაცისა გარჯისათვის! რომ სადაო არ გქონდეს რა, და, თუ ცილება გინდოდეს, ასეთს კაცს წაედავე, რომ სადაო გქონდეს!

[486] **სტრ. 142**: შვილო, კაცს მოწყალება უნდა ჰქონდეს! ან უცოდინარობითა და ან ჯაურითა რომ კაცს რჯიდეს და ედავებოდეს, თუ კაცმან შეუტყობინოს, შეიწყალე!

[487] **სტრ. 143–146**: ერთ კაცს მრავალი ცხვარი ჰყავდა და ბევრი რძე ჰქონდა, მაგრამ სიავეცითა და უჭკუობითა წყალს ურევდა და ასე ჰყიდდა. ერთი მეცხვარე ჰყვანდა, ჭკუათმყოფელი კაცი იყო. ის ეტყოდა: შებრალება ჰქენ! ღვთის ნაბოძები საქონლით ღვთის ცაჩენილს ნუ მოატყუებ, მაგ სარგებლით ნუ სტყუვდები, თორემ სარგებელს ზიანი აჯობებსო. მან კაცმან არ უსმინა და ერთ დღეს, ერთ ხევში რომ ცხვრის სადგომი რამ ჰქონდა, ცხვარი იქივ დააყენა, თვითან მაღლა გორაზე დაიძინა. მოვიდა ღვარი და ცხვარი სულ დაურჩო. მეცხვარემ მეორეს დღეს მოახსენა: მრავალჯერ მოგახსენე და არ დაიჯერე და, რასაც წყალს რძეში ურევდი, ერთპირად დაგროვდა, წუხელის მოვიდა და ცხვარი სულ დაარჩო.

ფარეხს ცხვარი შეაყენა, ჰქონდა ღელეს ასაგონა,
და ავიდა და სერზედ დაწვა, ჭირთა მისთა დაუღონა.

145. მთვარე წლის ბურჯში შევიდა, ღვარი ასტეხა ცრეული,
ის ღელე სრულად მოგრაგნა, რაც იყო მასში რეული;
მეცხვარე ადგა, მივიდა პატრონთან გულდანგრეული,
და უთხრა: „ნაქნარსა ნაცვალი არ ექნას განასრეული.

146. ერთპირად წყალი მოვიდა, რაც რძესა იყო რეულად,
სრულად მოწყვიტა ჭამბარი, ძველი იყო თუ წლეულად,
არ დამიჯერე ნათქვამი, რაცა ვქენ შენამცნეულად;
და უგბილად ქმნულმან უგბილი ასე გაკადოს ძლეულად!“

147. სიავე და უწყალობა, ნუ გგონია, შეგრჩეს ბოლოს,
თუ პირველზე გაგინათლოს, მერმე ბნელად დაგაბოლოს,
დაიჯერე ბრძენთა სიტყვა, ნუ აჰყევები აუყოლოს,
და რაც ნაქნარი უმეცრული თავსა მისცემს დასაქოლოს![488]

148. არას დამჭირნე არ იყოს! – უთქვამს კაცობის ნიშანი,
არვისა სთხოვდეს ღვთის მეტსა, ჭირი მიხვდეს თუ იშანი,
მთხოველსა მისცეს უყვედრად, ვითა სიუხვით ქვიშანი,
და ისწავლოს სხვამაც იმისგან მოწყალებაა ვიშანი![489]

149. უწყალოდ და ულმობელად ესეაო ჩასაგდებლად:
დაჭირებულს არ აძლევდე უნჯსა შენსა მისადებლად.
სპარსი მისცემს მოწყალებას, სხვას არ სწავლის მოსაგებლად,
და ფრანგი თუცა ისწავლება, არას მისცემს გარდსადებლად[490].

---

[488] **სტრ. 147**: შვილო, ნუ გგონია უწყალოება და ავკაცობა კაცს შერჩეს!

[489] **სტრ. 148**: შვილო, კაცობის ნიშანი ჯერ ეს არის, რომ არა გეჯირვებოდეს რა, ღვთის მეტს კაცთან სახვეწარი არა ექონდეს რა და, თუ ერთი კაცი შემოგეხვეწოს, ხვეწნისათვის უსაყვედუროდ მიეც! ამით მოწყალება სხვას ასწავე. ამას ეცადე, შენ არავინ გასწაოს!

[490] **სტრ 149**: უმოწყალობა ეს არის, შენ ექონდეს, სხვას ეჯირვებოდეს და არა გაიკითხო. ისპაანის ქვეყანას მოწყალება არა აქვთ და სხვას ასწავლიან, ხვარასნის ქვეყანას მოწყალება აქვთ და სხვას არ ასწავლიან. სპარსის ქვეყანას მოწყალებას ასწავლიან და სხვისგან თვითან არ ისწავლიან. სხვისაგან ვითამ ბალას არ დაიმართებენ და ამით სწავლება არ უნდათ.

150. მეტის მეტად სამი უნდა კაცსა ჰქონდეს შენახულად:
ენა, კელი, სახედველი ჰქონდეს ავზე დაკრძალულად.
მოეშორვე სამსა რასმე, ნუ შეუშვებ წამსაც გულად:
და უთქვამს, უნახს, უქონელსა ნუ ეძიებ შენად წყლულად![491]

151. სამი გქონდეს სამუდამოდ განაშალი განღებულად:
სალარო და სახლის კარი, სუფრა აროს დაკლებულად;
მტერი იყოს თუ მოყვასი ნუ გშურს უხვად მიღებულად,
და მისთვის მტერსა გაგიმოყვრებს და შეგიქნას და-ძმებულად[492].

152. რაცა შენთვის არა გწადდეს, სხვას ნუ უზამ მოსასელელად,
მაშინ იცან თავი შენი ავისაგან გარდამცველელად;
მტერსა მტრობა არ მიაგო, იქმნა ავთა გარდამვლელად,
და შეუნდო და მიუტევო, ყოფილიყოს შენად მკვლელად![493]

153. გინდა, თუ იყო ქვეყანად საქები, საამბობარე,
ნუ ზოგავ, ნახო გლახაკი დაჭირვებითა მხმობარე,
ბევრს ჰპოებს ცოტას დათესვით უცთური ამის მობარე,
და სხვისა ნუ გინდა, გიჭირდეს, ეს ავი, დასაგმობარე![494]

154. „სამოცდასამის წლისა ვარ, — ასწავლის, ეუბნებისა, —
ასე მივლია, თუ დავრჩი ესევე მენებებისა,
რაც საქმე ჩემთვის არ მომწონს, არც შენთვის მეკეთებისა,
და სხვას არ იწვრთიდე, ეს იწვრთენ გასამტკიცებლად თბებისა!“[495]

---

[491] **სტრ. 150**: შვილო, სამი რამ მუდამ კარჯია: თვალისა, ხელისა და ენის შენახვა. შენახავს, უთქმელს და უქნელს განეშორე!

[492] **სტრ. 151**: სამი გაშლილი და ღია იქონიე: სახლის კარი, სუფრა და სალაროს ჰარკი! შვილო, მტრისა და მოყვრისათვის ნურა ეშურს რა, ამისთვის, რომ მტერს კარგ კაცობას უზამ და მოყვარე შეიქნება!

[493] **სტრ. 152**: შვილო, ასეთ საქმეს კაცზედ ნუ იქმ, რაც შენის თავისათვის არ გემეტებოდეს! ეს კაცობის ნიშანია, რომ კაცს შენთვის ავი ექნას, მის მუქაფას შენ ნუ ეცდები.

[494] **სტრ. 153**: შვილო, კაცობის ნიშანი ის არის, რომ დაჭირვებულთათვის შენი ქონება არა ეშურდეს რა. ცოტას მიცემით ბევრი დაგრჩება, თუ გეჭირვებოდეს, სხვისი ქონება შენი ნუ გეკონია!

[495] **სტრ. 154**: შვილო, სამოცდასამი წელიწადი არის, მე ამ ხაქმით ვეოფილვარ, ქორონიკონი ახლა ხუთას სამოცდა თხუთმეტია, რომ ეს წიგნი მომიკონია და კამითაკებია და, თუ ღმერთმა არ მომკლა, სანამდის ცოცხალ ვარ, იმაე რიეით ვიქნები. რაც ჩემი არ მომწონს, არც არას შენსას მოეწონებ.

155. იწვრთე, ისმინე ნაწვართი, კარგვარად მოგიკდებისა,
თუ არ ისმინო, ქვე დადევ, სხვა ისმენს, არ წაკდებისა!
შენდობას ვინმე მიბძანებს, ჩემს სულსა მოუხდებისა;
და კვლავ გითხრა კიდევ სათქმელი, თუ მზე არ დამიხდებისა.[496]

156. ბრძენსა უთქვამს: რაც არა ვთქვი, აროს მომხვდა სინანულად,
თქმულმან ჩემმან დასანანი ადრე მომცა ისევ ძნულად,
არ მობრუნდეს განატყორცი უმეცრული გაუგნულად,
და დაკოდილი ვერ გამთელდეს მალამისა რისმე ქმნულად![497]

157. უბრძანებია კეისარს დასახსოვარი თქმულები:
უფრო ნებად მაქვს თქმულისგან უთქმელი, დამარხულები,
მით რასაც ვიტყვი, ვერ მოვშლი, კიდეც მითქვემდეს გულები,
და უთქმელსა არ ვიქ, თუ არ მწადს, მოვრჩები დაუწყლულები![498]

158. გონჯი, ავ-სახე, ავ-ტანი ფილოსოფოსი ბრძენია
მაკიდონელთან მივიდა; ბრძანა: „რა მოსაძენია?“
ჰკადრებდა: „სიტყვა მისმინე, არა ვარ გასაძენია, 1
და არ დაითმობის სიგონჯით, თუცა ადამის ძენია!“[499]

159. „უწყალოთ უნდა სძრახვედე, არ სიგონჯისა მქონელსა;
ვამსგავსებ კაცსა ქარქაშსა, კლმის პირსა – სულსა მგონელსა,
კამს, პირისათვის უბნობდენ ქებასა შეუწონელსა, 2
და თვარამ ქარქაში რაც იყოს, დაფარავს შესაკონელსა.

---

[496] **სტრ. 155**: თუ ამისგან უკეთესს რასმე ისწავლი, კარგია, თორემ ეს მაინც იცოდე, რაც მისწავლებია, რომ კარგად მოვიხდეს. თუ იქმ, ხომ კარგია, თუ არა და, იყოს ეს ჩემი ქართულები; – სხვა ვინც გაიგონებს, მოიწონებს და მეც შენდობას მეტყვის.

[497] **სტრ. 156**: შვილო, აქ იმის ქართულია, ქასრის უთქვამს: „რაც არ მითქვამს, იმისი სიხარული არ მინახავს. და, რაც მითქვამს, ბევრჯერ დამინანია“.

[498] **სტრ. 157**: კეისარს უბრძანებია: ბრძანება უთქმელს უფრო მაქვს, ვიდრე თქმულსა ამისთვისა, რომ, რაც არ მითქვამს, ის იქნება, რომ არა ვთქვა რა, მაგრამ, რაც მითქვამს, იმისი უქნელობა აღარ იქნება“.

[499] **სტრ. 158–159**: ერთი კარგი მცოდინარი კაცი ალექსანდრესთან მივიდა, ავი სანახაო იყო. ალექსანდრემ გაჯავრებულმა ბრძანა: ეს რა არისო?.. მან აქიმმა მოახსენა: ავის სურათისათვის მე რათ მძრახავო! ის კაცია საძრახავი, რომ კაცი მოწეალე არ იყოს. კაცი ხმლის ქარქაშია, სული ხმალია, ხმლის ბერი უკეთ უნდა იყოს ქარქაშისაკან.

160. „აე-გული იყოს კეკლუცი, მშვენვარე, სატურფალია,
მისთვის მძიმეა ის ტყავი, უგვანი, საღაფალია,
არ სჭირდეს კარგი სიტურფეს დასამარხ-დასაფალია, 3
და ვერას იშოვნის იმითი მთავარი საუფალია![500]

161. „კარგი კაცი საქონელსა მოყვას(ს) მისცემს, მიანიჭებს,
ავი მტერსა შეუნახავს, საქმესა იქს გასაკრიჭებს!“
რა ეს ნახა ალექსანდრემ, სიბრძნე მისი მოღრმოდ იჭებს, 4
და წამ ბოდიში მოიკადა, გაამდიდრებს, არ აბიჭებს.[501]

162. უთქვამს სოგრატს საქონელი მოსვენებად, კაცის ლხინად;
რაც ინატრო, სულ აგიკდეს, ჭკუას გაკდის სასაცინად;
არ ითქმოდეს რაცა ჯარში, სათქმელია მეტად ძვინად,
და სირცხვილის და საძრახავის დათმობაა ჭკუის მძინად![502]

163. მცოდნესა და გონიერსა გარჯა უფრო მოასვენებს,
უგბილსა და უმეცარსა მოსვენებაც ვერ ასვენებს.
მალს ცხენსა ჰგავს კაცის დღენი, გაჭენებულს, გასამჩვენებს,
და ვერ ეწიოს, რაზომც სდიოს, შეუპყრობს და მიუწევნებს.[503]

164. ვითა სნეულსა მკურნალი ნელ-ნელა მისცემს რგებასა,
რა სწვრთნიდე ბრძენი უცებსა, უზემდე სიტყვის გებასა,
იქმოდე მისებრ, რას აქნევ, მეტად ბევრ-ხანსა გებასა?
და უცების აყირბაჩებას გიჯობს სამბური გებასა![504]

---

[500] **სტრ. 160**: შვილო, აე-გული კაცი რომ კარგი სანახავი იყოს, ის კაი ტყავი მძიმე საპალნე არის მისთვის.

[501] **სტრ. 161**: კარგმა კაცმა საქონელი მოუვარეს მისცეს და ავმა მტრისათვის შეინახოს! რა ალექსანდრეს ესენი ესმა, ბოდიში მოიხადა.

[502] **სტრ. 162**: შვილო, სოკრატს უთქვამს: კაცის ქონება კაცის მოსვენება არისო და, თუ რასაც კაცი ინატრებს, ყველა აუხდება, იმ კაცს ჭკუა მოშორდება, რასაც საჯაროთ არ იქმოდეს. სამს, არც ენით თქვას! შვილო დათმობა ჭკუიანობის სახეა, სირცხვილისა და საძრახაისაგან.

[503] **სტრ. 163**: შვილო, მცოდნესა და ჭკვიანი კაცისათვის გარჯა უფრო მოსვენება არის, მაგრა უცოდინარისა და უჭკუოსი მოსვენებაც გარჯა არის ამისთვის კაცის დღე ჩქარი ცხენია, – რა მივა, კაცი ვეღარ მიეწევა, რა გინდ ბევრს ეცადოს.

[504] **სტრ. 164**: ჭკვიანმა რომ უცოდინარს რამ უთხრას, ამ გზით უნდა უთხრას, როგორც მკურნალი ავადმყოფსა.

165. ასწავლის სოკრატ მოწაფეს სოფლად სოფლისა თმობასა:
„ერთის დღის საგძლად გეყოფა, — უზამს ამრიგად გმობასა, —
არ დაგძრას სიცხემ, სიცივემ, ადგილი ჰპოვე ხმობასა, 1
და შენვე მსახურე შენს თავსა, ვალს ნუ იკიდებ ხმობასა![505]

166. „შენი ფეკი ცხენად გყვანდეს, ქვეშ საგებად — მიწა შავი,
სასინათლოდ — მასკვლავები და მაშხალად — მთვარე მგვავი,
ცოდნა — შენდა ამხანაგად, რალა გითხრა მოსადავი?! 2
და ასე გავლე ეს სოფელი, მტვერი მისი დაიგავი![506]

167. „ სწავლას ეცადე დიადად, სჯობდე შენ შენსა ტოლებსა,
გამოჩნდე კაცად, არ გვანდე პირუტყვის გასაყოლებსა!“
„რა არის უცხო?- ჰკითხევდენ სოგრატს სიბერით მწოლებსა — 3
და რასთვის დასცდება ჭკვიანი, რად ცეცხლსა მოიბოლებსა?“[507]

168. საკრავს სწავლობდა, სიმღერას, უთქვამთო, კაცი ბერია.
დასცინეს: „რად ხარ მაგ დროთა შაგირდობისა მზერია?“
თქვა: არ მრცხვენიან ბერს–კაცსა, ცოდნა კამს დასაჯერია,
და რომ არ ვიცოდე, ის უფრო სასირცხოდ დასაწერია![508]

169. კვლავ ჰკითხეს: „გვითხარ, სოფელში რა უფრო გემრიელობსა?“
— „სწავლა და სიტყვის გაგონა, ვინცა ვინ ამას მცდელობსა,
საყვარელია, ვინცაღა კარგ საქციელად მვლელობსა, —
და მკურნალი, ცოდნის სიმრავლე მრავალსა სენსა მშველობსა“.

---

[505] **სტრ. 165**: სოკრატმა თავის მოწაფეს უბრძანა: დათმობა ქვეყანაზე ერთი დღის საგზალია სიცივისა და სიცხისა. ერთი რამ აგდილი გქონდეს ასეთი, რომ შენ დაეტიო, რომ შენ თავს შენ უმსახურო!

[506] **სტრ. 166**: საიქიოს ვალი ნუ გინდა! შენი ფეხი შენი ცხენი იყოს, ალაგი ქვეშაგებად გქონდეს, ვარსკვლავი – სანთლად, მთოვარე – მაშხლად, ცოდნა – ამხანაგად!

[507] **სტრ. 167**: შვილო, ექმათის სწავლას ეცადე, რომ ყოველს შენს სწორს შენ აჯობო! იმავ სოკრატს ჰკითხეს: ყველაში უცხო რა არისო? მან თქვა: უცხო ეს არის, ჭკვიანი რატომ უნდა სცდესო?!

[508] **სტრ. 168**: ასე იტყვიან: ერთი ბერი კაცი საკრავსა და სიმღერას სწავლობდა და უთხრეს: არა გრცხვენიან, მაგდროული შეკირდად ხარო?! იმან უპასუხა: ამისედ რათა მმრახაუთ, ბერმა კაცმა რომ არ იცოდეს რა, უარესი არისო. ჰკითხეს: რა უფრო გემოანი არსო? მან თქვა: „სწავლა საქციელისა და გაგონება ქართულისა. ურიცხვი ცოდნა კაცის აქიმია“.

170. ის არი ქურდი, ვინც მთხრობლობს, მთქმელსა ვერ დაისწავლისა,
მოჰკითხვენ ბოლოდ ნათქვამსა, მასვე გზაზედა წავლისა;
გყვანდეს მოყვასი მისანდო, ისმინე სიტყვა სწავლისა;
და რაგინდ რომ აღარ შეეძლოს, ნუ დასთმობ, შესაბრალისა![509]

171. მეფეთ წახდენა მიაგავს ხომალდსა ზღვაში მღელავსა,
რა ის გატყდება, მრავალი დაინთქმის, დაიქელავსა,
აგრევ მათივე ქვეყანას გააწლობს, გააწველავსა,
და სადაც სჭირს კაცსა სიკეთე, სამკვიდროდ ის ულელავსა.[510]

172. „კაცი გიპირებს სიკვდილსა“ – კაცი კაცს ეუბნებისა,
უთხრა: „მას უფრო ეშინის მისგანვე მისის ვნებისა“,
სიტყვა ბრძენისა უსწავლთან ამას გავს, ვინც ინებისა,
და მთვრალთან ფხიზლისა ნათქვამი ქებისა ან გინებისა.[511]

173. ოდეს გულსა პატრონობდეს, არ იცნობა მისი ნება,
არ მოუვა არსით ავი, არც აუგი ეოცნება;
სიბძნის წილში ის ჩააგდე, ვისა ჰქონდეს ესე გნება,
და არას მტერს და მოყვარესა არ უნდოდეს მისი ვნება.[512]

174. საწუთრო მიჰგავს ეკალსა, გზას ქვეშე დანაყაროსა,
იყოს ამგვარად ნაქნარი, ინახებოდეს აროსა,
გამვლელს ფეკზედა ჩხვლეტითა აჭირვოს, შეაზაროსა,
და ვინცა იცნობდეს, ფთხილად და უვნებლად გაიაროსა.[513]

---

[509] **სტრ. 170**: შვილო, ასე თქმულა: ქურდი ის არის, ვინც მთქმელი ვერ დაისწავლოსო. მუსაიბებს ნუ გაუშვებ, რაგინდ არ შეეძლოს! შვილო, კეთილს ადამიანს გაუწვეე და, რომელიც რაგინდ კაი მუსაიფი უოფილიყოს, თუ ავია და ღვთისა არ არის, ხელი აიღე, დაუტეე, ნუ გინდა! მაგრამ კეთილის ადამიანისაგან მით მუსაიბობით ნუ გაიშორებ, რაგინდ უქონელი და უძლები იყოს!

[510] **სტრ. 171**: კიდეე უთქვამთ: ხელმწიფის გატეხა, ხომალდის გატეხა არისო. მასთან ბეერი კაცი წახდების. სადაცა აქვს რაშე, კაცისა სამკვიდრო ის არის.

[511] **სტრ. 172**: შვილო, ერთმა კაცმა ერთ კაცს უთხრა: კაცი სიკვდილს გიპირებსო. მან უთხრა: იმას უფრო ეშინიანო. ბრძენს უთქვამს: ავიმის ქართული უცოდინართან ასე არის, როგორც მშიერი კაცის ქართული მთვრალთან.

[512] **სტრ. 173**: ვინც თავის კონებას ეპატრონოს, მისი გულისპასუხი ვერვინ შეიტყოს, იმას ავი არა გარდახდეს რა. ჭკვიანი კაცი ის არის, რომ მტერი და მოყვარე იმას ემადლიერებოდეს.

175. ალექსანდრეს ვინც ეტყოდა სიტყვას რასმე საქებარსა,
უწყენდა და უბძანებდა: „მას ნუ მასმენ საუბარსა!
ხვეწნა კაცსა გაამაყებს, ქება შეიქს დასაბარსა,
და შვენის კაცსა უგუნურსა, დასათესავ-დასაბარსა“.[514]

176. თუ სჯერა ვინმე მკურნალის ნათქვამსა, დანარიგებსა,
ჭირსა მორჩება ადრობით, გძლად ქვეშე აღარ იგებსა,
არ უსმენს, ნუღარ აბრალებს, ვერარას გაურიგებსა,
და ირგებს იმდენსაც უცები, ჭამით სნეული ირგებსა.[515]

177. თუ მართებს მეფეთ საწყრომზე რისხვა და დიდი ზარები,
მოწყალება და სიმშვიდე ზედ არის მოსახმარები,
ავია მათი ურცხობა, მჭვრეტელთა შესაზარები,
და სხვისაგან თავის უფროსად სირცხვილი ჰქონდეს მხარები![516]

178. ავს დაეჩვევი, მალ წავა, დაგრჩება ავ-გულობანი,
ავ კაცად იმას ჩავაგდებ, ჰქონდეს ეს ჩვეულებანი:
აგროვებდეს და სხვას დარჩეს სიმდიდრე სიმრავლობანი,
და სულ გაუცუდდეს ნაცადი, მტერს მიხვდეს ხადილობანი![517]

179. თუ ოთხფეკსა უენობა მოჰკლავს, ისივ გააცუდებს,
ენა კაცსა სულისაგან გაიყვანს და გააგუდებს,
სიჩქარე და არ გასინჯვა სინანულსა წინ დაუდებს,
და თვალი ავად მყურებელი გაასივებს მისსა ბუდებს.[518]

---

[513] **სტრ. 174**: ეს წუთისოფელი იმასა ჰგავს, რომ გზაზე ბევრი ეკალი ეყაროს მიწაში დამალული, ვინც გაიაროს და არ იცოდეს, ფეხში შეერჭოს და, ვინც იცოდეს, ფრთხილად გაიაროს და არა დაუშავდეს რა.

[514] **სტრ. 175**: ვინც იმას ქებას მოახსენებდა, უბრძანებდა: მაგას ნუ მეტყვით, რომ გონება ნიადაგ ქებას არ დავაჩვიო და კაცის ხვეწნასაო, გუნება სხვა ფერად არ გამომეცვალოს და დიდი გუნების ნიშანი არ დამედვასო.

[515] **სტრ. 176**: თუ ავადმყოფი აქიმის სიტყვას დაიჯერებს, მალე მორჩების. თუ ჭირს რაც იამების, იმას იქს, ექიმი უბრალო არის. როგორც სასმელ-საჭმელი ავადმყოფს არას არგებს, ისე ავს კაცს არ არგებს.

[516] **სტრ. 177**: შვილო, ხელმწიფეს ომში რიხი რომ ჰქონდეს, მაგრამ კაცმა დააშაოს, მაშინ დამნაშავეთ შეწუნარება უნდა ამით, რომ დამნაშავეთ თავის თაყვისა უფრო უნდა რცხვენოდეს, ვიდრე სხვისა.

[517] **სტრ. 178**: შვილო, შენს გუნებას თუ ავს დააჩვევ, ავი მალ წავა და იმისგან ავგულობა დაგრჩების. შვილო, ავი კაცი ის არის, საქონელს სხვისთვის იგროვებდეს.

180. უმჯობე მეფე ის არის, ჭკუითა ჰქონდეს მკობანი.
ერთმან ვეზირმა ერთს მეფეს უყო ამისი მბობანი:
მოსულა ზღვის პირს ვაჭარი, სპეკალთა უამრობანი, — 1
და ას ათას დინრად ვიყიდე ერთმანერთისა მჯობანი.[519]

181. უბძანა: „მითხარ ამბავი ჩემს წინა მოუწონარი!
ასი ათასი მაგდენი ერთ ფულადა მჩანს მქონარი,
მე რომ ვაჭრობა დავიწყო, ვიყო მაგისი მგონარი, 2
და ვაჭარმა რა ქნას, რით დარჩეს, ვით იქმნას უქმად მცონარი?!“[520]

182. უბძანა: „მიეც უკლებლად მაგ ფასად ვაჭართ სრულობით,
მყავს მოკელენი მრავალი მაგ საკელოზე თქმულობით,
თუ მინდა მომიტანებენ, სადა აქვთ დანაგულობით, 3
და ვით ფას(ს) დასდებენ, ვიყიდი გულისა დაუწყლულობით“.[521]

183. სპარსთ მეფე იყო მიდამო სიკეთით გახმოვნებული,
ბასრის მთავრისგან ურიამ უჩივლა, ვარო ვნებული,
ნატეხარზედა დაწერა ტალახით ესრეთ მცნებული: 1
და „ანუ უსაჯე, ანა ხარ სახელოდ განყენებული!“[522]

---

[518] **სტრ. 179**: ოთხფეხის სიკვდილი უენობით არის და ადამიანის სიკვდილი თავისი ენით. ვინც აჩქარდეს, ბოლოს დაინანოს!

[519] **სტრ. 180**: შეილო, ხელმწიფეს უფრო ეს მართებს, რომ ჯკვათ სრულება ჰქონდეს და მისი ფერხი ღვთის მსახურებაზედ დაუშრომელად ვლიდეს.
ერთ დღეს შაბურის შეილის ორმეუზისათვის ვეზირს შემოეთვალა: მრავალი ვაჭარნი ზღვის პირად მოსულან და ძრავალი თვალი და მარგალიტი მოუტანიათო. მე მივედ და არჩეული მეირფასი თვალმარგალიტი ასი ათას დინარად ვიყიდე. თუ ხელმწიფეს ეჭრიანება, კარგია, თუ არა, ამა და ამ ვაჭარმა ასი ათასი დინარი კიდევ სარგებელი მაძლია, რომ დამეხსენო!

[520] **სტრ 181**: ჰორმოზ ბრძანა: ასი ათასი დინარი და კიდევ უმრავლესი ჩემთან ერთი უფული არის. მე რომ ვაჭრობა ვქნა, ხელმწიფობა ვინ უნდა ქნასო, და ან ვაჭრებმა რადა უნდა ქნანო.

[521] **სტრ. 182**: მერე უბრძანა: როგორც გეყიდოს, იმაე ფასად ვაჭრებს მიეცო. თუ მომინდების, კარეკ გერაქ იარაღი მეყოს, როგორც ვაჭარნი დააფასებენ, ისე ვიყიდიო.

[522] **სტრ. 183**: ერთ დღეს ერთმა ურიამ ბასრის ბატონისაგან ჰორმუზს შესჩივლა. ქალაქდი ისად არა ჰქონდა და ნატეხარზე დაწერა და გაუგზავნა: შენი მონივარი; ბევრი არისო და მადლიერი კი არავინ არისო. ნუროვის აჩიელებ, თორემ ბატონობა წამირთმევიაო. წიგნი რომ მოუვიდა, ცხენზედ იჯდა, მაშინვე ჩამოხდა და სამართალი უყო. ბევრი ბოდიში მოიითხოვა, სელმწიფესთან ნუღარ დამაბეზღებო.

184. წიგნი რა ნახა მთავარმა, ურიის მინაღებული,
უსაჯა მრავლის ბოდიშით, ასრულდა ისი ნებული:
„ნუღარ უჩივლებ მეფესა ჩემგამო მოყივნებული!“ 2
და ასე კამს შექნას სამართლით მოქენე შექენებული.[523]

* * *

185. ამირ-ნასარის ნათქვამი გათავდა სპარსთა თქმულები,
ჯერ გამოვიღე ამბავად ვარდი-კოკობი რგულები,
აწ სევდის მოსაქარვებლად ლექსად ვარ განამგულები,
და ყველას დარჩება სოფელში გაუკურნებლად წყლულები.

186. სიმრავლის მწიკვლი ცოდვისა ვერა ვქენ განაბანია,
უკან-და-უკან სხვა მომყვა ერთმანერთს მონაბანია,
სულ დამიქცია სამყოფი, სახლი, სართული, ბანია.
და მეფობის ნაცვლად სოფელმან მიბოძა ლექსობანია.

187. არვის დაინდობს სოფელი მისანდოდ დაუნდობელი,
მიმდევთა გასაქიქენი, უდევთა დასაგმობელი,
მეფეთა ანუ გლახაკთა ბუკთა საჭიროს მხმობელი,
და გულითა ამაღლებულთა საბრალოდ დამამხობელი.

მ ე ო რ ე რ ე დ ა ქ ც ი ა

1. დავიარსენით არსისგან სანივთო, უნივთულები,
სიუხვისაგან ვიზრდებით, არა აქვს გასაძნელები,
მაკვირვებს საგანგიონი, საცვიფრო, მიუგნელები,
და მცნობთა და არამცნობელთა როჭიკი უცდენელები.

2. გამონათქვამი ჩაიწვრთნე, ფილოსოფოსთა ბრძნობანი,
სულისა დამშვენებელი, კორცისა გასამკნობანი,
მოუკმარისი ბედისა, სცდო, საქმისა ნობანი,
და დაუცადისა ყრმებისა ბრძმედულად გარდადნობანი.

---

[523] **სტრ. 184**: წიგნი რომ მოუვიდა, ცხენზედ იჯდა, მაშინვე ჩამოხდა და სამართალი უყო. ბევრი ბოდიში მოითხოვა, ხელმწიფესთან ნუღარ დამაბეზღებო.

3. სასიბრძნოებაშ მიმზიდა ამბავსა საამბელადო,
დამოყვსებული მწადია იყვენით უგმობელადო,
შემზადე გამოსაზრდელი, სულა არ უგბოლველადო,
და თქმა უჭიროა სათქმელად, საჭირო სასმენელადო.

* * *

4. სამეფოს გილანისასა მეფეა მუნა მჯდომელი,
საწუთროსაგან წესია, დაბერდა მოუნდომელი,
შვილსა უბოძა სამეფო, გააგდო დაუდგომელი,
და საანდერძონი უბრძანა, ქვემორე ითქმის რომელი:

5. ისმინე ჩემი ამბავი უჭიროო, გაუძნელები:
დასაწყისისა, პირველად საქმისა იყო მქნელები,
შემოხადოდე სახელსა, ვინ არი გამაგნელები,
და დაუმადლებდე, შემოგხვდეს სანათლო, დასაბნელები!

6. ხარისხი გინდა აღსავლად სამაღლო გასადიდებსა,
საცნობი გამოიცანით, ესევდეთ დაურიდებსა!
სამართლით მისცა, მცოდველსა დღეებსა დაუბინდებსა,
და სასწორით მოგცემს უფრორე დამშაეთ, გასაქირდებსა!

7. სიკეთის მომდომელებსა სიმდაბლე გააძალებსა,
ღ(მ)მთისმოყვარენი ამითი დაადნობს გასასალებსა;
ცეცხლსა მიაგავს სიმდაბლე, ამპარტავანი – წყალებსა,
და ზე სწევ, ქვე მოდის; ქვე დასწევ, ზეითვე მიდის ალებსა.

8. ამით იქმონენ სოფელსა თავისა გამოჩენასა:
გარჯასა დაურიდებდეს, სწავლისა აღმოცენასა;
ენა და ყური აჩვიე კარგისა თქმასა, სმენასა,
და თვარემ მიზიდევს ბუნება სათქმელად დასაწყენასა!

9. ადგილს იტყოდე, უჟამოდ ცუდია საამბოსანი,
უგემურია კარგიცა, წყენისა მიმცემოსანი,
სამსალისაგან უმწარე ენა სატკბილო, მგოსანი;
და საწამლოდ უთქვამს: უკითხად დააგდე გასაკმოსანი?!

10. საკმარია ავ–სიტყვაზედ ყური გქონდეს ნარიდალი,

დამკითხავსა კარგი უთხრა, არარაი ნაცუდალი,
ლაღობითა სალაღობო, საამბობლად დასაცდალი,
და სასიბრძნო და სარჩეველი, არც მაღალი, არცა მკდალი!

11. რასათვის შეგშურდებიან სიკეთე, კარ(გ)-კაცობანი?
მისებრივ შემოეცადე ქონდესცა მოსაცნობანი!
გამომავალი შურისგან — მოწყენა, გაოცობანი,
და დააგდე ცუდი წადილი, უყავით გამკოცობანი!

12. რა ნახო გამდიდრებული, სიმაღლეზედა მყოფელი,
შეშურებითა ნუ ბორგავ, წარმავალია სოფელი!
რა მიულია შენ გამო, რადა ხარ გამაცოფელი?
და თვალი საავოდ მჭვრეტელი შეიქნას დასაყოფელი!

13. თუ ენა მატყუარია, გულებსა დააჯერებსა,
მისაცემელი უფროსად აცთუნებს, გააჯერებსა!
მიკვირს, სოფლისა სიცრუვე მიიწევს დანაბერებსა!
და მოსავალისა შემოსლვა ბრძენს უფრო გააშტერებსა.

14. რა კარგი ქნას უმეცარმა, მასვე წამსა დაინანებს,
კარგით კარგი იშოება, ავი ავსა მოიყვანებს,
გაბრძობილი არა სჯერან, სიმრავლითა შესაგვანებს,
და დაუცდიათ, წინ დახვდების, ერიდების შეუგვანებს.

15. სალხინო საჭიროზედა იპოვე გამაგნებელი,
მიუთხარ, მოგცეს წამალი გულისა მოსანებელი;
ცუდია ცუდის მითხრობა, საქმენი გაუცნებელი,
და მოულხენია სნეულთა მკურნალი შეუგებელი!

16. ავ-კარგთა ზედა სისწრაფე მარტვილთა მიმდგომელისა,
ნუ შეიქნები ამყოლი საშულრად მომნდომელისა!
გარდაექცევის სანანად მისისა სამდომელისა.
და რა უკამს ავსა სიტყვასა? — მოთმენა მომთმენელისა.

17. გიყოსმცა ვინმე სიკეთე, ანუ სიავის წილები,
შემოუცადე, სიავეს შეექენ დანარბილები.
მალ უყავ კარგსა ნაცვალი, არა ქნა დანაცილები!

და სანაცლო მიუხვედრელი ვინ ნახა დანაბილები!

18. ბრძენი გვსწავლიან: სიმრავლით სიმდიდრეების ქონანი
არ შეედრების სახელსა, ვისა აქვს მოსაგონანი.
მსმენ(ნ)ი ნატრობენ მნახავთა, სწადიან შესაგონანი,
და საქებარია ბოლომდი, არ არის შესაწონანი!

19. ვერ შეგიმცნია, არ იცი ამბავი ნაუბარისა,
მიეცე, რატომ ენდობი საქმესა დასაბარისა?
ენა თავსაცა არიდე, ნახვანი გინდა დარისა,
და ენა მეტისა მეტყველი გამოსცემს დასაბარისა!

20. სიკეთე ნამუსობასა ვერა სჯობს ტანსაცმელია,
შესამკობელი უგვანთა გაუნათები, ძნელია,
ავგულობისა სანაცლო სამეტო რა სათქმელია?
და მოყვარეს შემოგამტერებს, მიკვირან, რა საქნელია!

21. ძებნა რად უნდა სწავლისა დღეებსა, გასაჟამებსა!
– „კვლავ შევეცდები!“ – ნუ უბნობ გულისა დასაამებსა?
დაუსწავლელად ერთსაცა ნუ გამოუშვებ წამებსა!
და უსაკმარია, სოფელში რა გიძახდიან სამებსა?!

22. მეცნიერს არა ახლავხარ სისრულით გონიერებსა,
ხელთაგანც დაისწავლება, რა ექნა შენამზერებსა:
ავსა იქმოდეს, ჩაეხსენ საქმესა საუშვერებსა,
და ავისა მოუქონელი კარგს მიხვდა დასაწერებსა!

23. „მტრისგან უფრო დავისწავლე, – მეფე ბრძანებს მაკიდონის, –
მოყვარენი მიფარევდენ, მტერნი მძრახდა მაკიდონის,
ნაძრახავსა დავერიდი, მეტად მწვანდი მაკიდონის,
და მტრობის იშნმა კარგი მომცა, ავი ჩემი მაკიდონის!“

24. მოყვასისაგან შეიქენ უფრო სიკეთის მდომელი,
სხვისასაც მიიწადინებ, იქნა უმჯობედ მდგომელი,
საცდელისაგან მოიღებს კარგზედა დამაშრომელი.
და არ გაატარო სოფელი უშვერად გარდამკდომელი!

25. გარჯისა დარიდებისგან რამცაღა იყო უარე?
ეცადე შრომა, საქმესა, თავსა ამითი უარე.
სიკეთის სწავლას წააკდენს სიკეთეზედა უარე,
და სახელის ვარდი დაურჩეს საკრეფად მოუპუარე!

26. გააძებს ურცხვი ურცხობით ორისავ საქებელებსა,
მორცხვი მორცხობით დაკარგავს სახელსა საამბელებსა,
თავისა ჟამსა მოიმკის თავისა მოსამკელებსა,
და ვაქებ სიავის მორცხვსა და სიკეთის ურცხვენელებსა!

27. შენს უკეთესსა გაეწყე, მასთანა იყავ მსლებელი,
რაცა ხარ მისგან უკეთე, გამოაჩინებ მგებელი!
ორი რამ არი კაცისა საქმენი შეუქებელი:
და სირბილე, — ყველას საბრიყო, სიძვირე, — მოურგებელი!

28. „არ დამძრახევდენ, — ბრძენს უთქვამს, — ძალმიძეს გამოთხრობანი:
ქვეყანად უმყოფელია, მე არ ვიცოდე ხრობანი!“
ნუ მოკვეხ, ნუცა გონია, სხვისა ვისიმე მხრობანი,
და გამგონებელი დაგძრახავს, არა აქვს მოსახმრობანი!

29 კეისრის ელჩსა ხოსრო-შამ ვეზირის უთხრა ქებანი,
ეგონა, ისიც იტოდა: „ყველასი ძალმიცს გნებანი“.
ელჩს უკან უთხრა: „არა თქვი შენი ცოდნისა ბრძნობანი»!“
და — „ქვეყნად არავინ შობილა, ვით შექნა გამოგებანი?!“

30. მართალს იტყოდე, ნუ უბნობ ტყუილსა დაუუდებსა,
ისევ ტყუვილი სჯობია, მართალი გვანდეს მრუდებსა,
შენამცნეული მსმენელსა, გულსა ვერათი უდებსა;
და ბევრს მართალს ერთის ტყუილი(ს) შერევა გააცუდებსა!

31. მეფესა ვისმე შექცევად ბრძენი ყვა თანამხლებელი,
სიტყვასა შეექცეოდენ ამბისა გამახლებელი, 1
ეკადრა: „გამოგივარდეს სიცოცხლე დაუკლებელი,
და ქარქანსა ვნახე საქმენი სათქმელად უცილებელი:

32. დაბანი მთისა კალთასა თვალი სიწმინდის მძლეველი,
წყალი გამოდის საამო, ახლის სულისა მძლეველი; 2

ქალნი წავლიან მოღებად, მიუძღვის გზისა მკვლეველნი,
და არიან ჭია მომწვანო, გარდაგდებს გზიდან მლეველი.

33. გზაზედა დანარჩომილსა, ვინცა შეექნა მარენი,
ფეკსა დაადგამს, მოკვდება, წყალია გასამწარენი;
იგი ქვე უნდა დაასხან, რა ნახონ შესაზარენი,
და ჭურჭლები გამოირეცხონ; აავსონ, წარვლონ არენი".

34. მეფეს ეწყინა ნასმენი; ბრძენმან გამოვლო კარები.
„რა საკადრია, – ბრძანებდა, – სიტყვანი დასაზარები?!"
მან განჯით წიგნი მისწერა სოფლელთა დასამდარები:
და „ამის სიმართლე მომწერეთ, ვინცაღა იყოთ ჯარები!"

35. რა მოუვიდა, მოართვა, რაც მათგან მოეწეროდეს.
ჰკადრა: „წინაშე ტყუვილსა ვითა ვიტყოდე მე როდეს?!"
უბრძანა: „თუცა არ იტყვი, ზერობით შეემზეროდეს,
და ასეთს სიმართლეს რას აქნევ, უმოწმოდ არვინ ეცეროდეს?!"

36. ენით გამოვა სიტყვანი სატკბილო, გასამწარენი,
მტრის გასამოყვრი, მოყვსისა – გასამტრო, დასაზარენი,
გამოვა რამე წინწკალი, დაიწვას არე-მარენი;
და პირით წაითქმის საკორცო, სულისა მოსაკმარენი!

37. ხალიფა კბილი(ს) ჩაცვინვას ხედევდა დანამძინარი,
გამომკსნელები მოიკმო, მას უბრძანებდა მწყინარი.
კადრა: „შენ(ს) უწინ ამოსწყდენ სამეყვისონი ვინ არი".
და არგნითა გაალაკვინა, დაჭმუნდა გაუცინარი.

38. სხვანი მოიკმო, უბრძანა იგივე გასაკმობარე.
კადრა: „მეფეა მეყვისთა დღეგრძელობითა მჯდომარე".
ასი უბოძა წითელი, არის პირველის მგმობარე:
და „ერთია ორთავ ნათქვამი, ეს უკეთ იყო მბობარე".

39. დაეხსენ სარჯლის მომცემსა, სანანსა წასათქმელებსა,
ნუ გეწყინების უბნობა, გულსა ნუ გაგიცხელებსა,
უზიანობით ბევრს გარგებს, გიჩვენებს დასაცდელებსა,
და დაისწავლიდე სიტყვებსა, თავისა დამაცველებსა!

40. რაცაღა დაეტეოდეს აგებულების წესითა,
იმთონი უთხარ, იამოს საქვეყნიეროს ზესითა.
გამოსინჯვითა იტყოდე, არ მოგხვდეს დასაკვნესითა;
და სიტყვა წააკდენს, სიტყვითა გაკდება მზე უმზესითა!

41. არ ისწავლება, უფროსი რასაც არ გაიგონებსა,
აღზარდო ჩვილი სახლშია, მიგვანდეს ვარდის კონებსა,
უნახავ, გაუგონებლად, უტყვად გაუკდის გონებსა.
და გამოუცდელად მავალი თავს მტერსა დაამონებსა!

42. მეფეთგან კაი ბრძანება გააყმობს დანაბერებსა,
გულსა ვარდულად გაუშლის, მუსიკებ(რ) აამღერებსა,
მზისებრივ თვალსა უნათლებს, შემხედთა გააშტერებსა;
და სიტყვისგან ბევრი გამოვა, საქვემოს იტყვი, ზერებსა.

43. ნოშირვან იყო პირველად სასპარსეთოსა მპყრობელი,
საფლავი გამოჩენილი, ყოველგან გასაკმობელი,
ნახვა იწადა ხალიფა(მ), არის ბაღდადის მფლობელი, 1
და ცხენი ითხოვა, წავიდა სოფლისა დამაგმობელი.

44. მივიდა, ნახა ერთისგნით კედელზე მინაწერენი,
ბრძენნი იახლნენ მრავალნი, კელისა შენამზერენი;
ათარგმანეთო, უთარგმნეს, მიართვეს განამტვერენი. 2
და ეწერა რამე ანდერძი, საამბოდ გასაშტერენი:

45. „სამართლობასა მიქებენ, სანამდი ვიყავ, ყოველი,
მალ იყვნენ სამსახურისა, მინდისა მომაპოველი;
დავსწერე ესე, რა მოდგა ჩემზედა მომაძოველი, 3
და ვინცა მნახევდეს, ნაცვალი მიქონდეს მოსაშოველი.

46.ცხოველსა მყვანდა მორჩილი, მადრიელ-მაქებარენი;
აწ იყვნენ, მოვიწადინე კარგისა მოამბარენი;
მაშინღა ვიყავ უნჯითა გულისა მომგებარენი, 4
და ახლა სწავლასა მოგართვამ, დაწერით მოუბარენი!“

47. ჩამოეწერა პირველად საფლავსა, დასავანებსა:
„მეორედ რადღა დასცდება საქმესა დასანანებსა?

მეფეთა წინამდგომელსა ახლორე მინაყვანებსა
და სიფრთხილე მართებს უცდურად, რასამე შეუგვანებსა!“

48. მოყვა(ს)ს ნუ ეტყვი საწადსა, მტერისა დასაფარავსა,
იყიდის ავის მსყიდველი ავსავე დაუზარავსა,
სიკვდილი უჯობს უკამსის პურითა გამახარავსა;
და ნუღარ შეხედავ დაცემულს, ისევღა ამახარავსა!

49. „ავი ნუ გინდა, გწადიან მოყვასი დასავჯარები,
ავისთვის ავსა ნუ უზამ, მტრისაა მოსახარები!
არ დახევ სხვისა ფარდასა , აღარც შენ გაიმწარები.
და შიშისა მოუწადელი უწყენად არის მარები!

50. „სინანულს რიდობ? – გააგდე ჯავრისა მონენებანი,
თავის სიტყვისა გამტეხსა სხვამ უყოს გაცუდებანი,
ულხენსა ჭირსა შემოგყრის უცების ბაასებანი,
და საწყინარია სასმენად უგვანთა სიტყვის გებანი!

51. „უხვად მისცემდე, გწადია მყოფობა კაცის გულებსა,
ნამუსი შორად დარჩება ენაგძელს და უსულებსა“.
გათავდა მისი ანდერძი, რაც ეთქვა ნაუსულებსა;
და შენდობა გემართებს მსმენელსა, თუ მიხვდა მისსა სულებსა.

52. სიყრმეს ისწავლე, კელთ დაგრჩეს, რა წავლო ერთი ხანები;
ყრმათ უარესად გამოჩნდეს ბერი უსწავლთა მგვანები;
ლხინსა და ჭირსა უზარო, ბრძოლასა მბრძოლი ყრმანები,
და უხვი, საღ(მრ)თო და ზნესრული, სიკეთით მონავანები.

53. ბერისა ყრმაზე ესეა განყოფა, განთვისებანი:
ყრმისა საქმესა ვერა იქს, მოსლვია დანაკლებანი,
აკლია ყრმათა გამოცდა, საწუთროს ესე ებანი,
და გულისა ამაყობითა სილაღემ მისცეს ვსებანი.

54. სისუსტეს უგმობ მკცოვანთა ყრმა მისი მონატრელია,
მას მისცემია საწადი, შენ გინდა საყვარელია,
ნუღარას აწყენ, სოფელი არიან გასატრელია,
და შენზედა გამოიცვლება, სითეთრე, გასაჭრელია!

55. სიბერისაგან მოხრილსა ყრმა მზერდა მოცინარენი:
„მშვილდი ვინ მოგცა , — ეტყოდა, —ეგეთი მონახარენი?
მასწავლე, მეცა ვიყიდო, საჩემოდ მოსაკმარენი!“
და —„ჯკუით მქცეველსა მომცემ(მ)ა უბოძოს გასახარენი!“

56. ბერს დაერიდე უცებსა სახლებლად, საამბელადო,
მოყმენი სჯობან ამისთვის, საქმე აქვს გასაძნელადო,
მეტი რაცაღა არ იცის, არ ძალუც შესაქნელადო;
და ელის სწავლასა მოყმენი, რაცა აკლს დაუცდელადო.

57. ორმოცის წლისა გამოსვლა საწყენსა გაამრავლებსა,
ორმოცდაათი, სამოცი ადარებს შესაბრალებსა;
რა ოთხმოცისა შეიქნა, გზასა ვერ გაიკვალებსა,
და გავს პირაღმართზე ასულსა, თავდაღმა ჩამავალებსა.

58. თუ მეფე იყო, იყავმცა მეფობის შესაფერები,
თვალი დაკრძალე, კელიცა სიავის მოსაგერები,
გულადღა გამოირჩიე, მერმეღა სცნობდენ ერები,
და გააგდე უქმი სათქმელი, არაში დასაწერები!

59. სიმოკლით კარგა ნათქვამი შემოახარებს გონებსა,
კარგებსა ყურსა უგდებდე, ავს რიდე, მოუწონებსა,
გლახა-მდაბალსა პატივით მისცემდე შესაწონებსა!
და ნუ უგვიანებ წყალობას სამსახურისა მქონებსა?!

60. ნუ დაიზარებ სამართლს, ნუცა მარტო ხარ მჯდომარე,
მას მეფესავით, რომელი შეიქნა ამის მდომარე:
ჯდა ვინმე მეფე, ყოველგან კელისა მიმაწდომარე, 1
და მკევალსა თანა იშვებდა ფერკისა გაუდგომარე.

61. მოკელეთაგან უჩივლა ქალმან ქვრიობით მყოფელმან;
ბრძანება მისცა, უსაჯონ სასამართლოსა მჯდომელმან.
მეორეზედა შესჩივლა ბედისა დამაგმობელმან; 2
და უბრძანა კიდევ ბრძანების მიცემა გაუგნებელმან.

62. კადრა: „ძოღანცა მიბოძე, დააგდეს გაუგონებლად“.

— „მეტი რა გიყო მაგისგან უმჯობე მოსაგონებლად?“
— „არ შემექნები გასწავლი: — შეკადრა გასაწყრომელად:
და — რისაცა მოვლა შეგეძლოს, ეგზომი იპყარ მქონელად!“

63. მეფესა ესმა, განიფრთო მძინარეთაებრ ძილადო,
მოკელეები დაკოცა, მიაგო მათსა წილადო;
ქვეყანა ისევე დასწყნარდა ჭირისა დაუცილადო;
და უსაკმარია ვეზირთა მინდობა უსაცილადო!

64. ცოტას გაცემა მეფეთა უკადრად დასამზერია,
სიმომცროვითა უბრძანონ სამცირო დასაჯერია,
აღდგება ღვარი, მოირწყვის ტყე, მინდორობით სერია,
და ასე კამს გამოსაცემი, ყოველგან დასაწერია!

65. რვა წელი მეფეს ვიახელ, ეს სამი შჭირდა სრულადო:
ორას ფლურს ქვეით არ გასცის, რაც რამე გამოკრულადო;
სიცილში კბილს არ იჩენდის, წაეთქვათ სახუმრულადო;
და გაჯავრებული ვერ ვნახე, გინების აღმასრულადო.

66. უმართისია მეფისა, ყმით იყოს დანამთვრალები,
იდუმალ მტერსა მტერობდეს, ეპოოს დასაბნელები;
საქნელად ძალუც პირისპირ საქმენი დაუმცრალები,
და დიადად უკადრისია ქურდობით განამწყრალები!

ქ. თქმა პელმწიფეთა სამსახურისათვის

67. ტრფიალო, მზერდე, გამოდით გაზაფხულისა არებსა,
ვარდებსა განაბუტკვნილსა, მიჯნურსა სამკობარებსა,
დაფერებულთა ყვავილში, ამას თუ არვინ არებსა,
და იგი უამოდ სამსალის უმწარედ გამამწარებსა!

68. გამოვაცხადო მსახურთა მეფეთა სამსახურისა:
რაზომ მიგწიოს, უშორე სასურსა მოსასურისა!
ბრძანებას დაემორჩილე მძლავრისა, უსუსურისა,
და დაემონენით სიფთხილით, ასწრაფე დასაშურისა!

69. კელმწიფეთაგან მოგეცეს პატივი განადიდები,
მოეკრძალენით უფროსად, შიშობდეთ მონარიდები!
თუ ავსა გამოურჩევდე, მალობით ჩამომცირდები;
და მტრისა მორევის უნდომი სიცრუვეს გაუფთხილდები!

70. უმართია, ვინმე იყოს მეორისა დამაძრახლად,
სხვისა ვისმე საქონელი ნამალევად მიდვას საზლად,
უთხრას სიტყვა მოურიდი, ნაძველევი განაახლად,
და ერთმანერთსა მოგაშორებს, საძნელოა დასამძახლად!

71. ბრძენთა სიტყვა, მეფეთ რისხვა ნუ გგონია სალაღობი,
ცოდნისაგან გათარხნდები, ზღუდე არის მოსაღობი!
ხუთი უნდა თარხანისგან მათის გულის დასალღობი: 1
და დასანახი,სასმენელი, გული მისგან მოუღობი!

72. სამივე გქონდეს მუდამად კელმწიფეზედა მზერელი,
რაც ბრძანოს, რაცა სწადდეს, რისაცა იყოს მჭერელი.
მეორე, – შვენიერებით მხატვართა დასაწერელი, 2
და არ შეიძულოს ნახვაზე, არ ექნას დამაზვერელი.

73. მესამე, – მეფეთ წინარე საჩენი ყველა რამენი:
წიგნი, შაირი, ხუმრობა, კაი კმა, სასიამენი;
ვარსკვლავთა მრიცხველობითა გამოთქმა, შესაწამენი, – 3
და იქმოდეს წადილისებრივ, რა დახვდეს მისი ჟამენი.

74. მკედრად ვარგიყოს, სამკედრო იცოდეს მისი ზნენია,
ლაშკრობის დროსა სალაშკრო, მისივე გასაგნენია,
ნადირობაში, რაც არი, წესისა შესამცნენია, 4
და უკან არ დარჩეს საქმეში უცოდნი, უამენია.

75. იჯდეს მეფე თავის წინა, მოახლენი არავინ და,
მას შეეძლოს გარიგება, წესი ნუმცა დაუცვინდა,
რა უბრძანოს, გაურჩიოს: „ესე რამე ასე გვინდა“. 5
და სიკეთისა მემუდამე არაოდეს შეუძვინდა.

76. პურობა– დარბაზობისა წესი და მართებულები,

მის ვეზირისა არ მიხვდეს საქმენი დაკარგულები:
ლხინითა იყდა კელმწიფე, იახლა მიახლულები, 1
და მელვინეები გაასხა, შემოიხაროს გულები.

77. ვეზირი დანამთვრალარი თვალს უზამს შენამზერობსა,
მეფემ უბრძანა: „თვალებსა რა გიჭირს განარჩერობსა?“
შეკადრა „*არა ვიცი რა, მიმხვდარი გასაშტერობსა*“. 2
და თვალი აქვს მრუდად მზერელი თავისა შენამტერობსა.

78. სიკვდილამდი უგუნურმა დაიჭირა ეგრე მზერად,
ვერაოდეს მოშლიდა, მდგომი იყო დამაწერად;
ამით მორჩა რისხვისაგან, სიკვდილითა დასაჭერად; 3
და აჩქარება გარდაუქცევს ღღესა მისსა დაუბერად!

ქ. თქმა მდივანთათვის

79. რა არგო ძმასა მწეობით, ანუ თუ დასცა დარია?!
ანუ სოფლისა სიმდიდრემ ბევრს ვისმე დასცა, დარია,
ვინ მორჩა სიმუხთლისაგან, არავინ დასცა, დარია,
და ბოლოდ ყოველი მუხთალმა ანაზდად დასცა, დარია.

80. მდივანს მართებს ენაები იცოდიან დასაწერად,
ქონდეს სიტყვა საკელმწიფო შესაკადრი შესაფერად,
ცოდნისაგან განასრული, სასაქმოში დასაჯერად, 1
და სამეჯლიშო ლაღობაში შვენიერი შესამზერად.

81. დადგომა, ჯდომა, წადგომა, თავაზა საქებელები,
ტურფა მწერალი, წერილი საამოდ სასმენელები,
წიგნისა თავი ამოსცნას, ბოლოდ სცნას საამბელები, 2
და მალე იპოვოს პასუხი, საჭირო, გასაძნელები.

82. მეფემ მისწერა მეფესა ამბავი გაუგებელი:
„ჰაერზე სახლი–სამყოფი გამიგე ასაგებელი,
ვერა ქნა, თემი მიბოძე, ჩემივე მაახლებელი, 1
და თვარა ლაშკარი გაახლო საბრძოლად შეუძლებელი!“

83. რა მივიდა მოციქული, მეფეს კადრა დანაპირი,
თავდაზრილი იგონებდა, დააძვირა სათქმლად პირი;
ყვა მდივანი სიბრძნისაგან, უკიდური, უნაპირი, 2
და მოახსენა: „დამაცალე, მასვე მივსცე შესაჭირი!“

84. დესპანსა დაბრუნებულსა აბარეს, მიუწერესა:
„კალატოზებსა გაახლებთ მცოდნესა, დასაჯერებსა“.
წავიდა, გამოეკიდა მდივანი მათსა მტერებსა, 3
და გასწვართა ოთხი არწივი, აღმამავალი ზერებსა.

85. სამი შეასვა ყმაწვილი, ამა სიტყვისა მკმობელად:
„მომეცით კირი, აგური სიჩქარით, დაუკლებელად!“
რა გაიწვართა, წავიდა, იგიცა მიყავს მხლებელად, 4
და მივიდა მათსა ადგილსა, პირობის უცვალებელად.

86. უამბო: „მეფემ გაახლოთ ჰაერზე სახლის მგებელი,
ხვალე კელს მივყოფ აგებად, მეფეა მომნებებელი“.
დასტური მისცა, უბრძანა; კვირობენ გაუგნებელი. 5
და მზე ამოვიდა, გავიდა მოედანს უქენებელი.

87. არწივი მაღლა აუშვა, ყრმანია ზედა მჯდომელი,
ჰაერთა შინა ავიდენ, კვირობდენ მუნა მდგომელი;
ყრმანი იმასვე იტყოდენ, ჩამოესწავლა რომელი; 6
და გაცუდდა, რადგან ვერ მისცეს სამათო მოსანდომელი.

88. ეუბნებოდა მდივანი: „მიეცით მოსაკმარენი!“
მათ ვეღარა ქნეს სანდომი,(მ)ისაკარენი;
გაშველებითა დაუდგათ გულები დანამწარენი, 7
და მდივანს მრავალი უბოძეს, წარმოვლო მისი მკარენი.

ქ. თხრობა ვეზირთათვის

89. თუ აქვს სოფელსა სიმაღლე ცათამდი მისაწდომელად,
ბოლოდ დაუშვას ძლიერად ქვესკნელად ჩასაკდომელად,
გადააქციოს საჭვრეტლად, საბრალოდ გასაკდომელად,
და თოკი გაუწყდეს რჩევისა მისაწდომ-მისაკდომელად.

90. დაფასება, რიცხეთა ცოდნა ვეზირთ არი მოსაკმარი,
კელმწიფეთა ქცევა-წესით მომართული გაუმკმარი,
ქვეყნის მოვლა, გარიგება, უმჯობისა მოსაქმარი,
და მეფეთ წინა სიმართლითა უტყუარი, უუქმარი.

91. შეშისა გამოუმეტად მწვადი დარჩების უმადო,
კელს ნუ შეუკრავ მოკელეთ საცხადოთ, დასაჩუმადო!
ოდესმე შჯამდეს საჭმელსა საჯაროდ, დასაღუმადო,
და ორის თითითა იკმიე, არ დაგრჩეს გასამგუნადო!

92. ვითა მეფესთან, კრებაში აგრე გიმართებს ქცევანი,
ცოტას საძებსა ნუ ეძებ, მოგხვდება ანარევანი!
კბილისა გამონაკრტენმა მუცელს ვერ მისცეს წევანი;
და სარგებელს ექნას სასწორით ზიანი, დამაძლევანი! .

93. მეფეთა გინდა მოსავლის სიმრავლე, შემატებანი,
რუს გამოღებით უშენთა ზე უყავ აშენებანი!
საზრდოს ნუ უჭერ, რაზომცა გაგიდიადდეს ნებანი! –
და დასწყევლიან და არ არი ერთგულობისა მცნებანი.

94. ერთმა კელმწიფემ წაართვა ვეზირსა ვეზირობანი,
უბრძანა: „გამოითხოვე სანებიერო პყრობანი!“
სთხოვა: „ნასოფლის ადგილის მიბოძეთ საურობანი“. 1
და „მოძებნეთ, – ბრძანა, – მიეცით, იწადა უშვერებანი!“

95. დაძებნეს, ვერსადაობით ვერ პოვეს ნასოფლარები.
„სამეფოშია არ არის, – უთხრეს, – ეგეთი არები“.
ვეზირი იტყვის: „არც მე მწადს სანაცლოდ ეგე გვარები, 2
და ასეთსა მიეც, ჩემსავით მოგართვას მინაბარები“.

96. შეიტყო მეფემ, ვეზირთან ბოდიშსა მომთხოველობდა,
ვეზირობაზე სხვასაცა მიცემით მიამთვლელობდა.
სჯობს სისწორითა ნაქნარი, სიმრუდით რათა მჭელობდა? 3
და გასინჯე მოწყალეებით, ნურავის დანამწველობდა!

97. მშვიდობა გინდა? – მეფესა ეკრძალე მონარიდები,

რაგინდცა იყოს ყმაწვილი, დამდაბლდი, ნუ ედიდები!
ჭუჭულსა სწავლა არ უნდა ცურვისა, არცა კიდები,
და აგრევ მეფეთა ნაშობმა იკიდოს ასაკიდები!

98. შეგიტყობს, როსცა იქნება, საკარგო გასააებსა,
მოგაგებს საპასუხოსა, ნაქნარსა, ნასადავებსა;
წავიდოდიან სადაცა, ნუ შორავს სასადავებსა,
და მტერები მოგიპოვებენ დროებსა გასათავებსა.

99. მის სარგოდ ვისმე უნდოდეს საქმეში განარეობა,
სხვა არ უნდოდეს სამყოფად, შეეძლოს გასამკრეობა,
მოიპარევდეს, სასხვაო თავისად უნდა მრეობა, —
და მეფეთ სახელსა წააკდენს, სათემო ჭირის მდრეობა.

100. გვანან უდენსა რუებსა, — წყალი მიუშვი მდენადო,
შეისვამს გაუშვებელსა, სულ არ ჩავიდეს ქვენადო,
ნადენსა მალე გაივლის სიჩქარით, მოუწყენადო,
და მაძღარი არის სისველით ბოლოსაკენცა, ზენადო.

101. სპარსთ მეფემ ერთსა უბოძა სამთავროდ სამარყანდია,
რა მუკლს აკოცა, შეკადრა ესეთი შეუგვანდია:
„სამსახურები მიბრძანო, დანიშნე, გავიყვან დია!“ 1
და უბძანა: „პასუხს გიბძანებ, აცადე, აქა მყვანდია!

102. გამოუვიდა: „ერთ წელსა სახლშია იყავ მჯდომარე“.
საკელოები გაუცეს, ის დარჩა განამწყრომარე.
წელი გამოკდა, მოიკმო, — წინაშე წინამდგომარე, 2
და უბრძანა: „პასუხს გიბრძანებ, რისაცა იყავ მდომარე:

103. წესია, მეფე არ იყოს მტყუვანი, შეუძლებარი,
კლმით ემუქრების მებრძოლთა, ურცხვადრე ყმათა მგებარი,
რად შემომკადრე ესეთი უკადრი, შეუქებარი? 3
და აწე ცან, რომე არა ვარ უღონო, შეუგებარი!“

ქ. თქმა სპასალართათვის

104. ხანი გამოვა, გარდავა სახელი სახელოვანი,
ისივ უფროა სიგრძითა სხვისაგან გასაძლოვანი;
დაურჩომელთა რისამე ეს გვიჯობს ძალგულოვანი,
და სახელსაც ვემოყვსებოდეთ, შევიქნათ დასაგლოვანი!

105. მებრძოლს მართებს ქალწულება, შეუშვები სიძვა გულად,
არ უნდოდეს მოსვენება, გარჯით იყოს დადაგულად,
მართ აგრეთვე მორჩილება არ მიაჩნდეს დასაწყლულად,
და ნუ იქადი მამაცობას, არა გჭირდეს ესე სრულად!

106. სპასპეტსა შვენის სიუხვე, მიცემა მისაძლეველი,
საშენოდ მოლაშქრენია სულისა დამალეველი!
ნუ დაუშურებ წყალობას, ამისი დამაკვლეველი,
და დაუთესელსა სათესსა ვერ პოო მოსაძლეველი!

107. საქმისა მოუშვებელი უკან ნუ დგები მშიშარი,
დაასწარ მტერსა, სჯობია, ადრობით შესამუშარი,
ის გიმზადებდეს ვახშამსა, სადილად შექენ მქუშარი.
და ცდისაგან მოჭირეებითა მოგეცეს დასაშუშარი!

108. ომსა სისუსტე არ უნდა, თავისა დამზოგაობა,
არ მოგხვდეს საფლავამდისი მოსვენებისა მგაობა,
ნუ მოისვენებ ცოცხალი, გააგდე არამგაობა,
და ან სახელი ჰქენ, ან მოკვდი, ცუდია სხვა იგაობა!

(ქ.) თქმა სტუმართათვის

109. ყვავილს სიცხე ააყვავებს, ყინვა დასძრავს, დაამჭკნარებს,
აგრევ კაცსა ეს სოფელი ბოლოდ ჭირად დაამთქნარებს,
ვერ გაიტანს მოსაკმარსა, თუ არ კარგის ნასაქმარებს.
და პატივი და სიყვარული აღმოფხვრიან ეკალ-ნარებს.

110. დია კამს, სტუმრის თავაზა, დახდომა, გულის ჩვენება,
ყმა იყოს, გინა უმცროსი, საპატიოთა ხსენება!

ყველრება არის, სათქმელად ეგეთი გასაწყენება:
და „ვარ უკაცრავად, ვერ დაგხვდი, ვითა მეწადა, მენება“.

111. შესწრფება, მოეწყინება ბოდიშებისა სმენითა;
მასპინძელს მართებს სტუმარზედ საქციელისა ენითა —
მდაბალი მაღლა ასწიოს სიტყვითა მოუწყენითა,
და უშურველად მისცეს საწადი, საქმითა შეუქენითა!

112. ერთსა ბასრისა წყალობა უყო არაბთა მფლობელმა,
მრავალი მათი ხაზინა შეჭამა დასაგმობელმა;
მიიკმეს, უთხრეს: „ესეთი რადა ქენ მიუნდომელმა?“ 1
და „ანგარიშითა დაედვა“, — თქვა მწუხრად გაუგებელმა.

113. თვე ერთი გამოითხოვა, თქვენსა მოგართვამ სულადო,
მომასმენელთა გაგზავნეს, სახლშია შენახულადო;
თვე გამოსული მოიკმეს, მოთხოვეს უნაკლულადო; 2
და თქვა: „*სულად მომირთმევია, რაც ჩემზე იყო თქმულადო.*

114. *თეთრი დამედვა, თვე არის, მარტო ვარ დანამჯდომელი,*
პურის ცოხნამა შემოქნა კბილები დაუდგომელი“.
მეფესა ესმა, სასტუმროდ ყოფილა გამაცხრომელი: 3
და „სტუმარსა მეტი რა ვკადროთ? — მივართვათ მოსანდომელი!“

115. ათავისუფლა, რა კადრა სტუმარად თავის თავია,
ერთპირად ჩააროინა, რაც ქონდა მისადავია,
სახლად წავიდა მშვიდობით მადლობის გამათავია. 4
და ვინც მასპინძლობა არ იცის, რიღასი შესართავია?!

ქ. თქმა სიყვარულისათვის

116. ღ(მრ)თით სვემა და მოჭირვებით წარმიმართა ამა სამა,
სოფლისაგან მოსავალმა მოუკმარად ამასამა,
აწ გამჯადა დამაგმობლად საჭირომა ამ ასამა,
და უპოვია საწუთროსა საამბობლად ამას ამა.

117. მოციქულებსა მიხედეთ, სიყვარულს ვითა აქებსა!
მას შემოქმედსა უქმედსა სიყვარულს დაასახებსა,

ამითი დაგვაქადებენ მორჩენას ძნელსა ახებსა,
და გვეუბნებიან გვირგვინსა თვალითა დაუნახებსა.

118. ასე გიყვარდეს მოყვასი, შენთვის გწადს მოსაქნელადო,
მტერ-მოყვარეთა მეტობით ნუ მისცემ გასაძნელადო!
საქმითა, გამორჩევითა, ნუც სიტყვის გამომთქმელადო;
და მისგან შენ ავი, მას შენგან უხვედრი მოსავლელადო.

ქ. თქმა საქონლის შეკრებისათვის

119. მრავლად დავსთესე ყვავილი სურნელებისა ფშოვანი,
გავმარგლე, მოვრწყე, გავაწყე კარისა დაუშოვანი,
ყურისა მოსასმენელი, გულისა შესაშოვანი.
და გარე ნუ უვლით, შეეედით, მოიღეთ მოსაშოვანი!

120. ნუ აგროვებ საქონელსა, ნუც გაუშვებ გასაგლახად,
მწირსა მიე, დავრდომილსა, დაარიდე მდიდარს ნახად.
ცუდსა ხარჯსა დააცადე, უსარვაგოს გამოსახად,
და გარჯისაგან დაურიდმან ვერ აღრაცხოს განძი სახად!

121. ნუ დაჭმუნდები, იცოდე, თეთრი მალ მოიგებისა!
საყვარელია წეული, გულიცა მიეგებისა;
უფრო გიყვარდენ გლახაკნი, სხვა რამე მოგეგებისა,
და შეურჩენია სიმდიდრე, გარდივლის, გაქარდებისა!

122. განგებით მონაცემარსა დასჯერდი, დასაჯერებსა,
ადგილს დახარჯე, ნუ ასწევ დამეტებულსა ზერებსა;
გარიგდებოდეს უქრთამოდ, რად აძლევ დამაწერებსა?
და მართებულზედა დახარჯე, გარდურჩე დასაჭერებსა!

123. ნუ გაეწყობი მდიდარსა, უამსა, შემაშურავსა,
სიღარიბითა ცდილობდეს შენსა რამ სამსახურავსა,
მალ მიეც მისაგებელი შეანგამო დასაშურავსა,
და ეცადე, გულით აღსრულდეს, საწადსა, მოსახურავსა!

124. ძვირი იეფად იყიდოს, კაცს მეტად იამებისა,

იყიდე სასუფეველი აღსასრულებად ნებისა!
დაკლებულია ნაკლები, მეტი — მიმცემი ვნებისა,
და შუა გზაზედა მავალსა საგზო აქვს გასაგნებისა!

125. მბდვინვარესა ბევრი ზეთი ვერ აათებს, დააბნელებს,
ხარბად მორწყვა მოსავალსა გააცუდებს, დაანელებს;
სარგო არის ზომიერი, არაფერსა გააძნელებს,
და შუას გზითა შუა საქმე საძნელოსა დაანელებს!

ქ. თქმა ანაბარის შენახვისათვის

126. საბრალია წასაკდენლად მაღლა სარო ანაზარდად,
ზურმუხტულად გამწვანული, დაცვარული გინა ვარდად,
ჩრდილი მისი მონაძული, გაგდებული განავარდად,
და კელის მკდელი უყოლელი, შესაზვევი, შესაყვარდად.

127. ანაბარისა ბარება, მიგაჩნდეს გასაძნელობით,
რა მიიბარო, უკლებად შეექენ შენამცდელობით;
რა პოო ცოდვა ესეთი უდიდესისა მავლობით,
და ასე ძნელია ღალატი, სახლი გაკადოს მცლელობით!

128. წავა ვინმე დილაზედა აბანოსა საბანელად,
მოყვასს ეტყვის: „წამომყევი ამისავე გასაგნელად!“
— „*კარამდისი გიახლები სევდისათვის დასანელად*“. 1
და მინაყოლი გამობრუნდა გზასა მისსა გაუძნელად.

129. აბანოს კარსა მივიდა საბანლად შემავალები,
მოყვისა ყოფნა ეგონა, მოუკდა შენაცვალები,
ჯიბიდამ თეთრი მოიღო, აბარებს დაუთვალები: 2
და „*ღ(მრ)თის ანაბარი მიიღე*, — ეტყოდა, — *დასავალები!*“

130. ქურდმა მდგომელმა მოულო, დანამჯდომარი მცველობსა:
რა გამოვიდა ნაბანი, მისავე გზასა მვლელობსა,
„*ეს თეთრი*, — ქურდმან უყივლა, — *წაიღე!* — დანამთვლელობსა, 3
და —„*შემომაცდინე ამითი ჩემს საქმეს შესაცდელობსა*“.

131. კითხავს: „ვინა ხარ?“ ეტყოდა: „ქურდი ვარ, მომაპარავი“.
— „რასათვის არა წაიღე, საშოვრად იყო არ ავი?“
— „ანაბარზედა სიმუხთლე ვით მექნა გასამწარავი?!
და ჩემით ასამდი მეშოვნა, შემქნოდა გასახარავი!“

132. ქურდიც რიდობს მოსაკმარად ამას რასმე დასაბარსა:
ანაბრისა სიმუხთლისთვის ნუ მიყვები საუბარსა,
არ იქმონენ გონიერნი თავისასა დასაბარსა.
და თქმულა:„ მგელიც შეინახავს ცხვარსა მისსა მინაბარსა!“

ქ. თქმა მეშურნეობისათვის

133. გემუდარები, ნუ მიჩხრეკ ლექსისა სიგძე-განებსა,
ნუცა რუსთველსა მადარებ, ნუცაღა ვისმე სხვანებსა,
ზარდახშანშია დახედე მოთეთრო წითელ-მწვანებსა,
და საწადელები აიღე, ნუ ეძებ შეუგვანებსა!

134. მეშურნებითა წაკდენა ვისი რა საუბნარია?!
დათმობა, მიმტევებლობა, სიკეთე საცოდნარია;
პირუტყვის მეტი ვინ არის ამისი უუქნარია;
და არ გაურიო საქმეში ეკალი ანუ ნარია!

135. ადამც არ დარჩა უცოდი, პირველი განაბრძენია,
სამს გარდა, ვინ დარჩებიან ნაშობი მისი ძენია?
შეგცოდოს ვინმე საცოდი, მოსაძულ, გასაძენია,
და მოქცევით მიუტევებდე, მცნებისა შესაძენია!

136. ჰყვა კელმწიფესა სამართლით ქვეყანა მომადლებული,
წყალობისაგან სიმშვიდით გზებისა დაუკლებელი,
შემცოდეები მოართვეს, წყრებოდა გაალებული,
და ბრძანებით ზოგი დაკოცეს სცოცხლე დანაკლებული.

137. დამშაეთაგან იზახდა: „მეფისა საცოდნარია,
სამართლის ქება ჩვენზედა რაღადღა საამბარია?!
შენს ჟამში ეს მოგვივიდა, — სამარედ მისაბარია,

და უწყალო რაღას გვიზემდა, სიკეთის უცებარია?!“

138. ესმა მეფესა, უბრძანა: „გაუშვით, გაუტევენი!
გარდურჩებოდა, წინ ეთქვა, ჭირისა გამაწევენი“.
მოწყალეება ასე კამს, ვინ არის მისასევენი;
და ქვეყნის, ორგული მეფეთა გასტანჯეთ შეუწევენი!

139. ხვეწნად არ საღირალია დანაშაულის მჭევრობა;
შუამავალსა მიმადლე, იყოსმცა განაბევრობა,
ან თვითან შემოგეხვეწოს, დავარდეს განამტვერობა,
და შეიყოფინე ძმისაგან, ხვეწნისა დამაჯერობა!

ქ. თქმა სიკეთისათვის

140. შე(ვ)ვარდი სოფლის ღელვასა მენავე ნაოსანია,
არ დამიჯერეს უმცროსთა, სარჩევი სარგოსანია,
იქით მკრა, აქეთ მომაგდო, გამოვსცან სამკნოსანია,
და ნაპირს გამოველ, ესელა დამირჩა სამოსანია.

141. დაუდაობდე უბრალოდ საქმესა მოუდავებსა,
დღედამოკლებით მოაწევს ჟამებსა გასააებსა;
გეწადოს დავი, იქმოდე საქმესა შესაგვაებსა,
და გამრჯელისათვის სასჯელი მოსავლით მოიმწვავებსა!

142. ასე უნდა მოწყალება საგულოთა დანერგულად,
რა სარგოა შჯიდე ვისმე, აწყლულებდე დადაგულად?!
უმეცარულის გაჯავრებით სიავენი განაგულად,
და ნუ გააღებ მტრობის კარსა, შემოიგდე მონაგულად!

143. ცხვარი ყვანდა ბევრი ვისმე, უწველოდა განამრავლად,
წყალს ურევდა გასასყიდად მოურიდად, დაუდავლად;
მეცხვარე ყვა გონიერი, დაურიგდა გასასწავლად:
და „თავი შენი შეიბრალე, ჩამოეხსენ საქავს მქაველად!“

144. არ უსმინა, რაზომიცა შესაგონი შეაგონა,
განაბრუნი ცხვართან მივა, რა აღარა გაუგონა,
ფარეხს ცხვარი შეაყენა, ღელეს ქონდა ასაგონა,

და სერზე დაწვა, დაიძინა, ჭირისათვის დაუღონა.

145. მთვარე ღრიანკლად შევიდა, ღვარი ასტეხა ცვრეული,
ღელე სულობით მოგრაგნა, რაცაღა იყო რეული;
მეცხვარე მივა პატრონთან გულითა დანაგრეული,
და „ნაქნარისათვის ნაცვალი ვინ პოვა დანასრეული?!“

146. თქვა: „ერთპირობით მოვიდა, რძეშია ანარეული,
ამოგვიწყვიტა ჭამბარი, საძველო, გასაწლეული,
არ დაიჯერე ნათქვამი, ჩემობით შენამცნეული;
და უგბილად ქმნილმან ნაქნარი გაკადოს დანაძლეული!“

147. უწყალობა, სიავესა, ნუ იმედობ, მორჩე ბოლოს,
თუცა პირველ გაგანათლოს, მერმე ბნელად დაგაბოლოს,
ბრძენთა სწავლა დაიჯერე , ნუ აყვები აუყოლოს,
და რაც ა რამე უმეცრული შემოიღებს დასაქოლოს!

148. არასი იყო დამჭირნე! — ესეა კაცთა ნიშანი,
ღ(მრ)თის მეტსა არვის შესთხოვდე, ჭირია ანუ იშანი,
მთხოვსა მისცემდე უყვედრად, სიუხვით ვითა ქვიშანი,
და შენითა სხვამაც ისწავლოს მოწყალეება ვიშანი!

149. შეუწყალი ულმობელად ესეაო ჩასაგდებად:
დამჭირნესა არ აძლევდეს საუნჯესა მისადებად.
სპარსი განცემს საბოძვარსა, არ სწავლისასხვათ საგებად,
და საფრანგეთი ისწავლება, არას მისცემს გარდსადებად.

150. დამეტით ესე სამი უნდა გქონდეს შენახულად:
ენა, კელი, სახედველი, სიავეზე დაკრძალულად.
მოეშორე სამსა რასმე, შესაშვებად სულად, გულად:
და უთქმს, უნახსა, უქონელსა ნუ ეძიებ დასაწყლულად!

151. სამი გქონდეს სამუდამოდ განაშ(ა)ლი, გაღებულად:
სახლ-სალარო, სუფრა კარგი, ნიადაგმცა უკლებულად;
მტერ-მოყვასთა უშურველი სიუხვითა მიღებულად,
და გაგიმოყვსებს მემტერეთა, შეგექნების და-ძმებულად.

152. შენთვის უნდომს სხვასა ზედა დააცადე მოსასვლელად,
გამოიცან მაშინაღა თავის-თავის გარდამსვლელად;
მტრისა მტრობის მიუცემლად გაიარე გარდამვლელად,
და შერდობითა მიუტევე,შეგენახოს შენად მკვლელად!

153. გინდა, ქვეყანად შეიქნა, საქებად საამბობარე,
ნუ დაუზოგავ, რა ნახო დაჭირებითა მკმობარე,
ბევრსა იპოებ ცოტათი დათესვით გამომგებარე,
და რა გინდ გიჭირდეს, სხვებისა ნუ გინდა დასაგმობარე!

154. „წლისა ვარ სამოც-სამისა, — სწაელითა გეუბნებისა, —
ასე მივლია, ნარჩომსა ესევე მენებებისა,
რაც არა ჩემთვის არ მომწონს, შენთვის არ მეკეთებისა,
და ეს მაინც ჩამოიწვართე გასამტკიცებლად თბებისა!

155. შემოიწვართუ ნაწვართი საკეთოდ მოგიკდებისა,
არ შეისმინო, ქვე დადევ, სხვა ისმენს, არ წარკდებისა!
შენდობას ვინმე მიბრძანებს, სულისთვის მომიკდებისა;
და კიდევ ვთქვა გამოსათქმელი, თუ მზე არ დამიკდებისა.

156. ბრძენთა უთქვამს: გამოუთქვი დამრჩომია უნანულად,
დასანანად გამოთქმული მომცემია დანაძნულად,
არ მობრუნდეს განატყორცი უმეცრული გაუგნელად,
და ურგებია მოწამლულთა სალბუნები შენაქმნულად!

157. უბრძანებია კეისარს დასაკსოვარი თქმულები:
„თქმულისა ნება არა მაქვს, უთქმელი, დამარხულები,
რასაცა ვიტყვი, ვერ მოვშლი, შემომითქმიდეს გულები,
და უნდომად უთქმსა არა ვიქ, მოვრჩები დაუწყლულები!“

158. მოგონჯო ანაგებითა ფილასოფოსი ბრძენია,
მაკიდონელთან მოვიდა; ბრძანა: „რა მოსაძენია?“
„სიტყვა მისმინე, — შეკადრა, — არა ვარ გასაძენია, 1
და არ დაითმობის სიგონჯით ადამიანთა ძენია!“

159. „უწყალოს უნდა გაძება, არა სიგონჯის მქონელსა;
ვამსგავსებ კორცსა ქარქაშსა, ჰმალს — სულსა მოსაგონელსა,

კამს, პირისათვის უბნობდენ ქებასა მოსაწონელსა,
და რისაცა იყოს ქარქაში, დაფარავს შესაკონელსა.

160. „კეკლუცი იყოს ავ-გული, შვენებით სატურფალია,
მძიმეა ტყავი იმისთვის უგვანი, საღაფალია,
უსიკეთონი სიტურფე დასამარხ-დასაფალია,
და უშოვარია იმითი სახელი საუფალია!

161. „კაი კაცი საქონელსა მოყვასს მისცემს, მიანიჭებს,
ავი მტერსა შეუნახავს, საქმესა იქს გასაკრიჭებს!“
დაინახა ალექსანდრემ სიბრძნისაგან მოღრმოდ იჭებს,
და ბოდიშები მოიკადა, გაამდიდრებს, არ აბიჭებს.

162. სოგრატს უთქვამს საქონელი მოსვენებად, მოსალხინად;
სანატრელი სულ აგიკდეს, ჭკუას გაკდის სასაცინად;
საჯაროთა გამოუთქმი სათქმელია მეტად ძვინად,
და საძრახი და სასირცხოსი დათმობაა ჭკუის მძინად!

163. გონიერსა სწავლულებით გარჯა უფრო მოასვენებს,
უმეცარსა უგბილობით მოსვენება ვერ ასვენებს.
მალს ცხენსა გავს კაცის დღენი, მოედანსა გასამჩვენებს,
და რაზომ სდიო, ვერ ეწიო, მოსანდომად მიუწევნებს.

164. მემკურნალენი სნეულთა ნელა მისცემენ რგებასა,
რა ბრძენი სწვრთიდე უცებსა, შესიტყვებისა გებასა,
მისებრ ასწავლე, ურგია გასახანობით გებასა?
და უცების აყირბაჩებას ზღმურდლი სჯობს გამოგებასა!

165. სოგრატ სწავლიდა მოწაფეს სოფლისა ჩამოთმობასა:
„მდღევარს საგზალსა დასჯერდი, სამეტოს-დასაგმობასა,
სიცხე-სიცივემ არ დაგძრას, იპოვე გამოკმობასა,
და თავსავე შენვე მსახურე, ვალსა ნუ იდებ კმობასა!

166. „ფეკი ცხენად გაიკეთე, საგებელი — მიწა შავი,
მასკვლავები გასანათად,სამაშხალედ — მთვარე მგვავი,
ცოდნა შენი — ამხანაგად, რაღა გინდა მოსადავი?!
და ასე გავლე ეს სოფელი, მტკერი მისი დაიგავი!

167სწავლას ეცადე, სჯობიყო მეამხანაგე-ტოლებსა,
კაცად გამოჩნდი, არ გვანდე პირუტყვთა გასაყოლებსა!“
საუცხოოსა კითხევდენ სოგრატ სიბერით მწოლესა: 3
და „რად გადასცდება ჭკვიანი, – თქვა,– კვამლსა მოიბოლებსა?“

168. საკრავს სწავლობდა, სიმღერას, ნათქვამი არი, ბერია.
ეკიცხოდიან: „რადა ხარ შაგირდობისა მზერია?“
თქვა: „ბერისათვის ურცხვია საცოდნი, დასაჯერია,
და უცოდინობა მიმაჩანს სასირცხოდ დასაწერია!“

169. „გვიბრძანე, –კითხეს, – სოფელში უფრო რა გემრიელობსა?“
– „სწავლა, სიტყვისა შესმენა, ვინცა ვინ შენამცნელობსა,
იგიცა საყვარელია, კარგ საქციელად მვლელობსა, –
და მკურნალი მეცნიერობით სენებსა მიმაშველობსა“.

170. ქურდია გამომთხრობელი, მთქმელსა არ დაისწავლისა,
მოკითხვენ გამოსინჯულსა, გზასავე ზედა წავლისა;
მოყვასი გყვანდეს მისანდო, უსმენდე დასასწავლისა;
და შეუძლებელსა მოყვასსა ნუ დასთმობ, შესაბრალის ა!

171. ნავსა გავს მეფეთ წახდენა პელაგონშია მღელავსა,
გატეხაშია, მრავალი დაინთქმის, დაიქელავსა,
აგრევ მათისა ქვეყანას გააწყლობს, გააწველავსა,
და სად გული მქონდეს შვებული სამკვიდროდ იგ მიელავსა.

172. „გიპირებს ვინმე სიკვდილსა?“ – კაცი კაცს ეუბნებისა,
უთხრა: „უფრორე ეშინის იმისთანასა ვნებისა“,
სიტყვა ბრძენისა უცებთან მიაგავს, ვინც ინებისა,
და მთვრალთან ფხიზლისა ნათქვამი ქებისა ან გინებისა.

173. ოდეს გულსა პატრონობდეს, არ იცნობა მისი ნება,
არ მოუვა არსით ავი, არც აუგი ეოცნება;
სიბძნის წილში ჩავარდება, მოიქონოს ესე გნება,
და მოქიშპართა, მოყვარეთა არ უნდოდეს მისი ენება.

174. საწუთრო მიგავს ეკალსა, გზას ქვეშე დაეყაროსა,
იყოს ამგვარად ნაქნარი, ინახებოდეს აროსა,
გამომავალსა დაჩხვლეტით აჭიროს, დაიზაროსა,
და მცნობელმა სიფთხილისაგან უვნებლად გაიაროსა.

175. ალექსანდრეს ვინც ეტყოდა სახოტბოსა, საქებარსა,
შენაწყენი უბრძანებდა: „ნუ მომასმენ ნაუბარსა!
ხვეწნა კაცსა გაამაყებს, ქება მისცემს დანაბარსა,
და ეფერების უგუნურთა, დასათესავ-დასაბარსა“.

176. დაიჯერებენ მკურნალთა ნათქვამსა, დანარიგებსა,
ჭირსა მორჩება ადრობით, ცხედარსა არ დაიგებსა,
უსმენი ნუ დააბრალებს, ვერასა გაურიგებსა,
და მასვე შეირგებს უცები, ჭამით სნეული ირგებსა.

177. მართებს მეფეთა საწყრომზე სარისხო, დასაზარები,
მოწყალებითა სიმშვიდე ზე არის მოსაკმარები,
ავია მათი ურცხვობა, საჭვრეტლად შესაზარები,
და სხვისგან უფროსად სირცხვილი შექნოდეს მოსახარები!

178. მალ წავა ავის დაჩვევა, დაგრჩება ავ-გულობანი,
უკამსად იმას ჩავაგდებ, ქონდეს ეს ჩვეულებანი:
აგროებდეს და სხვას მიხვდეს სიმდიდრე, სიმრავლობანი,
და სულ გაუცუდდეს ნაცადი, მტერს დარჩეს ხადილობანი!

179. პირუტყვისა უენობა დასაკლავად გააცუდებს,
ენა მისებრ სულისაგან გაყვანითა გააგუდებს,
სიჩქარითა გამოსინჯვა სანანელსა დააგუნდებს,
და თვალი ავად მყურებელი გაასივებს გასაბუდებს.

180. უმჯობე მეფეს ექნება ჭკუითა გამომკობანი.
ვეზირმა ვინმე შეკადრა მეფესა გამომბობანი:
მოსულა ზღვითგან ვაჭარნი, სპეკალთა უამრობანი, — 1
და ას ათას დინრად ვიყიდე ერთმანერთისა მჯობანი.

181. უბრძანა: „მითხარ ამბავი, ჩემი რამ მოუწონარი!
ასი ათასი მაგდენი ფულად მიმაჩანს მქონარი,

მე რომ ვაჭრობა დავიწყო, შეეიქნა მომაგონარი, 2
და ვაჭარი რითღა დარჩება, გაკდება უქმი, მცონარი?!“

182. უბრძანა ყველას მიცემა იმავ ფასითა სრულობით,
„მყავს მოკელენი მრავალი მაგაზე გამოთქმულობით,
სანდომსა მომიტანებენ, აქვანან დანაგულობით, 3
და ფასისა მგვანად ვიყიდი გულისა დაუწყლულობით!“

183. სპარსთ მეფე მიდამობითა სიკეთით გაკმოვნებული,
ბასრის მთავრისგან ურია უჩივის დაღონებული,
ნატეხარზედა დასწერა ტალახით შემეცნებული: 1
და „უსაჯეთ, თვარემ იქნების საკელო განყენებული!“

184. წიგნი რა ნახა მთავარმა, ურიის მინაღებული,
ბოდიშებითა უსაჯა, მიაგო მონებებული:
„ნუღარ უჩივლებ მეფესა ჩემგამო მოყივნებული!“ 2
და ასე კამს სამართლისაგან მოქენე შექენებული.

* * *

185. ამირ-ნასარის ნათქვამი გათავდა გამოთქმულები,
ამბავად გარდამოვიღე შეკოკებულად რგულები,
სევდისა მოსაქარვებლად აწ ლექსად გასაგულები,
და ჩამოგირჩებათ სოფელში გაუკურნებლად წყლულები.

186. სიმრავლისაგან მწიკვლები შემექნა გაუბანია,
ბოლო ჟამ სხვანი შემოყვა ერთმანერთს მონაბანია,
სულ დამიქცია სამყოფი, სასახლო, გასაბანია.
და სამეფოს გარდაქცევითა მიბოძა ლექსობანია.

187. არვის დაინდობს სოფელი მიუნდო, დაუნდობელი,
მიმდევთა გასაქიქენი, უდევთა დასაგმობელი,
მეფეთა, გინა გლახაკთა ბუკთა საჭიროს მკმობელი,
და გულითა ამაღლებულთა საბრალოდ დამამკობელი.

სიბრძნე მალაღობელი

(პირველი და მეორე რედაქციები[524])

1. რუსთველსა ენა-შაქარსა უქნია რისმე მკობანი,
სიტკბო, სიბრძნე და იგავნი, ცოლ-ქმართა აშიკობანი,
ბევრად საჩხრეკი; ვერ მიხვდენ, მიბაძეს ცუდი კმობანი,
და სამღთო წერილი საცრუოდ თქვეს და დაგვიგდეს გმობანი.

2. არ მწადდა წიგნის გალექსვა, ბრძენთა მაწვიეს, მადესა,
შეუკრავთ სწავლა სიბრძნისა, მოკლეს სიტყვითა მხადესა,
პასუხი უგონ ერთმანერთს სიტყვისა დამაქადესა,
და უთხარით ლოცვა ძმობისთვის მეფეს შენდობის მწადესა!

3. ვარდზედ მყეფელი ბულბული გაუშვი ჩიტთა მდევნელმან,
ჩრდილი ცაცხვისა საამო მახის ძაფისა მწეველმან,
ვერ ამოვკრიფე საკრეფი სხვისაკენ დამაძლეველმან,
და მაგრამ შეატყოს შემტყობმან, ჭაშნიკის დამალეველმან!

* * *

4. მართლა თქმულა, არვის შვენის პირში ქება, უკან ზრახი![525]

4-ა. არა შვენის გვარიანსა პირში ქება, უკან ძრახი!

5. მართებს, სხვისა განსაცდელი სხვასაც ჰქონდეს საწუხარად![526]

6. უჭკუოს კაცის სიკეთე, ვაი, რა ცარიელია![527]

7. გააცუდებს მონაგებსა სხვისა ვისმე განარევი![528]

---

[524] პირველი რედაქციის ტექსტი წარმოდგენილია განსხვავებული ნუმერაციითა და შავი შრიფტით.

[525] სტრ. 4: კეთილი კაცის წესი არ არის, კაცს ჰირად აქებდეს და უკან კი სძრახვიდეს.

[526] სტრ. 5: ნიშანი ჭკუისა ის არის, კაცს კაცის განსაცდელში ჩაგდება უმძიმდეს.

[527] სტრ. 6: სიკეთე უჭკუოდ ცარიელი არის.

[528] სტრ. 7: თუ საქონელი გქონდეს, ასრე შეინახე, სხვისა არა გაურიო რა.

7–ა. გაცუდდების(ა) მისიცა, თუ სხვისა განარევია!

8. ვის მიხვდება დიდ სახელად უბრძოლველად გმარჯვება![529]

9. მუდამ დამკლები სიხარბე არ მისცემს გახარებასა![530]

9–ა. უსარგებლო და დამკლები სიხარბე გაუძლისია!

10. შენგან ნახულსა ნასმენი უფრო რა დასაჯერია?![531]

11. ზოგნი თავისას დაჰკარგავს, სხვისა სწადს მოსახვეჭარად![532]

11–ა. მისსა დაჰკარგავს უცები და სხვისას ეჭიდებისა!

12. არ მიაჩანს ძესა ბრძენსა მამის სიტყვა გასამძიმად![533]

12–ა. ძეს ბრძენს მამის ბრძანება მძიმედ არ აუჩნდებისა!

13. კარგი ქალი თავის ქმრისოვის სიკვდილს თავსა არ არიდებს,
ავნი მათსა სიკვდილზედა გაიხევენ არცა რიდებს,
ერთი არი სიხარული, ლხინსა მისცემს, განადიდებს,
და ის მეორე – შეჭირვება, სიმძიმილსა ა–ცა–ჰკიდებს.[534]

**13–ა. კარგი ქალი თავის ქმრისთვის სიკვდილს თავსა არ არიდებს,
ავნი ქმრისა სიკვდილზედა არ გახევენ არცა რიდებს,
ის ერთია სიხარული, ლხინსა მისცემს კაცსა დიდებს,
და ის მეორე,– ჭირი დიდი ქმარს სასჯელსა ზურგს აჰკიდებს.**

---

[529] **სტრ. 8**: გამარჯვება უომრად დიდი სახელი არ არს!
[530] **სტრ. 9**: სიხარბე უსარგებლო და ყოველთვის დასაკლისია!
[531] **სტრ. 10**: შენს თვალს უფრო დაუჯერე სხვის სიტყვისაგან!
[532] **სტრ. 11**: არიან მრავალნი, თვისსა დაჰკარგვენ და სხვისა ეჭიდებიან.
[533] **სტრ. 12**: მორჩილის შვილისათვის მამის ბრძანება მძიმე არ არის!
[534] **სტრ. 13–14**: კეთილი ცოლი ქმრისათვის თავის თავის სიკვდილს განიხარებს და ბოროტი ქმრის სიკვდილის მონატრეა. ამისთვის ერთი სიხარული და მხიარულებაა, ს(ოლ)ო მეორე – ტირილი და სასჯული.

14. მშვიდი, წყნარი და მორცხვედი ქმარი თავისა მცველია,
სახლისა მაშენებელი, გვირგვინი უეჭველია,
შვილთა მომლელი, ქმრისათვის შემწე და მინაშველია,
და კაცს მოშლის, გულსა მოუკლავს ენა გრძელი და მწველია.

15. არ წარკდე, ისე ეცადე მეგობარისა რგებასა![535]

15– ა. ვინ მოყვარეს ვერას არგებს, თავსა რატომ განიქიქებს?!

16. სოგრატ მოკვდავი უფალსა ამ სიტყვით გევედრებისა:
„სიბრძნისა დამბადებელო ყოვლ სულთა საკმარებისა,
შენ შემოგვედრებ ჩემს სულსა, მყოფი ხარ საცა კრებისა,
და შემინდევ ჩემი ნაქნარი შენს წინა მოსახრებისა!“ [536]

16–ა. სოგრატ მოკვდავი უფალსა ილოცავს, ევედრებოდა:
(და) „სიბრძნის დამბადო, ყოვლ სულთა სულსა შენ შეგვედრებო და!“

17. დაჰკარგეს ქმნულთა მოქმედი, საქმე ქნეს უმეცრულები,
განქარვებადვე იტყოდე, რა მიხვდეს სიკვდიდ რულები,
გამოაცხადა სიბრძნემან ვედრებით მიფარულები:
და „რა აღივსების სწავლითა, იქნების განასრულები!“

18. პლატონ ბრძენია, ბრძენია, ქვეყანით აფონელია,
მოწაფე იყო სოგრატის, სიბრძნეთა შიგან მრთელია,
პირველ სახელად არისტონ მისთვისვე დასარქმელია,
მერმე სივრცისთვის გულისა პლატონად სასმენელია,
პლატონ თარგმანით მის ენით ვრცლად არის საცნობელია,
ზოგთა მაზედა უწოდეს სიტყვისა ერცელად მთქმელია,
და მით ყველას უკეთ სოკრატის სწავლისა დამსწავლელია.[537]

---

[535] სტრ. 15: მეგობარს ასე არცე რამე, რომ შენ არ წაკდე!

[536] სტრ. 16: სოგრატ კვდებოდა და უკანასკნელი ლოცვა ესრეთ შესწირა ღ(მერ)თსა: „დამბადებელო ღ(მერ)თო ყოვლისა სულისა და სიბრძნისაო, შენ შეგვედრებ ჩემს სულსა!“

[537] სტრ. 18: პლატონ, ბრძენი აფონელი, მოწაფე სოგრატისი, ჰირველად ეწოდა „არისტონ“ და შემდგომად სივრცისათვის გულისა უწოდეს „პლატონ,“ „პლატონ“ ვრცლად ითარგმნების და რომელთამე სიტყვის სიყრცელისათვის უწოდეს, ამისთვის, რომ ყოვლის კაცისაგან სოგრატის სწავლა უკეთ ისწავლი.

19. კეთილი მთქმელი, შემსმენი, მომგონი არ იმწარებსა,
რაგინდ რომ ბევრი ისწავლოს, კვლავ ცდილობს, არ იკმარებსა,
სახელი დარჩეს ბოლომდი, ვინც იწადს, ვინც იკარებსა,
და სიბრძნე კარგია სასწავლოდ, ვინც კარგად მოიკმარებსა!

20. დღეში სამჯერ პლატონ ბრძენი მადლობასა შესწირვიდა,
არ დაჰბადა ბარბაროზად, ელენთაგან გამოვიდა,
არც პირუტყვად, კაცი იქმნა, უმეცრება ვერ დასწვიდა,
და შემოასწრა სოგრატ მთელსა, სიბრძნეს მისსა დაიცვიდა.[538]

20–ა. დღეში სამჯერ პლატონ ბრძენი ღ(მერ)თსა მადლსა შესწირვიდა,
ბარბაროზად არ დაბადა, ელენთა(გა)ნ გამოვიდა,
არ პირუტყვად, კაცად იქმნა, უმეცრება ვერ დასწვიდა,
და შემოასწრა სოგრატ მთელსა, მის სიბრძნესა დაიცვიდა.

21. კარგია მადლის შეწირვა დღედადღე, ჟამთა ჟამისად,
რაცა მოგეცეს სოფელსა, მას ხადე ყოველ წამისად,
გარდაგემატოს სიმრავლე, მემოწმებიან ამისად.
და უმადურობა კაცისა მავნებელია გვამისად.

21–ა. კარგია, ღ(მერ)თსა მადლობა, დღითი–დღე, ჟამთა–ჟამისად,
რაცა მოგეცეს სოფელში, მას ხადე ყოველ წამისად;
გარდაგეცემის სიმრავლე სხვაც არის მთქმელი ამისად;
და უმადურობა კაცისა სულს დასწვავს წყენად ამისად.

22. „რით იშოვება, – ჰკითხევდენ, – სახელი საქებარენი?“
– „გიცნან სიყმითგან აქავე სიკეთით საამბარენი,
ბოლომდი გასწევს, – ეტყოდა, – ესეთი მისაბარენი,
და მიხვდე მას შენსა საწადსა მტერთაგან დაუბარენი“.[539]

22–ა. „რისგან დაგვრჩება, – ჰკითხევდენ, – ბოლომდი კაი სახელი?“
– „პირველ, თუ გიცნეს კეთილად, ის შეგექნება სახელი“.

---

[538] **სტრ. 20**: ეს დღეში ღმერთს მადლობას სამჯერ შესწირვიდა: „კაცად დამბადე და არა პირუტყვად, ელინად და არა ბარბაროზად და სოკრატის სიცოცხლესაც მომასწარ“.

[539] **სტრ. 22**: ამას ჰკითხეს: „კაცმა თავის შემდგომად სახელი რით უნდა დაიგდოს?“ მიუგო: „აქ კეთილის ქმნა გმართებს, რომ ურმა გიცნას, და ბოლოს სახელი დაგრჩება“.

23. თუ უნდა კაცსა სიკეთე ჭირითა მოედაროსა,
ბევრიგად მართებს გამოცდა, გამაღლდეს, დაემდაროსა;
ვინ ღირს ა, მიხვდეს ადვილად წადილსა დაუმცდაროსა,
და ვინც მოიპოოს სახელი, სხვა რაღა შეედაროსა?

24. ურჩევ სარკეში ჩახედოს გამწყრალმა, დანამთვრალამან,
და სცნას უშვერება თავისა, დაშალოს დასაშალამან!

24-ა. ურჩევ სარკეში ჩახედონ მთვრალმა და გაჯავრებულმა,
და სცნან უშვერება სახისა ეგების ვაგლახ- ვებულმა!

25. სწერენ სახისა მეტყველნი: „ძრისხანე უსახურია“. [540]

25-ა. გულმწყრალთა უსახურობას სახის-მეტყველნიც სწერენო.

26. გაუშავღება გულმწყრალსა კეკლუცი ბაგე-ლალები,
და სისხლის აღვსილის ძარღვითა გაულურჯდება თვალები.[541]

27. შემოესწრა განამწყრალსა იგ მოწაფე სენკრატ თვისი;
„გაარგნეო, მე გავრისხდი, რისხვითაა მეტად მქისი“.
პლატონ ასე ერიდების, საზომს წარკდეს არამც ისი;
და არა ჰრიდებ ძმასა რასმე, სამსგავსოა როგორ მისი?![542]

27- ა. პლატონ მწყრალსა შემოესწრა მას მოწაფე სენკრატ თვისი;
— „შენა სცემე, მე გავსჯავრდი, ცემააო ჯავრში მქისი“.
ბრძენი ასე ერიდება, ზომას წარკდეს არამც ისი;
და ვინც ძმას ავსა არ არიდებს, საქმე არის როგორ მისი?!

28. არ გვემო კაცი, არ იქნას, არ წარკდეს წესი რიგებით,
ნუ შეშურების მტერობით, ესე ვით არის მიგებით,

---

[540] სტრ. 25: ჯავრიანი კაცი დიდ უსახურია, როგორადაც სწერენ სახისმეტყველნი.

[541] სტრ. 26: კეთილი ჯავრისაგან გაშავდება. სისხლით აღვსილნი ძარღვნი თვალთ გაალურჯებს.

[542] სტრ. 27: ჰლატონ განურისხდა ერთს თავის მოწაფეთაგანს. იმ ჯავრსედ თვისი მოწაფე სენკრატ შეესწრა და უბრძანა: „შენ ჰკვემე! მე კეღარ კვკვე ამიტომ, რომ გავჯავრდი“. რომელიმე მაშინ ჰკვემს, როდესაც ჯავრობს და ფილასოფოსი თავის თავს ეურ ეწდო, რომ ჯავრისაგან საზიანო არ გარდაჰქდეს.

მოწყალეებით სიავე დასცვივდეს და-ცა-რიგებით,
და სიბრძნისა გასინჯულობით, საზომის მონარიგებით.

28-ა. არ იქნას, კაცი არ გვემო, არ წახდეს წესი, რიგები,
ნურც შურით, ნურცა მტერობით და ამგვარები მიგები,
სიყვარულითა რაც აკრავს, მწვირე დასცვივდეს იგები,
და სიბრძნემ და გასინჯულობამ ზომიერ ჩანარიგები.

29. ბევრსა გცემდი, – მონას ეტყვის, – გული მქონდეს გაუწყრომლად.[543]

29-ა. გული არ გამჯავრებოდა, მრავალსა გცემდი, მონაო.

30. ვითა მკურნალი სნეულსა განეყოს, განეწილოსა,
და აგრევე მცოდნე უცოდნსა არათი დაეცილოსა.[544]

30-ა. უცოდნთა და მცოდნთა შუა განყოფაა როგორ დიდი?
და –„მკურნალსა და სნეულს შუა, – უთხრა, – არის რაცა კიდი".

31. ანტისტინე დღესა რასმე ამბავს მოჰყვა მეტად გრძელად,
პლატონს არად მოეწონა, სიტყვა ჰკადრა გაუძნელად:
– „არა ხარო რადგან სიტყვის საზღვარისა რისმე მქნელად,
და მართებს სხვასა გაგისაზღეროს დაუბინდად, დაუბნელად".[545]

31-ა. მეტსა ზრახევდა ანტისტე, უთხრა პლატონმა ესე და:
და „უნდა მსმენთ დასდვან საზღვარი, შენ ხომ არ განიწესე და?!"

32. სიტყვა მოკლედ მოყვანილი, არა რამე გასაძნელად,
კვლავ წერილი სასიამოდ, ნუ ნაჩხაბი ცუდად მგძნელად,
ჭურსა მისცეს განსვენება, გული შექნას შესანელად,
და საწყინოა გძელი სიტყვა, ყურსა გაჰკდის დასაბნელად.

---

[543] **ხტრ. 29**. პლატონ რქვა თავის მონას: „უსაცილოდ გცემდი, თუ გული არ გამჯავრებოდა".

[544] **ხტრ. 30**: ჰკითხეს: „რა განუოფილება არის მცოდნთა და უცოდნთ შუა?" მიუგო: „რაც სნეულთა და მკურნალთ შუაა".

[545] **ხტრ. 31**: ანტისტე როდესაც ლაპარაკს დაიწუებდა, დიად, გუიან გაათავებდა. პლატონ უთხრა: „შენს ლაპარაკს საზომი განმკონმან უნდა დაადვას, თვარემ შენ ხომ არ იცი!"

33. მსმენს ესმოდეს, ისე რამ თქვი, ქარმან ცუდად არ წაიღოს,
და თუცა ყური სმენად შეკრთა, მართლა ყურად ვეღარ იღოს.[546]

34. – „სჯული დაგვიდევ კორინთელთ, ვით გინდა, პლატონ გვინებსა“.
და –„სხვის უბრძნედ თავის მომწონი სჯულსა ვერ შეიძინებსა!“ [547]

35. ჰკითხვენ: „სწავლად სასწავლოსა სანამდი ხარ მინაშურად?“
და „სანამ ჩემი კეთილობა არ შემექნას შენაშურად“.[548]

35–ა. „სანამ იქნები მოწაფედ, – ღიმილით უთხრეს, – შენაო?“
და – „მანამ სიკეთე თავისა არ მექნას მოსაწყენაო“.

36. ზოგს სირცხვილად მიაჩნია სიყმეს უკან კითხვა– სწავლა,
და მაგრამ ბრძენთა სახელად სჩანთ სიკვდილამდე მაშიგ წავლა.[549]

37. პლატონ კაცია, კაცია, კეთილის შენატკაცია,
თავის ნებისა მომკვლელი, გემო კორცისა რაცია,
ისწავლებოდა: „სიკვდილსა ნუ შიშობს დასაკოცია“.
ფილასოფოსნი დასჯერდენ, ეგონათ გასაკოცია!
არა თქვა ასე: „ისი სჯობს, წინ ჰქონდეს სულ საოცია;
ბრძენი ის არის, სიკვდილის ვის ფიქრი გაუოცია.
სიკვდილი არის ორრიგი: ბუნებით აღუკოცია,
მერმე: კარგის წადილით, ვის ნება აღუკვეცია,
და კორცის შვების და გემოსი არისმცა სულ უვეცია“.[550]

---

[546] სტრ. 33: სიტყვის თქმა რომ კინდოდეს, კამკონე ეასინჯე. თუ იმან შენი სიტყვა ვერ ეაიცონა, ქარი წაიღებს. კვალად, თუ კამკონე შეჰკრთა, შენს ლაბარაკს ყურად შეისმენს.

[547] სტრ. 34: კორინთელთა ჰლატონს სთხოვეს, რათა შჯული დაუდვას. მან მიუგო: „თუ შჯულის–დება არ იქნების, რომელთაც თავი ყოელთაგან უფრო ბრძენი ჰგონიათ.“

[548] სტრ. 35: ერთმა ვინმე ჰლატონს ღიმილით უთხრა: „სადამდი უნდა სწავლაში იყო?“ მან უთხრა: „სანამდის ჩემის თავის სიკეთე არ შემშურდება!“

[549] სტრ. 36: უმეცარს კაცსა სიურმეს უკან სწავლა სირცხვილად სჩანს, მაკრამ ფილა–სოფოსი სიკვდილამდის სწავლაში გაარონინებს თავის ცხოვრებას.

[550] სტრ. 37: ჰლატონ იყო კაცი კეთილი, ყოვლთვის ყოელი თავისა თვისისა კორცთ ნება მოეკლა და ესრეთ ისწავლებოდა: „კაცს სიკვდილისა ნუ ეშინიან! ესე ფილასოფოსთაც ჩვეულებად შეექნათ სიკვდილის უშიშრობა. არათუ ესრეთ თქვა: სიკვდილის ფიქრი არღარავისა ჰქონდეს, არა–მედ – ბრძენი კაცი იყი არს, რომელიც სიკვდილისათვის ფიქრობდეს. სიკვდილი ორი რიცაა: ერთი, ბუნებითი, გინა ჩვეულებითი. მეორე, კეთილ–

38. ძნელია სიბრძნით სიკვდილი, საწუთოს ქცევა ყამისა,
ხან აამაღლებს, ხან დასცემს, ყველაა ერთის წამისა,
ნუ მისდევ, ყურსა ნუ უგდებ მისსა, ამისსა და მისა,
და შენ დაიჭირე სადავე მაგრა შენისა გვამისა!

39. „ბრძენს რით იცნობ? " — კიდევ ჰკითხეს. — „ესეაო მისი ნიშნი:
და არცა ქებას აუზვავდეს, არც ძრახვისა ჰქონდეს შიში!"[551]

40. — „კაცი რა გვარად იცნობა?" ის ეტყვის ვითა მგოსანი:
და „მსგავსად სიტყვისა მიგებით, ვითა ჩინური კმოსანი".[552]

40–ა. —„კაცს რით იცნობ?" მან მიუგო: „ვით ჩინური იცნობების,
და კაცი სიტყვით, ის წკრიალით განცხადებად შემოკრბების".

41. „სიცოცხლის საზდო, რაც გინდა, —ჰკითხეს, — რით შეიკრებისა?"
და — „არას ეძებდე მის მეტსა, რაცა არ გეჭირვებისა!"[553]

42. — „მაგარი კაცი ვინ არის?" თქვა: —„ჯავრის მომკვეთელია:
სისუსტის ნიშნად გამოჩნდეს სიტყვის ვერ შემნახველია.
მაგარი არის თავისი მკვდოვნობის დამფარველია,
და უფრო მაგარი, — არა ქნას ბოროტთა საჩვეველია".[554]

43. რისხვამ შექნას უადგილომ საძულველი, მოსაწყენი,
წააკდინოს, არ შეეძლოს გულში სიტყვა დასაყენი,

მოქმედებისა და კაის აგებულობისაგან თავისი სიბრძნით კაცმან უოველი თვისის კორცის ნება და გემოვნება მოკლას და თვისგან შორად განაგდოს".

[551] **ხტრ. 39**: ამასვე ჰკითხეს: „რით იცნობება ბრძენი?" მიუგო: ბრძენი ის არის, რომელიც ძრახვისათვის არ შეწუხდება და ქებისათვის არ ამაღლდება".

[552] **ხტრ. 40**: ჰკითხეს: „კაცი რით იცნობება?" მიუგო: „როგორც ჩინური წკრიალით შეიტუობა, ეგრეთვე კაცი ლაპარაკით იცნობების".

[553] **ხტრ. 41**: ჰკითხეს: „რით იქნების, კაცმა თავის სიცოცხლეში თვისი სამუოფინარი საზრდო იშოვნოს?" მიუგო. „რისაც დიდად დამჯირნე არ იო, მის მეტს ნუ მოინდომებ და სამუოფინარო საზრდო იქნება".

[554] **ხტრ. 42**: ჰკითხეს: „რომელი კაცი უფრო მკნედ ითქმის?" მიუგო: „რომელიც თავის ჯავრს მოურევის. ჯაბანი ის არის, ვინც სიტეკას ვერ შეინახავს. იგიც მკნედ ითქმის, რომელიც თავისი სიყლახაკის დაფარვას შეიძლებს; და კუალად მკნედ უფროსად იგი არს, რომელიც ბოროტის კაცის საქციელს არ აჰეცება":

ვერ დაფაროს გლახაკობა, გული ჰქონდეს ამაყენი,
და ავს ბაძევდეს სამუდამოდ სიკეთისა მიუყენი.

43–ა. უადგილომ რისხვამ შექმნას საძაგელი, მოსაწყენი,
წააკდინოს, არ შეეძლოს გულში სიტყვა დასაყენი,
ვერ დაფაროს გლახაკობა, გული ჰქონდეს ამაყენი,
და ავს ბაძევდეს, კარგს ეელტოდეს, სჯობს პირუტყვი ცუდ უყენი!

44. „როგორსა თემთა ვერიდოთ?“ ჰკითხვიდენ მასვე მისასა.
და –„ამპარტავანთა ადგილთა, სამეფოს ყმაწვილისასა“..[555]

45. ავის მოქმედი წყალობას ბრძენთაგან ნუ მოელისა![556]

46. თემის ბეღია, თუ დავჯდა კარგი რამ გამგებელია![557]

47. ყოვლის სიბრძნის საფუძველად მოთმინება დაუდვიათ![558]

47–ა. მოთმინება უთუოდ სიბრძნისა საფუძველია!

48. ავს ბუნებას ასე მოუდგს, გააცუდებს კეთილს ბოლოდ![559]

48 –ა. ბოროტის ბუნებისაგან წარკდეს კეთილის ბოლონი!

50–ა საენებელია სოფლისგან ამაებისა მქნელობა,
გამოუჩინა სასმელად შესამსგავსივე ძნელობა,
მოვძებნოთ საფიქრებელი სამკვიდრებელის მგრძნელობა,
და გავაგდოთ გასაგდებელი, უხანო შენამცნელობა!

49. არა ხარ დამთმო, ვინემდი ნება არ მოგიკვეთია![560]

---

[555] სტრ. 44: ჰკითხეს: „როგორს ადგილს უნდა მოერიდოს კაცი?“ მიუგო: „საცა მტეუანი და ამპარტავანი მბურობელობდეს და უმაწვილი მეფობდეს“.
[556] სტრ. 45: ჯკვიანის კაცისაგან წუალობა თუ გინდოდეს, ავს ნურასა იქ!
[557] სტრ. 46: ქვეყანა ბედნიერი მაშინ იქნების, როდესაც მსაჯული ბრძენი უჯდება. რომელსაც მარტო თავისი თავის გარიგება არ შეუძლია, ის სხვას მრავალს ვითარ გაარიგებს?!
[558] სტრ. 47: ცოცლის სიბრძნის საფუძველი არის მოთმინება.
[559] სტრ. 48: ბოროტს აგებულებას შეუძლია კეთილის საქმის წაკდენა.

50. სამს ვწუხვარ: მდიდარს დაეცეს, უსარვარგიყოს, დრკუაო,
და პატიოსანსა პატივი, ჭკვიანს დააკლდეს ჭკუაო.[561]

51 ყურს ნუ უგდებ ამპარტავანს, სანამ კარგა არ დამდაბლდეს![562]

52. მართებს სხვაზე უფროს კაცსა, დია რამე უკეთ ქცევა,
და ვინცა არის სხვისა მსგავსად, მალ პატივი წაექცევა![563]

53. მამა შვილსა არ ასწავლის, არცა ოდეს გაუმგუნდეს,
და სცნას, შემდგომი მემკვიდრობა მისთვის თურმე აღარ უნდეს.[564]

53–ა. მამა შვილსა არ ასწავლის, სცნას არ უნდა მისსა მკვიდრად!

54. სულგრძელებად დიდად თქმულა სიგლახაკის მოთმინება![565]

54–ა. დათმენა სიგლახაკისა სულგრძელებაა დიდია!

55. დარჩეს შენი ყველა მტერსა, სჯობს რომ სთხოვდე მოყვას(ს)
პურსა![566]

56. დიონოზ უზამს არისტოფს ამა სიტყვისა გებასა:
„სხვის მეტად ფილასოფოსნი რასა ჰპოვებენ რგებასა?“
— „უფროსად იქმან ავთაგან კარგისა გამოგებასა,
და მას მიჰყვებიან, ცდილობენ მართ მისა გარდაგებასა?“[567]

---

[560] **ხტრ. 49**: მოთმინე მანამდი ვერ შეიქნები, სანამდინ შენს ნებას არ მოიკვეთ!

[561] **ხტრ. 50**: სამთა საქმეთათვის ვწუხვარ: მდიდარი უსარვარგო სიღარიბეში ჩავარდეს, ჭკვიანს ჭკუა მოაკლდეს და პატიოსანი უპატიობაში ჩავარდეს.

[562] **ხტრ. 51**: ამპარტავანს ეურს ნუ მიუგდებ, სანამ ამპარტავნება არ მოიშალოს!

[563] **ხტრ. 52**: ქვეყნის მარიგებელ კაცთა და უფროსთა მართებსთ, კაცთა ზედა გარდაცვლილნი იყვნენ, უკეთუ იმ სხვათ კაცებსავით ისინი მოიქცევიან, ერნი მავთენს პატივს არ დასდებენ.

[564] **ხტრ. 53**: უკეთუ მამამ შვილი სასწავლოში არ მისცა, შვილმა მაშინვე უნდა შეიტყოს, თურმე თავის მემკვიდრედ არ უნდა.

[565] **ხტრ. 54**: სულგრძელობა არის, ვინც სიგლახაკისათვის არ შეწუხდება.

[566] **ხტრ. 55**: ესე გიჯობს, შენს უკან შენი საქონელი მტერს დარჩეს, ვიდრემ შენს სიცოცხლეში შენს მეგობარს შესთხოვდე!

56–ა. არისტოფს რქვა დიონისიმ: „ბრძნობით სხვაზე რა ერგება?“
— „ფილასოფოსთ შეუძლია ამ საქმისა გამოგება:
ავსა კარგში გამოარჩევს, იცის, რაცა მოეგება,
და კარგს მიჰყვება, ავს არა იქს, საქმე მისი გაეგება“.

57. კარგია, ვისცა მიხვდება ფილასოფოსთა წილობა,
გაუღვიძოს და განუფრთხოს უგუნურობის ძილობა,
სიტყვა თქვას ყველა ქცეული, არვის შეეძლოს ცილობა;
და ვერა სჯობს კაცი პირუტყვსა, ამით აქვს განაწილობა.

57–ა. სარგოა, ვისცა მიხვდება ფილასოფოსთა წილობა,
გააღვიძოს და განუფრთხოს უგუნურობის ძილობა,
სიტყვა თქვას ყველა ასეთი, ვერავინ უყოს ცილობა;
და პირუტყვსა კაცი ვერა სჯობს, ამით აქვს გაუწილობა.

58. დიდთა შემძლეთა რად უყვარსთ ფილასოფოსი ბრძენია?
და — იცის გზა სიგლახაკისა, სიმდიდრის შე-ცა-მძენია.[568]

59. სჯობს ხელს გლახაკი, რაზომცა არა აქვს საქონელია,
და მით ნაბოძების სახისა უცები მოშლის მქნელია.[569]

59–ა. ხელს გლახაკი სჯობს, რა იქნა, არა აქვს საქონელია?
(და) მაგრამ ღ(მ)თის ბოძის სახისა ცოფი მოშლისა მქნელია.

60. სრულს კაცსა მართებს სიბრძნე და სწავლა და გასინჯულობა,
თეთრით ღარიბიც რომ იყოს, კაცობისა აქვს თქმულობა;
თუკი ის კარგი არა გჭირს, სიმდიდრით გქონდეს სრულობა,

---

[567] სტრ. 56: არისტოფ იყო ბრძენი კორინთელი და მოწაფე სოკრატისი. ამას ჰკითხა დიონოსიმ: „ფილასოფოსთა სხუთ კაცთაგან უკეთეს-უმჯობესი რა აქვსთ?“ მიუგო: „თუ კაცმა, რაც რჯულია, უველა იცოდეს, თავის სჯულზე უფრო მტკიცედ იდგება, იმიტომ, რომ სხვას მჯულში რაც ავია, იმას აღარა იქს და, რაც კარგია, ის დარჩება, აგრევე ბრძენი კაცია; თუ უველა იცის, რაც ავია, — იმას აღარა იქს და, რაც კარგია, იმასა იქს“.

[568] სტრ. 58: ამასვე ჰკითხეს: „რად უყვარსთ ფილასოფოსნი დიდ შემძლე კაცთა?“ მიუგო: „ფილასოფოსთ იციან, რით გამდიდრდებიან“.

[569] სტრ. 59: მეორე ესე: თეთრით სიგლახაკე სჯობს ჭკუით სიგლახაკესა, ამისთვის რომ თეთრის უქონელს მარტო თეთრი არა აქვს და ჭკუის უქონელს იქნება, რომ ღ(მრ)თის ნაბოძები თავისი სახე, რომელიც აქვს, ისიც მოეშალოს.

და კაცათ არავინ ჩაგაგდებს, მოგეცეს უფლისწულობა.[570]

61. სიმდიდრით თავი ნაქები საქმეა უსუსურია,
ცოდნა, ჭკუა და შეძლება ყველასი მოსასურია,
სიმაღლე არის დიადი, ვის ეძებს, მისი პურია;
და ცდა და მოძებნა უგვანად, ვინა თქვა, ვაჟკაცურია.

61-ა. სიმაღლე არის დიადი, ვის ეძებს მისი პურია,
(და) აგრევ სიმდაბლე, ვინც ეძებს, არ არი ვაჟკაცურია!

62. ჰკითხეს: რას ირგებ შენისა ფილასოფოსთა ბძნობითა?
— „თქმა შემიძლია ყოველ კაცთან მართალი ენა ძნობითა!
ბრძენი სიკვდილსა არ ევლტის, მძლავრს ეტყვის სწორსა გრძნობითა,
და არ იამების მართალი მარტო კაცს ა!“[571]

63. სანატრელია, სოფლისა თუ განელო კაცმან ზღვარები,
არც ვისი შიში ექნება, არ სირცხვილითა მწვარები.
რად ვარგა, კიდევ უყვარდეს პატივი, მისი ცვარები,
და უბნობს: „არ მინდა სოფელი კვლავ მისგან შენასვარები!“

64. ჰკიცხვენ: „ბრძენსა სძულს მდიდარი, მათთან მისვლისთვის
ხელობენ“,
და „სენი არ უნდა მკურნალთა, — ეტყვის, — სნეულთა მვლელობენ“.[572]

64-ა. „ბრძენთ მდიდარი სძულს, — გაჰკილეს, — მივლენ და უალერსებენ“.
და — „სნეულთანც მივლენ მკურნალნი, სენსა არ მოინებებენ“.

---

[570] **სტრ. 60**: სრულს კაცს მართებს ჭკუა, სწავლა და ვასინჯულობა. თუ ესენი აქვს, თეთრითაც ღარიბი იყოს, მაშინც კაცს უძახიან და, თუ ესენი არა აქვს, თეთრი ბეერიც ჰქონდეს, მაინც კაცს არ დაუძახებენ.

[571] **სტრ. 62**: ამასვე ჰკითხეს: „რა სარგებელი გაქვს შენის ფილოსოფოსისაგან?“ მიუგო: „ყოველს კაცთან ყოველის მართლის თქმა შემიძლიან. ჭეშმარიტ ფილასოფოსს სიკვდილისაგან არ ეშინიან და შემძლე კაცს მართალს ეტყვის და არც წუალობის მოკლებისა ეშინიან. მართლის თქმა მარტო კაცსაც არ იამების“.

[572] **სტრ. 64**: ერთმა ვინმე გაჰკიცხა: „ფილასოფოსთ მდიდარნი სძულან და მაღ-მაღ უალერსებენ ხოლმე“. მან მიუგო: „მკურნალიც მრავალ სნეულებთან მიდის, მაგრამ ერთს მკურნალსაც ვერ ჰპოებ, რომ თავისათვის სნეულება უნდოდეს“.

65. იყო ყმაწვილის სწავლისთვის ხუთასის დრაჰკნის მთხოველი;
ეტყოდა მამა: „მაგითი სხვის ტყეისაცა ვარ მშოველი“,
მან უთხრა: „თუცა იშოვნი, ბიჭთა იქნები მპოველი,
და რა გაიწვრთნება, საშენოდ ორსა ნასყიდად მოველი“.[573]

66. ყოვლი უწვრთნელი იქნება არათი კელ–საკდელია;
ვინც ეძებს მისგან კეთილსა, ცუდია მისი მცდელია.
თუ გინდა შენთვის, ასწავლე, რაცა გყავს გასაზდელია,
და გარგებს და ირგებს, ოდესცა მისწედება მისაწვდელია.

67. არისტოტელს საქმე ჰქონდა, მისმა სტრაფჩმა გაუმართა,
მისგან მისის უბრძნესობით დაიჯერა, დაემართა;
უთხრა: „სიბრძნეს რასა კმარობ? ესე ჩემგან წაგემართა,
და მოგხვდა დიდი შეძინება, რაზომიცა მოიმართა“.[574]

68. უთხრა: „უცებო, რად უბნობ სიტყვასა მიუმხვდაროსა?
რაც გესმა ჩემგან, იტყოდი იმისა შესადაროსა,
მისგან მოგეცა პატივი ნაკლებსა, დანამცდაროსა,
და მოციქულს სიტყვას ვინ უსმენს, თუ მეფე დაემდაროსა?“

69. უცებს გონია, ბრძენი ვარ, საქმისა შემძლე მქნელადო,
გული ამაყი შეჰქნია ძნელისა გასახსნელადო,
უკვირს და სწყრების ამაზე, კაცი არა მყავს მცნელადო,
და ველარც კელ–ფეკსა გაიქნევს, ჩავარდეს განსაცდელადო.

70. უძრახეს, მეგობართაგან მალმალ თეთრს იღებ ვალადო,
და – ჩემთვის არ ვიღებ, დახარჯვის სწავლა მწადს ჩემსა კვალადო.[575]

---

[573] **ხტრ. 65**: ერთმა ვინმე შვილი მიჰკვარა სასწავლებლად და მან ხუთახი დრაჰკანი სთხოვა. გაჰკვირდა კაცი იგი და უთხრა: „მაგით ერთს სხვას ტყეს ვიყიდიო“. მიუგო: „თუცა იყიდი, მაგრამ ბიჭი იქნება. მე რომ ვასწავლი, ორი შვილი კეთლება და შვილს იყიდი “.

[574] **ხტრ. 67–68**: რომელიმე სტრაფჩოაკანი დაღიოდა არისტოფის მაკიერ მსაჯულთანა და კიდეც გაამართლა. მან სტრაფჩმა იფიქრა და თქვა: „ჩემი ჭკუა სჯობს ამ ფილასოფოსის ჭკუასა“ და უთხრა: „შენ რა სარგებელი გაქვს მაგ ფილასოფოსობითა? თუ მე არ ვეოფილიყავ, გაგამტყუნებდენ“. მიუგო: „მე ეს სარგებელი მაქვს: რაც მე აქა ვსთქვი, იმ ჩემი ნათქვამი სიტყვა მსაჯულს მოხსენდა და იმითი განჩმართლდი“.

71. სამ ფლურს აძლევდა კაკაბში, უძრახეს მუცლად აობა;
— „აგერ სამ ფულად გახდება, დაუწყეს მისა დაობა“.
„ჩემთვის სამ ფლურსა, — ეტყოდა, — ესე აქვს შესაგაობა,
და მეცა მჩანს, ვითა მიგაჩანს მაგა ფულისა შაობა.“ [576]

71–ა. სამ ფლურად კაკაბს სყიდულობს, ძრახევდენ: „ავ-მუცელია“.
— „ჩემთვინ ისრეა, ვით შენდა ის ოთხი ფული ძნელია,
არა ვიქ მაგად, ამად ვიქ, არ დაყოს ჩემთან წელია;
და არსარვაგად იქს, ვინცა იქს, თეთრის შენახვის მცდელია!“

72. ავ-მუცლობით არ მიქნია, ვყოფილიყო დანამჭირად,
არას ვეძებ დასადებლად, თეთრი მინდა გასაწირად;
სარვაგობით არ იქმონენ, არ იყიდის ვინცა ძვირად,
და უნდა განძი დასადებად მაგრა პარკთა მოსაჭირად“.

73. რა კაცსა გამოუვიდა მამონაობის ქარები,
ოქრო და მიწა სწორეა მასთანა გასახარები;
არ უნდა ქონა, დახარჯავს, არა აქვს შესაზარები.
და სოფლის მოყვარე უზრახავს, სჩანს დიდად გასამწარები.

74. —„საცემრად მოგცემთ, — განბასრეს, — რა გაგვეზრდება შვილია“.
— „ქვაც ბევრი ყრია, — მიუგო, — უმარი, გასაწბილია“.[577]

74–ა. „საცემრად მოგცეთ, ჰკილევდენ, როს გაგვეზრდება შვილია“.
(და) „ქვაც ბევრი ჰყრია, —მიუგო, — კელის საყრელად წბილია“.

---

[576] **სტრ. 70**: ამას უძრახეს: „შენის მეკობრებისაგან თეთრს მალ-მალ სესხულობ!“ მიუგო: „ამაზედ არა ვსესხულობ, რომ ჩემს დაჯირებაზედ დავხარჯო; თეთრს როგორ უნდა დახარჯვა, მინდა, ჩემგან ისწავლონ“.

[576] **სტრ. 71–72**: როდესმე იყიდა ერთი კაკაბი ხუთ მინალთუნად. ერთმა ვინმე ნაუროვანებაში ჩამოართვა და უთხრა: „ის არ სჯობდა, მაშინ გეყიდა, როდესაც ოთხ ფოლად იქნებოდა?“ მიუგო: „ჩემთვის ხუთი მინალთუნი ისე არის, როგორც შენთვის ფოლი ფასობს. მე ეს ნაუროვნობით არ მიქნია. ამისთვის ვქენ, თეთრმა ჩემს კელში ბევრი ხანი არ დაყოს. ვინც ძვირად არას იყიდის, ამისთვის არა იქს, რომ სარვაჯიანი კაცი დაუშახონ, თეთრის შენახვა უნდათ“.

[577] **სტრ. 74**: ერთმა ვინმე ჰკითხა: „როდის გამეზრდება შვილი სასწავლოში მრავლის ცემითა?“ მიუგო: „ქვებიც ეოველგან დიდროვანი ჰყრიან, მაგრამ შენთვის და სხვათათვის სწორეა“.

75. უმდიდრესია, ვის სწავლა გულსა აქვს დანათესია,
და მალ შეუძლიან საქნელად, რაცა რამ უკეთესია![578]

75-ა. უფრო ბევრი აქვს, ვის სწავლა გულშია დაუთესია,
და ამად ყოვლს საქმეს ძალა იქს, რაც რამე უკეთესია.

76. —„რით მეტობს ხელსა ჭკვიანი, გვიამბე საამოსია!"
და —„რა გააშიშვლებ, მაშინ სცნობ, უმალ ვის შეუმოსია!"[579]

76-ა. უფრო ბევრი აქვს, ვის სწავლა გულშია დაუთესია,
და ამად ყოვლს საქმეს ძალა იქს, რაც რომე უკეთესია.

77. უზრახევდენ: „სამართალში სტრაფჩს ქირაობ, ეგრე არებ!"
და მან მიუგო: „ლხინისათვის მზარეულსაც მოვიხმარებ![580]

78. პოლენ გონია, მგონია, არისტოტელთან მსვლენია,
შევიდა, ნახა ქალები მოკაზმის დაუკლენია,
სუფრა აღვსილი ყოელითა, რაც კაცთა მოსავლენია.
„ფილასოფურად არ ცხოვრებს, — უთხრა, — ვინც იქა მხლენია!"
ჯერ კმა არ გასცა არისტოფ, ვითამცა უსულენია,
ხან უკან უთხრა: „მეწვიე, ჰქენ რამე დასალენია!"
პოლენ ეწვია მისითა სიტყვითა დამაძლენია.
არისტოფ უთხრა: „რად სძაგე ჩემი სიცოცხლე მძლენია?
ეს არ გეწყინა, რომე მაქვს სუფრანი არსამხლენია,
თეთრის დახარჯვა გეწყინა, არის რამ დასახლენია,
ფარისეველი ყოფილხარ, მიწასა დასახლენია,
და სუფრას მიგინებ, ეს გინდა, აქ იყო მოსახლენია![581]

---

[578] **ხტრ. 75**: იმას უფრო ბევრი აქვს, ვისაც სწავლისათვის უური მოუკრავს, ამისთვის, რომ ყოველს საქმეს მსწრაფულ იქმს.

[579] **ხტრ. 76**: ჰკითხეს: „ჰკვიანსა და უჭკუოს რა განუოფილება აქვს?" მიუგო: „ორნიე გაშიშვლებული განუტევენ და მაშინ სცნობ, რომელიც ხიშიშვლეში უფრო დიდხანს გაათევს".

[580] **ხტრ. 77**: ამას დასძრახეს: „სამართალში სტრაფჩი იქირავე!" მიუგო: „როდესაც ლხინი მოშინდება, მზარეულსაც ვიქირავებ!"

[581] **ხტრ. 78**: პოლენ ბრძენი არისტოტელის სახლში შევიდა. ნახა ქალი დიდად მორთული და სუფრა მდიდრად დაგებული. არისტოტელს უძრახა: „დიაღ ხელგაშლით ცხოვრებს და ეს ფილასოფოსთ წესი არ არის". არისტოფ დაიდუმა მცირე ხანს და კმა არ გასცა, ვითამც თუ არა სმენია. ამისა შემდგომად უთხრა: „დღეს აქავ ჩემი სტუმარი იყავ?" პოლენ სული

79. კაცს ეწყობი, სახლში შეხვალ, მისას ნახავ რასაც რასა,
დაუწუნებ ყველაკასა, შიგ ნადებსა, გარე სრასა;
ეს კი გინდა, კარგა დაგხვდეს შეყრასა და გამოყრასა,
და არვინა იქს გონიერი ამ საქმეზე ენის ძერასა!

80. ზიკირიელის მეფეა, დიოღენ უთხრას მდომელი:
„სოგრატს რასათვის მოშორდი, რა მიზეზი გაქვს, რომელი?“
— „სანამდი სიბრძნე მინდოდა, ვიყავ იმასთან მშრომელი,
და აწ თეთრი ღომდომებია, თქვენს წინაშე ვარ მდგომელი!“[582]

81. წესია სოფლის მოყვასთა, ხან ეს უნდა და ხან ისი,
ლხინი, შვება და სიამე დიდის რამ შესაგვანისი,
ხან სიბრძნე, გონიერება თვალს წინა მისაყვანისი.
და მალე დააზროს სოფელმა იგ მისი გასამწვანისი.

82. მეფემ უბრძანა დიოღენს თქმა ფილასოფოსთ თქმულისა.
ჰკადრა, თუ: „მათი რა გკადრო, ვიცი, რომ გაგაგულისა!“
გაწყრა, ბოლოსკენ დაჯდომა, ბრძანა წინაშე სმულისა.
და ლოცავს: „ყოფილხარ მოწყალე საჯდომის აქა დგმულისა“.[583]

83. ამბავს კითხავ, რა გიანბოს, არ შეგივა გულსა გონად,
არ გასინჯავს, მისი გზები მიგაჩნია ჩალის წონად,
თუ არ გეტყვის, შემოსწყრები, რად შეიქენ მალე მცონად,
და მართალია, რაც არ იცის, საწყენია გასაგონად.

დაიღო და უარი აღარა უთხრა. არისტოფ უთხრა: „მაშ, რად ამაგე ჩემი ცხოვრება?! ვეჯობ, ჩემი მდიდარი სუფრა არ გეწყინა, მაგრამ, თეთრი რომ დამიხარჯავს, ეს კიმძიმს. შენ ფარისეველს გაგხარ: ჩემს სახლს ამაგებ და აქედამ გასვლა კი არ გინდა! “

[582] **სტრ. 80**: დიოღენს ჰკითხა მეფემ ზიკირიელმან: „რად გაუშვი სოგრატ და ახლა აქ მოხველ?“ მიუგო: „სანამ სიბრძნე მინდოდა, სოგრატთან ვიყავ და, რახანაც თეთრი მომინდა, შენთან მოვედ“.

[583] **სტრ. 82**: მეფემ უბრძანა დიოღენს. „ფილასოფოსობისა მითხარ რამე!“ მაგიერი ჰასუხი არისტოტ მიუგო: „მე მიკვირს, ფილასოფოსობისა · კითხულობ რასმე, შენ გარდაუკდეკინებელი ვერ მოგრჩები“. ამაზედ მეფე გაწყრა, თავის წინადამ ააცუნა და ბოლოს დასჯა. ამისთვის არისტოტელი არად შეწუხდა და თქვა: „ღმერთო, ადღეგრძელე მეფე! თურმე ამ ადგილის მწყალობელი ბრძანდების, რომ მე აქ დამსჯი!“

84. უცები ცდილობს, იყოსმცა უზეშთაესად მჯდომელი,
არ არი ბრძენი სიბრძნითა ამის რისამე მდომელი,
სადაცა იჯდეს, მიხვდება პატივი მიუწდომელი;
და არვინ მიხედავს ზემოსა, ხელია მიუხდომელი.[584]

84–ა. უცები ცდილობს, იყოსმცა სხვათაგან ზეით მჯდომელი,
მაგრამე ბრძენი არ არის ამის რისამე მდომელი,
სადაცა იჯდეს, მაინც აქვს პატივი მიუწდომელი,
და მას ყურსა არვინ მიუგდებს, ხელია მიუხდომელი.

85. ძნელია, კაცის სიმაღლის მიწყივ არ იყოს მდომელი,
უნდა ცდა მოჭირვებითა, საქმე ქნას შესაწონელი;
რადგან უმაღლე საჯდომით თავი გწადს მოსაწონელი,
და იცოდე, მისი პატივი რით არის მოსაქონელი!

85–ა. არ არის კაცი, პატივის არ იყოსმც მიწყივ მგონელი,
მაგრამ იმასაც ეცადე, საქმე ქნა შესაწონელი;
თუცა ზეითკენ ჯდომითა თავი გწადს მოსაწონელი,
და ის კი არ იცი, პატივი რით არი მოსაქონელი!

86. დიოღენს თეთრი დასჭირდა, მეფესა სთხოვდა ბოძებად,
თქვა: „ბრძენს, უბნობდი, არასი არ ეჭირვების ბოძებად!“
— „ჯერ მომეც, მერმე მაყვედრე!“ ბრძანა ბოძება ოცებად.
და —„გკადრე, თუ: ბრძენი დამჭირნედ არ არის არცა ოცებად!“[585]

87. თუ უნდა ბრძენსა სოფელი, იცის იმისი გზებია,
გაკადოს მისი საწადი ადვილად დასამზებია,

---

[584] სტრ. 84: ჴკუა ნაკლები კაცი იმახ ეძებს, რომ კაის ალაკს იჯდეს, მაგრამ ფილასოფოსნი მაცას არ ეძებენ, ამისთჳს შორად იჯდეს, ახლო მჯდომს უჴკუოს კმას არ გასცემენ და იმ შორს მჯდომს ჴკუიანს ლაჰარაკს დაუწუებენ.

[585] სტრ. 86: როდესმე დიოღენს თეთრი დაუჭირვა და მეფეს სთხოვა. უბრძანა: „აკი ამბობდი, ფილასოფოსი არაზედ შეწუხდება?“ არისტოტელმა მიუგო: „ჯერ მოგვეც და მას უკან დავაყენებ!“ აღიღო და უბოძა. არისტოტ მოახსენა: „არკი მოგახსენე, არაზედ მეჴწუხდებიო?!“

გზა მიცეს საქმეს საქმითა და მისი მიზეზებია,
და წინ დადებულსა სიბნელეს შემოაყენოს მზებია.

87-ა. ბრძენს თუცა უნდა სოფელი, იცის იმისიც გზებია,
გაკადოს ყოვლი საწადი ადვილად დასამზებია,
გზა მიცეს საქმეს საქმითა და მისი მიზეზებია,
და წინა მდებარეს სიბნელეს უჩვენოს მალე მზებია.

88. ზღვით მივიდოდა, მოუკდენ ყაზახნი, ნავთა მცრცველია,
ჩაკვი გახსნა და სინჯევდა, ეგონათ მისი მთვლელია,
ანაზდათ კელით გააგდო, დაინთქა დასანთქმელია:
და —„ჩემსას სჯობს ოქროს წაკდენა, მორჩა ამითი მთელია!“[586]

89. რა ეს ნახეს მათ ყაზახთა, ოქრო ზღვასა ჩაუვარდა;
გასცილდენ და გაეცალნენ, მით ეკალი გაუვარდა;
რა მოურჩა თავი მთელად, დაჯერებას არ უვარდა,
და თათბირი და გამორჩევა არვის სადა დაუვარდა!

90. რჩევა, გასინჯვა საქმისას ძნელი სჩანს გაადვილობით,
მორჩება მათსა საქმესა არათი დანაკლულობით,
მძლავრსა მოსულსა აჩვენოს გზისაგან მოსაცილობით,
და სიბრძნის თითითა გამოხსნას ნახვანჯი დანასკულობით.

90-ა. რჩევა, გასინჯვა საქმისა ძნელსა იქს ადვილობითა,
მორჩება მისსა საქმესა არათი დანაკლობითა,
მძლავრსა მოსულსა გაუკდის საქმესა მოუცლობითა,
და სიბრძნის თითითა გამოხსნის დახვანჯულს ნასკულობითა.

91. კაცს ბევრი თეთრი აჰკიდა, დავარდა მინავალია,
და თქვა: „ძალისაებრ მოიღე, გაჰყარე განამრავლია!“[587]

---

[586] **სტრ. 88–89**: ერთხელ, როდისმე მოუხდა ზღვაში სიარული; დაინახა ნავით მეკობრენი რომ ზღვაში ნაგებს ამტვრეენდენ, ამოიღო ჩაკვით ფლურები და თვლა დაუწეო, კელიდამ გაუშვა და წყალში ჩააგდო და თქვა: „ოქრო ჩემგან დაიკარგოს ისი სჯობს, ვირემ მე ოქროსათვის დავიკარგო!“ ნახეს ეს ყაზახთა, რომ ოქრო აღარა ჰქონდა და კელი აიღეს.

[587] **სტრ. 91**: შემდგომად, როდესცა ბევრი თეთრი იშოვნა, თავის კაცს აჰკიდა და წავიდა. სიმძიმით კაცი ვეზაზედ დაუდგა და უთხრა: „რისაც ხიდვა ვერ შეიძლო, გარდაყარე და სხვა წამოიღე!“

91–ა.კაცს ბევრი თეთრი აჰკიდა, დავარდა მიმავალია;
და–„მოიღე შესაძლებელი, გაჰყარე, თუ მრავალია“.

92. დიოღენს სამი მოუსხა მეფემ სარჩევლად ქალია,
და სამივ წაასხა, გაუშვა: „ერთიცა ნუ ხარ მწყრალია!“[588]

92–ა. სამი მოუსხეს, – „ირჩივე!“– დიოღენს ტურფა ქალია,
და სამივ წაასხა, გაუშვა: „ნუმცა ერთი ხართ მწყრალია!“

93. ერთი ვინმე აგინებდა, კმა არ გასცა, გაეცალა,
უკან მისდევს, ნუ მირბიო, არ უნდოდა გაეცალა.
არისტოფ თქვა: „სიტყვის ძალი არაოდეს დაგეცალა,
და ნება მქონან, არ ვისმინო, გ–ღა–ნამცა დამეცალა!“[589]

93–ა. რომელიმე აგინებდა, კმა არ გასცა, გაეცალა,
უკან მისდევს, რად მირბიო, არ უნდოდა, გაეცალა.
არისტოფ თქვა: „თქმის ძალი გაქვს, ენა არა დაგეცალა,
და მე ნება მაქვს, არ ვისმინო, თუცა ვითარ დამეცალა!“

94. მაგინებელსა არ უნდა თქმა რამე საუბარისა,
უთქმელად იქით გასცილდი, თავს უზამს დასაბარისა,
მაშინ შეიტყობს, რაცა ქნას, სამთოა ანუ ბარისა,
და თუ შესარჩლდებით, ერთიცა მიეცით დასაბარისა.

94–ა. მგინებელს სიტყვა არ უნდა, არცა თქმა საუბარისა,
უთქმელად იქით გასცილდი, თავს უზამს დასაბარისა,
შეიტყობს მაშინ, რაცა ქნა, მთისაა ანუ ბარისა,
და თვარ პასუხითა ერთისაც გაჩვენებს მისაბარისა.

95. მეგობართათვის დიოღენ მეფესა ეხვეწებოდა,

---

[588] სტრ. 92: ოდესმე დიოღენისათვის უბრძანა სამის ლამაზის ქალის მოყვანა და დიოღენს უთხრა: „რომელიც გინდოდეს, ის გამოირჩივე!“ მან სამივ წარიყვანა, გაუშვა და უთხრა: „სამივ გამიშვიხართ, ნურც ერთს გულს ნუ დაგაკლდებათო!“

[589] სტრ. 93: რომელნიმე არისტოფს აგონებდენ. მან კმა არ გასცა და განეშორა. ის უკან მიჰყვა და დაუძახა: „მირბი კი, მაგრამ რისთვინა?“ არისტოფ მიუგო: „ამისთვის, რომ შენ ძალი გაქვს ლაპარაკისა და ბოროტისა და მე ამისი რომ არ გავიგონო!“

იგი პატივსა არა სდებს, ეს ფეკსა ეწებებოდა:
უსმინა, უთხრეს: „პირველად თუ გექმნა მალ ემწებოდა“.
და – „თუ ყური მეფეს ფეკს ება, სასმენად არ მომსწრებოდა!“[590]

95-ა. მეგობრისათვის დიოღენ მეფესა ეხვეწებოდა,
იმან პატივი არ დასდვა, ეს ფეკსა ეწებებოდა;
უსმინა, სხვათ რქვეს: „პირველად თუ გექმნა, მალ ემწებოდა“.
და – „მეფეს თუ ყური ფეკს ება, სასმენლად არ მომსწრებოდა!“

96. მეფეს თუცა აქვს სიბრძნითა რიგი და განწესებანი,
სიმართლითა იქს ყველასა, მოუკვეთია ნებანი,
შესაწყალთ მოწყალეება, უწყალოს განქარვებანი,
და შუამავლობით ნაქნარსა მოსდევს მრავალი ენებანი.

97. არისტოფსა ზღვა აღუდგა კორინთისკენ მიმავალსა,
შეშინდა და ფერი ექცა, კვლავე უჭვრეტს შენაცვალსა,
მენავემან: „რად შეშინდი, სიკვდილს ხმობდი შეუკრძალსა?“
და ეტყვის „მარტო არ ვკვდებოდი, ვწუხდი სიბრძნეს შესაბრალსა“.[591]

98. ძნელია, კაცი კეთილი, შემკული ყოვლის წესითა ,
სოფელსა გაესალამოს, დამრჩომი დარჩეს კვნესითა,
დადუმდეს ენა-კეთილი სიტყვითა უკეთესითა:
და ბევრს დაბრუნდება მბრუნავი ძლივ ერთის დანათესითა!

99. კარზე გაუვლის არისტოფ, დიონოსს უნდა ხლებანი;
უყივის : „მოდი! სალათა მაქვანან უამრებანი,
ამის ჭამისა დამჩვევსა განევლთა უნებებანი“.
და – „მიჯობს უნებურს გემოსა უგემოს გემოვნებანი!“[592]

---

[590] **ხტრ. 95**: როდესმე დიოღენ ერთის თვისის მეგობრისათვის მეფეს ევედრებოდა და, დიაღ, საქმეც გაუჭირდა. შემდგომად ფერკთ მოეხვია და გაუგონა. ერთმა ვინმე დასძრახა: „აქამდე რატომ ვერ გაარიგე და გაიჭირდა?“ მან მიუგო: „არ ვიცოდი, თუ მეფეს ყურები ფეკზე ესხა, თვარემ უფრო მალ გავარიგებდი!“

[591] **ხტრ. 97**: ამას ერთხელ მოუხდა, კორინთეს ნავით მიმავალს მძაფრი ღელვა, კნინღა და კარაბლი იგი შეიმუსრა. ამაზედ არისტოფ დიდად შეშინდა და ფერი წაუვიდა. როდესაც ზღვა ღელვათაგან დაეუდნა, ერთმა მენავეთაგანმან უთხრა: „თუმცა სიკვდილის უშიშრობას ჰქადაგებთ, მაგრამ ყველასაგან შენ უფრო გეშინოდა!“ – „მარტო მე არ ვკვდებოდი, შე კარგისა და ბატივის ღირსის არისტოფის სიკვდილისა მეშინოდა და შენ ავის კაცის სიკვდილისაც არ გეშინოდა!“

99-ა. დიონისემ არისტოფსა კარსა ზედა გაუარა;
უთხრა: „მოდი, ესე ჭამე! სალათა მაქვს გაუარა,
ვინც ეჩვევა ამის ჭამას, უნებობა გაუარა“.
და — „უნებობით კარგ საჭმელსა ნებით ავი ჰგაო არა!“

100. სოფელი ნებას არ მოგცემს, ვირემ ხარ მისი მჯერები,
არც ავით, არცა სიკეთით ვერ შექნას გასაჯერები!
დასთმეს, ამისთვის ბასრობენ სიბრძნეზე შესამზერები;
და „სჯობს ნება უნებობასა!“ — ბრძენია ასე მწერები.

101. ანტისტინეა მოწაფე სოგრატის, კაცის სრულია.
„სვე-სვიანობით ვინ უფრო — ჰკითხევდენ, — მოარულია?“
— „თავით ბოლომდი თუ განვლო ბედითა აღსასრულია,
და ზოგჯერ ესე და ზოგჯერ ის ცუდი ძილი და რულია!“[593]

101-ა. ანტისთენ ბრძენი, მოწაფე სოგრატის, კაცი სრულია.
ჰკითხეს: „სვეშია ყველასგან ვინ უფრო მოარულია?“
თქვა: „ვინცა თავით ბოლომდი გარდავლო აღსასრულია,
და თვარემ ხან ეს და ხან ისი ცუდი ძილი და რულია!“

102. ბოლომდი შვებით განმვლელსა გაუსრულდაო ბედები,
შენატრიან და აქებენ მისი მცნობი და მხედები,
ამისთვის ბორგვენ, ესე აქვს დიდი რამ საიმედები,
და ერთ წამი ავი და კარგი რად გიჩანს, რასა ედები?!

102-ა. სიკვდიმდე შვებით გამვლელსა, თქვეს, გაუსრულდა ბედები,
შენატრიან და აქებენ მისი მცნობი და მხედები,
ამისთვის ბორგავს, ესე აქვს დიდი რამ საიმედები,
და სამი დღის ავი ან კარგი რადა გჩანს, რასა ედები?!

---

[592] სტრ. 99: ოდესმე დიონისის კარზედ გაიარა არისტოფ და დიონეს სალათა გაეკეთებინა, მიუწოდა: „მოდი, ეს ჭამე და, თუცა ამის ჭამას დაეჩვევი, ურებური არდეს იქნები!“ მიუგო: „მე ნება და ცუდი საჭმელი მირჩევნია უნებურობას და კაის საჭმელს!“

[593] სტრ. 101: ანტისთენ იყო ბრძენი, მოწაფე სოკრატისა და ეთქვის სიკეთით სრული. ამას ჰკითხეს: „რომელი კაცი უფრო ბედნიერი არის?“ მიუგო: „ეთქვლთაგან უფრო ბედნიერი ის არის, რომელიც ბედში აღსრულდების!“

103. უმაგრესია კლდისაგან ძმებრივი სიყვარულია![594]

103–ა. კლდისაგან უმაგრესია ძმებრივი სიყვარულია!

104. ქვეყნის წაკდენას ჰკითხევდენ, ანუ რით დააკლებისა?
— „როცა ბოროტი განმრავლდა, კეთილი გაცუდდებისა,
კარგთა პატივი მოაკლდეს, ავები გადიდდებისა,
და მაშინღა გარდაიწყვიტე წამალი იმედებისა!“[595]

105. საცა ბოროტი გამოჩნდა სიავის სიმრავლებითა,
ძირი გადიდდა, გამსხვილდა მიღმამდი გასავლებითა,
ნაყოფი ტკბილი აღმოფხვრა, გაკადა დანაკლებითა,
და აოკრდა თემი, ქვეყანა მისითა მიახლებითა.

106. ვით რკინასა გესლი თვისი, აგრევ განლევს შური კაცსა![596]

107. — „რა სჯობს სწავლაში?“ მიუგო: „ბოროტის კიდეგანობა!“[597]

108. ბრძენი არ იქს კაცთა ბაძსა, მაგრამ კარგსა მიბაძავსა![598]

109. —„ცოტა გივისო მოწაფე!“ — „ვეცხლის წკეპლით ვარ მცემელი,
და მცირეს კელფასსა არ ვჯერვარ, შექნილან დასაცემელი“[599].

110. „ბოროტი ვინმე, — მას უთხრეს, — შენსა უბნობდა ქებასა“.
და „არამც უცებად მოუკდა, — სწუხს, — ავი ჩემსა ნებასა!“[600]

---

[594] **ხტრ. 103**: ამანვე თქვა: „ძმური სიყვარული კლდისაგან უმაგრესია!“

[595] **ხტრ. 104**: ამასვე ჰკითხეს. „რისაგან იქნების ქვეყნის წაკდენა?“ მიუგო: „როდესაც ბოროტი განმრავლდება და კეთილი მოაკლდება. იქ კეთილი არ არის, საცა კარგს ჰატივს არ სცემენ და ბოროტს – უპატიობასა, ამისთვის, რომ კარგი ჰატივისდება სიკეთეს განაყრცობს და ბოროტის უპატიურობა სიავეს დაამცრობს. ეგრეთვე, კაის უპატიურობითა სიკეთე დამცირდება და სიავე განვრცელდების“.

[596] **ხტრ. 106**: ვითარცა რკინასა თვისივე გესლი შესჭამს, ეგრეთვე შემშურნესა თვისივე შური განლევს!

[597] **ხტრ. 107**: „ყოველს სასწავლოში რომელი უმჯობეს?“ მიუგო: „ბოროტის განშორება!“

[598] **ხტრ. 108**: ამასაც იტყოდა: „ბრძენის კაცის წახედულობით არა ცხოვრობს, არამედ კარგის წახედულობითა“.

[599] **ხტრ. 109**: ჰკითხეს: „რისათვის ცოტა გეყვს შაგირდები?“ მიუგო: „ამისთვის, რომ ვერცხლის წკეპლით გავერი ხოლმე. მე მცირედის მიზდით არ ვასწავლი“.

111. ანტისტინესა წინესა ყრმა ვინმე შემოსცინესა,
გაიწყვნენ: „თემით ნავს ველი, აწე ნუ მოგეწყინესა.
მაშინ გმსახურებ – მიუგო, რაც რამე შემეძინესა!“
ანტისტე ქალაქს წავიდა, ყრმა იმას წაეწინესა,
ფქვილი იყიდა, ყრმას უთხრა: „წაიღე აწ ეს შინესა!“
„ფასი მოგვეცო!“ – ეტყოდენ, არათუ შეაგინესა.
– „ნავი მოუვა ამ ყრმასა, რომე მიდგს აწე წინესა,
მაშინღა მოგცემ უკლებლად, მისთვის ნუ შეგეშინესა!“
უთხრა: „ბევრ დაპირებულსა ცოტა აქვს მისაწვდინესა!“
და დაპირებისთვის სავაჭროს ვინ მოგცემს!“ –მას დასცინესა.[601]

112. დაჰპირდები და არა გაქვს, ტყუილი რა სასურია?!
გქონან და პირსა გაუტეხ, ოფლისა მოსაწურია;
რა საქნელია კაცისა საქმენი უსუსურია?
და ვერ გამოაძლებს მუცელსა ნაქადებარი პურია!

113. საზრდო რამე მოიყიდა, იტვირთა და წამოვიდა,
ყოელმა კაცმა გაიკვირვა, მისგან ესე გამოვიდა.
მან მიუგო: „ჩემთვის მიმაქვს, თქვენი რაა სადავი და?
და თავის თავის მუშაკობა კაცს სირცხვილით არ დასწვიდა!“[602]

114. მეფეს, ბრძენსა და გლახაკსა, – ყოველთა ეჭირებიან,
თავის რჩომისთვის სარჯელი რისაგანც იშოვებიან;
ვერ მისწვლენ შვებით, უცდელად, თუ ჭირსა ერიდებიან!
და სხვის წყენითა და დაკლებით შენიცა გაჰქარდებიან!

---

[600] სტრ. 110: ამას უთხრეს: „შენ რომელიმე ბოროტთაგანი ყაქებდა“. მიუგო: „ვამქ, თუ უცებად ბოროტი რამე შემემთხვა! ბოროტისაგან ქება ძაგება არის“.

[601] სტრ. 111: ერთმა ვინმე ურმათაგანმან ანტისტენ შეიუვარა და უქადა: „როდესაც ჩვენის ქვეყნიდამ ნავი მოვა, მაშინ გმსახურებ!“ ანტისტენ ქალაქში წავიდა და ურმა თან წაიტანა. ფქვილი იყიდა და ურმას მისცა, წამოიღეო. მათ ფასის თხოვნა დაუწყეს. მიუგო: „რახანც ამ ურმას თავისის ქვეყნიდამ ნაცი მოუვა, მაშინ მოგცემ“. – „მრავალნი არიან, ბევრს ჰირდებიან და ცოტას აძლევენ!“ – „ესეც იცოდე, რომ სავაჭროში დაპირებისათვის სავაჭროს არ მისცემენ!“

[602] სტრ. 113: ამან ოდესმე საზდო იყიდა, თვითანვე აღიყიდა და წამოიღო. ეს ყოველი კაცთაგან უკვირდათ. მიუგო მათ და რქუა: „რა გიკვირსთ, ჩემთვის მიმაქვს, სხვისათვის ხომ არა?! თავისი თავისათვის მუშაობა სირცხვილი არ არის!“

115. უთხრეს: „მრავალნი გაქებენ!“ თქვა: ავი რა მიქნიაო?![603]

116. სიკეთეა იარაღი არაოდეს მოსაშლელი![604]

117. მოწაფის მეტის ცემისთვის გმობისა ვინმე მთქმელია,
„დაჭრილთა დასტაქარები — ეტყვის, — სარჯლისა მქნელია;
აფარიზებენ მკურნალნი, უგემოდ შემასმელია;
და არ შეისმინა, მოკვდება, მისი რა დასანთქმელია?!“[605]

**117–ა. შაგირდის ბევრის ცემისთვის იყვნენ ძრახვისა მთქმელია.
თქვა: „დასტაქარი დაჭრილთა ბევრის სარჯლისა მქნელია;
აგრევ მკურნალიც ფარიზის ავ სასმელთ შემასმელია;
და თუ არ უსმინა, მოკვდება, მისი რა დასანთქმელია?!“**

118. მწვრთნელთა საწვრთნელთა ცემაზე რამც ჰქონდეს დასაბრალები,
მკურნალთ — უგემო საჭმელი, ავადმყოფთ შესაწყალები,
მებრძოლთა — მტრისა საშიშრად ბასრი და მკვეთი კრმალები,
და მეფეთა — ბოროტთ სიკვდილი, ქვეყნისა შესაბრალები?!

119. არისტოტელს პლატონ სწავლა სასწავლოსა ოცი წელი,
ბრძენი იქნა საკვირველი მაკიდონლის მოძღვრად მცდელი.
„სიბრძნისაგან რა გემატა, — უთხრეს, — ხარო ჭირთა მხდელი?“
და „ნებითა ვიქმ, — მიუგებდა,- რასაცა ხარ ძალით მცდელი“.[606]

**119–ა. არისტოტელს პლატონ სწავლა სიბრძნე თვისი ოცი წელი,
იქნა ბრძენი საპატიო, ალექსანდრეს მოძღვრად მცდელი.
„რა გემატა სიბრძნისაგან, — უთხრეს,- ხარო ჭირთა მკდელი?“
და მან მიუგო: „მე ნებით ვიქ, რისაცა ხარ ძალით მქნელი!“**

---

[603] **ხტრ. 115**: ერთმა ვინმე უთხრა: „მრავალნი გაქებენ!“ მიუგო: „რა ბოროტი მიქნია?!“

[604] **ხტრ. 116**: მანვე თქვა: „სიკეთე არის იარაღი მოუშლელი!“

[605] **ხტრ. 117**: ამასვე უძრახეს: „შენს მოწაფეთ ძლიერად ჰგვემ!“ მიუგო: „დაკოდილს დასტაქარიც მრავალს ჭირს ანჩენებს, მაგრამ მოარჩენს. ეგრეთვე მკურნალიც, როდესაც სნეულთ მორჩენას მოიწადინებენ, მრავალს ფარეზს აქნევინებენ და მწარეს წამლებსაც შეასმევენ და, თუმცა არ დაუჯერა, უსაცილოდ მოკვდება!“

[606] **ხტრ. 119**: არისტოტელი პლატონთან ფილასოფოსობას სწაულობდა ოც წელსა და შეიქნა ჰატიოსანი ფილასოფოსი და დიდის ალექსანდრეს მოძღვარი. იმას ჰკითხეს: „რა მოგემატა შენის ფილასოფოსობითა?“ მიუგო: „მე იმას ჩემის ნებითა ვიქ, რასაც ოქეენ ძალით გაქნე-ვინებენ“.

120. კარგია, ვინმე კეთილსა იქმოდეს მონებებითა,
უცოდი ანუ საცოდი იცოდეს დაუკლებითა,
გახარებითა იქმოდეს, არ ავთა მიახლებითა;
და ძალით და უპატიობით პირუტყვად გარდიცვლებითა!

120-ა. კარგი ის არის, კეთილსა კაცი იქმოდეს ნებითა,
საცოდი ანუ უცოდი იცოდეს დაუკლებითა,
მას სიხარულით იქმოდეს, ავთა არ მიახლებითა:
და თვარამ ძალით და ცემითა პირუტყვებრ გარდიცვლებითა!

121. დაუძრახეს მოწყალება, კაცსა უყო მეტად ავსა,
და – „სხვაებრ რამე არ მიქნია, სახე კაცსა მიუგავსა!“[607]

121-ა. მას დასძრახეს, მოწყალება კაცსა უყო მეტად ავსა,
და მან მიუგო: „ამად უყავ, სახე კაცსა მიუგავსა!“

122. ასე იყავ მეგობარზე, ვითა იგი შენთვის გინდეს![608]

123. მალ დაბერდების საბრალო წყალობა, სიყვარულია![609]

124. კაცსა სწავლა გაანათლებს, ვითა მთვარე- ღამე ბნელსა![610]

125. სწავლული კაცი მალ ნახავს, რა რაზედ მისდევს სხვისასა,
და ვერ ხედავს გაუსწავლელი ვერც სხვასა, ვერცა მისასა![611]

125-ა. სწავლული კაცი მალ ნახავს, რა რაზე მისდევს სხვისასა,
და კაცი უსწავლი ვერ ხედავს ვერც სხვისას, ვერცა მისასა!

---

[607] **სტრ. 121**: ამას დასძრახეს: „ბოროტს კაცსა მოწყალება რად უყავ?“ მიუგო: „მაგას კი არ მივეც, კაცის სახეს მიეც!“

[608] **სტრ. 122**: ჰკითხეს: „მეგობართათვის როგორნი ეიეენეთ?“ მიუგო: „ესრეთნი იეეენით, როგორიც ისინი თქვენთვის გინდოდესთ!“

[609] **სტრ. 123**: ამას ჰკითხეს: „რა უფრო მალე დაბერდება?“ მიუგო: „სიყვარული და წყალობა, ამისთვის, რომ მწყალობელიც იყო ვისიმე, მოჰკედება, რომ მალ დაიყიწყო“.

[610] **სტრ. 124**: მრავალჯერ აუწყებდა თვისთა მეგობართა და მოწაფეთა: „ვითარცა ღამეს ბნელს მთვარე განანათლებს, ეგრეთვე სწავლა – კაცთა!“

[611] **სტრ. 125**: მსწავლული კაცი სხვისასაც მალ ნახავს, თუ რა რაზე მისდევს, და უსწავლელი თავისასაც ვერ ხედავს.

126. სწავლის ძირი მწარე არის, ნაყოფს მოგცემს ბოლოდ ტკბილსა![612]

127. პირველ სწავლა საწყინოა, ბოლოდ – ლხინი შენ და სხვისა![613]

128. ბრძენი და ხელი მიაგავს მკვდრისა და ცოცხლის სახესა.[614]

128–ა. სიბრძნე, ხელობა მსგავსია მკვდრისა და ცოცხლის სახესა!

129. ბედში სწავლა გამოდგების, დააშვენებს უბედობას,
ვით დიონოს სირკუზმელმა მეფემა ქნა გარდმოგდობას;
კორინთელთა ასწავლიდა, მიენიჭა საზდოს მზობას.
და ვინცა რამე არა იცის, უჭირს სოფლის დაუნდობას.[615]

**129–ა. სწავლა ბედში კაცს ამშვენებს, გამოდგების უბედობას,
ვით დიონოს სირკუზთ მეფემ მოიკმარა გარდმოგდობას:
ყრმათ კორინთელთ ასწავლიდა, მიხვდა მისგან საზდოს მზობას.
და თუ არ იცის კაცმა სწავლა, უჭირს სოფლის დაუნდობას.**

130. კაცს სოფლისაგან სოფელში უძეს რამ დიდი ჭირები,
რჩენა, დარჩენა თავისა ნამეტანია ძვირები;
არას ისწავლი, რაც გმართებს, და ისე ცუდად ირები,
და დაგიმძიმდების სიცოცხლე, გაკდები გლახა, მწირები!

**130–ა. სოფლის ქცევისგან სოფელში კაცს უძეს დიდი ჭირები,
თავის რჩენა და დარჩენა მეტად რამ არის ძვირები;
თუ არ ისწავლი, რა გმართებს და ისე ცუდად ირები,
და გაგიმძიმდების სიცოცხლე, გახდები გლახა, მწირები!**

---

[612] **სტრ. 126**: იტუოდა: „სწავლის ძირი მწარე არის, მაგრამ ფოთოლი და ნაუოფი – ტკბილი“.

[613] **სტრ. 127**: უოველი სწავლის ძირი და დასაწუისი საწუენია და, რა ისწავლის, თავისთუით და სხუათათუის დიდი სასიამოვნოა.

[614] **სტრ. 128**: ჰკითხეს: „რა განუოფილება აქვს ჭკუიანსა და გიჟსა?“ მიუგო: „რაც მკვდარსა და ცოცხალსა!“

[615] **სტრ. 129**: იტუოდა: „სწავლა კაის ბუდში კაცის განმაშკუნებული არის და უბედობაშიაც გამოსადეგი: როგორადაც დიონუს მუფე სირაკუსისა თავის ტახტიდამ გარდააგდეს და თუითან კორინთეს მივიდა, უკეთუ არა სცოდნოდა რა, საქმე გაუჭირდებოდა“.

131. „მტყუანს ტყუილით, – ჰკითხევდენ, – რა ჰქონდეს სარგებელია?“
და – „მართალსაც გაუმტყუნებენ, რომლისაც მიმგებელია!“[616]

131-ა. „მტყუანს ტყუილით, – ჰკითხევდენ, – არ აქვსო სარგებელია?“
და – „მართალსაც მტყუვრად გასინჯავს, ვისიცა მიმგებელია!“

132. საყვარელი მეგობარი ერთი სულობს, ერთი გვამობს.[617]

132-ა. მეგობარი მეგობრისა – ერთი სული, ერთი გვამი.

133. ზოგს გონია, სულ აქ ყოფა, ასე რიგად მოიძვირებს.
და ზოგნი გვანან სიუხვითა მალ წასვლისა დანამჭირებს.

133-ა. ჰოგს ჰგონია, სულ აქ ყოფნა, ასე რიგად კელს უჭირებს,
და სიუხვითა ზოგნი გვანან ხვალ წასვლისა დანამჭირებს.

134. „ნეტა რა არის იმედი?“ – „მღვიძარეთათვის ძილები!“[618]

134-ა. ჰკითხეს: „რა არის იმედი?“ – „ვით მღვიძარეთა ძილები!“

135. სამოც ორისა შორისა ჟამთა შეიქნა წელისა,
ავათ გაკდა და მორჩენა სათქმელად იყო ძნელისა;
ორი მოწაფე მორჩილი ჰყვანდა ცოდნისა მგრძნელისა, –
იმენდემ როდისხელისა, ფეოფრატ ლევიტელისა.
ჰკითხეს: „შენს წილად ვინ ვიყოთ, საქმეა რაც საქნელისა?“
მან ღვინო სთხოა, მოართვეს სასრულად მისათქმელისა.
როდისხლის ხელით დალია, თქვა ძალი გემრიელისა.
რა ლევიტლისა დალია: – „მგზავსია ორი მთელისა,
მაგრამ ესე სჯობს გემოთი, რისაც ხარ მოსართმელისა! “
ყველამ შეიტყო ამითი მიცემა საცემელისა,
და ღვინით ორივე შეამკო, ნებაც ქნა საძებნელისა.[619]

---

[616] **ხტრ. 131**: ჰკითხეს: „მტეუანს თავისის ტეუილისაგან სარგებელი აქვს რამე?“ მიუგო: „ეს სარგებელი აქვს, მართალიც რომ თქვას, აღარ დაუჯერებენ“.
[617] **ხტრ. 132**: ჰკითხეს: „რა არის მეგობარი?“ მიუგო: „ერთი სული და მეორე გვამი“.
[618] **ხტრ. 134**: მასვე ჰკითხეს: „რა არის იმედი?“ მიუგო: „სხვა არაფერი, როგორც მღვიძარისათვის ძილი“.

136. სიბრძნე ამისთვის კარგია, იქს რასაც შვენიერადო,
დაბალსა ასე მოიყვანს სიმაღლედ შესამზერადო,
სიტყვასა იტყვის ქცეულსა საძველოდ, დასაწერადო,
და კაკაბსა ქორად შეგიცვლის, მიმინოს მოგცემს მწყერადო.

იგავნი კეთილგონიერისა არისტოტელისანი

137. თავსა ნუ იქებ, არა თქვან: „ავად რამ არის მქცეველი! "
და ნურცა იძაგებ, დაგწამონ, „კაცია ფარისეველი!"[620]

138. ბრმამ გზა გიჩვენოს, არ იქნას, გლახაკმან — გამდიდრებანი,
და უპატიურმან დაიწყოს პატიოსანად რებანი![621]

139. ზომიერ გაჯავრდებოდეს, მეტსა ნუ შეიწყნარებსა!
და მეტი ყმაწვილთა ამსგავსებს, უგუნურს დაადარებსა.[622]

140. თუ კეთილსა აღარა იქ, ავსა მაშინც განეყენე![623]

140–ა თუ კეთილი აღარა ქნა, ბოროტს მაშინც განეყენე!

---

[619] **სტრ. 135**: ესე შეიქნა სამოცდა ორის წლისა და, დიად, აჯად გაკდა. მისის მორჩენის იმედი სუსტი იყო. მოვიდნენ მისნი მოწაფენი და ჰკითხეს: „რომელსა დაცვადგენ შენს ალაგსა?" ამას ორი მოწაფე ჰყვანდა, სხვათაგან უფრო კამკონე და მცოდნე, – უეოფრატ ლევიტელი და იმენდემ როდისხელი. მცირე ხანს უკან არისტოტელმა ღვინო მოითხოვა, როდისხელმა და ლევიტელმა იშოვნეს და მოართვეს. დალია როდისხელისა და თქვა: „ღვინო ესე ძალიანი და გემრიელი არის ჯანშარიტად". და შემდგომად ლევიტელისაც დალევა ღვინო და თქვა: „ორივე კარგი ღვინოები იყო, მაგრამ ეს უფრო გემრიელი არის". ამა სიტყვითა ყველამ შეიტყო, თავის შემდგომად ის უეოფრატ ლევიტელი გამოარჩია. სიბრძნით ორივე აქო და თავისი ნება აღასრულა, და ლევიტელის თავის ალაგს დასმა ყველას ღვინით შეატყობინა.

[620] **სტრ. 137**: შენს თავს ნურც აქებ და ნურც აძაგებ. თუ თავს აქებ, არაფერი იქნები და, თუ იძაგებ, ქვეყანას ფარისეველად აღუჩნდები!

[621] **სტრ. 138**: ბრმას შეუძლია გზა აჩვენოს ვისმე ანუ გლახაკმან გაამდიდროს ვინმე?! ეგრეთვე შეუძლებელ არს ჰატივის არა ღირსისა ჰატიოსნად ყოფა.

[622] **სტრ. 139**: კაცი ზომიერად უნდა გაჯავრდეს, თვარა ჯავრი უგუნურად ქცეული არის და უდარესი ურმათა.

[623] **სტრ. 140**: უკეთუ კეთილი არ ქნა, ბოროტს მაშინც ნუ იქ!

141. გამოსწმედს ბრძმედი ოქროსა და კაცსა გამოცდილება![624]

142. სხვისგან ავის მოთმინება კაცსა კარგა მოუკდება,
და ბოროტი და უსამართლო სხვაზე თვითანც მოუკდება![625]

143. სვეში მოყვასს გვიან იცნობ, უსვეობა მალ გაცნობებს![626]

144. ეს ორი კაცი უკვირდა არისტოტელსა, – რომელი?
და – ტყუილის ქების მდომელი, არცა ძაგების მწყრომელი.[627]

145. მშობლისგან მოძღვრის პატივი არის რამ უკეთესია,
და მით უგუნურად მოვიდა, მას სიბრძნე შთაუთესია.[628]

146. აქებდენ ვისმე, – მიესმა, – დიდსა ქალაქსა შობილად,
და – მიჩვენეთ მისი ხარისხი, ჩემგანცა იყოს მკობილად.[629]

**146-ა. აქებენ ვისმე, მიესმა: „დიდს ქალაქს არის შობილი“,
და – „თუცა აქვს კაი საჯდომი, მეც ვაქებ!“– არი მკობელი.**

147. უზრახვდა ათინელთა: სამართალი გაარიგეს,
და თვითან ხოლმე არ იქმონენ მასვე, მათსა დანარიგებს.[630]

**147-ა. უზრახვდა ათინელთა: სამართალი გაარიგეს,
და მაგრამ თვითონ არ იქმონენ იმ წესისა დანარიგეს.**

---

[624] **სტრ. 141**: ვითარცა ოქრო ბრძმედით განწმენდება, ეგრეთვე კაცი საქმეში ჩაგდებით ცამოიცდება.

[625] **სტრ. 142**: კეთილის კაცის ნიშანია უდროოთ ბოროტის მოთმინება. ბოროტს ნურავის შეამთხვევ და უსამართლოს ნურავიზე მიიღებ, თვარემ შენსავ თავს ჩააგდებ უსამართლობაში!

[626] **სტრ. 143**: ბედში შეცობარს დიდხან ვერ იცნობ და უბედურობაში ერთ ქამსაც იცნობ.

[627] **სტრ. 144**: არისტოტელი ორგვარის კაცის საქმეს კვირობდა: ერთს იმას, ვისაც ტყუილად აქებენ და უხარიან, მეორესი – ტყუილად რომ აძაგებენ და არ ჯავრობს.

[628] **სტრ. 145**: ურმის ოსტატს უფროს ჰატივეც მისთა მშობელთაგან: მათგან დაბადებულა უცონო და ოსტატთაგან მიუღია კეთილ ცხოვრებიანი ცონება.

[629] **სტრ. 146**: გაიცონა: „ერთს ვისმე ამიტომ აქებენ, რომ დიდ ქალაქში დაბადებული არის“. მიუგო: „ხარისხის ალაგიც თუ დიდი აქვს, მეც მიქია.“

[630] **სტრ. 147**: ათინელთ მალ-მალ აძაგებდა: მრავალი კარგი სამართალი გაარიგეს, მაგრამ ბოროტს საქმეს ირჯებიან სამართალს გარდა

148. პლატონ ბრძნისა სენკრატ იყო მოწაფე და მისი მადრე,
ბევრი თეთრი გაუგზავნა მოსაკმარად ალექსანდრე,
სამს მისხლამდე ძლივ აიღო, შეუქცია ისევ ადრე:
და „მეფეთ უფრო ეჭირება დასახარჯად!“ — მათვე ჰკადრე![631]

149. რა უმჯობეა, იცოდეს ზომა და მისი წესები,
მეტსა არ ეჭიდებოდეს მაზედა დანამკვნესები!
ზოგნი სიმაღლედ იწევენ, ვის ბედი აქვან ზესები;
და დაუობდება ისიცა, რაცა აქვს დანათესები.

150. სტუმრად იყო, ბევრ მეტყველმა ჰრქვა: „მდუმრობა რად იკარგე?“
უთხრა: „სიტყვით ერთხელ სამე ნანა მომხვდა, არ სავარგე,
როსცა ვიყავ დაჩუმებით, არაფერი არ დავკარგე;
და მას დღეს უკან მდუმარობა გავინუზღე, გავიბარგე“.[632]

151. მდუმრობა არის სიკეთე, ბრძენთაცა მოსანებელი,
ენა, სამუდმოდ მეტყველი, ცეცხლია მოსაგზნებელი,
წასთქვამს ასეთსა, იპოოს გზა ველარ გასაგნებელი,
და თუ ენას კლიტე არა აქვს, ჭირია ულხინებელი.

152. რასაც ჩუმობით მორჩები, თქმით ისივ გაზიანებსა![633]

153. ცოტა მოგცენ, — სენკრატ იტყვის, — ლაპარაკის განმრავლებით,
და ყურსა ხედავ, ორნი გვქონან, ენა ერთის მონაკლობით![634]

---

[631] **სტრ. 148**: სენკრატს, პლატონის მოწაფეს, ოდესმე ალექსანდრე მაკედონელმა მრავალი თეთრი გაუგზავნა და სამის ბერძულის მეტი არა აღიღო რა და სხვა ყოველივე ისევ მიუბრუნა. ესრეთ შეუთვალა: „მეფეს უფრო ბევრი უკამს, ამისთვის რომ წარსაგებელიც უფრო აქვს“.

[632] **სტრ. 150**: სტუმრად იყო და ჩუმად ჯდა. ერთმა ბევრმეტყველთაგანმან ჰკითხა: „ჩუმად რატომ ხარ?“ მიუგო: „ერთხელ ერთი ჩემის სიტყვისათვის ბევრი ვინანე და ჩუმად ყოფნისათვის ჩემს დღეში არ მინანია და ამისთვის ჩუმად ყოფნა ვირჩიე“.

[633] **სტრ. 152**: უქმის მეტყველებით კაცი ბევრს ასეთს განსაცდელში ჩაუვარდების, რომ ჩუმად ყოფნით მორჩების.

[634] **სტრ. 153**: სენკრატმა ერთს მრავლისმეტყველს უთხრა: „მრავლისმეტყველებით ცოტას მოაცემენ, ამისთვის რომ ყური ორი გაქვს და ენა ერთი“.

154. ღმერცა პატივ-ეც, აგრეთვე მშობელსა მიმსგავსებანი,
და სიმართლით იქეც, ნუ გინდა ნუვისი ქვე დაცემანი![635]

**154-ა. პირველ პატივი ღ(მერ)თსა ეც, მერმე – მშობელთა შენთაო,
და ყოვლს კაცს სიმართლით მოექეც, უგვანთა – შესაგვანთაო!**

155. განგიკითხავს განმკითხველი, თუ ბოროტსა განიკითხავ![636]

155-ა. თუ ბოროტსა განიკითხავ, იცი, ღ(მერ)თიც განგიკითხავს!

156. სიწმიდით იყავ, ნუ ბასრობ გლახაკთა გლახაკობასა![637]

156-ა. სიწმინდით იყავ, ნუ ჰკიცხავ კაცისა სიღარიბესა!

157. შენს სასწორსა სიმართლისას მაგრა კელი მოუჭირე![638]

158. შეტყობით და მონდომებით არამც წაგცდეს უდიერი![639]

158-ა. ცოდნით და ნდომით ნურას იქ საქმეს საუდიეროსა!

159. ნუ ფიცავ ღ(მ)თისა წინაშე, საქმეა საძაგელია![640]

160. ნუ შეაწუხებ საწყალსა, ნუ უჭერ ვალსა სხვისასა,
და სამართლად წყევა მიხვდება მავალსა ამა გზისასა![641]

**160-ა. ნუ შეაწუხებ საწყალსა, ვალსა ნუ უჭერ სხვისასა,
და წყევა მიხვდება სამართლად მოქმედსა ამ საქმისასა!**

---

[635] **სტრ. 154**: ჰირველად ჰატივსეც ღ(მერ)თსა და მას უკან მშობელთა და ყოველს კაცს სიმართლით მოექეც!
[636] **სტრ. 155**: თუ ბოროტს განიკითხავ, ღ(მერ)თი შენ განგიკითხავს!
[637] **სტრ. 156**: სიღარიბეს კაცს ნუ დასცინი და სიწმიდე დაიმარხე!
[638] **სტრ. 157**: უმეტესად სიმართლის სასწორი მტკიცედ იჭარ!
[639] **სტრ. 158**: უდიერს ნურავის უსამ ცოდნითა, გინა ნდომითა!
[640] **სტრ. 159**: ნუ ფიცავ წინამე ღ(მრ)თისა, რამეთუ საძაგელ არს!
[641] **სტრ. 160**: დაწეულილია, ვინც მევალეს მაგიერს არ მისცემს, ანუ საწყალს შეაწუხებს!

161. დიოღენ იყო კინიკი, მოწაფე ანტიფენისა,
კორც-ბილწებისა საჯაროდ მძრახველი, მძვრელი ენისა,
მომშლელი იყო ამითი მრავალთა მათის ზნენისა,
და მტრობით კინიკი დაარქვეს სანაცვლოდ მისი წყენისა.[642]

161-ა. კაცსა მისცეს რაცა ღ(მერ)თმან შენაულლად, შენაჯუფთად,
— სჯობს, რომ სჯულით მისი წესი შეინახოს მეტად სუფთად;
არ გახადოს ქალწულება აღსაფრენი მაღლა უფთად;
და არ შეიქნას სოფლის ძრახვით დასანაყად, დასაგუფთად!

162. რაცა მისცეს ბედმა კაცსა შენაულლად, შენაჯუფთად,
— სჯობს დასჯერდეს, მისი წესი შეინახოს მეტად სუფთად;
არ დამდაბლდეს ქალწულება აღსაფრენი მაღლა უფთად,
და არ შეიქნას სოფლის ძრახვით დასანაყად, დასაგუფთად!

163. ყვინთსა იქმოდა ცოდვილი, ეგონა განმიწმნდებისა,
უთხრა: „უცებო, რასა იქ, საქმეა უდებებისა!“
წყალი წერილსა დაასხა, რით გასწმედ, და-ცა-ლპებისა,
და ვერ გასწმენდს გარდამავალსა, ცუდია, გაქარდებისა![643]

164. წყალია ერთხელ განმწმედი სულისა აღმოშობითა,
წყალი გვერდისა მცენარი, სათაყვანები მკობითა,
წყალი ყველაი ცუდია უსჯულოთაებრ მბობითა,
და ვერას სიკეთის მიმცემი, საამბო არაკობითა!

164-ა. წყალი ერთჯერად გამწმედი სულისგან აღმოშობითა,
წყალი გვერდითა მცენარი, თაყვანსაცემი მკობითა,
თვარამ სხვა ყველა ცუდია უსჯულოთაებრ მბობითა,
და ვერას მიმცემი კეთილთა, საამბო არაკობითა.

---

[642] სტრ. **161:** დიოღენ კინიკ – მოწაფე ანტისთენისა. ამას ამისთვის უწოდეს კინიკ, კორციით მობილწართ საქვეყნოდ შეარცხვენდა და მოაშლევინებდა. ამისთვის განუმტერდენ და კინიკ უწოდეს.

[643] **სტრ. 163**: ნახა, ერთი კაცი გასაწმედად წყალს ისხემდა. უთხრა: „ჰოი, კაცო, წერილის წინააღმდეგი რომ სთქვა, წყლით იმისი გაწმედაც არ შეიძლია, თუცა დაასხამ: ქაღალდი დაღეჭება, ბოროტის საქმე და ცოდვა წყლის დასხმით ვითარ გინდა განსწმინდო?!“

165. ნუ სჯერხარ, ცოდვის განწმედა ცუდის წყლით არ იქნებისა![644]

166. დღე ბაზარ სანთლით ეძებდა და ჰკითხეს საძებნარია,
და უთხრა: „კაცს(ს) ვეძებ, რა გითხრა სხვა მეტი საუბნარია?!“[645]

**166–ა. დღისით ბაზარში სანთლითა ეძებდა, იარებოდა;
და ჰკითხეს: „რას ეძებ?“ – „კაცს ვეძებ, ჩემის სიტყვისა მგებოდა“.**

167. დაჯდა, მოჰყვა დიდ სწავლასა, არვინ უგდო მართლა ყური,
ღორის მსგავსად დაიჭყვირა, იქმნა მიმსვლელ, მინაშური,
– „არ გრცხვენიათ, ესე რამე გულითა გაქვთ მოსასური,
და კარგსა ყურსა არ მიუგდებთ, რაცა იყოს შესაშური![646]

168. უცხოა ესე სოფელი და იმაშიგან მყოფელი,
კეთილის არას მოწადე, ბოროტზე უფრო მდგომელი,
ვერ დამნახვი საქმისა, ვერასი ვერ მიმწდომელი,
და ასეთს იქს, თავი ჰგონია მის ჟამში გაუცდომელი.

169. თუცა ათინის სტრაფჩებსა პატივს მისცემდენ დიდებსა,
მაგრამ მდაბალად მსახურად ხადოდენ ანაზიდებსა,
არც იკადრიან პასუხი დასაკიდ, ასაზიდებსა,
და არც სტრაფჩნი ეფერებოდენ, ჰკადრებდენ დაურიდებსა.[647]

**169–ა. სტრაფჩს ათინნი პატივს ცემდენ, მაგრამ ჰყვანდათ დაბალ მონად;
(და) მათ თქმა არა იკადრიან, არც იგ იყვნენ პირფერ მგონად.**

---

[644] სტრ. 165: ჰოი, ბოროტი თავკედობა, მომაკვდინებელი ცოდვა ერთხლის მეტად მდინარის წულით გინდა გასწმდე?!

[645] სტრ. 166: ამანვე ერთს დროს დღისით სანთელი აანთო, ეავიდა ქალაქში და ეძიებდა რასმე. ჰკითხეს: „რას ეძებ?“ მიუგო: „კაცს ვეძებ!“

[646] სტრ. 167: ერთხელ დაჯდა და დიდროვან სწავლაებს მოჰყვა და არავინ გაუგონა. შეშდგომად ღორულებ ჭუკრილი დაიწყო, მრავალნი კაცნი შეკრბენ, ეურიც მოუჭერეს და ჭერეტაც დაუწყეს. მიუგო: „ეს თქვენი დიდი სიბოროტე არ არის? კაცი ღორულებრ ვჭუკრი და მრავალნი შეკრბით, როდესაც კეთილ ცხოვრებაზნს საქმეს ვქადაგებდი, მაშინ კი არავინ გამიგონეთ!“

[647] სტრ. 169: სტრაფჩი ათინელთ დიდის პატივით ჰყვანდათ, მაგრამ დაბალ მოსამ-სახურედ უწოდდენ. ამისთვის იმათთან ლაპარაკს არ კადრულობდენ და ისინი იმათ ჰირს არ ეუერებოდნენ.

170. სტუმრად აწვიევეს, არ წაჰყვა, ჰკითხეს,მიხვალო რად არა?
და — „გუშინც ვეწვივე, არ მითხრეს მადლი საფერი, სადარა“.[648]

171 ვინ ვისცა აწვევს წესია. დიდად რამ დაუმადლებსა,
მაგრამ დიოღენ არ უდგა ესე ვითარსა მწადლებსა;
„მე უნდა დამიმადლოდეთ, — ეტყოდა, მისსა მსადლებსა, —
და მრავალს კეთილსა მოგიტან, შეგძინებ დაუცადლებსა!“[649]

172. ნუ მიგაჩანს უკეთესად, ნურცა ერთი შენად ვანად,
ბრძენი ხშირად მოვიდოდეს, შენ მოექცე მისად მგვანად,
გაგამდიდრებს, სხვა ვერ პოო მისი მსგავსი შესაძლვანად;
და ჰმატს ყოველსა შესატანსა კარგი კაცი შესაყვანად!

173. მაკიდონელი მივიდა, ბრძენი სარკმელთა მჯდომია,
მზისა დამშლელად მოუდგა, უთხრა: „რისა ხარ მდომია,
მოგცემ ყველასა“. მან უთხრა: „რად მინდა მოსაკდომია?
და მას ნუ დამიშლი, რისაცა ძლევად ვერა ხარ მწდომია!“[650]

174. სოფლისგან კელის აღებას ვინც არის მომნებებელი,
ამისი არად არა სჩანს, სხვის გზისა არის მგნებელი.
ვერ პოო ვერა საქმისთვის მეფეთა შემქნებელი,
და ხილული უქმად მიაჩანს, სხვა რამ აქვს მოსაძებელი.

175. „ბევრს ნდომულობ, მაგრამ მოგცემ!“ — ალექსანდრე იყო მთქმელი,
— „ჩვენ ორშია, ეს არ ვიცი, ვინ უფროა ნდომის მქნელი,
მე პარკსა და საწვიმარსა ვჯერვარ, არის რაზომ ძნელი“,
და შენ მამისას არ სჯერდები, სულ ქვეყანა გინდა მთელი![651]

---

[648] **ხტრ. 170**: სტუმრად აწვიეს და არ წავიდა. ჰკითხეს: „რატომ არ მიხვალ?“ მიუგო: „გუშინაც ვიყავ და ჩემის მისვლისათვის მადლობა არ მითხრეს და ამიტომ აღარ მივალ“.

[649] **ხტრ. 171**: დაჩვეულან კაცნი: ვისაც დაჰპატიჟებენ, დიდად იკდებენ და უნდათ, რომ სტუმარი უმადლოდეს, მაგრამ დიოღენ წინა აღუდგა: „მე ამისთვის უნდა მიმადლოდენ, იქ მჯდომთ ჩემის სწავლით მრავალს კეთილს მივუტან და შევმატებ“.

[650] **ხტრ. 173**: დიდმა ალექსანდრემ მისი ნახვა მოინდომა. იმის სახლში მივიდა და სარკმელს წინ მჯდომი დააკელა და სხვანიც მრავალნი უსხდენ. მეფე ალექსანდრე სარკმელს წინ დაუჯდა და უბრძანა: „მთხოვე, რაც გინებს, და მოგცემ!“ მიუგო: „სხვა არარა მინებს, თვინიერ მისა, რომლისაც ბოძება არ შეგეძლოს, მას ნუ მიმიღებ!“

176. ვინ მოკლა ალექსანდრეით უგლახაკესად გულია,
მით არ დასჯერდა, რაც მიხვდა, ჰქონდა მეტისა წყლულია.
მაგრამ გლახაკსა რაცა აქვს ღვთისაგან ბოძებულია,
და დაჯერებითა მდიდროის და გაინათლა სულია.

177. „რა კაცი არის დიოღენ?! – იყო შათირი მკმობელი,
– მე ბევრით ვსჯობვარ, – იტყოდა, – არა ვარ მისი მგმობელი“.
დიოღენ უთხრა: „ისწავლე ჯერ სხვა რამ შესამკობელი,
და მაშინღა იქმნა ეგება ცოტა რამ ჩემი მცნობელი!“[652]

178. ნუ უბნობ, შენის უფროსის რომ იყო უკეთესები,
კმარა თავისა მოძღვრისგან დარად მოწაფე მთესები;
რაც ჩემგან საქმე გამოვა, არ ძალუც იმათ ესები,
და მე მქონდეს იმის პატივი, ნუ ხარ იმაზე მკვნესები.

179. ჰკითხეს: „საჭმელი როდის ჯობს გემონი მისის პოვნისა?“
და თქვა: „მდიდარს როსცა მოშივდეს, გლახაკი რომ იშოვნისა!“.[653]

180. ხის მზიდველსა ხე მხარს ედვა, გზას მიჰქონდა მეტად გძელი,
მას დიოღენ წინ შეემთხვა, თავში აჰკრა იგი ძელი,
მერმე უთხრა: „ჩამომიდეგ!“ დიოღენ თქვა სიტყვა მთელი:
და „თუ მეორედ არ გწადიან, რად არ იყავ პირველ მთქმელი!“.[654]

---

[651] **სტრ. 175**: ალექსანდრე მეფემ სხვა რიგის გაშინჯულობით უბრძანა: „ბევრს თხოულობ, მაგრამ მაგისასაც შემძლებელ ვარ“. მან მოახსენა: „არ ვიცი, ჩვენში რომელი უფრო ბევრს ვთხოულობთ. მე ერთი საწვიმრისა და ჰარკისაგან კიდევ არც არა მაქვს და არცა რა მინდა, მაგრამ შენ მაძიშენის მთელ სამეფოსაც არ სჯერდები და მრავალს განსაცდელშიაც ყარდები შენის ქვეყნის განერცელების გულისათვის; კნინღა და ესე გაგონია, რომ ქვეყანაც შენთვის მცირე იყოს “.

[652] **სტრ. 177**: ერთმა ვინმე შიკრიკთაგანმან თქვა: „დიოღენ კაცი არ არის. კაცი მე ვარ, რომ შიკრიკობა ვიცი“. მიუგო: „სხვა რამ საკელო ისწავლე, ეგებ მაშინ იცნა დიოღენ, თვარემ შენ ესეთის საკელოს ჰატრონი ხარ, მაგითი დიოღენ არ იცნობება“.

[653] **სტრ. 179**: ჰკითხეს: „საჭმელი რა დროს სჯობს კაცის საჭმელად?“ მიუგო: „მდიდრისათვის მაშინ, როდესაც მოშივდეს, და ღარიბისათვის მაშინ, როსცა იშოვნის“.

[654] **სტრ. 180**: ერთს ხის მზიდველს კრძელი ხე მკარზედ ედვა და მიჰქონდა. გზაზედ დიოღენ შემოეყარა და ხის წვერი როკორმე თავში მოახვედრა. ჩვეულებისაებრ დაუძახა: „ჩამოდეგ!“ შეხედა დიოღენ და უთხრა: „კვალად მოხვედრებას თუ არ მიჰირობ, მოხვედრებამდი უნდა ჩამოდგომა გეთქვა!“

181. ბრალი არის საწუთოსა კაცი ბრიყვი, გაუზდელი,
ვერც მაღლისა ამწდომელი, ვერც დაბალსა დასწვდეს მწდელი,
პირუტყულად მოარული, ვერასფერით კელის მკდელი.
და მსგავსსა მიხვდეს მისი მსგავსი, გაუძრობი, გაუკდელი.

182. კვლაე კიდევ კეტი აძგერეს, მერმე რქვეს: „გადეგ კიდენით!“
და მანც თავში ჯოხი დაარტყა: „აწ თქვენცა მომერიდენით!“[655]

183. მიდელმა კბილში შემოჰკრა, დიოღენ ჩივილს ბედავსა,
მან კაცმა თეთრი მიუძღვნა მაგად, ნუ მიზამ მე დავსა.
დილას დიოღენ შემოჰკრა, თეთრს აძლევს მასვე ბედავსა:
და „სალბუნი თქვენი თქვენადვე მიძღვნია!“ — გაუბედავსა.[656]

184. უმართისისა მოქმედი და მისი შენამცდელები
მასვე ჭაშნიკსა მიიღებს, რისაცა მონა მხდელები;
მისი გაწვრთნილი კირკიტა მალე ქნას მონახდელები,
და ადვილ შექნილი სალბუნი დაადვან აუკდელები.

სიზმრის მოშიშართ ესრეთ ეტყოდა

185. ცხადად ქმნილსა არას ნაღლობ, სიზმრისათვის შეზარდების;
იმით არა არ გამოვა, ცხადისაგან გამწარდების;
ცხადს ბოროტსა გაუფთხილდი, სიზმრით რაღა გაგვარდების?!
და სიზმარ არა, საცხადოთცა ბევრი კარგი მოგვარდების![657]

---

[655] **ხტრ. 182**: კვალად როდესმე ეკრეთვე მოუკდა: ჰირველად კეტი შეაკასეს და შემდგომად ჩამოდგომა უთხრეს. დიოღენ არგანი აღიღო, თავში დაჰკრა და უთხრა: „ჩამოდეკ!“

[656] **ხტრ. 183**: ერთმა ჯინმე მიდმა დიოღენს კბილებში შემოჰკრა და დიოღენ ჩივილს აჰირებდა. მიდმა საუჰატიოდ თეთრი გაუგზავნა და შეუთჳალა, ნუ იჩივლებო. დილაზედ მიდი ქალაქში გამოვიდა და დიოღენიც წინ შემოეყარა, შემოჰკრა მძიღი და კბილები ჩაამსხვრია, აღმოიღო თეთრი იგი, მისცა და ესრეთ უთხრა: „რომელიც მალამა თქვენ ჩემთვის გიბოძებინათ, ის ისრევ თქვენთვისვე მომირთმევია და ახლა თქვენ დაიდეყით!“

[657] **ხტრ. 185**: რასაც ცხადითა იქთ, იმას არ უფთხილდებით და სიზმრისათვის ნაღლობთ! უბედურობა სიზმრისაგან არ გამოვალს, ბოროტის საქმისაგან გამოვალს. ამისთვინ სიზმართათვის არა კამს სიფთხილე, ბოროტს უნდა უფთხილდებოდე, კეთილს იქმოდე, სიზმარივ არა და ცხადითაც კარგი იქმნები.

185-ა. ცხადს ავს არ ნაღლობს, სიზმრისთვის არიან შეზარებული;
ჩვენებით ავი რა მოვა, ცხადად ავია ენებული;
მას ძილთა შორის ნუ რიდობ, ცხადთ ბოროტთ იყავ კლებული;
და სიზმრივ არა და ცხადათცა კეთილი გექნას ხლებული!

186. სიზმრის მიმყოლი ყოველი სატყორცნი ნასროლებია,
ცუდია ცუდთა ამბავთა მიმდევი, მიმყოლებია;
კაცისა არად საკმარი სიყრალე, საყრჩოლებია,
და დაუდგრომელი ღრუბელი ქარია ნაქროლებია.

187. სძლო ხერსონს მეფე ფილიპემ, დიოღენ მოჰყავს ტყვეო და,
რისხვით უბრძანა: „მსტოვარს გავს". ჰკადრა: „შენს მსტოვარს ვგაო და,
შენსას არ სჯერხარ, უცებო, სხვისა ხარ მოსადაოდა,
და თავი არ დასდვა, ერიდე!" — ბრძნად იცნა, განუტეოდა.[658]

187-ა. მეფე ფილიპემ ხერსონს ძლო, ბრძენი მოჰგვარეს ტყვეო და,
რისხვით რქვა: „მსტოვრად მოსულა!" ჰკადრა: „შენს მსტოვარს ვგაო და,
შენსას არ სჯერხარ, უგბილო, სხვისა ხარ მოსადაოდა,
და ერიდე, თავი არ დასდვა!" — სცნა ბრძნად, თქვა განსატეოდა.

188. ვით იაგუნდსა მწვირეში არარა შეეხებისა,
რა აღმოიღებ, გარდასწმედ, აღარა აქვს რა ცხებისა, —
აგრევ კაცისა სიკეთეს აროდეს დაუცხებისა,
და მოვა კაცთანა, ინახვის უმაღლე ალვის ხებისა.

189. ალექსანდრემ მოუწოდა, იმან წასვლა არ ინება,
უთხრეს: „მოგკლავს". მან მიუგო: „ამით არა არ იქნება,
შეუძლია ერთს ჭიასაც დაკბინებით ჩემი ვნება,

---

[658] სტრ. 187: მეფე ფილიპე თავისის ჯარით ქალაქს ხერსონიასა შემოადგა, რომელსაცა შიგან იყო დიოღენ და ქალაქი იკი აღიღეს და დიოღენ დატყვევებული მეფეს მიართვეს. მეფე მას ვერ იცნობდა და გარისხებულმა უბრძანა: „მე ვხედავ, შენ მჩხრეკელ კაცს ვავხარ!" მიუგო: „ჰართლა ბძანებ, შენის ხელობის განმსტრობად მოველ. მაკედონია ვერ ეიმეოფნებია და ნებით შენს თავს განსაცდელში აგდებ და სხვისას ეჭიდები. გაფთხილდი, რომ სიცოცხლეც არ დაჰკარგო!" გაჰკვირდა მეფე მისსა ესრე ვითარსა კადნიერ მეტყველობასა, გამოიკითხა და შეიტყო მისი ფილასოფოსობა და ბრძანა განტევება მისი შშვიდობით.

და მალ დამიხსნის სიკვდილსაცა, მდელო რამე რა იქნება“.[659]

190. არად სჩანს ბრძენსა სიკვდილი, არცა რად შეშინდებიან,
იცის გზა მისი ყოველი, თუ როგორ მოუკდებიან,
მზათ არის ყოვლთვის წასავლად, რასაც დროს როგორ ხვდებიან,
და ნუზლი და მისი საზიდი აროდეს წაუკდებიან.

191. სტაქნის ქურდი ხაზინიდამ მიჰყავს, ნახა, დასარჩობლად,
და თქვა: „დიდს ქურდსა მცირე მიჰყავს სიკვდილისა შესაპყრობლად!“[660]

192. მაკიდონელი პატივს სცემს, ნატრიდენ, კალისტინესა,
იტყოდენ: „კაი ბედი აქვს დიოღენისა წინესა“.
იტყვის: „საბრალო კალისტენ დაბმულა მოსაწყინესა,
და მეფის იშტასა მოელის, მაშინ სჭამს მოსალხინესა!“[661]

193. ვით ძრახვა, აგრეე შემკობა არ შვენის კაცსა რომელი,
უქმია ქება ტყუილად, ნუ ხარ ცუდზედა მშრომელი,
რად უბნობ ხელის-უყრელსა, რადა ხარ განმაცხრომელი?
და ნურც აქებ, ნურცა აგინებ, იყავ თავისთვის მჯდომელი!

194. ბედი ცოტაა, მუნ სადა არა აქვს კაცსა ნებანი,
და სამსახურია წითელი, მაგრამ ჭირი და ვნებანი![662]

195. რაცა დასჭირდეს, მეგობრის არისმცა გამომრთმეველი,
დასძრახეს: „ბრძენსა არ მართებს იყოს ამისი მდეველი!“
„არა თუ ვიღებ, — მიუგო, — ვართმევ, ვარ მოუდეველი,
და გაუყოფელი მოყვსისა მოყვსისის არის ყოველი!“[663]

---

[659] **ხტრ. 189**: მეფემ ალექსანდრემ მიუწოდა დიოგენს და არ წავიდა. უთხრეს: „თუ არ წახვალ, მოგკლავს“. მიუგო: „თუ მაგის მეტი არ შეუძლია რა, რათ წავალ? ჩემი სიკვდილი ერთის კბენით ჭიასაც შეუძლია და ერთს სიკვდილს უბრალო ბალახიც მოარჩენს“.

[660] **ხტრ. 191**: ნახა: ერთს კაცს საუნჯიდამ ერთი სტაქანი მოეპარა და დასარჩობლად მიჰყვანდათ. შეხედა და თქვა: „დიდს მპარავებს ჰატარა მპარავი დასარჩობად მიჰყავთ!“

[661] **ხტრ. 192**: როდესმე რომელნიმე კალისტენ ფილასოფოსს ჰნატრიდენ: „ბედნიერი არის, რომ მეფე ალექსანდრეს უყვარს და დიდის ჰატივითა ჰყაუს“. დიოღენ ამას იტყოდა: „საბრალო კალისტენ! სადილ-ვახშამი მაშინ უნდა ჭამოს, როდესაც მეფეს იშტა მოუვა“.

[662] **ხტრ. 194**: საცა ნება არ არის, იქ ბედიც ცოტა არის. აზნაურთ ანდაზა არის: „სამსახური წითელი დაჭირება არის!“

196. რა სჯობს სხვა მეგობრობასა, არ იყოს მაშიგ შურია,
ჭირი და ლხინი ერთი აქვს, შიან თუ მონაწყურია,
ამაღლდა ანუ დამდაბლდა, მისივე მონასურია,
და არცა რა მისი მისთვის შურს, არც მისი დანაშურია.

197. მდიდარი მდიდრად მოსილი, უქმი სხვის საკმარობითა,
და ჰგავს ცხვარსა, ოქრო-მატყლიანს, ქცევითა, მოარობითა.[664]

198. არ ასხია ცხვარსა მატყლი სათავისოდ, მუდამ პარსვენ.[665]

199. სხვათ მიაქვს მისგან უკმარი, უმადლოდ უცებთ ქონება.[666]

200. დიდ ტანოანი ჩანგს ჰკვრიდა, აგინებდიან ყოველნი,
და დიოღენ აქო: „არ მზირობს, სჯერა მით საზდოს მშოველნი“.[667]

201. დიოღენს ჰკითხეს: „რასა გავს წამალი საკედინებელი?“
და – „გარეულს მკითხავ? – მტყუანი, შინაურს – მაფერებელი“.[668]

202. არს საწამლავი ნადირი, – დიოღენ ამის მთქმელია, –
და სიმტყუენის, მიფერებისა, რაც კაცი არის მცდელია.[669]

---

[663] სტრ. 195: როდესაც დამჯირნე რისამე შეიქნებოდა, მეგობართ გამოართმევდა. გაჰკიცხეს:„ეს ფილასოფოსთ წესი არ არის, რომ მეგობართაგან იღებს“. მიუგო: „არ ვიღებ კი, ვართმევ. თუ მეგობარია, ყველა გაუუოფელი უნდა ჰქონდეს“.

[664] სტრ. 197: ნახა ერთი მდიდარი კაცი, არაფერში მისაკმარი და ბრწყინვალის სამოსლით მოსილი, და თქვა: „ ეს ცხვარს, ოქროს მატყლიანს, ჰგავს“.

[665] სტრ. 198: ცხვარს მატელი ყოელთვის თავისთვის კი არ ასხია, ამისთვის, რომ მალ-მალ გაჰპარსავენ.

[666] სტრ. 199: ეგრეთვე უჯკუო თავის სიმდიდრეს თავისთვინ ვერ შეინახავს. ვინც მიხვდება, წაიღებს და იმას მადლსაც არ ეტყვის.

[667] სტრ. 200: ერთი მეჩანგე კაცი, დიდტანიანი, ჩანგს უკრევდა და ყოველნი ავათ აძაგებდენ და აგინებდენ, მაგრამ დიოღენი კი აქებდა. ჰკითხეს: „რათ აქებ?“ მიუგო: „ეს დიდტანიანი კაცი არა უაზახობს და ჩანგს უკრაეს და იმითი რჩება“.

[668] სტრ. 201: ჰკითხეს:„ რა მსგავსიერობა აქვს საწამლავს მაკედინებელსა?“ მიუგო: „უკეთუ გარეულს ჰკითხავ, იმას მტუანი ეწოდების და, თუ შინაურს ჰკითხავ, ამას ჰირმფერებელი ეწოდება“.

[669] სტრ. 202: დიოღენ მტუანსა და ჰირმფერებელს საწამლავიანს ნადირს უმახდა.

203. ჰკითხეს: „ოქრო რატომ არის ყვითელი და მისი ფერი?“
და – „შური კაცსა გააყვითლებს, საშურად არს შესაფერი“.[670]

204. რა შეუდა აბანოსა, ფინთად ნახა, ავის მგვანად,
და – „ვინც აქ მოვა, –იკითხვიდა, – სადღა წავა გასაბანად?!“[671]

205. ჰკითხეს: „კაცმა რა დროულმა ქორწილით ქნას გახარება?“
და –„ყმაწვილთათვის ადრე არი, ბერთა აღარ ეფერება“.[672]

206. ყრმა ნახა დიაღ მორთული, მან უთხრა: „რა საქნელია?“
და – „კაცს სილამაზე არ უნდა, ქალთაცა სხვებრ სათქმელია“.[673]

207. ყრმას შერცხვა და წამოწითლდა, აკანკალდა, მიუგებსა:
და „ნუ იშიშვი, მაგ ფერობა კეთილს ნიშანს მოგაგებსა“.[674]

208. სასირცხოზედა დასძრახავს უგვანი ფერის ქცევასა,
და მაგრამ შორა ჩანს, ისი სჯობს ურცხობა მოუქცევასა![675]

209 სოფლის ყოფნის დამჭირნე ვართ, უზემდიან ზოგნი ავსა,
და ვართ ბოროტად, მაგრამ ისიც დაჭირებას მიაგავსა.[676]

---

[670] **ხტრ. 203**: რომელმა ვინმე ნიკოთ შეტეობა მოინდომა და ჰკითხა: „ოქრო ყვითელი რატომ არის?“ მიუგო: „ამიტომ არის ყვითელი, რომ მრავალი შური არის მას ზედა. აგრეგე კაცზე; რომ კაცმა თვალი და შური აღიღოს, ეაუყითლდება:“ შურის ძაგება ოქროს ამსგავსა.

[671] **ხტრ. 204**: როდესმე მოუადა აბანოში შესვლა და აბანო იგი ავი დახვდა, ჰკითხა: „აქ ვინც ებანებით, მას უკან აქედან სადღა შეხვალთ ხოლმე ებასაბანადა?!“

[672] **ხტრ. 205**: ჰკითხეს: „კაცმა ცოლი რა დროს უნდა შეირთოს?“ მიუგო: „ერმათათვის ადრეა და ბერს ხომ აღარ უნდა!“

[673] **ხტრ. 206**: ნახა ერთი ერმა მორთული და მოკაზმული და უთხრა: „თუ კაცი ხარ, კაცს სილამაზე არ უხმს და, თუ ქალი ხარ, მორთვა ქალისაც უნდობლობა არის“.

[674] **ხტრ. 207**: ნახა ერმა სირცხვილისა მიერ წამოწითლებული, აკანკა(ლებული). უთხრა: „ერმავ, ნუ იშიშვი, ეგ ფერი სიკეთის ნიშანი არის.“

[675] **ხტრ. 208**: უცოდინარი კაცი ერმისას თუ ქალისას მცირე სირცხვილისათვის ფერის კრთომას ავად გასინჯავს, მაგრამ ეულამ უწეის, სირცხვილისათვის ფერის კრთომა სიკეთის ნიშანი არის.

[676] **ხტრ. 209**: ერთმა ვინმე უთხრა: „ამ სოფელში ეოფნის დამჭირნენი ვართ?“ მიუგო: „ეოფნის დამჭირნენი ვართ ბოროტად, ისიც დაჭირვებას მიაგავს“.

210. მონა გაექცა, წავიდა, სხვისა შეიქნა მხლებელი,
უთხრეს: „ეცადე იპოო, ძებნისა იყავ მნებელი!“
— „რად ამიგდევით, არ ვიცი, რისა ხართ გამაგნებელი,
და თუ მონა გასძლებს უჩემოდ, მე რად ვარ გაუძლებელი?!“[677]

211. შიში, კრძალვა, მორჩილება, თუცა უნდა ყმასა ყმობა,
ჰქონდეს სწორი ერთგულობა, ყველაზედა სიამობა,
ბატონს შვილებრ მოწყალება, სიყვარულით ტკბილი ძმობა.
და გაეშორენ ერთმანერთსა, თუ შეექნათ ამის გმობა.

212. მშრალს პურსა სჭამდა წეული, ჰკითხევდენ ამა თქმულებსა:
და „რასა სჭამ?-“ ეტყვი გაკილვით: „პურსა კეთილად ქმნულებსა“.[678]

212-ა. სტუმრობაში ცარიელს პურს სჭამდა, ჰკითხეს: სჭამო რასა?
და უთხრა: „პურსა გამომშრალსა, კაცის გულის გასახარსა“:

213. ბჭე ვრცელი, ტურფად შემკული ნახა ქალაქი მიდია,
მცირე რამ შიგან შენობა. — „სა დავდგე, არვინ მიდია?
— „მიდელნო, — უთხრა; — მისმინეთ, გალავან შიგნით მიდია,“
და არ გამოვარდეს ქალაქი, კარი აქვს მეტად დიდია“.[679]

214. ყველა სჯობს თავის რიგითა ერთი ერთს მიდევნებული,
ქალაქი, სახლი ყოველი ზომაზე, არა ვნებული;
შენ მაღლა იწევ, შეძლება არა გაქვს შენი ნებული,
და საძრახავი და საჭირო გზა მოგხვდეს გაუგნებული.

215. იგავად არის ნათქვამი: „წყლის ზომა უნდა კიდია!“[680]

---

[677] **სტრ. 210**: ერთი მონა ჰყვანდა, სახელად მანა ეწოდა, გაეჭარა და სხვას მიუვიდა. მეკობრებმა ურჩიეს: „ესრეთ მოძებნე, ვითარცა გაჰკარულის მონის წესი იოს!“ მიუგო: „კიცხვით მირჩევთ; თვარემ, თუ მანა უდიოღენოთ გასძლებს, დიოღენ უმანაოდ როგორ ეერ გასძლებს?!“

[678] **სტრ. 212**: სტუმრად რომ წავიდოდა, ცარიელს ჰურსა სჭამდა. ჰკითხეს: „რასა სჭამ?“ მიუგო: „ჰურსა ვსჭამ კარგა გამომცხვარს!“

[679] **სტრ. 213**: მოვიდა ქალაქსა მიდიისასა და იხილა ქალაქის კარი მეტად დიდი და კეთილად შემკობილი და თითონ ქალაქი იკი დიად მცირე იყო. მოქალაქეთ უთხრა: „უფალო მიდელნო, კარები დაკშეკით, რათა ქალაქი თქვენი კარში არ გაგექცესთ!“

[680] **სტრ. 215**: იგავად ნათქვამია: „კიდი წულის ზომა უნდა!“

216. ყმაწვილი ნახა კეკლუცი სტუმრად სამ მიმავალია.
და – „მიხვალ ამისთვის, უთუოდ სახე წაგიკდეს ხვალია“.[681]

217. არა კამს ყრმათა სტუმრობა, მალე მიუგდოს თვალია,
და სისხლის მომმატე სასმელი წააკდენს, უყოს ძალია.[682]

218. ყრმა ნაძრახის დედის შვილი სათამაშოდ ისვრის ქვასა,
და ჰრქვა: „არა ჰკრა მამაშენსა, არ ჩავარდე ვაგლახ- ვასა!“[683]

219. ერთსა აქებდენ„ დიოღენს, სცა დიდი საბოძვარია;“
და „მეცა მაქვით, – ეტყოდა, – მაქვან მიღების გვარია!“[684]

219-ა ერთს აქებდენ:„ დიოღენეს მისცა ბევრი საბოძვარი;“
და – „უფრო მაქეთ მე იმისგან, რომ მიღების ღირსი ვარი!“

220. ბევრსა აქებენ მიმცემსა, მიმღებს აგდებენ არადა,
და დია სჯობს მძლეესა მიმღები, ღირსეულობის დარადა.[685]

221. იგავად უთქვამს: „ღირს მიეც, მიიღე ღირსეულობით!“[686]

222. ჰკითხეს დიოღენს: „რას ირგებ მაგ ფილასოფოსობითა?“
და –„თუცა სხვას ვერას შევიძენ, ბედზე ვარ მუდამ მზობითა!“[687]

---

[681] **სტრ. 216**: ურმა ვინმე ნახა, კეკლუცი, სტუმრად მიმავალი და უთხრა: „შენ სახის წასახდენად მიხვალ!“

[682] **სტრ. 217**: სტუმრად ურმათ სიარული არა კამს, ამისთვის, რომ სხვათ მიუგებს თვალსა და სისხლდაუდგრომელს სასმელი მალ წააკდენს!

[683] **სტრ. 218**: ნახა ერთი ურმა, ნაზრახის ქალისაგან შობილი, ქვას ისროდა და უთხრა. „ურმაო, ქვას ნუ ისვრი, მამაშენს არ მოხვდეს!“

[684] **სტრ. 219**: ერთს ვისმე აქებდენ, დიოღენს ბევრი საჩუქარი აჩუქაო. მიუგო დიოღენ: „მეც რატომ არ მაქებთ, იმ საჩუქრის მიღების ღირსი რომ შევიქნე?!“

[685] **სტრ. 220**: ბევრნი არიან, იმას აქებენ, ვინცა აძლევს და, ვინც მიმღებლობს, იმას კი არაფრად აგდებენ. ის უფრო საქებია, ვინც ღირსეულად მიიღებს იმისგან, ვინც აძლევს, მიცემა უველას შეუძლია და ღირსეულობით მიმღები ცოტა იპოება.

[686] **სტრ. 221**: უთქვამსთ: „ღირსეულობით მიიღე და ღირსს მიეც!“

[687] **სტრ. 222**: ამასვე ჰკითხეს: „ფილასოფოსობით რა შემოსამატი გაქვს?“ მიუგო: „თუმცა სხვა შემოსამატი არა მაქვს რა, უოველთვის უოველს ბედზედ მაინც მზათა ვარ და მე ესეც მეუოფა“.

223. – „სადაური ხარ, დიოღენ?“ უთხრა: „ვარ ამ სოფლისანი,
მით თევზთა ჰქვიან წყლისა და ფრინველთა – ჰაერისანი;
ბრძენი სად მივა, იქნება მკვიდრი მის ადგილისანი,
და ამისთვის ყველა სწორეა, სად გზანი ჰქონან ვლისანი!“[688]

224. კაცი სოფელში ერთობით სოფლისა არის ნივთისა,
სიბრძნით მქცეველი ყოველი მანვე თავისი ირთისა,
საღაცა იყო სწორეა, რა მოვა მოსვლა ზვირთისა,
და ვინცა არ იცის, რა მართებს, სახეა ყველგან კირთისა.

225. კაცმა შვილი მიაბარა დიოღენეს სასწავლებლად,
უქო უცხო გონიერად და სიბრძნისა უკლებელად!
უთხრა: „რადგან აგეთია ყოვლ საქმეში შესაძლებლად,
და რად მოგყვანდა ჩემსა წინა საცემრად და დასალებლად?!“[689]

226. ვისცა ვინ უყვარს, სამუდმოდ გულსა აქვს მისი სახია,
ვერ შეუტყვია ყოფილი წინ დაგებული მახია,
აქებს, შესტრფის და შეფრფინავს, მწიფეა ანუ მკვახია,
და სიყვარული და წადილი უთვალო დაუნახია.

227. დიოღენს წითლით მოსილსა სჭვრეტდა ლაკადონ, ნახავსა,
„დღესასწაული არ არის!“ – ეტყვის, ამაზე სძრახავსა.
უთხრა: „ჩემგვარი კაცები სოფლისთვის არა ახავსა,
და რაც დღე მოუვა, ყოველსა დღესასწაულად სახავსა!“[690]

228. ასეა სოფლის დათმობა ბრძენთაგან ქებით თქმულია,
სოფლის ჭირი და სასჯელი, სირცხვილი, რაცა ქმნულია,
მორჩება ნების სნატზედა სიმტკიცით დანასმულია.

---

[688] **სტრ. 223**: ერთმა ვინმე ჰკითხა დიოღენს: „სადაური ხარ?“ მიუგო: „მსოფლიო ვარ, ამისთვის, რომ ყოვლის კაცის სახელი ეხ სოფელია და ნამეტნავად ჭკვიანის კაცისა: საცა მივა, ყოველსაე სამამულოდ გაიკდის, როგორადაც ხვერენ:„ თევზთა – ზღვა, ფრინველთა – ჰაერი და კაცს – სოფელი. ქვეყანა ყოველგან ერთია, თუ ჭკვიანი კაცი არის“.

[689] **სტრ. 225**: ერთმა ვინძე შვილი მოჰგვარა დიოღენს სასწავლებლად და იმ თავის შვილის ქებაც მოუყვა, რომ ეს ერმა საკვირველის ჭკუისა და აგებულებისა არის. დიოღენ უთხრა: „თუ აგრე კი არის, მაშ, ჩემგან უკეთესი ეოფილა და რაღად მაძლევ?“

[690] **სტრ. 227**: ლაკადონ ნახა დიოღენის წითლის ტანისამოსით მოსილობა და ჰკითხა: „წითელი ტანისამოსი რად გაცვია. დღესასწაული ხომ არ არის?“ მიუგო დიოღენ: „ჩემისთანა კაცისათვინ ყოვლთვის დღესასწაული არის“.

და ყოველი სოფლის მოყვარე ანძაზე ანაცმულია.

229. ალექსანდრემ რქვა დიოღენს: „არ გეშინიან ჩემია?“
— „კეთილი ხარ თუ ბოროტი, რომელი შეგიჩემია?“
თქვა: „კეთილი ვარ, შენც იცი, არ არის გასაჩემია“.
და — „სხვას ვის ეშინის კეთილთგან, რა ვიყო მიუჩემია?!“[691]

230. საშიშზე მართებს ერთობით მეფისა რიდი, შიშები,
რაზომ გწყალობდეს, მაშინცა მტერსა არ მისცე იშები,
სიმდაბლით ტკბილად მოიქეც, ქენ ერთგულობის ნიშები,
და გამსინჯველსა და მცოდნესთან უცოდრად რათ ვიქიშები?!

231. დიოღენ უსარვაგოთგან ცდილობდა გამოღებასა,
და უბნობდა: „ბოლოდ ვეღარ იქს, იწადოს კელთ აღებასა“.[692]

232. ბევრთა მიხვდა სიგლახაკე სიავით და მემთვრალობით,
და მოინდომეს ბოლოს კარგი, ვეღარ პოეს საბრალობით.[693]

233. დიოღენ ნახა მოსაგნე ავად რამ მოისარობდა,
მივიდა, დაჯდა საგანთან, არ მოსწყენობდა, ხარობდა.
უთხრეს, ნიშანთან ჯდომასა რასათვის არა ზარობდა.
და — „ვიცი, რომ სხვაგან მომხვდების, მას მისთვის წამლად ვკმარობ და!“[694]

234. რა სახმარია კაცისა მოწყენა გაუხარები,

---

[691] **სტრ. 229**: ალექსანდრე დიდმა ლაჰარაკში მოიყვანა და ჰკითხა: „ჩემი არ გეშინიან?“ დიოღენ მოახსენა: „რა ხარ, კეთილი ხარ თუ ბოროტი?“ მიუგო: „კეთილი“. დიოღენ მოახსენა: „კეთილისა სხვას ვისა შინებია, რომ მე შემეშინდეს?!“

[692] **სტრ. 231**: ერთს მხარჯაეს კაცს ორი შაური სთხოვა. იმ კაცმა გაიკვირვა და უთხრა: „მე აგრე ბევრი რატომ მთხოვე და სხვათ ოროლს ფულს სჯერდები?“ დიოღენ მიუგო: „იმათ ცოტას ამისთვის ვართმევ, რომ კვლავაც მოცემას მოველი და შენი არ ვიცი, მომცემდა რასმე თუ არა?“ დიოღენ ამისთანას კაცს ამისთვის უწინვე გამოართმევდა, რომ მას უკან კიდეე მოინდომოს, ვეღარას მომცემს.

[693] **სტრ. 232**: ხშირად მოჰხდება, რომ, ვინც მემთვრალეობს და ავად ცხოვრებს, დიდს სიღარიბეში ჩაცვივიან, შემდგომად მოინებებენ სარვაობით ცხოვრებასა, მაგრამ ვეღარას მიეწევიან.

[694] **სტრ. 233**: ნახა ერთი მშვილდოსანი, დიაღ ავად ისროდა ისარსა. დიოღენ მივიდა, სწორედ ნიშანთან დაჯდა. ჰკითხეს: „საგანთან რასათვის დაჯექ?“ მიუგო: „აქ უფრო ვერა მომხვდების რა და, თუ სხვაგან ვჯდომილიყავ, საფათერაკო იყო“.

ჩამოსტიროდეს ცხვირ-პირი, თვალ-წარბთა არემარები!
მაგრამ უშვერის ხუმრობით უცილოდ გაიმწარები,
და კარგია ადგილს ლაღობა, ბრძენთაც აქვს დაუზარები!

235. – „ფილასოფოსის უფროსად რად გლახაკს აძლევს ყოველი?“
და – „მისგან სიბრმეს და სიკოჭლეს უფრო მალ ელის მპოველი“. [695]

236. ეტყოდა ვინმე: „ქურდულად თეთრის ჭრა მოგინებია“.
და – „დრო იყო, ვიყავ შენთანა, შენ ჩემებრ ვერ იქნებია![696]

237. ანკსიმე დაჯდა, დაიწყო გრძელი რამ ლაპარაკია,
დიოღენ ლორის ნაჭრისთვის გახსნა საქებრად პარკია,
მსმენთ ის გაუშვეს, ამისას მიუპყრეს გულის სარკია.
და სჯობიყოს ლორი სიტყვასა, ვისგან რა მოსახარკია?![697]

238. კარგია კარგი ამბავი, მოკლე იყოს თუ გრძელები,
კაცსა აამოს, ასწავლოს სიტყვანი ძველის-ძველები;
უკამსმა გაუწყობარმა გული ქნას დასაწველები,
და კარგი თქვი, ცუდსა ნუ უბნობ, ენასა მიეც მცველები!

239. უწმიდურს და ფინთს ადგილსა ყოფილხარო, დააყვედრეს.
და – „მზეც მიდგება, მაგრამ იმას სიწმიდითა ვერვინ ედრეს!“[698]

240. ჰკითხეს, რა სჯობსო? მიუგო: „ნებაა ძვირად ხდომისა,
და მონება არი უნებო, უფლება ვერ ქნა ნდომისა!“[699]

---

[695] **ხტრ. 235**: ჰკითხეს: „გლახაკთ რატომ უფრო სიხარულით აძლევენ მისაცემელს ფილასოფოსთაგან?“ მიუგო: „ამიტომ, რომ სიბრმესა და კოჭლობას უფრო მალ მოელიან თავის თავისასა ფილასოფოსობისაგან და ამისთვის“.

[696] **ხტრ. 236**: ერთმა ვინმე მოუგონა: რომ ქურდულად თეთრი მოგიჭრია. მიუგო: „დრო იყო, როგორიც შენ ხარ, მეც მაგისთანა ვიყავ და, როგორიც ახლა მე ვარ, შენ კი ვერ შეიქნები ამისთანა!“

[697] **ხტრ. 237**: ანკსიმე დაჯდა და გრძლად ამბის მბობა დაიწყო. აღიღო დიოღენ ღორის ნაჭერი და ქება დაუწყო. ეველამ ანკსიმეს ლაპარაკი გაუშვა და ეური დიოღენს მიუპყრეს. დიოღენ გაიცინა და თქვა: „დიაღ, კაის ამბავს ამბობდი, რომ იმის ეურებას გამკმარი ღორის კორცისა ირჩიენ!“

[698] **ხტრ. 239**: ამას დააეედრეს: „უწმინდურს და ფინთს ალაგს გამოიელის, მაგრამ თითონ წმინდა არის!“

241. კეთილს აქებს და არა იქს, მულნისა დასაგვანია,
და სხვას აამებს და არ ესმის, თქმა უქმი მწვე უგვანია.[700]

242. ნახა ყრმა ავად მქცეველი, ურიგოდ მოარულია,
და გამწვრთნელსა ცემა დაუწყო: – „რად ავად განსწავლულია?!“[701]

243. ფინთად რამედ მაგინებლად ყრმა უშვერად ნახა ხშირად:
და – „არ გრცხვენიან, პილოს ძვლისა ხე-ტარსა გაქვს კალა პირად?!“[702]

244. უშვერი სიტყვა უშვერთგან თუცაა მწვე უშვერია,
და საშვერისაგან უფროსად საკიცხალ, დაუჯერია.[703]

245. კამენდიით მომავალთა უთხრეს: „რაზე მოგვერიდე?“
და – „წინაღმდეგი სიცრუვისა თქვენთან როგორ გავივლიდე?!“[704]

246. ბრძენსა მართებს ცრუს რიდება, მოშორება დიაღ შორად,
და მით ჭკუითა არას იქმან, ნდომით იქმან ყველას ჭორად.[705]

247. ცუდ ცხოვრებით მოხარული ჩანგთა მკვრელი ნახა კაცი,
და – „ხეზე კმები გაგიწყვია, თუ ჭკუა გაქვს კელსატკაცი!“[706]

---

[699] **სტრ. 240**: ჰკითხეს: „კაცისათვის რა სჯობს?“ იტყოდა: „ნების კაცი ძვირად იშოვება, აძისთვის, რომ მონობა უნებლობა არის და უფლება თვისის ნდომის ვერ-ქმნა“.

[700] **სტრ. 241**: არიან, რომე კეთილ-მოქმედებასა ტკბილად იტკვიან და თავისი ცხოვრება ბოროტად მიჰყავთ. ამათთანასას იტყოდა: მულნსა ჰკვანანო, თვისის კაის კმით სხვას ააძებს და თვითონ კი არ ესმის.

[701] **სტრ. 242**: ნახა ურმა ერთი, ურიგოდ მქცეველი. მის ოსტატს შემოჰკრა დ უთხრა: „ურიგოდ ქცევა რასთვის ასწავლე?!“

[702] **სტრ. 243**: ნახა ერთი შვენიერი ურმა, უშვერის გინებით მეტქველი, და უთხრა: „ურმავ, არა გრცხვენიან, ძვირფასი სპილოს ძვლის ხე-ტარს ჰირს კალისას ასხამ?!“

[703] **სტრ. 244**: უშვერი სიტყვა თუცა უშვერთაგან უშვერია, მაგრამ უფრო უშვერი ის არის, საშვერმა რომ თქვას.

[704] **სტრ. 245**: ერთხელ კამენდიადამ მრავალი მომავალი კაცნი ნახნა და იმათ დაერიდა. ჰკითხეს: „რატომ დაერიდე?“ მიუგო: „ჩემს სიცოცხლეში ჩვეულებადა მაქვს ცრუთ წინააღმდეგობა“.

[705] **სტრ. 246**: ბრძნის კაცის წესი არ არის, ცრუს ყური მიუგდოს. შორს უნდა ექცეოდეს ამისთვის, რომ ცრუ გასინჯვით არასა იქს, ნდომით იქს, რასაცა იქს.

248. უცები სწერს თავის კარზე: „ნუ შემოვა უმეცარი!“
და –„თვით სით შევა, – დიოღენ თქვა, – თუ ასეა ის მეცარი?!“[707]

249. ნახა, მოლაშქრე ზვაობდა მოსითა ლომის ტყავითა,
და ეტყვის დიოღენ: „სანამ ხარ მაგა ქცევითა ავიოა?!“[708]

250. ბრძოლობის ნიშნად ღერკულის ეცვაყე ტყავი ლომისა,
ფილასოფოსნი სძაგებდენ: „საქმე არ არის ომისა,
ცხენ-იარაღთა საცმლისა ჟინი სჭირს ბევრთა ნდომისა,
და ჩირგვის ძირს უფლავსთ საქმენი მამაცობაზე დგომისა!“[709]

251. პირველზე მამაცობისა რათაცა გქონდეს ჩენანი?
ავია, შეტევებაზე რომ ჩაუვარდეს ენანი,
სროლით, ტყორცით და ცემითა გულსა შექნოდეს წყენანი;
და ვაქებ უთქმელსა, რომ იყოს საქმის დროს საქმის მცენანი!

252. ფეხს წაისვა სუნნელება, სხვა შეექმნა დანამწუნად;
და – „ თავს წამესვა, ქარს მიჰქონდა, მეყნოსება იქით სუნად“.[710]

253. სწავლა ყრმას მისცემს სიფხიზლეს, ნუგეშსცემს ბერის გულებსა,
და გლახას – სიმდიდრეს, მდიდარსა– შვენებას გაუსრულებსა![711]

---

[706] **სტრ. 247**: ნახა ერთი კაცი, მუსიკის კარგად მკვრელი, უბედოს ცხოვრებაში და უთხრა: „არა გრცხვენიან, ხმელ კუზედ კმების დაკვრა და შეწუობა იცი და შენი ცხოვრება კეთილის ჭკუით ვერ გაგისწორებია?!“

[707] **სტრ. 248**: ერთმა უგუნურმა კაცმა თავის კარზე დაწერა: „აქ კარში ბოროტი ნურვინ შემოვა!“ წაიკითხა დიოღენ და თქვა: „აქ სახლის პატრონი საიდამ იქნის?!“

[708] **სტრ. 249**: ერთმა ნამიზდმა მეომართაგანმან ლომის ტყავი ჩაიცვა და ამითი თავს იწონებდა. დიოღენ უთხრა: „სანამდი შენს ვაჟკაცობას მაკითი აკდენდე?!“

[709] **სტრ. 250**: ღერკულიოს მამაცობის ნიშნად ლომის ტყავს იცვამდა, მაგრამ ფილასოფოსთ ეს საძაგლად ეჩვენათ. ახლად მრავალნი არიან, ტანისამოსსა, ცხენსა და იარაღსა მეომრისას კმარობენ და სიმამაცე ჩიგვს ქვეშ აქვსთ დამალული.

[710] **სტრ. 252**: მან იხოვა საცხებელი კეთილ-სუნნელოვანი და ფერეზედ წაისვა, ხოლო მნახველთა მათ განჰკიცხეს. მიუგო: „თუ თავზე წამესვა, ქარი წაიღებდა და უკეთეს ამისთვის წავიცხე, რომ ქარი სუნს მაღლა წამოიღებს და საუნოსულით მეუნოსება“.

[711] **სტრ. 253**: სწავლას ესრეთ აქებდა: „ყრმას მისცემს სიფხიზლეს, მოხუცებულს ნუგეშისცემასა, გლახაკს – სიმდიდრესა და მდიდარს – სიმშვენიერეს“.

254. იგ ამოიყრის მტრის ჯავრსა, ვინ კარკაცურად ზრდილობსა,
მტერი თუ ავსა ვერ ნახავს, მტერსამცა რითა ჰკილობსა?
ტყუილის თქმასა კეთილსა ვერ გაუბედავს, წბილობსა,
და მარჯვენას კელსა მარჯვენად არავინ დაიცილობსა.[712]

255. თუცა კარგის მოქმედება არა საქმით გეძვირება,
ვინც რას იტყვის შენთვის უქმსა, მასვე თავი ემცირება;
დაიმკვიდრებს ამ სოფელსა, წესად რომ აქვს განწირება,
და სახელსა და კარკაცობას ძალი აღარ ეჭირება!

256. მკდოვანს ბოროტი სძრახვევდეს: „არ იცის გზანი ხმობისა!“
და — „მას მოკლვენ, სიგლახაკითა არავინ დაიგმობისა!“[713]

256–ა. კაცი ბოროტი სძრახვევდა: „გლახა ხარ!“ ეს ეტყოდაო:
(და) „გლახობის კიცხვა არ მსმია, ბოროტს ბევრს დამრჩვალს ვხედაო!“

257. ძრახვის მთქმელი სიკეთეში არაოდეს დაიწერა,
არ მიხედავს გონიერი, არცა უნდა მისი მზერა;
ავს ვერ იცნობს, ეგრე იტყვის: „ბრძენმა ვინმცა დაუჯერა?!“
და ამის მეტი რაღა გკადრო, სხვისას ხედავ, თავსა– ვერა!

258. დედაკაცი ჰოროლში ჯდა, ჰქონდა იმით მოარება,
და „ამ ნადირსა ეს ყაფაზა, — თქვა, — უცხოთ რამ ეფერება!“[714]

259. ბოროტი დედაკაცები ნადირთა უფრო ძნელია,
და თუ მაგრა არ დაიჭირე, ბევრის ავისა მქნელია![715]

---

[712] **სტრ. 254**: ჰკითხეს: „მტრის ჯავრი როგორ უნდა ამოვიუაროთ?“ მიუგო: „კარგი კაცი შეიქნს და იმით ამოიყრი, მტერი ყოველთვინ სინჯავს თავის მტერსა: ერთი ურიგო უნახოს, ის გამოუჩინოს და იმითი უმტროს. თუ იმას ვერ გინახავს, შენს ავს რით იტყვის? უკეთუ ტუუილს მოგიგონებს, ხომ ტუუილი იქნების და კაის კაცს ტუუილს მოსაგონრადაც ვერ შეჰბედავს; იცის, რომ მარჯვენა კელი მარჯვენა არის!“

[713] **სტრ. 256**: ერთი ვინმე ჰკიცხვედა, გლახაკი ხარო, და თვითონ ყოვლის ბოროტის მოქმედი იყო. მიუგო: „სიგლახაკისათვის ნაგინებიც ძვირად ნახულა და სიბოროტისათვინ მათრაკ–ნაკრავი და დამრჩვალნიც მრავალი მინახავს“.

[714] **სტრ. 258**: ნახა დედაკაცი, ჰოროლში მჯდარი და მოარული ,და თქვა: „ეს გალია ამ ნადირის საფერი არის!“

[715] **სტრ. 259**: ბოროტი დედაკაცი ნადირისაგან უფრო ძნელი არის: თუ მაგრა არ შეიჰურობ, მრავალსა ბოროტსა იქს.

260. ბოროტის სიყვარულითა მოცლაა მოლხინებანი![716]

261. ნებას გაჰყვება ის უფრო, ვინც ნებიერად ლხინობსა![717]

262. უსარგებლოდ ვინცა ლხინობს, ბოროტის მეტს ვერას ილხენს![718]

263. ლხინში ნდომა ნებიერობს, ვერასა იქს კარგის მზერას![719]

264. ნუ ერიდები სასჯელსა, თუ სიძვას ერიდებია![720]

264-ა. სარჯელს ნუ დაერიდები, თუ სიძვას ერიდებია!

265. რა რომ ლხინსა შენ გაუშვებ, ნდომა დასდებს ისრის სროლას![721]

266. ზენონ იტყოდა: „მოძრავი ქვეყანად არსად არისა“.
დიოღენ ადგა, მიმოსვლა დაიწყო ყოვლის მკარისა.
ჰკითხა: „რასთვის იქ, რა არის, ანუ რის დასადარისა? “
და — „შენს სიტყვას ვაძლევ პასუხსა, ფესვი რომ იყო მწარისა!“[722]

267. ბრძნად მგონი თავისთავისა, ფოცხვრადაც არ სახავები,
იტყვიან ცუდთა ზღაპართა, ავთ მთქმელი, თვითანც ავები;
ნუ მიზდევ, ყურსა ნუ უგდებ, ნურცა ხარ მიმადავები,
და დასცხრა, გაცუდდა ყოველი იგ მათი საჩმახავები!

268. მას ურჩიეს: „აწ დაბერდი, სარჯლისგან ჰქენ ახლა შვება!“
და — „რა გაევლოს ასი წილი, ქნას ერთისა ვინ გაშვება?!“[723]

---

[716] **სტრ. 260**: ბოროტი სიყვარული სალხინის კაცის მოცლა არის.
[717] **სტრ. 261**: თავის ნებას ისინი უფრო გაჰყვებიან, ვინც ნებიერად არის და ლხინობს.
[718] **სტრ. 262**: ვინც უსარგებლოდ ლხინობს, ბოროტის მეტს ვერას მოილხენს!
[719] **სტრ. 263**: ლხინში ნდომაები განებივრდება!
[720] **სტრ. 264**: სარჯელს ნუ დაერიდები, უკეთუ მეძაობას ერიდებოდე!
[721] **სტრ. 265**: რასაც წამს ნამეტნავს ლხინს კანუტეკვებ, მეისვე ნდომა თავისის ისრის სროლას დააყენებს.
[722] **სტრ. 266**: ზენონ ფილასოფოსმა თქვა: მრავლის აღმოსაჩენითა ქვეყანაზედ მოძრავი არა არის რაო. დიოღენ სასწავლოდამ აღდგა და წინაუკმო მიმოსვლა დაიწყო. ჰკითხა ზენონ: „რასა იქ?“ მიუგო: „შენს სიტყვას პასუხს ვაძლევ!“

268-ა. „აწ დაბერდი, – მას ურჩიევს, – სარჯლიდან ქენ ახლა შვება!“
და – „ასი წილი გზა გაევლოს, ერთისა ქნას ვინც გაშვება?!“

269. სიღარიბისგან მწუხარემ იწყოს ამ სიტყვით თხოვანი:
და „მოწყალეთ მომეც, უწყალოთ ჩემიდამ იწყეთ ძლევანი!“[724]

270. – „ვინ უფრო არის საწყალი?“ თქვა: „გლახა ბერი კაცია!
და დიდი ბოძია, სიბერის ქონება მოუტაცია“.[725]

271. როს დიოღენ დაატყვევეს, პატრონს სწადდა გასასყიდად,
უთხრა: „თქვიო, რაც იცოდე, კაცი იყოს ფასის მზიდად!“
– მას მიუგო, იმან ჰკადრა: „ეს უბრძანე დაურიდად,
და პატრონისა ლაპარაკი შეუძლია ამას დიდად!“[726]

272. მეფეთა და კელმწიფეთა მოხსენებას ვინცა სახავ,
ძნელი არის უსინჯავად, უმეცარად, ბოლოდ ახავ;
სიმდაბლით და მოშიშებით სიტკბოებას მოინახავ;
და არა თქმა სჯობს წამოთქმასა, თუ არ იცი, რასა ზრახავ?!

273. კაცს ხედავს, ოქროთ მოსილსა, ეტყვის და ამას ინებსა:
და „ვხედავ ამ კაცსა, მიმყიდე, ბატონის დანამჭირნებსა!“[727]

274. ოდეს იყიდა ქსინონემ, დიოღენ მისი მთქმელია:
„რადგან მიყიდე, ბრძანებას მისმენდე, მას მოგელია!“

---

[723] **ხტრ. 268**: ერთმა ვინმე ურჩივა: „დაბერდი და სარჯელზე კელი აიღევ!“ მიუგო: „ერთს ალაგს მისვლას რომ დანაძლევებოდეს ვისმე, ასი წილი გაევლოს და ერთი დარჩომოდეს, ის ერთი რაღა გასამვებია?!“

[724] **ხტრ. 269**: როდესმე სიღარიბემ შეაწუხა, საგლახაკოს ესრეთ ითხოვდა: „უკეთუ სხვათათვისცა კექნას მოწყალება, მეც შემიწყალე და, უკეთუ – არავისთვის, ჩემიდამ იწყევ!“

[725] **ხტრ. 270**: ჰკითხეს: „ვინ უფრო საწყალი არის?“ მიუგო: „ვინც სიბერის დროს სიღარიბეში ჩავარდება. სიბერისათვის მეტად დიდი რამ ბოძია საქონელი“.

[726] **ხტრ. 271**: როდესმე დიოღენ დაატყევეს და მისმა ბატონმა გასასყიდლად წარუვანა მოინდომა და ჰკითხა: „მითხარ, რის ცოდნის მოქმედი ხარ? ვინც რომ შენში შემამევაჭროს, ვუთხრა?“ მიუგო: „ესრეთ უთხარ:„ ამ უნებურს ტყვეს თავის უფლის კაცის ლაპარაკი შეუძლია“.

[727] **ხტრ. 273**: მე ვხედავ, ამას ბატონი ეჭირება.

„წინააღმდეგსა რად მკადრებ?!“ — იგი ამისი მზმელია;
და — „სნეულისაგან მკურნალის წამალი შესასმელია!“[728]

275. ნუ ითაკილებ კაცისა თქმასა და შეგონებასა,
ოქრო მიწიდამ გამოვა, აღმოსცემს აშენებასა;
მოსდევს შეტყობა კაცისა კაცზედა გაგონებასა,
და ლომს მოჰკლავს მცირე ჯინჭველი, თუ ისმენს რჩევის ნებასა!

276. მკურნალი სხეულს განჰკურნებს და ბრძენი, ჭკუის სენებსა,
და მას უსმენ, მასცა უსმინე, გყვეს მონად მოსახსენებსა![729]

277. დიოღენს რქვეს: „ჩვენ დაგიხსნით“. — „არად მინდა, გწამდეს ერსა,
და ლომის მჭერი ლომს მსახურებს, ართუ ლომი — ლომის მჭერსა!“[730]

278. „სიკვდილია მწვე ბოროტი?“ — მას დაუწყეს მაზე დავი.
და — „არ გინახავს, როგორ იცი, კარგი არის ანუ ავი?!“[731]

279. მდიდარს სიკვდილი არ უნდა, გლახა სიკვდილის მდომია,
და მაგრამ ავს კაცსა ორისვე შიში აქვს, მიუწდომია.[732]

280. უთხრეს: „უყმოდ რადგანა ხარ, ვინ მიგიტანს სამარესა?“
და — „მაშ, რასა იქს, ვის სახლს მოვკვდე, თუ პატრონთა არ მარესა?!“[733]

---

[728] **სტრ. 274**: იყიდა ერთმა ქსინინელმა კაცმან დიოღენ და უთხრა თავის ბატონს: „ახლა ხომ მიეიდე, მაგრამ ეურიც მოშიჰვარ და ეოველი ჩემი ბრძანებაც გაიგონე!“ ამაზე ქსინარედ უთხრა: „ეგ წინააღმდეეობა არის“. მიუგო დიოღენ: „ავად რომ ეოფილიყავ და მკურნალი გეშოვნა, წამალს აქეეინებდი-ეე, თუ არა?!“

[729] **სტრ. 276**: მკურნალის წამალი კორცის სნეულობას მოარჩენს და ფილასოფოსისა ჭკუით სნეულებასა ჰკურნებს. ეკეთე სნეულის მკურნალს დაეჯერე, ჭკუის მკურნალს რატომ ეორო არ დაეჯერე, რაკიდ იმისი ეჯალიც იყო?!

[730] **სტრ. 277**: დიოღენს უთხრეს: მაგისგან დაგიხსნითო. მიუგო: „არა მნებავს! ეს არ ეწყეით: ვინც ლომს დაიჭერს, დამჭერი ემსახურება და არა ლომი — დამჭერსა“ .

[731] **სტრ. 278**: ჰკითხეს: „სიკვდილი ბოროტი არის?“ მიუგო: „ჯერ რომ ის არ გინახავსთ, მისი სიბოროტე ვითარ შეიტეეით?!“

[732] **სტრ. 279**: იგივე იტეოდა: „რომელნიც კეთილსა და ბედნიერს ცხოვრებაში არიან, სიკვდილი არ უნდათ და, რომელნიც ებედურებაში არიან, სიცოცხლე არ უნდათ, მაგრამ ავის კაცისათვის ორივ ძნელი არის, ასე რომ, სიცოცხლე აქვსთ ესრეთ ავი, როგორც იმ სიკვდილის მდომთა და სიკვდილისაც ეშინიათ ესრეთ, ვითარცა ბედში სიცოცხლის მდომთა“.

281. ანტისტენ თავის მოწაფეთ გაჰყრის, არ მოიკაროსა,
დიოღენ(ს), კაცსა მისანდოს, არ აძებს, მოიკმაროსა;
ბოლოჟამს მასცა გაუწყრა, სცემს: „წადი სხვასა აროსა!“
და – „რას დამკრავ ასე მაგარსა, შენს თავსა მე გამყაროსა?!“[734]

282. საყვარელია ასეთი ერთგული, მისანდობელი,
მორჩილი, მშვიდი, მდაბალი, ადგილზე მალალობელი,
ლხინით ან ჭირით, ან სიტყვით რომე ქმნას ვინმე მბობელი,
და არ შეიცვალოს გონება, ამკობს კვლავ შესამკობელი.

283. პეშვით დამლევსა თასითა უჭვრეტდა: „ეს საკმარია?“
და – „ჩემს ნივთსა თვითან შე(ე)ძლოს, სხვისა რა მოსახმარია!“[735]

**283–ა. პეშვით ვინმე წყალსა სვემდა, სტაქნით მსმელმა უგდო ყური;
და – „ჩემის ნივთით დალევა სჯობს, სხვის ნივთის მაქვს რად სასმური?!“**

284. ასე მართებს სოფლისაგან განშორება განაშორსა,
მისსა რასმე არ კმარობდეს, არ ეძებდეს სხვათა სწორსა,
სულ გაეგდოს მისი საქმე მას იმისა დამაგორსა,
და მაშინ მიხვდეს საწადელსა მოსანდომსა, გამაორსა!

285. მომთმინო იყო, აქებდა; მას პირსა შეაფურთხესა;
და ჰკითხეს: ჯავრობო? – „არ ვჯავრობ, ვკიცხაო ჩემსა მკითხესა“[736].

---

[733] **ხტრ. 280**: ერთხელ ჰკითხეს: „მონა რომ არ გივის, მკვდარი ვინ უნდა დაგმარხოს?“ მიუგო: „ვისაც სახლში მოუკვდები, თუ იმ სახლის ჰატრონს ის სახლი თავისთვისვე უნდა, მაშ, რასა იქს, რომ არ დამმარხოს?!“

[734] **ხტრ. 281**: ერთს დროს ანტისთენ, დიოღენის მომდევარმა, თვისნი მოწაფენი თვისკან ეოველნიე განჰყარნა დიოღენისაგან კიდე და დიოღენ კარგ სანდოობის გულისათვის არ განუტევა. შემდგომად დიოღენსაც კვერთხითა ჰკვეშა და უთხრა, გამეცალეო, დიოღენ თავი მოუხარა და მიუგო: „მაგ სიმაგრე კვერთხი შენ ვინ მოგცა, რომ მე შენგნით განმაძოს?!“

[735] **ხტრ. 283**: ერთხელ თვითონ სირჩით წყალსა სმიდა და ნახა, რომ ერთმა ბიჭმა ჰეშვით სმა დაუწყო; განაგდო სირჩა და თვითონც ჰეშვით სმა იწყო და თქვა: „ჩემის აგებულობის ჯურჭლით დაცლიო, ის არა სჯობს სხვის ნივთით სმასა?!“

[736] **ხტრ. 285**: ეს იყო ფრიად მომთმინო და ერთხელ განურისხვალობაზედ მეტისაულებდა. ერთმა ვინმე პირში ჩააფურთხა და ჰკითხა: „ჯავრობ თუ არა?“ – „არ ვჯავრობ კი, მაგრამ დაგცინი!“

286. კარგს გეტყვის კაცი, არ ისმენ, მძიმედ რამ აგიჩნდებისა,
სწავლისა ნაცვლად უკადრი შენ მისთვის მოგინდებისა;
თუ ავსა გეტყვი, შენივე გონება გაოცნდებისა,
და სწავლისა შეგონებითა რაც იცი, დაგცვინდებისა.

287. ერთი ვინმე ფინთის სიტყვით დაურიდად აგინებდა,
კმა არ გასცა არა საქმით, რაზომსაცა ის ინებდა;
სხვათა უთხრეს: „ჩუმად რად ხარ?“ ის ღიმილით იცინებდა:
და – „კაცთ საწყენად ერთს კმარობდენ, მაზედ სიტყვა რად მიცნებდა?“[737]

288. უგვანის შემწე, მომკმარე ისიც იმასთან იდები,
უწმინდურისა შემხები მწიკვლით არ გაიწმიდები,
ავსა ერიდე, კარგი ქენ განამრავლ-განადიდები;
და ცუდის საქმისა მიმყოლმა თავი ქნას განაცუდები!

289. დიოღენესა ზენესა ალექსანდრემა მწყენესა
გვერდს გაუარა, იმან მას ზედ არ შეხედა ზენესა.
„რად არ მომხედე, – მეფემ რქვა, – გინდი აღარა შენ ესა?“ 1
და მან ჰკადრა: „რადღა ვინდომებ მოსამსახურეთ მქენესა?!“[738]

290. უბრძანა: „მე ვარ ეგ კაცი, რად ათქმევინე ენესა?“
„თქვენ გავხართ, – ჰკადრა, – უთუოდ ამა საქმისა მძენესა: 2
მე ჩემს ნებასაც არა ვიქ დღითი-დღე ჩემსა მშენესა,
და ამათ შენ მონათ მონა ხარ, ნუ მიწყენ, აღმომცენესა!“

291. ვით უსმინობა არ ვარგა, აგრევ სმენისა სმენანი,
გასინჯე, გამოარკვიე, რად დასძრა იმან ენანი?

---

[737] **სტრ. 287**: როდესმე უშვერის სიტყვით აგინებდენ და იგი კმას არ იღებდა. ჯამოცდით ჰკითხეს: „იმას რატომ არას ეტყვი?“ მიუგო: „ასეთი აჲი იყოს, კაცის დასაკლისად და საწყენად იმას კმარობდენ, იმაზედ რა ლაპარაკი მმართებს?!“

[738] სტრ. 289–290: როდესმე მეფე ალექსანდრემ დიოღენს კვერდი გაუარა და დიოღენ აგდებასავით ზედ არ შეხედა. უთხრა ალექსანდრემ: „რატომ არ შემომხედე, ვითამ სულ აღარ გინდოდე?“ მიუგო: „მოსამსახურეთ მოსამსახურე რად მინდა?!“ ალექსანდრემ უბრძანა: „მე ვარ მოსამსახურეთ მოსამსახურე?“ დიოღენ მიუგო: „აჲრე, ჯეშმარიტად! მე ჩემს ნებასა არ აჲცევ და შენ შენის მსახურთ ნებას შერები. ამისთვის ხარ მოსამსახურეთ მოსამსახურე“.

არ ამჯობინო, გაუშვი; გიჯობდეს, რად გაქვს ყენანი?!
და შენით ვერა იქ, სხვით შვრები, ყრმობაა მოსაწყენანი.

292. მელექსე მაკიდონელზე მეტ ქებად სძრევდა ენასა,
დიოღენ პურსა სცოხნიდა, ყური არ მისცა წყენასა;
უთხრა: „რად ყურსა არ უგდებ კარგი სიტყვისა შენასა?“
და — „თუცა არ მშიან, ესევ სჯობს ტყუილის ამბის სმენასა!“[739]

293. პირს დასდევ საცო, ისი სჯობს უქმზე ენისა შრომასა,
სიმართლეს ყური მიუგდევ, ნუ უზამ შემოწყრომასა!
ტყუილით კაცი ვერა იქს თავისა გამოძრომასა,
და ნუ გაეწყობი სამოყსოდ ცუდსა და დაუდგრომასა!

294. ყრმასა გონჯსა კარგა ზრდილად შეხედავს და დაინახავს,
და თქვა: „სულისა კეთილობა შვენებასაც დაუსახავს“.[740]

295. ბრიყვი ვინმე, გაუზრდელი კაცი ნახა ქვაზე მჯდომი,
და გაეცინა, სხვათა უთხრა: „ქვა ქვაზეა ყოფნის მდომი!“[741]

296. ღ(მ)თისგან არისო, — მოყვასთა იმედი მისცეს მდებარსა.
და უთხრა: „მაგისთვის მეშინის, ველი მის მოსაგებარსა“.[742]

**296-ა. მას, ავადმყოფს, მეგობართა ნუგეში სცეს, — ღ(მ)რთისგან არსო;
და —„კიდეც მაგის მეშინიან, — რქვა, —ღ(მ)რთისგან ვარ საქმეს მწარსო!“**

297. შეეპარა ღამით ქურდი თეთრის ჩაკვის მოსაპარად,

---

[739] სტრ. 292: როდესმე ერთმა მელექსეთაგანმან დიოღენთან ალექსანდრეს ქება და ხოტბის შესხმა დაუწუო. დიოღენ ჰური აღიღო და ჭამა დაუწუო. მან უთხრა: „რას იქმ, ეურს რათა არ მიპერობ?“ მიუგო: „თუმცა არა მშიან, ჰურის ჭამა უფრო სარგებელია ტეუილის ამბის სმენასა!“

[740] **სტრ. 294**: ნახა ერთი ერმა ავის სახისა და საქციელით კარგი და თქვა: „ამისი სულის სიკეთე ჰირსაც ბეჭრს სიმშვენიერეს აძლევს“.

[741] **სტრ. 295**: ნახა ერთი ბრიუი სოფლელი კაცი, ქვაზედ მჯდომი, და თქვა:„შეხედეთ, ქვა ქვაზედ ძევს“.

[742] **სტრ. 296**: ავად გაკდა და მისნი მეგობარნი სანახავად და ნუგეშის-საცემულად მიეიდნენ და უთხრეს: „ნუ გეშინიან, ეს ღ(მრ)თისაგან არის.“ მიუგო: „კიდეც მაგისთვის მეშინიან, რომ ღ(მრ)თისაგან არის!“

Და განიფრთხო და გარდაუგდო, – „ნუ მაღვიძებ გასამწარად!“[743]

297–ა. ქურდი თეთრის პარკს ჰპარავდა, განჰკრთა, სცნა ესე საბია,
(და) მიღმარ გარდუგდო, ეს უთხრა: „ძილს ნუ გამიკრთობ, ჩმახია!“

298. – „კაცთა რასთვის გეშინიან?“ – „ავისაგან ამად, მითა,
Და ბოროტს იქმან კეთილთაგან, ავს უდგანან ერთის კმითა“.[744]

298–ა. – „კაცთაგან რატომ გეშინის?“ თქვა: „ბოროტთაგან მითაო,
Და ბოროტს იქმონენ კეთილთგან, ბოროტს უდგანან კმითაო“.

299. ჰკითხეს: „რას უფრო უფთხილდეთ? “ – „მოყვასთა შურის გებასა,
Და ცრემლს დაერიდე მტრისასა, უფროსად – ავსა ნებასა!“[745]

299–ა. ჰკითხეს: „რას უფრო უფთხილდეთ?“ თქვა: „მოყვასთ შურის გებასა,
Და მტრის ცრემლსა უფრო ეკრძალეთ, ნურას იქთ ავსა ნებასა!“

მისივე მცნების სიტყვანი

300. მეგობარი ყოვლთვის გყვანდეს შენის თავის მოსაკმარად![746]

301. თავს სამართალსა ვერ უზამს სხვის სამართლისა მქნელია![747]

302. მრუდ მოსამართლე თავსა სჯის, სვინდისიც უწყებს ბრძოლასა![748]

---

[743] **სტრ. 297**: ერთ ღამეს ქურდი შეეხარა და ხარკით თეთრი უნდა მოეხარა. განიღვიძა და ნახა, რომ საქმე ხარკზედ დგას. აღიღო და გადაუგდო: „წარიღე და ძილს ნუ გამიკრთობ!“

[744] **სტრ. 298**: ამას ჰკითხეს: კაცისა რატომ გეშინიან? მიუგო: „ბოროტის კაცისა ამისთვის, რომ ბოროტის საქმის მქნელი არის და კეთილისა – ამისთვის, ბოროტს მიუდგება ხოლმე“.

[745] **სტრ. 299**: ჰკითხეს: „რას უფრო უნდა მოუფრთხილდეს კაცი?“ მიუგო: „მოყვრის შურსა და მტრის ცრემლსა“.

[746] **სტრ. 300**: მეგობარი ყოვლთვის უნდა გყვანდეს შენის თავის მოსაკმარებლად!

[747] **სტრ. 301**: შენს თავსე კარგი მოსამართლე ვერ იქნები, თუმცა სხვათ კაის სამართალსა უსჯიდე.

303. თუ თავის კარგი გინდოდეს, შენ ნუ იქ რას, სხვას ძრახავდა![749]

304. გიყვარდეს, დაუჯერებდე მართლის მოყვრისა რჩევასა![750]

305. „ურიგოა ნეტავ რანი?“ – ფალის ჰკითხვენ მილითელსა–;
და – „არ იცი და სხვას ასწავლი, სიტყვას გეტყვი განა მთელსა“.[751]

305–ა ფალის მილთელს გამოჰკითხეს: „ურიგოა ნეტა რანი?“
და თქვა: „შენ თავსა ვერ იცნობდე, სხვის სწავლისა გქონდეს კვრანი“.

306. რქვეს: „სვიანი ქვეყნად ვინ არს?“ – „ჭკვით სწავლული, კორცით მთელი“.
(და) ამად წერენ ღ(მ)თის ვედრებას, მოგვცეს ორივ საერთელი.[752]

307. ვინ ღირსა ამა ნათქვამსა, თუ კაცსა მიენიჭოსა,
ცდითა და მოჭირვებითა სიმაღლით არვინ იჭოსა,
მიხვდეს ორივე საშოვი კაცს სოფლის განაბიჭოსა,
და გარდაეცვალოს სალხინოდ, რაგინდ რომ მოეხმიჭოსა.

308. „უსწავლელობით – ჰკითხევდენ, – კაცსა რა დააკლდებისა?“
და – „რასაცა სძრახავ, საძრახსა თვითანვე შეეყრებისა!“[753]

309. კაცი მრავლისა სიტყვითა ჭკუას ვერ გამოაჩენსა![754]

---

[748] **ხტრ. 302**: მრუდად სამართალის მოქმედი თავის–თავს ხჯის, ამიტომ თვისივე სვინდისი დაუწეებს ბძოლას.

[749] **ხტრ. 303**: თუ შენის თავის სიკეთე გინდოდეს, იმას შენ ნუ იქ, რაც სხვის საძრახავად გქონდეს!

[750] **ხტრ. 304**: ჭეშმარიტი მოყვრის რჩევა გიყვარდეს და კიდეც დაუჯერებდე!

[751] **ხტრ. 305**: ფალის მილეთელს ჰკითხეს: ურიგო რა არისო? მიუგო: „შენს თავს რომ ვერ იცნობდე და სხვას კი ასწავლიდე!“

[752] **ხტრ. 306**: ჰკითხეს: „ქვეყანაზედ ვინ უფრო ბედნიერია?“ მიუგო: „ვინც სხეულით მთელია და ჭკუით სწავლული. ამისთვის სწერენ: «ღ(მერ)თი მკურვალის გულით ილოცე და ორსავ ის მოგცემს»“.

[753] **ხტრ. 308**: ჰკითხეს: „კაცს უსწავლელობით რა დააკლდება?“ მიუგო: „რასაც სხვათ სძრახავს, თითონ შეეყრების“.

[754] **ხტრ. 309**: ამასაც იტყოდა: „ კაცი მრავლის მეტყველებით თავისთავს ჭკვიანად ვერ გამოაჩენს“.

310. ენა მეტობით ზოგსა სწადს ჭკუისა გამოჩენანი,
და ეს არ იციან, არა აქვს ჭკუას სიტყვა და ენანი.[755]

311. „კაცისათვის, — ჰკითხვიდიან, — რა უფროა სასიამო?“
და — „რასცა ნდომობს, ანუ ნატრობს, თუ იშოვის, არის სამო“.[756]

312. ჰკითხეს: „კაცი განსაცდელსა მოითმენსო რისგან უფრო?“
და — „ოდეს ნახა თვისი მტერი თავის ჭირზე მეტად უფრო“.[757]

313. „ძველი უფროსი რა არის, — ჰკითხვიდენ, — როგორ თქმულია?“
და — „ღ(მერ)თი, რომელსა არა აქვს დასაბამ-დასასრულია“.[758]

314. გვიჩვენეო, მას ეტყოდენ, — რა უფროა შვენიერი?
და — „ღ(მრ)თის სახელზედ დასრულდება ყოვლი ქება მის მიერი“.[759]

315. „უდიდეს, — კითხვენ, — რა არის?“ თქვა: „რაზედა ხარ მდგომელი,
და შენ დგახარ, ისიც იქ არი, ეს არის განსაზომელი“.[760]

315-ა. „რა უფრო უდიდესია?“ — „რაზედაც შენა სდგახარო,
(და) შენც დგახარ, თვითონც იქ არის, სხვა მეტი რაღა გახარო?!

316. — „რა რომელია უმალე?“ მან უთხრა: „მოფიქრებანი,
და გარშემო ზღუდავს, ანაზდად სიშორით ქონდეს რებანი“.[761]

---

[755] **სტრ. 310**: მრავალნი ამისთანანი არიან, რათა მრავალისმეტუველობით თავის თავნი ჭკვიანად უნდათ, რომ გამოაჩინონ და თვით ჭკუა უმეტუველო არის.

[756] **სტრ. 311**: ჰკითხეს: „კაცისათვის რა უფრო სასიამოვნო არის?“ მიუგო: „რასაც ყოველთვის ნდომობს და ნატრობს, მისი შოვნა. კაცი სასიამოვნოდ იმას იკმარებს, რასაც ნდომობს, თუ ის იშოვნა“.

[757] **სტრ. 312**: ამასვე ჰკითხეს: „რით უფრო მოითმენს კაცი თავის განსაცდელს?“ მიუგო: „თუ თავის თავისაგან თვისი მტერი უფრო სიბოროტეში ნახა“.

[758] **სტრ. 313**: ჰკითხეს: „რა უფრო ძველი არის?“ მიუგო: „ღ(მერ)თი, რომელსაც დასაწყისი და დასასრული არა აქვს“.

[759] **სტრ. 314**: ჰკითხეს: „რა უფრო უმშვენვარესი არის?“ მიუგო: „სახელი ღ(მრ)თისა, რამეთუ ყოველი ქება და დიდება მასზედან აღესრულების“.

[760] **სტრ. 315**: ჰკითხეს: „რა უფრო უდიდესია?“ მიუგო: „რაზედაც შენ სდგახარ, ამიტომ, რომ შენც იმას უტვირთავ და თითონც იქ არის“.

316–ა. – „უმალესი რომელია?“ მან მიუგო: „კაცის ფიქრის,
(და) ანაზდეულ შემოზღუდავს ყოვლსა რასმე, საცა მიქრის“.

517. – „რა უბრძნესია?“ მიუგო: „ჟამი და ისი დრონია,
და მით დროთი ყველას მიხვდება, მდგომია ანუ მრონია“.[762]

318. – „რა არს უმაგრე?“ მიუგო: „მე ასე დამივჯერია,
და წყალობა ღ(მრ)თისა, საწადი, ვის მიხვდეს, ვისი ჯერია“.[763]

319. – „დიდს სარჯელში ვინ გინახავს?“ უთხრა: „წმინდა მოწამენი,
და თუ ვერ დაყვეს დიდი ხანი, მიხვდათ მეტი სიამენი“.[764]

320. ბოროტის საქმეს ჰკითხევდენ: „ღმერთსა თუ დაეფაროსა?
და –„ ფიქრსაც ნუ სჯერხარ, რას ქვიან, დადუმდეს მას წინ აროსა“.[765]

321. – „ერთია სიკვდილ–სიცოცხლე!“ უთხრეს: „მოიკალ თავია!“
და – „წეღანვე გითხარ, ერთია, სიტყვანი გაგითავია“.[766]

322. ეს ფალის იყო ღარიბი, ბევრხანს სწავლაში მჯდომელი,
არცა უყვარდა ქონება, არცა რის იყო მდომელი,
სიგლახაკისთვის ჰკიცხევდენ, ვისთანაც იყო მდგომელი, 1
და უთხრეს: „სიბრძნითა სიმდიდრე რა გიშოვნია, რომელი?“[767]

---

[761] **ხტრ. 316**: რა უფრო უმალესია? მიუგო: „ფიქრი, ამიტომ ცოტას ხანს ეოველგან მისწვდება“.

[762] **ხტრ. 317**: რა უფრო უბრძნესი არის? მიუგო: „დრო, ამიტომ რომ დროთი ყველას მიხვდები“.

[763] **ხტრ. 318**: რა უფრო უმაგრესია?: – „წყალობა ღ(მრ)თისა. ამის უმაგრესი არა არის რა!“

[764] **ხტრ. 319**: ამასვე ჰკითხეს: „ბევრს სარჯელში ვინ უფრო გინახავს?“ მიუგო: „მოწამენი უნდა იყვნენ დიდ სარჯელში, მაგრამ მოწამობით დიდის ხნისა არ იქნებიან ამისთვის, რომ მალე აღესრულებიან“.

[765] **ხტრ. 320**: ჰკითხეს: „ვინც ბოროტსა იქს, ღ(მერ)თს დაეფარება თუ არა?“ მიუგო: „საქმით არა და ფიქრითაც არ დაეფარება“.

[766] **ხტრ. 321**: იგივე იტეოდა: „სიკვდილი და სიცოცხლე ერთი არის“. ერთმა ვინმე უთხრა: „მაშ, რატომ არ მოკვდები?“ მიუგო: „ამიტომ, ხომ გეუბნები, ორივე ერთი არის“.

[767] **ხტრ. 322–324**: ესე ფალის ღარიბი იყო. თავისი დრო და ჟამი სულ სწავლაში აღესრულებინა და არც საქონელი უეუვარდა. ამისთვის სიღარიბეს დასცინოდეს: „თუმცა

323. დაუწყო ვარსკვლავთ ყურება ჯავრზედა გამკიცხველისა,
ნახა ერბოსა ძვირობა წლისა კვლავ მომავალისა,
ზამთარში ბევრი იყიდა, დება-ყო ძველის, ძველისა; 2
და ის გაზაფხული შეიქნა მეერბოთ გარდამწველისა.

324. მილითს და სიის ქალაქსა ძვირობის შექმნეს კმობანი,
ბრძენმა გაზსნა და გაჰყიდა სარგებლით უამრობანი;
გამდიდრდა, უთხრა მკიცხველთა სიტყვითა რამე გმობანი; 3
და „სიბრძნით სიმდიდრე ვიპოე, თეთრით ვერ პოოთ ბრძნობანი!“

325. ბრძენი სიბრძნითა უგუნურს სიტყვასა გაუცუდებსა,
მისთვის სიავის მძრახველსა უჩვენებს ფერკზედ კუნდებსა,
მალ გაასწორებს საძრახსა დაზვეულსა და მრუდებსა,
და სიბრძნით სიმდიდრე სიმდიდრეს საქონლით შეიქს უდებსა!

326. უფრთხილდი უსამართლობით არ მოგზვდეს გამდიდრებანი![768]

327. ვინ მშობელსა არ აამებს, იგიც მასვე მოელოდეს![769]

327-ა. როგორც მშობელთ შენ ეპყრობი, შენც შვილთაგან მას ელოდე!

328. დიდად მდიდარი კრეზ მეფე ბრძენს ჰკითხავს ათინისასა:
„სოლნე, შეჰყრიხარ, მიამბე, სხვას კაცსა ჩემს ბედისასა?“
— „თეელ ათინი მინახავს უმანკოდ ვლასა დღისასა, 1
და შვილთ ბევრი დარჩა, ქვეყნისთვის ომს მოკვდა სახელისასა“.[770]

ბრძენი ხარ, მაგრამ მაგითი არა მოგმატებია რა“. ამისთვის თავისის გამკიცხველების შერცხვენა მოინდომა და ერთს დროს ვარსკვლავთ ურება დაუწყო. დიაღ, სრული ვარსკვლავ-მრაცხველი იყო. ნახა, რომ მომავალს წელსა ერბო დიდად გაძვირდებოდა. ამ ზამთარს იაფად იყო და უოველივე თვითონ შემოიეიდა ორისაკე ქალაქისა, — მილითისა და სიისა. მეორეს წელიწადს ერბო აღარსად გაშოჩნდა და, დიაღდაც, დაძვირდა. შექნეს წუხილი და კითხულობა, თუ სადით იშოვება. ამისა შემდგომად თვითონ თვისიხ ნებით გამოაჩინა და, როგორც ენება, ისრე გაყიდა და უთხრა: „მე სიბრძნით სიმდიდრე კი კიშოვნე, მაგრამ თქვენ მაგ სიმდიდრით ამ სიბრძნეს კი ვერ იშოვნით“.

[768] სტრ. 326: იეიკე იტყოდა: „გაფთხილდი, რათა უსამართლოთი არ გამდიდრდე!“

[769] სტრ. 327: როგორც შენს მშობელთ შენ მიეჰურობი, ეგრეთვე შენის შვილების იმედი შენზედა გქონდეს!

329. – „სხვა ვინღა ნახე?“ ეტყოდა: „ვიცნობდი კლიოვს, ვიტანსა, –
ორთ ძმათა; დღესასწაულსა დედა წავიდა იტანსა,
ცხენი დაუდგა, თვით ზიდეს, ვჭვრეტდი მშობელთა მიმტანსა. 2
და მას ღამეს მოკვდენ ორნივე, სახელი დარჩა ვიტანსა“.

330. გარისხდა მეფე, უბრძანა: „მაშ, მე არა მაქვს ბედები?“
სოლნე მიუგო: „მარმენი გაქვს, არა ცუდად ვედები,
მაგრამ არ ძალმიც სათქმელად, საქმეა დასახედები, 3
და აღსასრულამდე არ ითქმის, ბედსა გავს ერთი მკედები“.

331. ვინ თუცა ვისას შეიტყობს სიბრძნეს და სიბრძნის ქმნულებსა,
მსგავსი იქნება იმისი, გაიადვილებს თქმულებსა.
თუ ეს ასეა, ვით მიხვდეს კაცი ღ(მრ)თის დანათხზულებსა,
და რაღასღა ეძებ ბედისგან სიმთელეს, გინა წლულებსა?!

332. რა საქებია სიკვდიმდე ბედი და ბედნიერობა!
მბრუნავის ბრუნვით სოფლისგან ბევრ რიგი არი მტერობა,
აღსასრულამდის ვინც იტყვის, იქნება დიდი ფერობა,
და არავის ძალუც ბოლომდი პირველად ამის მწერობა.[771]

333. შვიდსა იტყვიან ცთომილსა წარმართთა ბრძენთა კრებულნი,
ქაღალდს დასახვენ, შიგ დასხმენ, ეტლში სად არის რებულნი;
თუ კარგა დაჯდა, ბედია, ავისთვის არის ვებულნი,
და ცუდია მისი მიმყოლნი ბედი და ბედში სწრებულნი.

---

[770] **სტრ. 328–330**: სოლონ ბრძენი ქვეყნით იყო ათინელი. ამას ჰკითხა კოროლმა კრეზმა, დიდად მდიდარმა: „ჩემგან უფრო ბედნიერი კაცი გინახავს?“: მიუგო: „ვნახე თეელ ათინელი, თვისი ცხოვრება უშანკოდ გააროინა და თავის უკან თავის შემდეგთა ჰატიოსანი საზღო დაუტევა და ქვეყნისათვის ძლიერად შეიბა, სახელიც დაიგდო და ომშიაც მოკვდა“. კვალად ჰკითხა: „თეელის მეტი სხვა ვინღა გინახავს?“ მიუგო: „ვიცნობდი კლიოვს და ვიტანს, ღვიძლის ძმანი იყვნენ. ამათი დედა წარვიდა დღესასწაულის სალოცავად და ესენი თან იახლნენ. როცა ცხენები დაუდგათ, ცხენის მაგიერ თვითონ შეუსხდენ დედას და ისრე შინ მიიყვანეს და თვითონვე მასვე ღამესვე დაიკოცნენ, მაგრამ დიდი სახელი დარჩათ“. ამაზე მეფე დიდად გარისხდა და თქვა: „მაშ, ბედნიერებაში მე ალაგს არ მაძლევ?“ მიუგო სოლნე მეფესა: „ვაგდებ, რომ ბედნიერი უნდა იყო, მაგრამ ბედნიერების დამახებას ვერ ვავბედავ, სანამ ბედით არ აღსრულდები“.

[771] **სტრ. 332**: უნდა კაცი ყოელთვის უკანასკნელ დღეს ელოდეს და სიკვდილამდი ბედნიერობის დამახების ღირსი არავინ არის.

334. ვით კარეზ ცოტა ხანს უკან ბედისა გამომცვლელია,
კირ მეფემ ომში შეიპყრა, სწადს შექნას დასაწველია;
მოჰგონდა სოლნე, იძახდა: „სოლნე, სოლნე, ხარ მთელია!“
და სცნა მეფემ ყველა, რაც იყო, შეექმნა გამშვებელია.[772]

335. მოწყალებითა ღმერთი იქმს კაცზე ავსა და კარგებსა,
თუ ავი მისცა, ცოდვისგან სასინანულოდ არგებსა;
ცოტა რამ კარგი უქნია, აქ მისცემს მისსა ნარგებსა,
და ბედს ადებს უბედობასა, აკეთებს ეკლის დარგებსა.

336. ამად თავსა ბედნიერსა ნუ უძახი, დრო არ იდრებს,
და ბევრს გარდასცელის სიღარიბედ, ბევრს ღარიბსა გაამდიდრებს?[773]

337. ნამეტანის საშოვრისას იმედს გულსა ნუ დაიდებ,
და უშოვრობის სასოებით ცეცხლსა რასთვის მოიკიდებ?![774]

338. ვინც დაადგამს თავს გვირგვინსა, როსცა უნდა, ისიე მოხდის![775]

339. სამართლის წიგნი მიაგავს დედაზარდილის ბადესა,
და უღონო ბუზი მუნ დარჩეს, ძლიერი შიგ გავარდესა![776]

340. უთხრეს: „გვწვართე ასე რიგად, არ მოგვიკდეს უდიერი!“
და — „ავსა სხვასა თუ არ უზამ, მოგეცემის წადიერი!“[777]

---

[772] **სტრ. 334**: როგორც იმავ კრეზ მეფის მცირე ხანს უკან ბედი გამოეცვალა, კირის მეფე შეება და დაატყვევა, საპერობილეში შეშა შეაზიდვინეს, რომ კრეზ უნდოდა დაეწვათ. მაშინ მოაგონდა სიტყვა სოლნესი და დაიძახა დიდის კმითა: „ჰოი, სოლნე!“ ესე მოესმა მეფეს კირს და იკითხა: ვის ეძახისო? და უოველიე შეიტყო სოლნეს ძახილის იგავი და ცანუტევა.

[773] **სტრ. 336**: ამისთვის არა კამს, კაცი თავისთავს ბედნიერს უძახდე. დრო კაცს მრავალს განსაცდელში ჩააგდებს: სიმდიდრიდამ სიღარიბეში და სიღარიბიდამ — სიმდიდრეში.

[774] **სტრ. 337**: მეტის საშოვრის იმედი ნუ გაქვს და ნურც უშოვნელობით სასოება წაგეკვეთება!

[775] **სტრ. 338**: ვინც თავზე გვირგვინი დაგადგა, იგივე მოგაძის!

[776] **სტრ. 339**: იგივე იტყოდა: „სამართლის წიგნი ქვეყანაზედ დედაზარდლის ბადესა ჰგავს: ღონიერი ბუზი შიგ გავარდება და უღონო კი გაებმის“.

340–ა. უთხრეს: „გვწვართე ასე რიგად, არ მოგვადგეს უდიერი!“
და – „თუ არ უზამ ავსა სხვასა, შენ მოგეცეს წადიერი!“

341. სხვისგან სხვისა უსამართლოს მშლელი იყავ თავის სწორად,
და დამრღვეველი თუ განმრავლდა, უსამართლო დარჩეს შორად![778]

341– ა. სხვისგან სხვისა უსამართლო მშლელი იყავ თავის სწორად,
(და) თუ განმრავლდა ამის მრღვევი, უსამართლო დარჩეს შორად!

342. სოლნემ რჯული განუწესა, ათინელთა ავი ხადოს,
მათ მიუგეს: „არ დასწერე, შვილმა მოკვლა მოიწადოს
ანუ მამის ანუ დედის, რა მივაგოთ?“ – უთხრა სანდოს:
და „არ მეგონა ქვეყნად კაცი მაგისთანა დაიბადოს!“[779]

343. მამა-დედათა პატივსა მოსე სწერს, სჯულის სვეტები,
ქრისტე მას ბრძანებს, არ უთხრა, ბრძენი ხარ ანუ რეტები,
რა მერგო თქვენგან შესარგო, მოკალით დასაკეტები,
და ძველი ეს არის, ახალიც რაღა ვთქვა ამის მეტები?!

344. პისისტრატემა საკელო დიდი ჩაიგდო კელადა,
უსამართლობდა; სოლნია არს წინააღმდგომელადა,
მიუგო: „რასა იმედობ, შენ რომ ხარ მაგის მქნელადა?“
და – „სიბერე მსწავლის, რომ ვიყო შიშისა უშრომელადა!“[780]

---

[777] **სტრ. 340**: ამასვე ჰკითხეს: „ჩემი საქმე ისე როგორ მოვიეჭვანო, რომ უსამართლო კაცისაგან არა დაქმართოს?“ მიუგო: „უკეთუ შენის თავის უსამარლობის დამართება არ გინდა, ნურც შენ უზამ სხვასა!“

[778] **სტრ. 341**: სხვის უსამართლობის უქნელობისათვის ესრეთ მოიჯირვე, როგორც შენი თავისათვის. თუ ამგვარნი კაცნი ბევრნი იქუნენ, რომ კაცს უსამართლობის საქნელად არ დაანებებდენ, უსამართლოს მოქმედნი ცოტაღა იქნებიან.

[779] **სტრ. 342**: ესე სოლნე იყო კაცი ბრძენი და ათინელთ რჯული განუწესა. მათ ჰკითხეს: „რჯულში ეს რასთვის აღარ დასდევ: ვინც მამა ან დედა მოკლას, რა უნდა გარდაკდეს?“ მიუგო: „ამისთვის არ დავსდევ, არ მეგონა, მაგისთანა ბოროტი კაცი ქვეყანაზედ დაიბადებოდა, რომ ეგ ექნა“.

[780] **სტრ. 344**: ჰისისტრატემ იშოვნა საკელო, – ჰირველი ერისთაობა და დიდად უსამართლო შეიქნა. სოლნე დიდად წინ აღუდგა. ჰკითხა ჰისისტრატემ: „რის იმედი გაქვს, რომ მე წინ მიდგები?“ მიუგო: „ჩემი სიბერე მამხილებს შენს უშიშრობასა“.

345. მართებს სამღვდელოს სიმტკიცე, თავის რიგი და წესები,
ბოროტის რისმე მომღებსა სხვა უთხრა უკეთესები,
სიმკნითა წინა აღუდგეს, არ იქნას დანათესები,
და სიკვდილისათვის არა ქნას საქმე რამ უმართესები!

346. შემტყობელია, მბელია, პისისტრატუმე მქნელია,
თავი დაეჭრა ტყუილად, ამისი გამომთქმელია:
„ქვეყნის ამრევთა დამკოდეს, მე საქმე მიყვეს ძნელია!“
უნდა შეეტყოთ, იმ თემთა ბევრი არევის მცდელია.
მერმელა თვითან ეწადა არევა, მათი მწველია,
სოლნე ეტყოდა: „კეთილზე არა ხარ განამრჯელია,
ულიას გინდა წაბაძო, აგრე არ იყო მცველია,
იმან რომ თავი დაიჭრა, მტერი ქნა მომცდენელია,
და მაგრამ შენ შენს თემს ატყუებ, ავი გჭირს დაუნელია“.[781]

347. პირველს მოძღვართა მიხედეთ, თუ რა ქნეს განაკეთები,
ფარი არ ქონდათ, არც კმალი, სიტყვა ტკბილი და მკვეთები,
დაამკვეს სარწმუნოებით მძლავრთა მრავალი ღმერთები,
და კელად ნურავინ აიღებთ, თუმცა არ შეე(ე)რთები!

348. სიყრმითგანვე ყოვლთვის სწავლა სიბერეში გამოგადგეს![782]

349. სირცხვილად სჩანს სწავლა კაცთა, რა გაჭირდა, ჰკითხვენ ბერსა,
და ვერ განაბრძნობს მკცოვანება უსწავლელს და დაუმზერსა![783]

350. სხვანი კმობდენ, ის ჩუმად ჯდა; უთხრეს: ხარო თურმე ხელი,
და — „ხელს არ ძალუცს უჩუმრობა, მას იმისგან ნუ მოელი!“[784]

---

[781] **სტრ. 346**: ამანვე შეუტეო ჰისისტრატუმს, თვისი თავი თითონვე ტუყილადვე რომ დაეკოდა და ამბობდა: ქვეყნის ამრევმა კაცებმა მიუვესო. ეს უნდოდა უველასთვის შეეტეობინა, რომ ამ ქვეყანაში ამრევნი კაცნი არიან და შემდგომად თვითონ ენება არევა. ამისთვის უთხრა სოლნემ: „კეთილად არა იქ, ჰისისტრატუმ. ულიასისათვის წაგიხედავს, მაგრამ აგრე არ არის, ულიას რომ თვისი თავი თითონ დაიჭრა, იმითი თავისი მტერი მოატყუა, მაგრამ შენ შენსავ ქვეყანას ატყუებ“.

[782] **სტრ. 348**: ესეც იტყოდა: „ყოველდღივ სწავლა სიბერის დროს დიდად გამოადგება“.

[783] **სტრ. 349**: პირველად სწავლა სირცხვილად მიაჩნიათ და რაკამს გაუჭირდებათ რამე, მივლენ და ბერს, შონახულს კაცსა ჰკითხვენ. ეს არ უწეიან, სიბერე თითონ ჭკუას ვერ მოიცემს, თუ სხვაც არა იციან რა.

350–ა. სხვანი კმობდენ, ის ჩუმად ჯდა; უთხრეს: ხარო თურმე ხელი!
(და) – „ხელს არ ძალუცს ჩუმად დადგეს, – თქვა, – იმისგან ნუ მოელი!“

351. რჩევა დაჰკითხეს თემისა: „ვის ვენდოთ, ვის ებაროსა?“
და – „დღე მისი ვისცა სიკეთით დაეკნას, დაებაროსა!“[785]

351–ა. არჩევინეს გარიგება: „თემთა ჩვენთა ვის მივანდოთ?“
(და) – „ვის ცხოვრება მისი კარგად გაერიგოს, ის სჯობს ხადოთ!“

352. მახვილსა ენა უფროსად უძლიერე და მკვეთია![786]

352–ა. „რა მახვილს უძლიერესი?“ – რქვეს; უთხრა: „ენა მკვეთია!“

353. იგი არის სიუხვეში სიბრძნითა და ჭკუით მქნელი,
და გასცემდეს და არ უნდოდეს სხვისა ვისმე საქონელი![787]

353–ა. „ქვეყნად უხვი ვინ უფროა?“ – ამას სთხოვენ გასაგონად;
(და) – „სიბრძნით, ჭკუით ვინცა გასცემს, სხვის არ უნდა მისაქონად!“

354. კეთილად დამწყსის ქალაქსა რჯულზე მაგარი მეფეა![788]

154–ა. გარიგდება ის ქალაქი, თუ გამრიგე რჯულით მაგრობს!

355. ზღვა ღელავს: ვიას ცოდვილთან იჯდა, მათ ღმერთსა ხადესა,
„დაჩუმდი! – უთხრა, – აქ ყოფნა თქვენი არ განუცხადდესა,
დაინთქმით მოუქცეველნი, ვერ მიხვდენ მისაწადესა.

---

[784] სტრ. 350: სოლნე იყო ერთს ასეთს ალაგსა, რომ ყოველნი ლაჰარაკობდენ და თვითონ ჩუმად იჯდა. უთხრეს: „შენ თურმე გიჟი ყოფილხარ ვინმე, რომ არას ლაჰარაკობ“ მიუგო: „კიეს ეც არ შეუძლია, რომ ჩუმად დადგეს“.

[785] სტრ. 351: ჰკითხეს: „ქვეყნის მარიგებელ ვინ დაგაყენოთ?“ მიუგო: „ვისაც თავისი ცხოვრება კარგად გაერიგებინოს, ქვეყანაც იმას გაარიგებინეთ“.

[786] სტრ. 352: ჰკითხეს: „მახვილისაგან უძლიერესი რა არის?“ მიუგო: „ენა ბოროტის კაცისა“.

[787] სტრ. 353: – „ვინ უფრო იაფია ქვეყანაზედ?“ მიუგო: „ვინც ჭკუით და ნებით თავისას სხვას განუყოფს და სხვისას არ ინდომებს“.

[788] სტრ. 354: – „ქალაქი რით გარიყდება?“ მიუგო: „როდესაც იქაურნი გამრიყენი რჯულით მოიქცევიან“.

და ცოდვაში მყოფსა არ უსმენს, სანამ არ დააცადესა!“[789]

356. უაღსარებოდ ცოდვილმა ვერ პოოს ზეცას ვანები,
რითა ქნას მოუქცეველად წმიდათა შესაგვანები?!
ტვირთმძიმე ტვირთსა არ იკდი, სწადს იყოს მონასვენები,
და მწვირით გასვრილი არ ირეცხ, მითხარ, სად მიიყვანები?!

357. კაცი ბოროტი ჰკითხევდა, თაყვანით კადრა ქებანი:
„შეტყობა მინდა, რა არი კარგისა მოქმედებანი?“
მან კმა არ გასცა, კვლავ ჰკითხავს; „მიყავ სიტყვისა გებანი!“ 1
და „ამად არ გაძლევ, – მიუგო, – გეტყობა გაუგებანი.[790]

358. ასეთს მკითხავ, შენ სინჯვაში უკმრად არის ჩასაგდები;
სიტყვა უნდა სწორად ჰკითხო, ყური გქონდეს მინაგდები,
ანუ რასმე გამოგადგეს, გულსა ჰქონდეს დანადები, 2
და ღორსა წინა მარგალიტი რად ვინმე ქნას მინაგდები?!

359. ასეთს კაცს გმართებს სიტყის თქმა, შეიტკბოს, შეიყვაროსა,
ანდამატს რკინას არიდებ, კაჟმა ვით მიიკაროსა?!
სოფლის მდომს სჯულსა ასწავლი ყველას მის დასაზაროსა,
და ნუ მისცემ მისაცემელსა მიმღებთა მოუკმაროსა!

360. ვიას ქალაქი დატყვევდა, ეტყოდენ მოქალაქეთა:
„რაცა გაქვთ, წადით, წაიღეთ!“ მიაქვთ მათ დანაბაქეთა,
ვიას არა რა წაიღო, რქვეს: „რად ხვალ აგრე აქეთა?“
და – „რასაც ვერავინ წამართმევს, ის მიმაქვს, შემომაქეთა!“[791]

---

[789] **სტრ. 355**: ვიას ბრძენსა ოდესმე მოუკდა ზღვით სლვა ბოროტის კაცებითურთ და დიდი ღელვა აღუდგათ. იმ ბოროტმა კაცებმა ღ(მერ)თს ხვეწნა დაუწყეს. მათ უთხრა: „მე გირჩევ, ჩუმათ იფავით, რათა ღ(მერ)თ(მა)ნ თქვენი აქ ყოფნა არ გაიგონოს, თვარა უარესი ღელვა აღდგება ამისთვის, რომ ღ(მერ)თს უწმინდურთ ლოცვა მოწყალებისაგან უფრო განარისხებს, ცოდვაში მდებარეს არას გაუგონებს, სანამ იქიდამ არ აღდგება“.

[790] **სტრ. 357–358**: მასვე ჰკითხა ერთმა უწმინდურმა კაცმა: „რა არის კეთილის მოქმედება?“ და მან კმა არ გასცა. მანვე კაცმა უთხრა: „რატომ არას მეტყვი და ჩუმად ყოფნით მისტუმრებ?“ მიუგო: „შენის კითხვის ჰახუხს ამისთვის არ გაძლევ: ასეთს რასმე მკითხავ, შენს გაშინჯუდობაში მოუკმარებლად ჩამიგდია. სიტყვა იმას უნდა უთხრა, ვინც ან სწორად გკითხავს და ან იმ შენს ნათქვამს გამოიუენებს, თვარემ მარგალიტს ღორებს ვინ დაუურის?!“

361. სჯობს ყოვლს სიმდიდრეს, ქონებას, სწავლითა გამდიდრებანი,
არც ქურდი რასმე მოჰპარავს, არც მზირისგან ვნებანი,
ვერც მძლავრსა ძალუც ძალითა მისი მოღება, კლებანი,
და უმჯობესია ყოველსა სამუდმოდ მისი ხლებანი!

362. შვიდ ბრძენთაგან ერთი იყო ვიას ბრძენი პრიენელი,
თავად იჯდა მას ქალაქსა, ჭკუით არას დამცდენელი,
ომი უწყო მესალიტელთ, ამათა ქნეს რჩევა მთელი, 1.
და გავიდენ და დაატყვევეს მათნი ქალნი საყვარელი.[792]

363. ვიას ესმა, გამოართვა, მიიყვანა მისა შინა,
დამოსნა და განუტევნა, რა მივიდნენ თვისთა წინა,
იმათ ძალი მოსცემოდა, მაგრამ ნახეს რა ეთმინა, 2
და შერიგდნენ და გაეცალნენ, ბრძენსა უძღვნეს ზვინად ზვინა.

364. მტრის ჯავრს არ შევჭამ, ამისთვის ირჯები მოუკმარებსა,
არა სდევ სამჯობინარსა, მიელტვი გასამწარებსა;
სიტკბო დააცხრობს ბოროტსა, მძლავრს ძალზე დააზარნებსა,
და ამპარტავანსა არწივსა მღილები დაჰკვეთს მკარებსა!

---

[791] **სტრ. 360.** როდესმე, საცა ვიას ბრძენი დაბადებულიყო, იგი ქალაქი მტერთ დაატყვევეს და მოქალაქეთ უთხრეს: „ვინც საქონლისა რისამე ზიდვა შეეიძლიათ, აღიღეთით და ქალაქიდამ წარვედით". გამოვიდნენ მოქალაქენი მრავალ საქონელ-კიდებულნი და ვიას ბრძენმან არაფერი არ აღიღო რა და ცარიელი გამოვიდა. ჰკითხეს: „რატომ არა მიგაქვს რა?" მიუგო: „მე ისეთი საქონელი მიმაქვს, რომლისაც გამორთმევა არავის შეუძლიან".

[792] **სტრ. 362–363:** ვიას ბრძენი, ჰრიენელი, ერთი შვიდთა ბრძენთაგანი იყო. თავადი ვინმე იყო მასვე ქალაქსა ჰრიენელისასა. ამა თავადმა მესალიტულთ ომი დაუწყო. ჰრიენელთ მესალიტელთი მრავალნი ქალნი დაატყვევეს და მოასხეს. როდესაც ეს ვიას ბრძენმა ნახა, დიდად შეწუხდა და იგი ქალნი ყოველნივე გამოართუნა და თავის სახლში მიიყვანნა. ესრეთ ჰატიოსნად დამოსნა ახლითა სამოსლითა, ვითარცა თვისნი და ყოველნივე თვისადვე მშვიდობით განუტევნა. მაშინ მესალიტელთა ესრეთი ჯარის ძალი მოერთოთ, რომე ჰრიენის აღების შემძლებელნი იყუნენ, მაგრამ, როდესაც ეს სიკეთე ვიასისაგან ნახეს, ქალაქი იგი აღარ აღიღეს და უკანვე გაბრუნდენ და ვიასაც მრავალი სანუქარი გაუგზავნეს.

365. პატივს მისცემდი დიადსა მხცე რეულ პატიოსანსა![793]

365-ა. მისცემდი დიდსა პატივსა მხცოვანს და პატიოსანსა!

366. კაცს გარჯის ბევრჯერ გაბედვა, გარდარეული, მეტია![794]

367. ბევრ სიმდიდრეს ბედიც უნდა, უბედობა გააცუდებს![795]

368. ჭკუისა საქმით იქნების კაცთაგან მოთმინებანი![796]

369. სხვის ნაქნარსა სიბოროტეს შენ კი ნუღარ მოიგონებ![797]

370. ორი გესვას მეგობარი, არამცა ჰყო მათი ბჭობა,
და მათგან ერთსა გაიმტერებ, მოგეგების ლახვრის რჭობა![798]

371. თუ მეგობარი არ იყოს, ნუ რიდებ სამართლობასა,
და ორთაგან ერთი დაგიწყებს ამ საქმით მწვე მაძლობასა![799]

372. ცუდი ფიქრია, ასეთი გინდოდეს, არ იქნებოდეს![800]

373. შენი ფიქრი შენ გასინჯე, მერმე სხვათა გაასინჯე![801]

374. ბევრსა ნუ იტყვი, არ გინდეს თუ შურის მოპოვებანი![802]

---

[793] სტრ. 365: ბერს კაცსა და ჰატიოსანსა ჰატივს ნუ დააკლებ!

[794] სტრ. 366: ნამეტნავი გაბედვა კაცს მრავალჯერ გააჯავრებს.

[795] სტრ. 367: ბევრს საქონელს ბედიც უნდა ჰქონდეს, თორემ უბედოდ ცუდი არის.

[796] სტრ. 368: მოთმინება ჭკვიანი კაცის წესია.

[797] სტრ. 369: სხვის ნაქნარს ბოროტს ნუღარ მოუგონებ!

[798] სტრ. 370: ორნი კაცნი რომ შენ(ნ)ი მეგობარნი იყვნენ, იმათ მოსამართლედ ნუ დაუჯდები, ამიტომ, რომ ორის მეგობრისაგან ერთიც არის მტერი შეგექნება.

[799] სტრ. 371: რომელნიც მეგობარი არ იყვნენ, იმათ სამართალს ნუ დაერიდები, ამისთვის, რომ იმ ორში ერთი მეგობარი შეიქნება!

[800] სტრ. 372: ცუდი ფიქრი არის: ასეთი რამ გინდოდეს, რომ ის არ იქნებოდეს.

[801] სტრ. 373: რაც შენთვის გეფიქრებინოს, ჯერ ისევ შენ გასინჯე და მერმე სხვას გაასინჯვე!

[802] სტრ. 374: ცოტა ილაპარაკე, თორემ შურს მოიპოვებ!

375. რაცა გამოჩნდეს, გიყვარდეს, გასინჯვა ყოვლის ფერისა,
და სიბრძნე სჯობს ყველას, რაც არის ქვეყნისა ანუ სფერისა![803]

376. ავს კაცს ნუ აქებ ამისთვის, ბევრიცა მოეშოვროსა![804]

377. კაცი კარგად გამოსცადე, ისევ უყავ მეგობრობა![805]

378. სიჩქარით, ჯავრით ნაქნარი საქმეა საფრთხილებელი![806]

379. ჩაიგდო მისი მემტერე, შეეძლო შურის გებანი,
და გაუშვა, იტყვის: „დია სჯობს ნაცვალს წყალობა, რგებანი!“[807]

380. შეცოდების მიტევება სიკეთისა ნიშნად თქმულა,
და მაგიერი — სიავედ და ჯავრის ტომად ქვე დანთქმულა![808]

381. იტყოდა: „თუცა გწადიან სოფლისა გემო, ტკბილობა,
საფერი ცოლი შეირთევ, შვებითა გქონდეს ძილობა;
უდიდემ სახლში გიჩვენოს კამეჩია და ყრილობა,
და ტოლმა და უღარიბესმა გაამოს, გიყოს ზრდილობა“.[809]

382. რა კაცი გარეთ გამოვა, თავის სარჩოსა მცდელობსა,
იხვეწების და ირჯების, რით მოიყვანოს, მქნელობსა,
შინ მისვლის განსვენებისა იმედით არა მწყნელობსა,
და იქიც თუ დახვდა სასარჯლო, სიცოცხლე მოიძნელობსა.

---

[803] **ხტრ. 375**: ყოვლისფრის სინჯვა გიყვარდეს, მაგრამ სიბრძნე ყველას უმჯობესია!

[804] **ხტრ. 376**: ავს კაცს საქონლისათვის ნუ აქებ!

[805] **ხტრ. 377**: კაცი დიდხან გამოსცადე და მერმე გაუმუსაიბდი. სანამ გაჭირებაში არ ჩავარდები, მანამ იმისი გამოცდა არ იქნების.

[806] **ხტრ. 378**: ორს საქმეს უფთხილდი: ჰირველად, – სიჩქარით საქმის ქნასა და მეორე, – ჯავრსა!

[807] **ხტრ. 379**: ერთხელ ჰითაქ მილითელ ბრძენს თვისი ბოროტის მოქმედი კელში ჩაეგდო; მისი გარდაკდევინება შეეძლო, მიუტევა და თქვა: „მიტევება უმჯობესია გარდაკდევინებასა!“

[808] **ხტრ. 380**: მიტევება შენაცოდარისა სიკეთის ნიშანია და გარდაკდევინება ჯავრისა და სიბოროტის მონათესაობაა.

[809] **ხტრ. 381**: იგივე იტეოდა: „უკეთუ ამოდ ეოფნა გინდოდეს, შენი შესაფერი ცოლი შეირთევ. თუ უმდიდრეს შეირთავ, შენს სახლში კამეჩდიას მრავალჯერ ნახავ. თუ შენს ტოლს შეირთავ, მალ შეგიგდებით და, თუ უღარიბეს(ს)ა, – კიდევ უფრო მალე“.

383. ჰკითხეს: „რა არის ამ სოფელს კარგი და უკეთესია?“
და – „სიყვარული და კეთილი, ყოვლს კაცზე მისათესია“.[810]

384. თქვა: „მეგობარი კეთილი უსაყვარლეა ყოველსა!“[811]

385. თქმულა: მიწა – დასარწმუნო და ურწმუნო – მეტად ზღვანი![812]

385-ა. უფრო სარწმუნო მიწაა, მეტად ურწმუნო ზღვანია!

386. ვიონ ბორისტელს დაჰკითხეს: „ცოლი შევირთოთ თუ არა?“
და – „კეკლუცი – სხვათა სანდომი, დუხჭირსა ვინ მოუარა?!“[813]

387. გავს კეკლუცობა ნათხოვარს, ამად მალ გაცუდდებისა,
და ვისცა ცოტა აქვს, ახსოვდეს, იმისთვის რად ლაღდებისა?![814]

388. ცოტა ხნისაა სიტურფე; შენ რამ (გ)ქნა ტურფად გებული,
და ის უფრო გასძლებს, იმისგან ასრეა დარიგებული.[815]

389. ვის უფრო აქვს ამ სოფელში მეწუხება ანუ ურვა?
– „ვისაც უნდა დიდ საქმეში შევარდნა და შენაცურვა,
სანამ პოვებს, მეცადუნობს, მაზედა აქვს ცრემლის წურვა,
და რა იშოვნის, იმას ნაღელობს, არ წამიკდეს ჩემი სურვა!“[816]

---

[810] **სტრ. 383**: ჰკითხეს: „რა არის ქვეყანაზედ უკეთილესი?“ მიუგო: „კეთილის ქმნა და ყოლის კაცის სიყვარული“.

[811] **სტრ. 384**: – „რა უფრო უსაყვარლესია?“ მიუგო: „კარეი მეგობარი“.

[812] **სტრ. 385**: + „რა უფრო სარწმუნოა?“ მიუგო: „მიწა და უფრო ურწმუნო – ზღვა“.

[813] **სტრ. 386**: ვიონ ბორისტელს ბრძენსა ჰკითხეს: „კაცმა ცოლი შეირთოს თუ არა?“ მიუგო: „უკეთუ ავთვალადს შეირთავ, ვერას მოისვენებ და, თუ ლამაზსა, – ბევრს შეუყვარდება“.

[814] **სტრ. 387**: აგრევე, სილამაზე ნათხოვარს საკონელს ჰგავს ამისთვის, რომ მალ გაგეცლება; იმათაც უნდა ახსოვდესთ სილამაზის მალ გაელა; რომელსაც მცირე სილამაზე აქვსთ; იმისთვისაც კოსტაობენ.

[815] **სტრ. 388**: სილამაზე მოკლე ხნისა არის. შენ სხვა ლამაზი რამ გააკეთო, ის უფრო დიდხანს გასძლებს შენის სილამაზისაგან.

[816] **სტრ. 389**: ჰკითხეს: „ვინ უფრო ჯაერიანი არის?“ მიუგო: „ვისაც დიდ საქმეში სიმაღლე უნდა. სანამ დიდს საქმეს იშოვნიდეს, მანამდინ შოვნას ცდილობს და მისი ჯაერი აქვს. რახანც იშოვნის, ირჯება და მისი ეშინიან, არ დაეკარგოო“.

390. სოფლისა ჭირი მრავალი, ლხინი აქვს მეტად ძვირები,
თუ გამდიდრდები, მოვლაზე სარჯელი არა მცირები,
სიგლახაკისთვის წუხილი, არ იცი, როგორ ირები,
და ავის მასპინძლის სტუმარი კაცია უცხო მწირები.

391. სიმდიდრის შოვნას ჯავრი აქვს, ნაშოვნს — არ წაკდეს; — წყენანი.[817]

392. საქონელი ძარღვს მიაგავს, ვითა იგი ასოს ხვდება,
და აგრეც ისიც ყველგან გასწევს, ვინემ სრულად გათავდება.[818]

393. ბევრი თეთრი მეფობის მეტს ყველასა იქს, რაცა გინდეს,
და ორივ სრულად შეუძლია სიმართლესა, დაუბინდებს.[819]

394. იტყვის ჭირად: არ შეეძლოს ჭირში მყოფსა მოთმინება.[820]

395. გასინჯვა და გულმაგრობა ჭირისაა დიდი მარგი![821]

396. ამას მოუკდა, ავკაცთან შეიქნა ნავში მჯდომელი,
მეკობრეთაგან დატყვევდა, უბნობდენ დაუდგომელი:
„თუ გვიცნეს, ავად მოგვივა". ბრძენმა თქვა მოსანდომელი:
და „მე უცნობლობა მექნება ავად რამ მოსაკდომელი"[822].

397. ვაი, რა დიდი ბრალია, რიგსა არ ჰქონდეს ცნობანი,
ვარდს, ტრფიალთ პირსა სადებსა, წვირითა უყონ გმობანი,
საკვდინებელის წამლისა მოსწონდეს შემარგობანი,

---

[817] **ხტრ. 391**: საქონლის შოვნას ერთი ჯავრი აქვს და ნაშოვნის დაუკარგაობის ცდას- მეორე.

[818] **ხტრ. 392**: საქონელი ძარღვებს ჰგავს. როგორც ძარღვები ყოკლს ასოსა ხვდება, ეგრეთვე საქონლიანი კაცი ყოველგან გაიწევს.

[819] **ხტრ. 393**: ბევრი თეთრი მეფობასა კი ვერა იქს და სხვას ყველასა იქს, სიმართლე სხვასაც ყველას იქს და მეფობასაც.

[820] **ხტრ. 394**: იგივე იტყოდა: „დიდი უბედურობა არის, კაცს უბედურობის მოთმენა რომ არ შეეძლოს".

[821] **ხტრ. 395**: უბედურობის დროს მოსაკმარია გასინჯულობა და გულმაგრობა.

[822] **ხტრ. 396**: როდესმე მოუკდა ამას ავკაცებთან ნავში ჯდომა და უაზახი დაატეხვინეს. დატეხვინებას უკან მისმა ამხანაგებმა ჩურჩული შექნეს: თუ გვიცნეს ავათ მოგვივაო. ეს ჰიტაკ გაიგონა და მიუგო: „მე თუ ვერ მიცნეს, მართლა ავათ ის მომივა. "

და უკმარს აქებდენ, საკმარსა გამრავლებოდეს გმობანი!

398. კარგს უცნობლობა წააკდენს, ავისა მოსაკმარია![823]

399. კაცს ეგონოს თავი ბრძენი, თუნდა იყოს, ბევრს დასცდება.[824]

400. ნახა მდიდარი, მწვე ძვირი შეგროვებისა მცდელია,
და თქვა: „ესე სოფელს ვერ კმარობს, სოფელი ამის მხვრელია“.[825]

401. ზოგნი ასე იჭირვიან ქონებისთვის, იყოს მათი,
და რა იშოვნის, ასე ხარჯავს, სხვისა იყოს საკამათი.[826]

402. მეშურნე ნახა საბრალო, მჭუნვარე, შეწუხებული,
და – „ანუ სხვის კარგი გინახავს, ან შენ ხარ, ვაგლახ, ვებული!“[827]

403. მემშურნე სხვისა კარგზედა თვის წაკდენისებრ წუხდება![828]

ამისთვის სწერენ სახის-მეტყველნი

404. რა მეშურნე სხვის კარგს ნახავს, ხე კმელსავით ჩამოკმება![829]

405. სვისაგან გარდახვეწილთა სიბერე სახიზარია![830]

---

[823] სტრ 398: ავს კაცს ის მოარჩენს, რომ ვერ იცნან და კარეს კაცს ის წააკდენს, რომ ვერ იცნან.

[824] სტრ. 399: იგივე იტყოდა: „კაცს რომ თავის თავისა ეგონოს, დიაღ, ჭკვიანი ვარო, ჭკვიანიც რომ იყოს, მაინც ბევრს დააცდენს იმითი“.

[825] სტრ. 400: ნახა ერთი მდიდარი, ძვირად მჭცეველი, და თქვა: „ეს კაცი სოფელს კი არ კმარობს, სოფელი ამას კმარობს“.

[826] სტრ. 401: იგივე იტყოდა: „ზოგნი საქონლისათვის ასრე იჭირვიან, ვითამც იმათი იყოს და, როდესაც იშოვნიან, ასრე მოქცევიან, ვითამც სხვისა იყოს“.

[827] სტრ. 402: ნახა ერთი მეშურნე კაცი, დიდად მოწუნილი. მიუკო: „უბედურობა ან შენ წაგკიდებია, ან სხვას ვისმე ბედი დამართებია“.

[828] სტრ. 403: მეშურნე კაცი როგორც თავის წაკდენას, ეგრეთვე სხვის გაკეთებას ნაღვლობს.

[829] სტრ. 404: მეშურნე სხვის ბედნიერობისათვის ხმება.

[830] სტრ. 405: სიბერე ნავთსაყუდებელია უბედურობიდამ გაქცეულისა.

406. რა ზღვა აღელდეს სასტიკად, საზაროდ მფოფინარენი,
ნავთსაყუდელი მენავეს მიაჩანს სალხინარენი,
უბედოთათვის სიბერე მართ აგრე მოსაკმარენი,
და მოკვდეს და დარჩეს, რაც არის სოფლისა საძებნარენი.[831]

406–ა. ვითა ზღვისა ღელვისაგან ნავთსაყუდელს ელის კარგსა,
(და) უბედურიც სიბერითა სიკვდილს შემზერს მისთვის მარგსა!

407. ამ სოფლისა დაარსება ვისცა ვითა დააბაროს,
რად მოიწყენს, რადგან იცნობს, ჰყვანდეს, გინა დააბაროს;
როცა მოვა მოსავალი, აამაღლოს, დააბაროს,
და ვერა, ვერა, ვერ მოურჩენს, რაზომ გინა დააბაროს!

408. თქვა: „სიბერესა ნუ ბასრობ, ვართ მისი მონატრენია!“[832]

409. ბრიყვი აძაგებს ჭკუასა, იმას ის ეჭირვებისა![833]

410. კაცის სახელი ზაფხულს ჰგავს, მისებრივ მალ წაკდებისა![834]

411. ჰკითხეს: „სიბრიყვე რა არის?“ – „ბედისა წინაღმდეგია“.[835]

412. ვერ იპოვნის ბრიყვი ბედსა, ბედი პოებს, ვერ იბედებს![836]

413. ანკსაღორ ბრძენი, მოძღვარი პერიკლა ბერძენთ მთავრისა,
დაბერდა, კელს არ უწყობდა, ბრძენი თქმად მომაარისა:
„ბაზმა დაიწვის, ზეთს ასხმენ, მატოს შუქს მოსაკმარისა,
და უფრო ძალმედვა იმისგან ნათლობა შენის მკარისა!“[837]

---

[831] **ხტრ. 406**: როგორც ზღვის ღელვისაგან ნავთსაყუდელში კეთილს მოელიან, აგრევე უბედურობიდამ სიბერეში თავის მიწევასა და აღსასრულს მოელის.

[832] **ხტრ. 408**: იგივე იტყოდა: „ბერს კაცს სიბერისათვის ნუ აიკდებ, ამისთვის, რომ უოველნივე იმას ვნატრით“.

[833] **ხტრ. 409**: ბრიყვი ჭკუას აძაგებს და ისიც კი ეჭირება.

[834] **ხტრ. 410**: კაცის სახელი ამ სოფლის ზაფხულს ჰგავს, ამიტომ რომ მალ გაიელის.

[835] **ხტრ. 411**: ამასვე ჰკითხეს: „სიბრიყვე რა არის? მიუგო: „სხვა არაფერი, ბედის წინააღმდეგია“.

[836] **ხტრ. 412**: სიბრიყვით ბედს ვერ იპოვნი და, თუ ბედმა გიპოვნა, ვერ მოიკმარებ!

[837] **ხტრ. 413**: ანაკსაღორ გამოჩენილი ფილასოფოსი იყო და მოძღვარი ჰერიკლა პერძენთ მთავრისა. როდესაც ანაკსაღორ დაბერდა, მან თავადმან უური არღარა უგდო. ერის დროს

414. კაცმან კაცზედა კარგი ქნას ან სამსახური დიდები,
არ დაიხსოვნოს ნაცვალი, შორა ქნას განაკიდები,
კაცი კაცური უგვანთა მწვე არის მომარიდები,
და ტვირთია, ზურგზე ეკიდოს ტყვივისა ანაზიდები.

415. კარგს ვისმე თავის თემიდგან გააძობს და გაბარგავსა,
და თემისთვის დაიკარგება, იგ თავსა არ დაკარგავსა![838]

415-ა. ჰკიცხეს, — „ათინა დაჰკარგე!“ — ათინით გამოძებულსა.
(და) „არ თუ მე, იმათ დამკარგეს!“ — ეტყოდა მონებებულსა.

416. არვინ დაჰკარგა ცნობილმან ადვილად საპოვნელია,
ძნელ საშოვრისა გაწირვა საჭირო გასახსნელია;
სჯობს ერთი ასსა საქმითა, თუ შემსგავსებით მქნელია;
და კაცი, სიბრძნითა შემძლები, საშოებელად ძნელია!

417. კაცსა ბრძენსა გასაწყრომად ზოგნი უზმენ გაძებასა,
და ართუ იმას, თავს უწყრება, ბოლოდ უზამს ბოძებასა![839]

418. შვილთა დაკოცა უამბეს თემთაგან გარდაგდებულსა,
— „როდისაც იშვნენ, ვიტყოდი, მისთვისვე დაბადებულსა“.[840]

419. ქალაქს ლამპეს ავად გაჯდა სიკვდილისა მინაწურად,
„შენსა თემსა, — მოყვასთ უთხრეს, — ხარო ზიდვის მოსასურად?“
— „რას შევიძენ, მაგით ვიყო მოჭირვების დასაშურად?
და ერთი გზაა ორიდამვე, საცა მივალ გასაცურად“.[841]

დააკელა იკი თავადი და უთხრა: „როდესაც ბაზმა დაიწვის, ზეთს მაშინ მოუმატებენ, რათა კვალად სინათლევე მოუმატოს. ზეთისა და ბაზმისაგან მე ხომ უფრო განათლება შემეძლო?!“

[838] **სტრ. 415**: როდესაც ეს ათინელთ თავისის ქვეყნიდამ გამოაგდეს, მაშინ ერთმა ვინმე ეაჰკიცხა: ათინელნი დაჰკარეო. მიუგო: „ათინელთ მე დამკარეს, მე ათინელნი არ დამიკარავს“.

[839] **სტრ. 417**: ზოგს ჭკუიანის კაცის გაგდება იმ ჭკუიანი კაცის გარდაკდეინებად ჩაუგდიათ, მაგრამ თავისთავს უფრო გარდააკდეინებს, ამიტომ, რომ, როდესაც გაჭირდება, მასვე მოსძებნიან.

[840] **სტრ. 418**: ამას, გამოძებულს, ამბავი მოუვიდა: შვილები დაგეხოცნენო. არა ინაღვლა რა და თქვა: „როდესაც დაიბადნენ, მაშინვე ვიცოდი, რომ დაიკოცებოდნენ“.

420. სოფლის ქებაა მიცვლილთა პატივით გასვენებანი,
მისი წესია სხვათაებრ დაუდგრომელი ნებანი;
სჯობს სულის რამე კეთილი, მუნ არ მიეცეს ვნებანი,
და თუ ვის კარგი სჭირს, კორციმცა იყოს მკეცთ საგემებანი.

სწავლანი ბრძნისა ანაკსაღორისანი

421. ღმერთსა აქებდე, მოყვსისა იწადე შემწეობანი,
და მამა-დედათა პატივ-ეც, ნუ სხვათა შემშურნობანი![842]

422. ნუ ფიცავ მართლის თქმისათვის, ნუ ჯავრობ და ნუ იხმუჭავ![843]

423. სიმართლით განვლე, შურითა სამართალს ნუ წარკდებია![844]

424. გაწყობასა შეეცადე, საბრალოთა ნურვის ჰკიცხავ,
და რაც შეგეძლოს, კარგი უყავ, მეგობართა ვერ აღრიცხავ![845]

425. თუ რამ გესმას საიდუმლო, არამც წარგცდეს არსად არა![846]

426. ფეოფრატ ბრძენმა ამსგავსა სიტყვა ჯავრითა თქმულები:[847]
და ურას კვიცისა მინდობა ნდობაა დასაწყლულები.

427. ლაგმითაც არის, დაიჭერ ცხენსა მორბედსა, ძლიერსა,
და ვერ დააბრუნებ სიტყვასა წარსულსა ბაგის მიერსა![848]

---

[841] ხტრ. 419: როდესმე ავად გაჰდა და სიკვდილზედ მიიწურა ქალაქსა ლამპსიისასა. მგობართ ჰკითხეს: „არ გინდა, მკვდარი შენს ქვეყანაში მიიტანოთ?“ მიუგო: „მაგთენი იქ მიტანითა არა მამემატება რა. აქედამ და იქიდამ სწორი სავალი არის“.

[842] ხტრ. 421: ღმერთი აქე, მშობელსა ჰატივ ეც, მეგობართ მოეკმარე და შური ნურავისი გაქვს!

[843] ხტრ. 422: ნურვის შეჰფიცავ და მართლის თქმისათვის ნუ განრისხდები!

[844] ხტრ 423: სამართლიან იარე და ჯავრით სამართალს ნუ გარდაკდები!

[845] ხტრ. 424: ყოელთ მეგობრობას ეცადე, საბრალოს ნუ აიგდებ, რაც შეიძლო, კეთილი ქმენ და ამით ბევრს მეგობარს იშოვნი!

[846] ხტრ. 425: სიიდუმლო რომ გესმას, ნურვის ეტყვი!

[847] ხტრ. 426: ფეოფრატ იტყოდა: „ჯავრით სიტყვის თქმის ნდომას გაუკუდნელის რუმა ცხენის ნდობა სჯობს“.

428. დრო კაცისათვის, იცოდე, კარგი რამ საქონელია![849]

429. ზოგნი მოსწრაფედ კარგ დროსა ცუდათ რამ გაატარებსა,
მაზე ხარობენ, არ იცის, წარკდა, ვერ მოიკარებსა;
წყალსა თავდაღმა მავალსა ზეით ვინ შეატარებსა?!
და წასულსა დროსა ვინ ეძებს, ცუდათ თავს გაიმწარებსა![850]

430. კარგად რამე მოიკმარე, რა მოგეცეს ჟამი და დრო,
ნუღარ ჰყოვნი, ამ სოფელსა სხვაცალა აქვს მოსაადრო;
მიეც საქმეს გამორჩევა უმჯობე და კარგის სადრო,
და ვეღარ მიხვდე საწადელსა, ამის მეტი რაღა გკადრო!

431. სტუმრად იყო, კაცი ნახა ჩუმად მჯდომი, მიუგებდა:
და „თუ ჭკუით იქ, უზდელი ხარ; თუ სიბრიყვით", – მას უქებდა.[851]

432. თქმა ბრიყვს არ უკამს, ბრძენს უჯობს, ეს იცნან, ის კი ვერაო.[852]

433. უჭკუოს კლმისა მიცემა ამისი დასადარია:
და ბოროტს კაცს მისცე ნება და შეძლება მოუკმარია.[853]

434. კრატეს ბრძენს ჰკითხეს, ცოდნითა რა გაქვსო შესამატია?
და – „ცოტასა ვჯერვარ, წუხილი არაზე მომიმატია".[854]

---

[849] **სტრ. 427**: ცხენს ლაგმითაც არის დაიჭერ და გაშვებულს სიტეცას ვეღარათი შეიჰერობ.

[849] **სტრ. 428**: დრო, დიაღ, კარეი საქონელი არის.

[850] **სტრ. 429**: ზოგნი არიან, ჰატიოსანს დროსა და ადრე წარმავალსა ცუდის რისმე მოგონებით გატარებენ და ამისთვის ერთი მეორეს მადლობას აძლევს. და ეს კი არ იციან, დრო და ჟამი თავდაღმა ჩადენილი მდინარე ჰირაღმაღა შემოიდენს, აღარც გავლილი ჟამი მეორეთღა გამოივლის; ეგრეთვე წარსრულის დროს შეწევნა აღარ იქნება.

[851] **სტრ. 431**: სტუმრად იყო და იქ ერთი კაცი ჩუმად მჯდომი ნახა, მიუგო: „თუ ბრიყვი ხარ და ჩუმად იმიტომ ზიხარ, ჭკუით გიქნია და, თუ ჭკვიანი ხარ, სიბრიყვითა."

[852] **სტრ. 432**: ბრიყვი ჩუმად რომ იყოს, ის ურჩევნია, ამიტომ, რომ მის სიბრიყვეს სულ ვერ შეიტყობენ. და ჭკვიანი რომ ლაპარაკობდეს, ის ურჩევნია, ამისთვის, რომ იმის ჭკუას ყველანი შეიტყობენ.

[853] **სტრ. 433**: იგივე იტეოდა: „კიეს რომ მახვილი მისცე და ბოროტს– უფროსობა, ორივ ერთია" .

[854] **სტრ. 434**: კრატეს ფილასოფოსს ჰკითხეს: „რა მოგემატა ფილასოფოსობითა?" მიუგო: „ის მომემატა, ცოტას ვეოფინებ და არაზედ შევწუხდები".

435. თქვა: „გულისთქმა მოიკვეთე, ვისცა უნდა ადვილია,
და თუ მოიმშევე, ის გარდავა, მისი დაგრჩეს წადილია!“[855]

436. ძვირს მდიდარსა ადარებდა ხურმის ხესა კლდეზე დგმულსა,
ვერსით კაცი ვერ მიუდგეს გზასა მისსა ასე ქმნულსა,
რაგინდ ბევრი გამოისხას, ცის ფრინველნი იძლებს სულსა,
და აგრევ მათი არ ერგების კარგსა კაცად დანაგულსა.[856]

437. ნეტარ რა არი მრავალი დადება დასადებისა?
არც შენთვის გინდა, არც სხვისა მწადიხარ მისაგდებისა,
რა გაუმართლდეს, უფროსსა სიმრავლეს შეეცდებისა.
და გაგებნას შემოკრებული, რა თოკი გაგიწყდებისა.

438. მწვე უყვარდა ალექსანდრეს მსწავლული და კაცი ბრძენი,
არისტონე ფილასოფი, კაცი დიდად მოსაძენი,
სად ესახლა, მას ქალაქსა უყო ესე შესაძენი,
და გალავანი შემოაველო დიდებისა საბოძენი.[857]

439. მსწავლულთა კაცთა გაწყობა კარგს მოგცემს, არა კლებასა,
აღგავსებს სუნნელებითა, ვით მუშკი გაუცლებასა,
წარმართებ შენსა საქმესა, სიმდიდრეს, გასაწყლებასა.
და სჯობს ერთი წამი ბრძენთანა ას წელ უგბილთა ხლებასა!

440. ალექსანდრეს დაექცია ბრძნის კრატესა აგარები,
კვლავ უბრძანა: „აგიშენებ, თუცა მოგწონს ის არები“.
მოახსენა: „ააშენო, რა გინდ იყოს სახარები,
და სხვა გამოვა ალექსანდრე, შეიქნება უხმარები“.[858]

---

[855] **ხტრ. 435**: იაიეე იტყოდა: „გულისთქმის მოკვეთა უკეთუ გინდეს, ჰური მოიმშიე და სხვა ყველა დაგაჟიწყდება, ამიტომ, რომ გაძღომის გულისთქმა შეგექნება“.

[856] **ხტრ. 436**: მდიდარი ძვირი ხურმის ხესა ჰგავს, ქარაფ კლდეზედ მდგარსა, რომელსაც კაცი ვერ მიუდგება: თუმცა ბევრი მოისხას, ფრინველნი შეშჯამენ. აგრეთვე ძვირს ბევრიც რომ ჰქონდეს, კაის კაცს იქიდამ არა ერგება რა.

[857] **ხტრ. 438**: მეფეს ალექსანდრეს მსწავლული კაცი დიდად უყვარდა არისტონ ფილასოფოსის გულისათვის, რომ, საცა არისტონ დაბადებულიყო, იმ ქალაქის ქვიტკირის კალავანი შემოაველო და გააკეთა.

[858] **ხტრ. 440**: კრატეს ფილასოფოსის სოფლები ჰირველადვე ალექსანდრეს დაექცია. უბრძანა ალექსანდრემ კრატესა: „ვინებს, რაოა შენნი სოფლები კვლადვე აღიშენო?“ მოახსენა:

441. მართლა კმობს ბრძენი ყოველი სოფლისა უკმარებასა,
არა აქვს ხანი კაცისა მოწყენა, გახარებასა,
ზოგს აქცევს, ზოგთა აშენებს მთათ, ბართა ვითარებასა,
და ვერ ნახავს კაცი სიკვდიმდე მას მისთვის სადარებასა.

442. კრატე გვსწავლის: „ბოროტს ნუ იქ, მაგრამ ყურსა მიუგდებდე,
და რა რომ იცნობ, აღარა იქ, სხვის ნაქნარსა აცუდებდე!“[859]

443. ზინონ სჭვრეტდა მოყვას(ს) ვისმე ტალახისა ფეკის მრიდად:
და — „ერთპირა ხარ შესვარული, თავი გიჯობს განაკიდად!“[860]

443–ა. ნახა მოყვასი ზინონმა ტალახის ფეკის მრიდებლად:
(და) —„სულით შიგ ფლავხარ, ისი სჯობს, იგი ქმნა განსაკიდებლად!“

444. ანტისტინე ფილასოფოსს კაცი ვინმე აძაგებდა,
ზინონ ჰკითხა: „რა უქნია, რასაც მისთვის გააგებდა?“
თქვა: „არ მახსოვს, რაც უქნია“. ბრძენი მასვე მიუგებდა:
და „ფუ, მას კაცსა, ის ახსოვდეს, ნაქნართაგან არ ირგებდა! “[861]

445. ძრახვა არის შეუძლება კაცისათვის, კაცო კარგო,
არ იკადრო, მამაცურო, ამგვარები სარგო დარგო!
თუ მტერი ხარ, რად არ მტერობ, თუ მოყვარე, მით რა არგო,
და არ შეექნას მომსმენელსა განსანუზღი, გასაბარგო!

446. ეს მიკვირს, კაცმა კარგი ქნას, ყურსა არავინ უგდებსა,
და თუ ავი წასცდა, ყველანი დაიწყებს მის აუგებსა.[862]

„არა მნებავს“. ჰკითხა: „რისთვისა?“ – „ამისთვის, რომ შენ კიდევ აღშენო, შენს უკან ერთი ალექსანდრე კიდევ გამოვა ვინმე და ისრევ დააქცევს“.

[859] სტრ. 442: კრატეს ბრძენი ამას ისწავლებოდა, რათა ბოროტი არავის უთხრან და თვით ეური მიუბერან ამისთვის, რომ ბოროტი სმენით შეკძულდებათ და თვით კი აღარ იქმონენ.

[860] სტრ. 443: ზინონ ნახა ერთი კაცი, თავის მოყვასი, ნელ-ნელა მივიდოდა და ტალახს ფერკთ არიდებდა. უთხრა: „კარგად იქ, ტალახს ფერკს არიდებ, მაგრამ სულ შიგ რომ ფლაყხარ, თავი დაარიდო, ის არა სჯობს?!“

[861] სტრ. 444: ერთი ვინმე ანტისთენ ფილასოფოსს აძაგებდა. ზინონ ჰკითხა: „რა ბოროტი ქნა?“ მან მიუგო: „აღარ მახსოვს“. ზინონ უთხრა: „არ კრცხვენიან, ანტისტენ გახსოვს და მისი ნაქნარი საქმე კი აღარ გახსოვს?!“

447. ბევრს მოუბარსა ეტყოდა: „ვინ დაგდვა ეგე ვალები
და ყური ენად გაქვს და ენა – ყურებად შენაცვალები!“[862]

448. უმძიმს, სასწავლო ბევრი მაქვს, სიცოცხლე შემოკლებული.[864]

449. – „კარგი მოყვასი რა არი?“ მიუგო: „შენი თავია,
და როგორც შენ მისთვის იქნები, ის მისი გამათავია!“[865]

450. ბრძენთ აცილებს პტოლემეოზ, ზინონ იჯდა უუბარად,
მეფე იტყვის: „ყველა ვიცან, შემიძლია საქებარად,
შენი მითხარ, რა უნდა ვთქვა, სიტყვისა ხარ დასაზარად?“
და ჰკადრა: „ბრძანე, ბერი კაცი უკმოდ ვნახე დანამჯდარად“.[866]

**450-ა. ზინონ ბრძენსა მეფემ უთხრა: „არას უბნობ, როგორ გაქო?“
(და) ჰკადრა: „ბრძანე, ბევრი ვნახე, მდუმრობისა მწადი აქო!“**

451. სიბრძნეს არ მისდევს სიმდაბლე, იგ მისი საქებარენი,
გავს ლითონთ რამე სპეკალთა, კაცთაგან მოუხმარენი,
არ გამოჩნდების სიტყვითა ბევრისა მოამბარენი.
და არს გაგონება თქმისაგან უფროსად მოსახმარენი.

452. ან დაჩუმდი, ან ასე თქვი, სხვასაც ერგოს ლაპარაკი![867]

---

[862] **სტრ. 446**: იყივე იტყოდა: „ეს მიკვირს, კეთილი რომ ქნა, არაკაცი ეურს არ მოუსჯერობს და,ბოროტი რომ ქნა, შენს ანბავს ლაპარაკს დაიწყებს“.

[863] **სტრ. 447**: ერთს ბევრს მოლაპარაკეს ურმას უთრა: „ურმაე, შენი ენა ეურებად გარდაქცეულა და ეურები – ენად“.

[864] **სტრ. 448**: ამაზე დაღონებულიეო, სასწავლო მრავალი მაქვს და სიცოცხლე- მოკლე.

[865] **სტრ. 449**: ჰკითხეს: „კარგი მეკობარი რა არის?“ მიუგო: „შენი თავია: როგორც შენ იშისთვინ იქნები, აგრევე მეკობარი – შენთვინ“.

[866] **სტრ. 450**: ჰტოლემეზ მეფემ ფილასოფოსნი აწვიენა და მათს ლაპარაკს ეური მიაჰერა. ზინონ ბრძენი ჩუმად ჯდა. მეფემ უბრძანა: „ზინონ, ეკელას ლაპარაკით მათნი სიბრძნენი შეეიცან და ქებაც შეძიძლიან. შენ კმაამოღებული არ მინახავხარ და როგორ გაქო?“ მოახსენა: „ჩემი ქება ასე ბრძანეთ: ერთი მოხეცებული ბრძენი ვნახე, რომ ჩუმად ყოფნა იცოდა.“

[867] **სტრ. 452**: ან სულ ჩუმად იყავ და ამთენი ილაპარაკე, რომ სხვასაც ერგოს ლაპარაკის რიგი!

453. — „გაგინებდენ, რა გულად ხარ?“ თქვა: „დესპანი უპასუხო!“[868]

454. მოსამსახურემ შესცოდა, უბრძანა მისი გვემანი;
„ბედმან მიყოო, — დავარდა, — მომმადლე ჩემი ცემანი!“
უბრძანა: „ეგეც ბედით გჭირს, მისგან გაქვს გამოცემანი,
და ბედსა ვერ მოვშლი, არ ძალმიც წაკდენა, ქვე დაცემანი!“[869]

455. ავი არ დაბადებულა, კაცთა აქვს მონაგონები,
იქ და მიზეზსა იგონებ, კარგათ ქნა გასაგონები;
ერიდე, პირველ გაფთხილდი, სულ გქონდეს დასაყენები,
და რა შეგხვდეს კარგი მსაჯული, წაგიკდეს შენაკონები!

456. — „ღმერთმან გვიყო“, — ავი რომ ქნან ანუ ეშმაკს აბრალებენ,
და ღმერთმან ავი არ დაბადა, ეშმაკს რასთვის აქარწყლებენ ?![870]

457. სხვათაგან უმალ შეიტყო საჩუმო, ჩუმად გქონდესა![871]

458. რად უბნობ აგრე მრავალსა, რადგან არა ხარ უსმია?![872]

458–ა. ბეკრს მთქმელსა უთხრა: „უსმი ხარ, თვარამ რას უბნობ მრავალსა?!“

459. არ ესმის, ვისცა მდუმრობა არა აქვს შესაწყნარია.[873]

---

[868] **სტრ. 453**: ჰკითხეს: „კინებას რომ დაგიწყებენ, რა გულით შეიქნები ხოლმე?“ მიუგო: „ვითაც პახუხმიუცემელად განტევებული დესპანი“.

[869] **სტრ. 454**: როდესმე მოსამსახურემ შესცოდა რამე და მისი გალაკვა თქვა. შეეხვეწა მოსამსახურე იგი და მოახსენა: „უბედურობით მომიკდა ჩემი შეცოდება და ნუ მკვემ!“ მიუგო: „მამ, ეგ კვემაც უბედურობით მოგდიხ. მე ბედის წართმევა და მოშლა ხომ არ შემიძლია?!“

[870] **სტრ. 456**: ჩვეულებათ შეჰქნიათ: ვინც ბოროტს იქს, ამითი მოინდომებს იმ ბოროტის განწმენდას, რომ ღ(მერ)თმან ასრე ბრძანა: ანუ ეშმაკმა მიბრკმაო. ღ(მერ)თი ბოროტის დამბადებელი არ არის და ეშმაკს კი ნუ დაუკერებს და მორჩომილი იქნება.

[871] **სტრ. 457**: ჯერ რომ ამბავი სხვას არაყის კაეცონოს და უწინ შენ გაიცონო, ის საიდუმლო ცქონდეს.

[872] **სტრ. 458**: ერთს მრავლისმეტყველ კაცს უთხრა: „თურმე ერუ ხარ, რომ მაგთენს ლაპარაკობ“.

[873] **სტრ. 459**:ვინც ჩუმად ყოფნა არ იცის, იმან არც კაცონება იცის.

459–ა. ვინც მდუმარება არ იცის, იმას არც არა ესმისა!

460. უმეცრებად ჩაუგდიათ გლახის ძრახვა, მდიდრის შური.[874]

460–ა. გლახის ძრახვა, მდიდრის შური უმეცრება არის დიდი!

461. რასაც სხვას უზამ, სისწრაფით შენთვისაც მოელოდია![875]

462. ვინც ფთხილად დავა სოფელში, გვიანად წაიქცევისა![876]

463. კიპერის მეფემ მენედიმს უბრძანა: „ესე მინდესა,
კარგია, აუკდებოდეს, კაცი რას ინატრიდესა!“
მან ქება კადრა: „მაგრამ მე მესიბრძნეთ ასე მიდესა:
და სჯობს ნატრას უნატრულობა, იპყრობდეს კიდის კიდესა!“[877]

464. გულია ყოველის კაცისა მომდომი უცხოებისა,
ხან სიკეთისკენ მიმწევი, ხან ავი ენებებისა,
ხან უნდა უფსკრულს შთაკდომა, ზოგად სვლა ზეცაებისა,
და თუ თავი არ დაუჭირე, ბევრი რამ გარდაგკლებისა!

465. ესმა რა ალექსანდრესა ფილასოფოსთა თქმულები:
„გარდაუცვლია სოფელსა მრავალთა კაცთა სულები,
სოფელი ჰგიეს“, – დანაღვლდა, „ყოფილა – იტყვის, – კრულები,
და მაშ, ასე ვკვდები, ვერა ვქენ ვერც ერთი დაპყრობილები?!“[878]

466. ეს სოფელია დიაცი, სიძვისა მიმაყოლელი,
თავსა კეკლუცად გაჩვენებს, ბოლო აქვს დასაქოლელი,
ხან შენს უბეთა მძინარი, ხან სხვასთან არის მწოლელი,

---

[874] **სტრ. 460**: თაყვედობა არის, მდიდრისათვის რომ სიმდიდრე გაშურდეს და გლახაკსა სიღარიბისათვის დასცინოდე.

[875] **სტრ. 461**: რასაც შენ სხვას უზამ, სხვისაგანაც იმას მოელოდე!

[876] **სტრ. 462**: ვინც ფრთხილად ვალს, ის გვიან წაიქცევა!

[877] **სტრ. 463**: მენედიმეს უთხრა მეფემ კიპერიისამა: „ამ სოფელს კაცი რასაც ინატრის, ყველა რომ აუკდეს, კარგი იქნება?“ მიუგო: „დიდად კეთილი იქნების, მაგრამ ის კი სჯობს, სულ არ ინატროს რა“.

[878] **სტრ. 465**: მეფის ალექსანდრესას იტყვიან: როდესაც ფილასოფოსთაგან ესმა, ვითარ–მყუდ ამ სოფელს მრავალნი კაცნი გარდაუცვლიან და სოფელი ესე იგივე მთლად ჰყოფს, დიდად ინაღვლა და თქვა: „მაშ, ესრეთ მოკვდები, რომ ერთი ქუეყანაც ვერ დამებურას?!“

და ვერ იკმარება საკმარად, ვინცა არ იყო მბრძოლელი.

467. ალექსანდრე სტილბონ ბრძნისას ქალაქთ არის წარმომტყვევნი,
მიუწოდა, გამოჰკითხა: „რაცა იყო, მითხარ, თქვენი,
რაც მოლაშქრეთ გამოგართვეს, ყველა გიყო მონაძღვენი".
და — „მათ არა და, თქვენც არ ძალგიც ჩემი უნჯი წამართვენი!"[879]

468. ბრძენსა აქვს დიდი სიმდიდრე, არვისგან მისაღებელი,
არც დაბერდა და არც გაცვდა, არც არი შესაღებელი,
იმ საჭურჭლისა კლიტენი გაღებად გაუღებელი,
და უხობს და არა აკლდების, სიუხვით წარსაგებელი.

469. ტყვე ჰყვანდა და მათ უბრძანა ალექსანდრემ ქალაქთ ცვანი:
„აქ ნება გაქვსთ, სხვად ნუ წახვალთ!" სტილბონ ბრძენმან უთხრა სხვანი.
„ნება აქვსთო", — გაეცინა. ტყვემ შეჰკადრა გაკრიჭვანი;
და — „მე კაცურად გავიცინე, ვარ მოკრიჭალთ არა მგვანი!"[880]

470. არ მოიწონებს სხვა სხვისას ურგებსა გასაგონებსა,
გაცუდებასა ეცდება, ასეთსა მოიგონებსა;
მაგრამ ვისთვისაც კარგია, ის რატომ დაიცონებსა?
და ნუ ეტყვი შენსა უფროსსა თვით მისა მოუწონებსა!

471. ყოვლნი მისთვის პატივსცემენ ფილასოფოსს, არის ხილად.[881]

472. ბრძენ დემონაკ — „შემცოდეთა არ გაუწყრეთ! — ამას კმობდა, —
ვით მკურნალი მოსარჩენად სნეულზედა წყნარად ბრძნობდა,
შენც მისებრივ ასწავლიდე : «თუ მოიქცე, შეინდობ და»,

---

[879] **სტრ. 467**: როდესაც სტილბონ ფილასოფოსის ქალაქი მაკიდონიის მეფე წარტყვენა, მაშინ მიუწოდა მეფემ სტილბონს და ჰკითხა: „ჩემმა სპათაგანმან საქონელი თუ არაყინ მიგიღო, მაუწყე და მოგცემ". მიუგო: „ჩემს საქონელს ვერ მიმიღებ, არამცთუ შენმან სპათაგანმან ვინმე მიმიღოს".

[880] **სტრ. 469**: მეფეს ალექსანდრეს მრავალნი დატყვევებულნი კაცნი ჰყვანდა და იხ ქალაქი მათ მიაბარა და უბრძანა: „აქათგან ნურსად წახვალთ და აქ ნება მოგცია." სტილბონ ბრძენმან მოახსენა: „ჯეშმარიტად ნება აქვსთ, აქ უფრო უნებური კაციც არ არის" და გაიცინა. ერთმა მათ ტყვეთაგანმან უთხრა: „რას იკრიჭები ჰირუტყვსაით? მან უთხრა: „არა, ჯეშმარიტ კაცსაით ვიცინი"".

[881] **სტრ. 471**: ფილასოფოსი ქვეყანაზედ ნაზუქივით არის და უველა იმიტომ ჰკვირობს ამათ საქმეს.

და მობრუნდების ავისაგან, გაჯავრებას ესე სჯობდა“.[882]

473. სჯობს დანახვებით, გასინჯვით, რისხვითა რასმე სწავლასა,
შეაძულვებს და დასწყევლის მისსა ბედსა და დავლასა.
რაც სიმწარისგან გამოვა, სიტკბო უკეთ იქს გავლასა,
და დიდი რამ უნდა მოძღვრისგან მოწაფეების მოვლასა!

474. – „რა დროთა მოვყვეთ შექცევას?“ თქვა: „თავი იცნა როდესცა!“[883]

475. დემონაკე მოჩხუბარსა ეტყვის ჩხუბსა მოსაშალად,
მას შერცხვა და თავს გარდაჰკრა, გაუტეხა, დიაღ, ძალად.
რქვეს: „იჩივლე მსაჯულთანა!“ მთქმელსა უთხრა მოუკრძალად:
და „რა მსაჯულთა ჟამი არის, დასტაქარი მიკამს მალად?!“[884]

476. კარგს არ ისმენდეს, წყინობდეს თქმასა და შეგონებასა,
არ იმადლებდეს, იქმოდეს თქმასა და შეგონებასა,
მიუშვი, ბოლოდ შეიტყობს მის უბედობა-ვნებასა;
და შემომფთხალისა ჯიხვისა ნუ ცდილობ დაყენებასა!

477. სიტყვა დაჰკითხა, იწყინა, რისხვითა მოუბარია.
და ეტყოდა: „მიკვირს კითხვისთვის ჯავრი რა მოსაკმარია!“[885]

477-ა. ერთს ვისმე სიტყვას ჰკითხევდა, ის ჯავრით ეუბნებისა,
(და) მიუგო: „მიკვირს, კითხისთვის ჯავრი რად გენებებისა!“

---

[882] **სტრ. 472**: დემანაკ ფილასოფოსი იტყოდა: „მაშინ არა კამს კაცის გალაკვა, როდესაც დააშაოს რამე. მკურნალივით უნდა: როგორადაც სნეულს ნელ-ნელა მოარჩენს, ეგრეთვე მას ნელიად უნდა ელაჰარაკოს და ესრეთ ეტყოდეს: «მაკისთანა დამნაშავობას ამითი მიიტევებ არა, ამითი უფრო» და ჯავრისაგან უმალ მოამშვიდებ“.

[883] **სტრ. 474**: ამას ჰკითხეს: „როდეს უნდა კაცი თავის თავის შექცევას მოჰყვეს?“ მიუგო: „როდესაც თავის თავი იცნას“.

[884] **სტრ. 475**: ერთს მოჩხუბარს კაცს წითელი ტანისამოსი ეცვა და იხილა იგი დემონაკ და ჩხუბის მოქმედობაზედ მცნებოანის სიტყვებით სწვართა და უკუნ აწბილა. ამაზედ განრისხნა მოჩხუბარი იგი და დემონაკს თავი გაუტეხა. დემონაკს ურჩიეს: „მსაჯულთან წადი და იჩივლე!“ მიუგო: „მსაჯულთან რა საქმე მაქვს, დასტაქართან წასვლა უმჯობესი არ არის?!“

[885] **სტრ. 477**: ერთს ვისმე სიტყვა რამე ჰკითხა და მან ჯავრით ჰასუხი მიუგო. უთხრა: „მე სიტყვას გკითხავ და შენ ჯავრს ლაჰარაკობ“.

478. „ერთი ვარ გამომეტყველი“, – აღაფოკლეა მთხრობელი,
თქვა: „ჩემისთანა არ არის კაცთაგან შესამკობელი“.
„თუცა მარტო ხარ, – დემონაკ უთხრა, – ვინ გექმნას მგმობელი?
და სხვაცა ვინმეა უმჯობე, მარტო რადღა ხარ მკმობელი?“[886]

479. ეგონოს, ჩემებრ არ არის ბრძენი და კარგის მქნელია,
მისგან კეთილი გამოჩნდეს, უეჭვი, გასაძნელია;
ვერ ხედავს დასანახავსა, თვალი აქვს დანაბნელია;
და ეჭობს, გზა არი მართალი ღირღალი, გაუგნელია.

480. ყალამის ტყავი კაცს ეცვა, კოხტად რამ იარებოდა,
და ჩასჩურჩლა: „უწინ ცხვარს ეცვა, არად არ ეხმარებოდა“.[887]

481. ბევრი ვინმე ტან-ჩაცმისთვის უცხოთ თავსა მოიწონებს,
არ იციან იმათ უწინ, არცა ამას მოიგონებს:
ან მატლისგან გამოვიდა, ან ცხვარს ესხა ,ცუდ-საგონებს,
და ანუ ოქრო, ანუ ვეცხლი – მიწას, მიწის შესაწონებს.[888]

482. რად იხარებ, რომე გესმას საფერებლად სიტყვა თქმული;
ანუ რითმე შემკობითა გაამაყდეს შენი გული,
გამოსინჯე, რა გიქნია კარგი რამე, ან საწყლული,
და რაღა გინდა უკეთესი, თუ გახარებს შენი ქმნული?!

483. მაკიდონით კაცსა ვისმე გული აჩნდა მრისხანობით,
და უთხრა: „ტყეცა დაჭირვებით, შენ ტყეე ქმნილხარ შენის ნებით!“[889]

484. ერთ უმცროსსა მის უფროსმა დიდი ჯარი მიაბარა,

---

[886] **სტრ. 478**: აღაფოკლე იტყოდა: „კაამოქტეველი ერთი მე ვარ და ჩემს უკეთესი არავინ არის“. დემონაკ ესრეთ მიუგო: „უკეთუ მარტო შენ ხარ, უკეთესი ვინღა იქნება? და, თუ იქ უკეთესნი არიან, შენ მარტო როდისღა იქნები?!“

[887] **სტრ. 480**: ნახა, ერთს კაცს ყალამის ტყავი ეცვა და კოხტაობდა. მივიდა მას კაცთან და ეურში უჩურჩულა: „ეგე ტყავი უწინ ცხვარს ეცვა, მაგრამ ისივ ცხვარი იყო“.

[888] **სტრ. 481**: მრავალნი არიან, ტანს რომ ჩაიცმენ, კოხტაობას დაიწუებენ. ეს არ უწყიან, თუ ტყავია, უწინ ცხვარს ეცვა, თუ ჯიჯნაურია, – მატლსა და, თუ ოქრო და ვეცხლია, მიწა იყო.

[889] **სტრ. 483**: ერთი მაკედონელი ჯაერიანი კაცი ნახა და უთხრა: „ყოველი ტყეე დაჭირებით არის დატყეებული და შენ შენის ნებით ხარ. განუტეე ეგე ჯაერი!“

„როგორ ვიქცე, როგორ უძღვე, მწადსო, — ჰკადრა, მე აბა რა?“
მან მიუგო: „ჯაერს ერიდე, რა გნახვიდენ, ეამბარა,
და ცოტა თქვი და ბევრს ისმენდე, რაცა იყოს საამბარა!“[890]

485. კარგია, კაცმა იცოდეს ჯარის ყოლა და ძღოლანი,
რიგიან მოკმარებანი, ადგილს ვით კამდეს ბძოლანი,
პირველ ფთხილი და მის დროსა არ ჰქონდეს შიში, ძრწოლანი.
და მწვე შეეწევის სრულსაცა კარგთა მრჩეველთა ყოლანი.

486. ჯარის უფროსსა არ მართებს ჯავრი და რისხვის მქნელობა,
თუ ჯარს შესძულდა, იქნება საქმის გამართვის ძნელობა;
ცოტა თქვას მისი განძრახვის, სხვათა არა ქნან მგრძნელობა,
და სმენა უყვარდეს და სხვისა რჩევისა გამგონელობა![891]

487. ჯარის უფროსსა ცდა მართებს, ჯარსა უყვარდეს გულადო,
მისისა წარმართებისთვის თავს არ ზოგევდენ წყლულადო,
არა სცნას მისი განზრახვა მტერებმა უსაცილადო,
და მაშინ მიეცეს სახელი სახელოვნების წილადო!

488. თაფლსა სჭამს ფილასოფოსნი? — ჰკითხევდენ; ის მიუგებსა:
და „ფუტკარი მარტო უსწავლთა თაფლსა არ გამოუგებსა!“[892]

488–ა. „ფილასოფოსი თაფლსა სჭამს?“ — ჰკითხვიდენ; ის მიუგებსა:
(და) „მარტო უსწავლთა ფუტკარი თაფლსა არ გამოუგებსა!“

489. ეპიკი ბრძენსა დემონაკ ურჩევდა ქორწინებასა,
ცოლი არ ჰყვანდა არცერთსა ჟამისა წინაებასა,
ეპიკ ეტყოდა: „რადგან სჩანს უმჯობედ შენსა ნებასა,
და ქალი მომე და შევირთავ, მიეყვები დამონებასა!“[893]

---

[890] სტრ. 484: ერთს მკედართაგანს თვისმა უფროსმა მრავალი ჯარი მიაბარა. მან მკედარმან ჰკითხა: „როგორ მოვიქცე, რომ ამ ჯარს კარგად მოუარო?“ მიუგო: ჯავრიანი ნუ იქნები, ცოტა ილაპარაკე, ბევრი გაიგონე და კარგად მოუვლი.

[891] სტრ. 486: ჯარის უფროს კაცს ჯავრი არ მართებს და ლაპარაკი ცოტა უნდა იცოდეს, რომ თვისი განზრახულობა მტერს არ შეატყობინოს. და კვალად გაგონებაც უნდა უყვარდეს, რომ სხვის რჩევა შეიტყოს.

[892] სტრ. 488: ამას ჰკითხეს: „ფილასოფოსნი თაფლსა სჭამენ თუ არა?“ მიუგო: „თქვენ გგონიათ, რომ ფუტკარი თაფლს მარტო ბრიყვთათვის აკეთებდეს?!“

489–ა. ეპიკ ბრძენი უცოლოა, სხვა უცოლო ურჩევს ცოლსა;
და „ქალი მომეც, მან მიუგო:„ შევიყვანო ჩემ საწოლსა!“

490. რადგან არის ქალწულება ანგელოზთა მიბაძება,
სჯულისათვის მოცალება, გემოვნების გაცაძება,
უნდა ღმერთსა სოფელშიაც მოშენების გაუძება,
და ქორწილი და დაჯერება პირველადვე მოიძება.

491. სხვამ სხვასა ასე ურჩიოს, თვითონც ის გარდახდომოდეს![894]

492. ნახა მორთული კაბითა ყრმა გინებისა მთქმელია;
და – გიჯობდა კაბის დაცვლასა, ეგ გექმნა დასანთქმელია![895]

492–ა. ნახა მორთული კაბითა ყრმა მთქმელად ფინთ გინებისა,
(და) „კაბის დაცვლასა გიჯობდა, – რქვა, – ჩვეულება ნებისა!“

493. სიმკლე უძრახეს კლეოპეს: – „მაგად ვარ განაკარგია,
და ავისა მკდალი არ ვიყო, ვიქნები შენი დარგია!“[896]

493–ა. კლეოფეს სიმკლე დასძრახეს; – „მაგად ვარ კაცი კარგია,
(და) თუ ავის მკდალი არ ვიყო, ვიქნები შენი დარგია“.

494. ირაკლიდ იტყვის: „ვით გმართებს ქალაქთა სიმაგრენია,
და აგრეე სამართალს ეცადე, შეექენ მოსაგრენია![897]

494–ა. „ვით მართებს, – იტყვის ირაკლიდ, – სიმაგრე ქალაქ- შენთანი,

---

[893] სტრ. 489: ეპის ფილასოფოსი უცოლო იყო და ის ურჩევდა: „ცოლი შეირთევ, უფრო სარგებელი არისო“. მიუგო: „შენი ქალი მომეც და შევირთავ“.

[894] სტრ. 491: კაცმა კაცს ასეთი რამე ურჩიოს, თვითანაც გარდაჰკდომოდეს.

[895] სტრ. 492: ერთს ყრმას კარგი ტანისამოსი ეცვა და ფინთათ იგინებოდა, უთხრა: „ერშავ, შენ რომ ეგ ტანისამოსი გამოგიცვლია, შენი ჩვეულებისათვინაც გამოგეცვალა, ის არა სჯობდა?!“

[896] სტრ. 493: კლეონოფეს უძრახეს: მკდალი ხარო. მიუგო: „კიდეც მაგიტომ ვარ კაი კაცი, რომ ავის საქმის მკდალი ვარ, თვარემ მეც შენისთანა კაცი ვიქნებოდი“.

[897] სტრ. 494: ირაკლიდ იტყოდა: „რომელსაც ქალაქში მეუფობდე, როგორც იმ ქალაქის ვალავნის სიმაგრე გინდოდეს და გაუტეხელობა, აგრეეე იქაური სამართლის სიმაგრე და გაუტეხელობა მოინდომე!“

(Და) აგრევ ცდა გმართებს სამართლის, განვრცობა გექნას შენთანი!“

495. უსამართლოს ცეცხლისაგან მეტად იყავ დამშრეტელი![898]

495–ა. ცეცხლისაგან უსამართლოს უფრო იყავ შრეტის მცდელი!

496. მეზობელი, დიაღ, უხვი დიდს პალატსა იშენებდა,
Და თქვა: „სიუხვე მოკვდავისა უკეღაეებას მოინებდა![899]

496–ა. მეზობელი, დიაღ, უხვი დიდ სასახლეს იშენებდა,
(Და) თქვა: „სიუხვე მოკვდავს გიგავს, უკვდავისებრ სახლს იგებ და!“

497. ხარბი ფუტკარსა ამსგავსა, თაფლისთვის გაირჯებისა,
Და რა დააგსებენ, სხვა არის მჭამელი დანადებისა.[900]

498. დემოკრატემ კაცი ნახა ჩუმად მჯდომი, მას ეტყოდა:
Და „ერთი ეგ გაქეს გონიერთა, მაგით რამე დაგეტყო და“.[901]

499. ქსენეფენ თქვა: „ზოგნი ღ(მერ)თსა დაუჭირლად არ აქებენ,
Და უკამს ღ(მერ)თსა ამის მსგავსნი ჭირში ჰყვანდეს, მაში ებენ“[902]

500. ანაკსიმემ ალექსანდრე ლამპს ქალაქთა პოვა მშლელად,
გამოვიდა შესახვეწრად, მეფემ ნახა მისკენ მსვლელად:
„რაცა მთხოვო, –ღ(მერ)თზე ფიცა, –არ გექნები მომმადლელად“,
Და დარღვევა რქვა, ვეღარ იქნა მეფე ფიცთა გამტეხელად.[903]

---

[898] **ხტრ. 495**: ცეცხლის დაშრეტისაგან უსამართლობის დაშრეტას უფრო ეცადე!

[899] **ხტრ. 496**: ერთი მისი მეზობელი იყო, დიდად კეღეკაშლით და იაფად ცხოვრებდა და კარგს სასახლეებსაც აშენებდა. იმას უთხრეს: „სიიეფე ხვალ-მოკვდავს გიგავს და შენებულობა საკუნოდ სასიცოცხლოს“.

[900] **ხტრ. 497**: ფუტკარი ბევრს ირჯების და თაფლს გააკეთებს, მაგრამ იმ თაფლისათვინ იმათ დაავსებენ და სხვანი თაფლს შესჭამენ (ძვირ კაცს ამსგავსა).

[901] **ხტრ. 498**: დემოკრატ ნახა ერთი ჩუმად მჯდომი კაცი და უთხრა: „ჭკვიანთაკანისა ერთი ეგე გაქვს“.

[902] **ხტრ. 499**: ქსენეფონ იტყოდა: „ზოგნი არიან, სანამდი განსაცდელში არ ჩაცვივიან, მანამდი ღ(მერ)თს არ აქებენ და, რახანც განსაცდელში ჩაცვივიან, მაშინ უფრო ილოცვენ და აქებენ. მაშ, ღ(მერ)თ(მა)ნ ამისთანა კაცი სულ განსაცდელში უნდა ამყოფოს, ამისთვის, რომ მაშინ უფრო აქებენ“.

501. რიგიანია აღგილს თქმა, აროსა გაცუდღებისა,
უგუნარად და უსწავლად მისითვე განქარდებისა,
ბრძენი ანაზდად გამოსცვლის, რაც ძნელად აღუჩნდებისა,
და ადუღებული სიაეი ცოტას წყლით დაწყნარდებისა.

502. უშვერს სიტყვაზედ იტყოდა: „ნურავინ მოიწყინებსა,
და რაცა არ უნდა, მას უბნობს, სხვასაც მას მოასმინებსა!“[904]

502–ა. უშვერს სიტყვაზე მანვე თქვა: „ნუ ჩქარობ, ნუ იქ წყენასა,
(და) რაც შენ არ გინდა, იმას იქ, სხვისასაც მას იქ სმენასა!“

503. ყველასგან უფრო საძნელო – შენახვა საიდუმლოსა![905]

503–ა. ჰკითხეს: „უფრო რა ძნელია?“ თქვა: „შენახვა საიდუმლოს!“

504. ის იტყოდა: „ნუ მუქარობ, არის რამე ქალის წესი,
და მტერს არ მისცემ სიფთხილესა, ეს მეორე უკეთესი“.[906]

505. ცოლის თხოვნა არჩევინეს, თქვა: „უმჯობე რა მოირთო?
და ასეთს რასმე შეეცადე, ქალბატონი არ შეირთო!“[907]

506. ერთი უბნობდა არც მტრისას, არცა მოყვრისა ყოლასა,
და უთხრეს: „ცუდი რამ ყოფილხარ, ვინა იქს შენს აყოლასა?!“[908]

---

[903] **სტრ. 500**: ანაქსიმემან ნახა, ალექსანდრე მეფე ლამპის ქალაქს დასაქცევლად რომ მოადგა. ანაქსიპე ფილასოფოსი მისი ნამოძღვრი კაცი იყო, ლამპის ქალაქიდამ განვიდა და მეფესთან სახვეწრად მიაშურა, რათა ქალაქი იგი არღარა შემუსროს. ალექსანდრემ, რასაც წამს დაინახა, შესძახა: „ვფიცავ ღმ(ერ)თისა სახელსა, რასაც შენ შემომეხვეწები, მე იმას არა ვიქ“. რა ეს ფილასოფოსმა გაიგონა, შეეხვეწა: „ლამპის ქალაქი დაიქცევე!“ ამ სიტყვით მართებული იყო, რომ ის ქალაქი გაეშვა, კიდეც გაუშვა და წამოვიდა.

[904] **სტრ. 502**: ივივე იტყოდა: „უშვერის სიტყვით არავის უნდა აურქარდე; შენც ამას ამბობ, რაც არ გინდა და სხვასაც იმას ასმენ, რაც არ უნდა“.

[905] **სტრ. 503**: ჰკითხეს: „რა უფრო ძნელი არის?“ მიუგო: „ხვამიადის შენახვა“.

[906] **სტრ. 504**: ესეცე იტყოდა: „ნურვის დაემუქრები ამისთვის, რომ, ჰირველად, ქალის წესი არის, მეორე ესე, იმითი შენს მტერს გაახეთხილებ!“

[907] **სტრ. 505**: ამასვე ჰკითხეს: „ცოლი შეირთო თუ არა?“ მიუგო: „ცოლი კი შეირთევ, მაგრამ უფთხილდი, ქალბატონი არ შეირთო!“

507. მტრობა, მოყვრობა ერთმანერთს ახლავს და მახლობელია,
და კაცს ორში ერთი არ სჭირდეს, საქმეა, დიღ, ძნელია.[909]

508. კარგი რამე ქნა კაცზედა, არ გინდა დასაკარგავად,
და ნუ ჰყველდრი, ნურცა სხვას ეტყვი ქებისა გარდასარგავად![910]

508-ა. კაცზე თუ კარგი რამე ქნა, თუ არ გწადს დასაკარგავად,
(და) ნურც დააყველდრებ, ნურც ეტყვი სხვას სხვისგან გარდასარგავად!

509. თუ სიმთელე ტანისა გწადს, სიკვდილს მალ-მალ იკსენებდე![911]

510. „როგორი სჯობს დაბერება?" — დამკითხველსა მიუგებდა:
და „გული ჰქონდეს ყმაწვილული, სიმთელესა მიაგებდა".[912]

510-ა. „როგორი სჯობს დაბერება?" — ჰკითხეს, ისიც მიუგებდა:
(და) „ყმაწვილური გული ჰქონდეს, სენსა აღარ მიაგებდა!"

511. მთლად სიკვდილი დიაღა სჯობს სანახევრო სიცოცხლესა![913]

512. სოლენ ბრძენს ჰკითხეს: „რა არი ბედი და ბედნიერობა?"
და — „მკურნალს გავს, მისთვის ბევრ კაცსა ატყუებს მის მიერობა".[914]

513. შეჯირვებულ მეგობარსა უფრო უნდა მალ-მალ ნახვა![915]

---

[908] **ხტრ. 506**: ერთი ვინმე ამბობდა: „მტერი ერთიც არა მეყავს". ამან ჰკითხა: „მოგეყარე რამდენი გივის?" მიუგო: „არც ერთი". — „მაშ, თურმე ცუდი კაცი ყოფილხარ!"

[909] **ხტრ. 507**: მტრობა და მოყვრობა ერთმანერთზედ ახლო-ახლო არიან. ორში ერთი კაცს არა სჭირდეს, არ იქნების!

[910] **ხტრ. 508**: კაცზე რომ კარკაცობა ქნა, თუ იმ შენი სიკეთის დაკარგჯა არ გინდოდეს, ნურც დააყველდრებ და ნურც სადმე იტყვი!

[911] **ხტრ. 509**: უკეთუ შენის თავის სიმთელე გინდოდეს, სიკვდილს მალ-მალე იგონებდე?

[912] **ხტრ. 510**: ამასვე ჰკითხეს: „რომელი სიბერე სჯობს?" მიუგო: „რომელიც სიყმაწვილეს ჰგავს, სიყმაწვილის მსგავსი სიბერე უსნეულო იქნება".

[913] **ხტრ. 511**: ნახევარ სიცოცხლეს მთელი სიკვდილი სჯობს!

[914] **ხტრ. 512**: სოლონ ბრძენს ჰკითხეს: „ბედი რა არის?" მიუგო: „უცოდინარი მკურნალია, ამისთვის, რომ მრავალი მოატყუებს".

[915] **ხტრ. 513**: მეგობარს უბედურობაში უფრო მალ-მალე ნახულე ბედნიერობისაგან!

514. სიმართლით ნაშოვნთ დაკარგვა სჯობს სიბოროტით შოვნასა,
და მას ერთხელ იწყენ, ამისგან ნახავ მრავალჯერ წყენასა.[916]

515. დაცემულს კაცსა უსმინე, ნუ ჰყვედრი, ნუ დასცინია![917]

516. ნუ ჰგონებ მრისხანებასა, იყოს დიდობის ნიშანი![918]

517. იყავ მორჩილი გულითა რჯულისა ბრძანებისანი![919]

518. ოქრო და ვეცხლი კიდონტზე ადვილი საცნობელია,
და მაგრამ ჭკვიანი ჭკუითა ძნელ საცნობ-საძებნელია.[920]

519. ხრისეს რქვეს: „ქვეყნის რიგებას რად არ დაიჭერ სურებით?“
და — „თუ ავადა ვიქ, ღმერთს ვაწყენ, კარგად — თქვენ
დამემდურებით!“[921]

520. „თუცა ბოროტსა აამებ, — კლეოკულ გვეუბნებისა, —
და კეთილსა უნდა აწყინო, თვარამ სხვა რა იქნებისა?!“[922]

521. ვინც ბოროტით გამდიდრდების, თავსა დიდხან ვერ იმდიდრებს![923]

522. მეგობრისას კარგს ეცადე, უფრო კარგი შეიქნება,
და მტერს ეცადე, დაიმოყვრო, ძალი იყოს, ანუ — ნება![924]

---

[916] **სტრ. 514**: კეთილ ნაშოვარი ბევრი დაჰკარგო, ისი სჯობს სიბოროტის მრავლის შეკრებასა, ამისთვის, რომ დაკარგვა ერთხელ გაგაჯავრებს და სიბოროტით შოვნა-მრავალჯერ.

[917] **სტრ. 515**: კაცს უბედურობისათვის ნუ დასცინი!

[918] **სტრ. 516**: ჯაერი ბატონობის ნიშანი ნუ გგონია!

[919] **სტრ. 517**: სჯულის მორჩილი იყავ!

[920] **სტრ. 518**: ოქროს და ვეცხლს ქვაზედაც იცნობ, მაგრამ ჭკვიანი კაცი ჭკუითაც ძნელი საცნობია.

[921] **სტრ. 519**: სრისეს ჰკითხეს: „ქვეყნის გამგეობას რასთვის არ იჰკრობ?“ მიუგო: „ამიტომ არ ვიჰკრობ, უკეთუ ბოროტად განვაგო, ღ(მერ)თს განვარისხებ და, თუ კეთილად — თქვენ“.

[922] **სტრ. 520**: კლეოკულ იტყოდა: „თუ ბოროტს აამებ, კეთილს კი უნდა აწყენინო, თვარემ არ იქნება“.

[923] **სტრ. 521**: რომელიც ბოროტის საქონლით განმდიდრდება, იგი დიდხანს ვერ იბატონებს!

523. მოყვრის მტერობას უფთხილდი, უფრორე შენის მტრისასა,
და მას ხედავ, მას კი ვერ ხედავ, მახეს დაგიდგამს რისასა![925]

524. რა გინდოდეს დროსა რასმე შენი სახლით გარე გასვლა,
და ჯერ იფიქრე, ისე გადი, სადაც გინდა შენი წასვლა![926]

525. პერიანდრ თქვა: „თუცა გინდა ბევრთა ჰქონდეს შენი შიში,
და შენცა ბევრთგან გეშინოდეს, ასე არის მისი ნიში".[927]

526. ვინც უფრო არის მდიდარი, უფროა ჯავრით მწუხარი![928]

527. ავი ნუ გიყვარს, ნურცა ხარ ავისა მოუბარია![929]

528. ნუ იჩენ უბედობასა, მტერისა გასახარია![930]

528-ა. შენს უბედობას ნებითა ნუ იჩენ, მტერს იამება!

529. არას გარგებს სარგებელსა, მომხვეჭელი ნუ იქნები![931]

530. წინააღმდეგი ნუმცა ხარ მებატონისა, მეფისა![932]

531. იყავ კეთილის მოქმედი, საწყალთა მწყალობელია![933]

---

[924] **ხტრ. 522**: მეგობარს სიკეთე უყავ და უფრო მეგობარი შეექმნება და მტრის დამოყვრებას ეცადე!

[925] **ხტრ. 523**: მოყვრის შურს უფრო უფთხილდი მტრისაგან, ამიტომ მტრის მტრობა იცი და მოყვრისა უყვარდ იქნების!

[926] **ხტრ. 524**: შენის სახლიდამ გამოსვლა რომ გინდოდეს, ჯერ ის იფიქრე, სად გინდა მისვლა, და მერე ისრე გამოდი?!

[927] **ხტრ. 525**: პერიანდრო პრძენი იტყოდა: „უკეთუ გინდეს, რათა შენი ბევრს ეშინოდეს, შენც ბევრისა უნდა ეშინოდეს".

[928] **ხტრ. 526**: იგივე იტყოდა: „ვინც უფრო მდიდარია, ის უფრო ჯავრიანი არის".

[929] **ხტრ. 527**: ავის საქმის მოყვარული ნუ იქნები და ნურც ავს ილაპარაკებ!

[930] **ხტრ. 528**: შენს უბედურობას შენის ნებით ნუ გამოაცხადებ ამისთვის, რომ შენს მტერს იამება.

[931] **ხტრ. 529**: მომალე ნუ იქნები!

[932] **ხტრ. 530**: მეფეთა და დიდთა მეპატრონეთა წინააღმდეგი ნუ იქნები!

[933] **ხტრ. 531**: კეთილის-მოქმედი იყავ და საწყალს მოწყალებას ნუ დააკლებ!

532. ჭკვიანთან ყოფნა გიყვარდეს, კარგის პატივის ცემანი![934]

533. შეიყვარე სიმართლე და მას მისდევდე, მაზე არე,
და სამართალში ცოტა საქმით ნუ შეიწევ, აუარე![935]

534. საძრახავს რიდე, საქმე ქენ, ძრახვამან ვერა გპოოსა![936]

535. არა წაგცდეს რა სიტყვაში ბოლოჟამ სანანელია![937]

536. ნამსახურს და ვალდებულსა მსგავსად პატივს ნუ დააკლებ![938]

537. რისაც არ იყო დამჭირნე, მის მეტს უფთხილდი ხარჯვასა![939]

538. რაც გეცოდოს, ნულარა იქ, შეიქნება მოკვეთილი![940]

539. ნუ მიენდობი დროსა და ცრუსა სოფლისა ჟამებსა![941]

540. უხუცესსა პატივი ეც, ცოტასათვის ნუ მოიწყენ![942]

541. რომ სიკვდილი ახლოს გახლავს, რად დაიჭერ იმას შორად?![943]

542. შვილს ეცადე კეთილს ქალთან, მას არავინ დაგაყვედრებს![944]

543. იჩუქე, ერქვას ჩუქება, არა ვალი და ვახშია![945]

---

[934] სტრ. 532: ჭკვიანთან ჯდომა და უოფნა გიყვარდეს, კარგს რასმე პატივს ნუ დააკლებ!
[935] სტრ. 533: სიმართლე გიყვარდეს, ცოტას საქმისთვის სამართალში ნუ შეიწევ!
[936] სტრ. 534: შენის თავის ზრახვას უფრთხილდი: საქმე ისე მოიუანე, შენთან საძრახავად მიზეზი არავის რა ჰქონდეს!
[937] სტრ. 535: კაცს რომ ელაპარაკებოდე, ასეთი არა უთხრა რა, შემდეომად სანანურად გაგიადეს!
[938] სტრ. 536: ქვეყანაზედ ვალდებულს და ნამსახურს კაცს პატივს ნუ დააკლებ!
[939] სტრ. 537: ნამეტნავს სიიაფეს უფთხილდი, რისაც დამჭირნე არ იყო!
[940] სტრ. 538: თუ რამ შესცოდო, იმას ნულარა იქ და ის შეცოდება მოკვეთილი იქნება!
[941] სტრ. 539: დროსა და ჟამს ნუ მიენდობი!
[942] სტრ. 540: უფროსს პატიც ეც და უბრალოს საქმეზედ ნუ მოიწუენ!
[943] სტრ. 541: შენი სიკვდილი ახლოს რომ იეოს, შორს ნუ დაიჭერ!
[944] სტრ. 542: შვილი კეთილს ქალთან იეოლიე და კერაეინ რას დაგაეუედრებს!

544. ის თვალს წინ წამოიყენე მრისხანე, გაჯავრებული,
და ვისიცა გწადდეს ბრძოლა, და მერმე ქენ შებრძოლებული![946]

545. კირონ მეფესთან სიმონიდ ბრძენმა ქნა დარბაზობანი,
მეფემ უბრძანა: „რა არი,ღ(მრ)თისა მასწავლე გზობანი!“
ჰკადრა: „სამი დღე მაცალე, ვქნა რამე სიტყვის მზობანი!“ 1
და მივიდა, ჰკითხა, კვლავ უთხრა სამისვე შემოცდობანი.[947]

546. უბრძანა: „რად ხარ ეგზომთა დღისა დაცლისა მთხოველი?“
ჰკადრა: „მეფეო, იცოდე, უწყებას თქვენგან მოველი“,
— „რასაც დიადსა მადროებ, კამს ვიყო უფროს მპოველი, 2
და მით, რასაც ვფიქრობ, ძნელად და საკვირველ მიჩანს ყოველი“.

547. თქმულიც რამ არის ასეთი, სიბრძნით არ იპოებისა,
თვარამ მოქმედი ქმნულისგან არად არ მიიგნებისა,
ბევრნი ეცადნენ, დაინთქნენ, თქმული ქვე გაიქნებისა;
და წმიდათ თქმულებსა დავჯერდეთ, სხვა მეტი არ იქნებისა!

548. სხვა რაღავე სჯობს კაცთათვის კეთილის ბუნებობასა![948]

548–ა. „კაცისთვის კარგი რა არი?“— ჰკითხეს, თქვა: „კარგ ბუნებანი!“

549. ჰკითხვიდენ: „ავი რა არი კაცთათვინ შეუსრულითა?“
და — „რისათვინც გაკეთებულა, მას არ იქმოდეს გულითა.“[949]

---

[945] **ხტრ. 543**: საჩუქარი ასრე მიიღე, საჩუქარი ერქვას და არა– ვალი!

[946] **ხტრ. 544**: ვისთანაც ომი გინდოდეს, ჰირველად ისიც განრისხებული თვალის წინ წამოიყენე და შემდგომად ისრე შეები!

[947] **ხტრ. 545+546**: სიმონიდ როდესმე კირონ მეფესთან მოვიდა. მეფემ უბრძანა: „ბრძანი ხარ და მაუწყე, ღ(მერ)თი რა არის?“ მოახსენა: „სამ დღე დრო მეც!“ მესამე დღეს კიდეც ჰკითხა და მოახსენა: „კვალად სამი დღე დრო მეც“. მეფემ უბრძანა: „რასთვის ეგოდენს ჰაეშანს თხოულობ?“ მიუგო: „ეს რა არის? რასაც უფრო ბევრს დროს მცემ, კიდეც უფრო ბევრი მოუნდების.“ ჰკითხა: „რასთვის?“ მოახსენა: „ამისთვის, რომ, რაჟდენსაც ვფიქრობ, უფრო და უფრო მიძნელდება და საკვირველადაც მეჩვენება“.

[948] **ხტრ. 548**: ამასვე ჰკითხეს: „კაცისთვის კარეი რა არის?“ მიუგო: „კეთილი ანაგებობა“.

[949] **ხტრ. 549**: ჰკითხეს: „რა უფრო ავი არის?“ მიუგო: „კაცი, რისთვინაც ქმნული არის, მას არ ჯერ იყოს.“

550. სრული მდიდარი ის არის, ვისაც სწადს არარანია.[950]

551. სასმელ-საჭმლის სუსუნატი ყველას უფრო საბრალოობს![951]

551-ა. რქვეს: „ვინ უფრო საბრალოა?“ – „სასმელ-საჭმლის სუსუნატი!“

552. რა უკამს ქალსა მზითევი? – ნამუსი, სიწმიდენია![952]

553. „ჭკვიანს რით იცნობ? გვასწავლე!“ – ჰკითხევდენ, ეუბნებისა:
და „შეეძლოს, კაცზე არა ქნას ავი რამ მისის ნებისა“.[953]

554. „ავსა რით იცნობ?“ – ჰკითხვიდენ, – „გუნება განავრცელია,
და შეუძლებელად სხვაზედა იყო ავისა მცდელია“[954].

**554-ა. „ავსა რით იცნობ?“ – ეტყოდენ, – „კაცი გუნება ვრცელია,
(და) არ შეეძლოს და სხვაზედა იყოს ავისა მცდელია!“**

555. სჯობს ჩუმად ყოფნა კაცისა მრავლის სიტყვისა თხრობასა,
და ჩუმობით ვის რა დააკლდა, თქმით მიხვედენ გაოხრებასა![955]

556. უცოდველად თუ დაგსაჯონ, სიხარულად მიიჩნიე![956]

557. როს გიორგი ლეონტინმა გასძლო წელი ასდაშვიდი,
სხვათა ჰკითხეს: „როგორ გასძელ, სოფლისაგან არ იწვიდი?“
– „მქონდა წესი ჟამთა ჩემთა, ამ საქმესა არ გადვიდი:
და რის დამჭირნე არა ვიყავ, არა ვჭამდი, არა ვსმიდი“.[957]

---

[950] **ხტრ. 550**: ჰკითხეს: „ჯუშმარიტი მდიდარი ვინ არის?“ მიუგო: „ვისაც არაფერი უნდა“.
[951] **ხტრ. 551**: კუალად ჰკითხეს: „ვინ უფრო საწყალი არის?“ მიუგო: „სასმელ-საჭმელის მსუნაგი“.
[952] **ხტრ. 552**: ჰკითხეს: „ქალს რა უფრო დიდი მზითევი უნდა ჰქონდეს?“ მიუგო: „სიწმინდე და ნამუსი“.
[953] **ხტრ. 553**: ჰკითხეს: „ჭკვიანი რით იცნობა?“ მიუგო: „ბოროტი შეეძლოს და არავის უყოს“.
[954] **ხტრ. 554**: უჭკუო ამით იცნობა: არ შეეძლოს და ბოროტი უნდოდეს ვისთვისმე.
[955] **ხტრ. 555**: ჩუმად ყოფნა სჯობს მრავლის მეტყველებას. მდუმრობით არა დააკლდება რა და მეტყველობით ბევრი წამკდარა.
[956] **ხტრ. 556**: უბრალოდ დასჯა სიხარულად მიეახნდეს!

558. მოვლით, იტყვიან, დიდხანსა კაცი არ გაცუდდებისა,
ნივთსა ერთმანერთს არ მორევ, ტანიცა გაგიწმდებისა;
მიწის ნაყოფი ერთმანერთს სახედ არ ერიდებისა,
და ზოგი დიდხანსა ასხია, ზოგი მალ დასცვივდებისა.

559. მას ჰკითხეს: „ბევრი იცოცხლე, სიცოცხლე რაღათ გინდესა?“
და – „რად დავემდურო სიცოცხლეს, არ ვიცი, რად მომწყინდესა?!“[958]

560. „რით მოჰკვეთს, – ჰკითხეს, – სიმთვრალეს, ვინც მისდევს, ვინცა უკეთსა?“
და – „მისსა ხელობა-ქცევასა ვინც სინჯავს, მალ მოიკვეთსა“.[959]

561. ნავთ ფიცრის სისქე იკითხა, უთხრეს: „ოთხ თითთა ზომით ა“,
და – „დღეცა ჰქონია მაგ სისქე მაშიგან მჯდომთა ნდობითა“.[960]

562. მკვდარსა, – ჰკითხვიდენ, – უფროა ანუ ცოცხალი თემადო?
და თქვა: მენავენი როგორ ვთქვა იმ ორში მისაჩემადო![961]

563. ჰკიცხვიდა ვინმე: „შენა ხარ თათრის თემის და გვარისა“.
ის მიუგებდა პასუხსა გულითა დანამწვარისა:
„თუმცალა მე ვარ საკიცხი ჩემისა თემთა მზღვარისა,
და შენ შენი თემი გიქნია მედარე საკიცხარისა“.[962]

---

[957] **ხტრ. 557**: გიორგი ლეონტინს უთხრეს: „ესოდენი ხანი როგორ გასძელ, რომ ას შვიდი წლისა ხარ?“ მიუგო: „რასაც დამჯირნე არ ვიუავ, მის მეტი არა მიჯაშია რა და ძისთვის გავსძელ“.

[958] **ხტრ. 559**: კვალად ჰკითხეს: „მაგთენი რომ გიცოცხლია, სიცოცხლე რაღად გინდა?“ მიუგო: „არ ვიცი, ჩემს სიცოცხლეს რაზედ დაეუმდურო და მისთვის“.

[959] **ხტრ. 560**: ანხარისის თათარი იუო. მოვიდა ათინას, სწავლა შეუუვარა და ფილასოფოსი შეიქნა. ამას ჰკითხეს: „კაცი სიმთვრალეს რით მოიკვეთს?“ მიუგო: „მთვრალს, ჯირვეულსა და ავ-საქციელსა მალ-მალ თვალში წამოიუენებდე და ამითი მოიკვეთ!“

[960] **ხტრ. 561**: ამანვე იკითხა: „ნავის ფიცარი რა სისქე არის?“ მიუგეს: „ოთხის თითის დადებაა“. თქვა: „მაშ, იმაში მჯდომის კაცის სიცოცხლეც ოთხის თითის დადება ეოფილა!“

[961] **ხტრ. 562**: ამასვე ჰკითხეს: „ქვეყანაზედ მკვდარი უფროა თუ ცოცხალი?“ მიუგო: „მენავენი რომელში ჩავაგდოთ?“

[962] **ხტრ. 563**: ამას ერთი ვინმე ჰკიცხვედა: „თათრის ქვეყნისა ხარო!“ მიუგო: „ჩემი სირცხვილი ჩემი სამამულეა, მაგრამ შენ შენის სამამულის სირცხვილი ხარ“.

563–ა. „თათრის ქვეყნის ხარ, – ძრახით რქვა ერთმა, – მის გამო გრიცხაო“,
(და) – „მე ჩემის თემით თუ მარცხვნი, შენცა შენს თემსა ჰკიცხაო!“

564. თუ კარგი ვარ, არვის მართებს მტერობით რამ დამათვალოს,
მიზეზ რასმე მიძიებდენ ჩემის თემის დასამრჩვალოს;
გვანდეს, თვითან თავის ქვეყნის გასაწბილავ, გასაწვალოს,
და სჯობს ყოველსა სიავესა ავი კარგად გარდასცვალოს!

565. იტყვის ეპიკურ მსწავლელი: „მე ესე ასრე მგონია:
აგებულებით თუ იცლი, მეტი არ მოგიგონია,
გარდგემატების სიმდიდრე, სხვისაგან გაუგონია,
და ნდომის მიმყოლი ყოველი სიგლახის მისაგონია!“[963]

566. შეეძინების მომჭირნეს, რაცა მოვა განგებითა,
ვერც მას პოებს, გაეცლების, თუ რამე აქვს მოგებითა;
სჯობს, დასჯერდეს თავის წილსა, მას იღვწიდეს აგებითა,
და არ მიხვდების საწადელი უგზოს ცდით და გაგებითა!

566–ა. კაცი ცდილობს შეძინებას, თუ რა მოვა განგებითა,
ვერც მას ჰპოებს, ესეც წავა, რაც კელთა აქვს მოგებითა;
სჯობს დასჯერდეს თავის წილსა, მას იღვწიდეს აგებითა,
და ვერ მიხვდების საწადელსა უგზოს ცდითა, გაგებითა!

567. სასუფეველის მდომელი ამასა გააგებდია:
და ცოდვა სცან შენგან ნაქნარი, სიკვდილსა იფიქრებდია![964]

567–ა. თუ გწადდეს სასუფეველი, ჯერ ამას გააგებდია:
(და) სცან ცოდვა, შენგან ნაქნარი, სიკვდილსა იფიქრებდია!

568. ტიმონ ჯდა თავის მოყვსითა, სხვაცაღა იყო მჯდომელი.
რასაც ნახევდა, უკვირდა, ის კაცი ვერ მიმხდომელი.
რქვეს: „ესეც გაგიკვირდების, თქმისაც ვართ რისაც მდომელი,

---

[963] სტრ. 565: ეპიკურ იტყოდა: „აგებულებით თუ იქნები, არასდროს არ კაღარიბდები და, თუ ნდობით იქნები, აროდეს არ გამდიდრდები“.
[964] სტრ. 567: უკეთუ ცხოვნება გინდეს, პირველად შენი ნაქნარი ცოდვა იცან. თუ რა გიქნია, და შემდგომად სიკვდილს იეონებდე!

და სამნი ვართ, ოთხი თვალი გვაქვს, ვით არ ხარ ზედ მიმწდომელი?!“[965]

569. კაცია, დიაღ, ბევრრიგი სოფელსა მოარებული,
შორ-დამნახავი, ცნობილი, ყველაში საკმარებული,
ზოგი თავისი შემძინე, ზოგი სხვის სარგოთ ქებული,
და ზოგს თვალი აქვს და ვერ ხედავს, საქმე სჭირს დია კლებული.

570. ჰკითხეცდა აპოლონისა ბაბილოვნისა მეფეო:
„რითა ვქნა კარგი მეფობა, სახელის მოსაკრეფეო?“
—„პატიოსანთა პატივ ეც, სიმართლის იყავ მყეფეო,
და ნუ გააკეთებ ავს კაცსა, ნურც უსმენს თქვენი სეფეო!“[966]

571. მეფე მდაბალი, მოწყალე, მშვიდი და გულკეთილია,
ქვეყნის მომვლელი, ერთგული, უყვარდეს ვითა შვილია,
გამსინჯავი და სარდალი, რისხვის დროს შეუცილია,
და ორისავ კელთა დარჩება ამის და იმის წილია!

572. ჰკადრა მეფეს ეგვიპტისას წიგნის კითხვა ამად სრულად:
და „რასაც სათქმლად ვერ გიბედვენ, შიგა ნახავ გაბედულად!“[967]

573. თუ არა აქვს წიგნსა ენა, დანაშაულს დაგაყვედრებს![968]

574. ავ-მუცლისათვის თეთრია სარჯელი გარდუსვლელია,
და მეროჭიკისთვის პატივი, ორგულთა რისხვით მკვლელია.[969]

---

[965] სტრ. 568: ტიმონ და მისი მოყვასი ერთად სხდენ. ნახეს: ერთი კაცი, რასაც ნახეცდა, უელას გაიკვირვებდა. უთხრეს: „ამასაც გაიკვირვებ: სამნი ვისხედვართ და ოთხის თვალის მეტი არა გვაქვს!“

[966] სტრ. 570: აპოლონის ჰკითხა ბაბილოვნის მეფემ: „კეთილი მეფობა რით ვქნა?“ მოახსენა: „სამართალი ეიყვარდეს, პატიოსანს პატივს ნუ შოაკლებ, ავს კაცს ნუ გააკეთებ, სხვის სიტყვას ნუ აჰყვები და კეთილი მეფობა იქნება!“

[967] სტრ. 572: დიმიტრი ფარალერია ეგვიპტის მეფეს ურჩევდა, რათა წიგნის კითხვა უყვარდეს, ამიტომ, „რასაც სათქმელად ვერ გაგიბედვენ, იმაში ნახავ!“

[968] სტრ. 573: წიგნი თუმცა არა ლაპარაკობს, მაგრამ კაცს თავის დანაშაულს მაღ დააყვედრებს!

[969] სტრ. 574: ეპიმინდ ბრძენი კრიტის მეფის ემა იყო და სპარსეთის მეფემ თავის ემად მოინდომა და დესპანის კელით თეთრი გაუგზავნა. მან დესპანს თეთრი არ ჩამოართვა და უკანვე უკუებრუნა და ესრეთ დაავედრა: „წა და მეფეს ესრე მოახსენე: თეთრი ავმუცელთათვის სასჯელია, ნების კაცისათვის – პატივი და ორგულისათვის – სიკვდილი“.

575. მსგავსსა ღ(მრ)თისას რასა პოებ, აჩრდილია სრული ბრძენი![970]

575–ა. ღ(მრ)თის მსგავსი რა იპოება, თუ ისევ სრული ბრძენია?!

576. რა გინდ იყო მწვე მდიდარი, მაინც ბედსა ნუ ენდობი![971]

577. თუ ყმაწვილი ხარ, იცოდე, ადრეხან დაბერდებია![972]

578. თუცა ხარ ტურფა, კეკლუცი, მალ შეიქნები გონჯია![973]

579. დაიქე, თუ ხარ კარგ გვარად სწავლული, განაბრძენია,
არც ბედისაგან მოგეცა, მამით არ შეგიძენია,
ვერცა მოგიშლის სიბერე, ვერც სიყმე გამაძენია,
და ვერცა წაგართმევს ბედი და ვერც ვისი მკლავ-სიგრძენია.[974]

580. სიბრძნეს ვერათი იშოვნი, არა გაქვს გ:ულისყურები,
სულსა ცხოველსა არა აქვს შენს გვამში მისაშურები,
სოფლის ზრუნვასა ოშხივარს უპყრია შესაცურები,
და კარგია მარხვა ამისთვის და ცრემლი მოსაწურები!

581. რა იწადო სიბრძნის სწავლა, უწინ ბოროტს განეშორე![975]

582. ხვაშიადსა არ დაჰფარავ, გამოგიჩნდა გასაგონად,
და შენისთანა შეიქნების, ვინცა მიხვდა მოსაგონად![976]

582–ა. საიდუმლონი დაფარე, არავინ პოოს იქ ნება,

---

[970] **ხტრ. 575**: აჰული, ათინული ბრძენი, იტეოდა: „ღმერთს ვერას ამსგავსებ, თუ ჰპოებ, ბრძნის კაცის მეტსა".

[971] **ხტრ. 576**: მდიდარი რომ იყო, ბედს მაშინც ნუ ენდობი!

[972] **ხტრ. 577**: უკეთუ ყრმა ხარ, კიდეც დაბერდები!

[973] **ხტრ. 578**: უკეთუ ლამაზი ხარ, გონჯიც მალ შეიქმნები!

[974] **ხტრ. 579**: უკეთუ სწავლული ხარ და ბრძენი, ის იქე, ამისთვის, რომ არც დაგრჩომია მამისა და არც ბედით შეგხვდომია, ვერც მოგიშლის სიბერე, ვერც სიყრმე და ვერც მიგიღებს ბედი.

[975] **ხტრ. 581**: როდესაც სიბრძნის სწავლა მოინდომო, ჰირველად ბოროტს განეშორე!

[976] **ხტრ. 582**: საიდუმლო მტკიცედ იჰვარ, თვარემ, თუ შენს გაგონილს საიდუმლოს ყველანი შეიტყობენ, იგინიც შენისთანა იქნებიან!

(Და) იდუმალს შენსას ვინცა სცნობს, ისიც შენთანა იქნება!

583. ცილის მთქმელსა, მემშურნესა, ამპარტავან-გულფიცხელსა,
Და უსწავლელთაც მოერიდე, უცებობით განახელსა![977]

583-ა. ცილის მწამებელს, მეშურნეს, ამპარტავანს და ფიცხელსა,
(Და) უცოდნსა კაცსა ერთპირად ერიდე, გასაკიცხელსა!

584. კარგი მიეცეს ბოროტსა, მისთვის ნუ შეგშურდებისა![978]

585. ნუ გამოვა შენის პირით ბოროტი რამ საუბარი![979]

586. მას ეთქმის დამთმო, შეეძლოს, მტერსა არ უყოს მტრობანი.[980]

587. მას ავი, თურმე, არ უნდა, ვის უყვარს კაცი ბრძენია.[981]

588. ორსავ სოფელს საბრალოა, რასაც კაცსა სწავლა ძულსა![982]

589. არისტოტელი მართალი, პლატონ კეთილის მქნელია,
Და ეპიმანდ ბედით შემკული, სოგრატ სიბრძნითა მთელია.[983]

590. ბრძენმა იერმას ქადაგა ათინას წმინდა სამება,
Და ოთხმოცს არწმუნა სოფელსა, მათ მისცა მისი წამება[984].

591. ის იტყოდა: „ვის სიბრძნე გწადს, ბოროტს მიღმა განეშორე!“[985]

---

[977] სტრ. 583: ცილისმწამებელს, ამპარტავანს, მემშურნეს, გულფიცხელს და უცოდინარს კაცს ერიდე!

[978] სტრ. 584: ბოროტის მოქმედს კარგიც რომ დაეშართოს, ნუ შეჰშურდება!

[979] სტრ. 585: ბოროტი სიტყვა შენის პირიდან ნუ გამოვა!

[980] სტრ. 586: მოთმინება ამას ჰქვიან, შენი მტრის ჰასუხის მიცემა შეეძლოს და არ უყო.

[981] სტრ. 587: ვისაც ბრძენი კაცი უყვარს, იმას ავი თურმე არ ჰყვარებია რა.

[982] სტრ. 588: ორსავე სოფელს საბრალო ის არის, ვისაც სწავლა სძულს.

[983] სტრ. 589: არისტოტელი იყო კაცი მართალი, პლატონ კეთილმოქმედი, ეპიმანდ - ბედნიერი და სოკრატ - უბრძენესი.

[984] სტრ. 590: იერმეს ბრძენმა გამოაჩინა ათინას რჯული წმინდის სამებისა და მოაქცია ოთხმოცი სოფელი.

[985] სტრ. 591: იგივე იტყოდა: „რომელსაც სიბრძნე გინებს, ბოროტს განეშორე!“

592. ვინც სიმართლითა მპყრობლობდეს, მას წინ ნუ აღუდგებია![986]

593. სიგლახაკე სჯობს კარგითა სიავით გამდიდრებასა![987]

594. ბევრს ნურას იტყვი მტრისასა, რასაცა არაკობასა![988]

595. ვინც იყოს ჭკუით ღარიბი, საბრალო, გებრალებოდეს![989]

596. კარგია მადლი, ცოდვისა არა ქნა უკეთესია![990]

597. თუცა სიწმინდე არა გაქვს, ბრძენი ვერ შეიქნებია![991]

598. გარდაკდეეინე შენს თავსა შენვე ნაქნარი აევბი,
და სანამ სხვამ ვინმე მოგაგოს მისივე შენაზავები![992]

599. კეთილს გარდა, სულ წაკდება სოფელი და დანაარსი![993]

599–ა. ყველა წაკდების სოფლისა, კეთილის საქმის მეტია!

600. სულ გასწორდეს, რაც რომ არის ბოროტისა საქმის კიდე![994]

601. გამოიცვალოს ყოველი, განსჯისა დღისა გარია![995]

602. ბრძნის რამე დანაშაული სხვას აწვენს, თვალს მიუგებსა![996]

---

[986] სტრ. 592: ვინც სიმართლის მჭყრობელი იყოს, წინ ნუ აღუდგები!
[987] სტრ. 593: კეთილის საქმით სიცლახაკე სჯობს სიბოროტით განმდიდრებასა!
[988] სტრ. 594: შენის მტრისას ბევრს ნუ ლაჰარაკობ!
[989] სტრ. 595: ვინც ჭკუით ღარიბი იყოს, წინ ნუ აღუდგები!
[990] სტრ. 596: მადლის ქნა კეთილია და, თუ ცოდვას არა იქ, ისი სჯობს!
[991] სტრ. 597: თუ სიწმიდე არა გაქვს, ბრძენი ვერ შეიქნები!
[992] სტრ. 598: შენს თაუს სიავისათვის შენვე გარდაკდეეინო, ისი სჯობს სხვისაგან გარდაკდეინებასა!
[993] სტრ. 599: სრულიად დაინთქმის ყოველივე, კეთილი საქმის მეტი!
[994] სტრ. 600: ყოველივე გასწორდება, ბოროტი საქმის მეტი!
[995] სტრ. 601: ყოველივე გამოიცვლება, სამართლის დღის მეტი!
[996] სტრ. 602: ბრძნის კაცის დანაშაული სხუასაც ბევრს აუნებს ამიტომ, რომ თვალს მიუგდებენ.

603. არ მართებს მეფეს, ტკბილ-სიტყვით მფერებელს შეინახევდეს![997]

604. უნაყოფობა ბევრით სჯობს ბოროტის შვილის ყოლასა![998]

605. პლაუთ კომიცის მოწაფეს არ ჰქონდა საქმე სხვანია,
და კარგ-სიტყვა ყოვლთვის კამედის უნდოდა დასახვანია.[999]

606. უნჯის მშოვნელსა ეგონოს სარჯელი მოეშოოსა![1000]

607. თუ არ უნდა სამსახურის მაგიერი ვისმე ყმასა,
და თურმე თავსა ატყუებენ, უბადოსა კმობენ კმასა.[1001]

608. მიკვირს, ზოგს კაცსა ვინც იცნობს, იმათგან საძულელია,
და ვინცა ვერ იცნობს, მას უყვარს, იყოსმცა გაუვლელია![1002]

609. ნუ გინდა სანდო მოყვარედ ხუმარი, მოკრიჭალია![1003]

610. ერთმან ვინცა ქნა ბევრთანა საქმის გაწევის მცდელობა?![1004]

610-ა. ხელია ერთი, ვინც ბევრთან საქმის გაწევას ცდილობსა!

611.სიბილწე არის კაცისა ბედისა იმედობანი![1005]

---

[997] **ხტრ. 603**: დიდის კაცის წესი არ არის, რათა ტკბილი მოუბნარობით მაფერებელნი კაცნი თავისთა თანა იოლციოს.

[998] **ხტრ. 604**: უნაყოფობა სჯობს ბოროტის შვილის ყოლასა!

[999] **ხტრ. 605**: პლაუთ კომიცის მოწაფეს სხვა საქმე არა ჰქონდა რა, კამენდიის მეტი, რომელ არს სათამამო, კეთილ-სიტყვიერი კაცი იყო და ამისთვის ყოვლთვინ კამენდიას აკეთებდა.

[1000] **ხტრ. 606**: თეთრი კაცმან რომ იშოვნოს, ესრეთ ჰგონოს, ვითამც სასჯელი ეშოვნოს.

[1001] **ხტრ. 607**: თუ ჩვენის სამსახურის მაგიერი ბატონისაგან არ გვინდა, მაშ, ჩვენს თავს ჩვენვე თურმე ვატეუებთ.

[1002] **ხტრ. 608**: ეს მიკვირს: ზოგს კაცს ვინც იცნობს, იმათ სძულს და, ვინც ვერ იცნობს, იმათ კი უყვარს!

[1003] **ხტრ. 609**: მეგობრად და სარწმუნოდ მასხარა ნუ გინდა!

[1004] **ხტრ. 610**: ვარონ ბრძენი იტყოდა: „ერთმან რომ ბევრთან საქმის გაწევა მოინდომოს, სიგიჟე არის!“

[1005] **ხტრ. 611**: სიბილწე არის, კაცს რომ ბედის იმედი ჰქონდეს.

612. თქვა: „ჩალადა მჩანს სამოყვსოდ მოყვასი გამდიდრებული!“[1006]

613. რა გულადა ხარ, ოდესცა მლოცველი მაყედრალია,
და ეგრეთ გარდაყლე სიცოცხლე სიწმინდით დაუბრალია![1007]

613–ა. ლოცვას ღ(მრ)თის მხვეწნი ვითა ხარ, ეგრეთ ყავ შენი დღენია!

614. კეთილი საქმე, იცოდე, ღ(მრ)თისაგან არის ყოველი![1008]

615. კეთილს საქონელს ნუ ხადი, ქურდს ძალუცს წამოღებანი,
და ის არის კარგი, კეთილი ღ(მრ)თისა სიამოვნე ნებანი![1009]

616. სულთა სამოსი კორცია, ცმულმან გასცვითოს მცმელია,
და ნახე, თუ მოგწონს, გასცვითოს კორცმანცა სული, – ძნელია.[1010]

617. მყრალს ჭურჭელსა სურნელება რა ჩაასხა, დაუკარგავს,
და ავსა კაცსა ცოდნის სწავლა მის სიაყეს გაუკარგავს.[1011]

618. ბევრს კაცს თავის ცხოვრებანი ბევრის რიგით გაუყვია,
და მაგრამ სიკვდილს გასასწორად მალე პირი მიუყვია.[1012]

619. მშვიდობა გქონდეს ყოვლს კაცთან, ცოდვასა ებრძოლებოდე![1013]

620. ასე მოექეც შენს თავსა, სხვამაც ვერ გიცნას საქებად,

[1006] სტრ. 612: მდიდარი მეკობარი ხვარბლის კილსა ჰკავს.

[1007] სტრ. 613: კისტ ბრძენი იტყოდა: „როყორადაც ლოცვაზედ საყედრებლად ღ(მრ)თისა დადგები და ყედრებას იწყებ, ყერეთყე ყოყლთვის უნდა იყო!“

[1008] სტრ. 614: რასაც კეთილსა იქ, იცოდე, რომ ღ(მრ)თისაყან არის!

[1009] სტრ. 615: კეთილს საქონელს ნუ უკმობ, ამიტომ საქონლის წარმარჯა მჰარავსაც შეუძლიან და კეთილისა კი ვერა. კეთილი ის არის, რაც ღმერთს იამების.

[1010] სტრ. 616: შენის სულის ტანისამოსი კორცია, ტანისამოსმა რომ ტანი გასცვითოს, ნახე, რა კარგია, შენც გააცყეთინე!

[1011] სტრ. 617: სენეკა ბრძენი იტყოდა: „მურალს ჭურჭელში რომ სურნელება ჩაასხა, სიმურალესაც დაუკარგავს და კიდეც განასურნელებს. ეყრეთყე უნდოთა კაცთა ცოდნის სწავლა სიაყესაც დაუფარავს და კიდეც გააკეთილებს“.

[1012] სტრ. 618: ბევრს კაცს თავისი ცხოვრება მრავალ რიგად განუწესებია, მაგრამ სიკვდილი ყოვლსავე განასწორებს.

[1013] სტრ. 619: მშვიდობა კაცთაგან გქონდეს და ცოდვას ყოვლთვინ ებრძოდე!

Და თვარე შენ თავსა აქებდე, ქენ ესე მოსაძაგებად![1014]

621. სიმდიდრის შურსა, დიაღ, სჯობს სიღარიბისა კილები![1015]

622. ცოდვის ცნობისგან გამოვა ცხოვნების აღსავალია![1016]

622–ა. ცხოვნებისა დასაწყისი არს, იცოდე, ცოდვის ცნობა!

623. არა მართებს გონიერსა, რომ ეძებდეს თვითან პურსა![1017]

623–ა. ჭკვიანს კაცსა არ მართებს, რომ ეძებდეს თვითან პურსა!

624. სიმხიარულე ზოგს კაცსა უნდა და მოუწადია,
Და როგორ იშოვნოს არ იცის, მიკვირს, არ უნდა რა დია![1018]

625. იგი ხელია, ვის ცოდნით არა აქვს მხიარულება![1019]

626. ბედი რასაცა არ მოგცემს, წაგართვამს მეტსა ვერასა![1020]

627. ტვირთსა მოიხსნის, ვინ ნებით საკელოს არ აიღებსა![1021]

628. თქვა: „ძნელ–მაგარი სასწავლო კაცთა ცდით და–ცა–ლბებისა!“[1022]
629. თუცა არა გაქვს სიმართლე, სიბრძნეა, დიაღ, ცუდია![1023]
630. ვინც მოწაფედ არ ყოფილა, ის მოძღვარი არ იქნების![1024]

[1014] **ხტრ. 620**: საქმე ესრეთ დაიჭირე, რათა საქებრად სხვამანც ვერ გიცნას, არამცთუ შენი თავი შენ აქო!

[1015] **ხტრ. 621**: ღარიბს დაგცინოდენ, ისი სჯობს სიმდიდრის შურს!

[1016] **ხტრ. 622**: ცხოვნების დასაწუისი ცოდვის ცნობა არის!

[1017] **ხტრ. 623**: ბრძნის კაცის წესი არ არის, რათა ჰურს თვითონ ეძიებდეს!

[1018] **ხტრ. 624**: ეს მიკვირს: ზოგს კაცს სიმხიარულე უნდა და ეს კი არ უწუის, თუ სიმხიარულე რით იპოვების.

[1019] **ხტრ. 625**: სიმხიარულე თუ ცოდნით არა გაქვს, კიეი იქნები.

[1020] **ხტრ. 626**: ბედი რასაც არ მოგცემს, მის მეტი წართმევაც არ შეუძლიან.

[1021] **ხტრ. 627**: ვინც თვისის ნებით საკელოს არ დაიჭერს, მას დიდი ტვირთი თაეიდამ მოუხსნია.

[1022] **ხტრ. 628**: ეოციუმ ბრძენი, რომაელი, ესე იყო კაცი სიმართლის მოყვარული და უსამართლოს პოძულე. ესე იტყოდა: „ძნელი სასწავლო და მაგარი კაცი ცდით დალმება“.

[1023] **ხტრ. 629**: სიბრძნე უხმარია, თუ სიმართლე არა გაქვს.

631. ვერასფერით ვერ ისწავლი ოსტატით და დიდი ცდითა,
და თუ მომთმინე არ შეიქენ გასინჯვით და გამოცდითა![1025]

632. ცოტა ღვინო, ზომიერი, ჭკუას კარგა გაასწორებს,
და ნამეტანი სახეს შეშლის, მასცა შორად გააშორებს.[1026]

633. ხსოვნით არის კარგი ფიქრი, გულმავიწყმა ბრძნად ვერ იროს![1027]

634. გაურჯელად არ იქნება არას კარგის მოსწავლობა![1028]

635. არ თუ შენ დაგდებს პატივსა, სიბრძნეა ასე კარგია,
და შენი ნაწერიც ათას წელ საპატივებლად მარგია.[1029]

636. ბრძენი როგორცა თავისას, სხვათ აგრე ცდილობს სწავლასა.[1030]

637. იმას ბედი ველარ მოგცემს, რასაც შენ რომ გარდააგდებ,
და ვერც წაგართმევს შენაკრებსა, რასაც კარსა შემოაგდებ.[1031]

638. შიში ღ(მრ)თისა თუ არ არის, სულ ქვეყანა განქარდება![1032]

639. თვით არ წააკდენ, კეთილქმნა ღ(მერ)თმ(ა)ნ კაცთ აგებულება.[1033]

640. ვერა ჭირი მას ვერ გავნებს, რომე მტერი შინაური![1034]

[1024] სტრ. 630: ვინც მოწაფედ არ ეოფილა, ის მოძღრობას ვერა იქს!

[1025] სტრ. 631: ვერას დიდის ცდითა და ვერას კაის მოძღვრით ვერას ისწავლი, სანამდი მომთმინე არ შეიქნები.

[1026] სტრ. 632: ზომიერი ღვინო ჭკუას გაუსწორებს და ნამეტნავი სხვასაც მოაშლის, არამც თუ ჭკუასა.

[1027] სტრ. 633: ჰატიოსანი ფიქრი ხსოვნით იქნება და გულმავიწყი ბრძენი ვერ შეიქნება.

[1028] სტრ. 634: გაურჯელად ვერას ისწავლი!

[1029] სტრ. 635: სიბრძნე ესრეთ კეთილი არის: არათუ სიბრძნით შენ ჰატივს ეცემენ, არამედ შენმიერ წერილსაც ათას წელს უკან ჰატივს სცემენ.

[1030] სტრ. 636: ბრძენი კაცი როგორც თავის სწავლას ცდილობს, აგრევე– სხვისას.

[1031] სტრ. 637: იმას ბედი ვერ მოაცემს, რასაც შენ გარდააგდებ, და ვერც იმას წაგართმევს, რასაც შენ შეიკრებ.

[1032] სტრ. 638: თუ შიში ღ(მრ)თისა არ იქნება, ქვეყანა სრულიად დაინთქმის.

[1033] სტრ. 639: თუ თვით შენ არ წაიკდენ, კაცის აგებულება ღ(მერ)თს კეთილად დაუბადებია.

641. შური არ იყოს სადაცა, ჭკუაც იქ მოიძებისა![1035]

642. თუ ფათერაკს ერიდები, არა გწადდეს შესამთხვეევად,
საფიქრალსა იფიქრებდე, შენს ქვეშე ქენ დასაზღვეევად,
ნახე ყოვლი სანახავი, იწვრთენ სწავლა მოსაწვეევად,
და გაიგონე გასაგონი, ის ვერ გექნას მერმე ზღვეევად![1036]

643. თუ ხედავ თავსა სოფელში ბოროტის მონაკრძალოსა,
შემკულსა ყოვლის ქცევითა, სიკეთის დაუმცრალოსა,
ფათერაკი და სხვა რამე ვერ შეგიქს შესაბრალოსა,
და ვერ გაკვრეტს მაღნიტს ჩუგლუგი, რაზომცა მიეძალოსა!

644. კაცო, სიკვდილი გახსოვდეს, იცან შენ შენი თავია,
სინჯე, ვინა ხარ, სით გასჩნდი, ვით იშევ ეგ მოკვდავია!
ნახავ, სიყმიდან სიბერედ რა მიხვალ, როგორ მწვავია,
და ვით გაგიცუდდეს სიტურფე, სახე შეგექნას ავია.[1037]

645. წააკდენს თვალსა კეკლუცსა, ვით ნარგის(ს) ყინვა მწარენი,
ღაწვსა ვარდისებრ ლამაზსა თოვლისა არემარენი,
ზამბახებრ პირი კამკამი დასთრთვილე, დააზარენი,
და ვაჲ, წააქციე ალვისხე, ტურფა და გასახარენი!

646. სულ ყველა გამოიცვლება, ღ(მრ)თის მეტი, მისგან ქმნულია![1038]

647. რას თესლისა ხარ შობილი, რით გამოგზარდა დედამან,
რად ნდომობ, რად ეჭიდები, რაცა არ მოგცა ზედამან?!
დრო მოვა, მიწით მოსრული მიწავე გქნას შემოქმედამან,
და სული დაგრჩების უკვდავად, ეგრე ქნა მისმა მხედამან![1039]

[1034] **ხტრ. 640**: ვერა ჭირი ისე ვერ გავნებს, რომ – შინაური მტერი.

[1035] **ხტრ. 641**: საცა შური არ არის, ჭკუაც იქ მონახე!

[1036] **ხტრ. 642**: უკეთუ ფათერაკისა გეშინოდეს, იფიქრე, რაც საფიქრი იყოს, და ფათერაკი აღარ შეგეშთხვეა!

[1037] **ხტრ. 644**: ჰოი, კაცო, სიკვდილი გახსოვდეს, თავი შენი იცან! განიხილე, ვინა ხარ ანუ საიდამ გასჩნდი და დაიბადე ვითარცა მოკვდავი! ნახავ, რომ სიურმითგან სიბერედ მიიწიო; იხილავ, რომ სიკეკლუცის მაგიერ რავდენი ბოროტი სახე დაედვას შენს კორცსა.

[1038] **ხტრ. 646**: ღ(მრ)თის მეტი, ყოველივე გარდაცვალებადია.

648. ბევრი ეცადენ სოფელში, ჰქონდეს, რაც სწადდეს, იშონა,
ვერა ირგეს რა მაშინცა, საქმე რომ ჰპოეს, იშონა,
ნათლისაგანმა ბნელითა რაღამცა რამე იშონა,
და ვერავინ მიხვდეს კეთილსა, თუ სამჯერ არა იშონა.

649. არა მყოფსა უცხოთა ჰგავს გარდასული ჟამი და დრო.[1040]

650. სიბრძნე გიყვარდეს, ისწავლე ძვირფასი არის სახისა,
და დაცემულთ მაღლა ამწევი, მადიდებელი გლახისა![1041]

651. ვისაც არ უნდა პატივი კორცისა, გინა ტანისა,
და პირველი სიბრძნე ის არის კეთილის მოსატანისა![1042]

652. ვინც პოოს სიბრძნე, ამისთვის დავითც თქვა ნეტარებანი.[1043]

653. გიყვარდეს წიგნის კეთილის კითხვა და გაგონებანი,
სიბრძნე შეგმატოს, შეიტყოთ შემოქმედისა ნებანი,
რომელსა შვენის დიდება, პატივი, თაყვანებანი,
და უკუნით უკუნისამდე ამინ და ამინებანი![1044]

654. წიგნის კითხვა, შეგონება, დაუდვიათ დია სარგად,
ზღაპარი და ყბედი სიტყვა სანახავად დასაკარგად,
საღ(მრ)თოს რისმე გაგონება საუკუნოდ გასაბარგად,
და აქაც პოებს სარგებელსა, ვინცა ისმენს ორსავე კარგად.

[1039] **სტრ. 647**: რომლის თესლიდამ ხარ დაბადებული, რით გამოეზარდა დედაშა, რაში გაიზარდე, რათ ნდომობ? ეჯ– გარდაქცევისა: მიწით ხარ მოღებული და კეთილად მიწადვე მიხვალ. ესეცა მტკიცედ უწყოდე, რამეთუ სული უკვდავ არს.

[1040] **სტრ. 649**: სად არს წარსრული ცხოვრება ჩვენი, ჯითარცა არა ყოფილი.

[1041] **სტრ. 650**: სიბრძნე გსუროდეს, ისწავლე და შეიკრიბე ამისთვის, რამეთუ სიბრძნე მეირფასი საუნჯე არის: სიმდიდრიდამ სიმაღლედ აღგიტაცებს და სიგლახაკიდამ – სიმდიდრედ.

[1042] **სტრ. 651**: ვისცა თვისის კორცის პატივი არა სთნავს, პირველი სიბრძნე და უპატიოსნესი ის არის.

[1043] **სტრ. 652**: ამისთვის ნეტარ არს, რომელმან პოოს სიბრძნე!

[1044] **სტრ. 653**: ამისთვის გიყვარდესთ წერილთ კითხვა, რამეთუ განუაბრძნობსთ და იცნობთ შემოქმედსა ყოელისასა, რომელსაც შვენის დიდება, პატივი და თაყვანისცემა უკუნისამდე, ამინ!

წიგნი მეორე

ქ. მოკლედ გაგონასხსნელი ამბავი რომის კეისრებისა, სხვათა მეფეთა, მთავართა და მაედართმთავრებისა

655. ერთისგან არის სიმრავლე, ნუ სიმრავლისგან ერთები,
ძალი, სიბრძნე და წადილი არ ერთმანერთსა ერთები,
ზღვით ნაკადი სდის, თუ დასწყდა, სულ წაკდა საქმე ერთები,
და ქსელისებრ ცუდი ზღაპარი გასაცვეთელად ერთები.

656. როდისაც სულნი შეიქნა, დაჰყვა სიბრძნე და წადილი,
არც ერთი პირველ არ იყო, არც ბოლოს მოსახადილი;
განყოფა, გინა შერევა არის რამ შეუცადილი,
და ასე თქვა მოსემ, გაცუდდა ფილასოფოსთა ცხადილი.

657. თუ მეთქვა აშიკ-მაშიყთა წადილისებრივ მკობანი,
ეგება ჩემი ლექსისაც ჯრავის ეთქვა გმობილი,
მაგრამ გასინჯეთ ამბავი, ვისაც გაქვსთ გამოცნობანი;
და ქვის ამწევს კელზე შესცივდეს, ბამბისას მიხვდეს თბობანი!

658. იულიანე კეისარსა, ერთხელ ნავით მიმავალსა,
დიდი ღელვა გარდაეცა, ლხინსა ხედავს შენაცვალსა,
შეუშინდენ მენავენი მას მეფესა გულად რვალსა;
და — „ნუ იშიშვით, კეისარი მიგყავს, მისდევთ მისა კვალსა!“[1045]

659. კარგია, საცა წესია, შიში, კრძალვა და რიდობა,
მისსა უდროოდ ქონებას სჯობს შორად განაკიდობა,
არ დაიხსნების მოსული, ცუდია სხვისა მკიდობა,
და გასაძლისია, მეფესთან ჭირი მოგხვდეს თუ მშვიდობა.

660. ერთის გუნდიდამ მედროშე ნახა მტრით გაბრუნებული,
შეიპყრა, მუნვე მიჰყვანდა იგ მისი მოუნებული,

[1045] სტრ. 658: იულიანე კეისარი ერთხელ ნავში იჯდა და დიდი ღელვა აღუდგა. ესრეთი, რომ თვით მენავეთ-მოძღვარი იკი დიდად შეშინდა. უბრძანა: „ნუ გეშინიან, კეისარი მიგეყვას!“

უთხრა: „სად მიხვალ, უცებო, კვალისა გაუგნებელი?!
და ძოღან რომ ბრძოდი, ეგ არი შენგან არათი ვნებული“.[1046]

661. რად საკმარია კაცისა, ურიგოდ ჰქონდეს წყლულები,
ან უდროს გამოჩენისას შიშით უკრთოდეს გულები,
სახელისათვის სიკვდილი ეგონოს დაკარგულები?!
და რა ბრალი არის, ორის გზით კაცი ჯაბანად თქმულები!

662. აგვისტოს ესმა, კეისარს, ქრისტეს ეძებდა ჰეროდე,
ჩჩვილნი მოსრნა და შვილიცა მოკლა, ამასა ჯეროდე,
„მისსა შვილობას გერჩიენა, – თქვა, – ღორთა ჩაეწეროდე!“
და ისრაელთ ღორი მიაჩნდა საძაგლად შესამზეროდე.[1047]

663. შური დააბრმობს კეთილსა, თვარამ რად ეძებს ბილწია,
ახალ ნაშობსა ყსაწვილსა, ვის არა ჰქონდა ბიწია!
ეგები, მისმა გაზდამა, მე ცოტა რამე მიწია,
და ან გასძლებ, იცი, მანამდი ანუ ხარ დანამიწია.

664. კეისარმან ავად მქცევის ყრმისა ბრძანა გაძებანი,
ყრმა მიწასა დაეფინა, ქნა ვედრების მოძებანი:
„მას შევსძულდი, მამაჩემსა რითლა უყო მე ძებანი?“
და – „წა, ასე თქვი: მე შემძულდა, არ ვინდომე ბოძებანი“.[1048]

665. ვისაც უნდა შვილი შვილად, სოლომონსა დაუჯეროს,
სწავლისათვის ნურას რიდებ, ჯერი იყოს ან უჯეროს,
თვარამ ბოლოს გაგიკდება საწუხარად, მტრის სამტეროს,
და ყრმამ პატივი უშიშარად კარგად ვერა შეიფეროს!

[1016] **ხტრ. 660**: ნახა, ომიდამ ერთის კუნდის მედროშე გამოქცეულიეო. დაიჭირა, ისევ იქაე მიიეუანა და უთხრა: „ვისთანაც წელან ბრძოლა იწყევე, ეგენი არია“.

[1017] **ხტრ. 662**: აგვისტოს კეისარმა გაიგონა, ვითარშედ ჰეროდე, ჰურიათ მეფე, ახლად-შობილს იესოს ეძიებს და სირიის ყრმანი ყოველნიენე მოსრნა და მათში თვისი ძეც უწყალოდ მოკლა. ბრძანა: „მამ, ღორის შვილობა სჯობებია ეროდეს შვილობასა!“ ამისთვის ბრძანა, ჰეროდე ჰურია იყო და ღორს არა სჭამდა.

[1018] **ხტრ. 664**: ამავე კეისარს ერთის ყმაწვილის გაგდება უნდოდა თავის ჯარიდამ ბოროტის რისამე საქმისათვის. მივიდა იგი ურმა და ეუედრებოდა: „უსრეთ ნუ განმაგდებ, რამეთუ მამაჩემს ვერ ვეჩვენები და ვერცა ამას მოვახსენებ, თუ კეისარს შევსძულდი“. უბრძანა: „უსრეთ უთხარ, კეისარი მე შემძულდა-თქო და მე კი გამეცალე“.

666. მოლაშქრე ვინმე წყობაში თავის გატეხას იქებსა,
მეფემ უბრძანა სიტყვანი, გვანდა ორნაკრავს სიქებსა:
„კვლავ თუ გაიქცე უკუღმართ, ნუღარ მიხედავ მქიქებსა,
და თვარამ უფროსად გიმსგავსებს კვერის ნაკრავსა ჭიქებსა!“[1049]

667. თქმა და ვერა ქნა საქმისა არ მართებს გულით სალებსა,
ცუდი რამ ქცევა კაცისა კაცსა დამართებს ძალებსა,
უადგილოსა სიტყვანი მიჰგავს დამწველსა ალებსა,
და ავია ცუდი ტრაბახი, წააკდენს პირის წყალებსა!

668. მოკვდა საჩინო და დარჩა, დიაღ, მრავალი ვალები,
კეისართანა იჩივლეს, მიმცემთა გეჭირსო ძალები,
ბრძანა: „გაყიდეთ, რაც გქონდესთ, წილით მიეცით მცრალები,
და საბანი მისი მიყიდეთ, ნურას ხართ მონაკრძალები!“[1050]

669. ჰკადრეს: „მის საბანს რას აქნევთ, რამც ჰქონდეს გამოჩენანი?“
ბრძანა „კიდეღა ეძინა, სჭირდა ამ ვალის ქონანი,
ძილი სჩვევია ურიცხვი, უსაზღრო, აუწონანი,
და ძილ-მკრთალი წამოვიხურავ, მომხვდება მისი კონანი“.

670. მიკვირს კაცისა სიბრძნე და ცუდი საქმისა ქმნელობა,
იღებს და ხარჯავს, არ იცის ბოლოდ იმისი ძნელობა,
ჰგონია, ცუდად შექნილი არის სოფლისა ტრელობა.
და ბოლომდი გასწევს ნაქნარი ნათელი ანუ ბნელობა.

671. ავი არის კაცისათვის, თავი თვისი გაიწვალოს,
ვერ იკმაროს მონაგები, სხვაებრ რამე გარდიცვალოს,
არც მას ვაქებ, ცუდად ხარჯოს, სხვას იღებდეს გზა უკვალოს;
და რა კარგია კაცისათვის, ვალი ვალსა დაევალოს?!

[1049] **სტრ. 666**: ერთი მოლაშკრე ნახა, თავს იქებდა, რომ ომში თავი ქვითა გამიტეხესო. უბრძანა: „მეორედ რომ გაბოიქცე, უკან ნუღარ მიიხედავ, თვარემ კიდევ გაგიტეხენ!“

[1050] **სტრ. 668–669**: ერთი დიდი კაცი რომელიმე, მოკვდა და, დიაღ, მრავალი ვალი დარჩა. რაც ჰქონდა, ყოველივე გაჰყიდეს, მაგრამ ვალს მაინაც ვერ აღუდგა. კეისარმა ბრძანა: „მისი საბანი მე მომყიდეთ! მოართვეს მისი ნახურავი საბანი და მიჰყიდეს. ყსე ეველას დიდათ გაუკვირდათ და ბრძანა: „რადგან ამ საბნის ჰატრონს ამდენი ვალი ემართა და კიდევ ეძინა, მაშ, თურმე, ამ საბანს ძილი სცოდნია და ამიტომ ეიყიდე“.

672. მას კეისარსა მომსვლელსა ქალაქად გამარჯვებულსა,
აზნაურს ყვავი კელთ უჯდა, ხედევდა მიგებებულსა,
უძახდა მეფეს მძლესა და გამტეხსა, გასარდლებულსა, 1
და მეფემ უბოძა მრავალი, იქმოდა ამოგებულსა.[1051]

673. ნახა მეჩექმემ, ამ კაცმა ბევრად გაყიდა ყვავია,
მანც წვრთნა დაუწყო, ეგების, გავზარდო მისი მგვავია;
როს ვერ ასმენდა, გაჯავრდის ამ სიტყვის შემაზღვავია: 2
და ვაი, რა ცუდად წამიკდა ჩემი სასჯელი ზვავია!

674. ამ ყვავმა მისგან ისწავლა, მიჰყავს კეისრის ძღნობილად,
მიართვა; ბრძანა: „ბევრი მყავს, შემქნია დასაგმობილად“.
ყვავმა ის სიტყვა წარმოთქვა, რაცა ესწავლა წყობილად; 3
და იამა, მისცა საბოძი ყოველგან გასაკმობილად.

675. კარგია ცდაცა კაცისა, თუცა გზა ჰქონდეს ჟამებსა,
მაგრამ უგზოდ და უგვანად ნურავის შეიწამებსა;
ნდომით ცდა, რიგი არ ჰქონდეს, კაცს ცუდად გაახამებსა.
და კარგზე კარგია სასჯელი, კორცს არგებს, სულს აამებსა!

676. ამავ კეისარს ქალი ჰყვა, არ ჰქონდა ბევრი ხანები,
თმაში ჭალარა გაუჩნდა, გულისა დასანანები,
მხლებელთ უბძანა დაგლეჯა, რაც იყო თეთრი თმანები; 1
და მამა შეესწრა, არ უთხრა სიტყვა რამ შეუგვანები.[1052]

[1051] **სტრ. 672–674**: ესეც კეისარი გამარჯვებული მობრძანდა და ერთი ღარიბი აზნაურიშვილი მიეგება კელზედ ყვავი უჯდა. იგი ყვავი გახწაულული იო და ესრეთ იძახდა: „გამარჯვება ჩვენს კეისარს, გაუტეხელს, გამრიკეს!“ ესე ყვავისაგან დიდად გაუკვირდა კეისარს და ყვავში მრავალი თეთრი უბოძა. ნახა ეს ერთმა მეჩექმემ, რომ ამ ყვავში ამთენი თეთრი უბოძა, წავიდა და თვითონაც ერთს ყვავს წვრთნა დაუწყო. როდესაც მართლა ვერას იტყოდა, მეჩექმე კაჯავრდებოდა და იტყოდა: „ჩემ(მ)ა სარჯელმა ცუდად ჩაიარა“. ამ ყვავმა ამის მეტი ვერა ისწავლა რა. მემდგომად მეჩექმემ ეს ყვავი კეისარს მიართვა და მიულოცა ყვავმა კეისარსა. კეისარმა ბრძანა: „მაგისთანა მომლოცველნი მრავალნი მყვანან“. ამ დროს ამ ყვავს იმ მეჩექმის ჯაჭვიც თურმე მოაგონდა და თქვა: „ჩემ(მ)ა სარჯელმა ცუდად ჩაიარა“. გაიცინა კეისარმა და იმასაც მრავალი უბოძა.

[1052] **სტრ. 676–677**: ამავე კეისარს ჰყვანდა ქალი ულია და უდროოთ თავში ჭაღარა გამოერია. შეიკმნო თვისი მკვეთლნი საწოლში და ჭაღარას გლეჯა დაწუებინა. ამაში მამა შეესწრა და არა უთხრა რა. ცოტას ხანს უკან ამბავი ჩამოუჯდა და უთხრა: „შვილო,

677. ხანი გამოჰკდა, კითხვითა ტკბილად რამ ეუბნებოდა:
„ბელოტი სჯობს თუ ჭაღარა, რომელი გენებებოდა?“
ჰკადრა: „ჭაღარა სჯობია, ის ვისმცა ეგონებოდა“. 2
და –„მაშ, შენ რასათვის იგლეჯდი ანუ რად გეოცნებოდა?!“

678. ბერსა სწადია, ყრმა იქნას, – ცუდი და ცუდი ცდანია!
მაინც იქ უნდა მივიდეს, ძმა არის ანუ დანია;
ბოლოდ სიკვდილი კაცისა არვისგან მოსახდანია;
და შეუწდომელის შეწდომა საქმეა დასაცდანია!

679. მწვე კარგია ქალისათვის ქრმისთვის ტურფად დაშვენება,
თვითც ხარობდეს მისი ნახვით, მასცა მისცეს განსვენება,
მაგრამ ზოგთა გველისაგან უფროსი აქვს კაცის ვნება,
და რა ქმარს ნახავს, პირს მოიშლის, სხვას კეკლუცად ეჩვენება.

680. ტიბერიუმ კეისარსა ერთმან ვინმე მოახსენა:
„შენს ავს ზოგი ლაპარაკობს“; გულსა შინა ჩაეხსენა,
ბრძანა: „ავს ხომ ვერვინ მიზამს, ეს მეყოფა, დამეხსენა,
და ვის რა სწადდეს, ის იუბნან, რაცა ვისა გაეხსენა!“[1053]

681. ხედავ მეფესა მაღალსა, რა გული უჩანს დარულად,
სიმდაბლით დგება, თვარა და ძალუძეს გასამწარულად!
ზოგს მცირე წყენა შეაშთობს, უარშიოსა ხარულად;
და ამპარტავანი, ამაყი მისთვისვე გაკმეს სარულად!

682. ვესპასიანე ტიტესა სძრახვიდენ მეგობარები:
მოჩივარს უსჯის, ხაზინის წარკდეს რომ კიდეც მხარები.
ბრძანა: „როგორ ვქნა, მოვიდეს კაცი ჩემს წინა მარები,
და პირშეხმუჭვილი გაუშვა, მექნება შესაზარები?!“[1054]

სიბელატე გირჩევნია თუ ჭაღარა?“ ქალმან მოახსენა: „ჭაღარა მირჩევნია.“ მამამ უბძანა: „მაშ, რას აგლეჯინებდი თმასა სიჭაღრისათვის?!“

[1053] **სტრ. 680**: ტიბერიუმ კეისარს ერთმა ვინმე მოახსენა: „შენს ავს ლაპარაკობენ“. მიუგო: „მე ესეც მეყოფა, რომ ავს ვერავინ მიზამს, და სიტყვით, ვინც უნდა, ილაპარაკოს!“

[1054] **სტრ. 682**: ტიტე ვესპასიანეს თვისნი მეგობარნი დასცინოდენ: „რაც კაცი მოვალს და შემოგრიყულებს, რაკიდა შენის ხაზინის დასაკლისი იყოს, მაინც სამართალს უსამ!“ მიუგო:

683. ასე კამს მეფე მოქმედი, გავსჭვრეტდეთ მისა ქმნულებსა,
არც თავის დასაკლისისთვის, ან სხვას დააკლდეს გულებსა,
არ გაამრუდოს სწორი და ნება არ მიცეს წყლულებსა,
და გახსოვდეს თქვენცა წარდგომა ქედ-დახრილ, კელშეკრულებსა!

684. ალექსანდრე მაკიდონელს სჭირდა დიდი მოწყალება,
ვინცა სთხოვდის, მალე უყვის მისის ნების აღსრულება,
არ-მთხოვნელსა უბძანებდის: „მაქვსო შენგან გულის კლება,
და შენს მოვალედ რატომ მიჭერ, თუცა გინდა ჩემი ხლება?“[1055]

685. შენს და უშენსა სულ მორწყავს, რა წვიმა აღმოცენდების,
აგრევე მეფეთ სიუხვით მტერები შეუქენდების,
შემძლებელთ კელსა დაუჭერს, უდარე აუშენდების.
და რაც მომკო მიწის ნაყოფი, ეგრევე აღმოსცენდების!

686. ლაშქრად იყო და მკედარმა ბაღისა შეელო კარები,
ასე მოიქცა, არ იყო პატრონის გასახარები,
მოიკმო, წყრომით უბრძანა სიტყვანი გასამწარები:
და „სხვის ბაღს ნუ უზამ, რაც გქონდეს შენს ბაღში შესაზარები!“[1056]

687. არა მართებს კაცსა კაცზე, რომე იყოს მოუკრძალად,
სოფელს ბევრჯერ გაუხდია მშრალი წყალად, წყალი მშრალად,
თავდაღმართი მოიფიქრე აღმართისა გარდასავლად,
და რასაც სხვისთვის მოინდომებ, მოგეცემა შენცა მრავლად!

688. კაცი ქარისა მემსგავსე ყველასა ეპირებოდა:
„კეისართანა გიშველი!“ მით ქრთამი ემდიდრებოდა;
თქმაცა არ ეძლო სიტყვისა, რამც არა მოიკრებოდა, 1

„ამას თუ არა ვიქ, არ იქნება, მართებული არ არის, კაცი რომ კეისართან შევიდეს და იქიდამ მშვენიერე განვიდეს“.

[1055] **სტრ. 684**: მეფე ალექსანდრე ესეთი მოწყალე იყო, ვინც კაცს სათხოვარს აღუსრულებდა და, ვინც არას თხოვდა, იმათ ასე უბრძანებდა: „შენს მოვალედ რათა მხდი?!“

[1056] **სტრ. 686**: ერთხელ ლაშქრად იყო და ერთი მისი მკედართაგანი სხვის ბაღში შევიდა და ხილს გლეჯა დაუწყო, გაუწურა და ესრეთ უბრძანა: „რაც სხვისგან შენს ბაღში საქნელად არ გინდოდეს, იმას შენ სხვას ნუ უზამ!“

და ესმა მეფესა საოცად, რისხვითა მასზე სწყრებოდა.[1057]

689. ბრძანა შეპყრობა: „ხეზედა მიკრული მიაბენითა,
იქით და აქეთ საკმევი სამყრალო უყრჩოლენითა,
აძახეთ ესე საძახი წამდაწამ გამოჩენითა: 2
და «რასაც ქარს ვყიდდი, ის მომდის ავ-სვინდისისა ზნენითა»!“

690. სიხარბე კაცსა დააზრობს, ვით ყინვა ვარდის კონებსა,
შოებისათვის აცსა და უხამსა მოაწონებსა,
შეუფერისა აუგსა არად არ შეაწონებსა,
და აღსძრავს სიცრუესს სიცრუვით, სიცრუესს გააგონებსა.

691. ავრიანე მეფე იყო თისის ქალაქს შამამდგომად,
მოქალაქე გაუმაგრდა, შეეცადენ ძალსა ომად,
მოლაშქრენი დაიღალნენ, მეფე სწყრების მათ საშრომად. 1
და ფიცი ბძანა: მათსა ძაღლსაც ამოვსწყვეტო უსაზომად![1058]

692. რა ესმათ მკედართ მეფისგან, თქვეს: „მოგვსვდა გამდიდრებანი!“
ბრძოლა დაუწყეს, აიღეს, სწადოდათ მათი კრებანი:
ვითა წესია მეფეთა მოწყალებისკენ რებანი, 2
და არ წააკდინა ქალაქი, შესძინა მოწყალებანი.

93. მკედართა ჰკადრეს: „მეფეო, თქვენ ბრძანეთ ფიცი პირები:
«ამათ ძაღლსაცა ამოვსწყვეტ, უყო ასეთი ჭირები!»“
ბრძანა: „ძაღლი ვთქვი, სწორს უბნობთ, აწცა ამაზე ვირები, 3
და წადით, დაჰკოცეთ, არ გიშლი, შეჰქენით განაწირები!“

[1057] სტრ. 688–689: ერთი ქარის მსგავსი კაცი უველას ვისმე ჰბირდებოდა კეისართან საქმის გარიგებას და ქრთამს ართმეედა და ვერავის რას ურიგებდა. შეიტყო ესე კეისარმა, გაწერა და ბრძანა: „ხეზე მიაკრით, იქით და აქეთ მურალი რამ უურჩოლეთ, რათა მისი სუნი მისდიოდეს და ასე აძახეთ: «მე ის ქარი მომდის, რომელსაცა ვყიდდი»“.

[1058] სტრ. 691–693: როდესაც ავრიან მეფე თისის ქალაქს მოადგა, მოქალაქენი დიდად გამაგრდენ და მოლაშქრენი დაშვრენ. ამაზედ გაბრისხნა მეფე და თქვა: „უსაცილოდ, თუ ეს ქალაქი აღვიღე, ერთს ძაღლსაც აღარ გაუშვებ ცოცხალს!“ ეს მოლაშქრეთ იამათ და გაშენდენ, რ(ამეთუ) მეფე ქალაქს უწერების და ბევრს ვიშოვნით და აღვიღოთ. როდეს შეუტიეეს და აღიღეს, მეფემ მოქალაქეთ ურიგო არა უყო რა. მოლაშკრეთ მოახსენეს: „არ ასე ბრძანებდით, ძაღლსაც აღარ გაუშვებ ცოცხალსა?“ უბძანა: „წადით და ძაღლები დაკოცეთ! მე ძაღლების სიკვდილი მიბძანებია, კაცის ხომ არ მითქვამს?“

694. კაცს მართებს საქმის მოყვანა სიბრძნისა საზომებითა,
ნახოს, განსინჯოს, რა მოსდევს მას მისის მიდგომებითა,
დაადვას მისი წამალი მშვიდობით ან ომებითა,
და არა, არ იქნას საქნელი ძალით და მონდომებითა!

695. მაკედონელის მამასა, ფილიპედ სახელდებულსა,
ერთი ყმა ჰყვანდა, დაფარვით მის ძრახვას იქმდა გებულსა.
ჰკადრეს: „გააგდე, რათ გინდა?“ — უბრძანა მთქმელთა კრებულსა:
და „აწ ჩუმად უბნობს, გამდგარი, ურცხვათ მყოფს განქიქებულსა“.[1059]

696. ავიც არ სჭირდეს, კაცს მართებს, მაშინ ძრახვისა რიდება,
თუ ეს არ გინდა, როს ნახო, გულში უმართის მიდება,
ვით ნორჩი, ადრე მოჰკვეთე, მას უყავ განაკიდება,
და ნიგოზი ცოტა ამოვა, ძირგადგმით გაგიდიდდება!

697. ორი ავისა მოქმედი ყმაწვილნი მასთან ჩიოდა,
ერთის კატარღით დაკარგვა ბრძანა, სამართლით ვსჯიო და,
მეორეს დაუკარგავად, ნებით ნურავინ სჯიო და
და უკანით გამოუყენეთ საწუხრად არსად ყიოდა.[1060]

698. ძნელი რამ გარდეკიდება ყრმას უშიშობით მჩვევარსა,
ნებით გაზდილი, სათუთად რას მისწვდეს მისაწევარსა?!
ეგონოს თავი გაწვრთნილი, ვერ ასწევს ასაწევარსა;
და სინანულს მისცემს სოფელი სიყრმის ქარისა მდევარსა!

699. ჰრქვა ალექსანდრეს მამამან, ყრმობასა მასთან მდგომელსა:
„გაექეც ვისმე, გავსინჯო, სიჩაუქე გავს რომელსა?“
— „თუ გამარჯვება რქმებოდა მაგისა რასმე მდომელსა,
და უთუოდ გავიქცეოდი, ვყოფდი თქვენს მისახდომელსა“.[1061]

[1059] **სტრ. 695**: მეფე ფილიპე, მამა ალექსანდრესი. ამას ერთი უმა ჰყვანდა, რომ ეროველთაის იმის ავს ჩუმად ლაპარაკობდა. მოახსენეს: სულ შენს აუკს ლაპარაკობს და გააგდეო. ხოლო მან არა გააგდო. მოახსენეს: „რატომ არ დაგეოჯერე მისი გაგდება?“ ბრძანა: „ამიტომ, რომ ახლა ჩემს აუკს ჩუმად ლაპარაკობს და, რომ გავაგდო, მაღლა ყვირილს დაიწყებს“.

[1060] **სტრ. 697**: ორნი ავის მოქმედნი ყრმანი მასთან სახიყვლელად მივიდნენ და მათი სამართალი ესრეთ ქნა: „ერთი კატარღაში დაჰკარეთ და მეორეს ნუ დაჰკარგავთ, ნებით უკან გამოუყენეთ!“

700. მკარ-ბეჭთა სისქე, სიტურფე საშოებელად ძნელია,
კისკასი ქცევა, კელ-ფეკი ბევრის კარგისა მქნელია,
სიმკნე და ძალი თუ არის, მტერისა მოსაქნელია,
და მაგრამ ის გული პატარა დიდი რამ საქონელია.

701. ალექსანდრესთან ქალთ ზითვად კაცია თხოვად რებისა,
ბრძანა ას ტალანტთ ბოძება საუნჯით შესაკრებისა;
ჰკადრა: „მე ათიც მეყოფა საჩემოს მოკმარებისა“.
და – „თუ შენ საშოვრად ბევრად გჩანს, მე ძლევად მემცირებისა“.[1062]

702. თუცა ბრძენები ყოველი სიუხვის იქმან წერასა,
ვისცა რა როგორ შეეძლოს ძმისა კელისა ჭერასა,
მაგრამ მეფეთა სხვა არის, ვინც იქმან მათსა მზერასა,
და არა გავს ზღვისას სხვის წყლისა ღადონი გამოჩქერასა!

703. ალექსანდრე უბრძანებდა უხუცესსა საჭურჭლისას:
„ესე ბრძენი წაიყვანე, რასაც გთხოვდეს შეუძლისას,
საწადელი აღუსრულე, ნურასა იქ დასაკლისას!“ 1
და ჰკადრა: „ითხოვს ორას ტალანტს საბოძვარად მინათვლისას“.[1063]

704. უბრძანა: „მიეც უკლებლად, კარგი ვინმეა გვარული,
ჰყავს ვინმე მეგობარები კარგსა მრავალი ჯარული,
სთხოვენ და მისცემს უშურველად, შეიქნან გასახარული.
და თურმე სცოდნია გაცემა, მისცემს გულ-გაუმწარული“.

[1061] **ხტრ. 699**: მეფეს ალექსანდრეს უთხრა მამამ სიერმის დროს, როდესაც ალექსანდრე მცირე ერმა იყო: „აგიქცე ვისმე, რათა ვიხილო, რომელს უკეთესი კელ-ფეკი გაქვს“. მიუგო: „თუ, ვისაც უკეთესი კელ-ფეკი გვექნებოდა, იმას გამარჯვება ერქვას, გაგიქცეოდი“.

[1062] **ხტრ. 701**: ამავე ალექსანდრეს ერთი ვინმე შეეხვეწა: „ამდენი კელი აღმიბჟარ, რათა ქალის გათხოვება შევიძლო!“ აღიღო და ასი ტალანტი უბოძა. მოახსენა: „მე ათიც მეყოფოდა“.
მიუგო: „შენ წასაღებად ათიც გეყოფა, მაგრამ მე მოსაცემად ასიც მეცოტავება“.

[1063] **ხტრ. 703–704**: ალექსანდრეს ერთი ფილასოფოსისა ბრძანა: „წაიყვანეთ და, რაც ითხოს, მიეცით!“ მოლარეთ-უხუცესმან მოახსენა: „ორას ტალანტს ითხოვს და რას ბრძანებ?“ მიუგო: „წადი და მიეც! კარგი კაცი თურმე არის, რომ ასეთი მეგობარი ჰყავს, რასაც სათხოვარს ითხოვს, მისცემს და კიდევ შეუძლია“.

705. კარგია კაცის სოფელში კარგვარად თავის ცნობანი,
ყოველსა კაცსა საჭიროდ სჩანს, აქვს დიდი მისანდობანი,
თუცა არა აქვს, ყველა აქვს ზომაზე დიადობანი,
და სულსა მიხვდება ნათელი, კორცს — საუკუნო მკობანი.

706. თავადსა ჰქონდა ქალაქი მაგარი, აულებელი,
მან ალექსანდრეს უომრად მისცა კართ გასაღებელი,
უბრძანა: „მომეც რისათვის, გქონდა სისხლთ შესაღებელი?“ 1
და მან მოახსენა ყოველი გულისა გასაღებელი:[1064]

707. „მე გალავნისა სიმაგრის არ ვიქმენ მი-ცა-ნდობილი,
გამარჯვებულსა ვაჟკაცსა უფრო მოგენდევ ცნობილი,
რა ავათ ვქენო?“ იამა მეფეს, შეექმნა ტკბობილი, 2
და ისიც მას მისცა, სხვაც — ბევრი, გაკადა მისი ძმობილი.

708. ბედსა ვინ იტყვის, რომ იყოს მომცემი ერთი სახისა?
ჭკუა ანაზდად გარდასცვლის, რაც სახე მოვა ახისა,
ბრძენი სწუნობენ ყოველი, უმჟავედა სჩანსთ წმახისა,
და ბედი ცრუ, ცუდი სანდობი, ჭკუა მომცემი ვახისა.

709. ესმა კაცისა ვისგანმე ავად იმისა კსენება;
„ერთი რამ იარაღია მეფისა, — ბრძანა, ენება, —
ყველაზე კეთილს იქმოდე, ამისი გქონდეს შენნება,
და შეცოდებისა პასუხზე კაცთა არ უყოს ყენება!“[1065]

710. ვაი, რა სანატრელია დამთმო და მშვიდი გუნება,
მოწყალე, მიმტევებელი, ნებითა არა-უნება!
შემქნელსა მასვე ხადიან, მთქმელთა არა აქვს ცდუნება,
და ღვრთის მიბაძება კაცთაგან ვისგან ვით დაიწუნება?!

[1064] **სტრ. 706–707**: ერთს ვისმე თავადს დიდად მაგარი და აუღებელი ქალაქი ჰქონდა და ალექსანდრეს უომრად დაანება. ჰკითხა ალექსანდრემ: „ეს ქალაქი უომრად რატომ დამანებე?“ მოახსენა: „ქვიტკირის გალავნისაგან გამარჯვებულს ვაჟკაცს უფრო ვენდევ, რა ავად მიქნია?“ ეს სიტყვა დიდად დაუმადლა, იხარა და სხვაც მრავალი უბოძა.

[1065] **სტრ. 709**: გაიგონა, რომ იმას ერთი კაცი, დიაღ, ავად იხსენებდა და ბრძანა: „ერთი საძეფო იარაღი ისიც არის, კეთილი ქნას და შეცოდების ჰასუსი კაცს არ უეოს“.

711. მასვე ჰკითხეს: „საჭურჭლენი შენი სადმცა შეინახოთ?“
ბრძანა: „ყველა მოყვასთ მიეც, ვინცა სადა მოინახოთ,
ის იქნება შენახული, რა რომ ასე გამოსახოთ,
და რაცა გასცეთ გაცემული, მოადრობით მოიახოთ!“[1066]

712. რად ზარობ გასაცემელსა, რადგან წინ დაგიხვდებისა,
აღგიმაღლდების სახელი და ცეცხლი დაგიშრტებისა,
ვის გაჰყვა რაგინდ ცოტა რამ მისისა დანადებისა?!
და ყოველი ნადები ქვისებრი ღირსია მიწად გდებისა!

713. ვინც შესჩივლის მოჩივარმა, ერთს ყურს თითსა დაიცობდა,
მეორითა მოისმენდის, მისსა მითი გამოსცნობდა,
ჰკითხეს: „მაგას რისთვისა იქ?“ უბრძანა და ასე კმობდა:
და „მას მეორეს სადაოსა შეუნახავ, რას უბნობდა“.[1067]

714. ძნელია გაუსინჯავათ ბჭობა და სამართლობანი,
მალ მიეცემის ყურისა დაღალვა, დაკოჭლობანი,
ველარ შეისმენს ნათქვამსა, არა აქვს გულის ფლობანი,
და გაუცუდდება სახელი, მუნ მისი მიმავლობანი.

715. სპარსთ მეფის ქალი კელთ დარჩა ტურფა და შვენიერია,
არ მიუდგა და დაკრძალა, ჰკვირობდა ყოველი ერია;
ჰკადრეს: „რატომ იქ?“ უბრძანა: „ვარ მეფე მძლეთ სამზერია,
და მეშინის ქალმან არ მძლიოს, საქმე ვქნა დასაწერია!“[1068]

716. თუცა მართებს კაცსა ცოლის პატივი და სიყვარული,
რაც შეეძლოს საბოძვარი, მიწყივ მასთან სიხარული.
ზოგი კარგა შეიფერებს, ზოგთა სხვა აქვს მიფარული,

[1066] **ხტრ. 711**: ამას ჰკითხეს: „შენი სალარო სად შეუინახოთ?“ მიუგო: „სულ ჩემს მეგობრებს განუყავით და შენახული იქნება და, რასაც ახლა გასცემ, იმას მას უკან იშოვნი“.

[1067] **ხტრ. 713**: რომელიც მოჩივარი შემჩივლებდა, ის ყურში თითს დაიცვედა და ისრე მოისმენდა. ჰკითხეს: „რატომ აგრე იქო?“ – „ამ ერთს ყურს, ვისაც სჩივის, იმისთვის შეუინახავ“.

[1068] **ხტრ. 715**: სპარსთ მეფის ქალი, დიდად ლამაზი, დაატყვევა და არ მიუდგა. მოახსენეს: „რასთვის მაგ ქალთან არა სწვები?“ მიუგო: „უსრეთ განმარჯვებული კაცი ვარ და მეშინიან, რომ ახლა ერთმა ქალმან დამიმორჩილოს და ჩემზე გაიმარჯოს“.

და ცოლი ქრმად და ქმარი ცოლად საქმე არის მომწარული.

717. კათხა მოართვეს მურასა დარიოზისა უნჯისა,
ბრძანა ბრძენით წიგნში შენახვა; ჰკადრეს: „რასათვის უსჯისა?“
— „დღემდი ყოფილა ჭურჭელი უგუნურების ბურჯისა,
და ახლა გავკადოთ სიბრძნისა მის შვენიერის ურჯისა!“[1069]

718. ვის მიადგება სოფელი, ხელიცა იყოს, ბრძენია,
ამკობს, აქებს და ადიდებს ყოვლი ადამის ძენია;
ვის პირი შემოაქცივა, შეიქნა გასაძენია;
და არ ვიცი, სოფლის სიმუხთლე თუ როგორ მოსაძენია!

719. როს ალექსანდრე მიახდა ჯარს დარიოზის მდგომელსა,
პარმენიონმა სპასპეტმან ჰკადრა: „ვსჯვრეტთ მტერსა რომელსა,
მძლავრია მეტათ სიმრავლით, გაგვხდიან დამაშრომელსა,
და ღამით დავესხათ მიპარვით გულითა გამაწყრომელსა“.[1070]

720. ალექსანდრეს ოდეს ესმა ესე მისგან დანაპირი,
ამბავს ყური არ მიუგდო, არცა მისცა გულში ძირი,
ბრძანა: „ვსწავლობ გამარჯვებას, ომი მქონდეს ყოვლგნით ხშირი,
და შენ ქურდობას ისწავლები, რომ სათქმელად არის ჭირი!“

721. გაბედვით ბევრჯერ მოჰკდება საქმენი სახელოვანი,
ორსავ გზას გასწმენდს, რომ ჰქონდეს ულაღი, ანუ კლდოვანი,
მაგრამ, თუ თანაც არ მისდევს თათბირი მისანდოვანი,
და დაწყდება დედაზარდილის ქსელისა ნაბადოვანი.

722. დედის მისწერა მეფესა ანტიპატრემა გინება,
რა ნახა, ბრძანა: „მან კაცმან არ იცის ბოლო, წინება,

[1069] **სტრ. 717**: დარიოზის სალაროდამ მოართვეს ერთი, დიად, ქარვი სირჩა მურასა ღვინის სასმელი და მოახსენეს: „რათ მოვიკმაროთ?“ ბრძანა: „ფილასოფოსთ ნათქვამს წიგნებში შეინახეთ, ამისთვის, რომ აქამდის სიკოცის ჭურჭელი ეოფილა და ახლა სიბრძნისა კავკადოთ“.

[1070] **სტრ. 719–720**: როდესაც ალექსანდრეს ბარვი დარიოზის დიდის ჯარის დაბარებულობაზე ახლორე ჩამომკდარიყო, ალექსანდრეს ურჩივა თავისმა სარდალმა პარმენიონ: დიად, დიდი ჯარი ჰყავს და ღამით დავესხათო. ალექსანდრემ არ დაუჯერა და უბრძანა: „მე ომსა და გამარჯვებას ვსწავლობ და შენ ქურდობას მასწავლი!“

ერთი დედისა ცრემლითა ბევრი რამ შეეწყინება,
და გააშავებსცა ქაღალდსა, დაწერილს ჰქონდეს შინება!“[1071]

723. რა საკადრია კაცისა გინება, ცუდი თხრობანი,
დედაბებრული ამბავი, თავისა დასამცრობანი,
არად საკმარი ბრძენისა, უკამსი მოარობანი,
და ვერას დამკლები სხვისა და პირისა ამოყრობანი?!

724 დარიოზ ელჩი გაგზავნა ალექსანდრესა წინარე,
ხარაჯა სთხოა პირველი, ფილიპეს განაჩინარე.
უბრძანა: „წადი, უამბე ეს მისი მოსაწყინარე,
და ოქროს კვერცხს რომე გიდებდა, ის ქათამია მკვდინარე!“[1072]

725. წყალობა არის მაღლისა უმჯობის შვილის ყოლანი,
მაშინ შეექნას მამასა ტკბილი ძილი და წოლანი;
ზოგსა სჭირს, თვითან არ ვარგა, კმობს: „მამა მყვანდა მბრძოლანი!
და მკვდრისგან ნუ ცოცხლობ, მკვდარი ქენ განაღვიძ–განაცხოვლანი!“

726. ერთს დღეს არ სთხოვეს როჭიკი, არც სხვა რამ სათხოვარია,
დაჭმუნდა, შეწუხებული ბრძანებდა: „ეს რა გვარია?
ჩემთვის შეიქნა ესე დღე უბედოთ საოცარია,
და ასრე გარდავლო, ბოძების გზისაგან შორე ვარია“.[1073]

727. დღემ განვლო, ასე ვერა ქნა მისი საქმისა წილები,
მას დღეს ნუ ჰგონებ საშენოდ, ამას არ უნდა ცილები;
დღევანდელს ხვალზე ნუ აგდებ, გარჯისთვის ნუ ხარ წბილები;
და რა საკმარია სოფელში ცუდი ჭამა და ძილები!

[1071] **სტრ. 722**: როდესაც ანტიპატრის წიგნი მიართვეს და ნახა ალექსანდრის დედისა, დიად, ბევრი ურიგო ეწერა, ბრძანა: „თურმე ანტიპატრ არ იცის, რომ ერთი დედის ცრემლი ბევრს დაწერილს ქაღალდს გააშავებს“.

[1072] **სტრ. 724**: სპარსეთის მეფემ დარიოზ ალექსანდრე მეფეს ელჩი გაუგზავნა და ხარაჯა სთხოა, რომელსაც ეოვლთვის ართმევდა ფილიპე მეფეს. ალექსანდრემ მაგიერი ჰასუხი ესრეთ შეუთვალა: „იგი ქათამი მოკვდა, რომელიც დარიოზს ოქროს კვერცხს უდებდა!“

[1073] **სტრ. 726**: ერთს დღეს მწოლიკენი და წეალობის მთხოველნი მასთან არავინ მივიდა. ბრძანა: „ეს დღე ჩემს მეფობაში უბედური შემხვდა: ასრე გაიარა, რომ წეალობა არავის რა შეუკ“.

728. თავის კაცს ვისმე უბრძანა: „გამეცალე და წადია!“
ჰკადრა: „რა გცოდე?“ უბრძანა: „ჩემგან ხარ მონახადია,
კაცმან რომ ავი არა ქნას, არ იქნას, არი ცხადია,
და ვერა სცან, ბრიყობ; არ მითხარ, ყოფილხარ ავის მწადია!“[1074]

729. სჯობს სხვის ცხოვლისა ალერსი ამგვარის კაცის ხლებასა,
ვერც ჭირსა მიხვდეს, ვერც ლხინსა, არც ეჭვდეს მისა კლებასა,
თავი ეგონოს შემძლე და მიმწდომი დიდსა ცნებასა,
და სულ არ იცოდეს ადგილი, რაც უნდა წესთა ნებასა.

730. მაკიდონის პირველ მეფის ანტილიმეს ჰკვირობს ერი:
„უწინ იყო მწვე გულმწყრალი, აწ მშვიდათ ვართ შენამზერი!“
ბრძანა: „ვიყავ მეფობისა მაშინ მდომი, გაუჯერი,
და აწ სიბერის სახელი მწადს, შემიყვაროთ გულით მტკერი“.[1075]

731. ვაჟკაცობისა ყვავილი ნაძვი მთის ეპყრას მზღვარია,
სნეული, სოფლის მგმობარი მისგანვე შენამწვარია,
ბევრრიგათ ჭირის მნახველი, დაცდილი, გამომცხვარია,
და სიბერე არის სიმშვიდე, სიყმე ამაყის გვარია.

732. როს მორჩა სენსა ძლიერსა, მაშინ თქვა ესე თქმულები:
„კარკაცობა ქნა ჩემზედა ამ სენმა მოღებულები,
ვაითუ რითმე შემქნოდა ამპარტავანი გულები,
და აწყა ვსცან, რომე მოვკვდები, გავკდები დანაცრულები!“[1076]

733. კაცის თვალთ წინ ა სამძიმო ჭირი და განსაცდელები,
მაგრამ, თუ კაცი გასინჯავს, ავთაა განამხდელები,
შეატყობინებს სოფელსა, რისაც ა გარდამხდელები,

[1074] **სტრ. 728**: ერთს თავის კაცს უთხრა: „ავი კაცი ხარ და გამეცალე!“ ჰკითხა: „რა დავაშავე?“ მიუგო: „ეს ხომ იცი, კაცი ვარ და კაცი დაუნაშავებელი არ იქნება. თუ ჩემი დანაშაული ვერ შეიტყვე, ბრიყვი უოფილხარ; თუ შეიტყვე და არ დამიშალე, – მუხანათი.“

[1075] **სტრ. 730**: ანტილიმონ – პირველი მეფე მაკედონიისა. ამისას ჰკვირობდენ: „როდესაც ცამეფდა, მაშინ მრისხანე იყო და, როდესაც დაბერდა, დამშვიდდა.“ მიუგო: „მაშინ მეუობა მინდოდა და ახლა – სახელი, რომ კეკლას უეყარდე“.

[1076] **სტრ. 732**: როდესაც დიდს სნეულობას მოურჩა, მაშინ თქვა: „დიდი კარკაცობა მიყო ამ სნეულობამ, რომ შემეყარა: ვაითუ, გავკოხტავებულიყავ და ახლა ეს შევიტყვე, რომ მოკვდავი ვარ“.

და სიბრძნეს ისწავლის, სიმდაბლეს, იწვრთნება გაუზდელები.

734. სპარსთ კირი მეფე ბრძანებდა სიტყვასა დაუფარავსა:
„თუცა ყოველი კეთილი არ სჭირდეს კაცსა არ–ავსა,
საკელმწიფოსა რჩევაში თავსა ნუ მიაკარავსა,
და ნუ ასწევ აუწევარსა, ნუ მისდევ ქარსა მქარავსა!“[1077]

735. რადგან არის სოფელშია გამოჩენა საწადელი,
მისთვის ბორგავს ყოველი კაცი, მოჭირვებით მისი მცდელი,
მაგრამ მოსდევს რასაც საქმეს სიკვდილი და განსაცდელი,
და ავად თავსა ვინ გაიკდის სიმთელისა კელის მკდელი?!

736. ბრძანა კესარეკ, სპარსთ მეფემ, ბერძენზე გალაშქრებანი,
ჯარმა დაჰფარა მინდორი, ზღვისაც ქნა მოარებანი,
შვიდ–ათჯერ– ასი ათასსა იტყვიან, იყო კრებანი, 1
და რა გარდახედა, გასინჯა, იამა, მიჰხვდა შვებანი.[1078]

737. ხანს უკან დაჯდა ტირილად, ჰკითხვენ სპასპეტი თვისები,
არტაბან სახელდებულმან: „რად ტირ, ჯავრი გაქვს ვისები?“
ბრძანა: კაც დღეთა სიმოკლეს ხედავ, რომ დგანან ისები, 2
და ას წლამდი ყველა გარდავა, მიმძიმს, გვაქვს საქმე მქისები.

738. ვერ მოურჩები სოფელსა, ვერც მეფე მძლავრი, დიდები,
ცუდათ შეფრფინავთ, ვერ იკსნი, რაც საუნჯეთა იდები,
მოვა ანაზდად შემცველელი, სხვათაცა ბევრთა მწინდები,
და ნანობს, რად არ ვქენ კეთილი, რას გარგებს, გაუჩინდები.

739. ქეოტის, მეფე თრაკისა, გულმწყრალი, გულფიცხელია,

[1077] **სტრ. 734**: კირ მეფე სპარსეთისა იტუოდა: „თუ უოველი კეთილი სრულიად არა სჭირს, ერთმა კაცმა საკელმწიფო რჩევა თავს არ უნდა დაიდვას!“

[1078] **სტრ. 736–737**: კესარეკმა, მეფემ სპარსეთისამა საბერძნეთზედ გაილაშქრა და ნახა, რომ იმისმა ჯარმა მინდორი სულ დაჰფარა და ზღვისაც დიდი ალაგი დაიჭირა, რომელსაც იტუვიან რიცხვით სამოცდათ ას ათასს. გარდახედა მეფემ და იხილა უოველივე სიმრავლე ჯარისა, დიდად იამა და გამხიარულდა. შემდგომად მცირედისა ხანისა ტირილად იწუო. ჰკითხა თვისმა სპასპეტმა არტაშან: „რასთვის სტირი?“ მიუგო: „კაცის დღე–მოკლობას ვსტირი. ამა ჯარს რომ ვხედავ, ას წელიწადს უკან აღარცეთი ქვეყანასედ აღარ იქნება და ის მიმძიმს“.

მოართვეს ჭიქის ჭურჭელი ფეშქაშად ბევრი კელია,
ბრძანა: „მიამა, მიიღეთ ყოველი მინათველელია!“ 1
და მომღებსა ბევრი უბოძა ნაკვეთიცა და მთელია.[1079]

740. ცოტა აცალა, წამოდგა, გახადა ყველა მტვრეულად,
გაჰკვირდენ, ჰკითხეს: „რატომ ქენ საქმენი ანარეულად?“
ბრძანა: „ამად ვქენ, გასტეხდა, ვინცა იქმოდა ნჯღრეულად, 2
და ის კაცი დავხსენ მეფისა გაწყრომას ამ წელ-წლეულად!“

741. კრძალვა კარგია კაცისა, ნუთუ ხვდეს ჩემგან ავები,
მიზეზს პირველვე ამსხვრევდეს, არა ქნას განამწვავები,
მაგრამ სჯობს სოფელს მიხედო, რა არი მისი დავები,
და ნურც ჯავრობ, ნურცა მიზეზობ, წინ გიძეს კმელი თავები!

742. ამას მეფესა ეგვიპტის ესმა, შვილს ვინმე სტირისა;
ბრძანა: „როს იყო უშობი, რა ჰქონდა დანაპირისა?
თუ მაშინ არად უყვარდა, შჩნდა სახედ განაწირისა,
და ახლა რაღაა ტირილი საბრალო, გლახა-მწირისა?![1080]

743. ცუდია ცუდი ტირილი, ტყება და თავსა ცემანი,
სოფლისა გამოჩვენება, სიყვარულისა ჩემანი;
რადგან შეგტკივა, უშველე, ქენ საუნჯისა ცემანი,
და დაამდიდრენით გლახაკნი, ობოლი, ქვრივი, მსხემანი!

744. ლაკიდონთ მეფეს კიროზსა დაუწყო მეფემ ბრძოლანი,
სპარსთ კირიმ მძლემან წაართვა ქალაქი შესარჩოლანი,
კირეზმან ნახა მკედართგან მოქალაქეთში სრბოლანი, 1
და აოხრებდენ და სტყვენვიდენ, წაუკდათ საყოლთ ყოლანი.[1081]

[1079] **ხტრ. 739–740**: ქეოტის, მეფე თრაკიისა, დიდად გულფიცხელი და ჯავრიანი იყო. ამას ფეშქაშად მოუტანეს მრავალი კარგი ჯიქის ჭურჭელი; სიხარულით ჩამოართვა და მრავალი წუალობაც უყო. შემდგომად აღიღო და სრულ დაამტერია. ესე ყოველთა განუკვირდათ და ჰკითხეს: რატომ აკრე ქენო? მიუგო: „ამიტომ, რომ, ვისაც ეს გაუტეხებოდა, ისინი მეფის წურომას მოვარჩინე“.

[1080] **ხტრ. 742**: ამას მეფეს ეგვიპტისას ესმა, რომ ერთი ვინმე შვილსა ტიროდა. მას უთხრა: „როდესაც არ დაბადებულიყო, მაშინ თუ სიყვარული არ გქონდა იმისი, ახლა რა გატირებს?!“

[1081] **ხტრ. 744–745**: კრეზ მეფეს ლაკედომისაზე კირ მეფემ სპარსისამ გაიმარჯვა და ქალაქი წაართვა. კრეზ ნახა, მოლაშქრენი თავის ქალაქში რომ დარბოდენ, ატყვევებდენ და

745. მივიდა, კირის ეტყოდა: „რას ამბავზედ ხარ მშრომელი?“
„სხვა არაფერი, – კირიმ თქვა, – შენს ქალაქზე ვარ მწყრომელი“.
უთხრა: „მანდ ჩემი რაღაა, მიბრძანე, მითხარ, რომელი? 2
და რასაცა ახდენ, შენია სულ ყველა მოსანდომელი“.

746. არ მართებს კაცსა სხვის ვისმე მოღება, გამოკვებანი,
თუ გმოართვა, მაშ, მისი იცოდე შემოცვებანი,
მასცა წაართვამ, საშენოდ არ იცი კელის დებანი,
და ჭია ქორს მოჰკლავს, ველარ ქნა თავისა გახარებანი.

747. სიკილის მეფე დიონოს შვილის სახლს შემავალია,
ნახა ოქრონი წყობილნი, უბრძანა: „დასაბრალია,
სამეფო კაცი არ არი ოქროთი განამცხრალია,
და მოყვასნი გარდაგიყრია, ეგე გაქვს განამრავლია!“[1082]

748. ვერას მოიგებ კაცისა მსგავსსა და შესადაროსა,
ოქრო, ვეცხლი და სპეკალი ვინცა ვინ დააჯაროსა,
ისევ იმისთვის კარგია, მაზედა მოიკმაროსა,
და მოუკმარებმა სიმდიდრემ ადრობით გაგამწაროსა!

749. ევსუკვილაპის ბომონსა შევიდა, ნახა სახენი,
რომელსა ფილასოფოსნი ღ(მრ)თად იყვნენ გამომჩმახენი,
ამისთვის წვერი ოქროსა დაესხა მათთვის ვახენი, 1
და კელი მიჰყო და დაგლიჯა ერთპირად, ასე ვნახენი.[1083]

750. თქვა: „უწესობა ავია, მწადს ამად გამოკვებანი,
ეპისკულაპას არ მართებს წვერისა გამოშვებანი,

აოკრებდენ. მივიდა კირთან და უთხრა: „ეს რა ამბავი არის?“ მიუგო: „რა ამბავი იქნება, შენს ქალაქს აოკრებენ!“ უთხრა კრეზ: „ჩემი მანდ აღარა არის რა. რასაც აკღენ, ეოველივე შენია“.

[1082] **სტრ. 747**: დიონისე, მეფე სიკილიისა, თავის შვილის სასახლეში შევიდა, ნახა, რომ ბევრი ოქრო ეწყო. უბრძანა: „სამეფო კაცი არა ხარ, ჩემი ნაშოვარი ოქრო შეგინახავს და მეცოლები კი დაგიკარგავს“.

[1083] **სტრ. 749–750**: შევიდა ბომონში და ნახა ევსუკვილაპის სახე, რომელსაც ფილასოფოსნი ღ(მრ)თად სადღენ და იმ სახისათვის ოქროს წვერი გამოუსხათ. მიჰყო კელი და სულ დააგლიჯა: „ეპისკულას არა მართებს წვერის გამოშვება, ამიტომ რომ მამა ამისაც ამჭოლს უწვეროდ სტაცდენ!“

მამას სახევდენ უწვეროდ მხატვართა იგავებანი, 2
და ამპოლონ სახელდებულსა, ვის არ აქვს კაცთა ცვებანი“.

751. უგუნურობა კაცისა ნახეთ და გაიცადენით,
ვის თვალი არ აქვს და კელი, ფერკი სავალად, მცადენით,
ვინც ვერას უსმენს, ვერ მისცემს, მისი არიან მზადენით,
და კაცთ გონიერი ქმნულება უგვანათ გააცხადენით!

752. მანვე (მას კერპსა ემოსა ოქროსა ტანისამოსი)
გააძრო, ლანდრა ჩააცვა, ჰკადრეს რამ შესაწამოსი,
რქვა: „ოქრო ზაფხულ მძიმეა, ზამთარში უსიამოსი,
და ეს ორშივ არის სამსგავსო, მოსვენებისა ამოსი“.[1084]

753. ზოგისა ჭკუა მახვილი, ბასრისგან უფრო მკვეთები,
ზოგისა გამოუცნობი, კერპთ გულით შეეკვეთები;
არსი და არსთა ნაქნარი არიან გასაცვეთები,
და საბრკეში გაბმას ნუ უბნობ, არ არის საქმე სვეთები!

754. აღაფოკლესას იტყვიან გლახის მეჭურჭლის შვილადო,
სიკილიისა მეფობა სვით რამ მიეცა წილადო,
ოქროს ჭურჭელში თიკისას დასდგემდა მოუცილადო,
და ამად მეჭურჭლის შვილობა წინ მქონდეს სულ სამხილადო.[1085]

755. ბევრნი ამაღლდენ მდაბალნი, არა ქნეს მიმმადვლელობა,
თავის სიკეთეს აბრალეს, სწადდათ სილაღით მვლელობა,
ბოლოდ აღიფხვრენ, ერთ წამში მიეცა მტრისგან მკვლელობა,
და რამთონს ამაღლდე, დამდაბლდი, თუ გინდა მოუშლელობა!

756. არხელი მაკიდონელი მეფეა მუნა მჯდომელი,
ლხინად ჯდა, ერთმან მუნ მყოფმან ჰკადრა: „ვარ ამის მდომელი,
სასმური თქვენი ოქროსი მიბოძე გაუწყრომელი!“ 1

[1084] **სტრ. 752**. ამანვე იმავ კერპს ოქროს ტანისამოსი სულ შემოსძარცვა და საიისა ჩააცვა. მოეიდნენ და უთხრეს: რატომ აგრე ქცნო? მიუგო: „ამიტომ ვქენ, ოქრო ზამთარ ცივია და საფსულ მძიმე და საია ორჯელვე მოიკმარება“.

[1085] **სტრ. 754**: აღაფოკლე ერთი ღარიბის მეჭურჭლის შვილი იყო. როდესაც ბედმა სიკილის მეფობა მისცა, ოქროს ჭურჭელთან ერთს თიხისაც დაადგმევინებდა ხოლმე, ამიტომ, რომ ჩემი მეჭურჭლის შვილობა არ დამავიწყდესო.

და დიონოს ბრძენსა უბოძა, დარჩა ის ცუდი მ'შრომელი.[1086]

757. კაცი გაჰკვირდა, შეჰკადრა: მე გთხოვე, მაგას მიეცო!
მეფემ უბრძანა: „სვისაგან ვის რა ვისგანა მიეცო?
არ დაიხსნების მახვილი, არც ვარდი, თუმცა მიეცო, 2.
და შენ თხოვნის დაცვა, მას შოვნა მიეუნჯა და მიეცო!"

758. ნიეთი სოფლისა ყოველი სანდომი უნდომარია,
მით კარგს ავი სდევს, ავს — კარგი, ერთმანერთისა დარია,
თავ-თავის ადგილს ნაქნარი ტკბილი და მოსაკმარია,
და უგზო ხარჯი და გაცემა ვის მიხვდეს, მისთვის მწარია!

759. რა ალექსანდრე გამოჩნდა ინდოთ მეფისა პერისა,
ცეცხლი დამწველი საზარო მისი და მისის ერისა,
შეიპყრა, უთხრა: „რა გიყო წესისა დასაჯერისა? 1
და ჰკადრა: „დღე ესე გასინჯე ზეგარდმო დანაწერისა:[1087]

760. გუშინ მეფედ ვჯდე მაღალი, არავის შესადარონი,
დღეს საწუთრომან ტყვედ დამსვა, საქმე მჭირს მოუდარონი".
გასინჯა მეფემ სოფლისა საქმენი დამამდარონი, 2
და მისივ მეფობა მას მისცა, გაცოცხლდა სასუდარონი.

761. ჩალხთ ბრუნვას დასდევს სოფელი, წესი აქვს მისის რებისა,
ბრძენთ ვერც სიმაღლე ამაღლებს, არც ავსა მოეხრებისა;
მოვა და წავა ანაზდად სიდიდე-სიმცირებისა,
და თუ დასცალდების სოფელში, კაცი ბევრს შეესწრებისა.

762. ეკფლაკე იყო ნაშობი გლახაკი გვარიშვილობით,

[1086] **სტრ. 756–757**: არხელი მეფე მაკედონისა. იმას ლხინში ერთმან ვინმე იმისი ჰირის სირჩა სთხოვა, მიბოძეო. აღიღო არხელიმ და დიონოს ფილასოფოსს უბოძა. გაჰკვირდა იგი და მოახსენა: „მე სირჩა გთხოვე და დიონოსეს უბოძე!" უბრძანა: „შენ თხოვნის ღირსი ხარო და დიონოსე უთხოვნელად შოვნის ღირსი არის".

[1087] **სტრ. 759–760**: როდესაც ჰერ, მეფე ინდოეთისა, ალექსანდრე დიდმა დაატყვევა და ჯარი აჰოყწყიტა, ალექსანდრემ ჰკითხა ჰერს: „რა გიყო?" მიუგო ჰერ: „დღევანდელი დღე გასინჯე, თუ როგორ დაუდგრომელი, ავი და სუსტი იყო, – გუშინ მეფე ვიყავ და დღეს ტყვედ დამაბა, – და შემდგომად რა-იგი გინებს, იგი ქმენ". გასინჯა ესე ალექსანდრემან, რომ სოფელი უპირო იყო და იმას თავისი მეფობა ისევ უბოძა.

მაგრამ სიკეთით ათინელთ ათინა მისცეს წილობით,
ერთი ავისა გვარისთვის ერჩოდა სიტყვის ცილობით,
და თქვა: „ჩემი ნებით ამაღლდა, შენსა ეჭვრეტ შენით შლილობით!“[1088]

763. სანდომი სანატრელია, უგვარო იქნას გვარულად,
მამა-პაპანი წარსრული წამოაყენოს ჯარულად;
მაგრამ გვარს გვარი წაუკდეს, შეექნას მოუკმარულად,
და სჯობს უშობობა შობასა გვარისა გასაქარულად!

764. მარკო თურელი რომისა — მთავარი მქნელი ნებათა,
სწორი მოწამე სიმართლის, არ მიმცემელი ენებათა.
რქვეს: „ბევრი წაუკდენია მაგისა მიდევნებათა“.
და თქვა: „მიჯობს, წავხდე სიმართლით ტყუილით აშენებათა“.[1089]

765. ზოგთ ჰგონია, სიცრუვისგან საქმე კარგად გაეგების,
ზაკვითა და მცბიერობით კაცსა მოყვსად დაეგების,
დათესილსა თვითონ მომკის, ცუდი არის, რაც ერგების,
და კალამსა და კრმალსა მთელსა წინ ვერავინ აღუდგების!

766. რომელთ სჭირდა: ყოლის წლისთვის მოურავსა გამოსცვლიდენ,
დიკთორს მიხვდა მასვე დღესა, გამოართვეს, არა ჰკვლიდენ,
ცეცარონ თქვა: „მე გამრჯელად ვერვინ ენახე, ისე ვლიდენ,
და არ მოსვლია თვალთა რული, სანამდისცა არ მოშლიდენ“.[1090]

767. მაშინ სცან თემის წაკდენა მტკიცედ და არ საცილობით:
მიცემა ანუ წართმევა არ იყოს მართლის წილობით,
ქრთამით და გაუსინჯავათ კაცისა გასაწბილობით;
და ნურც მიცემ, ნურცა წაართმევ რიგისა მოსაშლილობით!

[1088] **სტრ. 762**: ეკუდათ იყო ღარიბის კაცის შვილი და უგვაროსი, მაგრამ იმისი სიბრძნის გულისათვის ათინელთ ბატონად დაისვეს. ერთმან ვინმე გაჰკიცხა: „ავის გვარისა ხარ!“ მიუგო: „ჩემი გვარი ჩემიდამ აშენდა, მაგრამ ვეჯობ, შენი შენიდამ გარდაშენდეს!“

[1089] **სტრ. 764**: მარკო თულელი იყო ჰირველი მთავარი რომისა. ამას ჰკიცხვენ, რომ „დიაღ, სწორი მოწმობა იცი, მაგრამ მაგითი ბევრი კაცი წამეწყარა“. ხოლო მან მიუგო: „სიმართლით წაკდენა სჯობს ტყუილით გაკეთებასა!“

[1090] **სტრ. 766**: რომაელთ ჩვეულება იყო: ეოველს წელიწადს თავის საკელმწიფოში გამრიგეებს გამოსცვლიდენ. როდესაც დიკთორს მიხვდა, მისვე დღესვე გამოსცვალეს, ცეცარონ თქვა: „მეტად მომჯირნე მოხელე იყო. სანამ ის სახელოში იყო, თავის თავისთვის ძილი არ უღირსებია“.

768. ის საკელო ანდელოღეს მისცეს მისა მინათვლილად,
რამთონს დღეში გამოართვეს; ცეცარონ თქვა გასამხილად:
„ბედი ჰქონდა, მოკელობა რა აღიღო იმან წილად,
და არც ზამთარი , არც ზაფხული არ გვინახავს დასაცილად“.[1091]

769. სოფელში უნდა გასინჯვა ფიქრი ძნელი და გრძელია,
საქმე საქმეზე რა მოსდევს, ფიცხელი ანუ ნელია,
რა არის წინააღმდეგი ან წარმართების მქნელია,
და დღეს ქმნილსა ხვალვე ნანობდეს, ვისგანცა რა საქნელია!

რომელნიმე ამორჩეულნი სიტყვანი მისისა ფიგნებიდამვე

770. საქმითა უნდა სიკეთე, სიტყვითა რა საკმარია,
(და) რაც მიწისაგან იზდება, კაცისა მოსაკმარია![1092]

771. ბოლოდ ომსა ლხინი მოსდევს, მისთვის თქმულა მოსაკმარად.[1093]

772. ნებისა და გასინჯვისა, რაცა მიხვდეს კაცსა მგვანი,
მაგრამ ნება ასეთი კამს, არ თუ იყოს შეუგვანი,
მოყვარესა აამებდეს, სხვას არ მისცეს დადაგვანი.
და უყოს ავსა ნაჩიჩხვარსა სიკეთისა ცოცხით გვანი![1094]

773. ნებას არა აქვს სადავე მისაზევ-მოსაზეველი,
გასინჯვას სწორი გასინჯვა, მისგან რას კარგსა მოველი?!
წინ წყალი გიძეს, მთას სინჯავ, ნება გაქვს ავზე მწეველი,
და საქმე მოგხვდების ბოროტი, უკანა მოსაწეველი.

[1091] **სტრ. 768**: მასვე საკელოში დააყენეს ამდელოს. მცირე რამ ხანი დაეო და მსწრაფულ ეამოსცვალეს. უთხრა ცეცარონ: „უცხოდ კარგი გამრიგე იყავ, რომ შენს მოკელობაში არც ზამთარი გვინახავს და არც ზაფხული“.

[1092] **სტრ. 770**: ყოველივე სიკეთე საქმით უნდა, არა სიტყვით! რასაც მიწა დაბადებს, ყოველივე კაცისა მოსაკმარისია.

[1093] **სტრ. 771**: ომის დაწყება ამიტომ კარგი არის, რომ მას უკან მოსვენება მოსდევს.

[1094] **სტრ. 772**: ნებისა და გასინჯვისთანა კაცს არა ექნება რა. მაგრამ ნება ასეთი უნდა, მოყვარეს იამოს და სხვას არაფის რა დააკლდეს.

774. რა სადაროა ამისი სხვა რამე ამხანაგობა:
ორს კარგს კაცს ქცევა უგვანდეს, სიკეთით აღმონაგობა,
მათ სიყვარული ექნება, სიმტკიცე მოუჭანგობა,
და ძალი, სიტკბო და სიამე, საქმისა დაუჭანგობა.[1095]

775. თვით მოციქულნი ბრძანებენ, წყლულნი, ნაგვემნი, ცემული,
სიყვარული გვაქვს წყალობით ღ(მრ)თისაგან გამოცემული;
ვინ არ შეისმენს სასმენსა სირეგვნით დანაცემული,
და დასცეს სოფელმან, დაეცეს დაცემით დანაცემული!

776. უფთხილდი, შეცოდებაზე რისხვა არ იყოს მეტია![1096]

777. მას მიანდევ სამართალი, მშვიდი იყოს, მართლის მთქმელი![1097]

778. სიმართლე მარტო არ არის კარგს კაცთა მოსაქონანი,
მწვე ეჭირების ბოროტსა, რომ ჰქონდეს მისი გონანი;
ქურდმა ნაშოვრის გაყოფა თუ ქნა სიცრუით წონანი,
და მალ ერთმანერთსა დაჰკოცენ მკნე, ძლიერი და მცონანი.[1098]

779. აბრამ და ყოვლნი წმიდანი სიმართლით სამკობელია,
ამით ზეცამდე ამაღლდენ, რაზომ კაცთაგან ძნელია,
აქ მინდობა და პატივი სიკვდიმდე მოუშლელია,
და სიმართლეს ღ(მერ)თსა ეტყვიან, რაღა ვთქვა საქებელია?!

780. სიცოცხლის საქმის ნაქნარსა ამ სამსა რასმე ნანობდა:
ქალთ ხვაშიადის მინდობას, ცოლი იყო თუ მგვანობდა,
ამელი გზა ჰქონდა, დააგდო, ზღვის გზითა მინავალობდა,
და ერთი დღე განვლო უქმობით, უშობდა, ამად ვანობდა.[1099]

[1095] სტრ. 774: არა, მეგობრობა იმ სიმაგრე არ იქნების, რომ ორს კაის კაცს საქციელი ერთმანერთს უყვანდეს, რომ ისინი სიყვარულით და სიმტკიცით იქნებიან.

[1096] სტრ. 776: ამას უფრთხილდი: დანაშაულზე რისხვა მეტი არ იყოს!

[1097] სტრ. 777: ვინც მრისხანე არ არის და სიმართლე უყვარს, მსაჯულად ის უნდა დასვა!

[1098] სტრ. 778: სიმართლე დიდად კეთილი რამ არის: არათუ მარტო კეთილნი კაცნი არიან დამჭირნენი, არამედ მჰარავნიცა: უკეთუ ნაპარევი მართლიად არ განიყვეს, ერთმანერთს დაჰხოცენ.

781. კარგია, კაცსა გასინჯვა ჰქონდეს თავისა ქმნულისა,
ავისა ავად დანახვა, კარგისა კარგად თქმულისა,
მას ხარობდეს და მეორის ჰქონდეს მჯიღვთ ცემა გულისა,
და მალ გასწმედს ცრემლი მკურვალი და მწუხარება სულისა.

782. შენს საქმეს უფრო დაჰფარავ მიცემის სიკეთებითა,
და ვინემ იარაღთ გაწობით, ტანსამოსთ გაკეთებითა![1100]

783. ქვეყნის მნეთ ურჩევ კარგსა და სარჯელს ნუ ეურჩებისა,
და წავა სოფლისა სარჯელი, სიკეთე ქვე დაგრჩებისა![1101]

784. ოთხი საქმე მოსაკმარი, ქვეყნისათვის არა ზღვევა:
და კარგი ჯდომა, კარგი ქცევა, კარგი ქნა და კარგზე წვევა.[1102]

785. მარკოზ კურციუმს ლაშქრობით სწადს სამანიტთა მკლობანი;
მათ ელჩი გამოუგზავნეს ოქროსა მძღვანებლობანი,
მოართვეს, არ ჩამოართვა, ბრძანა ქნის უცვალობანი:
და „სჯობს ოქროს პატრონობასა ოქროს მფლობთ მფლობელობანი!“[1103]

786. მიკვირს სოფლისთვის სასჯელი, ვამსგავსებ რასმე ანავსა,
რად ვირჯებით და რად ვშვრებით არას კეთილით, ან ავსა,
კმელსა ვსჭვრეტთ აყვავებულსა, იჩქითად რადმე ა ნავსა,
და ყველა ცუდია სოფლისა, კარგს ეძახიან ან ავსა.

[1099] **სტრ. 780**: ამასვე, რაც თავის სიცოცხლეში შემთხვეოდა, სამს საქმეს ნანობდა: „პირველად, რომ საიდუმლო ცოლს უთხარ; მეორე, საცა კმელეთითაც გაიკლებოდა, იქ წყლით გაეიარე; მესამე, ერთი დღე უქმად გაეატარე.“

[1100] **სტრ. 782**: ძიცემის სიკეთით უფრო დაფარავ შენს საქმეს, ვირე ტანისამოსით და იარაღითა!

[1101] **სტრ. 783**: ქვეყნის მმართაეთა ურჩევდა: „სარჯელი მიიღეით და კეთილი ქმენით. სარჯელი მალ განქარდების და სიკეთე საბოლოოდ დაგრჩებათ!“

[1102] **სტრ. 784**: ოთხი საქმეა ქვეყნის დასაყენებელი და მოსაკმარისი: პირველი – კეთილი ჯდომა, მეორე, – კეთილის ქნა, მესამედ, – კეთილად ქცევა, მეოთხე, – კეთილი ქმნევინება.

[1103] **სტრ. 785**: მარკოზ კურციუმ როდესაც გაილაშქრა სამანიტანზედ, მაშინ იქაურნი დესპანნი მოვიდნენ და ოქრო მოართვეს: ჩვენს ქვეყანას ნუ ებრძვიო. მან ოქრო არ ჩამოართვა და ესრეთ უთხრა: „ოქროს ბატონობას, ვისაც ოქრო აქვს, იმათი ბატონი შეეიქნა, ის არა სჯობს?!“

787. პაველ ემელი, გამრიგე რომის ქალაქთა თემისა,
მაკიდონიას მივიდა, ხედავს ჯარს გასაჩემისა,
მწვე მოეწონა გაწყობა როჭიკთა მინაცემისა,
და უთხრეს: „დრო არის, დაეესხათ ლახვართა გასაცემისა!“[1104]

788. ბრძანა: „წესია თავს დასხმა სიავის რისმე მქნელისა,
სიკეთისათვის რად უყო საქმენი გასაძნელისა?
ასე მაქვს დასწავლებული მტრის კარგა გამომცნელისა;
და მალე თავს დასხმა არ უნდა მიზეზად მომწყენელისა!“

789. ჭკუა ბევრია კაცისა, ვით სახე უგვანებელი,
ზოგს კელთუფლება, ზოგს სიბრძნე, ზოგს რჩევა უნანებელი,
ზოგს ჯარის მოვლა, გაძღოლა, გზა მისი გასაგნებელი,
და მაგრამ სჯობს მამაცობასა სარდლობა გამომგებელი!

790. მარვალ აზდრუკლ კარიალის სძლია ბრძოლისა ძლევითა,
„რაც დაგვრჩა, – მრჩევთა ურჩიეს; – დავკოცოთ, შევქნათ ლევითა!“
მან არ უსმინა, უბრძანა „სწავლანი დამაკლევითა,
და ამ ამბავს ვინღა მიუტანს მათ თემთა გასაძლევითა?!“[1105]

791. რა მოგხვდეს მტრისა მორევა ჯარისა უხუცობასა,
ნუ უზამ ავსა, ნუ იჩენ სისხლსა და დამხოცობასა,
მიეც პატივი გულსრულთა, იქს საქმის გაოცობასა,
და თუ მოწყალება არა გაქვს, რად იქებ მამაცობასა?!

792. ვინც ბევრს იბრძვის ენის ძალით, საქმით ცოტას გაიმარჯვებს![1106]

793. ფილიპე მაკედონელსა, მეფესა მუნა მჯდომელსა,

[1104] **ხტრ. 787–788**: ხალე ვეემილი, გამრიგე რომისა, როდესაც მაკედონიას შევიდა და ჯარი გასინჯა და ნახა, კარგა გაწყობილი იყო, უთხრეს: დრო ეს არის, დაესხიო. მიუგო: „მტერს სიავისათვის დავესხმი, სიკარგისათვის რათა? მე ეს მისწაყლია: მტერი კარგად რომ ნახო, იმათ მალ თავდასხმას არ უნდა ეშურებოდე“.

[1105] **ხტრ. 790**: მარვალმ როდესაც აზდრუკ კარიალის თავზე გაიმარჯვა, მაშინ ურჩიევს, რომ სულ გასწყვიტე ეს მტრის ჯარიო. ბრძანა: „სულ ამისთვის არ გავწუწუტ, რომ მათ ქვეყანას ჩემი გამარჯვება ვინღა მიუტანოს?!“

[1106] **ხტრ. 792**: ვინც ენით ბევრს იბრძვის, ის საქმით ცოტას გაიმარჯვებს!

კარზე მოადგენ ბერძენნი, გვანდენ მის ნახვად მდომელსა,
ეძინა, მალე ვერ ნახეს, ხანს ჰყოფენ დამადგომელსა, 1
და პარმენიონ არს გამრიგე, ბოდიშსა იკდის რომელსა.[1107]

794. უთხრა: „ჰე, ძმანო, მეფესა სძინავს, არ დაემდუროდა,
როს თქვენ გეძინათ, ელვიძა, ცვა თქვენი მოესუროდა,
აწ თქვენ გლვიძავს და მას სძინავს, აცალეთ, ნუ იუროდა. 2
და რა გაიღვიძოს, მობრძანდით, სვით, რაც რა, ვის რა გწყუროდა!“

795. რა ქნას კაცმა, თუ არა ჰყავს კაცი მისთვის საქმის მცდელი,
თავს ეძებს და მას არ ეძებს, მისგან კარგსა რაღას ელი?
რას გამოგრჩეს, იმას ცდილობს, რაგინდ იყოს მოსაშლელი.
და სჯობს ყოველსა საყოლელსა ყმა ერთგული, საქმის მქნელი!

796. აღესილა მეფე იყო ლაკედომის მბძანებელი;
„მეფეს ჯარი არა ჰყვანდა, – ჰკითხეს; – რით ქნას საგნებელი?“
– „ვითა მამა შვილს მოუვლის, აგრე თუა მომნებელი,
და ულაშქროთაც გაიმაგრებს, თემი ექნას უვნებელი!“[1108]

797. მეფე არა კამს თავისა გემოსა მიდევნებული,
უხვი, მკნე, ტკბილი, მოწყალე, დროს რისხვის მონებებული,
შემძლე საქმისა, სხვათაგან რჩევითა უფრო ქებული,
და თვით ეძინოს და სამეფო – მძინარი, განსვენებული!

798. მას ჰკითხეს: „კაცი სახელსა რით ჰპოებს, რით იშოვებსა?“
და – „კეთილზე იდგეს, უკეთეს იქმოდეს, მოიპოებსა!“[1109]

799. ის იტყოდა: „საქმის უფალს მართებს იყოს ამის მქონად:

[1107] **სტრ. 793–794**: ფილიპე მაკედონელს როდესმე ეძინა და ჰარმენიონ გამგებელი თავს ადგა. შემდგომად ბერძენნი მოადგნენ და ენებათ მეფის ნახვა. გამოვიდა ჰარმენიონ და ბოდიში ესრეთ მოიკადა: „მეფეს სძინავს და ნუ დამემდურებით, როდესაც თქვენ გეძინათ, ამას ელვიძა და თქვენს ტალად იყო. ახლა ამას სძინავს; დაცადეთ, რათა დაიძინოს, განიღვიძებს და ნახეთ“.

[1108] **სტრ. 796**: აღესილა მეფე იყო ლაკედონისა. ამას ჰკითხეს: „მეფეს რომ დიდი ჯარი არა ჰყვანდეს, ქვეყანას როგორ გაიმაგრებს?“ მიუგო: „თუ ასრე მოუვლის, როგორც მამა შვილს, უჯაროთაც კარგა გაიმაგრებს!“

[1109] **სტრ. 798**: ამასვე ჰკითხეს: „კაცი სახელს რით იშოვნის?“ მიუგო: „კეთილზედ დასდევ და უკეთესი ქმენ! “

და გულ-მოწყალე, პირ-მრისხანე, ორივ ჰქონდეს შესაწონად!“[1110]

800. ანკსანდრეს ჰკითხეს: „რად თეთრსა ლაკადომელთა ერები
საუნჯეთ არ შეინახვენ, აქვთ გული დაუჯერები?“
მან უთხრა: „ამად იქმონენ მუნ საქმის გარდმომწერები,
და ვისაც ებაროს, ქურდობის არ იყოს შენამზერები![1111]

801. ერიდე სხვისა ბოროტსა, არ იყოს შენი ბრალია,
ნუ შეექნები მიზეზი, გექმნასმცა გულგამწყრალია,
მას ნება მიხვდა, შენ – ვნება ზე ქვემდი გასაქრალია,
და ეს არის უგუნურება, კაცისა დასამცრალია.

802. „რით შეაყვარებ, ანტაკლატ, – ჰკითხეს, – თავს კაცის გულებსა?“
და – „სიტყვა-ტკბილ არვის დამკლებსა კაცი რად მოიძულებსა?!“[1112]

803. ფილიპემ სძლია არხიდემს, გაქცევით გაამწაროსა,
გაქცევას უკან მუქარას უთვლის არ გასახაროსა;
მან შეუთვალა: „ნუ ჩქარობ საქმესა დასაზაროსა,
და რის მზისგან შუქი გცემია, ეგებ ღრუბელმან ჰფაროსა!“[1113]

804. ამპარტაჲნებით გამოვა მუქარა, ცუდი ჯავრები,
არად საკმარი კაცისა, ბედია გარდამწვარები,
სხვა არის საქმის მოქმედი, ცრუ არის სხვისა გვარები,
და თქმა და ვერა ქნა საქმისა სიტყვაა უსაზღვარები.

805. ედე პომპემ გაიგონა ერთის ვისმე საამბობად:
„ლაკადომელთ სიმტკიცენი მისთვის არის შესამკობად,
მათმა მეფემ ბრძანებანი იცის მათთვის მოსაკმობად“.

[1110] **სტრ. 799**: იგივე იტყოდა: „მოკულე კაცი ჰირად ჯავრიანი უნდა იყოს და გულად – მოწყალე!“

[1111] **სტრ. 800**: ანაკსანდრეს ჰკითხეს: „ლაკადომელნი თეთრს რატომ საჭურჭლეში არ აგროვებენ?“ მიუგო: „ამიტომ, რომ, ვისაც ის ებარება, ქურდობა არ ისწავლოს“.

[1112] **სტრ. 802**: ანტაკლატს ჰკითხეს: „ერს კაცი რით შეუყვარდება?“ – „სიტყვა ტკბილი უნდა გქონდეს და კაცის დასაკლისი არა რა გინდოდეს!“

[1113] **სტრ. 803**: არხიდამ, როდესაც იმაზე ფილიპე მეფემ გაიმარჯვა და გამარჯვებას უკან მუქარა მისწერა, ამის ჰასუხად შეუთვალა: „ნუ ჩქარობ! რომელსაც მზესა შენთვის სხივი მოუკვნია, მას ეგების ღრუბელიც გარდეფაროს“.

და „უფრო ამით, – მან მიუგო, – ერი უსმენს დაუგმობად“.[1114]

806. რა ქნას მეფემან, ყმა ჰყვანდეს ურჩი, იყოსმცა გმირია,
ის დაბლა კარგსა ბრძანებდეს, მონა ბრიყულად მყვირია;
ბერთა და ერთა ორისავ არის რამ დიდი ჭირია.
და სად მორჩილება არ არის, გაკმების ხეთა ძირია!

807. თექთემონს დანაშაულზე სამსჯავრო სიკვდილს უდებსა,
საკვდავად მიჰყავს, იცინის, იჩენდა კბილსა უდებსა,
ჰკითხეს: „რასათვინ იცინი?“ თქვა: „რაცა ცეცხლსა უდებსა,
და უვალოდ ძალმიც გარდაკდა, რაცა ვქენ, უძმო უდებსა“.[1115]

808. სად სიკვდილი სულსა არგებს, ანუ კორცსა ასახელებს,
უკან მირბი, ამხანაგი შემწედ ვერსით დაგახელებს,
ცუდისა და ცუდის საქმით შენ შეიკრავ შენსა ხელებს,
და საქმესა იქ, პეპელიკთა არ უქნია არცა ხელებს!

809. ლეომენთანა მოვიდენ, აწვევდენ ბევრსა ერები,
„პოლიკარტელთა ებრძოლე!“ – თქმით არი შენამზერები.
– „რაც პირველ მითხარ, დამვიწყდა, შუა თქმულთ ვიცი ვერები,
და ბოლოს თქმულისა სიტყვისა არა ვარ დანაჯერები“.[1116]

810. ნუ ხარ მიმყოლი სიტყვისა, მოგზვდების მოსაწევარი,
ნურც ამასა იქ, არ ჰკითხო, ვინა გყავს შემაწევარი,
გულს დაუჯერე, ბევრს ჰკითხე, ვისკენაც გექნას მზევარი,
და საითაც ქარი აღმოვა, ნუ ხარ იმისი მდევარი!

[1114] **სტრ. 805**: ეძე ჰომჰემ გაიგონა: ერთი ვინმე ამბობდა, რომ ლაკადომია ამისთვის დადგა, რომ იქაურმან მეფემ ბრძანება იცის. მიუგო: „ვეჭობ, ამიტომ უფრო დამდგარიეოს, რომ იქაურთ ერთი გაგონება იციან.“

[1115] **სტრ. 807**: თექთემენ, როდესაც თვისის დანაშაულის გულისათვის სამართალში შეიევანეს და სიკვდილი განუწესეს და, რაჟამს სიკვდილი განუწესეს, სიცილი დაიწყო. ერთმა ვინმე ჰკითხა: „რა გაცინებს?“ მიუგო: „ამაზედ ვიცინი, ასეთი დანაშაული მიპოვნეს, რომ გარდაკაცს შემიძლიან, და არცა ვისკან ვისესხები, ისრე უსესხებლად გარდვიკდი“.

[1116] **სტრ. 809**: ლეომენთანა როდესმე ერნი ამაზედ მოვიდნეს და დიდხანსაც ელაპარაკნეს, რათა ჰოლიკარტელებს ომი დაუწეონ, ჰასუხი ესრეთ მიუგო: „რომელიც რად მითხარით, ის კი დამავიწყდა; რაც შუაში მითხრით, ის არ ვიცი და, რასაც ბოლოს მეუბნებით, იმას კა არ დაგიჯერებ“.

811. „ომის ამბითა გაამებთ, – ბრძენს უთხრეს, – მოგვისმინენი!“
– „შენ სახელად გჩანს, მე შეთად, საამო რა ვიწინენი?
მერცხალს თუ ბრძოლა უამბო, ფრთა ექნას დასაცვინენი,
და ორბს იამების, გაუკდეს მას გული მოუწყინენი“.[1117]

812. ბრძენსა სიბრძნე, მრჩეველს რჩევა, მბრძოლსა ბრძოლა იამება,
მოღვაწეთა მოღვაწობა, სასოებას მოწამება,
ღ(მრ)თისმეტყველსა, – როგორ არი ერთი ღ(მერ)თი სამგვამება,
და მუსიკთა და მგალობელთა, – რაცა კარგა შეეკმება.

813. მენავეთა კარგის ქარის ანუ ავის მართებს მბობა,
მეგუთნეთა საგუთნოსა ძრახი უნდა ანუ მკობა,
მეომართა – მეომრობა, დაჭრილობის თქმა და კმობა,
და დამწყსა მწყემსთა თავის სამწყსოს არ მიეცეს მისგან გმობა.[1118]

814. ვინცა რაზედა იჩინე ზეცის ან ქვეყნის წილობით,
სჯობს მაზედ დამტკიცებული ან სხვათა შენაცილობით,
ხან ესე გინდა, ხან – ისი, წაკლები უსაცილობით,
და ერთზედა დაუდგრომელი გაჰკდები სასაცილობით!

* * *

815. აწ გაუსრულდა წადილი ამბისა ლექსად მკონოსა,
სევდისა განსაბნეველად, რაც მქონდა მოსაგონოსა,
ეგების სხვათაც იამოს, თუ ვისმე მოეწონოსა,
და არ ისმენ, დასდევ , ხანს უკან სხვა მოვა, გაიგონოსა!

816. ქირმანს– „ქილილა დამანა“, მოსკოს ვარ ამის მთქმელია,
უყურეთ სოფლის საქმესა, თუ რაებისა მქნელია!
ზოგს ცად აღიყვანს და ზოგი მიწათა გასაქნელია,
და სულს მამაცდინა და კორცი შემიქნა მოსაქნელია.

[1117] **სტრ. 811**: ერთი ვისმე ბრძენი მოიყვანა და უთხრა: „დაჯექ! სიმამაცის ამბავს გიამბობ და შეგაქცევო; გაიცინა და უთხრა: „როგორ შემაქცევ, რასაც შენ სიმამაცეს ეძახი, მე ამას სიგიჟეს უძახი“. მიუგო: „რასთვის?“ – „ამისთვის, რომ სიმამაცის ამბავი მერცხალს რომ უამბო, შიშით მოკვდება და ორბი კი დაგიმადლებს“.

[1118] **სტრ. 813**: მართებულ არის, რათა მენავე ქარის ამბავს უბნობდეს, მკუნელი – კართ ამბაუს და მეომარი თავის დაჭრილობას ითვლიდეს და მწყემსი – თვისთა სამწყსოთა.

817. მე გავაწყე ბრძენთა სიტყვა ართუ მათი საფერისად,
სევდა თავსა მოვაშორვე, ნდომა მქონდა რაცა ვისად,
ვინცა იტყვით ამის უკეთ, არ იქნება ჩემთვის მქისად,
და ანუ სულსა ანუ კორცსა იმედი აქვს ნეტარ რისად?!

818. არმაღნად ესე დავაცვი ყრმათათვის მოსართმეველად,
მე ბერიკაცი ასე ვარ ამაზე სარჯლის მწეველად,
ყრმათა რა გიკამსთ, გასინჯეთ ამისა მოსასთვლეველად,
და გკადრებ ყოველთა, არა ქნათ გაფანჩულ-გასაბნეველად!

819. ლექსი მას უქეთ, ვინც იყოს ამბისაც თვითვე მთქმელები,
მე ბრძენთა სიტყა გავლექსე, სათქმელად გასაძნელები,
ვეცადე იყოს სიმოკლით სხვისა სხვად საგებელები,
და უკეთ არ მოჰკდა, ძრახვისა ნურვინ ხართ შემომზღველები!

820. რა საკმარია ლექსობა ურგები კაცთა, უყენი,
უიგაო და უჩხრეკი, მწვე სამსგავსია უყენი,
სულ ბოროტზედა მსრბოლელი, კეთილსა ზედა უყენი,
და ცუდი ამბავი, ცუდ შრომა, ცუდისგან მუდამ უყენი?!

821. რუსთველისა ლექსი მეფეა- ტახტზედ გვირგვინით მჯდომელი,
კვლავ ჩახრუხაძე, აგრევე სხვისა რიგისა მდომელი,
მეფის არჩილის სარჯელი სწავლაა დაუცხრომელი,
და საბა თავადი მჯდომელი, მამუკა ბოლოს მდგომელი.

მესამე და მეოთხე (ბოლო) რედაქციები[1]

1. ტკბილ მოუბარსა რუსთველსა დაუფრქვევია მკობანი,
სიბრძნის სწავლითა იგავნი, საცოლქმრო აშიკობანი,
გამოსაგებსა საძნელოდ, მიბაძეს ცუდი კმობანი,
და სა(ღმრ)თო ნაკადი სალიზღრად დაგვიტოვენით გმობანი.

[1] მესამე რედაქციის სტროფები წარმოდგენილია განსხვავებული ნუმერაციითა და შავი შრიფტით.

2. უწადად წიგნის გალექსვა ფილასოფოსთა მადესა,
დაუქსავთ სასწავლებელნი, შესამოკლებად მხადესა,
პასუხი უგონ ერთმანერთს სიტყვითა დამაქადესა,
და ძმობისთვის მომიგონებდეთ შენდობის მონამწადესა!

3. დამაყეფარი ბულბული დავაგდე სირთა მღეველმან,
ცაცხვისა საჩრდილობელი – ნაძოვანისა მწეველმან,
საკრეფი მოუკრეფელად – სხვისაკენ დამაძლეველმან,
და შეატყოს შემატყობელმან, ჭაშნიკის დამალეველმან!

* * *

4. კარგი არ იტყვის პირს ქებას, თუ უკან დაუძრახავსა!

4–ა. პირს ქება, უკან ბასრობა გვარიანს გააცუდებსა!

5. სხვის განსაცდელი სხვისათვის დიდი რამ საწუხარია!

5–ა. ჭირად მიგაჩნდეს სხვა, სხვისა განსაცდელი და ჭირები!

6. უჭკუოდ კაცის სიკეთე, ვაი, რა ცარიელია!

7. განაბნევს სხვისა გარევა, თუ რამ გაქვს მონაგებია!

7–ა. გააცუდებს მინაგებსა უსამართლო განარევი!

8. უომრად კაცის მორევნა სახელად არ ეგებისა!

9. დააკლებს კაცსა სიხარბე, არ მისცემს განსვენებასა!

9–ა. უსარგებლო და დამკლები სიხარბე გაუძლისია!

10. შენსა ნახულსა ნასმენი უფრო რა დასაჯერია?!

11. მისას ვერ ხმარობს, რაც(ა) აქვს და სხვასა ეცილებიან!

11–ა. მისას მისთვის გააცუდებს, ზოგნი სხვათა ეცილების!

12. გამოგუნდების მამის წვრთნით, თუ შვილი გონიერია!

12-ა. არ ემძიმის გონიერსა მამისაგან ბძანებული!

13. საქები ქალი ქრისათვის სიკვდილსა დაურიდობსა,
უქები გარდაიცვალოს, საგლოველს მონარიდობსა,
ერთია ლხინი დიადი, სიხარულს გაადიდობსა,
და ჭირისა ტვირთსა მომძიმოდ მეორე ანამკიდობსა.

14. სიწყნარისაგან სიმშვიდით ქალი თავისა მცველია,
სახლისა აღმავსებელი, გვირგვინი უეჭველია,
შვილის დაცვითა მომლველი, სწავლაზე მინაშველია,
და გულსია გამაპობელი ენა გრძელი და მწველია.

15. არ წარკდებოდე, მოყვსისა რგებაა სავარგნარენი!

16. სოგრატ მოკვდავი უფალსა გულითა ევედრებისა:
„სიბრძნისა დამბადებელო, სულისა საკმარებისა,
შემოგაევედრებ ჩემს სულსა, მყოფელო შესაკრებისა,
და შემინდევ ნასაქმარები წინაშე მოსახრებისა!“

17. დაჰკარგეს ქმნულთა მოქმედი, საქმეა უმეცრულები,
განქარვებადი ეგონათ სიკვდილად მინარულები,
გამოაცხადა სიბრძნემან ვედრებით მიფარულები:
და სწავლითა ანავსებარი გამოჩნდა განასრულები!“

18. პლატონ ბრძენია, ბრძენია, ქვეყანით აფონელია,
სოგრატის განსწავლებული, გაბრძნობაშიგა მთელია,
პირველ სახელად არისტონ მისთვისვე დასარქმელია,
მერმე გულისა სივრცისთვის პლატონად სასმენელია,
მის ენით პლატონ თარგმანით ერცელობით საცნობელია,
ზოგთა მას ზედა უწოდეს სიტყვისა ვრცელად მთქმელია,
და მით ყველას უკეთ სოკრატის სწავლისა დამსწავლელია.

19. სიკეთის გამომეტყველი, დღეს წარვლის გაუმწარებსა,
რაგინდ მრავალი ისწავლოს, ცდილობენ შეუკმარებსა,
სახელი დარჩეს ბოლომდი, მონაწვადს, მონაკარებსა,

და რა ემჯობინოს სასწავლოს, სიკეთით მონაკმარებსა!

20. დღეში პლატონ სამგზეულად მადლობასა შესწირვიდა,
უნაბადი ბარბაროზთა ელენთაგან გამოვიდა,
პირმეტყველად შენაქმარი პირუტყულად უსახვიდა,
და სოგრატისა შემომსწრები სიბრძნისაგან მონაცვიდა.

21. კარგია მადლის შეწირვა დღიურად, დასაჟამისად,
სოფლისა მოსაცემელსა სამადლობელი წამისად,
გარდგემატების სიმდიდრე ნივთისა დასაამისად.
და კაცისა უმადურობა მავნებელია გვამისად.

22. მოიშორების ამისგან სახელი საქებარენი,
გაგიცნან სიყმაწვილითა სიკეთით საამბარენი,
ბოლომდი გასაწეველი, უფასო მისაბარენი,
და საწადის მისახვედრელი, მტერთაგან დაუბარენი.

23. სიკეთის მომდომებელსა ჭირითა მოედაროსა,
გამოიცადოს მრავალჯერ, გამაღლდეს, დაემდაროსა;
ვინ ღირს ა, მისახვედრელად წადილსა დაუმცდაროსა,
და სახელის მოპოვნებასა სხვა რაღა შეედაროსა?

24. სარკემ აჩვენოს გულმწყრალთა და მემთვრალეთა მკლეობა,
და ჩამოიშალონ ეგების უშვერებისა ზნეობა!

25. გულმრისხანე სახის მწერთა უსახურსა დაასახეს.

26. მრისხანეთა ბაგე ლალი ჩაებნელოს, ჩაეშაოს,
და სისხლისაგან დამეტებით ლურჯად თვალი დაეშაოს.

27. სენკრატ მოწაფე შეესწრა მონისგან გარისხებულსა;
უბრძანა ცემა: „მივაგავ რისხვისა მიახლებულსა“.
ნახეთ პლატონის რიდება საქმესა საახებულსა;
და ძმის მებოროტე ვითა ჰგავს სახისა დასახებულსა?!

28. რისხვა კარგია, დაეგოს ქვეყნისა წესი რიგები(თ),
უსაკმარია მტერობით, შეშურებისა მიგებით,

უგუნურება დასცვივდეს ეგების და-ცა-რიგებით,
და სიბრძნისა გამორჩევითა, ზომისა მონარიგებით.

29. ცემა, წყრომა და გინება ჯავრით რა სავარგულია?!.

30. დავადარო გასწავლული გაუსწავლსა დაუმდარად,
და მკურნალი და ავადმყოფი სამსგავსოა შესადარად?

30[1] მსწავლელი და უსწავლელი ამ(ა) ზედან ვერ ამდარეს,
და მკურნალი და ავატყოფი ერთმანეთსა შეადარეს.

31. ანტისტინე საუბარსა მოყვებოდის მეტად გრძელად,
პლატონისგან მოუწონი შეკადრებდის გაუძნელად:
– „რადგან სიტყვის საზღვარზედა მოქმედობ-ა გაუმცნელად,
და სხვამან უნდა გაგისაზღროს დაუბინდად, დაუბნელად".

32. სიტყვა მოკლედ მოყვანილი, მოსასმენი გაუძნელად,
დაწერილი სასიამო, დაუჩხაბი ცუდად მგძნელად,
მისცეს ყურსა განსვენება, გონებისა შესანელად,
და საწყინოა გრძელი სიტყვა, სასმენელის დასაბნელად.

33. მსმენს შეგება ეძნელების, საუბარი გაქარდების,
და შენამკრთალი სასმენელი გასაგონად გამწარდების.

34. პლატონისაგან კორინთნი ითხოვდენ რჯულის დებასა.
და –„ისმინეთ: თავის მომწონი ვერ იქნან რჯულის ნებასა!"

35. მანამ სწავლისა სასწავლო გაკადე მისაშურავი,
და სანამ თავისა სიკეთე შეგექნას შესაშურავი!

36. ზოგთ სირცხვილად მიაჩნია სიყმეს უკან კითხვა, სწავლა,
და ბრძენთ სახელად ჩაუგდიათ სიკვდილამდე მაშიგ წავლა.

37. პლატონ კაცია, კაცია, სიკეთის შენატკაცია,
თავის ნებისა მომკვლელი, გემო კორცისა რაცია,
ისწავლებოდა: „სიკვდილსა ნუ შიშობ, დასაკოცია".
ფილასოფოსნი დასჯერდენ, ეგონათ გასაკოცია!

არა თქვა ასე: „ისი სჯობს,შექნოდეს სულ საოცია;
ბრძენი ის არის, სიკვდილის მოფიქრა გაუოცია.
სიკვდილი არის ორრიგი: ბუნებით აღუკოცია,
მეორე: კარგის წადილით, ვის ნება აღუკოცია,
და კორცი გემოსა შვებითა გამხდარა სულ უეცია“.

38. ძნელია სიბრძნით სიკვდილი, საწუთოს ქცევა ჟამისა,
ზე აამაღლებს, ქვე დასცემს, ყველაი ერთის წამისა,
ყურსა ნუ უგდებ, ნუ მისდევ მის გამო შესაწამისა,
და შემოიჭირე სადავე მაგრა შენისა გვამისა!

39. ბრძნის ცნობისა მომდომელნო, ესეაო მისი ნიში:
და არცა ქებას აუზვავდეს, არც ძრახვისა ქონდეს შიში!“

40. კმა გამოაჩენს ჩინურსა, კაცსა – ამბისა მბობანი!

**40¹ ჩინურთა და კაცთა ცნობა ერთმანერთსა და(ა)სახეს:
და ორივ ხმითა იცნობების, გამგონეთა გაივახე!**

41. სიცოცხლის საზრდო უმჯობე ამითი შეიკრებიან:
და არას ეძებდენ მეტობით, რაცა არ ეჭირვებიან!

42. მაგარი კაცი იქნების ჯავრისა მომკუეთელია:
სუსტობის დასანიშნავი სიტყვისა უმმარხველია.
სალი კლდისაგან უმაგრე მკდოვნობის დამფარველია,
და ბასრს გააცუდებს, დააგდოს სიავის საჩვეველია..

43. რისხვამ შექნას უადგილოდ მოსაძაგი, მოსაწყენი,
გააცუდებს, გულის სიტყვა შეუკრძალი, დაუყენი,
გლახაკობის დაუფარი, სილაღითა ამაყენი,
და სიავისა შენათვისი, სიკეთისა მიუყენი.

44. სარიდალია სამყოფი ყმაწვილთა შემცველობანი,
და ლაღობით ამპარტავანთა ადგილთა გამვლელობანი.

**44¹. ყრმათა და გამოუცდელთა სამეფო სარიდალია,
და ამპარტავანთა ადგილი ეგრევე დაუცდელია.**

45. ბრძნისგან კარგსა რად მოელის, ვინცა ავსა მოქმედობენ?!!

46. თემის ბედია, დაუჯდა კარგი რამ გამგებელია:
და კაცი თავისა ურგები, სხვისა რა სარგებელია?!

47. სიბრძნის ფუზე ჩაუყრია მოთმინების მომგებარსა!

48. წააკდენს ავი ბუნება სიკეთის გასაბოლოსა!

49. ნებისა მოუკვეთელნი უთმინო შეიქნებიან!

50. გამსინჯავისა გასინჯვით ესეა სამწუხარენი:
უსარვაგობით მდიდარი დაეცით, დაემდარენი!
პატიოსანსა პატივი გაუკდა გარის გარენი,
და ჭკვიანსა ჭკუა დააკლდა სახვედრი, გასამწარენი.

51. დაუმდაბლებლად ამაყსა ყური არ მიეგდებისა!

51[1]. მაშინ მიხედე ამაყსა, რა კარგა დაემდაროსა!

52. მართებს სხვაზე უფროსებსა, დია, რამე უკეთ ქცევა,
და შეუფერად მოარულსა მალ პატივი წაექცევა!

53. მამა შვილსა არ ასწავლის, არა ოდეს გაუმგუნდეს,
და საცნობია, მემკვიდრობა მისთვის თურე არა უნდეს.

.

54. საჩინო არის სულგრძელად უქონელობის მთმობარი!

55. მტრისგან წაკდენა გერჩივნოს მოყვრისა მათხოვრობასა!

56. დიონოს უზამს არისტოფს შესიტყვებითა გებასა:
„უმეტეს ფილასოფოსნი რას იპოვნიან რგებასა?“
– „უფროსად იქმან ავშია კარგისა გამოგებასა,
და მიმყოვრებითა ცდილობენ სიავის გარდაგებასა“.

57. კარგია მისახვედრელად ფილასოფოსთა წილობა,

გაღვიძებითა განუფრთხოს უგუნურობის ძილობა,
თქვას რამე შესაქცეველი, ვერვის შეეძლოს ცილობა;
და კაცი პირუტყვსა რითა სჯობს– ესეა განაწილობა!

58. დიდ შემძლეთა შეიყვარეთ ფილასოფი განაბრძენი,
და სიმდიდრის და ღარიბობის გზა იციან შესაძენი!

59. გლახაკს ხელსა ვინ შეადრის, რაზომ იყოს უქონელი,
და ნაბოძვარსა სახეობას გაიცუდებს მიუგნელი.

60. სრულისა მართებულია სწავლითა გასინჯულობა,
უქონელადცა ვიდოდეს, კაცობისა აქვს თქმულობა;
სიკეთის მოუქონელად მორჭმით მოიგო სრულობა,
და კაცად არავინ ჩაგაგდებს, მოგეცეს უფლისწულობა.

61. სიმდიდრისაგან ნაქები საქმეა უსუსურია,
ჭკუითა ცოდნა, შეძლება სანდომი, მოსასურია,
სიმაღლე არის დიადი, ვის ეძებს, მისი პურია;
და შეუგვანისად მოძებნა საგმობი, ვაჟკაცურია?!

62. რისაგან შესამატია ფილასოფოსთა ბრძნობანი?
– „მოგებული აქვს სიმართლით სადაც(ა) ენა ძნობანი,
სიკვდილის მოურიდობით ჰკადროს მართლისა გრძნობანი,
და მარტო კაცთაგან არ მოსწონს სიმართლის შესაგონანი!“

63. სანატრელია სოფლისა გარდასავლელად მზღვარები,
უშიშობითა მოარე სირცხვილით დაუმწვარები.
უვარგელია, უყვარდეს საპატიოსნო ცვარები,
და უბნობს: „არ მინდა სოფელი მისგამო შენასვარები!“

64. მდიდარი ფილასოფოსთა სძულან, ვერ გაეცლებიან,
და მკურნალთა სენი არ უნდა, მათავე იახლებიან.

65. ხუთას ფლურსა თხოულობდა შვილისათვის მისაბარად;
მამა ეტყვის: „სხვას ვიყიდი უმჯობესსა მრავალგვარად“,
მან მიუგო: „ბიჭს იყიდი! რა გავზარდო მოსაკმარად,
და გეყოლება ორი შვილი საბოლოოდ გასახარად“.

66. გაუსწავლელი იქნების უხმარი, კელსაკდელია;
ვინც ეძებს მისგან კეთილსა, ცუდია შენამცდელია.
გინდოდეს შენთვის, ასწავლე, რაცა გყავს გასაზრდელია,
და მაშინღა ირგოთ ორთავე, იწვადოს მისაწვდელია.

67. საქმე რამე არისტოტელს ბჭეთმგებელმა გაუმართა,
მისგან მისის უბრძნესობით დაიჯერა, დაემართა;
ჰკადრა: „სიბრძნეს რასა კმარობ? ესე ჩემგან წარგემართა,
და მოგივიდა შეძინება, რაზომიცა მოიმართა“.

68. ჰრქვა: უხმარია უბნობა სიტყვასა მიუმხვდაროსა,
ნასმენსა ჩემგან იტყოდი ამბისა შესადაროსა,
მისგან მოგეცა პატივი ნაკლებსა, დანამცდაროსა,
და მოციქულს სიტყვას ვინ უსმენს, მეფისა დანამდაროსა?“

69. უცებს გონია ბრძენობა შესაძლებელის მქნელადო,
გული ამაყი შექნია ძნელისა გასაკსნელადო,
უკვირს და სწყრების, სიკეთე შემქნია გაუცნელადო,
და გაუძნელდების გარკვევა, ჩავარდეს განსაცდელადო.

70. მოყვასისგან დაუცადად იღებს ვაჭშსა ბძენი ვალად,
და სხვას ასწავლოს თეთრის ხარჯი, ვისცა უძეს დაუთვალად.

70[1]. ბძენი მოყვისისგან მალ-მალე საზარჯოს იღებს ვალადო-
და თეთრის დაზარჯვა ასწავლოს, ვის უძეს დაუთვალადო.

71. სამ ოქროდ იღებს კაკაბსა, დაუგმეს მუცლად აობა;
— „აგერ სამ ფულად გაკდება“, — დაუწყეს მისა დაობა.
„ჩემთვის სამ ფლურსა, — ეტყოდა, — ესე აქვს შესაგაობა,
და ეგრე მჩანს, ვითა მიგაჩანს მაგა ფულისა შაობა“.

72. „ავმუცლობით არ მიქნია, ვყოფილიყო დანამჭირად,
არას ვეძებ დასადებლად, თეთრი მინდა გასაწირად;
სარვაგობით არ იქმონენ, არ იყიდის ვინცა ძვირად,
და განძი უნდა დასადებლად, პარკებისა მოსაჭირად“.

73. რა კაცსა გამოუვიდა მამონაობის ქარები,
ოქრო და მიწა სწორეა მას თანა გასახარები;
ქონა არ უნდა, დახარჯაეს, არა აქვს შესაზარები.
და გმობენ სოფლისა მოყვასთა, მიაჩანს გასამწარები.

74. არიდებ შვილსა სასწავლოდ, სათუთად გინდა ზრდილია: –
და ქვანიცა ჰყრია მინდორად, უკმარი გასაწბილია!

74[1]. არ მისცემ შვილსა საზრდელად, სათუთად გინდა ზდილია; –
და ცუდი ქვაც ყრია მინდორად, უხმარი, გასაწბილია!

75. სწავლისაგან გამდიდრება უმდიდრეა სამდიდროსა,
და რაცა არის უკეთესი, მარჯვედა იქს თავის დროსა.

75[1]. სწავლა გულსა დანადები უმდიდრეა სამდიდროსა,
და რაცა არის უკეთესი მარჯვედა იქს მას მას დროსა.

76. ჭკვიანი შმაგსა რითა სჯობს, ამითი შეიტყობიან,
და განაშიშვლარი რა ნახო, ვინ უმალ შეიმკობიან.

77. დაუგმობია: ქირითა საქმეზედ ვინმე აროსა,
და ანუ შემწვრენი თეთრითა სალხინოდ მოიკმაროსა.

78. პოლენ გონია, მგონია, არისტოტელთან მსვლენია,
შევიდა, ნახა ქალები მოკაზმის დაუკლენია,
სუფრა აღვსილი სრულობით სალხინო მოსავლენია.
„ფილასოფურად არ ცხოვრებს!“ – ისმენდენ მოახლენია.
ჯერ კმა არ გასცა არისტოფ, ვითამცა უსულენია,
ხანს უკან უთხრა: „მეწვიე, ჰქენ რამე დასალენია!“
პოლნე ეწვია მისითა სიტყვითა დამაძლენია.
არისტოფ უთხრა: „რად სძაგე ჩემი სიცოცხლე მძლენია?
ეს არ გეწყინა, რომე მაქვს სუფრანი უსამხლენია,
თეთრის დახარჯვა გეწყინა, საცვეთი დასახლენია,
ფარისეველი ყოფილხარ, მიწასა დასახლენია,
და სუფრას მიგინებ, ეს გინდა, აქ იყო მოსახლენია!“

79. გაეწყობი, სახლში შეხვალ, მისას ნახავ რასაც რასა,
ერთპირობით დაუწუნებ დანადებსა გარე სრასა;
გინდა, დაგხვდეს შესამსგავსად შენაყარს და გამოყრასა,
და არ იქმონენ გონიერნი ამ საქმეზე ენის ძერასა!

80. ზიკირიელის მეფეა, დიოღენს უთხრას მდომელი:
„სოგრატს რასათვის მოშორდი, მიზეზი გაქვან რომელი?“
— „სანამდი სიბრძნე მინდოდა, ვიყავ იმასთან მშრომელი,
და აწ თეთრი მომდომებია, თქვენს წინაშე ვარ მდგომელი!“

81. წესია სოფლის მოყვასთა, ხან ეს უნდა და ხან ისი,
ლხინი, შვება და სიამე დიდის რამ შესაგვანისი,
ხან სიბრძნე, გონიერება თვალს წინა მოსაყვანისი.
და მალე დააზროს სოფელმა იგ მისი გასამწვანისი.

82. მეფემ უბრძანა დიოღენს ფილასოფოსთა თქმულისა.
ჰკადრა: „შეგკადრო იმათი, უცილოდ გაგაგულისა!“
გაწყრა, ბოლოსკენ დაჯდომა, ბრძანა წინაშე სმულისა.
(და) ლოცავს: „ყოფილხარ მოწყალე საჯდომის აქა დგმულისა“.

83. ამბავს კითხავ, მოგახსენებს, ვერ შეგივა გულსა გონად,
უსმენობით მისი გზები მიგაჩნია ჩალის წონად,
უთქმელობით შემოსწყრები, შეიქნები მალე მცონად,
და მართალია, რაც არ იცის, საწყენია გასაგონად.

84. უცებსა ნებავს ადგილი უმაღლე დასაჯდომელი,
უნებურია ბრძენისა ამგვარი მოსანდომელი,
იჯდეს სადაცა, მიხვდება პატივი მიუწდომელი;
და არვინ მიხედავს ზემოსა, ხელია მიუკდომელი.

85. ძნელია კაცის სიმაღლის უწადი, მოუნმდომელი,
საქმეცა მართებს გარჯითა სამსგავსო, შესაწონელი;
უმაღლესისა საჯდომთა თავი გაქვს მოსაწონელი,
და იცოდე მისი პატივი, საშოვრად მოსაქონელი!

86. დიოღენ უქონელობით მეფესა სთხოვდა ბოძებად,
— უბნობდი: „ბრძენი საკმართა უჭირველია ბოძებად!“

— „მოცემას უკან მაყუედრებ!“ ბოძება ბრძანა ოცებად.
და —„გკადრე: ბრძენისა დამჭირნე უნახავია ოცებად!“

87. თუ უნდა ბრძენსა სოფელი, იცის იმისი გზებია,
გაკადოს მოსაწადილი ადვილად დასამზებია,
გზა მიცეს საქმეს საქმითა, უჭირო მიზეზებია,
და დაუნახავსა სიბნელეს შემოაყენოს მზებია.

88. ზღვად მიმავალსა შემოხდენ ყაზახობითა მძრცველია,
ჩაკვი გამოკსნა, სინჯევდენ, უჭვრეტდენ, ოქროს მთვლელია,
ანასდათ კელით გააგდო, დაინთქა დასანთქმელია:
და —„მიჯობს წამიკდეს საუნჯე, მე გადაურჩე მრთელია!“

88[1]. ზღვად მიმავალსა შემოხვდენ ყაზახი, ნავთა მცრცველია,
ჩაკვი გამოკსნა, სინჯევდა; ხედევდენ, ოქროს მთვლელია,
ანაზდად კელით გააგდო, დაინთქა დასანთქმელია:
და —„წამიკდეს უნჯი ის მიჯობს, მე მოვრჩე ისე მთელია!“

89. რა ეს ნახეს მათ ყაზახთა, ოქრო ზღვასა ჩაუვარდა;
გაარნეს გარდამსელელითა, მით ეკალი გაუვარდა;
გადაურჩა საშიშარსა, შესაწუხი გარდუვარდა,
და თათბირი და გამორჩევა ძნელად ვისმე დაუვარდა!

90. გასინჯული გამორჩევა ძნელსა შეიქს განადვილსა,
გარდურჩების საზარელსა, ჩამოადნობს ვითა ცვილსა,
შეადარებს ძალოვანსა მას ბამბასა დანაჩვილსა,
და გამოაგებს ბრძნისა თითით დანაბურდსა, დანასკვილსა.

91. საწუთროს დანამთმობარი მარგალიტს განაკვრეტარსა,
და ანაკიდარი დაუგეს, გარდაყრის დანამეტარსა.

91[1]. საწუთროს დამთმო თეთრსა და მარგალიტს განახვრეტარსა,
და ანაკიდარი დაუგეს, გაყრის მას დანამეტარსა.

92. მეფემ დიოღენს სარჩევლად სამი მოუსხა ქალები:
— „გამოარჩიე უმჯობე სიკეთით შენაცვალები!“
მან იგ სამივე წა(ა)სხა უვაჭროდ დაუვალები,

და განუტევა და განუშვა, არაზე შემომწყრალები.

92[1]. მეფემ დიოღენს სარჩევლად სამი მოგვარა ქალები:
— „გამოარჩიე უმჯობე საკეთოდ შეუცვალები!“
სამივე წამოიყვანა უვაჭროდ დაუვალები,
და დაუზარებლად გაუშვა, არაზე შემომწყრალები.

92 a. საფერს ფერი თუ არ მისცე, შეიქნების მონამდურად,
კეკლუცი და სახაფიფო მიაჩნია იმას დურად,
შენ გ(გ) ონია უმჯობესი, მისთვის არის მოსაცთურად,
და თავისივე ნავარგალი სხვისთვის მოსწონს, მიკვირს, თუ რად!

92 a[1]. საფერს ფერი თუ არ მიეც, შეიქნების მონამდურად,
კეკლუცობით სახაფიფო მიაჩნია იმას დურად,
შენ გ(გ) ონია უმჯობესი, მისთვის არის მოსაცთურად,
და თავისავე ნავარგალი სხვისას გონებს მოსასურად!

93. ერთი ვინმე აგინებდა, უპასუხოდ გაეცალა,
მინამდევრი აბრუნებდა, არ უნდოდა გაეცალა.
ჰრქვა არისტოფ: „სიტყვის ძალი არაოდეს დაგეცალა,
და ნება მქონან, არ ვისმინო, გა-ღა-ნამცა დამეც ალა!“

94. არ უნდა მაგინებელსა პასუხი საუბარისა,
გამოუთქმელად გასცილდი, მიხვდება დასაბარისა,
ნაქნარსა მაშინ შეიტყობს, სამთოსა დასაბარისა,
და შესარჩლებითა ერთიცა, მიეცე დასაბარისა.

95. მეგობრისათვის დიოღენ მეფესა ეხვეწებისა,
არას უსმენდა ნათქვამსა, ფეკზედა ეწებებისა:
უსმინა, მჭვრეტნი ეტყოდენ: „მალ გექნა, მალ ემწებისა“.
და — „ყურად მეფისა ფეკებსა ვინამცა შეესწრებისა!“

96. მეფეს მოეგოს სიბრძნითა რიგისა განწესებანი,
სიმართლითა იქს ნათქვამსა, მოუკვეთია ნებანი,
მოწყალეებაა საწყალთა უწყალოთ განქარვებანი,
და შუამავლობით ნაქნარსა გაუმრავალდების ვნებანი.

97. ზღვა აღუდგა არისტოფეს კორინთისკენ მიმავალსა,
შეშინებით ფერი ექცა, უჭვრეტიან შენაცვალსა,
მენავემან: „სიკვდილისთვის ქადაგებდი მოუკრძალსა!“
და —„მარტოობით არ ვკვდებოდი, სიბრძნე(ს) ეჭვრეტდი შესაბრალსა“.

98. ძნელია, კაცი სიკეთით, შემკული გასაწესითა
სოფელსა გაესალამოს დანარჩომისა კვნესითა,
დადუმდეს ენა–კეთილი სიტყვითა უკეთესითა;
და გარდაბრუნდება მბრუნავი საძნელოდ დასათესითა!

99. გამოუარა არისტოფ, დიონოს უნდა ხლებანი;
„მოდი! — უყიველა, — სალათის მაქვანო უამრებანი,
ამის ჭამისა დამრჩევსა განევლტვის უნებებანი“.
და — „უნებურს გემოს სჯობია ნებითა უგემებანი!“

100. სოფელსა ნებას ვერ პოებს მიმყოლი, დამაჯერები,
სიავითა და სიკეთით ვინ შეგქნას გასაჯერები!
გამრიღებელნი ბასრობენ სიბრძნისა შენამზერები;
და ნება სჯობს უნებობასა!“ — ასეა დასაწესები.

101. ანტისთენეა მოწაფე სოგრატის, განასრულია.
და ჰკითხეს: „სვიანობითა ვინ უფრო მოარულია?“
— „თავით ბოლომდი გარდავლოს ბედითა აღსასრულია,
და ზოგჯერ ისი და ზოგჯერ ეს უკმარი დასასრულია!“

102. სვესვიანობით გამლელსა გაუსრულდაო ბედები,
შემონატრიან, აქებენ შენამსმენი და მხედები,
შებორგდებიან, მიაჩანს უმჯობე, საიმედები,
და წამის ავი და სიკეთე რა არი დასაქედები?!

103. კლდისაგანცა უმაგრეა ძმობის დარი სიყვარული!
104. ქვეყნისა წასაკდენელსა, — კითხევდენ, — დააკლდებისა?
— „ოდეს ბოროტი განმრავლდეს, კეთილი გაცუდდებისა,
მოაკლდეს კარგთა პატივი, ავები გადიდებისა,
და მაშინღა გარდაიწყვიტე წამალი იმედებისა!“

105. საცა ბოროტი გამოჩნდა სიავის სიმრავლებითა,
ძირიანობით გამსხვილდა მიღმამდი გასავლებითა,
ნაყოფი ტკბილი აღმოფხვრა, მოისხა დანაკლებითა,
და აოკრდა თემი, ქვეყანა მისითა მიახლებითა.

106. გააცუდებს რკინას გესლი, კაცსა შურის მიდევნება!

107. სიბოროტის მოშორვება სულ სწავლასა დაამეტებს!

108. კარგს ბაძავს ბრძენი, არ ეძებს კაცისა მიბაძებასა!

109. შეუმცირდების მოწაფე სწავლისთვის ბევრის მთხოველსა!

110. ავნი აროდეს აქებენ ავისა წაუკიდარსა!

111. ანტისტინესა წინესა ყრმა ვინმე შემოსცინესა,
გაეწყო: „ნავსა მოველი, აწე ნუ მოგეწყინესა.
მაშინ გმსახურებ, – ეტყოდა, – რაცა რა შემეძინესა!“
ანტისტე ქალაქს წავიდა, ყრმა იმას წაეწინესა,
ფქვილი იყიდა, ყრმას უთხრა: „წაიღე ესე შინესა!“
„ფასი მოგვეცო!“ – ეტყოდენ, არათუ შეაგინესა.
– „ნავი მოუვა ამ ყრმასა, მდგომელსა ჩემსა წინესა,
მაშინღა მოგცემ უკლებრად, მაგად ნუ შეგეშინესა!“
უთხრეს: „ბევრს დაპირებულსა ცოტა აქვს მისაწვდინესა!“
და „დაპირებისთვის სავაჭროს ვინ მოგცემს!“ –მას დასცინესა.

112. დანაპირები არა გაქვს, ტყუილი რა სასურია?!
გქონან და პირსა გაუტეხ, – ოფლისა მოსაწურია;
უქნელი არი კაცისა საქმენი უსუსურია,
და ვერ გამოაძლებს მუცელსა ნაქადებარი პურია!

113. საზრდო რამე მოიყიდა, დატვირთული წამოვიდა,
ერთობილთა გაუკვირდა, როგორ მისგან გამოვიდა.
მიუგებდა: „ჩემიაო, უცილებლად, უდავიდა,
და ჩემის თავის მუშაობა სირცხვილით(ა) არ დამწვიდა!“

114. მეფესა, ბრძენსა, გლახაკსა ესენი ეჭირებიან,
თავის რჩომისა სარჯელი ვითარცა ეშოებიან;
ვით მიხჯენ შვებით, უცდელად, თუ ჭირსა ერიდებიან?!
და სხვისა წყენისა დაკლებით შენიცა გაქარდებიან!

115. მაქებარს ეტყვის: „რად მაქებ, ავი რა წამკიდებია?!“

116. იარაღია სიკეთე, ბოლომდი მოუშლარია!

117. მოწაფეების ცემისთვის დაუძრახევდენ, მთქმელია:
„დასტაქარები დაჭრილთა გასარჯელისა მქნელია;
მკურნალნი აფარიზებენ, უგემოს შესასმელია;
და შეუსმენელი მოკვდება, მისი რა დასანთქმელია?!“

118. მსწავლელს მოსწავლის ცემაზე ვინ დაუძრახოს ბრალები,
მკურნალთ – უგემო საჭმელი, ავადმყოფთ შესაწყალები,
მებრძოლთა – მტრისა საშიშრად გამკვეთი, ბასრი კმალები,
და მეფეთა – ავი სიკვდილი, ქვეყნისა შესაბრალები?!

118[1]. მწვრთნელთა მოსწავლის ცემაზე ვინ დაუძრახოს ბრალები,
მკურნალთ – უგემო საჭმელი, სნეულთა შესაწყალები,
მებრძოლთა– მტრისა საშიშრად გამკვეთი, ბასრი კმალები,
და ავის სიკვდილი მეფეთგან, ქვეყნისა შესაბრალები?!

119. არისტოტელსა დაეყო ოცი პლატონთან წელია,
იმ სიბრძნისათვის სამოძღროდ მაკიდონელი მცდელია.
ჰკითხეს: „რა ირგე, ეგზომთა ჭირთა ხარ გარდამკდელია?“
და – „ნებით ვიქ, რასაც არიან სხვანი ძალითა მქნელია!“.

120. მოსაწონია, სიკეთეს იქმოდეს მონებებითა,
საცოდინარსა სწავლასა ეძებდეს მოუკლებითა,
სასიხარულოდ იქმოდეს სიკეთის მიახლებითა;
და ძალისა უპატიობით პირუტყვად შეიცვლებითა!

0121. არ ეძრახვის გონიერსა ავის კაცის მოწყალება,
და მასვე, მისსა ბუნებასა მართებს, რადგან ებრალება!

122. ვითა მოყვასი გინდოდეს, შენც ეგრე ექმენ მდევარი!

123. ანასდათ ჩამობერდების წყალობა, სიყვარულია!

124. კაცსა სწავლა გაანათლებს, ვითა მთვარე ღამე ბნელსა!

125. ბრძენი მალ ნახავს, რა მისდევს, რაზედა, რაცა, რისასა,
და ვერ დაინახავს უსწავლი თავისას, ვერცა სხვისასა!

126. სწავლის ძირი მოიმწარებს, ნაყოფი აქვს ბოლოდ ტკბილი!

127. საწყინო სწავლა — სალხინო ბოლოდ შენი და სხვისანი!

128. მკვდარსა და ცოცხალს ამსგავსეს ბრძენი და იგი ხელია!

129. სწავლა — სახმარი ბედისა, შვენება უბედობასა,
სირკუზს მეფემა დიონოს იხმარა გარდმოგდობასა:
სწავლიდა კორინთ, მიეცა საზდოსა დასამზობასა.
და გაუჭირდების უსწავლსა სოფლისა დაუნდობასა.

129[1]. ბედში სწავლა გამოდგების, დაამშვენებს უბედობას,
სირკუზელმა დიონოსი მეფობიდამ გარდმოგდობას,
კორინთელთა ასწავლიდა, მიენიჭა საზრდოს მზობას.
და გაუსწავლსა გაუჭირდეს სოფლისაგან დაუნდობას.

130. სოფლისაგანთა სოფელში განწესებია ჭირები,
რჩენა, დარჩენა თავისა ნამეტანია ძვირები;
არას ისწავლი საქნელად, უგუნურობით ირები,
და დაგიმძიმდების სიცოცხლე, გაკდები განამწირები!

131. სიმტყუენისაგან მტყუანსა ეს მიხვდეს სარგებელია:
და მართალი თქმული გაუხდეს ცუდი და ურგებელია!

132. სულსა და გვამსა ვამსგავსე მოყვარე საყვარელია.

133. ზოგნი უხმობენ, გონიათ ადრობით წარმავლობანი,
და ზოგნი უკვდავებრ ინახვენ, სწადიათ განმრავლებანი.

134. მღვიძართა ძილსა ვადარო იმედთა იმედებანი!

135. სამოც ორისა შორისა ჟამთა შეიქნა წელისა,
ავათმყოფისა მორჩენა სათქმელად იყო ძნელისა;
ორი მოწაფე მორჩილი ყვანდა ცოდნისა მგრძნელისა, –
იმენდემ როდისხელისა, ფეოფრატ ლევიტელისა.
ჰკითხეს: „შენს წილად ვინ ვიყოთ, საქმეა, რაც საქნელისა?“
მან ღვინო სთხოვა, მოართვეს სასრულად მის სათქმელისა.
როდისხლის კელით დალია, თქვა ძალი გემრიელისა.
რა ლევიტლისა დალია: – „მსგავსია ორი მთელისა,
მაგრამ ესე სჯობს გემოთი, რისაც ხარ მოსართმელისა! “
ყველამ შეიტყო ამითი მიცემა საცემელისა,
და ღვინით ორივე შეამკო, ნება ქნა საძებნელისა.

136. სიბრძნე ამისთვის კარგია, გააგებს შვენიერადო,
დაბალსა გამოიყვანენ სიმაღლედ შესამზერადო,
სიტყვასა გამოიტყვიან საძველოდ, დასაწერადო,
და კაკაბსა ქორად შეგიცვლის, მიმინოს მოგცემს მწყერადო.

იგავნი კეთილგონიერისა არისტოტელისანი

137. თავსა ნუ იქებ, არა თქვან: „ავად რამ არის მქცეველი! “
და ნუცა იძაგებ, დაგწამონ, „კაცია ფარისეველი!“

138. ბრმამ გზა გიჩვენოს, არ იქნას, გლახაკმან – გამდიდრებანი,
და უპატიურმან დაიწყოს პატიოსანად რებანი!

139. ზომიერ გაჯავრდებოდეს, მეტსა ნუ შეიწყნარებსა!
და მეტი ყმაწვილთა ამსგავსებს, უგუნურს დაადარებსა.

140. სიკეთისა უმოქმედო ბოროტს მაშინც გაეშორე!

141. ბრძენი – ოქროსა, გამოცდა კაცს ეგრე მოუკდებისა!

142. სხვისგან ავის მოთმინება კაცსა კარგა მოუკდება,
და საწყინო და უსამართლო სხვაზე თვითანც მოუკდება!

143. სეშში მოყვასს გვიან იცნობ, უსვეობა მალ გაცნობებს!

144. ეს ორი კაცი მაკვირვებს: უგვანსა ზედა მშრომელი –
და ცუდი ქებისა მდომელი, ძაგების გაუწყრომელი.

145. უმჯობესია მშობელთა მოძღვრისა პატიობანი,
და მისგან უცნობი მოვიდა, მისგან მიიღო ცნობანი.

146. დიდს ქალაქსა შობილობა რას ქებასა გაამრავლებს?
და მაშინ ვაქებ, რა ხარისხი უმჯობესად გარდასცვალებს!

147. სამართლისა დამდებელი არას მისდევს განარიგებს;
და რად ემდურვის სხვასა, მისგან ვინცა რასმე არას ირგებს.

148. პლატონისა სენკრატ იყო მოწაფე და მისი მადრე,
ბევრი თეთრი გაუგზავნა მოსაკმარად ალექსანდრე,
სამს მისხლამდე გამოიღო, შეუქცია ისევ ადრე:
და „მეფეთ უფრო ეჭირება, – აბარებდა, – ესე კადრე!"

149. რა უმჯობეა, იცოდეს ზომითა განაწესები,
მეტსა არ ეჭიდებოდეს მას ზედა დანამკვნესები!
ზოგნი სიმაღლედ იწევენ, ვის ბედი აქვან ზესები;
და დაუოდდება ერთობით სარგებლად დანათესები.

150. ბევრმეტყველი ეუბნების: „დადუმება რად იკარგე?"
– „სიტყვით მომხვდა ერთხელ სამე სინანული, უსავარგე,
ოდეს ვიყავ დაჩუმებით, არაფერი არ დავკარგე;
და მას დღეს უკან უკმოება გავინუზღე, გავიბარგე".

151. უთქმობა არის სიკეთე ბრძენთაცა მოსანებელი,
ენა სამუდმოდ მეტყველი ცეცხლია მოსაგზებელი.

წარსთქვამს ასეთსა, გაუკდეს კვალისა გაუგნებელი,
და ენა, უკლიტოდ მორბედი, ჭირია ულხინებელი.

152. რასაც უთქმობა მოგარჩენს, წათქმავე გაზიანებსა!

153. რა მოგცეს სიტყვამრავალმან, საუბრად მოუბარემან,
და ორს ყურსა ერთმა ენამან, სასმენლად შეუზარემან?!

მისივე არისტოტელის მცნებანი

154. მიეც მოქმედსა პატივი, მშობელთა — მიმსგავსებანი,
და სიმართლის მოქმედებითა გაირონინე ვსებანი!

155. განმკითხველი განგიკითხავს ბოროტისა გამკითხველსა!

156. არაწმინდობით ნუ განვლი, გლახა რა საკიცხარია!

157. შენ სასწორსა სიმართლისას მაგრა კელი მოუჭირე!

158. შეტყობით და მონდომებით უდიერსა დაერიდე!

158[1]. საუდიეროს ნურას იქ ცოდნით და მონდომებითა!

159. საძაგელია ღ(მ)თის წინა ფიცი და მოფიცარობა!

160. ნუ შეაწუხებ საწყალსა, ვალსა რად იჭერ სხვისასა?!
და წყევაზე გაარონინებს მიმდევსა ამა გზისასა!

161. დიოღენ იყო კინიკი, მოწაფე ანტიფენისა,
შებილწებისა მძრახველი, საჯაროდ მძვრელი ენისა,
ამის გამოით მომშლელი მრავალთა მათის ზნენისა,
და მტრობით კინიკი დაარქვეს, გულთათვინ შენაწყენისა.

162. მონაცემსა ბედისაგან შენაულლსა, შენ(ა)ჯუფთად, —
დაჯერებით შეინახოს განაწესი მეტად სუფთად;
არ დამდაბლდეს ქალწულება აღსაფრენი მაღლა უფთად,
და არ შეიქნას სოფლის ზრახვით დასანაყი, დასაგუფთად!

163. ყვინთსა იქმოდა ცოდვილი, ეგონა გამიწმნდებისა,
უგუნურებით რადა იქ, საქმეა უდებებისა!
წყალი წერილსა დაასხა, რით გასწმენდს, და-ცა-ლპებისა,
და გარდამავალის განწმენდა ცუდი(ა), გაქარდებისა!

164. წყალია ერთხელ გამწმენდი სულისა აღმოშობითა,
წყალი გვერდისა მცენარი, სადიდებელი მკობითა,
წყალი ყველაი ცუდია უსჯულოსებრი მბობითა,
და ვერას სიკეთის მიმცემი, ნათქვამი არაკობითა!

165. ვერ გასწმენდს წყალი ცოდვილსა, ცუდი რამ მომდინარენი!

166. სანთლით ბაზარში მძებნელსა კითხევდენ საძებნაროსა,
და იტყოდა: „კაცსა დავეძებ, სხვასა არ საუბნაროსა“.

167. დიდსა სწავლასა მოუყვა, არვინ მიუგდო ყურები,
ღორისა მსგავსად ჭყვიროდა, მივიდენ მინაშური,
— „არა გრცხვენიან, — ეტყოდა, — ესე გაქვთ მოსასურები,
და მას ყური არვინ მიუგდე, რაც იყო შესაშურები!“

168. უცხოა ესე სოფელი, ანუ მაშიგან მდგომელი,
კარგისა მოუწონარი, სიბოროტისა მდომელი,
დაუნახავი საქმისა, ვერასი ვერ მიმწდომელი,
და ასეთს იქს, თავი გონია ბოლომდი გაუცდომელი.

169. თუცა ათინის სტრაფჩებსა პატივს მისცემდენ დიდებსა,
მდაბალს მსახურად ხადოდენ მათგანვე ანაზიდებსა,
უკადრისობენ პასუხსა დასაკიდ-ასაზიდებსა,
და არც იგი ეფერებოდენ, ჰკადრებდენ დაურიდებსა.

169 a. თუ მისცე კაცსა პატივი პატივის შესაფეროსა,
მისვე გზითავე მოექეც მას, მისა შესამზეროსა;
ხან მაღლა ასწევ, ხან დაბლა, ადგილსა გასამტვეროსა,
და გულსა წააკდენ, საშენოდ ვეღარა ნახავ ვეროსა.

170. ნაწვევსა აღარ ეწვია, კითხევდენ მიზეზობასა,
და — „მადლი არ მითხრეს ძოლანცა შენიდამ გამოგზობასა“.

171. ნაწვევი მაწვევარებსა შემტკბარი დაუმადლებსა,
გარდააგდებდა დიოღენ მომდომსა, მომაწადლებსა;
„დამიმადლებდეთ! — ეტყოდა მას მისსა მიმახადლებსა, —
და სასიკეთოსა წყაროთი შემოგწყავ დაუცადლებსა!“

172. ნუ მიგაჩანს უკეთესად ერთი რამე შენ სავანად,
ბრძენი კშირად მოვიდოდეს, ექცეოდე შესაგვანად,
გამდიდრდები, უპოვია შესამსგავსი შესაძღვანად;
და მატს ყოველსა შესატანსა კარგი კაცი შესაყვანად!

173. მაკიდონელი მივიდა, ბრძენი სარკმელთან მჯდომია,
მზესა უშლიდა; ეტყოდა: „რისაცა ხარო მდომია,
ყველასა მოგცემ“. მიუგო:: „რად მინდა მოსახდომია?
და ნუ მიშლი, რისაც რისამე არ ძალგიც მოსაწდომია!“

174. სოფლისა დამტოვებელი, გაშვების მომნებებელი,
არად მიაჩანს იმისი , სხვის გზების არი მგნებელი.
უპოვარია ყველათი მეფეთა შემქენებელი,
და უქმია შესახილული, სხვანია მოსაძებელი.

175. „ბევრი გინდა, მოგანიჭებ!“ — ალექსანდრე არის მთქმელი,
— „ჩვენ ორშია, არა ვიცი, ვინცაღაა ნდომის მქნელი,
პარკუჭსა (და) საწვიმარ(სა) ვჯერვარ, არის რაზომ ძნელი,
და მამისასა არ სჯერდები, ქვეყანანი გინდა მთელი!“

176. ალექსანდრესებრ ვინ მოკლა უგლახაკესად გულია?
სახვედროს არას დასჯერდა, ქონდა მეტისა წყლულია.
რაცა მიეცა გლახაკსა, ღ(მრ)თისაგან ბოძებულია,
და დაჯერებითა მდიდროის განათლებული სულია.

177. „რა კაცი არის დიოღენ?! — შიქრიქი იყო მკმობელი, —
ვჯობვარ ბევრითა , — იტყოდა, — არა ვარ დამ(ა)გმობელი“.
დიოღენ უთხრა: „ისწავლე სხვა რამე შესამკობელი,
და მაშინღა ეგებ შეიქმნა ცოტადრე ჩემი მცნობელი!“

178. ნუ უბნობთუ უფროსისა, იყომცა უკეთესები;

კმარა მოძღვრისა სადაროთ მოწაფე დამათესები;
რაც ჩემგან საქმე გამოვა, არ შეუძლია ესები,
და მქონდეს იმისი პატივი, ნუ ხარ მაგაზე მკვნესები.

179. საჭმლის გემო მაშინ არი, ვინცა ვითა შეიგოებს:
და მდიდარს – რაჟამს მოუნდება, გლახა – ოდეს მოიშოებს".

180. ხის მზიდავსა ხე მიქონდა, მოვიდოდა განაგძელი,
დიოღენე შეემთხვია, დააძგერა იგი ძელი;
ბოლოდ უთხრა: „ჩამომიდეგ!" სიტყვა რამე განამთელი:
და – „არ გწადიან მეორეზე, პირველ იყავ რად არ მთქმელი?".

181. ძელი აძგერა მზიდავმან, ეტყოდა მორიდებასა,
და თავსა გადაკრა, იქმოდა ბოდიშის გადიდებასა.

182. ბრალი არი საწუთროსა სიბრიყვითა გაუზდელი,
სიმაღლისა უნდომელი, სიმდაბლისა დაუმწვდელი,
პირუტყულად მოარული, კელისაცა არსაკდელი.
და მიხვდეს მსგავსსა შესამსგავსი, გაუძრობი, გაუკდელი.

183. მიდელის შემონაკრავი დიოღენ ჩივილს ბედავსა,
მიუძღვანებდა თეთრებსა, ნუ გამიკდიო სადავსა.!
დილას დიოღენ შემოკრა, მასვე აძლევდა ზედ ავსა:
და „თქვენი სალბუნი თქვენადვე მიძღვნია!" – გაუბედავსა.

184. უმართისისა მოქმედი საქმისა შენამცდელები
მასვე ჭაშნიკსა მიიღებს, რაც არი მოსაკდელები;
დანამაწვართი კირკიტა შეექნას მონამკდელები,
და სალბუნი ადვილ შექნილი დაადვას აუკდელები.

სიზმრის მოშიშართ ესრეთ ეტყოდა

185. ცხადისათვინ უნაღვლელობ, სიზმრისათვის შეზარდების;
მისგან რამცა გამოვიდეს, საჩინოსგან გამწარდების;
ხილულებსა გაუფთხილდი, უხილავი გა(გ)ვ(ა)რდების?!
და ართუ სიზმრით სახილავად სიხარული მოგვარდების!

186. სიზმრისა მიმაყოლელი სატყორცი ნასროლებია,
ცუდია გასაცუდართა ამბავთა მიმყოლებია;
მოუკმარები კაცისა სიმყრალე, საყჩოლებია,
და ღრუბელი დაუდგრომელი ქარია ნაქროლებია.

187. ხერსონს სძლო მეფე ფილიპემ, დიოღენ დაეტყვეოდა,
მსტოვრობა უთხრა. შეკადრა: „თქვენსასა დავაგაოდა,
შენისა დაუჯერები სხვისასა მოსადაოდა,
და ერიდე დასაზიანსა!“ – ბრძნად იცნა, განუტეოდა.

188. ვით იაგუნდსა მწვირეში არარა შეეხებისა,
გარდასწმენდ ამონაღებსა, რაღამცა შეეცხებისა, –
აგრევე სასიკეთოსა აროდეს დაუცხრებისა,
და დაინახების კაცთანა უმაღლე ალვის ხებისა!

189. ალექსანდრემ მიუწოდა, მან წამოსლვა არ ინება.
უთხრეს: „მოგკლავს“. მიუგებდა: „მაგისაგან რა იქნება,
ერთს ჭიასაც შეუძლია დაკბინებით ჩემი ვნება,
და გარდამარჩენს სიკვდილსაცა, მდელოები გაიქნება“.

190. ფილასოფოსნი სიკვდილსა აროდეს უშინდებიან,
გზანი იციან იმისი, როგორცა მოუკდებიან;
დანამზადია წასლვისთვის, როდესცა მოუხდებიან,
და ნუზლი და მისი საგზალი ვერვისგან წაუკდებიან.

191. მოლარე საკვდად მიზიდავს ხაზინით ჭიქის მპარავსა;
და ცოტასა ქურდსა დიდები უპირებს დასაზარავსა.

192.„ მაკიდონელი პატივს სცემს!“ – ნატრიდენ კალისტინესა,
ბედნიერობას იტყოდენ დიოღენისა წინესა.
თქვა: „საბრალოა კალისტენ, დაბმულა მოსაწყინესა;
და მეფის იშტასა მოელის სადილად მოსალხინესა!“

193. საძრახი შესამკობელი, უმართესია რომელი,
უქმია დამეტებული, სათქმელად დასაშრომელი,

რად უბნობ შეუგებელსა, რადა ხარ გამაცხრომელი?
და ნუ აქებ, ნუცა აგინებ, თავისად იყავ მჯდომელი!

194. ბედი ცოტაა, სადაცა უქონობს მოსანებანი,
და სამსახურია წითელი, მაგრამ ჭირი და ვნებანი!

194[1]. სადაც ნება არ ექნება, ბედიც არი დანაბდარი,
და სამსახური წითელია, მაგრამ ჭირი მიუმხვდარი.

195. დაჭირებითა მოყვისისგან არისმცა გამომრთმეველი,
დასძრახეს: „ბრძნისა ცუდია ესეთი მისადეველი!“
„არ ვიღებ, ვართმევ, – იტყოდა, უსარჩო, მოუდეველი,
და გაუყოფელი მოყვისა მოყვისითვის არის ყოველი!“

196. რა სჯობს სხვას მეგობრობასა, უმყოფელობდეს შურია,
სალხინო დასაჭირვალი, შიან თუ მონაწყურია,
დამდაბლდა ანუ ამაღლდა მისივე მონასურია,
და იმას იმისი, მას მისი უხობით დაუშურია.

197. მდიდარსა, ოქროთ მორთულსა, სიკეთით მოუკმაროსა,
და სჯობს ცსვარი ოქროს მატყლითა, რაზომცა გაიკმაროსა.

198. ცხვარი მატყლსა ვერ იხმარებს, სხვისა არი მოსახმარი!

199. ვერ მოიხმარს, სხვა წაიღებს უცებისა მონაგარსა!

200. არ დაიგმობის საზრდოსთვის ჩანგის კვრა ასაკსრულისა,
და რადგან არ მზირობს, ცოტასი დავჯერება აქვს გულისა.

201. შინა სამსალა წამალსა მტყუანი დაადარესა,
და – პირმფერებელი – გარეულს, ამრიგად დაამდარესა.“.

202. გასამგესლავი ნადირი, – კაცია ამის მცდელია,
და მფერებელი და მტყუანი სოფლისა დაუცდელია.

203. ოქრო მისთვის ყვითელია, საჭვრეტელად მისი ფერი,
და კაცი შურით გაყვითლდების, საშურვლად არს შესამზერი.

204. აბანოსა შემავალმა ფინთად ნახოს, ავის მგვანად,
და შიგა მცველსა დაეკითხოს: „სად წავიდე დასაბანად?!“

205. ქორწილი ყრმათა ადრეა, ბერთა არ ეფერებისა!

206. ყრმათაგან მორთვა– მოკაზმა:უდროოდ რა საქნელია?
და ვაჟს სილამაზე არ უნდა, ქალისაც სხვებრ სათქმელია.

207. ყრმა სირცხვილმან გააჭეხოს, ათრთოლდეს და დაემდაროს;
და სხვა სიკეთე უმჯობესი იმას რაღა შეედაროს!

208. ფერის დაცვლას საძრახავზე ურცხვი ნახავს, დაუძრახავს;
და უძრახავის დამძრახავი თავსა არცხვნის, ცუდსა ძრახავს.

209. დამჭირნენი ვართ სოფლისა მისგანვე დადაგულები.

210. მონა გაექცა, წავიდა, შეიქნა სხვისა მხლებელი,
უთხრეს: „ეცადე იპოო, ძებნისა იყავ მნებელი!“
— „რად ამიგდევით, არ ვიცი, რისა ხართ გამაგნებელი,
და მანა გაიძლებს უჩემოდ, მე რად ვარ გაუძლებელი?!“

211. შიში, კრძალვა, მორჩილება, რადგან უნდა ყმასა ყმობა,
ქონდეს სწორი ერთგულობა, სამსახურზე სიამობა,
ბატონ–შვილებრ მოწყალება, საყვარელი დასაძმობა.
და გაეშორნენ ერთმანერთსა, რა შეექნას ამის გმობა.

212. ვინ იჯდეს ლხინთა მდიდართა, ედგას საჭმლისა სახება,
და მას მშრალი პური ენებოს, სჭამდეს, არ დაიძრახება!

213. ბჭე განავრცელი შემკობით ნახა ქალაქი მიდია,
შიგ ცოტა რამე შენობა; — „სა დავდგე, არვინ მიდია?
— შეისმინენით, მიდელნო, გალავანს შიგან მიდია,
და არ გამოვარდეს ქალაქი, კარი აქვს განადიდია“.

214. სჯობს წესისაებრ ნაქმარი, სარიგო მიდევნებული,
სახლი, ქალაქი, სოფელი, ზომაზე, დაუვნებული;

შეიწევ მაღლა, შეძლება გაკლია შენი ნებული,
და საძრახავითა საჭირო მოგზვდება გაუგნებელი.

215. არ თუ იცი: წყლის ოდენი კიდი უნდა შესაზომად!

216. ყმაწვილი ტურფად ნაგები სასტუმროდ დამავალია;
და სახეს წაიკდენს, იყომსცა მაგარი, გულად რვალია.

217. მოყმე წვეულად მავალი თვალს უგებს, გააკშიროსა,
და სისხლს გაამრავლებს სასმელი მოშალოს, დაამციროსა.

218. დია სჯობს ქვასა ნუ ისვრის სიძვითა დანაბადია,
და ჯარში მამასა არ მოხვდეს, ცნობისა უნაბადია!

219. მიმცემს აქებენ, მიმღები უფროა საქებარია.

220. მიკვირს: გაცემა ადვილი, ძნელია ღირსად მღებელი,
და მიმცემს აქებენ მასზედა, ქებაა მოუღებელი.

221.„ ღირსად მიიღე, ღირსს მიეც!“ –ესე იგავად თქმულია.

222. ფილასოფოსთ სარგებელი ქვეყნად ვითა მზენი მზობენ,
და სხვადცა ვერად მოიკმარონ, ბედისათვის მუდამ მზობენ.

223. – „სადაური ხარ, დიოღენ?“ ეტყოდა: „ამ სოფლისანი,
მცურვალთა ჰქვიან წყლისანი, მფრინველთა – ჰაერისანი;
სად მივა ბრძენი, გაკდების მემკვიდრე ადგილისანი;
და შესასწორია იმისთვის, სად გზანი ქონდეს ვლისანი!“

224. სოფელსა დაბადებული არიან ერთის ნივთისა,
სიბრძნითა მომაქცეველი მანვე თავისი ირთისა,
სადა გინდ იყოს, სწორეა, შემომსწრებელი ზვირთისა,
და მართებულისა უცოდნი, სახეა ყველგან კირთისა.

225. შვილი ვინმე მიაბარა დიოღენე(ს) სასწავლებლად;
უქო უცხო გონიერად, სიკეთისა მოუკლებლად!
უთხრა: „რადგან აგეთია საქმეშია გასაძლებლად,

და რად მოგყვანდა სასწაულოსა ცემისგან დასალებლად?!“

226. სატრფიალოსა მეტრფესა გულს დაუსახავს სახეა,
ვერ შეუტყვია ყოფილი დანაგებარი მახეა,
შეეტრფობის და შეფრფინავს, მწიფეა, დანამკვახეა,
და სიყვარულითა წადილი უთვალო, დაუნახეა.

227. დიოღენს წითლით მოსილსა ლაკადონ დაინახავსა,
„დღესასწაული არ არი!“ – ამაზე დაუძრახავსა.
„ჩემგვარი კაცი, – ეტყოდა, – სოფლისთვის არად ახავსა,
და რასაცა ღღესა შეხვდება, დღესასწაულად სახავსა!“

228. ამად სოფლისა დათმობა საქებად გამოთქმულია,
სოფლის ჭირისა სასჯელი, სირცხვილად რაცა ქმნულია,
მორჩება ნების სნატზედა სიმტკიცით დანასმულია.
და სოფლისა განამდევარი ანძაზე ანაცმულია.

229. თქვა ალექსანდრე: „დიოღენ, არ გეშინიან ჩემია?“
– „კარგი ხარ ანუ ბოროტი, რომელი აგიჩემია?“
–„შენც იცი ჩემი სიკეთე, არ არის გასაჩემია“.
და – „ვის ეშინინიან კარგისგან, მე ვიყო შემაჩემია!“

230. საშიშზე მართებს მეფისა რიდობა, მოსაშიშები,
რაზომცა შეგიწყალებდეს, მტერსა არ მისცე იშები,
დამდაბლებითა მოექეც, ქენ ერთგულობის ნიშები!
და უცოდრად მეცნიერისგან აროდეს დავიქიშები.

231. ხარჯევდეს შვილი უბრალოდ მამისა დანაგდებარსა,
და ვერ ირგე პირველ, მას უკან ნუ ეჭობ მოსაგებარსა!

232. დაგლახაკდების მემთვრალე, სიავის მიმდევარენი,
და რაგინდ მოიქცეს, ვერ პოოს კელადვე მოსაგვარენი.

233. მესანგრეებსა დიოღენ სჭვრეტს, ავად მოისარობდა,
საგანთან დაჯდა ურიდად, მოუწყენობდა, ხარობდა.
უთხრეს, ნიშა(ნ)თა(ნ) ჯდომასა რად არა დაიზარობდა.
და „სხვაგან მომხვდება, საწამლოდ ამასა მოვიკმარობდა!“

234. რა საკმარია კაცისა მოწყენა გაუხარები,
ჩამოსტიროდეს ცხვირ –პირი, მიდამო, არემარები!
უშვერებისა ხუმრობით უცილოდ გაიმწარები,
და კარგია ადგილს ლაღობა, რიგიან, დაუზარები!

235. „გლახას აძლევ, არას მისცემ ფილასოფოს დანამჭლესა
და გავს სიბრძნისა უმალელი სიბრმესა და სიკოჭლესა!

236. თეთრის მოჭრის დაწამებით ბრძენი გინდა დაამდარო,
და ის ყოფილა შენისთანა, შენ ვეროდეს შეედარო!“

237. მოყვა ანკსიმე, დაიწყო საგრძელო საუბარენი,
ლორი აიღო დიოღენ, აქებდა დაუზარენი,
მსმენელნი იმას ისმენდენ, ეს დარჩა უუბარენი;
და თქვა: „ლორის სიტყვა სჯობნიყოს, რისაა მოსაკმარენი?!“

238. კარგია კარგი ამბავი, დასამოკლეა გრძელები,
საამო სასწავლებელი სიტყვანი დანაძველები;
ავობით გაუწყობარმა გული ქნას დასაწველები,
და დაეხსენ ცუდსა აბავსა, ენასა მიეც მცველები!

239. წმიდა ვერ შექნას უწმინდოდ ბიწისა მისაკარემან,
და ვერცაღა მზისა სინათლე ნეხვისა არემარემან.

240. ნების მყოფობა – სანდომი მას არა შეესწოროსა;
და ნებას ვერა იქს მთავრობა, მონებას მოეშოროსა.

241. კარგსა აქებ და არა იქ, – თავისა გასამწარია,
და ვამსგავსო მუღნსა კმოვანსა, გვასმენს და უსმენარია.

242. ცემა გმართებს გამზრდელისა, რა ყრმა ნახო ავად ზრდილი!

243. მაგინებელი უშვერად მოყმეა ტურფად გებული;
და სპილოს ძვალისა ხე–ტარსა კალა აქვს პირდაგებული.

244. უგვანთაგან სიტყვა უშვერ თუმცაღა მწვე უშვერია,

და საშვერისაგან უფროსად საძრახი დაუჯერია.

245. ცუდის რისმე მომღერალთა გონიერი გაერიდენ,
და ბრძნი წინა აღუდგება, ართუ მათთან შეერთვიდენ!

246. ცრუ კაცი ჭკუით არას იქს, ნებისა მიმდევანია,
და გონიერს მართებს, ერიდოს, რაც რამე შეუგვანია!.

247. უგუნურად გაიხარებს, მკვრელის საკრავს წამოიწყობს,
და ხეზე კმისა გამწყობელი ჭკუას კარგად ვერ მოიწყობს!

248. ავს კაცს ეწეროს კარზედა: „ავი ნუ შემოიარსა!“
და —თვით სითღა შევა, მაკვირვებს, ეგეთი ვითა იარსა?!

249. ლომისა ტყავსა ჩაიცმენ, გვაჩვენონ გულთა სრულობა,
და ვერ ამამაცებს ჯაბანსა გარეთა ჩანაცმულობა!

249[1]. ლომისა ბეწვსა ჩაიცმენ, გვაჩვენონ გულის სრულობა,
და ვერ ამამაცებს ჯაბანსა გარეთა ჩანაცმულობა!

250. მკედრობისათვის ღერკულის ჩაეცვა ტყავი ლომისა,
ფილასოფოსნი სძაგებდენ: უსაქმელია ომისა,
ცხენ-იარაღი, საცმელი, ზოგნია მონანდომისა,
და ჩირგვშია უფლავს საქმენი მამაცობაზე დგომისა!“

251. პირველზე მამაცობისა რათა გაქვს გამოჩენანი?!
ავია, შეტევებაზედ ჩამოუვარდეს ენანი,
სროლისა საცემელითა გულსა შექნოდეს წყენანი;
და ვაქებ უთქმელსა, შეეძლოს საქმისა აღმოცენანი!

252. რა საწუნია ფეკისა სურნელთა შემოცხებანი? —
და ქარი თავიდამ წაიღებს, იქით მოგეცეს ნებანი!

253. სწავლა — მოყმეთა სიფხიზლე დაატკბობს ბერთა გულებსა,
და გლახაკთ — სიმდიდრე, მდიდარსა შვენებას გაუსრულებსა!

254. მტრის ჯავრსა ამოიყრიან, ვინ კაცად განაზდილობსა,

მტერი სიავის უნახი, მტერსამცა რითა კილობსა?
სიკეთისათვის ტყუვილსა ვერ გაუბედავს, წბილობსა,
და მარჯვენას კელსა მარჯვენად არავინ დაიცილობსა.

255. რადგან კარგის მოქმედება არასადა გეძვირება,
შენთვის უქმის წარმოთქმითა მასვე თავი ემცირება;
დაიმკვიდრებს ამ სოფელსა, რაგინდ ქონდეს განწირება,
და სახელსა და კარკაცობას ძალი აღარ ეჭირება!

256. კაცი სიავის მოქმედი ძრახევდა დაუზარავი:
„უქონელი ხარ, საბრალო, საჩინოდ მოსახარავი!
ეტყვის: „მაგისი მოქმედი შეიქნებიან არ ავი,
და ბევრი ნახულა სიავით დამრჩვალი, გასაქარავი!“

257. ძრახვის მთქმელი სიკეთეში არაოდეს დაიწერა,
არ მიხედავს გონიერი, არცა უნდა მისი მზერა;
უმეცარად გამოიტყვის: „ბრძენმა ვინმცა დაუჯერა?!“
და უმეტესი რაღა გკადრო, სხვასა ხედავ, მისსა ვერა!

258. ვითა მფრინველთა გალია, ქალთ ეტლი ეფერებიან!

259. ავი დიაცი ნადირთა დაპყრობად უძნელესია,
და თავისა დაუჭირავი გველთაგან უგველესია!

260. ავსა რასმე სიყვარულსა მოცლა შეიქს მოლხინისა!

261. ნებას გაჰყვება ის უფრო, ვინც ნებიერად ლხინობსა!

262. ავის მეტსა ვერას მომკის უსარგებლო მოლხინარი!

263. ნდომა ლხინსა გაადიდებს, კარგსა შეიქს განაგარად.

264. სიძვისა მარიდებელი სასჯელს ნუ ერიდებია!

265. რა ლხინს დააგდებ, დააგდებს ნდომა ისრისა სროლასა!

266. ზენონ იტყოდა: „მოძრავი ქვეყანად არსად არისა“.

დიოღენემა მიმოსვლა დაიწყო ყოვლის მკარისა.
ჰკითხევდა: „მითხარ ნაქნარი, რის არი დასადარისა?“
და – „გაძლევ სიტყვისა პასუხსა, სასმენლად იყო მწარისა!“

267. ბრძნად მგონებელი თავისა, ფოცხრულად დასახავები,
წამოიტყვიან ზღაპართა, თქმითა, თავითა აუები;
ნუ მისდევ შესასმენელად, ნუცა ხარ მიმადაუები!
და დასცხრა, გაცუდდა სამათო უგვანი საჩმახაუები.

268. ბერს ნუ ურჩევ მოსვენებას, დღე მოსლოდეს დამოკლების,
და ასის წლისა გარდამველელსა ერთი რადღა დაეშლების?!

269. ბერსა, მწუხარე გლახაკსა მოსლოდეს დღისა ლევანი,
და მოწყალემ მიეც, უწყალომ მისგან დაიწყე ძლევანი!

270. საბრალოობით საწყალი გლახაკი ბერი კაცია!
და ბოძია მისთვის ქონება სხვათაგან მოუტაცია.

271. ტყვეობაში დიოღენე პატრონს სწადდა გასასყიდად,
თქმა უბრძანა საცოდნისა, კაცი იყოს ფასის მზიდად!
– მას მიეუგო, იმან ჰკადრა: „უბრძანეო დაურიდად,
და პატრონისა ლაპარაკი შეუძლია ამას დიდად!“

272. მეფეთა და კელმწიფეთა მოხსენებას ვინცა სახავ,
ძნელი არის უსინჯაუად, უმეცარად, ბოლოდ ახავ;
სიმდაბლისა მოშიშებით სიტკბოებას მოინახავ;
და არა თქმა სჯობს წარმოთქმასა, თუ არ იცი, რასა ზრახავ!

273. დანატყევი ბრძენი ხედავს ოქრომოსილს გაუჭირსა,
და ეუბნების: „მას მიმყიდეთ!“ – ჰგავს ბატონის დანამჭირსა.

274. ოდეს იყიდა ქსინონემ, დიოღენ მისი მთქმელია:
„რადგან მიყიდე, ბრძანებას მისმენდე, გამოგელია!“
„წინააღმდეგსა რად მკადრებ?!“ – იყო ამისი მზმელია;
და – „სნეულისაგან მკურნალთა წამალი შესასმელია!“

275. ნუ ითაკილებ მდაბლისა სწავლითა შეგონებასა,

ოქრო მიწიდამ გამოვა, აღმოსცემს აშენებასა;
მოსდევს შეტყობა კაცისა კაცზედა გაგონებასა,
და ლომი მოიკვლის ჯინჭველით, იქმოდეს რჩევის ნებასა!

276. სენსა განკურნებს მკურნალი, ბრძენი — ჭკუისა სენებსა,
და მას უსმენ, მასცა უსმინე, ორთავე შესაქენებსა!

277. უმეცარი მონას მონებს, მონას ვეროს დაიმონებს,
და ლომის მჭერი ლომს მსახურებს, ლომი არას გაუგონებს!

278. თუ სიკვდილი ავი არის, უნახავად ვით იცანით?!

279. მდიდარს სიკვდილი არ უნდა, გლახაკი მონამდომია,
და ავის კაცისა ორშივე შიშია მიუწდომია.

280. ნუ სწუხარ, მოვკვდე, არვინ მყავს, სამარედ ვინმე მაროსა,
და საცა მოკვდები, პატრონმა უნჯად არ გაგიკმაროსა!

281. ანტისტენ თავის მოწაფეს გაყრის, არ მოიკაროსა,
დიოღენს მისანდობელსა, დაიგდებს, მოიკმაროსა;
ბოლო ჟამ მასცა გაუწყრა, სცემს: „წადი, გააგაროსა!“
და — „რას დამკრავ ასე მაგარსა, შენს თავსა მე გამყაროსა?!“

282. საყვარელია ასეთი ერთგული, მისანდობელი,
მორჩილი, მშვიდი, მდაბალი, დროიან მალაღობელი,
სალხინოსა და საჭიროს შეექნას ვინმე მბობელი,
და არ შეიცვალოს გონება, შეამკოს შესამკობელი.

283. უყურებს სტაქნით შემსმელი სხვასა, პეშვითა მსმეველსა,
ქვე დასცა, იტყვის: „რად ეხმარობ უხმარსა მოსაწეველსა?
თავით შეგეძლოს საქნელი, დაუგმობ სხვათა მდეველსა!“
და მიწყივ დაიწყო პეშვით სმა, აუქმებს დასავლეველსა.

283[1]. ჭიქით წყალს სმევდა, სხვა ნახა პეშვითა დამლეველია,
ჭიქა ქვე დასცა, იტყოდა: „ჩემგამო რასაც ველია,
რად ჩემის ნივთით არა ვსვამ, სხვა რასთვის დავასველია?!“
და დაიწყო ბღუჯით დალევა, გააგდო მოსაშველია.

283². ჭიქითა მსმელმა შეხედა, პევშვითა დამლეველია,
ჭიქის დამცემი იტყოდა: „ჩემგამო რასაც ველია,
ჩემის ნივთითა არა ვსვამ, სხვა რასთვის დავასველია?!“
და პეშვით დაიწყო დალევა, გააგდო მოსაშველია.

284. ასე მართებს სოფლისაგან განშორება განაშორსა,
მისის რისმე მოუკმარი, უძებარი სხვათა სწორსა,
სულ გაეძოს მისი საქმე გარდაგდებით დამაგორსა,
და მაშინ მისვდეს საწადელსა, სანდომელსა, გასაგორსა!

285. მოთმინებასა აქებდა, არვისგან გასაძნელია,
მუნა მდგომელი კვირობდა: ეს ვისგან ვით საქნელია?
პირსა შენერწყვა, ეტყოდა: „გეწყინა, გასაძნელია?“
და – „არ მეწყინაო, მიუგო, – გიძრახავ უცოდნელია!“

286. კარგსა ნათქვამსა არ ისმენ, მძიმედ რამ აგიჩნდებისა,
სწავლისა ნაცვლად უკადრი სამისოდ მოგინდებისა;
ავსა გიამბობს, შენივე გონება გაოცნდებისა,
და სწავლისა შეგონებითა ნასწავლიც დაგცვივნდებისა.

287. ერთი ვინმე, უკადრისი, დაურიდად აგინებდა,
კმა არ გასცა, რაზომსაცა იგი მისგან მოინებდა;
უთხრეს: „ჩუმად რასთვისა ხარ?“ გაიღიმა, იცინებდა:
და – „საწყენელსა საუბარზედ სიტყვანიმცა რად მიმცნებდა?!“

288. უგუნურების მომკმარე მისათანავე იდებით,
უწმინდურისა შემხები მწიკვლით არ გაიწმიდებით,
ავსა ერიდე, კარგი ქმნენ განამრავლ-განადიდებით;
და უწესოებით მავალი შეიქნას განაცუდებით!

289. დიოღენესა ზენესა ალექსანდრემა მწყენესა
გვერდს გაუარა, იმან მას ზედ არ შეხედა ზენესა.
„რად არ მომხედე, – მეფემ ჰრქვა, – გინდი აღარა შენ ესა?“ 1
და მან ჰკადრა: „რადღა ვინდომებ მონათა შენამქენესა?!“

290. უბრძანა: „მე ვარ ეგ კაცი, რად ათქმევინე ენესა?“

ჰკადრა: „თქვენ გავხართ უთუოდ ამა საქმისა მძენესა: 2
შენ შენთა მიწის ნებასა მისდევ, მათ მოსახსენებსა,
და ამად შენ მონათ მონა ხარ, ნუ მიწყენ აღმომცენესა!“

291. ვით უსმინობა არ ვარგა, აგრევ — ზოგისა სმენანი,
გამოარკვიე, გასინჯე, რაზედან დასძრა ენანი?
უმჯობინარი გაუშვი; მჯობსა არ უნდა ყენანი;
და სხვითა იქ მიუხდომრობით, — ყმობაა მოსაწყენანი!

292. მელექსე მაკიდონელზე მეტ ქებად სძრვიდა ენასა,
დიოღენ პურსა სცოხნიდა, ყური არ მისცა წყენასა;
„რად ყურს არ უგდებ, — ეტყოდა, — კარგი სიტყვისა შენასა?“
და — „თუცა არ მინდა, ესევ სჯობს ტყუილის ამბის სმენასა!“

293. პირს დასდვა საცო, სჯობია საუქმოზედა შრომასა,
სიმართლეს ყური მიუგდე, ნუ უზამ შემოწყრომასა!
ტყუილით კაცი ვერა იქს თავისა გამოძრომასა,
და ნუ გაეწყობი სამოყსოდ ცქაფობით დაუდგრომასა!

294. მოყმესა გონჯად ნაქნარსა, ნაზარდსა სწავლულებითა,
და სულის შვენება სახესაც აჩვენებს გასრულებითა!

295. უსწავლელი ქვაზედ დაჯდეს, ქვა ქვაზედან დაემატოს!

296. ნუ გეშის, ღ(მრ)თისგან მოგეცა, — სნეულს იმედსა უდებენ.
და „უფრო საშიში ეგ არის, რისხვანი გააცუდებენ.“

297. ვის სიხარბე არ ერევის, ოდეს ქურდი შეეპაროს,
და თეთრი მიღმა გარდაუგდოს, თვითონ ძილით გაიხაროს!

298.„ კაცისაგან გეშინოდეს! — სოფლად ამას ირგებიან:
და ავი ავსა მეცადუნობს, კარგი ავსა უდგებიან.“

299. ნამეტნაობით უფთხილდი მოყვისა შურის გებასა,
და ერიდე ცრემლსა მტრისასა, ნუ მისდევ თავის ნებასა!

300. ყოვლთვის მოყვსისა მყოლელი თავისა შემომცველია!

301. სხვისა კარგი მოსამართლე თავს ვერ უზამს სამართალსა!

302. მრუდი მსაჯული თავსა სჯის, სვინდისიც მაბრძოლელია!

303. სხვის ნაძრახსა დაერიდე, რადგან გინდა შენთვის კარგი,

303[1]. რადგან გინდა შენთვის კარგი, სხვისა ძრახსა დაერიდე!

304. გიყვარდეს სანდო მოყვასი, დაუჯერებდე რჩევასა!

305. არ იცი და სხვას ასწავლი, თავსა რასთვის გაიწბილებ?!.

306. ვინ უფროა მეცნიერი ქვეყანასა დასაგვარად?
—„ვისაც მიხვდა სოფლისაგან ესეები საპოვარად,
ცოდნა, ჭკუა, კორცისათვის უსენობა მოსაგვარად“, —
და გვასწავლიან სამღვდელონი ლოცვისაგან საშოვარად.

306[1]. „ვინ უფროა მეცნიერი ქვეყნად?“ — ჰკითხვენ რასაც გვარად;
—„ვისცა მიხვდა ამ სოფელში ესე რამე საპოვარად,
ჭკუა, ცოდნა, კორციელი სიმთელე სჭირს მისაგვარად“, —
და ამას გვსწავლის მღვდელთმოძღვარი მკურვლის ლოცვით საშოვარად.

307. ვინ ღირს–ა წინა ნათქვამსა, თუ ვინმე მიენიჭოსა,
ცდისაგან მოჭირვებითა სიმაღლით არვინ იჭოსა,
მიხვდეს ორივე საწადი სოფლისგან განაბიჭოსა,
და გარდაეცვალოს სალხინოდ, რა გინდა მოეხმიჭოსა!

308. უსწავლელობით ნაზარდსა ესდენი დააკლდებიან,
და საძრახავი და აუგი მრავალი მოუხდებიან!

309. ნამეტანი საუბარი ჭკუას არად გამოაჩენს!

310. მოუცდენად საუბარმა ჭკუა ვითა გააცხადოს,
და ჭკუას ენა არ აბია, მისგან უფრო გაეხადოს!

311. საამოსაგან უამედ კაცს ესე იამებიან,
და სანდომელი და სანატრო რა რომე ეშოებიან.

312. მაშინ მეტად შემოითმენს განსაცდელით განაჭირი,
და უფრო ნახოს თავის მტერი საშვებელზედ დანაძვირი..

313. ყოველთა ღ(მერ)თსა არა აქვს დასაბამ-დასასრულია!

314.ღ(მრ)თის სახელია ყოველთა უტურფე, უმშვენვარენი!

315. ეუფროსების მასზედა, რასაცა ზედან სდგებიან,
და შენცა გიტვირთავს, იგიცა უქცევლად გაეგებიან.

316. უმალესია ყოველთა სისწრაფით მოფიქრებანი,
და ანაზდათ შემოიზღუდვის სიშორის მოარებანი.

317. უბრძნესი არის შეტყობა ჟამისა იგი დრონია,
და სულ დაანახვის ერთ პირად წასული მოსაგონია.

318. ღ(მრ)თის წყალობასა სიმაგრით სამაგრო ვერ ედაროსა!

319. წმინდათ მარტვილთა მიიღეს სანამეტნაო ჭირები,
და ხანი არ ქონდათ სხვათაებრ, იშოვეს დანაპირები.

320. არა დაფაროს მის წინა ანაზდი გულსა დებული!

321. თუ სიკვდილი ავი არის, სიცოცხლეა უქებარი!

322. ეს ფალის იყო ღარიბი, სასწავლოშია მჯდომელი,
არცა უყვარდა ქონება, მისივე მოსანდომელი,
სიგლახაკესა სძრახევდენ სიახლოვესა მდგომელი, 1
და უთხრეს: „სიბრძნითა სიმდიდრე გიშოვნიაო რომელი?“

323. ვარსკვლავნი გარდამოსჩხრიკა ჯავრითა გამკიცხველისა,
ნახა ერბოსა ძვირობა წლისათვის მომავალისა,
ზამთარში ბევრი იყიდა, დადებად დასაძველისა; 2
და ის გაზაფხული შეიქნა მეერბოთ გარდამწველისა.

324. მილითს და სიის ქალაქსა შეიქნა ძვირად კმობანი,
ბრძენმა გააღო, გაყიდა სარგებლით უამრობანი;
გამდიდრებულმან მძრახველთა დაუწყო რამე გმობანი; 3
და — „სიბრძნით გაემდიდრდი, თეთრითა უპოვარია ბრძნობანი!“

325. ბრძენი სიბრძნითა უგუნურს სიტყვასა გაუცუდებსა,
სიავის გამომეტყველთა უჩვენებს ფეკზე კუნდებსა,
მალ გაასწორებს ნათქვამსა დახვეულ-დანამრუდებსა,
და სიბრძნით სიმდიდრე სიმდიდრეს გამოაჩინებს უდებსა!

326. უსამართლობით სიმდიდრეს, კამს, კაცი მოერიდოსა!

327. როგორც მშობელთ მოეპყრობი, შენცა მასვე მოელოდე!

328. მდიდარი მეფე კრეხისა ბრძენს ჰკითხავს ათინისასა:
„სოლნე, შეყრიხარ ვისამე ჩემებრივსა ბედისასა?“
— „თელი ათინი მინახავს უმანკოდ ვლასა დღისასა, 1
და შვილთა მრავალი დაუგდო, ომს მოკვდა სახელისასა“.

329. — „სხვა ვინღა ნახე?“ მიუგო: „ვიცნობდი კლიოს, ვიტანსა, —
დღესასწაულსა ძმანებსა; დედა წავიდა იტანსა,
ცხენი დაუდგა, მიდევდენ, ვჭვრეტდი მშობლისა მიმტანსა. 2
და მას ღამეს მოკვდენ ორნივე სახელოვანად ვიტანსა“.

330. გარისხებულმა უბრძანა: „უბედო მიქმენ ბედები!“
მიუგო: „გაქვსო მარმენი, არა უბრალოდ ვედები,
შეუძლებია სათქმელად ეგეთი დასახედები, 3
და ბოლომდი ბედნიერობას მიაგავს ერთი მკედები“.

331. ვისასაც გამოიტყვიან სიბრძნითა შენაქმნულებსა,
მიემსგავსება საქმითა, გაიადვილებს თქმულებსა.
რადგან ასეა, ვინ მიხვდეს ღ(მრ)თისაგან დანათხზულებსა?

და ნუ ეძებ ბედის გამოით სიმრთელეს, დასაწყლულებსა!

332. რა საქებია სიკვდიმდე ბედისა ბედნიერობა!
მბრუნავისაგან სოფლისა ბევრ რიგი არი მტერობა,
აღსასრულამდი გამოთქმა არი რამ დიდი ფერობა,
და შეუტყობია ბოლომდი პირველად დანამწერობა.

333. შვიდსა იტყვიან ცთომილთა მიმდევარეთა კრებულნი,
ქაღალდსა დააწერებენ, ეტლში სად არის რებულნი;
კარგად დამჯდარსა ეძებდა, ავისა არის ვებულნი,
და ცუდია მათი მიმყოლი, მათივე შენასწრებულნი!

334. ბოლოსა ჟამსა კარესცა ბედისა გამომცვლელია,
კირ მეფემ ბრძოლით შეიპყრა, სწადდა დასაწველია;
მოგონდა სოლნე, იზახდა: „ყოფილა განამთელია!“
და შეიტყო მეფემ მიზეზი, შეექნა გამშვებელია.

335. მოავლენს, ღ(მერ)თი, შერისხავს წყალობით განაკარგებსა,
ცოდვისგან შესაწუხარი სასინანულოდ არგებსა;
სიკეთით აქავ მიეცეს შესაგვანისა ვარგებსა,
და ბედს ადებს უბედობასა, აკეთებს ეკლის დარგებსა.

336. თავსა ამად ბედნიერსა ნუ ეძახი, დრო არ იდრებს,
და გარდასცვალებს სიღარიბედ, სიღარიბით გაამდიდრებს!

337. მეტი საშოვრის იმედი გულად რა დასადებია,
და უშოვრობისა სიმწარე გვამად ვით მოსადებია?!

338. დამგვირგვინეს რა მოუნდეს უგვირგვინოდ გაატარებს!

339. სამართლის წიგნი მიაგავს ობობას ნაბადოვანსა,
და მკნე გავარდების, გააბამს ბუზსა მას უბადოვანსა!

340. თუ სხვა სხვასა ავს არ უზამს, ავი აროს წაეკიდოს!

341. თავის სწორად დაუშლიდე უსამართლოს სხვაზე ქმნილსა,
და განაღამცა გარდააქცევს კაი სწავლა ავად ზრდილსა!

342. სოლნემ რჯული განუწესა ათინელთა, შემოხადოს;
მიუგებდენ: „არ დასწერე, შვილმა მოკვლა მოიწადოს
დედ-მამათა, რა მივაგოთ ესეთისა მიუსანდოს?“
და –„არ მეგონა, ქვეყნად კაცი მაგისთანა დაიბადოს!“

343. დედ-მამათ პატიობასა მოსე სწერს – სჯულის სვეტები,
უთქმობას ქრისტე გვიბრძანებს, ბრძენია ანუ რეტები,
რა მერგო თქვენგან შესარგო, მოკალით დასაკეტები?!
და ძველი ეს არის, ახალი უშრომელია მეტები.

344. პისისტრატემა საკელო დიდი ჩაიგდო კელადო,
უსამართლობდა; სოლნია წინარე აღმდგომელადო,
იმედობასა კითხევდა, რისაცა ხარო მქნელადო?
და – „სიბერე მსწავლის ყოფასა შიშისგან უშრომელადო!“

345. მართებს სამღვდელოს სიმტკიცე, განარიგისა წესები,
სიბოროტისა მომღებსა უამბოს უკეთესები,
სიმკნითა წინა აღუდგეს, აღმოფხვრას დანათესები,
და სიკვდილისათვის არა ქნას საქმენი უმართესები!

346. შემტყობელია, მბელია, პისისტრატუმე მქნელია,
თავი დაეჭრა ტყუილად, ამ რიგად გამომთქმელია:
„ქვეყნის ამრევთა დამკოდეს, საქმენი მიყვეს ძნელია!“
უნდა შეეტყო, თემისა ბევრი არევის მცდელია.
მერმეღა თვითან ეწადა არევა, მათი მწველია,
სოლნე ეტყოდა: „სიკეთით არა ხარ განამრჯელია,
ულიას გინდა წაბაძო, აგრე არ იყო მცველია,
იმან რომ თავი დაიჭრა, მტერისა მომცდენელია,
და მაგრამ მუნ თემსა ატყუებ, ავი გჭირს დაუნელია“.

347. პირველს მოძღვართა მიხედვით რაცა ქნეს განაკეთები,
ფარი და კრმალი არ ქონდათ, სიტყვა ტკბილობით მკვეთები,
სარწმუნოებით დაამკვეს მძლავრთა მრავალი ღმერთები,
და კელად ნურავინ აიღებთ, რადგან ვერ შეე(ე)რთდები!

348. სიყრმითგან სწავლა დღიე და დღე სიბერის მარგებელია!

349. არას ისწავლი, გაჭირდა, ბერს ჰკითხავ მოსაგოვარსა,
და ჭკუას სიბერე ვერ მისცემს სიყრმითგან მოუშოვარსა!

350. ხელი ჩუმად ვერ დადგების, ბრძენი არის უჩუმარად.

351. კაცი კამს ქვეყნის მომველელი, მართ ამას შეედაროსა
და თავის ჟამისა სიცოცხლე სიკეთით გაეტაროსა!

352. ენა აჯობებს ბევრ რიგად ბასრის მახვილის კვეთასა!

353. სრული უხვი იმას ჰქვიან სიბრძნით ამას გააგებდეს:
და მისსა სხვათა არ უჭერდეს, სხვისგან არას მოიღებდეს!

354.მეფე, სჯულისა დამცველი, თემს უკეთ შემოიცავსა!

355.ზღვა ღელავს; ვიას ხედვიდა: ცოდვილთა ღ(მერ)თსა ხადესა,
„დაჩუმდი! — უთხრა, — აქ ყოფნა თქვენი არ განუცხადდესა,
დაინთქმით მოუქცეველნი, უხვედრი მოსაწადესა.
და ცოდვაში მყოფსა არ უსმენს, სანამ არ დაიცადესა!“

356. უაღსარებოდ ცოდვილსა უძნელდებიან ვანები,
რით იქნა მოუქცეველად წმიდათა შესაგვანები?!
ტვირთისა შემოუკდელად გწადია მოსასვენები,
და გამწვირებული ურეცხად სადამცა მიიყვანები?!

357. სიბოროტისა მოქმედმან დაჰკითხა, კადრა ქებანი:
„შემატყობინე, რა არის კარგისა მოქმედებანი?“
კმა არა გასცა, კვლა ეტყვის: „მიამბე მოსაგებანი!“ 1
და „მით არა გეტყვი, — მიუგო, — გეტყობა გაუგებანი.

358. ასეთს მკითხავ, შენის სინჯვით, უკმარშია ჩასაგდები;
სიტყვა უნდა მართლა ჰკითხო სასმენელი, მინაგდები,
ანუ რასმე გამოგადგეს, გული გქონდეს დანადები, 2
და ღორსა წინა მარგალიტი საბრალოა, მინაგდები!

359. ასეთთან გმართებს უბნობა, შეიტკბოს, შეიყაროსა,
ანდამატს რკინას არიდებ, კაჟმა ვით მიიკაროსა?!
სიტკბოს მდომს შჯულსა ასწავლი, მისავე დასაზაროსა,
და ნუ მისცემ მისაცემელსა მიმღებსა, მოუკმაროსა!

360. ვიას ქალაქი დატყვევდა, ეტყოდენ მოქალაქეთა:
„ნაქონებარი წაიღეთ!“ მიქონდა დანაბაქეთა,
ვიას ჰკითხევდენ: „უბარგოდ უცხოა მოსლვა აქეთა!“
და – „რასაც ეერავინ წამართმევს, მომქონან, შემომაქეთა!“

361. საუმჯობეო სიმდიდრე, – სწავლითა გამდიდრებანი,
საქურდლად მოუპარავი, მზირისგან შეუვნებანი,
მძლავრთა ძალითა უძლები, მოღება-მონაკლებანი,
და უმჯობესია სხვათაგან სამუდმოდ მიახლებანი!

362. შვიდისაგან ერთი იყო ვიას ბრძენი პირინელი,
თავად იჯდა ქალაქშია, გამსინჯავად უცდენელი,
ბრძოლა უწყო მესალიტელთ, მათ მოირთეს რჩევა მთელი, 1.
და გამოუკდენ, დაატყვევეს მათნი ქალნი საყვარელნი.

363. ვიას ესმა, გამოართვა, მოიყვანა მისსა შინა,
დამოსილნი განუტევნა. რა მივიდნენ თვისთა წინა,
მტერთა ძალი მოსცემოდა, დაინახეს რა ეთმინა, 2
და შერიგებით გაეცალნენ, ბრძენს მიუძღვნეს დასაზვინად.

364. ჯაერისა დაუთმობელი ირჯები მოუკმარებსა,
ვერ ხედავ სამჯობინარსა, მიევლტი გასამწარებსა;
სიტკბო დააცხრობს ბოროტზე ძალიანს, დააზარებსა,
და ამპარტავანსა არწივსა მღილი დაკვეცავს მკარებსა!

მისივე ბრძენნი სიტყვანი

365. საპატიოთა პატივი, მკცოვანთა დაემდაბლენით!

366. გამორჯის ბევრჯელ გაბედვა, გარდარეული, მეტია!

367. ბევრ სიმდიდრეს ბედიც უნდა, უბედობა გააცუდებს!

368. განადიდი სიბრძნის ფესვი მოთმინებას გამოაჩენს!

369. სხვისგან სიავე შენზედა შენგან რა მოსაგონია?!

370. ორის მოყვსის მოსამართლედ გონიერი არ დაჯდების,
და საბოლოოდ ორში ერთი დასამოყვსად დააკლდების!

371. უმოყვსოს სამართლობასა ნურათი დაერიდების,
და მოყვსად გაუკდის ერთსაცა, საკარგოდ მოეკიდების!

372. არ იქნებოდეს, გინდოდეს, — უვარგი საფიქრალია!

373. გაუსინჯავი გაფიქრა სხვას რატომ გააგონოსა?!

374. მემშურნის მარიდებელი ბევრს სიტყვას ერიდებისა!

375. რაც გამოჩნდეს გასასინჯი, ნუ გაუშვებ გაუსინჯად,
და სიბრძნე უფრო შეიყვარე, არას მოგცემს შესასინჯად!

376. უქებს ნუ აქებ მაგისთვის, ბევრიცა მოეშოოსა!

377. გამოიცადე მოყვასი, ეგრე კამს შემოყვრებანი,
და ჭირშიგან გამოუჩნდება სიმტკიცით შემაგრებანი!

378. საფრთხილოა ნამეტანად ანასდათი ჯავრით ქმნილი!

379. ოდეს მტერი მოიხელთო, ნუღარ გინდა შურისგება,
და სჯობს სანაცლოს დამატებით წყალობა და მისი რგება!

380. შეცოდებისა შენდობა, — სიკეთის ნიშნად თქმულები,
და მაგიერითა სიავე შურია დანერგულები.

381. ვისაც სწადია სოფელსა გემოვნობითა ტკბილობა,
საფერი ცოლი შეირთევ, შვებით მოგიკდეს ძილობა;
უდიდემ სახლში გიჩვენოს კამენდიითა ყრილობა,

და მეტოლემ, ულარიბესმა გაამოს, გიყოს ზრდილობა!

382. კაცი გარეგან გამოვა, დასარჩომელსა მცდელობსა,
მახვეწარობით ირჯების, სამჯობინარსა მქნელობსა,
შინ მისვლის მოსვენებისა იმედით მოუსვენლობსა,
და იქიც დახვდება სასარჯლო, სიცოცხლე მოიძნელობსა.

383. გამოგიცხადო სოფლისა საკარგო უკეთესები:
და სასიყვარულო სიკეთე, საერთო მისათესები.

384. სჯობს საყვარელსა ყოველსა მოყვასი დანაცადარი!

385. ზღვა ურწმუნოდ ჩაუგდიათ, მიწა უთქვამთ დასარწმუნოდ!

386. საწუთროს ლხინსა, ქორწილსა შემოაქვს გასაუარი:
და სხვათა სანდომი —კეკლუცი, დუხჭირი — შემოუარი.

387. ნათხოვარია სიტურფე, ამად მალ მოელებიან,
და ტურფას მქონესა ახსოვდეს, სილაღით ნუ იღებიან!

388. იჩქითი არის შვენება, შემზადო ტურფად გებული,
და უფროსსა ხანსა გაივლის, ეს არის მისი ქებული.

389. მას მიხვდების სოფელშია შესაწუხი, შესაურვა,
მოინდომოს დიდ საქმეში შეჩხუპებით შენაცურვა;
პოვნამდისი მეცადუნობს, სამრავლოა ცრემლთა წურვა,
და დაანაღვლებს ნაპოვარი, — გამიცუდდეს მოსასურვა!

390. სოფლისა ჭირი მრავალი, ლხინია დასაძვირები,
მოვლაზე გამდიდრდებულსა სასჯელი დაუმცირები,
სიგლახაკისთვის წუხილი, გაუგებელად ირები,
და ავის მასპინძლის სტუმარი გამკდარვართ გასაწირები.

391. კაცს შოვნა გარჯის, ნაპოვნი — არ წაკდეს; დააჭმუნებსა.

392. ძარღვი ყოვლთა სულიერთა ასოებსა მიხვდებიან,
და სამსგავსოა საქონელი, ბევრს ადგილსა გასწვდებიან.

393. მეფობის მეტი რაც არის, თეთრითა მოიპოება,
და სიმართლისაგან ორივე ერთობით მოიშოება.

394. საჭიროა: არ შეეძლოს ჭირში მყოფსა მოთმინება.

395. გასინჯული გულმაგრობა ჭირისაა დიდი მარგი.

396. გზად მიმავალი შეიქნა უგვანთან ნავში მჯდომელი,
მეკობრეთაგან დატყვევდა, უბნობდენ დაუდგრომელი:
„თუ გვიცნეს, ავად მოგვივა,“– მანცა თქვა მოსანდომელი:
და „უცნობელობა აგეთი ჩემთვისც-ა მოუხდომელი!“

397.შესაბრალია, მართებდეს, არ ქონდეს გამოცნობანი ,
სატრფიალოსა სამზერსა გარდავარდნოდეს მკობანი,
საკვდინებელის წამლისა მოსწონდეს შესარგობანი,
და უქებს აქებდენ, საქებსა გახშირებოდა გმობანი!

398. ავსა ცნობა გააცუდებს, კარგსა, დია, მოუკდების!

399. იყოსცა, ბევრსა დასცდება თავი ეგონოს ბრძენია!

400. გამდიდრებული მოძვირი შეგროებისა მცდელია,
და ვერ მოიკმარებს სოფელსა, სოფელი გამომხვრელია“.

401. იჭირვის ზოგი ამგვარად– ქონება იყოს მათია,
და იშოვნის, ასე წააგებს, ცუდი რამ საკამათია.

402. მეშურნეს შეწუხებულსა ან ავი წაკიდებია,
და ან კარგი სხვისა უნახავს, წადილი გასცუდებია.

403. წაკდენადა სჩანს, რა ნახავს შური სხვის კარგის ქონასა!

404. სხვის კარგს შეესწრას მეშურნე მელქანებრ ჩამოკმებისა!

405. ბედისაგან განაქცევსა სიბერე აქვს სახიზარად.

406. რა ზღვანი შემოუღელდეს სასტიკად მფოფინარენი,
მიაჩანს ნავთსაყუდელი მენავეს სალხინარენი,
უბედოთათვის სიბერე ეგრეა მოსაკმარენი,
და მოკვდესღა, დარჩეს სრულობით სოფლისა საძებარენი.

407. ამ სოფლისა დაარსება ვისაც ვითა დააბაროს,
რად მოიწყენ, გაგიცნია, ყვანდეს, გინა დააბაროს;
როცა მოვა მოსავალი, აამაღლოს, დააბაროს,
და უცდელია მოსარჩომლად, რაზომიცა დააბაროს!

408. რად დასცინი სიბერესა, რადგან იგიე გენატრება?!

409. ეჭირების და აძაგებს მობრიყო მასვე ჭკუასა!

410. კაცის სახელი ზაფხულს ჰგავს, მისებრივ მალ წაკდებისა!

410¹. სახელი მიგავს ზაფხულსა მალიად გარდახდომითა.

411. სიბრიყვე და უზრდელობა ბედსა წინა აღუდგების.

412. ბრიყვი ბედსა ვერ იპოვნის, ბედი პოებს, ვერ იბედებს!

413. ანკსაღორ, წამოძღვრებანი პერიკლე ბერძენთ მთავრისა,
დაბერდა, კელს არ უწყობდა, მთქმელია მომაარისა:
მბდღვინვარეს ზეთსა დაასხმენ შუქისა მოსაკმარისა,
და უფრო შემეძლო იმისგან ნათლობა შენის მკარისა!

414. კაცმა ქნას კაცზე სიკეთე სასამსახურო დიდები,
უკსოვარობით ნაცვალი დააგდოს განაკიდები,
სახელის მომდომებელი განევლთის განარიდები,
და ტვირთია ჩამოუხსნელი, პრპენისა ანაზიდები.

415. ათინიდან გამოაძეს, უძრახევდენ უკარგავი:
„რად დაკარგე სატრფიალო, საქებარი, საკარგავი?“
მან პასუხი შეუქცია საკსოვარი, სანარგავი:
და „ვინ ვის უფრო ეჭირება, ის იქნება დამკარგავი?“

416. არვინ დაჰკარგა ცნობილმან ადვილად საპოვნელია,
ძნელ საშოვრისა გაწირვა საჭირო გასახსნელია;
სჯობს ერთი ასსა საქმითა შემსგავსებულად მქნელია;
და კაცი, სიბრძნითა შემძლები, საშოებელად ძნელია!

417. ბრძენს გააძობენ გაწყრომით, არ იცის დაუძვირდების,
და თავს გაუწყრების, მოსძებნის, როდესაც გაუჭირდების.

418. მაშინ გეგონოს მოკვდავი, რა კაცი დაიბადოსა!

419. ქალაქს ლამპეს დასნეულდა სიკვდილისა მინაწურად,
მოყვასთ უთხრეს: „სამკვიდროსო ხარო ზიდვის მოსასურად?“
— „რა მერგების მაგისაგან, მოვიჭირვო დასაშურად?
და გზა ერთია ორითგანვე, საცა მივალ გასაცურად!“

420. საქებარია მიცვლილთა პატივით გასვენებანი,
დანაწესია სხვათაებრ დაუდგრომელი ნებანი;
სჯობს სულიერი სიკეთე, მიუხვედრელი ვნებანი,
და კორცი შეჭამოს ნადირთა, სულს მიხვდეს განშვენებანი!

ქ. სწავლა ბრძნისა ანაკსაღორისანი

421. ღ(მრ)თის ქება, მშობლის პატივი არამცა დაგეზაროსა,
და მოყვასთა ერგე, შურობა არსაით მოგეკაროსა!

**421[1]. აქამდე ღ(მერ)თსა სამუდმოდ, მოყვასსა შეეწეოდე,
და მამა-დედათა პატივ ეც, შურობას გაექცეოდე!**

422. ავია ფიცი კაცისა, მართალი რა საწყენია?!

423. სამართალსა და სიმართლეს ნუოდეს გარდაკდებიან!

423¹. შურით ნურვის სჯი, სიმართლით გარდაჳლა საქებარენი!

424. საწყალს ნუ ბასრობ, წყალობა ნუოდეს მოგაკლდებიან,
და თუ შეეცადე გაწყობას, მოყვასნი გამრაველდებიან!

425. გესმას რამე საიდუმლო, ცხრა კლიტენი გაუყარენ!

426. კაცს გააცუდებს ჯავრითა ნასაქმი, გამოთქმულები,
და ურას კვიცისა მინდობა არის რამ დასაწყლულები!

427. ლაგმითაც დაიჭერება ცხენი მორბედი, ძლიერი,
და არ დაბრუნდება ნათქვამი, გასული ბაგის მიერი!

428. დრო, კაცისათჳის ნახმარი, კარგი რამ საქონელია!

429. ანასდეულსა კარგ დროსა ცუდად რამ გაატარებსა,
მაზედ ხარობენ, არ იცის, წარკდა, ვერ მოიკარებსა;
წყალსა თავდაღმა მავალსა ზეით ვინ შეატარებსა?!
და წასულის დროსა მძებნელი ცუდად თავს გაიმწარებსა!

430. სავარგულად მოიკმარე მოცემული ჟამი და დრო,
ნუ იყოვნი, სწუთროსა სხვაცალა აქვს მოსაადრო;
მიეც საქმეს გამორჩევა უმჯობესის შესაადრო?!
და ვეღარ მიხვდე საწადელსა, არ მისმინო, რაცა გკადრო!

431. არას უბნობს მოყმე ვინმე, გაწყობაა ლხინი, ძობა:
და უგუნურსა არ ეძრახვის, გონიერი დაიგმობა.

432. თქმა ბრიყვს წააკდენს, ბრძენს უჯობს, ეს იცნან, ისი ვერაო!

433. მიეცეს ნება, შეძლება სიბოროტისა მკედარსა,
და გავს, მისცე კმალი მკვეთელი ტჳინითა განათხელარსა!

434. ბრძენს ესე აქვს სარგებელი, ზრუნავს, არას უდგებიან,

და სოფლისაგან რაც მიხვდება, მასვე ზედან ეგებიან!

435. დაუცხრომელი გულისთქმა ადვილად განქარდებიან,
და საზრდოსა წადილისაგან მარხვითა განიგდებიან!

436. ძვირი მდიდარი ამსგავსა ხურმასა, კლდეზედ დგმულებსა,
არსაით გარდასავალსა, გზასა მას შენაქმნულებსა,
რაგინდ მრავალი მოისხას, ფრინველნი იძლებს სულებსა.
და აგრეცე მათი რა ერგოს საკაცოდ დანერგულებსა.

437. უსარგებლოა მრავალი დადება დასადებისა,
თავისა მოუკმარები, სხვისაცა მიუგდებისა,
გაუმრავლდების, უფროსსა სიმრავლედ შეეცდებისა.
და გაგებნას შემოკრებული, რა თოკი გაგიწყდებისა.

438. უყვარდა მაკიდონელსა სწავლული, განაბრძენია,
არისტონ ფილასოფოსი, კაცია მოსაძენია,
სამოსახლოსა ქალაქსა უმატა შესაძენია,
და გარ გალავანი მოუვლო, პატივის საბოძენია.

439. ფილასოფოსთა გაწყობა შემატებს, დაუკლებასა,
აღგავსებს სურნელებითა, მუშკთაებრ გაუცლებასა,
წარემართების სოფლისა სიმაღლე, გასაწყლებასა.
და სჯობს ერთი წამი ბრძენთანა ას წელ უგბილთა ხლებასა!

440. დაექცია ალექსანდრეს კრატეს ბრძნისა აგარები,
უბრძანებდა: „აგიშენებ, თუცა მოგწონს იგ არები".
მოახსენა: „ამიშენო საშვებელად, სახარები,
და სხვა გამოვა ალექსანდრე, შეიქნების უკმარები".

441. ბრძენნი სამართლად უბნობენ სოფლისა უკმარებასა,
მალ გარდააქცევს კაცისა მოწყენა, გახარებასა,
დააქცევს, ზოგთა აშენებს ქვეყნისა ვითარებასა,
და ნუ გამოელი სიკვდიმდე იმისგან მოღარებასა.

442. ავსა ნურას იქ ნათქვამსა, სასმენელს მოასმინებდე,
და ასე მოგძულდეს მოსმენით, სათქმელად მოიწყინებდე!

443. ტალახს ფეკსა რად არიდებ, ერთპირობით შენასვარი?!

444. ანტისტინეს აძაგებდენ, ზინონ ეტყვის უცოდნელად:
„ რა უქნია მაგისთანა საგმობილი გასაძნელად?
„ეგ არ მახსოვს“, – ეუბნების უცებობის შესამცნელად.
და – „სასირცხოა მასსოერობა ნაქნარისა უხსოვნელად!“

445. უკადრისია საუბრად ამბავი საგმობარენი,
მამაცთა მოუწონარი, სასმენლად დასაზარენი,
საშტეროდ დაუსაკლისი, სამოყვსოდ მოუკმარენი,
და ყურისა შეუშვებელი, გულისა მიუკარენი.

446. კარგის მთქმელს ყურს არ უგდებენ, უცხო და საკვირველია,
და ავის მოქმედის ამბავი სამუდმოდ საძრახველია!

447. სამუდმოდ ენის მეტობა არავის აძეს ვალადო,
და ენა ყურად და ყურები ენად სწადს შესაცვალადო.

448. სწუხს სასწავლო მრავალია, დღემოკლე და წარმავალი.

449. შენი თავია მოყვასი, სიკეთის გასამხარადო,
და როგორც შენ მასზე ელოდე, მას – შენზეღ მოსახმარადო.

450. ბრძენთ აცილებს პტოლემეოზ, ზინონ იჯდა უუბარად,
მეფე ეტყვის: „შემიძლია ერთობილი საქებარად,
რა უნდა ვთქვა შენ გამოის, სიტყვასა ხარ დასაზარად?“
და კადრა: „ბრძანე, ბერი კაცი უკმოდ ვნახე დანამჯდარად“.

451. სიბრძნეს არ მისდევს სიმდაბლე, სამისო საქებარენი,
სპეკალთა სალითონენი, კაცთაგან მოუკმარენი;
არ გამოჩნდების სიტყვითა ბევრისა მოამბარენი.
და განაგონები თქმისაგან უფროსად მოსაკმარენი.

452. ბაგის სავარდის კარები დაიცევ დასაგულარი,
და გააღო, ასე გააღე, სხვამანც თქვას გასაგულარი!

453. მაგინებარი გული გავს დესპანსა უპასუხოსა!

454. მოსამსახურემ შეცოდა, უბრძანა მისი ცემანი;
„ბედმან მიყოო, — დავარდა, — მომმადლე ჩემი გვემანი!“
შთხრა: „ეგეცა ბედით გჭირს, ნაცვალთა გამოცემანი,
და ბედსა ვერ მოუშლი, არ ძალმიც წაკდენა, ქვე დაცემანი!“

455. დაუბადია სიავე კაცთაგან მონაგონები,
მიზეზობასა იგონებ, კარგათ ქნა გასაგონები;
პირველთაგანვე გაფთხილდი, გააგდე დასაყენები,
და შემოგხვდეს კარგი მსაჯული, წაგიკდეს შენაკონები!

456. ანუ ღ(მერ)თსა, ან ეშმაკსა აენაქნარად დააბრალებ,
და ღ(მერ)თმან ავი არ დაბადა, ეშმაკს რაზე არ ამცრალებ?!

457. მალ ნაცნობი საიდუმლო დაიდუმე დასადუმი!

458. მეტსა თვითან რატომ უბნობ, თუ ყური გაქვს გასაგონად?!

459. ენისა დაუმჭირავსა ყური აქვს მოუსმენია!.

460. თავკედობა გლახაკს ძრახავს, მდიდრის შურსა მოიპოებს!

461. სხვისა სხვაზე მინაგები მასვე ზედა მოიწევის!

462. ფთხილად მავალი სოფელსა მალე არ წაიქცევისა!

463. კიპერის მეფე(მ) მენედიმს უბრძანა: „ესე მინდესა,
კარგია, აუკდებოდეს, კაცი რას ინატრიდესა!“
მან ქება ჰკადრა, სიბრძნეთა განწესებითა გვიდესა:
და „სჯობს ნატრას უნატრულობა, იპყრობდე კიდის კიდესა!“

464. გულია სოფლის მომდევთა მიმდომი უცხოებისა,
ხან სიკეთისკენ მიმწევი, ხან ავი ენებებისა,
ხან უნდა უფსკრულს შთაკდომა, აღფრენა ზეცაებისა,
და თავისა დაუჭერელსა ბევრი რამ გარდაკდებისა!

465. მოესმა ალექსანდრესა ფილასოფოსთა თქმულები:
„გარდაუცვლია სოფელსა უამარავი სულები,
სოფელი გიეს", – დანაღელდა: „ყოფილა დასაკრულები,
და ასე მოვკვდები, ვერა ვქენ ვერც ერთი დაპყრობილები?!"

466. ეს სოფელია დიაცი, სიძვისა მიმაყოლელი,
თავსა კეკლუცად გაჩენებს, ბოლო აქვს დასაქოლელი,
ხან შენს უბეთა მძინარი, ხან სხვასთან დამაწოლელი,
და მოუკმარია საკმარად, ვინც არ შეექნა მბრძოლელი.

467. როს დააქცია სტილბონის ქალაქი დასაშვენარი,
მაკიდონელმან უბრძანა: „წამკდარი შესაძენარი
მიამბე, მოგცემ უკლებრად!" მიუგო შესასმენარი:
და „ვინ გამოჩნდების სოფლისა ჩემის სიმდიდრის მწყენარი?!"

468. ბრძენთ მისცემია სიმდიდრე, არვისგან მოსაღებელი,
ქურდისა მოუპარავი, სამტეროდ მოულებელი,
საკლიტურისა კლიტენი გაღებად გაულებელი,
და მძლეველი უნობს სულობით, ისევ ძეს მოსაგებელი.

469. ყვა ალექსანდრეს პყრობილი, თემთაგან მონაყვანები,
ციხისა მცველად აგდებდა, ერთგულთა დანამგვანები,
– „აქ ნება გაქვთო, სხვაგნითკენ არ მოიძებნოთ ვანები!"
და სტილბონ იცინის: „ნებაზედ შეიქენ დანაყვანები."

469 a. ეწყინა ტყვესა იმისგან ამგვარი საუბარენი,
ეტყოდა: „რასთვის იკრიჭვი, გგონია გასახარენი?"
„მე არ ვიკრიჭვი, – მიუგო, – გაგიკდა გასამწარენი,
და კაცურად გამიცინია, მსმენელთა მოსაკმარენი!"

.

470. არ მოიწონებს სხვა სხვისა ურგებსა გასაგონებსა,
გაცუდებასა ეცდება, ასეთსა მოიგონებსა;
მაგრამ ვისთვისაც კარგია, რასათვის დაიცონებსა?
და ნუ ეტყვი შენსა უფროსსა იმისგან მოუწონებსა!

471. მით პატივსცემენ მცოდნეთა, ნარუქად გამოჩნდებიან.

472. დანაშაულზედ დემონაკ უბნობდა არა ვნებასა:
„ვითა მკურნალი სნეულთა გასინჯვით უზამს ნებასა,
თქვენცა მათებრივ სწავლიდეთ მისახვედრელსა მცნებასა,
და ეს მოაშორებს უფროსად ჯავრითა გაუგნებასა!“

473. დაანახვებდეთ სიტკბოთი გაუწყრომელად სწავლასა,
შეძულებითა დასწყევლის საბედნიეროს დავლასა.
სიმწარის შეგონებისგან სიტკბო უკეთ იქს გავლასა,
და დიდი რამ უნდა მოძღვრისგან მოწაფეების მოვლასა!

474. მაშინ მიყევ შექცევასა, რა რომ იცნა თავი კარგად!

475. როს დემონაკ მოჩხუბა(რ)სა ეუბნების მოსაშალად,
სირცხვილითა თავს გარდაკრა, გაუტეხა, დასაძალად.
ურჩევდიან საჩივარსა; ეუბნების მოუკრძალად:
და „რა მსაჯულთა ჟამი არის? დასტაქარი მიკამს მალად!“

476. კარგისა უსმინარობით წყინობდენ შეგონებასა,
არ იმადლებდეს, მისდევდეს მისსა გულისა ნებასა,
მიუშვი, ბოლოდ შეიტყობს მის უბედობა–ვნებასა;
და შემომფთხალისა ჯიხვისა ნუ ცდილობ დაყენებასა!

477. კაცი გკითხავს ტკბილად რასმე, შენ გული გაქვს განამწარე,
და კარგისათვის ავი საქმე არვისია მოსაკმარე!

478. „გამოვსჩნდი გამომეტყველი“, — აღაფოკლეა მთხრობელი, —
უშოვარია ჩემებრივ ქვეყანად შესამკობელი“.
„რადგან მარტო ხარ, — დემონაკ, გასაძნელია მგმობელი, —
და თუ იშოვების უმჯობე, ერთად რადღა ხარ მკმობელი!“

479. ეგონოს მოუპოვარი ჩემებრივ სიბრძნით მქნელია,
მისგან სახელი გამოჩნდეს, უეჭვი, გასაძნელია;
დასანახავის დანახვად თვალითა დანაბნელია;
და გზისა გონია სისწორე ღირღალი, გაუგნელია.

480. ყალმით ვინმე მოარული თავსა პატივსა იდებსა,
და არ იცის, ცხვრისა ნაცვამი კაცსა ვერ გაადიდებსა!

481 ტან–ჩაცმისათვის მრავალი თაეებსა მოიწონებსა,
ვერ გაუსინჯავს უწინვე, აღარცა მოიგონებსა:
მატლმა შემზადა, ანუ თუ ცხვარს ესხა გაუგონებსა,
და ოქრო და ვეცხლი მიწასა მიწავე შეიწონებსა!

482. რად იხარებ, გაიგონო საფერებლად სიტყვა თქმული;
მორთვისაგან, მოკაზმითა გაალალო შენი გული,
გამოსინჯე, რა გიქნია სიკეთეა, დასაწყლული,
და უშოვია უკეთესი, გახარებდეს შენი ქმნული?!

483. მრისხანებას ეს მოყვება, რა არავინ დაუტევებს,
და ტყვესა სხვანი ატყვევებენ, თვითან თავსა დაატყვევებს!

484. სპასპეტმან შედეგს უბოძა მოლაშკრეებთა თავობა,
ჰკადრა: „ვით მართებს გაძღოლა რიგისა, გამათავობა?“
— „უბრალოს ჯავრსა ერიდე, გაუშვი გულადობა,
და თქმასა ყურები მიუგდე, ცოტა თქვი და უდაობა!“

485. სავარგალია, იცოდეს ჯარისა გას(ა)ძღოლანი,
მოკმარებითა რიგები, სადაცა მართებს ბრძოლანი,
პირველ ფრთხილობა, მიმდგარმა დააგდოს შესაძრწოლანი.
და სრულთაცა გმოადგებაკარგთა მრჩეველთა ყოლანი.

486. ამილბარისა უწესო, ჯავრიანისა მქნელობა,
ჯარისა შენაძულარსა საქმისა მიხვდეს ძნელობა;
პირშენახულად ვიდოდეს მტერთ მიუხვედრი მგრძნელობა,
და უყვარდეს შემსმენელობა, რჩევისა გამგონებლობა!

487. სპასპეტი ჯართა ეცადოს, შეიყვარებდენ გულადო,
მისისა წარმართებისთვის დაუზოგავნი წყლულადო,
გამოუცნობლად განძრახვა მტერთაგან უსაცილადო,
და მიეცემოდის სახელი სახელოვნების წილადო!

488. თუ თაფლსა სჭამდეს მსწავლული, ერთი სიტყვასა უგებსა:
და „მარტო უსწავლთა ფუტკარი თაფლსა არ გამოუგებსა!“

489. ეპიკი ბრძენსა დემონაკ ურჩევდა ქორწინებასა,
ცოლი არ ყვანდა ერთსაცა ჟამისა წინაებასა,
ეპიკ ეტყოდა: „მიაჩანს უმჯობედ შენსა ნებასა,
და ქალი მომეცი, მივყვები ნებისა დამონებასა!“

490. ქალწულება სანატრელი, ანგელოზთა მიბაძება,
შჯულისათვის მოცალება, გემოვნების გა-ცა-ძება,
დაუდვია სოფელშია მოშენების გაუძება,
და ქორწილისა დაჯერება პირველადვე მოიძება.

491. ნუ ურჩევ სხვასა, არ გქონდეს რაშიგან გამოცდილობა!

492. კაბას იცვლიდეს საქებრად მოყმე გინების მჩვეველი,
და სიტყვა დასცვალოს, ის უჯობს კარგისა გამომრკვეველი!

493. საძრახია, კაცი იყოს ჯაბანი და დაუცდალი,
და ავის მსგავსი შეიქნების, თუ არ არის ავის მკდალი?!

494. სამართლის ზღუდის სიმაგრის უფროა მოსანდომია,
და მოსამართლობას ეცადე, საბრძოლად მიუწდომია!

495. უსამართლო(ს) ცეცხლისაგან უფრო მართებს დასაშრეტად!

496. მდიდარი სრასა, დარბაზზედ დახარჯვენ მოსახოჭელსა,
და მოკვდავს სიუხვე მიუგავს უკვდავებისა მეჭველსა!

497. ვამსგავსო ხარბი ფუტკარსა, თაფლისთვის განამრჯელოსა,
და დაავსებენ და სხვანი ჭამს საბრალოს, დასაბნელოსა.

498. უგუნური თავის ადგილს, დრო არ იცის, უკმოდ დგების,
და მარტო ერთის საქციელით გონიერსა მიუდგების.

499. გაუჭირებლად ვინც ღ(მერ)თსა არ აქებს, არ ადიდებსა,
და სამართალია, სამუდმოდ ჭირსა არ დაარიდებსა.

500. ანაკსიმემ ალექსანდრე ლამპისათვის პოვა მშლელად,
გამოვიდა შესახვეწად, მეფემ ნახა შემომსვლელად:

დაიფიცა: „სათხოვარსა არ გექნები მომმადველელად!“
და დარღვევასა შეეხვეწა, ვეღარ ექნა ფიცთა მტეხლად.

501. მარგებელია ადგილს თქმა, აროდეს გაცუდდებისა,
უსწავლად, უგუნურებით მისითვე განქარდებისა,
ბრძენი გარდასცვლის, როდისცა საძნელოდ აღუჩნდებისა,
და ადუღებული სიავი ცოტას წყლით დაწყნარდებისა.

502. უშვერს სიტყვაზედ მეორე რასათვის მოიწყინებსა?
და რაცა არ უნდა, მას უბნობს, იმასვე მოგასმინებსა!

503. ძნელია მაგრა შენახვა იდუმალ განაპირისა!

504. მტერს გააფთხილებს მუქარა, მიგიცემს, გააფხიზლებსა,
და ქალის წესია საქნელად, კაცობას მისცემს კლებასა.

505. ცოლი გინდა შესართავად, უკეთესი ვით მოირთო?
და ასეთს რასმე შეეცადე, ქალბატონი არ შეირთო!

506. კაცსა თუ მტერი არა ყავს ანუ მოყვარე ტკბილები,
და ყველაში მოუკმარენი იქნების გასაწბილები.

507. დამტერება და მოყრობა ერთმანეთისა მხლებარი,
და თუ ორში ერთი არა გჭირს, დიდია დასაკლებარი.

508. კაცზე ნაქნარი სიკეთე უმართი საყვედრალია,
და გააცუდებს და წააკდენს, სათქმელად უვედრალია.

509. მოწადინე სიმთელისა სიკვდილს მალ-მალ მოიკსენებს!

510. კარგია, გულსა შეეძლოს სიბერე ყმაწვილურია,
და სიმთელეს მისცემს, გააკმნობს, იყოსმცა საუძლურია.

511. დია სჯობს სრული სიკვდილი საშუალსა ცხოველობასა!

512. ბედის მიმყოლი მიაგავს მკურნალსა სამკურნალოსა,
და მრავალსა კაცსა ატყუებს ხანისა დაუმცხრალოსა.

513. მალ-მალ ნახევდე მოყვასსა, სოფლისგან დანაჭმუნვარსა!

514. სიმართლით დანაკარგავი სჯობს ავით ნაპოვარენსა,
და ეს ერთხელ გაწყენს, მრავალჯერ ნახავ მით გასამწარენსა.

515. უბედობით დანარჩომსა შენ რასთვისღა დააყვედრებ?!

516. ნუ ეჭობ ცუდსა რისხვასა დიდების გასადიდებსა!

517. სრულის გულით დაემონე რჯულისაგან ბრძანებულსა!

518. ოქრო და ვეცხლი რიოში კიდონტით იცნობებიან,
და ცნობა კაცისა კაცთაგან საძნელოდ იამბებიან.

519. ქვეყნის შემოვლის მდომელი საჭიროს მოინებიან,
და ავად ქნა ღ(მერ)თსა გააწყრობს, კარგად – კაცთ ეწყინებიან.

520. რადგან სიავეს აამებ, მეტი რა მოგეცემიან, –
და სიკეთის მაწყინარობით, ქვე სადმე დაეცემიან.

521. სიბოროტით გამდიდრება თავსა დიდხან ვერ იმდიდრებს!

522. კარგის მოყვსის მიდევნება სიკეთესა მოუმატებს,
და მტრისა მოყვრად გარდაქცევა სახარისხსა გაანატებს.

523. მოყვსისა შური მტრისაგან უფრორე სარიდალია,
და ესე არა ჩანს, ისი ჩანს, საჩენი ნაცუდალია.

524. სახლიდან გასვლა გინდოდეს, სადამე მოარებანი,
და პირველად იგი დაასკვენ, სად გმართებს გაგარებანი!

524[1]. ოდესცა შენის სახლიდამ გარეგან გამავალობდე,
და სად გმართებს, იგი გასინჯე, მერმეღა შეიცვალობდე!

525. შენი, გინდა, ბევრთა ქონდეს მორიდება, შიში, კრძალვა,
და შენც მრავალთა გეშინოდეს, გაიმრავლე, მოეცალ ვა!

526. რაზომ დაგმეტდეს სიმდიდრე, უფროა სამწუხარენი!

527. ავია, ავი გიყვარდეს, უქმი რამ საუბარენი!

528. მტერს გაახარებ, ნუ იჩენ ნებითა უბედობასა!

529. ვერას მოგცემს სარგებელსა უსამართლო მონაგარი!

530. ბრძანებლისა დაურჩება შემძლებელსაც გააცუდებს!

531. სიკეთე და მოწყალება კაცსა ვარდებრ აღაყვავებს!

532. კარგია კარგის პატივი, სამუდმოდ ბრძენთა ხლებანი!

533. სიმართლემ კაცსა არ მისცეს, რაც რამე მოსარიდები,
და ცოტაზე სამართალშია ნურაზე შეიზიდები!

534. დაერიდე საძრახავსა, ვერაოდეს მოგიპოვოს!

535. სიტყვის წაცდენა ბოლო ჟამს სანანელს გაამრავლებსა!

536. კაცსა კარგის მაგიერი არაოდეს არ დააკლო!

537. რისაც არ იყო დამჭირნე, მის მეტს უფთხილდი ხარჯვასა!

538. მოიკვეთების, აღარ ქნა შენგამო ნაცოდვარია!

539. ნუ მიენდობი დროსა და ცუდსა სოფლისა ჟამებსა!

540. ნუ მოგწყენია უბადოდ, მეტთა ნუ ედიდებიან!

541. ახლოს მყოფსა მოკვდაობას შორ რასათვის დაიჭირავ?!

542. კაი ჯუფთისა ნაშობი ვისგან რა საყვედრელია?!

543. თუ ვალი ჰქვიან, არ ვარგა ნაჩუქარისა ჩუქება!

544. მებრძოლი განრისხებული გონებით დაინახენით,
და მისი შებრძოლა მერმეღა საბრძოლოდ გაიყახენით!

545. კირონ მეფესთან სიმონითს მოუკდა დარბაზობანი,
უბრძანა: „შემატყობინე, ღ(მრ)თაების მოსაგზობანი!“
სამი დღე გამოითხოვა: „ვიფიქრო სიტყვის მზობანი!“ 1
და მივიდა, კითხა, სამიღა ითხოვა შემოცდობანი.

546. უბრძანა: „რად ხარ ეგზომი დაცალებისა მთხოველი?“
კადრა: „შეიმცენ უწყებით შეგონებასა მოველი,
რაზომ დიადსა მადროებ, მეტი კამს მოსაპოველი, 2
და მით, რასაც გამოვიფიქრებ, საკვირველია ყოველი“.

547. თქმულიცა იქნა, სიბრძნითა არვისგან იპოებისა,
შექმნულისაგან მოქმედი არათი მიიგნებისა,
ბევრნი ეცადნენ, დაინთქნენ, ნათქვამი გაექნებისა;
და წმიდათა დაუჯერებლად, სიკეთე არ იქნებისა!

548. აგებულების სიკეთეს სხვა კარგი ვერ ედაროსა!

549. ეს არი ავი კაცისა სიავის შესასრულითა:
და რისათვის დაბადებულა, მას არ იქმოდეს გულითა.

550. სრულს მდიდარსა უმდიდრეა სოფლის ნივთთა უნდობარი1.

551. უსამართლოვე ყოველთა —საზრდოზე სუსუნატები!

551 a. ნამუსი გაუძნელდების მემუცლე, ენა–მჭირავსა!

552. ეყოფის ქალსა ზითევად სიწმინდე, ნამუსობანი!

553. ბრძენი ის არი, მოქმედად რომ იყოს ამის მქნელია:
და შეეძლოს, კაცზე არა ქნას ავი და გასაძნელია.

554. ის იქნების უგუნური, ესე ქონდეს მოუცდელად:
და შეუძლებლად კაცთა ზედა კაცი იყოს ავის მცდელად.

555. უთქმელობა სჯობს კაცისა, თქმით ახარებდეს გულებსა,
და უთქმობით არვინ წამკდარა, თქმით მიკდომიან წყლულებსა!

556. სახარელია, ვინცაღა უბრალოდ დაისჯებიან!

557. მან,გიორგი ლეონტი(ნ)მა, გასძლო წელი ასდაშვიდი,
გამოკითხეს განაძლები: „სოფლისაგან არ იწვიდი?“
– „წესი მქონდა დანადები, მას აროდეს გადავიდი:
და დაუჯირლად სანდომელსა არა ვჭამდი, არა ვსმიდი“.

558. მომლელობითა, იტყვიან, გვიანად გაცუდდებისა,
ნივთისა მოურევნელად ტანიცა გაგიწმდებისა;
მიწიდგან გამომცენარი სახედ არ ერიდებისა,
და ზოგნი დიდხანსა ასხია, ზოგნი მალ დასცვივდებისა.

559. სიბერისაგან უძლურნი სიცოცხლეს ემდურებიან,
და რა ნახა ავი იმისგან, ანუ რას ეშურებიან?!

560. ვის მემთვრალობისზნეობა უჭირდეს მოსაკვეთარად,
და ქცევა-ხელობა გასინჯოს, მოუნდეს გასაცვეთარად.

561. თხელს ფიცარსა ენდობიან ზღვით წამსვლელი მოსაგვარად,
და დღენიც ქონან ფიცრის სისქე იმისგანვე ნაპოვარად.

562. რომელია დანამატი: ცოცხალია ანუ მკვდარი?
და მენაევნი ვისში არი მათ ორშიგან დასადარი?!

563. კაცხევდენ: „ხარო თათრისა მოთემეობის გვარითა“.
პასუხსა შემოუქცევდენ გულითა დანამწვარითა:
„რადგან გგონივარ სარცხვინო მოადგილობის ზღვარითა,
და შენ შენი თემი გიქნია აღსილი საკიცხარითა“.

564. თუ კარგი ვარ, უარეა მტერობითა დამათვალოს,
მიზეზებსა მიძიებდეს სათემოს(ა) დასამჭვალოს;
მიაგვანდეს თავის ქვეყნის გასაწბილაე, გასაწვალოს,
და სჯობს ყოველსა სიკეთესა, ავი კარგად გარდიცვალოს!

565. ეპიკურ გამოიტყოდა: ასეა შესაგონია:
აგებულებით მავალსა მეტი არ მოუგონია,
გარდგემატების სიმდიდრე სხვათაგან გაუგონია,
და ნდომისა მიმდევნებელი სიგლახის მისაგონია!“

566. შეძინების მომჭირნესა, მომავალსა განგებითა,
ვერას პოებს, გაეცლების, მონაღები მოგებითა;
სჯობს, დასჯერდეს განაწილსა, მოიღვწიდეს მოგებითა,
და არ მიხვდების საწადელი უგზოს ცდისა, გაგებითა!

567. საუკუნისა მდომელი სიკვდილსა იკსენებდია,
და ცრემლითა შენგან ნაქნარსა ცოდვასა იგონებდია!

568. სხვაც იჯდა, ტიმონ მოყვსითა იყოღა დანამჯდომელი.
დაინახევდის, კვირობდის, ის კაცი მიუხდომელი.
„ესეც გიკვირსო? – ეტყოდენ, – თქმისა ვართ მონამდომელი,
და სამთავე(ს) ოთხი თვალი გვაქვს, შეიქენ მინამწდომელი!“

569. კაცია მრავალრიგობით სოფელსა მოარებული,
დანახაობით ცნობილი, სრულობით საკმარებული,
ზოგნი თავისა შემძინე, ზოგნი სხვისათვის ქებული,
და თვალებსა დაუნახავსა საქმენი სჭირან კლებული.

570. კითხვიდა აპოლონისა ბაბილოვნისა მეფეო:
„რაგვარად შემოვიძინო სახელი მოსაკრეფეო?“
–„პატიოსანთა პატივ ეც, სიმართლე დაიყვეფეო,
და ნუ უსმენ, ნუ გააკეთებ ავებსა თქვენი სეფეო!“

571. მეფენი მოწყალებითა მდაბალი, გულკეთილია,
ქვეყანა მომველელობითა უყვარდეს ვითა შვილია,
გამომსინჯავი სარდალი, რისხვის დროს შეუცილია,
და ჩაუვარდების კელშია ორისაგანვე წილია!

572. წიგნის კითხვა მეფეთაგან საქნელია დაუსრულად:
და რასაც მილმა ვერ შებედვენ, მაშიგ პოებს განასრულად!

573. ენა წიგნსა თუ არა აქვს, დანაშაულს დაგაყვედრებს!

574. ავმუცლისათვის თეთრია სარჯელი გარდუსვლელია,
და მეროჭიკეთა პატივი, ორგულთა რისხვით მკვლელია.

575. რა მივამსგავსო მაღალსა, რაც ითქმის, ისივ ბრძენია.

576. დანამეტი სიმდიდრისა ბედსა მაინც ნუ ენდობი!

577. იქებენ ყმაწვილობასა, მაგრამ მალ დაბერდებიან.

578. სიკეკლუცეზე ნაქები მალ შეიქნები გონჯია!

579. იგი დაიქე, თუცა ხარ სწავლული, განაბრძენია,
ბედისაგან მიუსავალი, მამითა შეუძენია,
მოუშლელია სიბერით, სიყრმითა გაუძენია,
და ვერცა წაგართვამს ბედი და ვისიმე მკლავთ სიგრძენია.

580. სიბრძნეა მოუშოვარი, არა გაქვს გულისყურები,
სულსა ცხოველსა ავლია გვამშია მოსაშურები,
სოფლისა მზრუნველობასა უპყრია შესაცურები,
და კარგია მარხვა ამისთვის, ცრემლისა მოსაწურები!

581. ბოროტის განუშორებლად სიბრძნე არ ისწავლებიან!

582. ხვაშიადსა არ დაფარავ, სხვასაც მისცემ გასაგონად,
და შენისთანა შემტყობელი შეიქნების დაუყოვნად!

583. მემშურნე, ამპარტავანი, უსწავლი, გულფიცხელია,
და ცილისა გამომეტყველი სარიდო, საკიცხელია!

584. კარგი მიეცეს ბოროტსა,— არვისგან შესაშურია!

585. ავი არის პირისაგან უწესური საუბარი!

586. უმოთმინესი — შეეძლოს, მტერსა არ უყოს მტრობანი.

587. ბრძნის მოყვარესა სიავე არ‌ოდეს მოუნდებიან!

588. შესაბრალია ორგნითვე სწავლისა მოძულარენი!

589. არისტოტელი მართალი, პლატონ სიკეთის მქნელია,
და ეპპიმად ბედით შემკული, სოგრატ სიბრძნითა მთელია.

590. ბრძენმა იერმას ქადაგა ათინას წმინდა სამება,
და ოთხმოცს სოფელსა არწმუნა, მათ მისცა მისი წამება.

591. სიბრძნისა მომდომებელნი ბოროტსა განეშორენით!

592. მოსამართლობით მპყრობელსა წინა ნუ აღუდგებიან!

593. სჯობს სიკეთითა წაკდენა სიავით გამდიდრებასა!

594. ცუდია მეტი მტრისათეის ცუდი რამ საუბარენი!

595. შეიბრალეთ, ოდეს კაცი ჭკუისაგან გაღარიბდეს!

596. კარგია მადლი, ცოდვისა არა ქნა უკეთესია!

597. სიბრძნის კლიტე უწმინდურმა ვერაოდეს გამოაღოს!

598. შენვე თავს გარდაკდევინე ნასაქმარისი ავები,
და ვინემ სხვისაგან მოგეცეს საჭირო დაუზავები!

599[1]. გარდაკდევინე შენს თავსა შენვე ნაქნარი ავები,
და სანამ სხვამ ვინმე მოგაგოს მისივე შენაზავები!

599. კეთილის მეტი, წაკდება სოფელისა დანერგულობა!

599–ა. ყველა წაკდების სოფლისა, კეთილის საქმის მეტია!

600. არ გასწორდების სიავე, სხვა ყველა გაეშოროსა!

601. დაიცვლების მისგან კიდე, დღე დარჩების განკითხვისა!

602. სხვას აწყენს ბრძნისა ნაქნარი, უწესო, სარიდალია!

603. განეშორენით მეფენი სიტყვითა მიმაფერაეთა!

604. სჯობს უშვილობა კაცისა ავის შვილისა ყოლასა!

605. კაცსა შეაქცევს, კარგია საამო ამბის მბობელი,
და ზღველვითა მღერა ხანდახან, სოფელსა დაუგმობელი.

606. საუნჯის მომპოვნებელსა სასჯელი მოუპოვია!

607. თუ არ უნდა სამსახურის მაგიერი ვისმე ყმასა,
და თავსა თვისსა ატყუებენ, უბადოსა კმობენ კმასა.

608. მიკვირს, ზოგთა ვინცა იცნობს, გაკდომია მონაძული,
და მეტად უყვარს უცნობოსა, მათგან არის გაუძული!

609. ხუმარსა და მოკიცხარსა მოყვასად კაცი არ ენდობის!

610. ერთმან ვერა ქნას ბევრთანა ულლისა განაწეობა!

611.სიბილწარია კაცისა ბედისა იმედებანი!

612. ჩალად მიმაჩანს სამოყვსოდ მოყვასი გამდიდრებული!

613. ლოცვისაებრად გარდავდე შენი ჟამი და დღენია!

614. არის ღ(მრ)თისაგან ყოველი კეთილის მოქმედებანი!

615. მას კარგსა რატომ ეძახი, ქურდსაც შეეძლოს ენებანი,
და ის არის კარგი, გინდოდეს შემოქმედისა ნებანი!

616. სული რომ კორცმა გაცვითოს, რისაა შესაწონარი?
და სამოსმა ტანი გაცვითოს, საქმეა მოუწონარი!

617. მყრალს ჭურჭელსა სურნელება გამოვლებით გაუკარგავს,

და კაცის ავსა სწავლულება უმჯობესად დაუკარგავს!

618. ზოგთა თავის ცხოველობა მრავალ რიგად გაუყვია,
და სიკვდილს სწორად გაუკდია, რა რომ კელი მიუყვია.

619. მშვიდი იყავ კაცთა წინა, ცოდვას ბრძოდე დაუცადად!

620. ასე მოექეც, ვერ გიცნას სხვამანცა საქებარადო,
და შენ რომ შენს თავსა იქებდე, უთქმია საგებარადო!

621. სიმდიდრის შურსა უმჯობე სიღარიბისა კილობა!

622. ცოდვის ცნობა გამოაღებს ცხოვრებისა შესავალსა!

623. სიკეთე პურსა არ ეძებს, ის ეძებს, ის იპოვნისა!

624. ზოგთა უნდა სიხარული, პოვნა მისი არ იციან!

625. სიხარული არა ჰქვიან, ვინც არ იცის რას იხარებს!

626. რასაც ბედი ვერას მოგცემს, გამოგართვამს მეტსა ვერა!

627. უნდომარი საკელოსი მძიმე ტვირთსა ჩამოიხსნის!

628. ძნელი სასწავლო კაცისა ცდისაგან დარბილდებიან!
629. სიმართლის მიუდევარად სიბრძნეა განაცუდარი!
630. მოწაფობის დაუცდელი მოძღვრობასა ნუღარ ცდილობს!
631 არ ისწავლების სასწავლო მოძღვრის და დიდის ჭირითა,
და თუ მოთმინებას ვერ ჰპოებ საძირკვლის განახშირითა!

632. ღვინო ზომიერ სასმელად ჭკუასა გაასწორებსა,
და მეტი სახესაც მოუშლის, სიკეთეს გააშორებსა!

633. კსოვნა ფიქრსა გააკეთებს, უხსოვრობა გააცუდებს!

634. მოსწავლობა სიკეთისა გაურჯელად არ იქნების!

635. სიბრძნე ასე პატივს დაგდებს, რა კარგ გვარად მოიკმარებ,
და ათასს წელსა გარდასულსა ნაწერს ვერვინ გაიკმარებს!

636. ბრძენი სხვებისა დასწავლას თავისა მსგავსად მცდელია.

637. ბედს მოცემა აღარ ძალუც, რასაც შენით გარდააგდებ,
და ვერც წაგართვამს შენაკრებსა, როგორც გინდა, მოიკმარებ!.

638. უფლისა უშიშობითა ქვეყანა განქარდებიან!

639. ანაქვსსა კარგად შექნილსა თვითან წააკდენ კაცია!.

640. შინაურ მტერსა დია სჯობს ყოვლი ჭირი და ვნებანი!

641. იქ მოსძებნე კაი რჩევა, შური იყოს სადაც არა!

642. ფათერაკსა ერიდები, არა გწადდეს შესამთხვევად,
საფიქრალსა იფიქრებდე, შემოიგე დასაზღვევად,
სანახავი გამოსინჯე, სწავლისათვის მოსაწვევად,
და გაიგონე გასაგონი, რაღა ვექნას დასაზღვევად!

643. თუღა ხედევდე სოფელში ბოროტის მონაკრძალოსა,
შემკულსა ქცევა-წესითა, სიკეთით დაუმცრალოსა,
ფათერაკი და სხვა რამე ვერ შეგიქს შესაბრალოსა,
და ვერ გაკვრეტს მაღნიტს ჩუგლუგი, რაზომცა დაეძალოსა!

644. სიკვდილსა მოიკსენებდე, გამოიცნობე თავია,
გამოისინჯე, სით გასჩნდი, ნაშობი მომაკვდავია!
ნასავ სიყმითგან მისული, სიბერე გასამწვავია,
და გაგიცუდდების სიტურფე, სახენი გასაავია.

645. წააკდენს სიკეკლუცესა ნარგისსა ყინვა მწარენი,
ღაწვსა ლალისებრ ლამაზსა – თოვლისა არემარენი,
ზამბახისებრი პირები დასთრთვილე, დააზარენი,
და წაგიქცევია ალვის ხე, სატურფო, გასახარენი!

646. გარდიცვლების მისგან კიდე ყოვლისფერი მისგან ქმნილი!

647. რას თესლით გამოიშობე, რით გამოგზარდა დედამან,
რად მდომობ მონაჭიდარი, რა არა მოგცა ზედამან?
დრო მოვა, მიწისაგანი გამიწოს შემოქმედამან,
და სულია უკვდავებითა, განაგო განამხედამან!

648. ბევრნი ეცადნენ სოფელსა, საწადელითა იშონა,
გააურგებდა მაშინცა, საქმენი პოვეს, იშონა,
ნათლისაგანმა ბნელითა რაღამც აღარა იშონა,
და მიუხვდერია კეთილთა, არა სამჯერა იშონა.

649. უცხოთა გავს უმყოფელსა გარდასული ჟამი და დრო!

650. სიბრძნე გიყვარდეს, ისწავლე ძვირდასადები სახისა,
და დაცემულთ მაღლა ამწევი, მადიდებელი გლახისა!

651. ვისაც არ უნდა პატივი საგვამოდ შესატანისა,
და სიბრძნე ის არის პირველი, სიკეთის მოსატანისა!

652. სიბრძნეს ნატრიან ერთობით ფილასოფოსთა კრებული!

653. გიყვარდეს წიგნი კეთილი, კითხვა და შეგონებანი,
გაგაბრძნოს, შეგატყობინოს შემოქმედისა ნებანი,
რომელსა შვენის დიდება, პატივი, თაყვანებანი,
და უკუნით უკუნისამდე ამინ და ამინებანი!

654. წიგნის კითხვა, შეგონება, დაუდვიათ მოსასარგად,
ზღაპართაა დასაყბედი სანახავად დასაკარგად,
საღ(მრ)თოების გაგონება საუკუნოდ გასაბარგად,
და აქაც პოებს სარგებელსა მომსმენელი ორსავ კარგად.

წიგნი მეორე

ქ. მოკლედ გამოსახსნელი ამბავი რომის კეისრებისა, სხვათა მეფეთა, მთავართა და მპყრობართა

655. ერთისგან არი სიმრავლე, ნუ სიმრავლისგან ერთები,
ძალი, სიბრძნე და წადილი არ ერთი ერთსა ერთები,
ზღვით ნაკადი სდის; თუ დასწყდა, წაკდება საქმე ერთები,
და ზღაპრობაები ქსელისებრ გასაცვეთელად ერთები!

656. ოდესცა სული შეიქნა, დაჰყვა სიბრძნე და წადილი,
ერთიცა პირველ არ იყო, არც ბოლოს მოსახადილი;
შერევნა ანუ გაყოფა არის რამ შეუცადილი,
და ასე თქვა მოსე, გაცუდდა ფილასოფოსთა ცხადილი.

657. თუ მეთქვა სატრფიალოთა წადილისებრივ მკობანი,
ეგება ჩემი ლექსისაც არავის ეთქვა გმობანი,
გამოსინჯენით ამბავი, ვისცა გაქვს გამოცნობანი;
და ქვის ამწევს კელზე შეცივდეს, ბამბისას – გამოთბობანი!

658. ივლიანე კეისარსა, ზღვასა შინა გამავალსა,
დიდი ღელვა გარდაეცა, სალხინოსა შენაცვალსა,
შეუშინდენ მენავენი მას მეფესა გულად რვალსა:
და „ნუ იშიშვით, – უბრძანებდა, – კეისრისა მისდევთ კვალსა!"

659. კარგია, საწესოზედა, შიში, მოკრძალება, რიდობა,
უდროოდ გამოჩენასა სჯობია განაკიდობა,
არ დაიხსნების მოსული, ცუდია სხვისა მკიდობა,
და გასაძლისია, მეფესთან ჭირი მოგხვდეს თუ მშვიდობა.

660. ერთის გუნდიდამ მედროშე იხილა გაბრუნებული,
შეიპყრა, მუნვე მიჰყვანდა იგ მისი მოუნებული,
უთხრა: „რად მიხვალ, უცებო, კვალისა გაუგნებელი?
და ძოლან რომ ბრძოდი, ეგ არი შენგამო შეუვნებელი".

661. რა საკმარია კაცისა, ურიგობითა წყლულები,
ან უდროს გამოჩენისას შიშით შემკრთალი გულები,

სახელისათვის სიკვდილი ეგონოს დაკარგულები?!
და ორსაგანავე ბრალია კაცი ჯაბანად თქმულები!

662. ესმა აგვისტოს კეისარს, ქრისტეს ეძებდა ჰეროდე,
ჩჩვილთა მოსრვაში შვილიცა მოიკლა, დაიჯეროდე,
„მისსა შვილობას გერჩივნა, – თქვა, – ღორთა ჩაეწეროდე!“
და ისრაელთ ღორი მიაჩნდა საძაგლად შესამზეროდე.

663. მემშურნეობით დამბრმალი რას გამოეძებს ბილწია,
ახალ ნაშობსა ყმაწვილსა, ვის არა ჰქონდა ბიწია?!
მისმა გაზრდამა, ეგება, ცოტაი რამე მიწია,
და ან გასძლებ, იცი, მანამდი ანუ ხარ დანამიწია.

664. კეისარმან ავად მქცევის ყრმისა ბრძანა გაძებანი,
ყრმა მიწასა დაეფინა, ქნა ვედრების მოძებანი:
„მას შევსძულდი, მამაჩემსა რითღა უყო მე ძებანი?“
და – „წა, ასე თქვი: მე შემძულდა, არ ვინდომე ბოძებანი!“

665. ვისაც უნდა შვილი შვილად, სოლომონსა დაუჯეროს,
სწავლისათვის ნურას რიდებ, ჯერი იყოს, ან უჯეროს,
თვარამ ბოლოდ გაგიკდება სამწუხარედ, მტრის სამტეროს,
და ყრმამ პატივი უშიშარად ვერა კარგად შეიფეროს!

666. მოლაშქრე ვინმე წყობაში თავის გატეხას იქებსა,
მეფემ უბრძანა სიტყვანი, გვანდა ნაკრავსა სიქებსა:
„კვლაეულა გამოქცეული ნუღარ მიხედავ მქიქებსა,
და უფროსად მიგიმსგავსებენ კვერის ნაკრავსა ჭიქებსა!“

667. თქმა, უქნელობა საქმისა არ მართებს გულით სალებსა,
ცუდი მოქცევა კაცისა კაცსა დამართებს ძალებსა,
უადგილოსა სიტყვანი მიგავს დამწველსა ალებსა,
და ავია ცუდი ტრაბახი, წააკდენს პირის წყალებსა!

668. მოკვდა საჩინო, დაურჩა შეუამრავი ვალები,
კეისართანა იჩივლეს მიმცემთა, გვჭირსო ძალები,
ბრძანა: „გაყიდეთ ნაქონი, წილით მიეცით მცრალები,
და საბანი მისი მიყიდეთ, ურიდად, მოუკრძალები!“

669. ჰკადრეს: „საბანსა რას აქნევთ, რა ქონდეს გამოჩენანი?“
ბრძანა „კიდეღა ეძინა, სჭირდა ვალისა ქონანი,
ძილი სჩვევია ურიცხვი, უსაზღრო, აუწონანი, 2
და ძილ-მკრთალი წამოვიხურავ, შემომხვდეს მოსაკონანი“.

670. მიკვირს კაცისა გონება, უგუნურობის მქნელობა,
აიღებს, ხარჯავს, არ იცის ბოლოდღა გასაძნელობა,
ცუდათ გონია შექნილი სასოფლიოსა ტრელობა,
და ბოლომდი გასწევს ნაქნარი ნათელი ანუ ბნელობა!

671. ავი არის კაცისათვის, თავი თვისი გაიწვალოს,
ვერ იკმაროს მონაგები სხვეებრ რამე გარდიცვალოს,
უქებია, ცუდად ხარჯოს, აიღებდეს გზა უკვალოს;
და რა კარგია კაცისათვის, ვალი ვალსა დაევალოს?!

672. მას კეისარსა, მომსვლელსა ქალაქად გამარჯვებულსა,
აზნაურს ყვავი კელთ უჯდა, ხედევდა მიგებებულსა,
უზახდა მეფეს მძლეველსა, გამტეხსა, გასარდლებულსა, 1
და უბოძა მეფემ მრავალი, იქმოდა ამოგებულსა.

673. მეჩექმემ ნახა, ამ კაცმა ბევრად გაყიდა ყვავია,
მანც წვრთნა დაუწყო, ეგების გავზარდო შესაგვავია;
როს ვერ ასმენდის, გაჯავრდის ამ სიტყვის შემაზღვავია: 2
და ვაი, რა ცუდად წამიკდა სარჯელი გასაზვავია!

674. ყვავმა ისწავლა, მიყვანდა კეისრის შესაძღნობილად,
მიართვა; ბრძანა: „სიმრავლით შემქნია დასაგმობილად“.
ყვავმა ის სიტყვა წამოთქვა, დანასწავლები წყობილად; 3
და იამა, მისცა საბოძი ყოველგან გასაკმობილად.

675. კარგია ცდაცა კაცისა, თუ გზა მიეცა ჟამებსა,
უგზოობითა ნაქნარსა ნურავინ შეიწამებსა;
ნდომით ცდა, ურიგობითა საჭიროდ გაახამებსა.
და კარგზე კარგია სასჯელი, სულს, კორცსა შეაამებსა!

676. ამავ კეისარს ქალი ყვა, გაევლო არა ხანები,
თმაში ჭაღარა გაუჩნდა, გულისა დასანანები,

შიმუნვარებსა უბძანა: „დამგლიჯეთ თეთრი თმანები!“ 1
და მამა შეესწრა, არ უთხრა სიტყვა რამ შეუგვანები.

677. ხანი გამოჰკდა, სიტკბოსა კითხვითა ეუბნებოდა:
„ჭაღარა-ბელოტობაში რომელი გენებებოდა?“
კადრა: „ჭაღარა სჯობია, ისი ვის ეგონებოდა!“ 2
და —„მაშ, რაღასათვის იგლეჯდი ანუღა გეოცნებოდა?!“

678. ბევრსა სწადია სივაჟე, — საცუდო შესაცდანია!
მაინც იქ უნდა მივიდეს, დასაძმო, დასადანია;
ბოლოდ სიკვდილი კაცისა ვერვისგან მოსაკდანია;
და შეუწდომლისა შეწდომა საქმენი დასაცდანია!

679. კარგი არის ქალისათვის მეულლისთვის დაშვენება,
დანახვითა გაიხაროს, მასცა მისცეს განსვენება,
რომელსამე გველისაგან გამოუა უფრო ვნება,
და ქმარსა ნახავს, მოიშლება, სხვას კეკლუცად ეჩვენება.

680. ტიბერიუმ კეისარსა ერთმან ვინმე მოახსენა:
„ზოგნი ავსა ლაპარაკობს“; გულსა შინა ჩაეხსენა,
ბრძანა: „ავი არვის ძალუცს, საყოფია, დამეხსენა,
და მწადებელმან მოიუბნოს, რაცა რამე გაეხსენა!“

681. მეფესა გამაღლებულსა, რა გული უჩანს დარულად,
სიმშვიდით დანამდგომელობს, ძალუძეს გასამწარულად!
ზოგს ცოტა წყენა შეაშთობს, უარშიოსა კარულად;
და ამპარტავანი, ამაყი მისითვე გაკმა სარულად!

682. ვესპისიანე ტიტესა ზრახევდენ მეგობარები:
მოჩივარს უსჯის, ხაზინის წაუკდებოდეს მკარები.
ბრძანა: „ვერა ვიქ, მოვიდეს ჩემსა წინაშე მარები,
და პირშეხმუჭვილი გაუშვა, მექნება შესაზარები?!“

683. ასე კამს მეფე მოქმედი, გასჭვრიტეთ მისი ქმნულები,
თავისა დასაკლისისთვის ან სხვას დააკლდეს გულები,
გაუმრუდებლად სამსჯავრო დაიცვას დაუწყლულები,
და წარდგინებანი გახსოვდეს ქედდახრილ, კელშეკრულები!

684. ალექსანდრე მაკიდონელს სჭირდა დიდი მოწყალება,
ვინცა სთხოვდის სათხოვარსა, მალე უყვის აღსრულება,
უთხოველსა უბძანებდის: „შემომსვლია გულის კლება,
და შენს მოვალედ რად მაყენებ, თუცა გინდა მოახლება?“

685. შენსა უშენსა შამორწყავს, რა წვიმა აღმოსჩენდების,
აგრევე მეფეთ სიუხვით მტერები შეუქენდების,
შემძლებელთ კელსა დაუჭერს, უდარე აუშენდების.
და რაც მომკონ მიწის ნაყოფი, აგრევე აღმოსცენდების!

686. ლაშქრობაშია მკედარმა ბაღისა შევლო კარები,
ასე მოიქცა, არ იყო პატრონის გასახარები,
მოიკმო წყრომით, უბრძანა სიტყვანი გასამწარები:
და „სხვის ბაღს ნუ უზამ, რაც (გ)ქონდეს საშენოდ დასაზარები!“

687. არა მართებს კაცსა კაცზე, რომე იყოს მოუკრძალად,
სოფელს ბევრჯელ გაუკდია მშრალი წყალად, წყალი – მშრალად,
თავდაღმართი მოიფიქრე აღმართისა გარდასავლად,
და რასაც სხვისთვის მოიმდომებ, მოგეცემა შენცა მრავლად!

688. კაცი ქარისა მემსგავსე ყველასა ეპირებისა:
„კეისართანა გიშველი!“ მით ქრთამი ემდიდრებისა;
თქმაცა არ ეძლო სიტყვისა, რამც არა მოიკრებისა, 1
და ესმა მეფესა საოცად, რისხვითა მასზე სწყრებისა.

689. ბრძანა შეპყრობა: „ხეზედა მიკრული მიაბენითა,
იქით და აქეთ საკმევი სამყრალო უყრჩოლენითა,
დააძახენით საძახი უწყვეტლად გამოჩენითა: 2
და «რასაც ქარს ვყიდდი, ის მომდის სვინიდისისა ზნენითა»!“

690. სიხარბე კაცსა დააზრობს, ვით ყინვა– ვარდის კონებსა,
შოებისათვის უკამსსა სიავეს მოაწონებსა,
შეუფერისსა აუგსა არად არ შეაწონებსა,
და აღსძრავს სიცრუვეს სიცრუვით, სიცრუვეს გააგონებსა.

691. ავრიანე მეფე იყო თისის ქალაქს შემომდგომად,
მოქალაქე გაუმაგრდა, შეეცადნენ ძალსა ომად,

მოლაშქრენი დაიღალნენ, მეფე სწყრების მათ საშრომად.
და ფიცი ბრძანა: ძაღლებსაცა ამოვსწყვეტო უსაზომად!

692. რა ესმათ მკედართ მეფისგან, „მოგვხვდაო გამდიდრებანი!“
ბრძოლა დაუწყეს, აიღეს, უწადი მათი კრებანი:
ვითა წესია მეფეთა მოწყალებისკენ რებანი,
და არ წააკდინა ქალაქი, შესძინა მოწყალებანი.

693. მკედართა კადრეს: „მეფეო, გვიბრძანე ფიცი პირები:
«ამათ ძაღლსაცა ამოვსწყვეტ, უყო ასეთი ჭირები!»“
ბრძანა: „ძაღლი ვთქვი, აწეცა მაგა პირზედა ვირები,
და წადით, დაკოცეთ, არ გიშლი, შექენით განაწირები!“

694. გმართებს საქმისა მოყვანა სიბრძნისა საზომებითა,
გამოისინჯო, რა მოსდევს მისისა მიმდგომებითა,
დაადვა მისი წამალი მშვიდობით ან ომებითა,
და არა იქნა რა საქნელი ძალისა მონდომებითა!

695. მაკიდონელის მამასა, ფილიპე სახელდებულსა,
ყმა ჰყვანდა ვინმე, იდუმალ ძრახვევდა შეუძებელსა.
კადრეს: „გააგდე,!“ უბრძანა შემკადრებელთა კრებულსა:
და „აწ ჩუმად უბნობს, გამდგარი ურცხვად მიქს განქიქებულსა“.

696. უგვანიც არა გჭირდეს რა, გმართებს ძრახვისა რიდება,
ეს არა გინდეს, რა ნახო, გულს უმართისის მიდება,
ნორჩობას ადრე მოკვეთე, მას უყავ განაკიდება,
და ნიგოზი ცოტა ამოვა, ძირგადგმით გაგიდიდდება!

697. ორი, ავისა მოქმედი ყმაწვილნი მასთან ჩიოდა,
ერთის კატარღად დაკარგვა უბრძანა, ამას ვსჯიო და,
მეორე დაუკარგავად, ნებით ნურავინ სჯიო და,
და მას უკან გამოუყენეთ საწუხრად არსა ყიოდა.

698. ძნელი რამ გარდეკიდება ყრმას უშიშობით მჩვევარსა,
ნებით გაზრდილი, სათუთად რას მისწვდეს მისაწევარსა?!
ეგონოს თავი გაწვრთნილი, ვერ ასწევს ასაწევარსა;
და გაუმრავლდების სანანი სიყრმის ქარისა მდევარსა!

699. ჰრქვა ალექსანდრეს მამამან, ყმობასა თანა მდგომელსა:
„გაექეც ვისმე, გავსინჯო, სიჩაუქე გავს რომელსა?“
— „თუ გამარჯვება რქმებოდა მაგისა რასმე მდომელსა,
და უთუოდ გავიქცეოდი, ვიქმოდი მისახდომელსა“.

700. მკარ-ბეჭთა სისქოვანება საშოებელად ძნელია,
კისკასობისა ქონება ბევრის კარგისა მქნელია,
სასიმკნო ძალი თუ არის, მტერისა მოსაქნელია,
და მაგრამ ის გული პატარა დიდი რამ საქონელია!

701. ალექსანდრესთან საზითოს კაცია თხოვად რებისა,
ბრძანა ას ტალანტთ ბოძება საუნჯით შესაკრებისა;
კადრა: „მე ათიც მეყოფა საჩემოს მოკმარებისა“.
და — „შენ საშოვარად გებევრა, მე ძლევად მემცირებისა“.

702. თუცა ბრძენები ყოველი სიუხვით იქმან წერასა,
ვისცა რა როგორ შეეძლოს ძმისა კელისა ჭერასა,
მაგრამ მეფეთა სხვა არის, ვინცა იქს შენამზერასა,
და არა გავს ზღვისას სხვის წყლისა ღადონი გამოჩქერასა!

703. ალექსანდრე უბრძანებდა უხუცესსა საჭურჭლისსა:
„ესე ბრძენი წაიყვანე, რასაც გთხოვდეს შეუძლისსა,
საწადელი აღუსრულე, ნურასა იქ დასაკლისსა!“ 1
და კადრა: „ითხოვს ორას ტალანტს საბოძვარად მინათვლისსა“.

704. უბრძანა: „მიეც უკლებლად, კარგი ვინმეა გვარული,
ყავს ვინმე მეგობარები ვარგსა მრავალი ჯარული,
შესთხოვენ, მისცემს უშურველად, შეიქნან გასახარული. 2
და თურმე გაცემა სცოდნია, მისცემს გულგაუმწარული!“

705. საწუთროშიგან კარგია კარგა თავისა ცნობანი,
(სა)ყოველთაოდ სატრფოდ სჩანს, აქვანან მისანდობანი,
თუცა არა აქვს, ყველა აქვს ზომაზე დიადობანი,
და სულსა მიხვდება სიმაღლე, საკორცო შესამკობანი.

706. თავადსა ჰქონდა ქალაქი მაგარი, აუღებელი,
მან ალექსანდრეს უომრად მიართვა გასაღებელი,

უბრძანა: „მომეც რისათვის, გქონდა სისკლთ შესაღებელი?“ 1
და მან მოახსენა ყოველი გულისა მოსაღებელი:

707. „გალავანისა სიმაგრის არ ვიქმენ მი-ცა-ნდობილი,
გამარჯვებულსა ვაჟკაცსა შემოგემცნიე ცნობილი,
რა ავადა ვქენ?!“ იამა, მეფე შეექნა ტკბობილი, 2
და ისიც მას მისცა, სხვებიცა, გაკადა დასაძმობილი.

708. ბედი უთქმია, იყოსა მომცემი ერთი სახისა?
ჭკუა ანასდად გარდასცვლის, საქმენი მოვა ახისა,
ფილასოფოსნი სწუნობენ, უმჟაველა სჩანს წმახისა,
და ბედია ცუდი სანდობი, ჭკუა მომცემი ვახისა.

709. ესმა ერთისა ვისგანმე ავად იმისი კსენება;
„იარაღია მეფისა, — ბრძანება მისი ენება, —
ყველაზე კარგსა იქმოდეს, ამისი ქონდეს შენება,
და შეცოდებისა პასუხზედ არავის უყოს ყენება!“

710. ვაი, რა სანატრელია დამთმო და მშვიდი გუნება,
მოწყალე, მიმტევებელი, ნებითა არა-უნება!
შემქნელსა მასვე ხადიან, სათქმელად მოუცთუნებლად,
და ღ(მრ)თის მიბაძება კაცთაგან ვისგანმცა დაიწუნება?!

711. დაეკითხნენ: „საჭურჭლენი შენი სადმცა შევინახოთ?“
ბრძანა: „ყველა მოყვასთ მიეც, ვინმცა სადა მოინახოთ,
შენახული შეიქნების, რა რომ ასე გამოსახოთ,
და ვინცა გასცეს გასაცემი, მოადრობით მოიახოთ!“

712. რად ზარობ გასაცემელსა, წინარე დაგიხვდებისა,
აღგიმაღლების სახელი, ცეცხლიცა დაგიშრტებისა,
ვის გაყვა დანამცირები მისისა დანადებისა?!
და დანადებარი ქვათაებრ ღირსია მიწად გდებისა!

713. შესჩივლებდის მოჩივარი, ერთსა ყურსა დაიცობდა,
მეორითა მოისმენდა, მისსა მითა გამოსცნობდა,
კითხვედიან: „რასთვისა იქ?“ მბრძანებელი ასე კმობდა:
და „სადაოსა შეუნახავ მეორესა, რას უბნობდა!“

714. ძნელია გაუსინჯავად საბჭოსა სამართლობანი,
მალ მიეცემა გულისა დაღალვა, დაკოჭლობანი,
ვეღარ შეისმენს ნათქვამსა, აკლია გულთა ფლობანი,
და გაუცუდ(დ)ება სახელი,შენითა მიმავლობანი.

715. სპარსთ მეფის ქალი კელთ დარჩა კეკლუცი, შვენიერია,
მოუდგომელად დაკრძალა, კვირობდა ყოვლი ერია;
კადრეს: „რადა იქ?“ უბრძანა: „მეფე ვარ მძლეთ სამზერია,
და მეშინის ქალმან დამძლიოს, საქმე ვქნა დასაწერია!“

716. თუცა მართებს მეუღლისა პატივითა სიყვარული,
შეძლებითა საბოძვარი, მიწყივ მასთან სიხარული.
ზოგი კარგა შეიფერებს, ზოგთა სხვა აქვს მიფარული,
და ცოლი– ქრმად და ქმარი– ცოლად საქმე არის მომწარული.

717. კათხა მოართვეს მურასა დარიოზისა უნჯისა,
ბრძანა ბრძენთ წიგნში შენახვა; ჰკადრეს: „რასათვის უსჯისა?“
— „დღემდი ყოფილა ჭურჭელი უგუნურების ბურჯისა,
და ახლა გავკადოთ სიბრძნისა მის შვენიერის ურჯისა!“

718. ვის მიადგება სოფელი, ხელიცა იყოს, ბრძენია,
ამკობს, აქებს და ადიდებს ადამის შენაძენია;
ვის პირი შემოაქცივა, შეიქნა გასაძენია;
და არ ვიცი, სოფლის სიმუხთლე რაგვარად მოსაძენია?!

719. როს ალექსანდრე მიახდა დარიოზ დამადგომელსა,
პარმენიონმა სპასპეტმან კადრა: „ემზერთ მტერსა რომელსა,
მეტათ მძლავრია სიმრავლით, გაგვკდიან დამაშრომელსა, 1
და ღამით დავესხათ მიპარვით გულითა გამაწყრომელსა!“

720. ალექსანდრე მოისმინა ესე მისი დანაპირი,
უსარგებლოდ ჩამოართვა, გამოიღო გულში ძირი,
ბრძანა: „ვსწავლობ გამარჯვებას, ომი მქონ(დ)ეს განახშირი, 2
და შენ ქურდობას ისწავლები, სათქმელია გასაჭირი!“

721. გაბედვით გამრავლებია საქმენი სახელოვანსა,
ორსავე გასწმენდს საგზოსა, ულაღსა, შესაკლდოვანსა,

თუცა არ მისდევს თათბირი მისივე მისანდოვანსა,
და ჩამოსწყვეტს დედაზარდილის ქსელისა ნაბადოვანსა.

722. დედის მისწერა მეფესა ანტიპატრემა გინება,
რა ნახა, ბრძანა: „მან კაცმან არ იცის ბოლო, წინება,
ერთის დედისა ცრემლითა ბევრი რამ შეიწყინება,
და გააშავებსცა ქაღალდსა დაწერილს, ქონდეს შინება!“

723. რა საკადრია ვისგანცა გინების გამოთხრობანი,
დედაბებრული ამბავი, თავისა დასამცრობანი,
არად საკმარი ბრძენისა, უკამსი მოარობანი,
და ვერას დამკლები სხვებისა პირისა ამოყრობანი?!

724 დარიოზ ელჩი გაგზავნა ალექსანდრესა წინარე,
ხარაჯა სთხოვა პირველი, ფილიპეს განაჩინარე.
უბრძანა: „წადი, უამბე ეს მისი მოსაწყინარე,
და ოქროს კვერცხს რომე გიდებდა, ის ქათამია მკვდინარე!“

725. შეწყალებანი მაღლისა უმჯობე შვილის ყოლანი,
მაშინ შეექნას მამასა ტკბილი ძილითა წოლანი;
ზოგი თავითა არ ვარგა, დაიქო მამის მბრძოლანი!
და მკვდრისგან ნუ ცოცხლობ, მკვდარები შექენი განაცხოვლანი!

726. ერთს დღეს არ სთხოვეს როჭიკი, სხვა რამე სათხოვარია,
მჭმუნვარე, შეწუხებული ბრძანებდა შეუგვარია:
ჩემთვის შეიქნა ესე დღე უბედოთ საოცარია,
და ასრე გარდავლე, ბოძება შემექნა უპოვარია“.

727. დღემა გარდავლოს, ვერა ქნა მისი საქმისა წილები,
ნუ გონებ დღესა საშენოდ, არ უნდა დასაცილები;
დღევანდელს ხვალზე ნუ აგდებ, გარჯისთვის განაწბილები;
და რა საკმარია სოფელში უბრალო ჭამა, ძილები?!

728. თვისას ვისამე უბრძანა: „ჩემის კარიდამ წადია!“
კადრა: „რა გცოდე?“ უბრძანა: „ჩემგან ხარ მონაკადია,
კაცმა რომ ავი არა ქნას, არ იქნას, არი ცხადია,
და ვერ სცან ბრიყობა; არ მითხარ, ყოფილხარ ავის მწადია!“

729. სჯობს სხვის ცხოვლისა ალერსი ამა კაცისა ხლებასა,
ჭირსა და ლხინსა ვერ მიხვდეს, არც ეჭვდეს მისსა კლებასა,
თავი ეგონოს შემძლები მიმწდომი დიდსა ცნებასა,
და სულ არ იცოდეს ადგილი, რაც უნდა წესთა ნებასა!

730. პირველი მეფე მაკიდონს ანტილიმეა მჯდომელი;
უკვირდათ პირველ მრისხანე აწ სიმშვიდეზე მდგომელი.
თქვა: „მაშინ ვიყავ მეფობის გაუჯერებლად მდომელი,
და აწ მწადს, გიყვარდეთ სიბერის სახელად გასარჩომელი“.

731. ვაჟკაცობისა ყვავილი ნაძეია მთისა მზღვარებსა,
სნეული, სოფლის მგმობარი მიაგავს შენამწვარებსა,
ბევრის ჭირისა მნახავი, გამოსცდის გამომცხვარებსა,
და სიბერე დასამშვიდები, სიყმე ამაყის არებსა.

732. სენისგან გადარჩომილმა წარმოთქვა ესე თქმულები:
„კარკაცობა ქნა ჩემზედა ამ სენმა მოღებულები,
ეგება რითმე შემქნოდა ამპარტავანი გულები,
და გამოვცან, რომე მოკვდები, გაკვდები დანაცრულები!“

733. თვალთა წინარე სამძიმო, საჭირო განსაცდელები,
გამსინჯველისა გასინჯვით, ავისა განამკდელები,
შეატყობინებს სოფელსა, რისაც ა გარდამკდელები,
და სასიმდაბლოსა სიბრძნესა იწვრთნება გაუზრდელები.

734. სპარსთ კირი მეფე იტყოდა სიტყვასა დაუფარავსა:
„განასრულები სიკეთე არ სჭირდეს კაცსა არ–ავსა,
საკელმწიფოსა რჩევაში თავსა ნუ მიაკარავსა,
და ნუ ასწევ აუზევარსა, ნუ მისდევ ქარსა მქარავსა!“

735. რადგან არის სოფელშია გამოჩენა საწადელი,
მისთვის ბორგავს ერთობილი, მოჭირვებით მისი მცდელი,
მაგრამ მოსდევს რასაც საქმეს სასიკვდილო განსაცდელი,
და ავათ თავსა ვინ გაიკდის სიმრთელისა კელის მკდელი?!

736. ბრძანა კესარკე, სპარსთ მეფემ, ბერძენზე გალაშქრებანი,
ჯარმა დაფარა მინდორი, ზღვისაც ქნა მოარებანი,

შვიდ-ათჯერ- ასი ათასსა იტყვიან, იყო კრებანი, 1
და რა გარდახედა, გასინჯა, იამა, მიხვდა შვებანი.

737. ხანს უკან დაჯდა ტირილად, ჰკითხვენ სპასპეტი თვისები,
არტაბან სახელდებულმან: „სტირო, ჯავრი გაქვს ვისები?“
ბრძანა: კაც(თ) დღეთა სიმოკლეს, ხედავ რომ დგანან ისები, 2
და ას წლამდი ყველა გარდავა, მიმძიმსო, გასამქისები.

738. მოურჩომია სოფლისა, მეფენი, მძლავრი, დიდები,
ცუდათ შეხარი, ვერ იკსნი საუნჯეს მინამიდები,
ანასდად მოვა შემცვლელი, სხვათაცა დამაწინდები,
და არა ვქენ, ნანობს, სიკეთე ·ურგებად გაუჩინდები.

739. ქეოტის, მეფე თრაკისა, მრისხანე, გულფიცხელია,
მოართვეს ჭიქის ჭურჭელი ფეშქაშად ბევრი კელია,
ბრძანა: „მიამა, მიიღეთ ერთპირად მინამთვლელია!“ 1
და მომღებსა ბევრი უბოძა გასაკვეთელი, მთელია.

740. ცოტა აცალა, წამოდგა, გაკადა დანამტვრეულად,
გაჰკვირდენ, კადრეს: „რატომ ქენ საქმენი ანარეულად?“
ბრძანა: „გატეხდა ერთიცა, იქმოდა დანაჯღრეულად, 2
და ის კაცი დავხსენ მეფისა გაწყრომას ამ წელ-წ(ლ)ეულად!“

741. კრძალვა კარგია კაცისა, არა მიხვდეს რა ავები,
მიზეზს პირველად ამსხვრევდეს, დაურჩეს გაუმწვავები,
გიჯობს, სოფელსა მიხედო, რა არი მოსადავები,
და ნუ ჯავრობ, ნუცა მიზეზობ, წინ გიძე კმელი თავები?!“

742. ამას მეფესა ეგვიპტის ესმა, შვილს ვინმე ტირისა;
ბრძანა: „როს იყო უშობი, რა ქონდა დანაპირისა?
თუ მაშინ არად უყვარდა, მიაჩნდა განაწირისა,
და ახლა რაღაა ტირილი საბრალოობით მწირისა?!

743. მოუხმარია ტირილი, სატყეები თავსა ცემანი,
სოფლისა გამოჩვენება, სიყვარულისა ჩემანი;
რადგან შეგტკივა, უშველე, საუნჯისა ქენ ცემანი,
და დაამდიდრენით გლახაკნი, ობოლი, ქვრივი, მსხემანი!

744. ლაკიდონთ მეფეს კირესსა დაუწყო მეფემ ბრძოლანი,
სპარსთ კირი მძლემან წაართვა ქალაქი შესარჩოლანი,
კირეზმან ნახა მკედართგან მოქალაქეთში სრბოლანი,
და აოხრებდიან, სტყვენვიდენ, წაუკდა საყოლთ ყოლანი.

745. მივიდა, კირის ეტყოდა: „რას ამბავზედ ხარ მშრომელი?“
„სხვა არაფერზე, — უბრძანა, — შენს ქალაქზე ვარ მწყრომელი“.
მიუგო: „ჩემი რაღაა, მიბრძანე, მითხარ, რომელი?
და რასაცა ახდენ, შენია სრულობით მოსანდომელი“.

746. არ მართებს სხვასა სხვისაგან მოღება, გამოკვებანი,
თუ გამოართვა, იმისი იცოდე შემოცვებანი,
მასცა წაართვამ, საშენოდ არ იცი კელის დებანი,
და ჭია ქორს მოკლავს, ვერა ქნას თავისა გახარებანი!

747. სიკილის მეფე დიონოს შვილისას შემავალია,
ნახა ოქრონი წყობილნი, უბრძანა: „დასაბრალია,
სამეფო კაცი არ არის ოქროთი განამცხრალია,
და მოყვასნი გარდაგიყრია, ეგე გაქვს განამრავლია!“

748. ვერას მოიგებ კაცისა სამსგავსო შესადაროსა,
ოქრო-ვეცხლითა სპეკალი ვინცა ვინ დააჯაროსა,
ისევ მისთვისვე კარგია, მაზედა მოიკმაროსა,
და მოუკმარებმა სიმდიდრემ ადრობით გაგამწაროსა!

749. ევსუ ვილაპის ბომონსა შევიდა, ნახა სახენი,
რომელსა ფილასოფოსნი ღ(მრ)თად იყვნენ გამომჩმახენი,
ამისთვის წვერი ოქროსა დაესხა მათთვის ვახენი,
და კელის მიყოფით დაგლიჯა ერთპირად, ასე ვნახენი.

750. თქვა: „უწესობა ავია, ვიწადე გამოკვებანი,
ევსუ პილაპის არ მართებს წვერისა გამოშვებანი,
მამას სახევდენ უწვეროს მხატვართა იგავებანი,
და ამპოლონ სახელდებულსა, არა აქვს კაცთა ცვებანი“.

751. უგუნურობა კაცისა გასინჯეთ, გაიცადენით,
ვის თვალი არ აქვს და კელი, ფეკი საჯალად, მცადენით,

ვინც ვერას უსმენს, ვერ მისცემს, მისი არიან მხადენით,
და კაცთ გონიერი ქმნულება უგვანად გააცხადენით!

752. მანვე (მას კერპსა ემოსა ოქროსა ტანისამოსი)
გააძრო, ლანდრა ჩააცვა, კადრა რამ შესაწამოსი,
რქვა: „ოქრო ზაფხულ მძიმეა, ზამთარში უსიამოსი,
და ეს ორშივ არის სამსგავსო, მოსვენებისა ამოსი“.

753. ზოგისა ჭკუა მახვილი, ბასრისგან უფრო მკვეთები,
ზოგისა გამოუცნობი, კერპთ გულით შეეკვეთები;
არსი და არსთა ნაქნარი არიან გასაცვეთები,
და საბრკეში გაბმას ნუ უბნობ, არ არის საქმე სვეთები!

754. აღაფოკლესას იტყვიან გლახა ბრუტისა შვილადო,
სიკილიისა მეფობა სვითა მიეცა წილადო,
ოქროს ჭურჭელში თიკისას დასდგემდა მოუცილადო,
და მეჭურჭლეობის შვილობა წინ მქონდეს გასამხილადო.

755. ბევრნი ამაღლდენ მდაბალნი, არა ქნეს მიმადვლელობა,
თავის სიკეთეს აჩემეს, იწადეს ლაღად მვლელობა,
ბოლოდ დაეცნენ, ანასდათ მიეცა მტრისგან მკვლელობა,
და ამაღლებული დამდაბლდი, თუ გინდა მოუშლელობა!

756. არხელი მაკიდონელი მეფეა მუნა მჯდომელი,
ლხინად ჯდა, მუნა მყოფელმა შეკადრა მოსანმდომელი:
სასმური თქვენი ოქროსი მიბოძე გაუწყრომელი!“ 1
და დიონოსესა უბოძა, ის დარჩა ცუდად მშრომელი.

757. გაკვირვებითა შეკადრა: მე გთხოვე, მაგას მიეცო!
„სვიანობისგან , – უბრძანა,– ვის რა ვისგანა მიეცო?
დაუკსნელია მახვილი, გინ ვარდი, ვისა მიეცო, 2.
და შენ თხოვნა, იმას ბოძება მიუნჯებითა მიეცო!“

758. ნივთი სოფლისა ყოველი სამდომი უნდომარია,
კარგსა ავი სდევს, ავს – კარგი, ერთი ერთისა დარია,
თავ-თავის დროსა ნაქნარი სატკბილო მოსაკმარია,
და დახარჯვა, უგზო გაცემა საშოვართათვისც მწარეა!

759. რა ალექსანდრე გამოჩნდა ინდოთ მეფისა პერისა,
ცეცხლი დამწველი საზარო მისისა, მისი ერისა,
შეიპყრა, უთხრა: „რა გიყო წესისა დასაჯერისა? 1
და ჰკადრა: „დღე ესე გასინჯე ზეგარდმო დანაწერისა;

760. გუშინ მეფედ ვჯდე, სიმაღლით არვისი შესადარონი,
დღეს საწუთრომან სატყეოდ გამკადა მოუდარონი!“
გასინჯა მეფემ სოფლისა საქმენი დამამდარონი, 2
და მისივ მეფობა უბოძა, გაცოცხლდა სასუდარონი.

761. ჩალხთ ბრუნვას დასდევს სოფელი, წესი აქვს მისის რებისა,
ბრძენთ ვერც სიმაღლე ამაღლებს, არც ავსა მოეხრებისა;
მოვა და წავა ანასდად სიდიდე-სიმცირებისა,
და თუ დასცალდების სოფელში, კაცი ბევრს შეესწრებისა.

762. ეკუღათე იყო ნაშობი გლახაკი გვარისშვილობით,
მაგრამ სიკეთით ათინელთ ათინა მისცეს წილობით,
ერთი ავისა გვარისთვის ერჩოდა სიტყვის ცილობით,
და თქვა: „ჩემი ჩემით ამაღლდა, შენია შენით შლილობით!“

763. სანდომი სანატრელია, უგვარო იქნას გვარულად,
მამა-პაპანი წარსრული წამოაყენოს ჯარულად;
მაგრამ გვარს გვარი წაუკდეს, შეექნას მოუმარულად,
და სჯობს უშობობა შობასა გვარისა გასაქარულად!

764. მარკო თულელი რომისა — მთავარი მქნელი ნებათა,
სწორი მოწამე სიმართლის, არ მიმცემელი კნებათა.
რქვეს: „ბევრი წაუკდენია მაგისა მიდევნებათა“.
და თქვა: „მიჯობს, წავხდე სიმართლით ტყუილით აშენებათა“.

765. ზოგს გონია, სიცრუვისგან საქმე კარგა გაეგების,
ზაკვისაგან მცბიერობით კაცსა მოყვასად დაეგების,
დათესილსა თვითან მომკის, ცუდი არის, რაც ერგების,
და კალამსა და კრმალსა მთელსა წინ ვერავინ აღუდგების!

766. რომაელნი წელიწდითა მოურავსა გამოსცვლიდენ,
დიკთორს მიხვდა, მასვე დღესა გამოართვეს, არა კვლიდენ,

ცეცარონ თქვა: „მე გამრჯელათ არ მინახავს, ასე ვლიდენ,
და არ მოსვლია თვალთა რული, სანამდისცა არ მოშლიდენ“.

767. მაშინ იცნობა თემისა წაკდენა უსაცილობით:
მიცემა ანუ წართმევა არ იყოს სწორის წილობით,
საქრთამო გაუსინჯავად კაცისა გასაწბილობით;
და ნუ მისცემ, ნურცა წაართვამ რიგისა ანაშლილობით!

768. ის საკელო ანდელოღეს მიუბოძეს მინათვლილად,
ისე მალე გამოართვეს; ცეცარონ თქვა გასამხილად:
„ბედი ქონდა, მოკელობა რა აიღო მისა წილად,
და არ ზამთარი, არ ზაფხული არ მოგვსვლია დასაცილად“.

769. სოფელსა უნდა გასინჯვა ფიქრი საძნელო, გძელია,
ერთმანერთზედა რა მოსდევს, ფიცხელი, დასანელია,
რა არის წინააღმდეგი წარმართებისა მქნელია,
და დღეისას ხვალე ნანობდე, ვისგანცა რა საქნელია!

770. უნდა საქმითა სიკეთე, სიტყვითა რა საკმარია,
და მიწისგან აღმონაცენი კაცთაგან მოსაკმარია!

771. ბოლოდ ომსა ლხინი მოსდევს, მისთვის თქმულა მოსაკმარად!

772. ნებისა გასინჯვისთანა რა მოგხვდეს შესაგვანია?
მაგრამ ნებანი ასე კამს, არ იყოს შეუგვანია,
მოყვასთ აამო, არ მისცე სხვაებსა დადაგვანია.
და ნაჩიჩხვარებსა სიკეთის ცოცხითა უყო გვანია!

773. ნებას არა აქვს სადავე მისაზევ–მოსაზეველი,
გამოსინჯვასა სისწორე მისგან რას კარგსა მოველი?!
წყალზე გამსვლელი მთას სინჯავ, ნებანი ავზე მწეველი,
და საქმე მოგხვდების ბოროტი, უკანა მოსაწეველი!

774. რა სადაროა ამისი სხვა რამე ამხანაგობა:
ორს კარგსა ქცევა უგვანდეს, სიკეთით აღმონაგობა,
მათ სიყვარული ექნება, სიმტკიცე მოუჭანგობა,
და ძალი, სიტკბო და სიამე, საქმისა დაუჭანგობა.

775. თვით მოციქულნი ბრძანებენ, დაწყლულებითა ცემული,
სიყვარული გვაქვს წყალობით ღ(მრ)თისაგან გამოცემული;
ვინ არ შეისმენს სასმენსა სირეგვნით დანაცემული,
და დასცეს სოფელმან, დაეცეს დაცემით დანაცემული!

776. წყენას რისხვა არ მეტობდეს, მასზე იყავ განაკრძალად!

777. მართალსა და მომთმინოსა სამართალი მიაბარე!

778. სიმართლე მარტო არ არის კარგისა მოსაქონანი,
დაეჭირების ბოროტსა, რა ქონდეს მისი ქონანი;
ქურდმა ნაშოვრის გაყოფა ქნა სიცრუვითა წონანი,
და ერთიმეორეს დაკოცენ მკნე, ძლიერი და მცონანი.

779. აბრაჰამი და წმინდანი სიმართლით სამკობელია,
ამით ზეცამდი ამაღლდენ, რაზომცა გასაძნელია,
აქ მინდობითა პატივი სიკვდიმდე მოუშლელია,
და სიმართლეს ღ(მერ)თსა ეტყვიან, რაღა ვთქვა საქებელია?!

780. თავის ნაქნარსა საქმესა სამსა რასამე ნანობდა:
ქალს ხვაშიადი მიანდო, ცოლსა თუ მოაგვანობდა,
კმელი გზა ქონდა, დააგდო, ნავითა მინავალობდა,
და ერთი დღე განვლო უქმობით, შეიშუებდა, ვანობდა.

781. კარგია, გამსინჯაობა (გ)ქონდეს შენისა ქმნულისა,
ავისა ავად დანახვა, კარგისა კარგად თქმულისა,
მასზე ხარობდე, მეორეს მკერდზე იცემდე გულისა,
და გამოსწმენდს ცრემლი მკურვალი მწუხარებანი სულისა.

782. შენს საქმეს უფრო დაფარავ მიცემის სიკეთებითა,
და ვინემ იარაღთ გაწყობით, ტანსამოსთ გაკეთებითა!

783. მართებს მფლობელსა სარჯელი, სასიკეთოსა მცდელობა,
და იგი დარჩების, სხვა წავა მოსოფლიოსა ტრელობა.

784. ოთხი არის მოსაკმარი: ქვეყნისათვის არა ზღვევა,
და კარგი ჯდომა, კარგი ქცევა, კარგის ქნა და კარგის წვევა!

785. მარკოზ კურციუმ ლაშქრობით სწადს სამანიტთა მკლობანი;
მათ ელჩი გამოუგზავნეს ოქროსა მძღვანებლობანი,
მოართვეს, არ ჩამოართვა, ბრძანა ქნის უცვალობანი:
და „სჯობს ოქროს პატრონობასა ოქროს მფლობთ მფლობელობანი!“

786. მიკვირს სოფლისა სასჯელი, დაემსგავსების ანავსა,
რად დაშვრებით და ვირჯებით არას სიკეთით, ან ავსა,
კმელსა ვსჭვრეტთ აყვავებულსა, იჩქითად რამე ანავსა,
და ყველა ცუდია სოფლისა, კარგს ეძახიან ან ავსა.

787. პავლე ემმელი, გამრიგე რომაელისა ერისა,
მაკიდონიას მივიდა, ხედავს ჯარს გასაჩემისა,
მოსწონდა მათი გაწყობა როჭიკთა მინაცემისა,
და უთხრეს: „ჟამია, დავესხათ ლახვართა გასაცემისა!“

788. ბრძანა: „წესია თავს დასხმა სიავის რისმე მქნელისა,
სიკეთისათეის რად უყო საქმენი გასაძნელისა?
ასე მაქვს დასწავლებული ბრძნისაგან გამომცნელისა;
და მალობით დასხმა არ უნდა მიზეზად მომწყენელისა!“

789. ჭკუა ბევრია, ვითამცა სახეა უგვანებელი,
ზოგთ კელთუფლობა, ზოგთ სიბრძნე, ზოგთ რჩევა უნანებელი,
ზოგთ ჯარის მოვლა, გაძღოლა, გზა მისი გასაგნებელი,
და სჯობია მამაცობასა სარდლობა გამომგებელი!

790. მარვალი აზდრუკ კარვალის დასძლია შენაბრძოლითა,
მორჩომილთ მრჩევთა ურჩიეს: „დავკოცოთ გასალევითა!“
არ მოუსმინა, უბრძანა რჩევანი დამაკლევითა:
და „ამბავთა ვინღა მიუტანს მათ თემთა გასაძლევითა?!“

791. რა მოგზდეს მტრისა მორევა ჯარისა უხუცობასა,
ნუ უზამ ავსა, ნუ იჩენ მესისხლედ დამკოცობასა,
მიეც პატივი გულსრულთა, იქ საქმის გაოცობასა,
და თუ მოწყალება არა გაქვს, რად იქებ მამაცობასა?!

792. ენის ძალით მაბრძოლარი საქმით ცოტას გაიმარჯვებს!

793. ფილიპე მაკიდონელსა, მეფესა მუნა მჯდომელსა,
კარზე მოადგნენ ბერძენნი, გვანან ნახვისა მდომელსა,
ვერ ნახეს მძინარობითა, ხანს ყოფდე დამადგომელსა, 1
და პარმენიონ არს გამრიგე, ბოდიშსა იკდის რომელსა.

794. უთხრა: „ძმანებო, მეფესა სძინავს, არ დაემდუროდა,
თქვენსა ძილშია ეღვიძა, ცვა თქვენი მოესუროდა,
აწ გღვიძავსთ, იმას ძილი აქვს, აცალეთ, ნუ იუროდა. 2
და რა გაიღვიძოს, მობძანდით, დალიეთ მოსაწყუროდა!"

795. რა ქნას კაცმა, თუ არა ყავს კაცი მისთვის საქმის მცდელი,
თავს ეძებს და მას არ ეძებს, მისგან კარგსა რაღას ელი?
რას გამოგრჩეს, იმას ცდილობს, რაგინდ იყოს მოსაშლელი.
და სჯობს ყოველსა საყოლელსა ყმა ერთგული, საქმის მქნელი!

796. აღესილა მეფე იყო ლაკადომის მბძანებელი;
„მეფეს ჯარი არა ყვანდეს, – კითხეს; – რით ქნა(ს) საგნებელი?"
– „ვითა მამა შვილს მოუვლის, ეგრე თუა მომნებელი,
და ულაშკროთაც გაიმაგრებს, თემი ექნას უვნებელი!"

797. მეფე არა კამს თავისი გემოსა მიდევნებული,
უხვი, მკნე, ტკბილი, მოწყალე, რისხვის დროს მონებებული,
შემძლე საქმისა, სხვათაგან რჩევითა უფრო ქებული,
და თვით მღვიძარობდეს, სამეფო – მძინარე, განსვენებული!

798. ამით გამოვა სახელი, აროდეს გაეყაროსა,
და უმჯობესზედან დაეგოს, სიკეთეს დაემყაროსა!

799. საქმის კელად დამჭირველსა ესე მართებს მოსაქონლად:
და პირად ძნელი, შესამართი, გულმოწყალე დაუყონლად!

800. ანკსანდრეს კითხეს თეთრისა: „ლაკადომელთა ერები
არ შეინახვენ საუნჯედ გულისა დაუჯერები".
უთხრა: „ამისთვის იქმონენ საქმისა გამომწერები!
და მიმბარებელსა საქურდლად არ იყო შენამზერები!"

801. ერიდე სხვისა ბოროტსა, არ იყოს შენი ბრალია,

ნუ შეექნები მიზეზი, შეგექნას განამწყრალია,
მას ნება მიხვდეს, შენ – ვნება საცუდო, გასამქრალია,
და ეს არის უგუნურობა, კაცისა დასამცრალია.

802. სიტყვა ტკბილად მოუბარი, დასაკლისის არა მცდელი, –
და კაცსა თავსა შეაყვარებს, ამ საქმისა გამომცდელი.

803. ფილიპემ სძლია არხიდემს, გაქცევით გაამწაროსა,
გაქცევას უკან მუქარას უთვლიდა გაუხაროსა;
შესთვალა: „ნუ აჩქარდები საქმესა დასაზაროსა,
და რის მზისგან სხივი გცემია, ეგებ ღრუბელმან ფაროსა!“

804. ამპარტავნობით გამოყა სამუქარონი ჯავრები,
არად საკმარი კაცისა, ბედია გარდამწვარები,
სხვა არის საქმის მოქმედი, ცუდია სხვისა გვარები,
და წათქმა ვერა ქნას საქმისა, სიტყვაა უსამზღვარები!

805. ეძე პომპემ გაიგონა ერთისაგან საამბობლად:
„ლაკადომელთ სიმტკიცენი მით არიან შესამკობლად,
მათ მეფეთა ბრძანებული იციანო მოსამობლად“.
და „უფრო ამით, – მიუგებდა, – მოუსმენენ დაუგმობლად“.

806. რა ქნას მეფემა, ყმა ყვანდეს მეურნე, იყოს გმირია,
დაბლა ბრძანებდეს კარგებსა, მონა ბრიყულად მყვირია;
საერო, სამღვდელოთათვის არი რამ დიდი ჭირია.
და სად მორჩილება არ არის, ხეთა გაკმების ძირია!

807. თექთემონს დანაშაულზე სამსჯავრო სიკვდილს უდებსა,
საკვდავად მიყავს, იცინის, იჩენდა კბილსა უდებსა,
უთხრეს: „რასათვის იცინი?“ თქვა: „რაცა ცეცხლსა უდებსა,
და უთეთროდ ძალმიცს გარდაკდა, რაცა ვქენ, უძმო უდებსა“.

808. სად სიკვდილი სულსა არგებს ანუ კორცსა ასახელებს,
უკან მირბი, ამხანაგი შემწედ ვერსით დაგაკელებს,
საცუდოსა საქმისათვის შენ შეიკრავ შენსა ხელებს,
და პეპელიკთა საქმესა იქ, არ უქნია არცა ხელებს!

809. ლეომენთანა მოვიდა, შემოაწვევდენ ერები,
„პოლიკარტელთა ებრძოლე!“ – ეტყოდა შენამზერები.
– „პირველად თქმული დამვიწყდა, შუასი ვიცი ვერები,
და ბოლოს თქმულისა სიტყვისა არა ვარ დამაჯერები!“

810. ნუ ხარ მიმყოლი სიტყვისა, მოგხვდების მოსაწევარი,
ნურც ამასა იქ, არ კითხო, ვინცა გყავს შემაწევარი,
გულსა უსმინე, ბევრს კითხე, საითაც გექმნას მზევარი,
და საითაც ქარი აღმოვა, ნუ ხარ იმისი მდევარი!

811. „ომის ამბითა გაამებთ, – ბრძენს უთხრეს, – მოგვისმინენი!“
– „შენ სახელად გჩანს, მე შეთად, საამო რა ვიწინენი?
ბრძოლა მერცხალსა უამბო, ფრთა ექნას დანაცვინენი,
და ორბს იამების, შეექნას მას გული მოუწყინენი“.

812. ბრძენსა სიბრძნე, მრჩევსა- რჩევა, მბრძოლსა ბრძოლა იამება,
მოღვაწეთა მოღვაწობა, სასოებას – მოწამება,
ღ(მრ)თისმეტყველსა – როგორ არი ერთი ღ(მერ)თი სამგვამება,
და მუსიკთა და მგალობელთა – რაცა კარგა შეეკმება.

813. მენავეთა კაი ქარი, ანუ ავის მართებს მბობა,
მეგუთნეთა საგუთნოსა ძრახი უნდა, ანუ მკობა,
მეომართა – მეომრობა, დაჭრილობის სიტყვა, კმობა,
და დამწყსა მწყემსთა დასამწყსისა, არ მიეცეს გამოგმობა!

814. ვინცა რაზედა იჩინე ზეცისა, ქვეყნის წილობით,
მაზედ სჯობს დამტკიცებული სხვებისა შეუცილობით,
ხან ეს გინდა და ხან – ისი, წაკდები უსაცილობით,
და ერთ ზედა დაუდგრომელი გაკდები სასაცილობით!

* * *

815. აწ გაუსრულდა წადილი ლექსისა შემაკონოსა,
გასაბნეველად სევდისა, რაც მქონდა მოსაგონოსა,
ნუთუ იამოს რომელსა, თუცაღა მოეწონოსა,
და არ ისმენ, დასდევ, მას უკან ეგებ სხვამ გაიგონოსა!

816. ქირმანს- „ქილილა დამანა“, მოსკოვს ვარ ამის მთქმელია,
უყურეთ სოფლის საქმესა, თუ რაებისა მქნელია!
ზოგს ცად აღიყვანს, ზოგები მიწათა გასაქნელია,
და სულს მამაცდინა, კორციცა შემიქნა გასაქნელია.

817. მე გავაწყევ ბრძენთა სიტყვა არა რამე საფერისად,
სევდა თავსა მოვაშორე, ნდომა მქონდა რაცა ვისად,
ვინცა იტყვით უკეთესად, შემექნების შეუმჭისად,
და ანუ სულსა ანუ კორცსა ვიმედობდე ნეტარ რისად?!

818. საარმაღანოდ დავაცვი ყრმათათვის მოსართმეველად,
მობერებული ასე ვარ სარჯლისა გამაწეველად,
გასინჯეთ, ყრმათა რა გიკამს, ამისა მოსასთვეველად,
და გკადრებ ყოველთა, არა ქნათ გაფანჩულ-გასაბნეველად!

819. ლექსი მას უქეთ, ამბისა თვითანვე იყოს მთქმელები,
მე ბრძენთა სიტყვა გავლექსე, სათქმელად გასაძნელები,
სიმოკლით იყოს ვეცადე, სხვისა სხვათ საგებელები,
და უკეთ არ მოკდა, ძრახვისა ნურვინ ხართ შემომზღველები!

820. რა საკმარია ლექსობა, გამოსაყენად უყენი,
უიგაობით უჩხრეკი, დასამსგავსია უყენი,
სულ საბოროტო ამბავი, სიკეთეზედა უყენი,
და ცუდი ამბავი საძრომად, სიცრუვისაგან უყენი?!

821. ლექსი რუსთველისა მეფეა ტახტოსან- გვირგვინოსანი,
კვლავ ჩახრუხაძე, აგრევე სხვისა რიგისა მგოსანი,
მეფის არჩილის სასჯელი სწავლაა გასამკნოსანი,
და საბა- თავადი მჯდომელი, მამუკა- ბოლოს მკმოსანი.

მეორე ნაწილი

ტექსტებისათვის

ვახტანგ მეექვსის პოეტური მემკვიდრეობის დიდზე დიდი უმრავლესობა თავმოყრილია პოეტურ კრებულებში. ცნობილია 14 სრული თუ ნაკლული კრებული:

1. A – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი: S-4500, გადამწერი მელქისედეგ კავკასიძე (1733 წ.), ნასწორებია ვახტანგის მიერ, რაც იძლევა ახალ რედაქციას.

2. B – იგივე ინსტიტუტი: Q- 548 (მე-18 ს.).

3. C – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პეტერბურგის განყოფილება: M-3, გადამწერი მელქისედეგ კავკასიძე (მე-18 ს..).

4. D – კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი: S-171= გადამწერი დემეტრე ორბელიანი (1733-1737 წწ.), ნასწორებია ვახტანგის ხელით და იძლევა ბოლო რედაქციას.

5. E – იგივე ინსტიტუტი: S-526, ნაკლული (მე-19 ს. დასაწყისი).

6. F – იგივე ინსტიტუტი: A-1776 (მე-18 ს.).

7. G – იგივე ინსტიტუტი: S-1624, ნაკლული (მე-18 ს.).

8. H – საქართველოს ცენტრალური არქივი: № 138 (მე-18 ს.).

9. I – იგივე არქივი: № 297 (მე-19 ს. დასაწყისი).

10. J – კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი: H–957, ნაკლული (მე-18 ს. ბოლო).

11. K – იგივე ინსტიტუტი: H-1048 (მე-19 ს. 20-იანი წლები).

12. L – იგივე ინსტიტუტი: H-21 (1805 წ.).

13. M – გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი: № 20847-ხ (მე-19 ს. ბოლო თუ მე-20 ს. დასაწყისი).

14. N – კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი: H-153 (მე-19 ს.).

ამ კრებულებს გარდა, გამოყენებულია:

1. „ღვთის ქება“ – კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი: Q-1493 (1 v).

2. „ძმას“ – იგივე ინსტიტუტი: A-910 (გვ. 456 v).

3. „შიო მღვიმელს“ – იგივე ინსტიტუტი: A-928 (თაეფურცელი).

4. „სულხან-საბა ორბელიანზედ“ – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონები. სათაურად აქვთ: პირველ სტროფს – „ვახტანგ მეფის

ნათქვამი“, მეორე სტროფს – „მისივე მეფისა“, სხვაგან „მეფის ვახტანგის თქმული“.

5. „რანი და მოვაკანი“ – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პეტერბურგის განყოფილება: E-15 (1 r), ნაწერია ვახტანგის გაკრული ხელით, უსათაურო.

6. „მუხრანული“ – პეტერბურგის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის იოანე ბატონიშვილის კოლექცია: № 36 (15 v).

7. „ვახტანგური“ – იქვე.

8. „თუ კი გინდა სულის კარგი“ – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პეტერბურგის განყოფილება: E-106 (ფურცელი 6).

9. „ათცხრამეტური“ – ნაწერია ვახტანგის გაკრული ხელით, უსათაურო.

10. „უწყვეტელი“ – პეტერბურგის აღნიშნული ბიბლიოთეკის კოლექცია № 36 (14 r); კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი: S-303 და S-1550. სათაური: „მეფისვე ნათქვამი უწყვეტელი“.

11. „ვაი, რა მწარედ იწოდა ნაწლევნი მარიამისა“ – იქვე, სათაურია „მეფის თქმული“.

12. „ბოლოერთი“ – იქვე, სათაურია „მეფისვე ნათქვამი ბოლოერთი“.

13. „ლექსამბავი“ – დასახელებული №36 და S-303. პირველში მიწერილია ვახტანგის ხელით და სათაურად აქვს: „მეფის ნათქვამი ლექსამბავი“.

14. მესამე „ანბანთქება“ – B კრებული (გვ. 3) და კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი: S-390 (გვ. 144).

15. „შვიდთა მთიებთა ბუნება“ – კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი: S-5234. გამოაქვეყნა ელენე მეტრეველმა (თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 43, 1951), უსათაურო.

16. „ჯოხზე დაწერილი“ – პეტერბურგის დასახელებული განყოფილება: M-1 (1 r), ნაწერია ვახტანგის ხელით. სათაურია „ვახტანგ ჯოხზე დაწერა“. მოიპოვა და გამოაქვეყნა თორნიკე ჭყონიამ („ლიტერატურული ძიებანი“, VI, 1950).

17. „ვაი, სამნეო“ – იქვე (1 v), უსათაურო.

18. „კინკლოსის ანდერძი“ – საქართველოს ცენტრალური არქივი, № 484 (48 v). აქედან გამოაქვეყნა თ. ჭყონიამ („ლიტერატურული ძიებანი“, VI, 1950). კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი: S-1400 (46 v).

19. **„ხოსროს ფიცი“** – კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი: A-1787 (10 r), მიწერილია ვახტანგის ხელით (დასაწყისი ჩამოჭრილია).

20. „სიკვდილი ჯიმშედის ცოლისა“ – იგივე ინსტიტუტი: S-390 (გვ. 140), მიწერილია ვახტანგის ხელით.

21. „ნუშრევანი“ – დასახელებული პეტერბურგული E-15 (1 v), მიწერილია ვახტანგის ხელით, უსათაურო.

22. „ქილილა და დამანას“ ვახტანგის ორიგინალური პროლოგ-ეპილოგი, გადმოღებულია ამ თხზულების გამოცემიდან (სულხან-საბა ორბელიანი, II, თბ., 1962). გამოყენებულია ონანა მდივნის რედაქციის ს. ყუბანეიშვილისეული ხელნაწერი[1]. თვით „ქილილა და დამანას“ ლექსების ვახტანგისეული პოეტური თარგმანები მომზადებულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის S-3117 და დასახელებული პეტერბურგის განყოფილების M-53 ნუსხათა მიხედვით. გამოყენებულია აგრეთვე ს. ყუბანეიშვილისეული ნუსხა და სულხან-საბას ავტოგრაფი (S-31).

ტექსტი დალაგებულია „ქილილა და დამანას“ სტროფული თანამიმდევრობით. ავტორის უარყოფილი, გადახაზული სტროფები წარმოდგენილია განსხვავებული ნუმერაციითა და შავი შრიფტით. სქოლიოში მოყვანილია სპარსული ტექსტის ქართული პწკარედი, რომლებიც ეკუთვნით დავით მეფეს, უცნობ სპარსელ და სომეხ მთარგმნელებს, ვახტანგ მეექვსეს.

*

„ამირნასარიანს“ სქოლიოში ერთვის ამავე თხზულების, ანუ ქეი-ქაუსის „ყაბუს ნამეს“, ვახტანგ მეექვსისაგე პროზაული თარგმანი, რომელიც გაიოზ იმედაშვილმა გამოაქვეყნა („ლიტერატურული ძიებანი“, IX, თბ., 1955, გვ. 325-375).

„სიბრძნე მალალობელს“ ერთვის მისი პროზაული დედანი – „აპოფთეგმატას“ ერასტი თურქისტანიშვილისეული თარგმანი (სიტყვის-გება სოგრატისი და სხვათა ფილოსოფოსთა, ტექსტი

[1] ეს ნუსხა ახლა დაცულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში: Q-1564.

გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ლალი ძოწენიძემ, თბ., 1978). აქ ხელნაწერებზე დაყრდნობით მცირეოდენი ცვლილებებით წარმოვადგენთ.

ვარიანტები

პირობითი ნიშნები და შემოკლებანი: **ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, თ** – სტროფში სტრიქონების სათვალავი, რიგი; **ბ** – ვახტანგ მეექვსის „ლექსებისა და პოემების“ ალექსანდრე ბარამიძისეული გამოცემა (1975); **მიწ** – მიწერილია; **ჩწ** – ჩაწერილია: **გდხ** – გადახაზულია: **აკლ** – ხელნაწერს დაზიანების გამო აკლია; **არ იცნ** – ხელნაწერში არ მოიპოვება: + (პლუსი)– ემატება; – (მინუსი) – აკლებს, არ არის; ~ გადასმული, გადაადგილებულია;] (კუთოვანი ფრჩხილი) – მაგივრად; 0 (ფრჩხილები) – აღდგენილია; 0 (ნული) – სათაურია; „...“ (სამწერტილი) – სიტყვების გამოტოვება.

„ხ“–სა „კ“–ს შორის განსხვავებას ვარიანტებში არ მიუთითებთ.

ძირითადად აღვნიშნავთ სიტყვიერ და იმ გრამატიკულ კითხვა-სხვაობებს, რომლებიც შირაარსობრივ სხვაობას იძლევა.

შეგონება

პირველი რედაქცია არის ყველა (14–ივე კრებულში), აგრეთვე: A–1182 (3 r) და S-3723–ა ნუსხებში.

ა. თავისს K; ღვთითა K; მოივარგოს] მოიყვანოს A–1182. ბ. საჩრდილებად HI, საჩრდილობლად K, A–1182 ; საჩრდილობლა წყალის S-3723–ა.

მეორე რედაქცია არის მხოლოდ D–ში.

ძმას

მ. ჯანაშვილი თავის „აღწერილობაში“ (გვ. 172) წარმოგვიდგენს: გ. გნახავს] გზახავს. დ. და კელით.

ყველის ქება

არის ყველა (14–ე) კრებულში. სათაური: (ქ. D) ეს ლექსი ლათინურის (ლათინთ B) ენიდამ (ენით D) ერთმა (– D) ფრანგმა მითხრა (–I) ყველის ქებად (ქება CD) და ასე (ეს L, ესე F) ვთქვი. ა. არღოსა D] და არღოს ყველა დანარჩენი ხელნაწერი. ბ.დღეგძელი ABCბ; მაგდანლეგ ABCბ; მტილად ABCGბ. გ.ლაზარებ BHL; სნეული] დღეგრძელი E; ესავებ ABCბ; ფარჩენიერია L. დ. ჭირს BEბ.

სიკვდილი ჯიმშედის ცოლისა

ე. თაყაიშვილის აღწერილობაში (I, გვ. 411) წარმოდგენილია. ა. ქონდა] ქნიან. ბ. მუშკს. გ. რადღა.

უწყვეტელი

არის: A–ლენინგრადული იოანე ბატონიშვილის კოლექციის № 36 (14 r-v), B– 303 (გვ. 89), C– S-1550.

სათაური: მეფის ნათქვამი (თქმული C, ვახტანგის მიერ თქმული B) უწყვეტელი.

სტრიქონები: 1. ვაჲ B (მასში ყველგან ეს ფორმა არის). 2. სოფლ A, სოფელი B. 3. მიცვყევ A, ემივჰყევ B. 4. ვგანვჰსცხერ B; ვგავიშვებდი B. 7. ანაჰსდად B. „ტრად და არ ჩემ დად“ C–ში განსხვავებული მელნით წერია. მე–7 და მე–8 სტრიქონების ნაცვლად A–ში ერთი სტრიქონია: „მოხველ ანასდად მიწას მეც ღაფლად...“ 9. ემოშოვრდი B. 10. ემოშოვრდი B. 11. მეგობართ B; ტკბილთა] სრულთა B. 12. სოფლ(ი)ს ბ. 13. მუნ] მე C (ასევე იყო თავიდან A–ში). 14. დამწიხნეს B. 16. C–ში წერია: „თუ იქისრე აქკიისრე...“„თუიქ“ და „აქკიისრე“ გადახაზულია ოდნავ განსხვავებული, მკრთალი მელნით და იმავე მელნით მომდევნო სტრიქონად წერია: „თუცა აქ ისრე აქ კი იკისრე...“ 17. მტარვალნი Cბ.

ვაი, რა მწარედ იწოდა ნაწლევნი მარიამისა

არის: A – I-36 (14v –15 r), B – S–303 (გვ. 90), C – S–1550.

სათაური: მეფისვე ნათქვამი A, მისვე მეფისა მიერ ნათქვამი B, მეფის თქმული C.

1. ა. ჰქმნეს B. ბ. ჰზრახევდენ B. გ. უჰსჯულო B; მიცემას ცპირავს C(ჩწ) დ. იწვოდნენ B.

2. ბ.მოძღვრისასა] მოძღვნის (პალატს) ბ. გ. ჰპოვნეს კვლავ ჰსცემდენ B. დ. ვაჲ იწვოდნენ B.

ბოლოერთი

არის: A – I-36 (15 r–v), B – S-303 (გვ. 89), C – S-1550.

სათაური: მეფის ნათქვამი (თქმული C) ბოლოერთი AC, მისკე მეფისა

კაეშანი

პირველი რედაქცია

არის: A (გვ. 266), B (26–27), E (21–23), F (66 r–67 r), H (16 v, 17 r–v), I (110 v– 111 r), K (16 v–17 r), L (69 r–70 r), M (9 r–v), N (22–24).

სათაური: მოცალეობასა შინა მყოფსა ჭმუნვა (– E).ნაღველისა მაქარვებელად (–ბლ– V) იწერების (იწყების BMN) საქართველოს (+ მპყრობელის BMN) მეფის (მეფე N, + მიერ უფლისა EK, მიერ უფდისა უფლისა FHL) ვახტანგისა (–საგან F) მიერ (– F) დიდსა (დიდს I) მოსკოვსა (+ შინა F) წელსა 1730 (1830 M, – EIK).

1. ა. დამიმონდა კაეშანი E; წამლად] წილად M.

2. გ. ას–] აწ I.

5. ბ. რახანც] რასაც EFHIKL.

6. დ. თუცა] თუ M.

7. N–ში სარითმო სიტყვებია: ჟამსადა, წამსადა, კამსადა, გვამსადა.

8. ბ. ბორბლის] ბორბლისა FL, ბროლისა E. გ. შენთვის ცა] შენთვისაც IK.

მეორე რედაქციას იძლევა C (გვ. 21v–23r).

მესამე (ბოლო) რედაქციას იძლევა D (გვ. 15–16). ვარიანტები:

1. 0. მოსკოვსა] პეტერბუხსა.

1. გ. თავიდან იყო: ჩანგ ბარბითთა ნაცვლობით.

6. თავდაპირველად იყო: ა. უცებებითა. ბ. გამოუცდელსა მკცოვანსა. გ. მიკვირან მოხუცებული.

„ქილილა და დამანას“ გალექსილი სტროფები

ლიტერები: S 3117– S, M 53 –P, ონანა მდივნის რედაქციისეული ს. ყუბანეიშვილისეული ხელნაწერი – ყ, ე. თაყაიშვილის პუბლიკაცია (Описание, I, გვ. 322–323, 326–345) – თ.

ვარიანტები:

12. თ. ერთმანეთისა... დაუფასეო] ერთმანეთსა სჯობს ამ ბაღის ხილნი ტკბილი და ამონი S (გდხ).

31. ა. თევზნი ვერცხლისა არ თურე ყ.

38. ბ. ვის] ვახ ყ.

39. ბ. სამუდმოდ არს მიწყივ] სამუდამოდ არის ყ.

59. ა. რაც] თუ ყ.

71. ა. თავსა ჩემსა სიკეთეში ამ ჭირს უკან მისთვის ხელსა ყ.

72 ა. სწვეთდა ძვლებისგან] სდის მისის ძვლისა ყ.

84. ა. მორჭმით და] მორჭმული ყ.

85 ბ. საქმე] ხელით Ზ ყ.

90. ბ. სჭირს] ადგს P.

91. ბ. კეთილით გინდა] კეთილსა ანუ P. გ. კარგისა...მისცემს] კარგს მისცემს კარგსა უთუოდ S. დ. ავი რაღას მოელი S.

93. ბ. უნდა] სწადდეს P.

94. ა. ბ. – P.

96. გ. დ. – P.

100. ათასისა] ოთხისა თ.

101. ბ. დამაწვევინა] დამაწყევინა თ.

103. S–ში ვახტანგის ხელით ქვეშ მიწერილია: საქმე ჭკუით არ იქნას ხელობით.

107. გვართა] გვარი თ.

108–ა ბ. ელია წვიმას] ელვა წვიმასა თ. დ. იჯერებსა] იყურებსა თ.

112–ა. ბ. ადგილს] ფერით S. დ. კელავ] მაგრამ P. არ დააჩნდეს] იმას დარჩეს P.

113. გ. გავხარ მჭედელსა] ბაძავ მჭედელს P.

114. P–ში თავიდან იყო: ქება სხლისა.

117. ბ. საწყენ არს] საწყენი P.

118. გ. გაუსინჯავად ვინც მოკლავს P.

119. მეტის მეტითა] მეტად კარგითა S (გდხ).

123. ბ. ჭირითა] ჯავრითა თ. სული მოვიდგი ნარჩომით რადგან ჭირს P.

126. ა. ცომის ზელაში] ცომს ზელაშია S, ცომსა ხელშია თ.

127. გ. მცირეს...მეტობდეს] ცოტა ღრუბელი სჭარბობდეს P.

130. ა. მასჰ მე P. ბ. მგზავს პოებ ამისთვის შექნილხარ P.

131. გ. უცნობი არის] დამალულია P.

140. ა. სვავის ძვლის] სხვის ძალით თ; ნდომის მეტია] ნდომას გიგავს P. ბ. სვის] სხვის თ; ხლებანი] კლებანი P

141 მაგ] ამ P..

145. ა. როს] რა P.

151. ვინცა...არგებს....სხვას...არგოს, ახაროს თ.

153. ბ. ბევრ ასი] ზევასი თ; იამანის] არიამანის თ.

156 საწადელსა] + ღ~სა მაღლი მოწყალესა P (გდხ).

158. ავსა...მქონელად თ.

163 ა. ამისთეის] აწ ამად P. ბ. იმისგანჰ მე მისგან P.

181 ბ. პირობის გატეხა P. გ. ნეტარ რით] რიღათი P. დ. არც პირობასა P; რა გინდ] მწვეცა P.

188. დ. ქვეშ] ქვეს S.

195. ბ. მაგრამ თმის საგდებელითა მიმწვევს და მიმაჩუქებსა P.

209. დ. P-ში თავმდან იყო: „საქმესა“.

216. დ. რა ხმალი წელთ შე(ი)ბისა] მახვილი წელით შუბისა თ.

229. ბ. მაქვს ტანში P.

231. ა. მელვინისა] მელკინის თ.

242 გ. არად] აღარ P (გდხ).

253-ა. კეთილის] წყალობის P (გდხ).

256. გ. გასტეხს...დიდებასა უშვერ რასაც... სატებს თ.

258. ბ. გასაჩემია] მასა ჩემია თ.

264. ბ. მოწყალე] მომხმარე P.

276. ბ. რაც] რა თ.

277. ა.. მონებით] გონებით თ.

278. დ. ვახ სანახავიაჰ ვაზსანახავია თ.

288. ბ. ასი] არ თ.

291. ბ. დასასაძრერსა] დასაგსურსა თ.

294. ბ. მისთა] ქოსთა თ.

297. ბ. ბრძენთ თქმულსა უკან მიჰყვეს გულის P. გ. დაბანოს და P. დ. მას] მისი თ; საზიანო] სახანო თ.

316. ბ. გლონი] თუ ის P.

318. ა. ჩემს თვალს ბევრისა თ. ბ. მრავლებითა] მარვლებითა S, გამრავლებითა თ.

351 ა. ფრთა... დარი] აკლ S.

370. ბ. ბეს (ბეთ?)] ბევრია თ.

380. მსახური] მორჩილი S (გდხ).

362 ა. შეზარება] შეხარება თ.

383. კაცისა] სათუთი P.

390. ბ. რატომ] რასთვის P.

შესულია ყველა ხელნაწერ კრებულში: A (გე. 245–265. დაზიანების გამო აკლია 16–31, 48–45 სტროფები), B (4–25), C (8r–21r), D (1–14), E (3–20), F (53r–63v), G (3–22), H (5r–15v), I (99r–109v), J (104v–115v. დაზიანების გამო აკლია 102.4– 105 სტროფები), K (5v–15r), L (54r–67r), M (1r–8v), N (7–22). მეორე რედაქციას იძლევა D.

სათაური: ქ (D) მეფე ვახტანგ (იგივე FHIJKL) სამეფოსაგან (–სგ– G, + თჳსისა K) კიდეგან ქმნილი (ქმნული FHIJKL) სალბუნად (სალბულად M) გულისა (–ის FHIJKLM) წყლულებათათვის (–ებისათვის K, წყლებათათვის I) მკურნალ (–ლი BMN) თავისა თვისისათვის იქმნების და სწერს ესრეთ (–დ FHIJKLM) ქირმანს (– FHIJKL, ისპაანს D).

1 (I) ა. აშკმული] შემკული IJK. გ. წინა] წინს F.

1 (II) ა. აშკმული...სარჯელისაგან] სარჯელისაგან სარჯელი დაუგდებელი D (გდხ).

2 (II) დ. ქვე...მოსავლისა] უბრალოდ შემომაწყინა ზეგარდმო სულმა D(გდხ).

3 (II) გ. აწ დარჩომილვარ ღარიბად] გამომიყვანე წყალობით D (გდხ). დ. ეგების შემომეძარცოს] მომკდდადე შესამოსელი D (გდხ).

4 (I) ბ. განაყარი] განაკარი J.

4(II) ბ შემქნია] გულად მაქვს F (გდხ). I. საბრალოდ ორი მჭვრეტელი] ბრალია შენამჭვრეტელი D(გდხ).

5 (II) დ. ვერ...საარწმუნოდ] თუ არა მწამდე მომკითხოს D (გდხ).

6 (II) დ. ვინ...დაგემართების] სოფლის მემდურეთა გამოისინჯონ D (გდხ).

9 (I) ა. მზეო] მხნეო ბ.

9(II) გ. მივაგავჰ ვემსგავსე D (გდხ).დ. ამოსჰ ცმოს D (გდხ).

10 (I) გ. ქასრი] ქარი IJK.

10 (II) ბ. ანუ] ვითარ D (გდხ).

11 (I) ა. მწვავს უფრო მედება N. დ. აწღა] ანდა ბ; აწღა თუ ვინმე მედება – E.

13. (I) ა. მაგარს] მაღალს E. გ. სალად] ხალად FL.

15 (I) ბ. წითლათ IJ] ნათლად K; გაიყინოსა M] გეფინოსა N. დ. მასშიგ მავალს N; მოგეყივნოსა] მოგეწყინოსა J, მოგეყვანოსა N.

16 (II) დ. კეკლუცთა შენი] კეკლუცებშია D (გდხ).

18 (I) ა. არ] რა BMN. ბ. ევლებისა] ველებისა N.

18 (II) ა. თავი ღერძისა D (გდხ). დ. შვენება] სიტურფე D (გდხ).

19a არის მხოლოდ D–ში (მიწ).

20 (II) ა. სიბრძნებისა] სრული სიბრძნისა D (გდხ). ბ. პლატონის მაგალითები D (გდხ). გ. ქვე სამე] სადმე D (გდხ).

21 (I) გ. მწვე] ქვე E.

22 (I) გ. პირსა BN] ფერის M. სხივი ბ] სახით K. დ. – I.

22 ა არის მხოლოდ D–ში (მიწ). თავიდან ეწერა: „შამოაქვს ამას“.

22 ბ არის მხოლოდ D–ში. ა. კეკლუცობითა] ბრწყინვალებითა D (გდხ). გ. ცთომილთაჰ მასკვლაეთა C

22 გ არის მხოლოდ D–ში ბ. დაისართებს სანგუბარსა] საბაშოზედ ზამუგრელთა D (გდხ).

22 დ არის მხოლოდ D–ში.

22 ე არის მხოლოდ D–ში. ა. თვიდან ეწერა: „მელნისა ტბა“.

23 (I) დ. მათ] მით N.

25 (I) გ. კარი] + და BN.

26 (II) დ. მოსაშორებლად] მისსა გამყ რელსა D (გდხ); შემომხდომოდეს D (გდხ).

27 (II) დ საეაჟკაცოდ D (ჩაწერილია); ის კაცი საეჭველია D (გდხ).

29 (II) გ. დანამჯდომი] გვერდსა აქ ჯდეს D (გდხ).

30 (II) ა. გარდანაშ(ა)ლი...შესავაკესა] დაშვენებული აღზრდილი შუა ვაკესა D (გდხ).

31 (II) ა დიდგორზედა კუკურები D (გდხ). ბ. მოდიოდნენს სანადიროთ გამოეწყოსთ (შეშვენოდესთ) .კარგა (ზედა) D (გდხ). გ. ჯელგებს მაღლად D (გდხ).

32 (I) დ. კარვად] კარგად K.

32 (II) ბ. ვითა ვისცა] ვიღას მცაღა D (გდხ).

33 (I) ა. ბრალი არის] ბრალია M.

34 (I) გ. ძელსა] ძელზე E.

35 (I) გ. შეგაზაროსა] მოგაწყინოსა J.

35 (II) D–ში თავიდან იყო: გაუავოსა, დაედავოსა, გააქარვოსა, შეაზარვოსა.

37 (I) ა. მზერდენ] სჭვრეტდენ K.

38 (II) გ. რა გულსა] გულებსა D (გდხ).

39 (I) დ. სულა დაიკარგონ – FL.

40 (I) გ. კარვად] კარგად K.

41 (I) გ. დაუნაყონ დაუნახონ LN.

41 (II) დ. საწუთრომა] ვა სოფელმა D (გდხ).

42 (I) ბ. სწვევდენ] წყვეტდენ E, სწყვეტენ L. გ. მთას] მას C, მასთს FL.

42(II) თევზებია] + მუნ D (გდხ).

45 (I) დ. იშვებდეს და იხარებდეს E.

47 (I) ბ. ფრთა კარგა] რომე ფრთა K; კარგად – JK.

49 (I) ა. ხუნანამდი დღივე] სულ ნიადაგ დღივ და ღამე E. გ. ადევნებდენ] აყენებდენ M.

50 (I) დ. მთადა] მთათა IK.

50 (II) D–ში თავიდან იყო: მწიგნობარნი მიუწერდენ დროიანად.

51 (I) დ. ნადირთა] მინდორთა G.

53 (II) დ. შუაღამეს გაემართნენ მკცოვანთაცა D (გდხ).

57. დ. დასცენ] დასჭრენ E.დ.

58 (I) ა. კარი] ჯარი EJK.

60 (II) გ. დაუზრობელი] დამადებელი D (გდხ). დ. ძალად] დაძალებით D (გდხ); დამაძრობელი] მქებელი D (გდხ).

61 (I) ა. ან ვინ] ანუ L.

61 (II) ა. მეფესთანა] ბატონთანა D (გდხ).

62 (I) ა. არ... მკვდარია] მუნ თოფი განაყარია E.

63 (I) ა. კელი] ყელი M. დ. დიაღ] მეტად FL.

66 (I) დ. ქუჩუქსა FIJKL, ქუჩუქს H, ქვეჩუქას N; ქუჩუქს სახლისა E; სარებსა] კარებსა M.

68 (I) ბ. მოუგონარი] მოუწონარი IJKN.

68 (II) გ.ჭირია] + ვთქვა D (გდხ).

69 (II) ბ. სავარდესა] + მისგან D (გდხ).

70 (II) გ. სცოდნოსა] საღთოს საეროს D (გდხ). დ. ძვლების მხარავი D.

71 (II) ა. თვისები] თვისტომნი D (გდხ); მამიძულესა D.

72 (I) ბ. რა] რომ K; მომწვდა გულსა] მომხვდა ესე L. გ. მისივე ფრთა ისარზედა BMN; მისიე] თვისი L. დ. ჩემთაგანვე] თავისაგან D.

73 (I) ა. რათ] რაც N. დ. ვიცი] + რა ვაწყინე E.

73 (II) მიუხდომი] ვერ მივმხვდარვარ D (გდხ).

75 (I) გ. ძმანი] შმანი L. დ. ხლათი] ხალათი IL.

75 (II) გამო–] რასაც D (გდხ).

76 (I) დ. ბოხოხსა] ხოხობსა EFHIJKL; რომე] რამე M.

76 (II) დ. D-ში თავიდან იყო: ტყავსა ჩემსა.

77 (I) ა. ცუდ რაცა] ბატონზე (-ედ) BEFGYJKLMN. ასევე უნდა ყოფილიყო თავიდან A-ში.

80 (I) გ. მედგა] მერგა M.

81 (I) ბ. ბაღსა] სახლსა K.

83 (I) ბ. სვე და] სევდა J (აღდ). გ. სელი] სული BGMN. თავიდან ასევე ყოფილა A-შიაც.

84 (I) დ. მდრიდა] მღირდა K.

84 (II) ა. მოლხინებული] პირველად შვებული D (გდხ).

86 (I) ა. ის] ეს N. ბ. ზე] მე N. დ. დემად] ჩემათ E, დუმათ M. დ. ძმათა] ძეთა G.

87 (II) ა. აწეულო] აღმართულ (?) D (გდხ). დ. საყოლთაგან] ბიძა ძმათა მამით D (გდხ).

90 (I) გ. მხედია] მპყრობელი G.

90 (II) ა. პირველად გამონათქვამი] დანამდებარი არისცა D (გდხ).

91 (I) გ. ზოგსა ვარდსა] ზოგს ქორედად K.

92 (I) ა. გ. დ. ბ. K.

95 (I) f. არა] რა MN.

96 (I) ა. უსუნებს FHLM] უნებდეს K. გ. მოვიღო მთით და] ეზარდო ფერადით E. FHJK-ში სარითმო დაბოლოებაა „ამბრითა“.

96 (II) D-ში თავიდან იყო: ყვავილი დაფერებული მოვიღო მთითა.

97 (I) ბ. უბნობდა ყველაზედა] უბნებდა ყვავილებში E. დ. არ] პირ FL .C-ში აბგ-ში არის: „ამრეჰანსა“.

98 (I) ა. რამ] რომ N.

99 (I) ბ. ხენი] ხილი ბ . BMN-ში მეორე სტრიქონი გამორჩენილია. მის ნაცვლად მესამე სტრიქონად ჩაწერილია: „აღმომკითხველი შრომითა იხილავს უგემებია“. G-ში მეორე სტრიქონი გამორჩენილია, მეოთხე სტრიქონის ადგილი დატოვებულია. დ. ქვენარის EIJK ბ, ქენარის FLM.

99 (II) D-ში თავიდან იყო: „ამა ზღვისათვის დავკითხე.“

101 (II) D-ში თავიდან ისო: გბ. ა. სოფლისა ზრუნვა. .ბ. მომწონსა სულსა. გ. გონია გამოიცადოს.

102 (I) დ. აკლ J.

102 (II) ბ. თავის წინ] მარტოკა D (გდხ).

103 (I) გ. გვამსა] გულსა FHIKL.

სატრფიალონი

შესულია ყველა (თოთხმეტივე) კრებულში. პირველი რედაქციას იძლევა: A (გვ. 267–290), B (გვ. 28–54), E (გვ. 23–48), F (68r–82v), G (გვ. 23–26), H (18r–32r), I (111v–114v), J (116r–117v), K (17v–20r), L (71r–88v), M (9v–14v), N (გვ. 24–43). ზოგიერთ მათგანს დაზიანების გამო სტროფები აკლია. A–ს აკლია 1–7, 30–63, 66.1–2, 99–106 და 115–122 სტროფები. G–ში გადარჩენილია 25–43, J–ში 10,2–4–26 სტროფები. K–ში გვაქვს 1–26, M–ში 1–68 სტროფები. E არ იცნობს 23. 3–4 – 24, 29, 60–65 და 66. 1–2 სტროფებს, რომლებიც მის პროტოგრაფშიაც არ ყოფილა, რასაც მისი გადამწერი საგანგებოდ აღნიშნავს.

მეორე რედაქციას იძლევა C (23r–40v). **მესამე რედაქციას** – D (გვ 16–34). უმეტეს შემთხვევაში ცალკე რედაქციას იძლევა M–1 (ლიტერი აქ და ქვემოთაც– 0), რომელიც მეორე რედაქციის ტექსტში წარმოდგენილი გვაქვს „ა" ასოთი (2–ა, 6–ა...), შეიცავს ვახტანგის ხელით ნაწერ 65 სტროფს, რომლებიც თ. ჭყონიამ გამოაქვეყნა. ამ საკითხებზე ფართო მსჯელობა გვაქვს წიგნში: „ვახტანგ მეექვსის პოეტური მემკვიდრეობა" (გვ. 75–104).

სათაური: ქ (–C) აქა (აქ I) იწყებიან ტრფიალისაგან (–ტფ– K,–ლთაგან EFIKL) სატრფოსათვის (–საგან E, სატრფიალოსათვის K) შაირობა (+ დიდსა ქალაქსა მოსკოვსა D) და მკითხველთა ამისთა (– CDEFHIKL) უკმს (უკამს BCM, უხამსთ E, უხმსთ IK) გულისკმიერება (–აჲ K, –ხმ– CBEM) თუ ვისადმი (–მე D) ტრფიალებს მეფე (– E) ვახტანგ (– CDEFHIKL) საკმარ (–ხმ– EIK) არს ყურნი (–რი DE) სმენად და გული გამოკვლევად (–კლ– E) ამისად (– CDEFHIKL).

1 (I) დ. მაგრამ] შიგ რამ FIKLM.

1 (III) ა. D–ში თავიდან იყო: „ლექსი თქმული".

2 (III) გ. რომ] შენ D (გდხ).

5 (I) დ. ვინმე არაკობითა] იგია მემრუშე მსმელ კოკობითა 0.

6–ა. დ. მეც] + დავსთმო 0 (გდხ).

9 (I) მე–8 და მე–9 სტროფებს ადგილები აქვს შენაცვლებული M–ში.

11 (I) დ. მევე] მეფე J.

12 (III) დ. განაკიდობი D.

14 (I) ა. თუ კელსა BMN. თავიდან ასევე იყო A–შიც.

14 (III) გ. ცხობილსა] პურებსა D (გდხ).

15 (I) ა. შვენება] შვება E, ჩვენება FL.

15–ა. დ. უთუოდა 0.

16 (I) ა. იგ] ის 0; ეკალ] – FL, ეკლის 0. გ. უკვდავი + სოფლის 0.

18 (I) გ. შეყრას ეშყსა 0.

19 (I) ა. რა ვისმინე ესე მისგან BEFHIJKLMN. ჩანს, თავიდან ასევე იყო A–შიაც. დ. გულის წამება J („წ“ ჩაწერილია განსხვავებული მელნით).

20 (I) დ. სატრფოსა] სატრფო და AFHIKL.

21 (I) ბ. ზნეთა] ზენარ FJL.ზნე რა HIK.

22 (I) დ. ვინცა რასმე] ვინმე რასა E.

23 (I) ა. ბულბულს] შვების E. გ. მათში] მთაში J. ცაში K.

25 (I) ბ. რა] რომ M.

26 (I) ბ. გ. ~ IJK. გ. მეტყვის ხარო] იტყოდიან N.

26[1] (I) ბ. ესვის] ეშვის EFHIKL. დ. წყლულებრ უყოთ 0.

27 (I) დ. სხვაა...მისი] სხვა არს შენი ბრწყინვალების საკადრ E.

28 (I) ა. მისთა] შენთა 0.

30 ა. ოდეს] ღოდეს F. ბ. თვალს] ალს L. დ. თვარ] თვალ N.

21 (I) გ. რამ] რომ G ბ.

32 (I) ა. სურვილი ზღვათ] ეშყის ზღვისა 0. დ. მისი] შენი 0.

33 (I) დ. ისევ] მისვე L.

34 (I) დ. რა მნახოს] რომე 0; რამ] რომ E.

35 (I) დ. რა] არ H; იშის E, ნიშნის M.

36 (I) ა. მის] + ღაწვის 0 (ზევიდან აწერია: „იმისად მსგავსად“). გ. ნაგრუზი] ნარგიზი M, ნაგრეხი 0

36 (III) ა. მებაღეთ D.

37 (I) ა. ბაღად] ბაღდად N. გ.სცემს მზე დაატფობს] აქვს ანუ სითბო 0. დ. არს] აქვს FGHKM 0.

38 (I) ბგ ~ BEFHK0.

39 (I) ბგ ~ BEFHK0. BGLN ბ–ში ყველა სტრიქონში არის „წარმონარცხით.“ ასევეა C-შიც, ოღონდ პირველი „რ“ შემდეგ ამოფხეკილია. ა. ვხედავ] არის 0; რასმე] სამე 0.

40 (I) ა. თავის მტერს მიწყივ 0. დ. შენგანაც დასაწეველი E.

41 (I) ბ. არობ] ართობ N.

43, 0. არის CD(მიწ), აკლ A.

43 (I) ბ. ჩვენგან ჩვენს გამჩენ M.

45 (I) დ. რა] რამ B.

46 (I) გ. დასძვრები] დასმურები ა.

48. 0. არის CD(მიწ), აკლ A.

49 (I) გ. ნაქმარი HL] ცდვანი M.

49 (III) დ. თავიდან ეწერა „დამაჯერთია“ D.

50 (I) გ. იცის ოცის L; გზანი ძნელები] წინამძღოლები E.

51 (I) ბ. მრავალ] ჯარის E. დ. ღმრთის] ღედლის E, მღდელთ H; შეეერთნეთ] შეეეეეთნეთ H, შეეეერდნეთ FL.

52. 0. C (მიწ), D (მიწ), აკლ A.

52 (I) ბ. ვის] ვინ BFHN; ვინ სიბრძნის] სიბრძნისა E.

53 (II) ა. გაიფურჩქვნის ბ.

55 (I) გ. იგი მცონარებ L.

55 (II) გ. შენ მცონარება ბ (ასე იყო თავიდან C–შიც, შემდეგ „შენ“–ში „ნ“ წაშლილია).

57 (I) ა. ზე] ძე BMN.

58 0. არის CD(მიწ), აკლ A.

58 (III) გ. განაკიდობით D.

61 (I) ბ. არები] ზარები 0.

62 (I) ბ. შენ...მნენია] შენ ხარო მწუნია N. დ. საწადსა... გაე] საწადზე შეიქენ 0.

64 (I) აბ აკლ E. ა. ხვრას] ხურვას FL. გ. კმელად' ძვალად ძვალად 0. დ. შემსჭვალულსა მალ ხვდეს ესე 0.

64 (III) D–ში თავიდან იყო: ა. ძაღლებსა ძელისა გამოხვრით. ბ. გემოვნებისა სიმლაშის. გ. ეტკინების] შეევნებისა.

65 (I) ბ. თვით] თავს E.

65 (III) გ. დააგდებენ] შენ გაგდებენ D (გდხ).

66 (I) დ. იმ...ცუდსა] სხვას ცუდსა ვლევ სოფლისა ცუდს 0.

67 (III) დ. მამაბეროს D.

68 (I) ა. შეღმა] შალმსა L. დ. ჰქნას გულისადებისა FL.

69, 0 არ იცნ D, C (ჩაწ), E–ში 71–ე სტროფის შემდეგ არის.

70. 0 არ იცნ DE.

71 (I) ბ. ვის უნახავს] არ იქნების 0.

70 (III) ა. გასაღებად D. ბ. ასაღებად D.

71 (I) ბ. აღარ დაიზარა] აღა დაიძასრა E. დ. გარის] კარის E.

72 (I) გ. ვინ ამ] ვინცა E.

73 (I) BC0–ში რითმათა დაბოლოება არის „ია“.

74 (I) ბ. იტყვის უარსა] იცნობს ესრა E. გ. მაშ...რაცა] ანუ შიგან რაც E.

74 (III) D–ში თვიდან იყო გ. შენითა გამომავალი.

75 (I) ა. თავის საქმეს 0. გ. კვლავე კიდევ 0 (გდხ); ევლავ...მიგზვდებოდეს კვლავე ადგილს მედებოდეს 0.

77 (I) ბ. მას გავს] მსგავსი BN, სუნსა ფერსა გაუნობსა BN, სულს და ფერს მოუვანობსა 0, სუნს ფერითა ჰგვანობსა E. დ. ფერსა და სულს მატებს შესამგვანობსა 0.

79 (III) ბ. მოყვასნი საყვარელნი D.

80 (I) ა. რამ–] რომ N0. დ. მალ შეგექნას] შეგექნების 0 (გდხ); შეგექნას...კლიტით] შემზერდა ნაძლაობით კლიტის E.

80 (III) D–ში თავიდან იყო: ა. რაცა რამე ცარიელი. ბ. სამძიმარი გაჭირდების. გ. სატვინენი შეიმძიმე. დ. სამსუბუქო შეგექნების.

81 (I) ბ. იგ] ის 0.

81 (III) D–ში თავიდან იყო: ა. ბულბულებსა მერცხალი სჯობს. ბ. შინაურად ჭიკჭიკობენ.

84 (I) დამოწმებულია მ. ბარათაშვილის „ჭაშნიკში“ (ლიტერი – ჭ) ბ. ბამბასა გაქონდესთ (–დეს ჭ) 0 ჭ. გ. არ] რა 0.

85 (I) გ. ან] თუ E; სივითა] სვავით L. დ. სვავითა] სიავითა L.

85 (III) D–ში თავიდან იყო: დ. მოუქცეველსა ბოლო ჟამ.

86 (I) ა. გაირჯებითა] გიყოს რავითა E. გ. ეს...თვალუხვებითა ყოველი კეთილი რავითა E.

86 (III) D–ში თავიდან იყო: ბ. მოსავალები დაუთმე.

87 (I) ბ. ამას] მას N.

88 (I) დ. დაიჭირვის] რად იჭირვის 0.

90 (I–II) ა. ღელვის] ელვის E. გ. ბუკსა] ბუვსა N.

92 (I–II) ბ. გაანათებს] აღენთების 0.

92[1] (I–II) არ იცნ D. ა. თივა ცეცხლით ~ 0. ვირი ქმნა კაი მზმელია] ქათამს ამოყვსო მელია 0 (გდხ). გ. ჭრელი გამფრენელია] ვირი ქნა კაი მზმელია 0 (გდხ):

93 (I–II) ა. იეფთაცა] ქალებც მას იქ 0 (გდხ). ბ. რამ ქნა არ დაკარგა გიძეს წინეს N.

93 (III) ა. ჰაბრამის D. ბ. საამბობარი D.

95 (I–II) ბ. გულის] მელნის 0. დ. ტანს...მემშურნეს] ტანსა ალისებრ ნაზარდსა 0.

97 (I–II) **გ**. საროსა, ღაწვთ] ალვასა მრხეველსა ვარდს ღაწვთა 0. **დ**. მოვრჩები არამდარებსა] დავას მოვრჩები ზამბახსა პირირთ ვერა (?) მდარებთა 0.

98 (I–II) **ბ**. ზამთარსა B] სუმბულსა F. **დ**. მქცეველსა] მცველსა E.

98 (III) D–ში თავიდან იყო: **ბ**. ზამთრებრ გააკსობ მინდორსა. **გ**. ვარდსა და] შვენებას.

101 (I–II) **დ**. ფოთლად] ხილად B(აღდ).

103 (I–II) **დ**. ღაფლი] დაფლი N.

103[1] არის **3** (გდხ).

105 (I–II) **ბ**. სამხრეთის ბეებნისაგან B; ბეებნისგან] ბებნისაგან FH, ძებნისაგან ELN. შაკარდენმან ABFL] კადნიერმა E.

108 (III) D–ში თავიდან იყო: **გ**. ჩრდილოსა მათბობად.

109 (III) **დ**. ვარ მტერებმა D.

110 (I–II) **ბ**. ხეო] ხილო HL. **დ**. საყვარელო] საკვირველად E, საკურველად FH.

111 (I–II) **ბ**. უმკნოსი] უძყინოსი N. **გ**. სმენით ტკბილთ სასმენოსი E.

117 (III) D–ში თავიდან იყო: **ა**. ახველ წმინდავ; კანანელო. **ბ**. მოგწყლა; გამობრწყინდი დაუნელო. **გ**. გაანათლე; გამომკსნელო **დ**. დასაძნელო.

118 (I–II) **დ**. მსტრის] მზის E.

119 (I–II) **ა**. იყავ გამომხდელი] მსმელი E. **ბ**. არა...მზრდელი] არას ჭამდა ცხოვარ მმგალი E. **გ**. სამურკვნელო] სამკურნალოდ E, საამმურკვნელო N; მცდელი] მქნელი E.

120 (I–II) **ა**. ვის ... გულად] ვისაცა გაქვსთ მისთვის გული E. **ბ**. მონაკლულად] გულზე წყლული E. **გ**. სრულად] რგული E. **დ**. მონაძულად] მონამული E.

121 (I–II) **ა**. წინა] ფიქრი E; იყოს – E.

121 (III) **დ**. მაშინა მისა D.

122 (III) **ა**. წესი არი] საქნელია D (გდხ).

125 (I–II) **ა**. მეტრფე სატრფოსთვის] ეტურფე მარად E. **ბ**. შეფრფინვიდეს და შემზერდეს] მივიდეს მზერდეს E.

126 (I–II) **ბ**. თვისსა] შენსა E.

128 (I–II) **EFHL–ში სტროფული წყობაა: 127, 129–130, 134–139, 128, 131–132, 133, 140–144. დ**. გაუცივდება] გაუცვდება N.

129 (I–II) **ა**. მოლაშკრეს N] მოყვარეს E. **ბ**. რჯულსა L] სულსა FH.

133 I–II() **დ**. L–ში ეს სტრიქონი ორჯერ წერია.

135. (I–II) ა. განეგო] გამოვა E.

136 (I–II) გ. მღვრივით] მოდრკით E; მასვე სახესა] მას სანახსა E, მას სანახესა FHL. დ. ასე...რას] მოუშვებს რათ E; რას] რად HL; რად ებმით –E.

137 (I–II) დ. ამ საკრულებსა საკურველებსა E.

139 (I–II) L–ში კიდევ მეორდება 98v–ზე (ლიტერი L'). ა. ყრმათა უყრმე] ბერთა უბრმე E. ბ. ცუდათ HLLL'] ასე E.

141[1] A–ში ჩაწერილი და გადახაზუია.

142–ა არის A (მიწ)D.

143 (III ბ. მისებრივ მაღლა] მაგრამ მისებრივ A.

144 (III) თვარემ D.

144–ა არის D (მიწ).

ამირნასარიანი

არის შემდეგ ხუთ კრებულში: A (გვ. 213–236), B (გვ. 207–239), C (117 r–140v), D (გვ. 107–130), N (გვ. 165–191). დაზიანების გამო A–ს აკლია 108–119.1, 131–166.1–2 სტროფები, დაზიანებულია 172–ე სტროფი. მეორე რედაქციას იძლევა D.

სათაური: ქ. წიგნი პირველი, ამირნასარიანი, სპარსულისაგან ქართულად ნათარგმნი ამბად (– D) მეფეთ მეფის ვახტანგისა (–საგან *D*) მიერ და ბოლოდ მოსკოვს (მოსკოს A) მის მეფისგანვე (მეფისაგანვე BN) გალექსული (გალექსილი N) მრავალჟამიერ (– BDN) ყოს (– BDN) უფალმან (– BDN) კეთილცხოვრებანი (– BDN) მათნი (–BDN) ამინ! (– BDN).

1 (II) დ. მცნობთა და არამცნობელთაჰ ურწმუნო მორწმუნესა D (გდხ).

2 (II) D–ში თავიდან იყო: ბ. ბედისა მოუხმარისი. დ. ყრმობისა დაუცადისა.

3 (II) ȝ–ში თავიდან იყო: გ. გამოსაზრდელი შემზადე; არსულა. დ. უჭირო... სასმენელადო] ადვილია ყურისა თუცა ხარ მომგდებელადო.

4 (II) D–ში თავიდან იყო: ბ. წესია საწუთროსაგან.

5 (II) D–ში თავიან იყო: ბ. პირველად დასაწყისისა.

6 (I) დ. სასწორით] სისწორით N.

13 (I) გ. დანაბერებსა] დანაჭერებსა N.

დასამზებია (სმ 87 ბ) დამზადებული, მისაწვდომი.

დასამზერი (ან 64 ა) შესახედავი.

დასამოკლეა (სმ II 238 ა) დასამოკლებელი.

დასამრჩვალოს (სმ I 564 ბ) დასაღრჩობად, მოსასპობად.

დასამტკიცებლად (ან II 154 დ) გასამტკიცებლად, გასაჯანსაღებლად.

დასამცრალი (სმ 801 დ) დასამცირებელი.

დასამწყისა (სმ II 813 დ) მოსამწყემსი.

დასამჭვალოს (სმ II 564 ბ) მისაჭედებლად, დასაკავშირებლად.

დასანელი (ან 128 გ) შესამცირებელი, შესამსუბუქებელი.

დასანელია (სმ II 769 ბ) შესანელებელი, შესამცირებელი.

დასანთქმელი (სმ 492 ბ; 88 გ; 117 დ) მოსაშორებელი.

დასარჩომელ (სმ II 382) სარჩო.

დასასწავლისა (ან II 170 გ) დასწავლა, შესმენა.

დასაქედები (ან II 170 გ) დასაქადებელი, თავმოსაწონი.

დასაქოლოს (ან 147 დ) დაქოლვა, განადგურება.

დასაყეფე (სტ III 63 დ) **საყეფე** (ან I–II 63 დ) დასაყეფარი, ყეფით გამომაფხიზლებელი.

დასაყოფელი (ან 12 დ) დასაყენებელი, დასაშრეტი, დასაბრმავებელი.

დასაშვენარი (სმ 467 ა) მშვენიერი, დამაზი.

დასაშური (ან 68 დ), **დასაშურავსა** (II 123 გ) **დასაშურად** (ან I 123 გ) უშურველი, გამოსამეტებელი.

დასაშუშარი (ან 107 დ) დაამება.

დასაშრომელი (სმ 193 ბ) იოლად არ სათქმელი.

დასაჩუმად (ან 91 ბ) ჩუმად, ფარულად.

დასაცდალი (ან 10 გ) ცდა რომ არ უნდა დააკლო.

დასაცდანი (სმ 678დ) დასაცდენი, არაფრის მომცემი.

დასაცდელი (ან 39 გ) კარგი საცდელი.

დასაცემელი (სმ 109 ბ) საცემი, საგვემი.

დასაცილად (სმ 768 დ) დასაცილდებოდეს.

დასაძრენი (ქდ 291 ბ) დასაძრავი, სასროლად გამზადებული.

დასაწერებსა (ან 22 დ) დასაწერი, ჩასანიშნი, სასწავლო.

დასაწერელი (ან 72 გ) დასახატავი.

დასახავები (სმ 267 ა) დასასახავი, მისაჩნეველნი. ნ *სახავი, დასახვა.*

დასახება ნ *დასახვა.*

დასახედი (სმ 330 დ) გასაცნობი, შესასწავლი.

დასახვა (სმ 1333 ბ; 605 ბ), დასახება (ან117 ბ) წარმოდგენა,

დაწესება. ნ *კიდეე დასახვა, სახავი.*

დასაკოცი (სმ 37 გ) მოკვდავი.

დასაჯერე (ან 84 ბ) სანდო, მცოდნე.

დასაჯერი (ან64 ბ; 80 გ) დასაჯერებელი, არასაკამათო.

დასაჯერთი (სტ III 49 დ) დასაჯერებელი.

დასებით (სტ 48 გ) წარმოშობით, წარმომავლობით.

დასე (ქდ 12 დ) დასებად, დასებად, შთამომაელობის, ჯიშების მიხედვით დაყოფა.

დასცა დარია (ან 79) ა. დას მისცა დარი, ნათელი დღე. ბ. მისცა და გადარია, გ. არავინ დაანარცხა, არ დაერია, დ. დასცა და მოერია.

დასსხმენ (სმ I 333 ბ) დასხამენ, დასვამენ.

დატფობა (სი I-II 37 გ) დათბობა.

დაუნასე (ქდ 12 ზ) დაუჭკნობი.

დაუნდობა (სმ 129 დ) დაუნდობლობა.

დაუნელი (სტ 117 ბ) შეუნელებლად, სწრაფად, მოუნელებელი.

დაუბადია (78 დ) დაუბადებელია, ღვთისგან გაჩენილი არ არის.

დაუბინდეს (სმ I 393 ბ) დაუბინდებლად, თვალში ბინდის ჩადგომამდე, სიკვდილამდე.

დაუბრალია (სმ I 613 ბ) ბრალდაუდებლად, პატიოსნად.

დაუგეს (სმ 91 ბ) მისცეს, მიართვეს.

დაუდგომელი (ან 4 გ; 114 ბ) გაუჩერებლად, სწრაფად, (სმ 396 ბ) დაუდგრომელი, აფორიაქებული.

დაუდაელად (ან II 143 ბ) დოვლათისთვის.

დაუდაობა (სმ II 484 დ) არასადაეო.

დაუდაობდე (ან II 141 ა)ედაებოდე.

დაუდგრომა (სმ 293 დ) დაუდგრომელი.

დაუდგრომელი (სმ 814 დ) გაუჩერებელი.

დაუზავები (სმ II 598 ბ) შეუზაებელი.

დაუზარავი (ან 48 ბ; 234 დ; სმ II 256 ა) ზარდაუცემელი, არა საშიში.

დაუკლებული (ან 126 ბ) დაუკლებლად, შეუჩერებლად, ზედიზედ.

დაულული (სტ II 4 დ) დაურული (სტ III 4 ღ), დამალული (სტ I 4 დ) თვალმიულულავად, მოუხუჭავად.

დაუმართი (სტ 126 გ) მართებული.

დაუმცდარო (სმ 23 გ) დაუშორებელი.

დაუმცრალი (ან 66 გ; სმ 643 გ) შეუმცირებელი, სრული.

დაუნასე (ქდ 12 ზ) გაუფუჭებელი, დაუმჭკნარი.

დაუნელია (სმ 349 ი) დაუნელებელი.

დაუოდება (სმ 149 დ) დაუავადება.

დაურიგდა (ან 143 გ) რიგიანად, სწორად.

დაურიდები (ან 6 ბ) მოსარიდებელი, ღმერთი.

დაურული (სტ III ბ) რულმიუკარებელი, უძილო.

დაუცდალი (სმ II 493 ა) არამცდელი, მოუნდომებელი.

დაუცდალისი 44[1] არამოსაცდელი, მოსაცდელად, გასაჩერებლად მიუღებელი, შეუძლებელი.

დაუცდელი („კაეშანი" I 6 ბ; ან 56 დ; სმ 630 ბ) გამოუცდელი.

დაუცვინდა (ან 75 ბ) დაცვენა, ვერ შესრულება.

დაუცილადო (ან 63 გ) დაუცილებლად, მოუშორებლად.

დაურჩება (სმ 530) ურჩობა, დაუმორჩილებლობა.

დაუსაკლისი (სმ II 445 გ) საზიანოდ წარმოუდგენელი.

დაუსრულად (სმ II 572 ა) დაუსრულებლად, მუდმივად.

დაუტევებს (სმ II483 ა) არ დათმობს, არ მიატოვებს.

დაუღონა (ან 144 დ) დაუღონებლად, თავშეუწუხებლად.

დაუყონლად (სმ 799 ბ) დაუყოვნებლივ, მუდმივად.

დაუცადი (ან II 2 დ; სმ II 70 ა) დაუცდელად, მალ-მალე, (სმ II 619) მოუცდელად, ყოველთვის, (ქდ 49 ა) რომ არ იცდის, მოუთმენელი.

დაუცადლები (სმ 171 დ) მოულოდნელები.

დაუცხების (სმ 188 გ) უცხო არ გაუხდება.

დაუწყლულები (ან 157 დ; 182 დ) დაწყლულების გარეშე, უმტკივნეულოდ.

დაუხედი (სტ III 8 ბ) ყურადღების მიუქცეველი.

დაუკშოვანი (ან 119 ბ) კარების დაუკეტავად, ღია ადგილას.

დაუჯერები (სმ 800 ბ) შეუჯერებელი.

დაუჭანგობა (სმ 774 დ) კლანჭის გარეშე.

დაუჯერია (სმ 244 დ) დაუჯერებია.

დაფასება (ან II 90 ა) ფასის მიცემა.

დაფაცვრა (სგ 91 ა) მახის დაგება, ფაცერი თევზის საჭერი წნულია.

დაფერებული (ან 67 გ) ფერმიცემული.

დაქსვა (სმ II 2 ბ) მოქსოვა.

დაღალულობით (ქდ 85 ა) დაღლილობით.

დაღალულად (სტ 26 ა, ბ, გ, დ.).

დაღება (სგ 20) ა. გაღება, გახსნა, ბ. მიღება, შეთვისება, გ. დაწევა, დახრა, დ. დაჩუმება, დაწყნარება.

დაშვრომა (სტ 60 ა), **დაშვრების** (სტ I–II 72 გ) შრომით დაღლა.

დაცალების (სმ II 546 ა) დაცდის, დაყოვნების.

დაცდა (სტ 77 დ; 126 ბ) გამოცდა.

დაცდომა (ან 47 ბ) დასცდეს, (ან I 47 დ) ამაოდ გაისარჯოს.

დაცლა (სმ 93) გ. დაცლა, დაცარიელება, დ. დატოვება, გზის მიცემა.

დაცლის (სმ 546 ა). დაცდის, დაყოვნების.

დასძრვა (ან 109 ა; 165 გ) გაყინვა, გაფუჭება.

დაწყვეტილო (სგ 87) ა. დანარცხებულო, ბ. გაწყვეტილო (თოკის გაწყვეტა), გ. შემწყდარო, მიწაში ჩაკარგულო, დ. დახოცილებო.

დაჭირებით (სმ I 195 ა) საჭიროებისას.

დაჭირება (ან 149 ა; 153 ბ) გაჭირვებული, დაულხენელი.

დახდომა (ქდ 139 ა) დახვედრა, მიღება (ან 110 ა) შეხვედრა.

დახვანჯვა (სტ 88 დ) დახლართვა.

დახსნა, დაუკსნელი (სმ 757 გ) ხსნის, შველის მიუღებელი.

დგების (სმ II 498 ა) ადგომა.

დება (სტ I–II 29 ბ) მიდება, წაკიდება.

დებანი (სტ 35 გ) დაღებული, დაიმედებული, დაწყნარებული.

დედაზარდლი ობობა.

დემად (სგ 86 დ) ბლომად (?).

დესპანი მოციქული, ელჩი.

დია (ქდ 85; 144 ა) დიახ, („შვიდთა მთიებთა ბუნება“ 2 ბ; 4 გ; „კაე'მანი“ 8 დ) პლანეტა მუშთარი, ზევსი.

დიადი (ან 66 დ; სმ 546 გ) დიდი.

დინარი (ან 180 დ) დრამა, დრაქმა, წვრილი ვერცხლის ფული.

დია სარგად (სმ 654 ა) სასარგებლოდ.

დიაცი (სმ 466 ა) დედაკაცი.

დობლაჭი (ქდ 72 ვ) დომბა (სგ 44 გ) გარეული ოთხფეხა ცხოველი.

დრაჰკანი (სმ I 65 ა) ფლური, ოქროს ფული.

დრკუ (სმ I 50 ა) უსწორ-მასწორო, მრუდი.

დურაჯი (ქდ) გარეული ფრინველი.

დუხჭირი (სტ 98 გ) გონჯი, უშნო, უხამსი.

ე

ეამბარა (სმ I 484 გ) პატიჟით მოეპყარი.

ებანი (ან 53 გ; სტ I, III 3ბ) სიმებიანი საკრავი.

ებაროსა (სმ I 351 ა)ჩაბარება, მიბარება, ნდობა.

–ებ, –ებრ, –ებრივ მსგავსი.

ებგური გუშაგი, დარაჯი.

ეგებიან (სმ II 434 ბ) წამოეგებიან, მიჰყვებიან.

ეგე (ან 95 გ) ეს.

ეზომ (სტ I–II 7 ა) ამდენი.

ეკიცხებოდიან (ან II 168 ბ) დასცინოდნენ.

ელჩი (ან 29 გ) მოციქული, დესპანი.

ემბაზი (სგ 75 გ) წმინდა წყლით ნაკურთხი.

ენაები (ან 80 ა) ენები.

ენებებისა (სმ 464 ბ) სურვილის გაჩენა.

ენესა (სმ 290 ა) ენასა.

ეოცნება (ან 173 ბ) უოცნებებია.

ე რასა (ქდ 171 ბ) ეს რა.

ერი (ან 58 გ; სმ 730 ა; 800 ა; I 805 დ; 809 ა) ხალხი, (სმ 759 ბ)

ჯარი, (სგ 93; სმ 806 გ) საერო (არა სასულიერო) პირები, საზოგადოება.

ერთები (სმ 655) ა. ერთი, ღმერთი, ბ. შეერთებული, გ. ერთბაშად, დ. ერთმანეთთან დაკავშირებული.

ერთობილი (სმ II 113 ბ; სმ II 735 ბ) ყველა ერთად.

ერთპირად (ან 146 ა) ერთბაშად.

ერმი პლანეტა ოტარიდი.

ესევდე (ან 6 ბ) მსასოებელი იყო, ეთაყვანებოდე.

ესვენ (ქდ 36 ბ) ეთაყვანებიან.

ესო (სმ 80) ა. ეს, ბ. ეჯდა, ერგო, გ. შესობა, შერჭობა, დ. დასობილი, ჩარჭობილი.

ესხა (სმ 481 ა) ება.

ესხასა (სგ 27) ა. ებას, გამოსხმული აქვს ბ. ნამი დაპკურებული ჰქონდეს, გ. იჯდეს, მონაწილე, შემხედვარე იყოს, დ. ეს იყოს ხასა, აღმატებული პირი.

ეტლი (სგ 90 ა; ქდ 371 დ) ბედისწერა.

ეფერება (ან II 175 დ) მოფერება.

ეფერება (სმ 205; 258) შეეფერება.

ეშმა ეშმაკი, ბოროტი სული.

ეშყი (სტ 28გ; 32 დ; ქდ 69 ა) ეშხი, სიტურფე.

ვ

ვანი (სმ 172 ა; 356 ა; 780 დ) ბინა, სადგომი.

ვანი (ან 47 ა; გ 16 ა) სამყოფი.

ვარდია (სგ 84) ა. ჭირშეყრილი, ბ. ჩავარდნილი, გ. ვიმყოფები, დ. ვარდივით ვიყავი.

ვარი (სმ 219–ა ბ) ვარ.

ვარია (სმ I 736 დ) ვარ.

ვახი (სგ 50 გ; ქდ 3 ა, დ) „საკრავია ერთი“ (საბა), (სმ 708 დ; 749 გ) შურისგების გამომხატველი შორისდებული.

ვგაო (სმ 187–ა ბ) ვგავარ, მსგავსი ვარ.

ვება (ქდ 75 ა) ვაება.

ვნებანი (ქდ 356 ა) ვნების მომტანი.

ვებული (სმ 333 გ; I 402 ბ) „ვაის“ მთქმელი, მტირალი და მგლოვიარე.

ვედები (სმ 330 ბ) შეხება, კავშირი.

გემოყვრებოდეთ (ან II 104 დ) სიყვარულით მისდევდეთ, მიჰყვებოდეთ.

ვერასფერით (სმ I 631 ა) ვერაფრით, ვერანაირად.

ვეროსა (სმ 169a დ) ვერასოდეს.

ვერძი (სგ 26 ა) ვერძის ზოდიაქო.

ვიკმიო (სტ 38a დ) ვიკმარო, დავსჯერდე.

ვინარე (სგ 78) ა. ნარად, ეკლად, ვაქციე, ბ ვინ გამოუშვა, გ. ვინ არის ეს, დ. ვინც (ღმერთმა) შექმნა ეს არემარე.

ვირასა (სგ 100) ა. ვირს, სახედარს, ბ. ვის, როგორს, გ. ასად იქცეოდეს, გაძრავლდე–ბოდეს.

ვისცა („ხოსროს ფიცი“) ვისაც.

ვისცი („ხოსროს ფიცი") ვისიც.

ვირები (სმ 693 გ) ვარ, ვიმყოფები.

ვირემ (სმ I 100 ა) ვიდრე, სანამ.

ვიტანსა (სმ 329 დ) ატანა, გაძლება.

ვიშანი (ან 148 დ) „ვიშ" აღტაცების გამომხატველი შორისდებული.

ვიწინენი (სმ 811 ბ) ვიწვნიე, მივიღე.

ვიხარებდე (სტ 7) ა. გავიხარო, ბ. რება, შემიშვან, გ. ხარივით ვიყო, ვშრომობდე, დ. სიხარული მქონდეს.

ვლა, მვლელობდა (ან 96 გ) დაიარებოდე.

ვნება (ან 124 გ; 173 დ; I 183 ბ; სმ 214 ბ; 185–ა ბ; II 472 ა) ვნების, ზიანის მიყენება.

ვსებანი (სმ II 154 ბ) მიიღე სრულყოფილება.

ვსებანი (სტ 35 ა) ჩაქრობა.

ზ

ზაკვა (სმ 765 ბ) ცბიერება, ეერაგობა, მუხთლობა.

ზამბახი ყვავილის სახეობა, შროშანი.

ზანგუბარი (სგ 22 ბ; 24 ა) აქ: შავი წამწამები.

ზანგუბრელი (სგ 22 ა) აქ: შავი.

ზანდური (ქდ 354) ხორბლის სახეობა.

ზარდახშანი (ან 133 გ) ძვირფასეულობის შესანახავი ყუთი, კოლოფი, სკივრი.

ზარები (ან 34 ბ; 177 ა) რისხვის ზარის შემოკვრა, განრისხება.

ზარობ (სტ I–II 41 ა; სმ 712 ა) გლოვობ, მოზარობ (სტ 17 ა) ზარღაცემული ხარ.

ზარობდენ (სგ 33 ბ) ზარზეიმით.

ზე (სმ 801 გ; სმ II 38 ბ) ზევიდან, ზევით.

ზე (ან I 7 დ; 35 გ; II 177 ბ) ზევით, ღვთისკენ, ღმერთთან.

ზერებსა (ან 42 დ; 85 დ) ზემოთ, ცაში, (ან 42 დ; 122 ბ) ზედმეტს.

ზეგარდმო დანაწერი (სმ 759 დ) ზევიდან, ღვთისგან განწესებული.

ზედამან (სმ 677 ა) ღმერთმა.

ზევა („კაეშანი" 8 ბ; სტ 170) ზიდვა, აწევა, აღზევება.

ზენადო (ან 100 დ) ზევით მხარესაც.

ზენესა (სმ 289) ა. აღმატებულს, ბ. ზევითას.

ზერები (ან 42 ბ) საზედაოს, საღვთოს.

ზერებსა (ან 84 დ) ზევით, ცაში.

ზერობით (ან 35 გ) ღვთაებრიობით.

ზე სადა (სტ 57 ა) სადაც ზევით.

ზესები (სტ 48 დ; სმ 149 გ) ზემოდან, ღვთაებრივი.

ზესითა (ან 40 ბ) ღვთაებით.

ზე ქვემდი (სმ I 801 გ) ზევიდან (ციდან) ქვემომდე (დედამიწამდე).

ზეშთა, ზესთა (სტ 48 დ) უმაღლესს, უმაღლესი, ანუ ღვთაებრივი.

ზვავი (სმ I 673 დ) აზვაევება, სიამაყე.

ზვაობა (სმ 249 ა) თავმოწონება, სიამაყე.

ზვერი (სტ 114 ა) ხარკი, ბაჟი, გადასახადი.

ზვინა (სტმ 363 დ) ზვინად.

ზიარი (სტ 49 ა) ზიარების მიღება.

ზითევი, საზითო (სმ 701 ა) მზითევი.

ზილფი (სტ (36 გ; ქდ 309) ნაწნავი, კულული.

ზმნისანი (სტ 44 ა) მოქმედება, სამოქმედო წესი.

ზნენი (ან 74 ა; სმ 690 დ) ზნეჩვეულება.

ზოგად (სმ ნ 464 გ) საზოგადოდ, ჩვეულებრივ.

ზორა (სგ 22-დ გ) ზორვა, მსხვერპლთშეწირვა (?).

ზოჰალი, ზოჰარი, ზუალი პლანეტა ზოალი, კრონოსი, სატურნი.

ზრახება (ან I 117 ა; სმ 272 დ) ლაპარაკი, მოყოლა.

ზრახვა (ან 23 ბ, გ; სტ 24 დ; 27 დ) ძრახვა, დაძრახვა, გამტყუნება.

ზრახვა (სტ123 დ), გამოზრახვა (სტ 104 ა) განზრახვა.

ზრახი (სმ I 4) დაძრახვა, ლანძღვა.

ზრქელი (სტ 60 ბ) სქელი, უხეში, საძნელო.

ზუალი ნ ზოჰალი.

ზურმუხტი (ან 126 ბ) ძვირფასი ქვა მწვანე ფერისა.

ზღვევა (სმ 642 ღ; 784 ა) ზღვევინება, სამაგიეროს გადახდა.

ზღვლევითა (სმ II 605 ბ) ზღვევინება (?).

ზღმურღლი (ან 164 დ) ნასიცხი, გამონაყარი.

თ

თაგდირი (ქდ 11 ა; 13 ბ) ვარსკვლავის სახელი.

თავადი (სმ 706 ა) უფროსი, მთავარი.

თავადი (სმ 821 დ) თაეში მჯდომელი.

თავაზა (ან 81 ა; 110 ა) თავაზიანობა, ზრდილობა.

თარგმნა (ან 44 გ) ახსნაგანმარტება.

თარხანი, გაათარხნებს (ან 71 ბ, გ) თავისუფალი.

თბე (ან 154 დ) სხეული.

თვისი (სგ 71 ა; სმ 737 ა) თავისიანი.

თეთრი (ან 54 დ; 133 ბ) თეთრი ფერი.

თეთრი (ან 114 ა; 121 ა, ბ; 129 გ; 130 გ; სმ 60 ბ; 70 გ; 71 დ; 80 დ; 87 ა; 393 ა; 504 ა; 800 ა; 807 დ; ქდ 171) ვერცხლის ფული.

თემი (ან 4 ა; 43 ა; 62 დ; 82 გ; 99 დ; სმ 44 ა; 46; 105 დ; 111 ბ; 146 დ; 346 დ; 351 ა; 415 ა, ბ; 418 ა; 562 ა; 563 ა, დ; 564 ბ; 767 ა; 787 ა; 790 დ; 796 დ; 807 ა; სტ 117 გ) სამეფო, ქვეყანა, მხარე.

თერიაყი (ქდ 111 ა) თრიაქი, თრიაქფარუხი, გველის კბენისაგან განსაკურნებელი საშუალება.

თესვა, მთესები, დამათესები (სმ 178 ბ) დათესვა, დანერგვა.

თვალუწვებითა (სტ 86 გ) ინტერესით, მონდომებით.

თრიაქფარუხი ნ *თერიაყი.*

თქართქარი (სგ 60 გ) მრავალთა ერთად სიცილი.

თქმულობა (ან I 182 ბ; სმ 60 ბ) სახელოვანი, სახელგანთქმული.

ი

იაოსა (სგ 35 ა) ავი, ცუდი გახდა, გაფუჭდა.

იადონი (სტ 81 ა) ბულბულის სახეობა.

იამან (სტ 36) ა. იავ, ბ. ია მან. გ. ის ამან, დ. იამე, ისიამოვნე.

იამანი (ქდ 13 დ) იები.

იამბებიან (სმ II 518 ბ) მოსათხრობელი.

იგავებანი (სმ 750 გ) იგავურად, გადატანით.

იგავებისა (ქდ 77 ა) საიგავო, დაფარული.

იგავები (სგ 12) ა. იგავი, ბ. ის ავი, ცუდი, გ. დაგვილი, გასუფთაებული, დ ებმები (?).

იგავსა (სტ 92) ბ. იშორებს, გ. საიგავოს, დაფარულს, დ. ის ავს, ცუდს.

იგები (სტ 52) ბ. აგება, აშენება დ. წამოგება, (სმ 28–ა გ) წამოგებული.

იდები (სტ 12 ბ) ჩადება, ჩაფლვა.

იდრებს (სმ 336 ა) ეღრება, შეესაბამება.

იდუმალი (სმ 503; 522–ა ბ; 695 გ) საიდუმლო, დაფარული.

ილეკრო (სტ 76 ბ) მბზინავი მეტალი

იმედებანი, იმედობანი (სმ 611) დაიმედება, იმედზე ყოფნა.

იმწარობ (სტ 41 გ) იმწარებ.

ინებისა (ან 172 გ) ინებებს.

ინებსა (სმ I 273 ა) ინებებს.

ირგებსა (ან 176 დ; სმ 444 დ) შერგება.

ირგებიან (მმ II 298 ა) შერგება.

ირთოსა (სმ 224 ბ) შეიერთოს.

იქეც (სმ I 154 ბ) მოიქეცი.

იქი („რანი და მოვაკანი") იქ, იმქვეყნად.

იღებიან (სმ II 397 ბ) მიიღებენ.

იღვწიდეს (სმ 566 გ) მოიღვაწოს, მიიღოს.

იყლიმი (ქდ 21 დ) მხარე.

იშანი (ან 148 ბ), **იშები** (სმ 230 ბ), **იშნი** (ან 23 დ), **იშნის გება, შურ უგებანი** (სტ I–II, III 35 დ) ნიშნის მოგებით, სამაგიეროს მიგებით, შურით გახარება.

იშონა (სმ 648) ა. საშოვარი, ხელმისაწვდომი, ბ. იშოვნა, მოიპოვა, გ. იშვა, დაიბადა (?), დ. შნო არ ჰქონდა (?).

იშტა (სმ 192 დ) ჭამის მადა, სურვილი.

იჩქითი (სმ II 388 ა; 786 გ) ერთბაშად, უცებ, მოულოდნელი.

იცოდა (სგ I) ა. დაიცო, დაზურა, ბ. იცოდა, არ შეხვედრია, გ. ცოდვა ჩაიდინა, დ. შეიტყო, გაიგო.

იძალებენ (სმ I 456 ბ) ძალით იმოწმებენ.

ივადოს მისაწვდელია (სმ II 66 დ) მიწვდეს მისაწვდომელს.

იწვიდი (სმ 557 ბ) იწვოდი.

იწვრთიდე იწვრთენ (ან I 154 დ) წვრთნა, გაკაჟება.

იჭებს (ან 161 გ) ჭასავით აღრმავებს.

იჭოსა (სმ 307 ბ) ჭასავით ჩაუღრმავდეს.

იჭირვის (სტ 88)) ა. იჭირვებს, საქმეს ირთულებს ბ. ჭირში, გაჭირვებაში ვარდება, გ. გაჭირვებულია, სიღარიბეშია, დ. დაჭერილი, შეკრულია.

იხაროს (სგ 82) ა. გაიხაროს, ბ. ორმო გაითხაროს, გ. ხარივით იშრომოს, დ. ნუ ხარ ოსი (?).

იროს (სმ I 633) იაროს.

ისრიმი (სტ 69) შემოუსველელი, უმწიფარი ყურძნის საწებელი.

ისივ (სტ III 30 ბ) ისევე.

ისები (სმ 737 გ) ისინი.

იუროდა (სმ 794 გ) ურვას, მწუხარებას განიცდიდა.

იქ (სმ I 455 ბ) იქმ, შვრები.

კ

კაბა (სმ 492 ა) აქ: მამაკაცის გრძელი საბოსი.

კაეშანი დარდი, სევდა.

კათხა (სმ 717 ა) სასმელი ჭურჭელი.

კამედი (სმ 381 გ; 605 ბ), **კამედია** (სმ245 ა) კომედია.

კარად („კელავ მიხმეს ისევე ისპაანს") სპარსეთის სამეფო კარზე.

კარი (სგ 59 ა) სასახლეში მყოფნი.

კარითა („კაეშანი") სასახლის კარებს იქით, უწყალობოდ.

კარითა (სტ 28) ა. კარიდან, აღმატებულის სასახლიდან, ბ. შეკარით, გ. შეაერთეთ, დ. სამოთხიდან.

კარკაცური (სმ 254 ა) კარგი კაცური.

კარის კარად კარდაკარ.

კატარღა (სმ 697 ბ) ნავი.

კეისარი (ან) მეფე, მბრძანებელი.

კელობა (ქდ 365 ბ) კოჭლობა.

კვალად (სმ 70 ბ) ჩემნაირად, ჩემს კვალობაზე.

კვერი (სმ 666 დ) პატარა ურო.

კვრანი (სმ 305–ა ბ) შენი სწავლით ეკვროდე, ასწავლიდე.

კიდე (სმ I 600) ბოლო.

კიდეგანობა (სმ 107) სიგრძესიგანე, მთლიანად.

კიდონტი (სგ 17 ბ) ოქროსა და ვერცხლის გამოსაცდელი, შესამოწმებელი ქვა.

კინაღამე (სგ ბ) კინაღამ, თითქმის.

კირთი (სმ 224 დ) ტვირთი, ბეგარა, დამონება.

კირკიტა (სმ 184 გ) ფრინველია.

კისკასი (სტ 98 დ; სმ700 ბ) სწრაფი, მკვირცხლი.

კიპაროზი (სტ 95 დ) კვიპაროზი, სარო.

კლდევითა (ქდ 400) კლდესავით.

კლება, დაკლებანი (სტ 3 დ) დანაკლებანი, დასაკლებანი (სტ II-III დ) დაკლება.

კონანი (სმ 669 დ) ერთიანი თვისება.

კრება (ან 92 ა) კრებული, ხალხი, (სმ I 16 გ) ღვთის მიერ სამუდამო შესაკრებელი.

კრებანი (სმ 692 ბ) ჩაქოლვა, ამოწყვეტა.

კრიჭვა (სმ 469) უშნო სიცილი.

კრონოსი („შვიდთა მთიებთა ბუნება") პლანეტა ზოალი, სატურნი.

ლ

ლამა („კაეშანი" 1 გ) ლამვა, ღერა, სხმა.

ლანდრა (სმ 752 ბ) მაუდი (დ. ჩ).

ლაპი, ლაპობა (ქდ 10 გ; 80 დ) როჭოს ბარტყი, ბარტყობა.

ლაჟვარდი ლურჯი ძვირფასი ქვა.

ლარი (ქდ 237) განძი, ძვირფასეული, ფული.

ლარკანი („ანბანთქება, უცხო და ახალშემოღებული" 12 ა) ლარნაკი.

ლაღობა (ან 10 გ; 80 დ) მხიარულება, გართობა.

ლახვარი (სტ 125 ბ; ქდ 245 გ) საბრძოლო იარაღი.

ლევითა, დასალევითა (სმ 790 ბ) დალევით, მოსპობით.

ლიზღი, სალიზღოდ (სმ I დ) ვნებიანად შემოხედვა, მოპყრობა.

ლიკლიკა (სგ 54 დ) „პატარა ქურციკი" (საბა).

ლიტრა (ქდ 114 ბ) წონის ერთეული.

ლმობილი, დანალმობილი (სტ 125 ა) ლმობიერი.

ლორი (სმ 237 ბ, დ) შაშხი.

ლულა-ლულად („ანბანთქება, უცხო და ახლადშემოღებული" 12 გ) ლარ-ლარად.

მ

მაარსი (სტ 21 ა) დამაარსებელი, დამბაღებელი.

მაგრა (სმ 72 ღ; 157; 259 დ) მაგად.

მადესა (სმ 2 ა) მომცეს, დამავალეს,მაგრამ.

მადრე (სმ 148 ა) მსგაესი, შესადარი.

მავლად (ან I 143 ბ) მოსიარულედ, მიმდევრად.

მაია (ქდ 242 გ) მაამებელი.

მაკიდონის (ან 23) ა. მაკედონიის, ბ (?), გ. ოხრახუში, დ (?).

მალამით (სტ (7) ა. ჩუმად, დამალულად, ბ. ამით სწრაფად, გ. მალამოთი, დ. გამუდმებით.

მალი (ან 45 ბ; 163 გ; სმ I 52 ბ; 75 ბ) მალე, სწრაფი.

მალმად („კაეშანი", 1 დ) მალამოდ.

მამაშიო („შიო მღვიმელს") ა. შიო, ბ. მომაშიო, მომანდომო, გ. მომაშივო, მომანატრო, დ. მამა ღმერთის მადლით აღჭურვილო (?).

მამზერი (სტ I 15 დ) შემხედვარე, შემყურე.

მამონა (სტ 57–ა დ) სიმდიდრის ღმერთი.

მამონაობის (სმ 73 ა) სიმდიდრის ღმერთის მოძალება, დაუფლება.

მამხვდეს (სტ 29 დ) მერგოს, შემხვდეს.

მამწყლეს (სტ 107 ა) მოსასპობად გამიმეტეს.

მანგი (ქდ 62 ბ) მთვარე. მანძილი, (ქდ 29 ბ) ფართობი.

მანძილო (სგ 44 ბ) რა მცენარეა (?)

მარგი (სმ 395)) მარგებელი, სასარგებლო.

მარგია (სმ I 635 ბ) სასარგებლოა.

მარები (ან 49 დ), მარენი (ან 33 ა) მოსიარულეები.

მართლა კმობს (სმ I 441 ა) სამართლიანად ღებულობს.

მარიხი (სგ 22 დ ბ; ქდ 60 ბ; 376 გ) პლანეტა მარსი.

მარმენი (სმ 330 ბ) ბედი, იღბალი.

მაროსა (სმ 280) წამიყანოს, დამასაფლაოს.

მარქაფი (ქდ 34 ბ) შემცვლელი, სათადარიგო ცხენი.

მარხვა, უმმარხველი (სმ 42 ბ) შეუნახავი.

მარტვილი (ან 16 ა; სმ II 319 ა) მოწამე.

მასე მასე (სტ 32 აბგდ).

მასკვლავი (ქდ 283) ვარსკვლავი.

მასმენ (ან 175 ბ) გამაგონებ.

მატს (სმ 172 დ) მეტია, სჭარბობს.

მაღალი (ან 12 ა; სმ 681 ა; 725 ა) მაღლა მდგომი, ამაღლებული, აღმატებული.

მა შავია (ქდ ბ) ავი (?).

მაშიებენ (სმ I 499 ბ) მასში დაბმული იყვნენ.

მაშხალა (ან 166 ბ) ჩირაღდანი, გამნათებელი.

მაჩქათელა (ქდ 330 გ) ღამურა.

მაწვიეს (სმ 2ა) მიმიწვიეს, მიმიპატიჟეს.

მაჯამა (სგ 5) ა. ომონიმურრითმიანი ლექსი, ბ. აჯამ, ძალამ, გ. მაჯა, მკლავმა, დ. მუსლიმური სალოცავი.

მბელია (სმ 346 ა) დამკაეშირებელია.

მბობარე (ან 38 დ) მოსაუბრე.

მბრძოლანი (სმ 725 გ) მებრძოლი

მბრძოლელი (სმ 466 დ) შემბრძოლებელი.

მბრძოლი (სმ 812 ა) მბრძოლელი.

მგაობა (ან 108) ბ. მსგავსი, გ. არამსგავსი.

მგებარე (სგ 72 ბ) წამომგები, შემრჭობი, (ქდ 1 ა) გამგები, მცოდნე, (ქდ 175 ბ) მომცემი.

მგებარი (სტ 107 გ) წამოგებულს, (103 ბ) შემგებებელი.

მგებელი (სტ I–II 21 გ) შემყურე, (ან 27 ბ) გამგები, მცოდნე.

მგვავი (ან 166 ბ) მსგავსი.

მგნებელი (ან I 15 ა) გამგები, მცოდნე, (სმ 174 ბ) მიმგნები.

მგონელი (სმ 85–ა ა) მომგონებელი, მახსოვრობის მქონე.

მგონელსა (ან 159 ბ) მოსაგონებელს, გასახსენებელს.

მგონი (სტ 121) ა. მომგონებელი, დ. გამგონი (მიმღები).

მგონია (სმ 78 ა) გამგონე, გამგები, შემცნობი.

მგოსანი (ან 9 გ; სმ 401) ტკბილად მოუბარი.

მგრძნელი (სმ 32 ბ; 135 გ) შემთვისებელი.

მგრძნელობა (სმ 486 გ) არ აგრძნობინოს, (სტ 21 ბ) შეგრძნება.

მდაბალი (სმ 169 ბ; 571 ა) დაბლა მდგომი, ხელქვეითი, (ს 282 ბ; სტ 21 ბ) თავმდაბალი.

მდაბლისა (სმ II 275 ა) დაბლა მდგომისა.

მდებარსა (სმ 296 ა) ლოგინად ჩავარდნილი.

მდელო (სმ 189 დ) მდელო, მდელოზე მოსული მცენარე.

მდელობა (ქდ 247) მდელო, ველის სიმწვანე, ბალახეულობა.

მდვინვარე (ან II 125 ა; სმ 413 ა) მბჟუტავი.

მდიდროის (სმ 176 დ) სიმდიდრეში.

მდუმად (ან I 91 გ) ჩუმად, სხვების დაუნახავად.

მდომარე (ან 60 ბ) მსურველი.

მდრეობ (ან 99 დ) ჭირის მდარი, შესადარი, მსგავსი.

მდღევარს (ან II 165 ბ) დღიურს.

მებარე (ან I 153 გ) მქონე.

მედარე (სმ 563 დ) შესადარი.

მედება (სგ 11) ა. მენთება, მეკიდება, ბ. გამომედება, მებმება, გ. დაღება, დამშვიდება, დ. დად მერგება.

მეეჭველობს (სტ III 53 ბ) ეჭვობს.

მეკეთების (ან 154 გ) გასაკეთებლად მიმაჩნია.

მელქანებრ (სმ 404) მერქნისებურად, ხის გულის მსგავსად.

მემტერენი (სტ III 33 ბ) მტრები.

მემტრეები (სტ III 192 გ) მტრები.

მემტერენი (სტ III 33 ბ) მტრები.

მემუცლე (სმ 551 a) მუცელს გადაყოლილი, ღორმუცელა.

მემშურნე (სტ 56 ა; 95 დ; ქდ 17¹ ზ) შურიანი. მემშურნობა (ან 133 0) შურიანობა.

მეროჭიკე (სმ 574 ბ) ულუფის, საზრდოს მოზიარე.

მესიბრძნეთ (სმ I 463 გ) სიბრძნის მქონენი.

მეტრაპეზე (სტ 118 გ) თანამეინახე, სუფრასთან თანამჯდომი.

მეტჯელი (სტ I–II 44 გ) ადამიანი.

მექრალება (სგ 92 ბ) მიქრება.

მეყი, მეყვისი (ან II 38 ბ; სგ 92 ა) თავისი, თაეისიანი.

მეჩიტი (სგ 5 დ) მუსლიმური სალოცავი.

მეჯლიში, სამეჯლისო (ან I 76 ა; 80 დ) ნადიმი, ლხინი, სანადიმო.

მეჯველეობს (სტ II 64 ბ) ეჯვიანობს.

მეჯველი (სმ II 496 ბ) მომხვეჯელი, მქონე.

მეჯურჭლე (სმ I 754 ა) განძის მფლობელი.

მეცადა (სგ 85) ა. ცაში, ღმერთთან, ბ. მეცა, მეტაკა, გ. სხვებთან ერთად მეც, დ. სხვაგვარად მეცადა, მომენდომებინა.

მეცარი (სმ I 248 ბ) მცოდნე.

მეცნიერი (ან II 22 ა) მცოდნე, ბრძენი.

მეცნიერობით (ან II 169 დ) ცოდნით.

მეხარა (სგ 86) ა. დამეხა, მეხის დაცემა, ბ. ხარა, ორმო,

გ. გახარებული, დ. ხარად ყოფნა.

მვლელობენ (სმ I 64 ბ) უვლიან, მკურნალობენ.

მვლელობით (ან I 127 გ) სიარულით.

მზანი (ქდ 39 ბ) მზად მყოფი, გამზადებული.

მზევარი (სმ 810 გ) მზერა.

მზერაო (ქდ 73) უმზერ, უცქერ.

მზვერელი (ან 72 დ) დაზვერვა.

მზირი (სმ 361 ბ; I 200 ბ; სტ 141) მოთვალთვალე.

მზმელი (სმ 274 ბ; სტ 37 გ; 92¹ ბ) გამკეთებელი, მოქმედი, შემსრულებელი.

მზობა (სმ I 129 გ; 222 ბ) გამზადება.

მზობანი (სმ 545 გ) გამზადებული.

მზღვარი (სმ 563 გ) ჩემს ქვეყანაში, საზღვრებში.

მთვარე (სგ 22 ბ ბ) მთვარესავით ლამაზი.

მთიები („შვიდთა მთიებთა ბუნება"; სგ 18 ბ) დილის ვარსკვლავი.

მთხრებლი (ქდ 43 ა) თხრილი,ორმო.

მიაკარაესა (სმ (734 გ) მიაკარებს, მიიღებს.

მიამთველლობდა (ან 96 ბ) მიუთვლიდა, მისცა.

მიანიჭებს (ან 161 ა) მინიჭება, მიცემა, ძღვნა.

მიაჩანს (სმ I 12; 73 დ) მიაჩნია.

მიახდა (სმ 719 ა) ახლოს მივიდა, წაწყდა.

მიახლებითა (სმ 105 დ) მისელით.

მიახლებისა (სტ III 31 დ) ღმერთან მიახლოების უღირსი.

მიახლულები (ან 76 გ) ახლოს, გვერდით მყოფი.მიგება, მი-ნაგები (სმ II 461) მიცემული.

მიგები (სტ 52 გ) საპასუხო მიგება.

მიდამო (ან I 183 ა) იმ მიდამოებში, მხარეში.

მიდგომა (სმ 715 ბ), მიდგომება (სმ 694 ბ) მიდგომა, დამოკიდებულება.

მიდება (სგ 128 ბ) მითვისება.

მიდესა (სმ I 463 გ) მომცეს.

მიდია (სმ 213) ა. მიდია (ქალაქი), ბ. მყავს, გ. მიდით, შედით, (ან 121 ბ) მიეგებისა, მიგებება, შეხვედრა.

მიელავსა (ან 171 დ) ელავს, ბრწყინავს.

მიეცო (სმ 757) ა. მიეცი, მიართვი, ბ. მიეცემა, ერგება, გ. წამოეგო, დ. მიეზღო.

მიეხვედრების (სტ III 16 დ) ხვედრი გახდება, მიეცემა.

მიევის (სტ II 3 დ) მაქვს.

მიზდი (ან 45 ბ) საფასური, ანაზღაურება.

მითავა (ქდ 288 ა) მითავაზა, მომცა.

მიიგნებისა (სმ 547 ბ) მიიგნება, იპოვის.

მიიზევს (ან II 8 დ) მიიზიდავს, შეიერთებს.

მიმადავები (სმ 267 გ) შემდაეები, მოპასუხე.

მიმმფერავი (სმ II 603) მიმფერებლები.

მიმაშველობსა (ან 169 დ) მიეშველება.

მიმახადლებსა (სმ 171 გ) დამძახებლებს.

მიმდარა (სგ 2 ა) თავისი შესადარი (მუხთალი).

მიმდგომელისა (ან 16 ა) მასთან მდგომი, განდეგილი.

მიმიწოდებს (სტ III 9 ა) მომიწოდებს, მეძახის.

მინაგულად (მო-) (ან 142 დ) გულიანად, მონდომებით მიკეტილად.

მინაბარები (მო-) (ან 95 დ) მიბარებული.

მისაშურები (მე-) (სმ 580 ბ) მისწრაფება.

მისაკმობლად (-მო) (სმ 805 გ) დასაძახებლად, მისაწვევად.

მიმიკდებისა, დამიხდებისა (ან 155 გ) მზე არ ჩაესვენება, მოვკედები.

მიმმადელელობა (სმ 755 ა) მიმადლება, დაყენდრება.

მიმსგავსებანი (სმ 254 ა) როგორც ღმერთს, ისეთივე პატივით იოპაყარი.

მიმოყოვრება (სმ II 56 დ) მიყოლებით, ზედიზედ.

მინამწდომელი, მომწდომელი (სმ 168 გ; 568 დ) მიმწდომელი, მიწვდომა, მიახლება.

მიმცემოსანი (ან II 9 ბ) მიმცემი.

მიცნებდა, მიმცნებდა (სმ 287 დ) ყურადღების მიქცევა.

მიმხვდომი (სტ 30 გ) მიმხვედრი, გამგები.

მინა (მგ 29 გ; ქდ 273 ბ; 320 ბ) მინის ჭიქა.

მინამთელულია (სმ 739 გ) მიითვლის, ყურადღებას აქცევს.

მინამიდები (სმ 738 ბ) მიმდებარე.

მინაქარი (სტ 100 გ) „ჭიქის გვარი ნივთი ფერად-ფერადი, რომელზედაც ხელოვნებით დაიხატებიან ნაკვთნი და სახენი...“ (დ. ჩ.).

მინაღებული (ან 184 ა) მიღებული.

მინაშური (სმ 35 ა) ეშურები, მიისწრაფვი.

მინაწური (სმ 419 ა) მიახლოებული, მისული.

მირულებითა (სტ 56 ბ) თვალმილულული, დაუძლურებული.

მისაბარენი (სმ 22 გ) მიბარებული.

მისაგზობანი (სმ II 545 ბ) მიმავალი გზა.

მისაგნობითა (სმ 6 62 დ) მისაგნებად, შემტყობად, გამგებად.

მისაგონი (სმ 565 დ) მომგონებელი, შემხვედრი.

მისადავი (სმ 741 გ) სადავოდ, საპაექროდ გახდომა.

მისადებად (ან 115 ბ, 149 ბ) მიმატებად, შესაგროვებლად.

მისაზეველ-მოსაზეველი (სმ 773 ა) მისაწევ-მოსაწევი, სამართველი.

მისაკარენი (ან 88 ბ; სმ II 239 ბ) მიკარება.

მისამგვანი, შესაგვანი (ან I-II 14 გ) მიმსგავსება, მრავლად გახდომისა. მისანდობანი (სმ 705 ბ) მინ-დობა, ერთგულება.

მისანდოვანი (სმ 721 გ) სანდო, სარწმუნო.

მისართენია (ქდ 246 გ) მისაერთებელი.

მისასევენი (ან 138 გ) მოსასვენებელი.

მისაღებელი (სმ 468 ა) წასართმევი.

მისაყვანისი (სმ 81 გ) მისაყვანი, თვალთვალი.

მისაშურავი (სმ II 35) მისაშურებელი, მისასწრაფებელი.

მისაჩემი (სმ I 562 ბ) მიჩნევა, საგულვებელი.

მისაწვდელი (სმ 66 დ) მისაწდომი.

მისახ(კ)დომელი (ან 89 დ; სმ 699 დ) მისახვედრი, გასაგები.

მისდევს (სმ 125 ა) მიჰყვება.

მიუგნელი (ან 1 გ) შეუცნობი, გაუგებარი, (სმ 59) შეუგნებელი, უცოდინარი.

მიულავებსა (ან 141 ა) ულავო.

მიულგა: არ მიულგა (სმ 715 ბ) არ მიიკარა, მასთან არ დაწვა, **მიულგომელად** (სმ II 715 ბ) მიუკარებლად, მასთან დაუწოლელად.

მიუნდობელი (ან 112 გ) არამდომი, არა მოსურნე.

მიუყენი (სმ 43 დ) მიუდგომელი.

მიუჩემია (სმ I 229 დ) ჩემად გაუხდომი, არა ჩემი.

მიუწევნები (ან 163 დ) დაუწეველი, ვერ დამწევი.

მიუხდომელი (სმ 568 ბ) ვერ მიმხვდომელი.

მიუმხვდარი (სმ 68 ა) გაუგებარი.

მიუხვედრელი ვნებანი (სმ II 430 გ) მიუხვედრელი, აშორებული ვნება.

მიუხდომელი („ღვთის ქება“) შეუცნობელი.

მიუხ(კ)ვდომელი (სმ 84 დ) მიუსვლელი, მარტოდმარტო მყოფი.

მიქს (სმ 695 დ) მყავს.

მიღმამდი (სმ 104 ბ) სიღრმემდე.

მიწამა (სგ 8) ა. მაწამა, ბ. წამად მიქცია, გ. მიწამოს, მიმიღოს, დ. დედამიწამ.

მიწევა (ან 23 გ) მიეწევა.

მიწყივ მუდამ, ყოველთვის.

მიცვლილთა (სმ 420 ა) გარდაცვლილთა.

მიხვდომა (ან 76 გ; 122 დ; სმ 306[1] ბ; 430 დ; 5552 ბ; 566 დ; 582 ბ; 648 დ; 657 დ; 705 დ; 758 დ; 766 ბ; 772 ა; 801 გ) შეხვდომა, მიცემა, მოპოვება.

მიკამს (სმ 475 დ; სტ I–II 34 გ) მჭირდება, საჭიროა.

მკალი (სტ 103 ა) კალია.

მკვდოვნობა (სმ 42 გ) სიკვდილი.

მკედი (სმ 330 დ) ძაფით დაკავშირებული.

მკერელი („ვახტანგური") ამოკრეფა, დამაბრმავებელი.

მკვდინარე (სმ 724 დ) მკვდარი.

მკვდოვანს (სმ I 256 ა) მომაკვდავს.

მკვლეველი (ან 106 გ) მიმხვედრი, გამგები.

მკიდობა (სმ 659 გ) დამოკიდებულება, მისი მოიმედე.

მკლეობა (სმ 24 ა) კოჭლობა, ბარბაცი.

მკლობანი (სმ 785 ა) ამოხოცვა.

მლეველი (ან 32 დ) მოსიარულე.

მნე (სმ 783 ა) გამგებელი, მმართველი.

მნებარი (სტ 107 ბ) მსურველი.

მნებელი მომნებებელი (ან 86 ბ) მსურველი.

მნენი (სტ I–II 60 ბ; 62 გ) მსურველი.

მო (სტ II 3 ა) მოღი.

მოაბეროს (სტ 67) ა. მოაბეროს, მიაყოლოს, დ. დააბეროს, მოა-ხუცოს.

მოადგილობის (სმ II 563 გ) ადგილი, მეზობლად.

მოადრობით (სმ 711 დ) ნაადრევად.

მოაბარენი (ან 46) ბ. მოამბენი, დ. ნაამბობი.

მოაგვანობდა (სმ 11780 ბ) ცოლს მიმაგვანა, ცოლსავით მოექცა.

მოარე (ან I 25 გ; სმ 63 ბ) მოიარდა, გონებას მოაელებდა.

მოარებანი (სმ 736 ბ; 316 ბ) მოიარა, შეაესო.

მოარობა (სგ 34 ბ) მოიელიდნენ.

მოარობანი (სმ 723 გ) მოელებული, გავრცელებული.

მოარული (სმ I 242 ა; სმ II 52 ბ; 101 ბ) მოსიარულე.

მოასვენებს (ან 163 ა) მოსვენებას, შვებას მისცემს.

მოახლება (სმ II 684 დ) ჩემთან ყოფნა.

მოახლების (სტ III 10 გ) შეხვდომა, რგება.

მობეზღარი მაბეზღარი.

მოგეგების (სმ I 370 ბ) შეგხვდება.

მოგეგებისა (ან 121 ა) მოგება, შეგხვდება.

მოგელია *ნ გამოგელია.*

მოგვარანი (ქდ 19 დ) მოგვრა, რგება, შეხვედრა.

მოგიხდებისა (ან 155 ა) შეგხვდება, გერგება.

მოგხვდა (სმ I 67 დ) გერგო.

მოდუხჭირად (სტ 9 ბ) ღარიბულად.

მოეგება (სმ II 56–ა) შეხვდება, ერგება.

მოეგოს (სმ 23 ა) შეხვდეს, ერგოს.

მოედაროსა (სმ 23 ა) შეხვდეს, სადარი, მსგავსი გახდეს.

მოელებიან (სმ II 387 ა) მიიღებენ, ერგებათ, შეხვდებათ.

მოეშოოსა (სმ I 606) ეშოვოს.

მოეხმიჭოსა (სმ 397 დ) მოეხვეჭოს (?).

მოეხ(კ)რებისა (სმ II 761 ბ) მოხრა, ქედს არ მოუხრის.

მოეცალ ვა (სმ II 525 ბ) გაეცალე.

მოვანება (ქდ 80–ა დ; 90 გ; 232 ბ) მოსვლა, მოფენა.

მოვიუბნე (სტ 27 ა) ვამბობდი, ვყვებოდი.

მოვიხმარობ (სმ II 233 დ) მოვიხმარ, ვიყენებ.

მოზარე (ან I 60 ა) ნუ გეზარება.

მოიაზოთ (სმ 711 დ) შეგეხოთ, გქონდეთ.

მოიბოლებსა (ან 167 დ) ცეცხლის ბოლი შეხვდება, ცეცხლი მოედება.

მოივარგოს („შეგონება") ვარგისიანი გახადოს.

მოიკარებსა (სმ 429 ბ) მიიკარებს, არ შეხვდება, არ ერგება.

მოიმართა (სმ 67 დ) წარიმართა, შეგეძინა, შენი გახდა.

მოიბალით (სმ აბგდ) ბაღად იქციე, ტავტოლოგიაა (?).

მოიმწვავებსა (ან 141 დ) მწვაველ, ტკივილიანად გახდის.

მოინებდა (სმ I 496 ბ) ინებებს, მოისურვებს.

მოინებიან (სმ II 619 ა) ინებებენ, ისურვებენ.

მოირთო (სმ 505 ა) მორთულად, მორგებულად.

მოისავსებით (სტ II 48 ბ) სრულყოფილი გახდებით.

მოიქონოს (ან II 173 გ) მიეცეს, ქონებად ერგოს.

მოიშოებს (სმ II 179 ბ) იშოვნის.

მოიძება (სმ 490 დ) მოძებნა, შოვნა.

მოკიცხარი (სმ II 609) გამქირდავი, დამცინავი, აბუჩად ამგდები.

მოკაზმის, მოკმაზის დაუკლენია (სმ 78 ბ) მოკაზმა–მორთულობა არ აკლდა.

მოკრება (688 გ) შეკრება.

მოკრიჭალი (სმ I 609) უშნოდ იცინის.

მოლაშკრებითა თაობა (სმ II 484 ა) ლაშქრის სარდლობა.

მოლბობით (სტ II–III 2 ა) ლმობიერად.

მომაარისა (სმ 413 ბ) მსურველია, მომზადებულია.

მომაგონარი (ან II 181 გ) ამ საქმის გამომგონებელი.

მომდომელისა (ან 16 ბ) მდომი, მსურველი.

მომეგზნას (სტ I 29 ბ) წამეკიდოს.

მომეკრძალო (სტ 2 გ) მოკრძალებული, მოშორებით მდგომი.

მომმადლელად (სმ 500 გ) დამყეედრებლად.

მომნებელი (სმ 796 გ) დამნებებელი.

მომსწრება (სმ 95 დ) არ შეეხყედრივარ.

მომღერალი (სმ II 245) დამცინავი, მასხრად ამგდები.

მომყმარი (სტ 56 ბ) მშიერი, აქ: შიმშილით დაუძლურებული.

მომშვიდება (სტ 65 ბ) დამშვიდება, დაწყნარება.

მომწარული (სმ 716 დ) მწარე, უსიამოვნო, მიუღებელი.

მომწყენელი (სმ788 დ) საყწენი საქმის ჩამდენი.

მომჭირნე (სმ 566 ა) არახელგაშლილი.

მონაბანი (ან186 ბ) სასიმღერო ბანივით მიმყოლი.

მონაგარი (სმ II 199; 529) მოპოვებული, ნაშოვნი, შეგროვებუ-ლი.

მონაგები, მონაგებარი (ან 62 დ) მოსული, დამკვიდრებული, დ. მოტანილი, მოზიდული.

მონავანი (ან 52 დ) მოსული, დამკვიდრებული.

მონაზიდებით (სტ 58) ბ. მონურად, ერთგულად ტკირთის ზიდვა.

მონათელი (სტ 18) სავარაუდოდ: ა. ნათელი, სუფთა პიროვნება, ბ. ნათელს, ღმერთს, გ. მარადიულ ნათელს, სამოთხეს, დ. ღვთის მიერ მოვლენილ სინათლეს.

მონაკარებსა (სმ II 19 გ) მიკარებულს, დაკავშირებულს.

მონაკლებითა (სტ III 56 ა) ნაკლულად, დაუძლურებულად.

მონამდომია (სმ II 279 ა) მსურველი, მოწადინეა.

მონამდური (სმ 92a ა) მომდურებული.

მონამჭირი (სტ I-II 70 ა) მსურველი, (სტ 229 ბ; III 62 ა) საჭიროებისამებრ. **მონამხდელები** (სმ 184) ბ. გადამხდელები, გ. თანმხ-ლები (?).

მონარბოლი (მგ II 54 ა) მორბენალი, მოკირითე.

მონარიგებით (სმ 28 დ) მორიგებით, შეფარდებით, შეწონას-წორებით.

მონაცობანი (ან I 11 ბ) მონაცემი, ნიჭი.

მონაძებია (სგ 3) ა. ახლობელი ძეები, მამაკაცები (?), ბ. არაეინაა ჩემი მძებნელი, გ. მო-ნობაში ჩავარდნილი.

მონაძული (ან 126 გ; სტ 120 დ) მოძულებული, (სმ II 608 ა) მძულვარე, შეძულებული.

მონაწადს (სმ II 19 გ) მსურველს.

მონაწევი (სგ) ა. შერჭობილი. ბ. მომწიფებული, გ. მოწყვეტილი, მოკრეფილი, დ. ჩეჩკენ მოხრილი, მოწეული.

მონახ(კ)ადია (სმ 728 ბ) ერთგული მოსამსახურე.

მონებებული (სმ 797 ბ) გა-ნუსჯელად თავის ნება-სურვილზე მყოფი.

მორბედი (სმ 151 დ) წინ-მსწრები ენა, შეუსაბამოდ მოლა-პარაკე.

მორბედობა (მგ 22-დ დ; II 56 დ) მოდის, მოდიან.

მორევა (სმ 558 ბ) ძლევა, დამარცხება.

მორჭმა (სმ II 60 გ; ქდ 84 ა) განცხრომა.

მორჩე (ან II 147 ა) დამთავრებას, დასრულებას.

მოურჩომია (სმ 738 ა) ვერ მორჩება, ვერ გადარჩება.

მოსაადრო (სმ 430 ბ) ნაადრევად შესასრულებელი.

მოსაგებანი (სმ 357 გ) გასაგები, შესატყობი.

მოსაგებარი (სმ 296 ბ) სამაგიეროს გადახდა.

მოსაგერები (ან 58 ბ) მოსაგერიებელი.

მოსაგვარად (სმ II 506 გ; II 561 ა) მოსაგვარებლად.

მოსაგოვარი (სმ II 349 ა) მოსაგვარებელი.

მოსაგონანი (ან II 18 ბ) მოსაგონებელი ან გონება, გონიერება.

მოსაგონი (სტ 38 აბგდ) მოსაგონებელი , ტავტოლოგიაა(?).

მოსაგრონია (სმ II 317 ბ) მოსაგონებელი, გასახსენებელი.

მოსავარგო (სტ II 43 ა) სარგებელი.

მოსავლენია (სმ 78 გ) მოსავალი, ხორაგი.

მოსაკონანი (სმ II 669 დ) შეკონვა, კარგად გახვევა.

მოსაკრეფე (სმ 570 ბ) შეკრება, მოგროვება, სახელგანთქმულობა.

მოსამკობითა (სტ II 5 გ) შესამკობად.

მოსამხრობანი (ან 28 დ) მხრის ამბმელი, მიმყოლი.

მოსანდომელი (ან 87 დ; სმ 396 გ; 745 დ; II 756 ბ) რაც უნდა, მონდომებული, სურვილი.

მოსანებელი (ან 15 ბ; სმ 151 ა) სასურველი.

მოსაგრენია (სმ 494 ბ) თანამებრძოლი.

მოსადავე, სასადავე (ან 98 გ) სადავით, აღვირით მეკავშირე.

მოსადავი (ან 166 გ) სადავო, მიუღებელი.

მოსადაო (სმ 187 გ) მოდავე, მოპაექრე.

მოსადენი (ქდ 52 დ) მოსასვლელი.

მოსავალი („კაეშანი" I-II 5 ბ) ღვთისგან მოვლინებული.

მოსაზმანაო (სგ II 19 გ) ზმანებასავით მოსული.

მოსასარგო (სმ 654 ა) სასარგებლო.

მოსასასე (ქდ 12 ე) სასაში მოსახვედრი, საჭმელი.

მოსასთვლეველი (სმ 818 გ) მოსაველის აღება, მისაღებად.

მოსასური (სმ 61 ბ; 92a[1] დ) სასურველი.

მოსოფლიოს (სმ II 783 ბ) ამ ქვეყნად.

მოსაქმარი (ან 90 გ) საქნელი, გასაკეთებელი.

მოსაქნელი (ან II 118 ა) მქნელი, მოამაგე, (სმ 700 გ) საქნელი, შენს ჭკუაზე წამყვანი.

მოსაქონანი (სმ 778 ა) ქორება, სიმდიდრე.

მოსაქონელი (სმ 85 დ) შესაძენი.

მოსაქონლად (სმ II 799 ა) საქნელად, გასაკეთებლად.

მოსაღებელი (სმ 468 ა) წაურთმეველი, (სმ 706 დ) მისაღები, გასახარები.

მოსაშალად (სმ 475 ა) მოსაშლელად, გასაუქმებლად.

მოსაშოვანი (ან 119 დ) საშოვარი.

მოსაშოველი (ან 45 დ) საშოვარი, მოსაპოვარი.

მოსაცთურად (სმ 92a გ) მაცთურებლად.

მოსაძებელი (სმ 174 დ) მოსაძებნი, საპოვნი.

მოსაძენი (ან 158 გ; სმ 438 ბ; 718 დ) შესაძენი, მოსაპოვებელი.

მოსაძლეველი (ან 106 დ) მოსაცემი.

მოსაწადილი (სმ II 87 ბ) საწადელი, სასურველი.

მოსაწდომია (სმ II 173 დ) მწვდომი, შეწვდომა.

მოსაწევარი (სმ 810 ა) რაც გეკუთვნის, გერგება.

მოსაწვეველსა (სმ II 283 ბ) რაც საწვევი, მოსახმარი არ არის.

მოსაწყინარე (სმ 724 გ) საწყენი, არგასახარი.

მოსაწყური (სმ 794 დ) წყურვილის დამაკმაყოფილებელი.

მოსახადილი (სმ 656 ბ) დაძახილი, მოწვეული.

მოსახარები (ან 49 ბ) გასახარებელი (?).

მოსახარავი (სმ II 256 ბ) აჟის მოქმედი (?).

მოსახარკია (სმ I 237 დ) ასაკრეფია, მოსაპოვებელია.

მოსახ(კ)დანია (სმ 678 გ) მოსახდენია.

მოსახ(კ)დომია (სმ 173 გ) მოსაცემი, საბოძვარია.

მოსახოჭელი (სმ II 496 ა) მოხვეჭა, შოვნა.

მოსახრებისა (სმ 16 დ) მოხრა, მოდრეკა.

მოსახსენესა (სმ 290 დ) მოხსენებულს.

მოსახურავი (ან II 123 დ) სახურავის დადგმა, დაკმაყოფილება.

მოსაკლმელი (სმ 396 დ) რაც შეგხვდება, მოგვივა, დაგვემართება.

მოსაკმარენი (ან 55 გ; 88 ა) მოსახმარი, საჭირო, გამოსადეგი.

მოსველი („ძმას“) ა. მოსილი, შემოსილი, ბ. სასოების, რწმენის მომცემი, გ. დასველებული, დ. მოსასვლელი.

მოსრნა (სმ 662 ბ) მოსპო, ამოხოცა, გაანადგურა.

მოსოფლიო („კაეშანი II-III 7 ბ“) ამქვეყნიური, სააქაო.

მოსწავლობა (სმ 634) სწავლა-განათლების მიღება.

მოტყინარე (სტ 29 ბ; III 3 გ) აალებული, მოგიზგიზე.

მოუბარე (ან II 46 დ) მოსაუბრე.

მოუდარონი (სმ 760 ბ) შეუდარებლად ცუდი.

მოუდგს (სმ I 48) მოსდგამს.

მოუდეველი (სმ 195 გ) ვერავინ გამომიდგება, გამომეჯიბრება.

მოუკრძალი (სმ 687 ა) მოკრძალების გარეშე, მოურიდებლად.

მოულხენია (ან II 15 დ) არ ილხენს, არ მხიარულობს.

მოუნდომელი (ან 4 ბ) არაფრის მდომი, მსურველი.

მოუნებული (სმ 660 ბ) თავისი ნების გარეშე მყოფი.

მოუპუარე (ან II 25 დ) მოპოვებული თუ მოსაპოვებელი.

მოუსმენი (სმ II 459) არ ესმის.

მოუქონელად (სმ II 60 გ) უქონლად.

მოუქონელი (ან II 22 დ) არ მქონე.

მოულო (ან 130 ა) წაართვა.

მოულობი (ან 71 დ) შეუბოჭავი.

მოუცდენად (სმ 310 ა) გაუჩერებლივ.

მოუცილადო (სმ 754 გ) მოუცილებლად, მოუშორებლად.

მოუწონარი (ან 181 ა) არ მოსაწონი, დასაწუნებელი.

მოუწონია (სგ 67) ა. შეწონილი, შეზომილი, ბ. აწონილი, გ. მოუწონებელი, დ. თავის მოწონება, წარმოჩენა.

მოუჭანგობა (სმ 774 გ) ჭანგ, ანუ კლანჭმოუდებელი.

მოუხარი (სტ II–III 1 ბ) მოუხრელი, გვერდზე არ გამდგარი.

მოუხდებიან (სმ II 190 გ; II 308 ბ) შეხვდება, დრო დაუდგება.

მოუკდებიან (სმ II 190 ბ) ლამაზად მოუვათ.

მოუკდება (სმ 142) ა. ლამაზად მიესადაგება, ბ. შეხვდება, მოუვა.

მოუკდებიან (სმ 190 ბ) მოუხდება, აჯობებს, უკეთესი იქნება.

მოუკმარი (სმ 364 ა; 433 ბ; 763 გ) უვარგისი, გამოუსადეგარი.

მოქაფა (ქდ 340) მუქაფა, სამაგიერო, საზღაური.

მოქენე (ან 184 დ; „შვიდთა მთიებთა ბუნება“ 3 ბ) ნატრული, მაველრებელი.

მოქმედი (სმ 547; 804 გ; ან 117 ბ; სტ 43 ბ; II 45 გ) ღმერთი.

მოღება (ან 32 გ; სმ 732 ბ; 746 ა; სტ III 29 დ) წამოღება, მოტანა.

მოყვასი (ან 170 გ. დ.; სმ 293 დ; 296 ა; 747 დ; სტ I–III 47 ა; III 47 ბ) მოყვარე, მოსიყვარულე, მეგობა-რი, ახლობელი.

მოყივნება (ან 184 გ; სგ 15 დ; ქდ 163 ბ) დაცინვა, სახელის გატეხა, დამცირება.

მოშენების გაუძება (სმ 490 გ) აშენების, აყვავების გაძღოლა.

მოცალება (სმ 490 ბ) მოცლა, ყურადღების მიქცევა, თავდადება.

მოციქული (ან 117 ა; სგ 75 ა) ქრისტიანობის გამავრცელებელი ქრისტეს მოწაფეები.

მოძება (სმ 417 ბ; 664 ბ) მოძებნა, ცდა.

მოწამება (სმ 812 ბ) რწმენა, იმედი.

მოწამენი (სმ I 319 ა) რწმენის გამო წამებაგადატანილები.

მოწევა, მოიწევის (სმ II 461) მოუვა, თავს გადახდება.

მოწყლა (სტ 117 ბ) მოკლა, მოსპო.

მოჭირვება („კაეშანი“ 5 ა) ჭირის გაზიარება, (ან 107 დ; 116 ა; სმ I 85 ბ, 735 ბ; სტ 122 დ, 131 გ) მოთმინება.

მოხვდომა (ან 40 გ,I 60 ბ; სმ 810 ა) შეხვედრა, დამართება, რგება.

მოკელე (ან 61 ა, 91 ბ, 182 ბ) აღმსრულებელი, კარისკაცი, მოკელობა (სმ 768 გ) თანამდებობა.

მპყრობელი (სმ 592) ძალაუფლების მქონე.

მრავალრიგი (სმ 569 ა; სტ 13 ა) ძრავალმხრივი.

მრეობა (ან 99 გ) შემორეული, შემომატებული, მიტაცებული.

მრონი (მი I 317 ბ) მოსიარულე.

მრუში სქესობრივად გარყვნილი მამაკაცი.

მსვლენია (სმ 78 ა) მოსიარულეა, ხშირად მიმსვლელია.

მსრბოლელი (სმ 820 გ) ბოროტებაზე მოსიარულე, ვინც ბოროტების ჩადენისაკენ მიისწრაფვის.

მსხემი (სმ 743 დ) უცხოობაში აღზრდილი, მიუსაფარი.

მტვრეულად *ნ* გახადა *მტვრეულად*.

მტილი ბაღი, ბაღჩა.

მუნ, მუნა იქ.

მურასა (სმ 717 ა) მოოჭვილი.

მულნი (სმ241) სიმებიანი საკრავი.

მუშკი სურნელოვანი ნივთიერება.

მუშკის ჩოგანი (ქდ 278 ა).

მუშთარი პლანეტა დია, ზევსი, იუპიტერი.

მქავლად (ან 143 დ) ქავილად, მოსაფხანად.

მქარავი (სმ 734 დ) მქროლი.

მქისი მკვახე, უხეში, მკაცრი, მწყრალი, გაჯავრებული, შეუმქისი (სმ 817 გ) არა უხეში, გაჯავრების გარეშე.

მქიქები (სმ ნრნ გ) გამაქიქებლები.

მქნარი (ან 134 გ) მკეთებელი, ჩამდენი.

მქუშარი (ან 107 გ) წარბშეჭმუხვნილი, გამწყრალი, ცუდ გუ-ნებაზე მყოფი.

მშენსა (სმ 290 გ) მშენებელს, ამშენებელს.

მჩანს (სმ 71 დ) მიმაჩნია.

მცადენით (სმ 731 ბ) მცდელი, შემძლებელი.

მცდელი (სმ 119 ბ, 795 ა) რომელიც ცდილობს.

მცენანი (სმ 251 დ) მცდელი, შემძლებელი.

მცენარობს (სტ I-II 24 ა) მცენარეებით ივსება.

მცლელობით (ან 127 დ) დაცლა.

მცნებანი, მცნებისა (ან 93 დ, 135 დ) მცნებად, კრედოდ მიღებული.

მცნებული (ან I 183 გ) მცნება, შეგონება.

მცნელად (სმ ! 63 გ) ვინც მიცნობს, დამაფასებს.

მცონანი (სმ 778 დ) ზარმაცი.

მცონარება (სტ 55 გ) სიზარმაცე, სიგლახე.

მცონარი (ან 181 დ) ზარმაცი.

მცონი (სმ 83 გ) მცონარი, ზარმაცი.

მცრალება (სმ II 456 ბ) დამცრობა, დაპატარავება, დაკნინება, **მცრალები** (სმ 668 გ) მცირეები, პატარები.

მცრცველი (სმ 88') მძარცველი.

მცქაფავი (სგ II 104 ა) მსწრაფლ წარმავალი.

მცხრომელი (ან 114 გ) მშრომელი, მოღვაწე.

მძახალი, დასამძახლი (ან 70 დ) დამძახლება, მძახლად მიღება.

მძენესა (სმ 290 ბ) შემძენს, მქონებელს.

მძინად (ან 162 ბ) შემძინედ.

მძლეველი უნობს სულობით (სმ II 468 დ) მოძალადე, ყაჩაღს სურს, ცდილობს სულ, მთლიანად.

მძლენი (სმ 78 თ) ძლიერი.

მძოველი (ან I 45 გ) შემჭმელი, გამანადგურებელი.

მძრახლი (ან 70 ბ) დამძრახავი, გამმტყუნებელი.

მძღანებლობანი (სმ 785 ბ) რომ ეძღვნა, ძღვენის მიმტანი.

მწარად (სტ 87 ბ) მწარედ.

მწდელი (სმ 181 ბ) დაწვდომის მსურველი.

მწდომარე, მიმწდომარე (ან 60 გ) მიმწვდომი, ძალაუფლების მქონე.

მწე, მწეობით, უმწო (ან 79 ა), **ემწებოდა, ემწებისა** (სმ 95 გ) შემწე, დამხმარე.

მწეარი (ქდ 23 დ) მონადირე ძაღლი.

მწეველი, მოსაწეველი (სმ 773 გ დ) გამოწევა.

მწევენი, გამაწევენი (ან 138 ბ) გამწევი, მომთმენი.

მწერალი (ან 81 ბ) დამწერი.

მწერები, დამაწერები (ან 122 გ; სმ I 100 დ) დამწერნი.

მწერელი („ეახტანგური") მწერალი, აღმბეჭდავი, გამომსახველი.

მწერი (სმ II 25) მხატვარი.

მწერი, დამაწერი (ან 78 ბ) დამწერი.

მწვანდი, ვმწვანდი (ან 23 გ) გამწვანებული, ფერდაკარგული (?).

მწვდარობსა („ათცხრამეტური") წვდება, მიაწვდენს.

მწვე დიდად, მეტად, ძალიან, კარგად.

მწვეველი (სმ 3 ბ) გამომწვევი.

მწველობა დანამწველობა (ან 96 დ) დაწვა, ცეცხლის წაკიდება.

მწვირე წუმპე, სიმყრალე.

მწიკვლი სიბინძურე.

მწირი, მიუსაფარი.

მწყაზარი (სგ 24 ა) თეთრფეროვანი.

მწყენარი (სმ II 467 დ) რომ სწყინდეს, ნაწყენი იყოს.

მწყინარე (ქდ 272 გ) ნურასოდეს მოგწყინდება, დაგეზარება.

მწყინარი (ან 37 ბ) განაწყენებული.

მჭედლობა (სტ 1000 ა) დაბეჭდილი, მტკიცედ.

მჭევრობა (ან 139 ა) მჭევრმეტყველად ხვეწნა.

მჭერელი (ან 72 ბ) დამჭერი, მიმყოლი.

მჭიშნობით (სტ III 88 ბ) დახვანჯვით.

მჭური („შიო მღვიმელს“) აღჭურვილი.

მხადენით (სმი 751 გ) მოწოდებით, დაძახებით.

მხადესა (სმ 2 ბ) მიმიხმეს, მიმიწვიეს.

მხარავი (ან 48) გ. გახარებული დ. დახრული.

მხარავი (სტ 70) ა. ორმოში ჩამგდები, ბ. მხარეს მყოფი. გ. მხარი (სხეული), დ. გამომხვრელი.

მხარები, მოსახარები (ან 177 დ) გახარებულები.

მკარები (სმ 682 გ), მკარისა (სმ 413 დ) მხარეს მყოფი.

მხარი (სტ I–II 1 გ) მხარე, მიმართულება.

მხარია (სტ 99 ბ) გახარებულია.

მხდარობსა („ათცხრამეტური“) მხედრობს, ჯარისკაცობს.

მხდელები (სმ I 184 ბ) გადამხღელები, ამნაზღაურებლები.

მკდელი (სმ 181 გ, 735 ღ) ხელის ხლება, შეხება.

მხდომელი („ღვთის ქება“) მხტომელი.

მკედარი (ან 74 ა; სმ 744 გ) ჯარისკაცი.

მხედი (სმ 102 ბ, 647 დ) შემყურე.

მხეველი („ხოსროს ფიცი“; ან 60 დ; სგ 71 ბ) მოახლე ქალი.

მხლებელი (სტ21 დ) ახლავს, ვისიც თანამყოფელია.

მხრობანი (ან 28 გ) მხარეს მყოფი.

მკცერეული (სგ 59 ბ) მხცოვანი.

მკობარე, მხმობელი (ან 85 ა, 153 ბ) დამძახებელი.

მჯდარობსა („ათცხრამეტური“) ზის.

მჯერები (სმ I 100 ა) დამჯერე, გამგონე.

მჯობარე (ან 38 ბ) მჯობი.

ნ

ნაბადოვანი (სმ II 339 ა) ბადედ ნაქსოვი, გაბმული.

ნაგრუზი (სტ 36 გ) გრუზა, სქელი თმა.

ნაკადი (სმ II 1 დ) შემადგენელი ნაწილი, კონტექსტი.

ნაკვეთი (სმ I 739 დ) ნაწილი, გაყოფილი.

ნანა (სმ 150 ბ) სინანული.

ნაპოვარად (სმ II 561 ბ) მოპოვებული, მიმღები.

ნარგები (სმ 335 გ), ვარგები (სმ II 335 გ) ვარგისიანი, ვარგები.

ნარგი (სტ 8 ბ) დარგული, დანერგილი.

ნარგიზი, ნარგისი (სტ 97 ბ, 22 ბ) ყვავილია.

ნარები (სტ 61 გ) ნასიარულები, წარმავალი.

ნარინჯი (სტ 77 ა) ციტრუსოვანი მცენარე.

ნარუქი („!კაეშანი“ III 3 ბ; სმ II 471) ახალშემოსული ხილი, ნაყოფი.

ნასადავები (ან 98 ბ) სადავოდ მოფი..

ნასაქმარები (სმ II 16 დ) ნამოქმედარი.

ნასი (ქდ 365 ბ) უშნო.

ნასთი (სგ 87 ბ) ნართი, დართული.

ნასკულობითა (სმ 90 დ) ნასკვებად, გამოფსკვნილად.

ნატეხარზედა (ან 183 გ) ფირფიტის ნატეხი.

ნატი (ქდ 256 გ; სმ II 522 ბ) ტყავის საფენი, ტყავსაკით გაბრტყელებული.

ნასულებსა (ან 51 გ) სულ, სრულად ნათქვამი (?).

ნაფრდილი (სტ I–II 31 ბ) ნაყიდი.

ნაქადებარი (სმ 112 დ) დაპირებული.

ნაქონებარი (სმ II 360 ბ) რა ქონებაც გაქვთ.

ნაყოფი (სტ 134) ა. ნაყოფი, მოწეული, ბ. ნამყოფი, გ. ყოფილი, გარდასული, დ. ამოსული, ამოწვერილი, თავამოყოფილი.

ნაჩიჩხვარი (სმ 772 დ) სასაცილოდ აგდებული.

ნაძოვანი (სმ II 3 ბ) ნაძოვი თუ ნაძოვანი.

ნაძრახი (სმ I 218 ა) საძრახი, დასაგმობი.

ნაცადი (ან 178 დ) რაც სცადეს, გააკეთეს.

ნაცოდვარი (სმ II 538) ჩადენილი ცოდვა..

ნახად (ან 120 ბ) შესანახავად.

ნახავსა (სტ 130 ბ) ნანახი.

ნახვანჯი (სმ I 90 დ) დაბურდული.

ნახმარი (სმ II 428) მოხმარებული, გამოყენებული.

ნდომითა (სმ I 561 ბ) მნდომი, მსურველი.

ნებიერობა (სმ 261, 263) ნებიერობა.

ნებითა (სმ II 528) ნებაყოფლობით.

ნებითა არა – უნება (სმ 710 ბ) ნებაყოფლობით სურვილ'ხე უარის თქმა.

ნებული (ან I 184 ბ; სმ 214 გ; ქდ 220 გ) სურვილი, ნასურვები.

ნებსით ნებით.

ნეტარ („ვაი, სამნე" გ; ქდ 71) ნეტავი.

ნეტარი („ანბანთქება" 13 ბ) სანეტარო, ბედნიერება.

ნეტარძი (სტ 22 დ) ნეტავი თუ.

ნიამორი (სგ 44 გ) ქურციკი.

ნიადაგმცა მუდამ, ყოველთვის.

ნივთი რაც საარსებოდ არის შექმნილი.

ნიჟვა წვეთა.

ნინოფი (სგ 22–ა ა) მცენარეა.

ნიში, ნიშები (სმ 39 ა, 230 გ) ნიშანი.

ნობა, ნობანი (ან 2, გ; სგ 26 დ) „საყვირ–დაბდაფი" (საბა).

ნუზლი (სმ 150 დ, 445 დ) საგზალი.

ნუკვა, გნუკავ ხვეწნა, მუდარა.

ნჯღრეული დანჯღრეული.

ო

ოდესცა (სმ 613 ა) როდესაც.

ოთერიდი (სგ 22–დ 3) ოტერიდი („შვიდთა მთიებთა ბუნება") ცთომილი ოტარიდი, ერმი.

ონარი (სგ 68 დ) უნარი.

ოსანა საეკლესიო გალობა.

ოტერიდი ნ *ოთერიდი.*

ოცებად (სმ 86) გ. ოცობით, დ. მისაცემად.

ოხა („ანბანთქება“ 15 ა) ოხვრა, ვაება.

ოხშივარი (სმ 580 გ) ოხშივარივით თავს აღგას.

ოხჭანი („ანბანთქება“ 15 ა) ბოლო, აღსასრული.

პ

პავასაკი („ანბანთქება“ 16 დ) გუდა, ხურჯინი.

პალამი („ანბანთქება“ 16 ღ) „მძლავრი, დიდი ასპიტი (საბა).

პალატი (სმ I 496 ა) დარბაზი, სასახლე.

პარაკი („ანბანთქება“ 16 გ) ქუჩა, უბანი.

პარი („ანბანთქება“ 16 ბ) ასო „პ“-ს სახელი.

პელეგონი (ან 171 ა) ზღვა.

პეპელიკი (სგ 9 ბ; სმ 808 დ; სტ 92 ა) პეპელა, ფარვანა.

პირები (სმ 693 გ) დაპირების ფიცი.

პირი (34 გ) სახე.

პირის მოშლა (სმ I 679 დ) სახის არ გალამაზება.

პირის წყალი (სმ 667 დ) ნაუბარი, ნაამბობი.

ჟ

ჟარო („ანბანთქება“ 17 გ)

ჟამენი (ან 73 დ) შესაბამისი დრო.

ჟამი დრო.

ჟერი („ანბანთქება“ 17 ბ) ფოთლოვანი რტო (საბა).

ჟინჟილი („ანბანთქება“ 17) „დაგრეხილი წვრილი წნელები გამხმარი ფიჩხად“ (დ. ჩ.).

ჟირი („ანბანთქება“ 17 ბ) შაქარწყალი.

ჟირადო („ანბანთქება“ 17 გ)

ჟოლა („ანბანთქება“ 17 გ) თუთა.

ჟოლემა („ანბანთქება“ 17).

ჟღვლემა („ანბანთქება“ 17) „ავად ხელა“ (საბა).

ჟღლეტა („ანბანთქება“ 17 ა) ჭყლეტა.

რ

რა დია (სმ I 624) დიახ, რაც უნდა.

რაზომ, რაზომსაცა რამდენი, რამდენსაც.

რამ (სმ 564 ა) რამე.

რამენი (ან 73 ა) რამეები.

რაცია (სმ 37 ბ) რაც არის.

რება, რებანი, რებისა მოძრაობა, სიარული.

რეგვენი (სგ 1 დ) ბრიყვი, სულელი.

რევა („კაეშანი“ 8 გ), რევანი (ან I 92 ბ) არევა, არეულობა.

რეული (ან 145 ბ, 146 ა) შერეული.

რვალი (სმ 658 გ) სპილენძი.

რიგები (სტ 52 ა) გამგებლობა.

რიგისა მოსაშლილობა (სმ 767 დ) გამგეობის, წესრიგის მოშლა.

რიდე, რიდობა, დაურიდობსა, მონარიდობსა დაერიდე, (სმ 534, II

13 ა, ბ) ერიდება, მოერიდე, დაარიდებს, მოაშორებს.

რიოში (სმ II, 518 ა; სტ 82 ა) შერყვნილი, ყალბი.

როდეს (ან 35 ბ) როდისმე.

როს, როდისცა (ან 98 ა; სმ 501 გ) როდესაც.

როჭიკი (ან 1დ; სმ 726 ა, 787 გ) ულუფა, სარჩო.

რული (სმ I 17 ბ; 101 დ, 766 დ) თვლემა, ძილი.

რჯა, რჯანი გარჯა, შრომა.

რჯიდე (ან 142 ბ) განსჯიდე.

ს

საალქატო (სტ 80 დ) მსუბუქი, ადვილი.

საამბარი, საამბობარე, საამბოსანი (ან II 9 ა; ან 26 ბ, 137 ბ, 153 ა; სმ 22 ბ; I 484 დ) საამბობი, მოსათხრობად საინტერესო.

საამოსია (სმ I 76 ა) შესამოსელი.

საანჯმნოდ (სტ II 24 ბ) საჯაროდ.

საახებულსა (სმ 27 გ) დანანების გამომხატველ შორისდებულ „აბ"-ის სათქმელი საქმე.

საბალჭოშენი (სგ 2 გ)

საბელი (ქღ 112 195 ბ) თოკი.

საბრძოლად შეუძლებელი (ან 82 დ) იმდენად ძლიერია, მის წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელია.

საბრხ(ჯ)ე (სმ 753 დ; სტ 32 გ) მახე.

საბჭო (სმ 714 ა) განმსჯელი.

საგალია (სგ 41) ა. გალია, ბ. გასასრესი, გ. თევზის მოსაწამლავი, დ. განჯლო.

საგანი (სმ 333 ბ) ნიეთი, საშიში ადგილი.

საგანგიონი (ან II 1 გ) განგების, ღვთისგან მოვლენილი.

საგებად, საგებარად (ან II 149 გ; სმ II 620 ბ, 819 გ) გასაგებად, მისახვედრად.

საგვამო (სმ II 551 ა) სხეული, ტანი.

საგზო (სტ III 126 დ) ცხოვრების გზა, სიცოცხლე.

საგონებელი (სტ III 134 დ) მოსაგონებელი.

საგონებლისა (სტ III 19 ა) გონიერების (?).

საგულისო (სტ II 25 დ) გულისმიერი.

სადავი, სადავო (ან 115 ბ; სმ 112 გ) სადავო, საკამათო.

სადარო (სმ 774 ა) შესადარებელი.

სადარებასა (სმ 441 დ) გამოდარება თუ შესადარი.

სადაჟი (ქდ 253) მარგალიტის ნიჟარა.

სადრო (სმ I 430 ბ) სადარი.

საერანი (ქდ 115) რას არა (?).

საზარო საშიში (სმ 406 ა, 759 ბ; სტ II 52 დ) საშიში, შესაშინებელი.

საერთელი (სმ 906 ბ) ერთიანად, ერთად.

საეჭოა (სტ III 33 ბ) საეჭვოა, ეჭვშესატანია.

სავარგნარენი (სმ II 15) ვარგისიანი.

სავარგული (სმ 29 ვარგისიანი.

სავარდის კარები (სმ II 45 ა) ვარდიეით სახის პირი.

სავნები (სტ 83 დ) ვნების მომტანი.

სათი (სგ 2 ა; სტ 96 ბ) გიშერი.

საკამათი (სმ 401 ბ) **საკამათო, მოცილე.**

საკვდად მაზიდავს (სმ 191) მოსაკლავად მიჰყავს.

საკლიტური (სმ II 468 გ) გასაღები.

საკლმის (ქდ 404) საკმევლის.

საკოკობითა (სტ III 5 გ) კოკობი ვარდით.

საკრულები (სტ 137 დ) მკრულავი, დასაწყეველი.

სალბო (სტ 123 გ) დამალბობელი, სანუგეშო.

სალბუნი მალამო.

სალი (ან I 7 ბ) სალ, მაგარ კლდეს.

სამ (სმ 216 ა), **სამე** („შეგონება", „კაეშანი" 1 დ) სადმე, საიდანღაც.

სამაზოდ (სგ II 99 ა) იმისთვის.

სამართალი (ან 60 ა) სასამართლო გადაწყვეტილება.

სამბური (ან 164 დ) დაავადება. ნ ზღმურდლი.

სამგვამება (სმ 812 გ) სამპიროვანი.

სამეყვისონი (ან II 37 გ) მოყვასნი, ახლობელნი, ნათესავი, მეგობარი.

სამოსანი (ან 140 დ) სამოსი, შემოსილი.

სამსალა (ან 9 გ, 67 დ; სგ 86 გ, 74 ბ) შხამი, მომწამვლელი.

სამსჭვალი (სტ 102 გ; სგ 79 გ) ლურსმანი.

სამსჯავრო (ან I 61 ბ; სმ 683 გ) სასამართლო.

